ვ. კოპალიანი

ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის წარსულიდან

თბილისის უნივერსიტეტის
გამომცემლობა
თბილისი — 1968

წიგნში მოცემულია სამი მოძმე ხალხის — ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის მოკლე მიმოხილვა. საუბარი იწყება ძვ. წ. პირველი ათასწლეულის დამდეგიდან. უძველეს ხანაში არსებული ურთიერთობის გასათვალისწინებლად ნაჩვენებია ამ ხალხების წინაპართა ტერიტორიული განლაგებისა და ერთიმეორესთან შესაძლო შეხვედრის ადგილები.

ადრემონათმფლობელური და ფეოდალური ხანის პოლიტიკური ურთიერთობა განხილულია ამიერკავკასიის ხალხთა საერთო თავგადასავალთან კავშირში. რამდენადმე მეტი ადგილი აქვს დათმობილი XII საუკუნეში ამიერკავკასიის ხალხების პოლიტიკური ერთიანობის გაძლიერების საკითხებს.

შრომაში საგანგებოდ ხაზგასმულია სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების ისტორიის ზოგი ისეთი საკითხი, რომელიც ქართულ საისტორიო ლიტერატურაში ნაკლებად არის გაშუქებული. ასეთია, მაგალითად, სომეხი ხალხის უძველესი პოლიტიკური გაერთიანებების, დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოქმნის, ალბანიის მოსახლეობის მდგომარეობის, ალბანიაში მაჰმადიანური რელიგიის დანერგვის, აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბების საკითხები და სხვ.

წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებს, რომელთაც სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიის სპეციალური კურსი ეკითხებათ, აგრეთვე ისტორიის მასწავლებლებსა და ყველა იმ პირს, ვინც ამიერკავკასიის ხალხთა წარსულის შესწავლითა და ურთიერთობის საკითხით არის დაინტერესებული.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ამიერკავკასიის ხალხებს — ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს — მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე რთულ პოლიტიკურ ვითარებაში უხდებოდათ ცხოვრება. ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელ უწესრიგობა-უსამართლობასთან ერთად, განსაკუთრებით უცხოელ დამპყრობთა გამუდმებული თავდასხმები არღვევდა ამ ხალხების ნორმალურ ცხოვრებას, ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდა მათ.

აღნიშნულმა გარემოებამ ადრიდანვე შექმნა ამიერკავკასიის ხალხებში უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ ძალთა გაერთიანების საფუძვლები. ამიტომ, მიუხედავად ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ხალხთა ნორმალური თანამშრომლობის ხელის შემშლელი მოვლენებისა, ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები მაინც ერთიმეორეს უკავშირდებოდნენ და გაერთიანებული ძალით ცდილობდნენ მშობლიური მიწა-წყლის დაცვას. ამ ხალხების მეგობრული ურთიერთობა ხშირად გამხდარა მათი ფიზიკური გადარჩენის საწინდარი. ამასთანავე, მეგობრობა მარტო საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში როდი გამოიხატებოდა, იგი, პირველ ყოვლისა, ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთ თანამშრომლობაშიც ვლინდებოდა. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები სამეურნეო ცხოვრებისა და კულტურის დარგში საკუთარ მონაპოვარს ერთიმეორეს უზიარებდნენ და ამით ერთმანეთს უდიდეს სამსახურს უწევდნენ.

ამიერკავკასიის ხალხების ურთიერთობისა და თანამეგობრობის განმტკიცებას ამ ხალხების ყველა სოციალური ფენის ინტერესები მოითხოვდა, მაგრამ მეგობრობის საფუძვლის შემქმნელ ძალას მწარმოებელი საზოგადოება წარმოადგენდა. მშრომელი ხალხი იყო

როგორც ქვეყნის თავდაცვის ბურჯი, ისე სამეურნეო და კულტურული ცხოვრების განვითარების შემოქმედი.

ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების პროგრესული მოღვაწენი, რომლებიც საკუთარი ქვეყნისა და მოძმე ხალხების კეთილდღეობით იყვნენ დაინტერესებულნი, ამ ხალხებს ძმობა-ერთობისა და მეგობრობის განმტკიცებისაკენ მოუწოდებდნენ. ზოგი მათგანი მიზნის მისაღწევად ამიერკავკასიის ხალხების საერთო ეთნიკური წარმომავლობის თეორიულ დასაბუთებასაც კი ცდილობდა.

თუმცა ძველი ისტორიოგრაფია თავისი მეთოდოლოგიისა და იდეოლოგიის წყალობით მხოლოდ პოლიტიკური ისტორიიდან ზოგიერთი ფაქტის ემპირიული აღნუსხვა-გადმოცემით კმაყოფილდება, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ჩვენთვის საინტერესო საკითხების გასაშუქებლად მან ძვირფასი მასალა შემოგვინახა.

ძველი ქართული ისტორიოგრაფია ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების არა მარტო ქართველებთან ურთიერთობის გასათვალისწინებლად, არამედ თვით ამ მოძმე ხალხების წარსულის შესასწავლადაც. ასევე მდიდარი და საინტერესო ცნობები შემოგვინახა სომხეთისა და ძველი ალბანიის ისტორიოგრაფიამ ქართველი ხალხის წარსულის შესახებ.

ლეონტი მროველს, მოსე ხორენელს, მოსე კალანკატუელს და ნარატიული ძეგლების ბევრ სხვა ავტორს ამიერკავკასიის ხალხთა მჭიდრო ურთიერთობა და საბრძოლო თანამეგობრობა მიაჩნდათ ამ ხალხების გამარჯვების საწინდრად. იგივე ავტორები აგვიწერენ ამიერკავკასიის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობის უტყუარ ფაქტებს.

სამშობლოსა და ამიერკავკასიის ყველა ხალხის პატივისცემას ამჟღავნებს ჰაგიოგრაფიული ძეგლის ბევრი ავტორი. ხშირ შემთხვევაში ასეთ თხზულებებში მოცემული პერსონაჟების მოქმედება-ვიწრო ნაციონალური შეხედულებით კი არ ფასდება, არამედ იმის მიხედვით, თუ რას აკეთებს თითოეული მათგანი საერთოდ ამიერკავკასიის ხალხებისათვის.

კლასიკური ხანის პროგრესული აზროვნების კორიფეები—შოთა რუსთაველი, ნიზამი განჯელი, ხაკანი და სხვები ხალხთა მეგობრობას უმღეროდნენ და სამართლიანობისათვის მებრძოლ გმირებს შარავანდედით მოსავდნენ. ნიზამი განჯელი ამიერკავკასის ხალხთა მეგობრობაზე და უანგარო ურთიერთდახმარებაზე ამყარებდა სამშობლოს ხსნის იმედს.

ამიერკავკასიის ხალხთა საბრძოლო ერთიანობა მიაჩნდა ბევრ პოლიტიკურ მოღვაწეს ამ ხალხების გამარჯვების საწინდრად. ვახ-

ტანგ გორგასალი, ვარდან და ვახტანგ მამიკონიანები, ანისის მოქალაქეთა თავკაცები, დავით აღმაშენებელი, ვახტანგ VI, დავით ბეგი, იოსებ ემინი, ერეკლე II, პანახ ვაგიფი და სხვები ამიერკავკასიის ხალხთა საბრძოლო ერთიანობის არა მარტო მხურვალე მსურველები იყვნენ, არამედ ბევრი მათგანი დიდი პრაქტიკული ღონისძიებების გამტარებელიც იყო ამ საქმეში.

უძველესი საუკუნეებისა და ფეოდალური ხანის ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის ცალკეულ საკითხებს საქართველოს ისტორიის, ლიტერატურისა და კულტურის არაერთი მკვლევარი ეხება. აკად. ივ. ჯავახიშვილი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს მათ თავის ნაშრომებში. ასევე დიდი ადგილი აქვს ამ საკითხებს დათმობილი აკად. კ. კეკელიძის შრომებში. იგი განსაკუთრებით კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობას ეხება და ბევრ საინტერესო საკითხს აშუქებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს. მის ნაშრომებში ბევრი საინტერესო საკითხია გაშუქებული, განსაკუთრებით სომეხი და ქართველი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან. რიგი მეცნიერული გამოკვლევები მიუძღვნეს აგრეთვე ამიერკავკასიის ხალხთა კულტურულ-ლიტერატურულ და სხვა სახის ურთიერთობის საკითხებს პროფ. ილ. აბულაძემ, პროფ. ალ. ბარამიძემ და სხვებმა.

სათანადო ადგილს უთმობენ თავიანთ შრომებში სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების ისტორიისა და კულტურის თანამედროვე მკვლევრები ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის ცალკეულ საკითხებს. სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა დ. ალიევამ საქართველოსა და აზერბაიჯანის ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიას. ვ. ნალბანდიანმა გამოაქვეყნა მასალები: „თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე“ (სომხურ ენაზე). როგორც საქართველოს, ისე სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიის სახელმძღვანელოებში, რომლებიც უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდნენ, მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ამ ქვეყნების ისტორიის ცალკეული საკითხების ურთიერთკავშირში განხილვას და სხვა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ისეთი ნაშრომი, რომელიც ამიერკავკასიის ხალხების ურთიერთობის თანმიმდევრულ სურათს მოგვცემდა, ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა.

წინამდებარე ნაშრომს ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის სრული სურათის წარმოდგენის პრეტენზია არ აქვს. იგი მხოლოდ ზოგად წარმოდგენას მისცემს ამ საკითხზე დაინტერესებულ მკითხველს.

თ ა ვ ი I

ამიერკავკასიის ხალხები და მათი ურთიერთობა უძველეს ხანაში

1. ქართველ და სომეხ ტომთა ურთიერთობა ძვ. წ. X—VII საუკუნეებში

ამიერკავკასიის ძირითად მოსახლეობას ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები შეადგენენ; ისინი ამჟამად მათ მიერ დაკავებულ მიწა-წყალზე სხვადასხვა დროს დამკვიდრდნენ.

ქართველები საქართველოს თავდაპირველნი მკვიდრნი არიან. ამას ადასტურებს როგორც უძველესი წერილობითი წყაროები, ისე არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ნაშთები. ბრინჯაოს ხანის მაღალი კულტურის ნიმუშები, რომლებიც უხვად იქნა მოპოვებული საქართველოს მიწის წიაღში, ქართულ კულტურას განეკუთვნება. ამ კულტურის შემქმნელი ქართველთა წინაპრები არიან.

ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნემდე დღევანდელ საბჭოთა სომხეთის ტერიტორიაზე სხვა ტომები ცხოვრობდნენ. ისინი მოდგმით ურარტელებს უახლოვდებოდნენ[1], ხოლო სომხები იქ შემდეგ მოვიდნენ.

სომხები წარმოშობით ინდო-ევროპული მოდგმის მცირეაზიელი მოსახლეობის ძველის-ძველ შტოს ეკუთვნიან. მათი წინაპრების ძირითადი ბირთვი უძველესი დროიდან მცირე აზიის აღმოსავლეთ რაიონებში ცხოვრობდა. მათ მიერ დაკავებული მიწა-წყალი ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით დასავლეთ ევფრატის (ყარა-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, 1, 1958, გვ. 37.

სუს) ზემო წელის რაიონამდე აღწევდა და მას ჰაიასა ერქვა[1]. როგორც მკვლევართა ერთი ჯგუფი ფიქრობს, ამ ქვეყნის სახელი დაედო საფუძვლად სომხეთის სომხურ სახელს — „ჰაი"-ს[2].

მდინარე არაცანის (აღმოსავლეთ ევფრატის — თანამედროვე მურად-ჩაის) ჩრდილოეთით მდებარე მიწა-წყალს „სუხმი" ეწოდებოდა. ამ სახელით ცნობილი ქვეყანა მდ. არაცანისა და მისი შესართავიდან დაწყებული ჩრდილოეთით თითქმის ერზერუმის რაიონამდე აღწევდა[3].

ჰაიასის ქვეყანაში მცხოვრებმა ტომებმა უძველესი დროიდან დაიწყეს გადასახლება ევფრატის ჩრდილო მხარეში — „სუხმის" რაიონში.

ამავე დროისათვის ქართველთა წინაპრებს მარტო ის მიწა-წყალი როდი ეჭირათ, რომელიც დღეს საქართველოს ტერიტორიას შეადგენს, არამედ ისინი დღევანდელი საქართველოს საზღვრებს გარეთ, შავი ზღვის სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთითაც იყვნენ დასახლებულნი და ჰაიასისა და სუხმის ქვეყნებს ესაზღვრებოდნენ. ამრიგად, ქართველებისა და სომხების წინაპრებს მეზობლური ურთიერთობა ჯერ კიდევ ამ უძველესი დროიდან ჰქონდათ.

სუხმის ქვეყანასთან და იქაურ ტომებთან ქართველთა წინაპრების მჭიდრო ურთიერთობის შედეგია ის, რომ გეოგრაფიული სახელი — „სუხმი" „სომ(ე)ხი" ფორმით „ჰაი"-ს აღმნიშვნელ ქართულ ტერმინად იქცა, ხოლო „ჰაიებით" დასახლებულ მიწა-წყალს „სომხეთი" დაერქვა[4].

ამრიგად, სომხეთისა და სომხების აღმნიშვნელი სომხური ტერმინები გეოგრაფიულ სახელ „ჰაიასადან" წარმოდგა, ხოლო მათივე აღმნიშვნელი ქართული ტერმინები „სუხმიდან" მომდინარეობს.

მსოფლიოში ბევრი ხალხი სომხებს „არმენების" სახელით იცნობს. ამ სახელს უწოდებდნენ მათ ძველად სპარსელები და ბერძნები[5]. ეს ტერმინი სატომო სახელიდან მომდინარეობს.

---

[1] Г. А Меликишвили, Древневосточные материалы по истории народов Закавказья, I, Наири-Урарту, Изд. Академии Наук Грузинской ССР, Тбилиси, 1954, გვ. 82; Гр. Капанцян, Хайаса—колыбель армян, этногенез армян и их начальная история, Изд. Академии Наук Армянской ССР, Ереван, 1947, 12,22.

[2] Гр. Капанцян, Хайаса—колыбель армян... გვ. 18.

[3] Г. А. Меликишвили, Наири-Урарту... გვ. 53.

[4] გ. მელიქიშვილი, ურარტუ, თბილისი, სახელგამი, 1951, გვ. 140; Б. Б. Пиотровский, О происхождении армянского народа, Ереван, Изд., Акад. Наук Армянской ССР, 1946, გვ. 24—25.

[5] Б. Б. Пиотровский, Ванское царство (Урарту), Издательство Восточной литературы, Москва, 1959, გვ. 128.

„არამეს“ ანუ „არმენების“ ტომი უძველეს ხანაში ბინადრობდა ტიგროსის სათავეებში: ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებში არმენების ტომით დასახლებული ეს მიწა-წყალიც ჰაიასის გაერთიანებამ შეიერთა. უკანასკნელმა თანდათან მოახდინა როგორც არმენების, ისე მათ მიერ დაპყრობილი, ერთ დროს ურარტუს სამეფოში გაერთიანებული, ზოგიერთი ტომის ასიმილაცია და ენაც ჰაიების გაბატონდა. მაგრამ იმის გამო, რომ უძველესი დროიდან მიდიელებსა და სპარსელებს არმენებთან ჰქონდათ უშუალო მეზობლობა და ამ სახელით იცნობდნენ ჰაიების მიერ შემოერთებულს, გარკვეულ მიწა-წყალზე მობინადრე ხალხს, ამიტომ როგორც სამხრეთელ მეზობლებში, ისე ევროპის ბევრ ხალხში ჰაიების სახელად „არმენები“, ხოლო ქვეყნის სახელად „არმენია“ დარჩა[1].

საერთოდ, სომეხი ხალხის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა ორმა სატომო კავშირმა: სომხეთის ზეგანის სამხრეთ-დასავლეთით (ტიგროსის სათავე) წარმოქმნილმა არმენთა კავშირმა და უფრო ჩრდილო-დასავლეთით წარმოქმნილმა ჰაის კავშირმა[2].

თუ ჰაიების აღმნიშვნელი ქართული სახელი წარმოდგა გეოგრაფიული სახელის „სუხმი“-საგან, სამაგიეროდ ქართველების აღმნიშვნელი სომხური ტერმინიც ქართველ ტომთა მიერ დასახლებულ იმ რაიონის სახელისაგან მომდინარეობს, რომელიც სუხმის ქვეყანას ესაზღვრებოდა. საქართველოსა და ქართველებს სომხები „ვირქ“-ს (*վիրք*) ეძახიან. ეს სახელი ტერმინ „იბერის“ ვარიანტია და ის წარმომდგარი უნდა იყოს ჰოროხის ზემოწელის — „სპერის“ სახელწოდებიდან. ქართველთა ეს მხარე უშუალოდ ესაზღვრებოდა „სუხმის“ ქვეყანას. ძველ სომხურად „ვირქ“ ქართლის თემს [3] ანუ იბერიას აღნიშნავდა.

ამრიგად, ქართველებისა და სომხების ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და ის მანამდე არსებობდა, სანამ სომეხი ტომები დღევანდელი საბჭოთა სომხეთის მიწა-წყალზე დასახლდებოდნენ.

ისტორიაში ცნობილია ქართველთა ორი ძირითადი — აღმოსავლური და დასავლური შტო. პირველის მთავარ ბირთვს ქართები

---

[1] История армянского народа, ч. I, под редакцией Б. Н. Аракеляна и А. Р. Иоаннисяна, Ереван, 1951, გვ. 25 (შემდეგში მითითებული იქნება История армянского народа, I).

[2] Б. Б. Пиотровский, Ванское царство (Урарту), გვ. 129.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1961, გვ. 207.

შეადგენდნენ, ხოლო მეორისას მეგრელ-ჭანები. თითოეულ მათგანს უძველესი დროიდან ჰქონდა ახლო ურთიერთობა ჰაიასისა და სუხმის ქვეყნებთან. ძვ. წ. VII საუკუნეში შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე წარმოიქმნა ხალდების ტომთა დიდი გაერთიანება. ისინი— ხალდები, რომლებიც, მკვლევართა დასკვნით, დასავლურ-ქართულ ეთნიკურ ჯგუფს, მეგრელ-ჭანებს მიეკუთვნებოდნენ, უშუალოდ ემეზობლებოდნენ დასავლეთ ევფრატის (ყარა-სუს) ზემო მხარეში მობინადრე სომეხთა ტომებს[1]. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ მეგრელ-ჭანების ენის გარკვეული გავლენა ახლაც ჩანს სომხურ ენაში. სომეხ-ქართველთა ენობრივი და ეთნოკულტურული ურთიერთობა, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს გრ. კაპანციანი, არა მარტო შეიქმნა და არსებობდა იმ დროს, როდესაც გვაროვნულ საფეხურზე მყოფი სომეხი და ქართველი ტომები ევფრატისა და ჭოროხის სათავეებში ერთიმეორეს ემეზობლებოდნენ, არამედ იგი მტკიცდებოდა შემდეგაც, როცა უკვე ეს ტომები ხალხებად ჩამოყალიბდნენ და როცა მათ სახელმწიფოები შექმნეს[2].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მიხედვით თუ ვისმჯელებთ, უკვე ამჟამად ცნობილი და უტყუარი წყაროების მიხედვით ქართველებისა და სომხების მეზობლურ ურთიერთობას სულ მცირე 3000 წლის ისტორია მაინც აქვს.

2. სომეხი ტომების გავრცელება ურარტუს სამეფოს ჩრდილო რაიონებში

ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასეულის დასაწყისში ამიერკავკასიის სამხრეთით ძლიერი სახელმწიფო წარმოიქმნა. ისტორიაში ეს სახელმწიფო ურარტუს სახელწოდებით არის ცნობილი. მისი ცენტრი ვანისტბის მიდამოები იყო.

ურარტუს სახელმწიფო ძვ. წ. IX საუკუნეში დიდად გაძლიერდა. მისი მბრძანებლები ამავე საუკუნის დასასრულს ამიერკავკასიასაც მისწვდნენ, პირველყოვლისა არაქსის სანაპიროებზე გამაგრდნენ და შემდეგ მტკვრის სათავეებში მცხოვრები ქართველი ტომებიც დაიმორჩილეს.

---

[1] Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, გვ. 407.

[2] Гр. Капанцян, О взаимоотношении армянского и лазо-мегрельского языков, Издательство Академии Наук Армянской ССР, Ереван, 1952, გვ. 5.

ისინი დასავლეთის მიმართულებით კიდევ უფრო შორს წავიდნენ, ხელთ იგდეს ევფრატის თითქმის მთელი ზემო წელი[1] და სულ მალე სუხმის ქვეყანას მიადგნენ. მაგრამ, როგორც სუხმის, ისე ჰაიასის ქვეყნებზე, ჩანს, გავლენა ვერ გაავრცელეს და ეს უკანასკნელები თავისუფლად ვითარდებოდნენ.

VIII საუკუნის პირველ ნახევარში ურარტუმ თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია. ამ დროს ურარტუს მეფეებმა არაქსის სანაპიროებზე და თანამედროვე სომხეთის მიწა-წყალზე მრავალი ციხე-სიმაგრე და ციხე-ქალაქი ააგეს. სწორედ ამ დროს იქნა აგებული მეფე არგიშტ I-ის (778—750) მიერ ციხე-ქალაქი არგიშტიხინი, რომელიც შემდეგ სომხეთის ერთ-ერთი სამეფოს, არარატის, დედაქალაქი გახდა და არმავირის სახელწოდებით არის ცნობილი[2].

VII საუკუნიდან ურარტუს სახელმწიფო დასუსტებას იწყებს. მისი დასუსტების მიზეზი იყო შინაგანი სოციალური წინააღმდეგობანი და გარედან ძლიერი მტრების თავდასხმები. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში ურარტუს მეფეებმა ბევრი მარცხი განიცადეს მტრებთან ბრძოლაში.

როდესაც ურარტუს სახელმწიფო სუსტდებოდა, მის სამხრეთით, დღევანდელი ირანის აზერბაიჯანის მიწა-წყალზე, მიდიის სახელმწიფო ძლიერდებოდა. გაძლიერებულმა მიდიამ ბევრი ქვეყანა დაიპყრო და ურარტუსაც მიადგა, ჯერ სამხრეთი რაიონები წაართვა მას, ხოლო შემდეგ ცენტრალური რაიონებიც ხელთ იგდო და VI საუკუნის დასაწყისში ურარტუს სახელმწიფოს მთლიანად მოუღო ბოლო.

მაშინ, როდესაც მიდია ურარტუს იპყრობდა, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით ქართველ ტომთა ერთი დიდი პოლიტიკური გაერთიანება არსებობდა, რომლის ცენტრალურ რაიონს ცნობილი ძველი ქართული პროვინცია სპერი შეადგენდა, იქაურ მცხოვრებლებს კი უცხო მწერლები და ისტორიკოსები, ადგილის სახელის მიხედვით, სასპერებს უწოდებდნენ[3].

სასპერებმა ისარგებლეს ურარტუს დასუსტება-დაცემით და მისი ჩრდილო რაიონები თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს. მათ გაავრცელეს თავიანთი გავლენა მდ. არაქსის ზემო და, საფიქრებე-

---

[1] Б. Б. Пиотровский, Ванское царство (Урарту), გვ. 64.

[2] История армянского народа, ч. I, გვ. 17; შდრ. Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, გვ. 66; მისივე, К истории древней Грузии, Изд. АН ГССР, Тбилиси, 1959, გვ. 116—117.

[3] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, თბილისი, 1958, გვ. 37.

ლია, შუა ნაწილში, სადაც მაშინ ურარტული მოდგმის ხალხი ცხოვრობდა. მოხდა მოსულთა და დამხდურთა ენის, კულტურისა და სხვა დამახასიათებელი ნიშნების შერწყმა. დამხდურმა ტომებმა „დაკარგეს საკუთარი ენა და ტომობრიობის სხვა ნიშნები და შევიდნენ ქართველი ხალხის შემადგენლობაში“[1].

მაგრამ თავის მხრივ ურარტელთა მოდგმის ტომებმაც სათანადო კვალი დატოვეს. უკვე დიდიხანია მეცნიერებს გამორკვეული აქვთ, რომ, როგორც ქართულ ენაში, ისე ზნე-ჩვეულებებსა და კულტურაში ბევრი რამ ურარტულიდან ამჟამადაც შემონახულია.

ურარტუს დასუსტება-დაცემით სომეხთა წინაპრებმაც ისარგებლეს, რომელთა მიწა-წყალი აღმოსავლეთით ურარტუს სამეფოს ესაზღვრებოდა. VII—VI საუკუნეთა მიჯნაზე სომეხმა ტომებმა აღმოსავლეთის მიმართულებით იწყეს გავრცელება, ხელთ იგდეს თანდათანობით ვრცელი ტერიტორია, რომელიც ხურიტი და ურარტელი ტომებით იყო დასახლებული. ამიერიდან ისინი თანდათან დამკვიდრდნენ შემდეგდროინდელი სომხეთის ვრცელ მიწა-წყალზე.

ამრიგად, თუ წინათ ქართველთა და სომეხთა წინაპრები ევფრატისა და ჭოროხის სათავეებში ხვდებოდნენ ერთმანეთს, ამიერიდან ისინი თანამედროვე და ისტორიული სომხეთის მიწა-წყალზედაც ერთიმეორეს დაუმეზობლდნენ.

მიდიის მეფეებმა ურარტუს საბოლოო დამორჩილების შემდეგ დასავლეთითა და ჩრდილოეთით გააგრძელეს შეტევა. სომეხთა ტომებს ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ აღმოსავლეთით შორს გავრცელება, რომ სომეხთა და ქართველთა წინაპრების მიერ დაკავებულ მიწა-წყალს მიდიელები მოადგნენ დასაპყრობად.

აქ მიდიელები დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ. სომხებმა და ქართველებმა ძლიერი ბრძოლა გაუმართეს მათ. მიდიელთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლით იწყება სომხებისა და ქართველების საბრძოლო თანამეგობრობა,. რომელიც შემდეგ თანდათან მტკიცდება.

ქართველებისა და სომხების ერთობლივ ბრძოლაში მიდიელების წინააღმდეგ უკანასკნელებმა გაიმარჯვეს. მიდიის მეფე კიასკარი სომხეთის დიდ ნაწილს დაეუფლა და აიძულა სომხების მეფე მისი მოკავშირე გამხდარიყო [2]. შემდეგ იგი მცირე აზიაში შეიჭრა, ხელთ იგდო მისი აღმოსავლეთი რაიონები და მდ. ღალისამდე მივიდა.

---

[1] იქვე, გვ. 37—38.

[2] **История армянского народа, ч. I, გვ. 26.**

ძვ. წ. 585 წლის 28 მაისს დიდი ბრძოლა მოხდა მიდიელებსა და ლიდიელებს შორის მდინარე ღალისის ნაპირზე. ბრძოლაში ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა გადამწყვეტი გამარჯვება, რის შემდეგ მოპირდაპირენი შეთანხმდნენ და შეწყდა მათ შორის საომარი მოქმედება[1].

8. სომხებისა და ქართველების წინაპართა ერთობლივი ბრძოლა აქემენიდთა სპარსეთის აგრესიის წინააღმდეგ

მიდიის სამეფო, რომელიც ძვ. წ. VII საუკუნეში დაწინაურდა, VI საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა, მაგრამ ამავე საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს მისი პოლიტიკური მდგომარეობა მეტად გართულდა. მას მუდამ ებრძოდნენ, განთავისუფლების მიზნით, სომეხი და სხვა დაპყრობილი ტომები.

აღნიშნული გარემოებით სპარსელებმაც ისარგებლეს და 553 წელს დაიწყეს განმათავისუფლებელი ბრძოლა. ამ ბრძოლას აქემენიდთა საგვარეულოს შთამომავალი კიროს II მეთაურობდა. ბრძოლა დამთავრდა 550 წელს სპარსელების სრული გამარჯვებით. მათ აიღეს მიდიის დედაქალაქი ეკბატანი და ტყვედ ჩაიგდეს მიდიის მეფე ასტიაგი[2]. ამიერიდან მიდია სპარსეთის მორჩილი გახდა. მიდიის სახელმწიფოს სხვა მიწა-წყალთან ერთად აქემენიდთა სპარსეთის ხელში უნდა გადასულიყო მტკვარ-არაქსის სამხრეთით მდებარე ის რაიონი, რომელიც ამჟამად საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორიის ფარგლებშია.

სომეხთა ტომებმა ისარგებლეს მიდიის დამარცხებით და უფრო სწრაფად დაიწყეს გავრცელება აღმოსავლეთის მიმართულებით.

სპარსეთი აქემენიდთა საგვარეულოს ბატონობის დროს დიდად გაძლიერდა. მან ჩრდილოეთის მიმართულებითაც განავითარა ექსპანსია და 547—546 წლებში სომხეთის მიწა-წყალიც დაიპყრო[3]. აქემენიდთა სპარსეთის გავლენაში მოექცნენ აგრეთვე შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთისა და შემდეგდროინდელი სომხეთის გარკვეულ მიწა-წყალზე მცხოვრები ქართველი ტომებიც.

---

[1] Всемирная история, т. I, Государственное издательство политической литературы, Москва, 1955, გვ. 593.

[2] В. И. Авдиев, История древнего Востока, Государственное издательство политической литературы, 1953, გვ. 536.

[3] იქვე.

სპარსელებმა მთელი სამეფო ოლქებად ანუ „სატრაპიებად“ დაჰყვეს და თითოეული ოლქის სათავეში სპარსეთის მეფის მოხელე — „სატრაპი“ დასვეს. ქართველთა ტომებით დასახლებული ის მიწა-წყალი, რომელიც სპარსეთის გავლენაში იმყოფებოდა, მე-18 და მე-19 სატრაპიებში მოექცა. აქემენიდებმა მძიმე გადასახადი დააკისრეს ქართველ ტომებს. მე-18 სატრაპია, რომელშიც შედიოდნენ სასპერები, მატიანები და ალაროდები, 200 ტალანტს [1] იხდიდა, ხოლო მე-19 სატრაპია, რომელშიც შედიოდნენ მოსხები, ტიბარენები, მოსინიკები და მარები, — 300 ტალანტს[2].

სომეხთა ტომებმა განაგრძეს აღმოსავლეთის მიმართულებით ახალი მიწა-წყლის დაკავება. მათ ხელში გადავიდა თანდათანობით იმ მიწა-წყლის საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელიც აქემენიდთა სპარსეთის მე-18 სატრაპიაში შედიოდა, კერძოდ: არარატის მხარე და მისი მოსაზღვრე არაქსის სანაპიროს სხვა ზოგიერთი რაიონი, სადაც მაშინ ჯერ კიდევ სასპერები, მატიენები, ალაროდები და სხვა ტომები ცხოვრობდნენ.

გარე-პოლიტიკურმა გართულებებმა უძველესი დროიდან შექმნა ამიერკავკასიის მოძმე ხალხებში იმის შეგნება, რომ გარედან მოსული მტერი თანაბრად ემუქრებოდა მათ ინტერესებს და ამიტომ ძალთა გაერთიანება იყო საჭირო. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ძნელბედობით აღსავსე ცხოვრების საუკუნეთა მანძილზე ერთის ჭირვარამს მეორე იზიარებდა და ამით როგორც თავისი, ისე მოძმე ხალხის ფიზიკურ გადარჩენას ხელს უწყობდა.

აქემენიდთა სპარსეთმა როგორც ქართველ, ისე სომეხ და სხვა დაპყრობილ ტომებს მძიმე ხარკი და სხვადასხვა სახის მოვალეობა დააკისრა. ამიტომ, ბუნებრივია, სომეხი და ქართველი ტომები მუდამ ცდილობდნენ დამპყრობთა ბატონობის თავიდან მოცილებას.

ძვ. წ. VI საუკუნის 20-იან წლებში ბევრი დაპყრობილი ქვეყანა აუჯანყდა აქემენიდებს. აჯანყებულთა შორის სომხეთიც იყო. 521—520 წლებში სპარსეთის მეფე დარიოსი იძულებული იყო სისხლის-

---

[1] ტალანტი (ბერძნ. *Τάλαντον*—პირვანდელი მნიშვნელობით წონის ერთეული) ბაბილონურ-ფინიკიური წარმოშობის ანტიკური ხანის ფულადი წონის უმსხვილესი ერთეული იყო: ძველ საბერძნეთში ტალანტი, როგორც ფულადი წონის ერთეული, 7 ათას ვერცხლის დრახმას (ბერძნული დრახმა 100 პელტას — ლითონის წვრილი ბერძნული ფულის 100 ცალს უდრიდა) შეესატყვისებოდა. იგი ზოგ ქვეყანაში წონის ერთეულის აღმნიშვნელიც იყო, მაგრამ, როგორც სხვადასხვა დროს, ისე სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა: ზოგ ქვეყანაში (სიცილია, ტარენტო და სხვ.) 26,2 კგ. უდრიდა, ხოლო ზოგში კიდევ 36,2 კგ-ს და სხვ.

[2] **Г. А. Меликишвили,... Наири-Урарту, გვ. 420.**

მღვრელი ომი ეწარმოებინა სომხეთში თავისი მფლობელობის აღსადგენად. სომხები გმირულად იცავდნენ თავს. მტერმა უდიდესი ლაშქარი დაძრა აჯანყებულ სომეხთა წინააღმდეგ. მხოლოდ ხუთგზის ძლიერი ბრძოლის გადახდის შემდეგ შეძლო დარიოსმა დაემორჩილებინა სომხები [1].

მართალია, დღევანდელი საქართველოს მიწა-წყალზე აქემენიდებმა ვერ შეძლეს თავიანთი ბატონობის დამყარება, მაგრამ ზოგიერთი წყარო და გადმოცემა გვაფიქრებინებს, რომ ისინი სამხრეთიდან აწარმოებდნენ შემოტევას აღმოსაველეთ საქართველოს მიწა-წყლის დასაპყრობად.

აქემენიდთა სპარსეთმა ძვ. წ. VI საუკუნის დასასრულსა და V საუკუნის დასაწყისში თავისი ძლიერების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, ახლა მას არათუ დაპყრობილი სომეხი და ზოგიერთი ქართველი ტომები უხდიდნენ ხარკს და აძლევდნენ ლაშქარს ომის დროს, არამედ შორეული და ძლიერი დიდი კოლხეთიც იძულებული გახდა გარკვეული მოვალეობანი ეკისრა სპარსეთის სასარგებლოდ, სახელდობრ: კოლხებს ყოველ ხუთ წელიწადში 100 ბიჭი და 100 გოგო უნდა გაეგზავნათ ძღვნად აქემენიდ მბრძანებლებისათვის. ამასთანავე, საჭირო შემთხვევაში კოლხები ლაშქარსაც უგზავნიდნენ სპარსეთს. მაგალითად, ძვ. წ. 480 წელს, როდესაც სპარსელები ბერძნებს ებრძოდნენ, აქემენიდების მიერ დაპყრობილ ქართველ ტომთა მეომრებთან ერთად კოლხეთის ლაშქარიც სპარსეთის მხარეზე იბრძოდა[2].

ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევრიდან აქემენიდების სპარსეთი დასუსტებას იწყებს. ჩანს, ეს გარემოება შესაძლებლობას აძლევდა სპარსთა მიერ დაპყრობილ ქართველ ტომებს თავი გაეთავისუფლებინათ სპარსთა ბატონობისაგან. მაგალითად, ძვ. წ. 401 წელს, როდესაც ცნობილმა ბერძენმა მხედართმთავარმა და ისტორიკოსმა ქსენოფონტემ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე გაიარა, იქ მყოფი ქართველი ტომები აღარ ემორჩილებოდნენ სპარსეთის სახელმწიფოს. იქ სპარსელების მოხელეები არ იყვნენ და ქართველი ტომები თვითონ განაგებდნენ თავიანთ ქვეყნებს. მაგრამ სომეხთა მიწა-წყალი ჯერ კიდევ სპარსთა მფლობელობაში იყო; სომხების მმართველად სპარსთა მეფის მოხელე იჯდა[3].

---

[1] История армянского народа, I, გვ. 26—27.

[2] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1960, გვ. 113.

[3] Ксенофонт, Анабасис, перевод, статья и примечания М. И. Максимовой, под редакцией академика И. И. Толстого, Издательство Академии Наук СССР, Москва—Ленинград, 1951, IV, I—VI, V, I—V.

ზოგიერთი წყარო გვაფიქრებინებს, რომ აქემენიდთა სპარსეთის მბრძანებლები ჯერ კიდევ მაინც აწარმოებდნენ შეტევას ქართველთა მიწა-წყლის, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს დასაპყრობად და იბრძოდნენ აგრეთვე სომხეთში ბატონობის შესანარჩუნებლად, მაგრამ სომხები და ქართველები ერთიმეორეს ეხმარებოდნენ მომძლავრებული მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის გადმოცემით, როდესაც სპარსეთის მეფე ქეკაპოსი თურქებს ებრძოდა, სომხებმა და ქართველებმა ხელსაყრელი დრო იპოვეს, ერთად გამოვიდნენ სპარსელების წინააღმდეგ და გაამაგრეს თავიანთი ციხეები და ქალაქებიო. მისივე აზრით, თ ა რ გ ა მ ო ს ი[1] შთამომავალი ამიერკავკასიის ყველა ხალხი შეერთდა და ბრძოლა დაიწყეს სპარსელების გასადევნადო[2].

იმავე ისტორიკოსის მიხედვით, როდესაც სპარსეთის მეფემ ქეკაპოსმა სომხებისა და ქართველების მოქმედების ამბავი გაიგო, დიდი ლაშქარი შეჰყარა, ჩააბარა იგი თავის შვილს ფ ა რ ა ბ ო რ ო ტ ს და სომხებისა და ქართველების დასასჯელად გამოგზავნა. მაგრამ სომხები და ქართველები ფხიზლად იყვნენ, სპარსთა ლაშქრის წამოსვლის გაგებისთანავე შეერთდნენ „ყოველნი თარგამოსიანნი“, მტერს თავიანთ მიწა-წყალზე შემოსვლა არ აცალეს, წინ მიეგებნენ მას ადარბადაგანში, ანუ ირანის აზერბაიჯანში, დაუხოცეს ბევრი ჯარისკაცი, დაამარცხეს და უკან გააქციეს[3].

სპარსეთის მეფემ მაინც არ აიღო ხელი ბრძოლაზე. მან კიდევ გამოგზავნა დიდი ლაშქარი სომხებისა და ქართველების დასასჯელად. მროველის ცნობით, ეს ლაშქარი სომხეთისა და ქართლის მიწა-წყალზე შემოიჭრა და ახლა, თითქო, შეძლო სომხებისა და ქართველების დამორჩილება. მაგრამ სულ მალე ისევ იპოვეს ხელსაყრელი დრო სომხებმა და ქართველებმა, ისინი კიდევ აუჯანყდნენ სპარსელებს, „მოსრნეს“, ე. ი. ამოხოცეს, სპარსეთის მოხელეები და თავი გაითავისუფლესო[4].

აქემენიდთა სპარსეთის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში კიდევ უფრო ნათელი გახდა ამიერკავკასიის ხალხების, კერძოდ, სომ-

---

[1] ლეგენდარული გმირი, რომლის შთამომავლები, ლეონტის აზრით, თითქოს ამიერკავკასიის ხალხები არიან.

[2] ქართლის ცხოვრება, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, სახელგამი, თბილისი, 1955, გვ. 14 (შემდეგში მითითებული იქნება ქართლის ცხოვრება, I).

[3] იქვე.

[4] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 14—15.

ხებისა და ქართველების ინტერესთა ერთიანობა, კიდევ უფრო განმტკიცდა ურთიერთდახმარების აუცილებლობის შეგნება და თანამეგობრობა.

ეს ის ხანა იყო, როდესაც დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი სომეხი და ქართველი ტომების გაერთიანებანი ფორმირებულ სახელმწიფოებს ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ, მაგრამ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში მაინც ერთიანდებოდნენ და თავს იცავდნენ.

4. ჩრდილო აზერბაიჯანის უძველესი მოსახლეობა. ალბანიისა და სომხეთის სამეფოების წარმოქმნა

აზერბაიჯანის ვრცელი მიწა-წყალი ჩრდილო და სამხრეთ ნაწილებად იყოფა. მათ შორის საზღვრად დაახლოებით მტკვარ-არაქსის დინების ხაზი ითვლება. ჩრდილო რაიონებისა და სამხრეთი რაიონების ნაწილს დღევანდელი საბჭოთა აზერბაიჯანი შეიცავს, ხოლო სამხრეთი რაიონების უდიდესი ნაწილი ირანის მფლობელობაშია.

თანამედროვე საბჭოთა აზერბაიჯანის მიწა-წყალზე, მტკვრისა და არაქსის ჩრდილოეთით, ძველად მრავალი ტომი ცხოვრობდა. თუ ანტიკური ხანის უცხო გეოგრაფთა ცნობებს დავუჯერებთ, იქ მაშინ 26 სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომი ყოფილა. ეს ტომები ეთნიკურად იბერულ-კავკასიური მოდგმის ხალხს ეკუთვნოდა. მათი ენებიც იბერულ-კავკასიური მოდგმის ენათა ჯგუფს განეკუთვნებრდა.

დღევანდელი საბჭოთა აზერბაიჯანის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში მცხოვრები ძველი მოსახლეობა მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ურარტული და ხურიტული მოდგმის იმ ტომებთან, რომლებიც დღევანდელი საბჭოთა სომხეთის მიწა-წყალზე ცხოვრობდნენ და შემდეგ ქართველებისა და სომხების მიერ იქნენ ასიმილირებული.

მრავალი ტომი, რომლებიც ჩრდილო აზერბაიჯანში ცხოვრობდნენ, ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასეულის პირველნახევარში გვაროვნული წყობილების საფეხურზე იმყოფებოდნენ. აქ, შედარებით სამხრეთ აზერბაიჯანთან, კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო გვიან ჩამოყალიბდა. ამასთანავე, ეს მხარე საბოლოოდ გადაურჩა ურარტელების მიერ დაპყრობას და, როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის ჩრდილო მხარეში ვერც მიდიის სახელმწიფო ხელისუფლებამ შეძლო გავლენის გავრცელება. მიდიის ბატონობა დღევანდელი საბჭოთა აზერბაიჯანის მიწა-წყლის მხოლოდ იმ რაიონებში უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რომელიც მტკვარ-არაქსის სამხრეთით მდებარეობს.

ძვ. წ. I ათასეულის მეორე ნახევარში აზერბაიჯანის ჩრდილო რაიონებში საგრძნობლად გაღრმავდა ეკონომიური და სოციალური უთანასწორობა, ცალკეულ ტომებს შორის განვითარდა ეკონომიური ურთიერთობა, აღებ-მიცემობა. ეკონომიური განვითარების შემდგომი აღმავლობის აუცილებლობამ და აგრეთვე თავდაცვის საჭიროებამ გარდაუვალი გახადა ცალკეული ტომების გაერთიანება. ეს გაერთიანება მოხდა ალბანთა სახელწოდებით ცნობილი ტომის მეთაურობით. წარმოიქმნა საკმაოდ მსხვილი პოლიტიკური ერთეული, რომლის დედაქალაქი იყო კაბალა. ეს პოლიტიკური ერთეულის გაერთიანების მოთავე ტომის — ალბანთა სამეფოს სახელწოდებით არის ცნობილი. ამიერიდან ამ სამეფოში გაერთიანებულ ყველა ტომს ალბანელებს უწოდებენ.

ახ. წ. II საუკუნის ბერძენი გეოგრაფი კლავდიუს პტოლემაიოსი მოგვითხრობს, რომ ალბანიას აღმოსავლეთით კასპიის ზღვა, დასავლეთით იბერია, ჩრდილოეთით სარმატია, სამხრეთ-დასავლეთით ადარბადაგანი და ნაწილობრივ სომხეთი ესაზღვრებაო[1]. სტრაბონიც აღნიშნავს, რომ ალბანელები „ცხოვრობენ იბერებსა და კასპიის ზღვას შორის; აღმოსავლეთით ისაზღვრებიან ზღვით, ხოლო დასავლეთით ემეზობლებიან იბერებს"[2].

ამრიგად, ალბანელების უახლოესი მეზობლები ძველთაგან დასავლეთით ქართველები, ჩრდილოეთით სარმატები, სამხრეთ-დასავლეთით აზერბაიჯანელთა ერთ-ერთი ძირითადი წინაპარი მოსახლეობა — ადარბადაგანელები და ნაწილობრივ სომხები ყოფილან.

თუ ალბანიის სამეფოს ლოკალიზაციას ქართული წყაროების მიხედვით მოვახდენთ, ის ჰერეთის, შაქი-შარვანისა და რანის მიწა-წყლისაგან შედგებოდა, დაახლოებით დღევანდელ საბჭოთა აზერბაიჯანის მიწა-წყალსა და დაღისტნის ზოგიერთ მთიან რაიონს შეიცავდა და გადაჭიმული იყო კავკასიონის აღმოსავლეთ ქედიდან სამხრეთით მტკვარ-არაქსის ქვემო დინებამდე.

ბერძნული წყაროების მიხედვით აზერბაიჯანის უძველესი სახელწოდება „ატროპატენა" იყო. მისი ტერიტორია თავდაპირველად სამხრეთ აზერბაიჯანს შეიცავდა და ჩრდილოეთით არაქსამდე აღწევდა. შემდეგ ამ სახელწოდებამ სახე იცვალა და სპარსულად გა-

[1] История Азербайджана, под редакцией академиков Академии Наук Азербайдж. ССР И. А. Гуссейнова С. Сумбат-Заде, канд. истор. наук А. С. Гулиева, Е. А. Токаржевского. Изд. Академии Наук Азербайджанской ССР Баку, 1958, გვ. 51 (შემდეგში მითითებული იქნება История Азербайджана).

[2] ს. ყაუხჩიშვილი სტრაბონის გეოგრაფია ცნობები საქართველოს შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1957, გვ. 190.

მოითქმოდა „ადერ-ბადაგან“, სომხურად — „ატერპატაკან“ ან „ატრპატაკან“, ხოლო არაბულად „ადერბაიჯან“ ან „აზერბაიჯან“. ქართულ წყაროებში კი ის „ადარბადაგანის“ სახელწოდებით არის მოხსენებული. სახელი „აზერბაიჯანი“ ალბანიის აღსანიშნავად შედარებით გვიან შემოვიდა.

წყაროები ადასტურებს, რომ ალბანთა და ქართველთა წინაპრები ერთიმეორის უძველესი მეზობლები იყვნენ. ალბანთა დასავლეთ მეზობლად ისტორია მხოლოდ ქართველებს იცნობს. ალბანიის სამეფოს წარმოქმნის შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდა ქართველებისა და ალბანელების ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობა.

* * *

იმის გამო, რომ ქართველებს, სომხებსა და ალბანელებს მრავალი საუკუნის განმავლობაში უხდებოდათ მეზობლური ცხოვრება, უძველეს ქართულ და უცხოურ მწერლობაში ამ ხალხების ეთნარქეპონიმისაგან (ერთი წინაპრისაგან) წარმოშობის თეორიებიც შემუშავდა.

ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი, რომელიც XI საუკუნეში ცხოვრობდა და ქართველების უძველეს ისტორიას არკვევდა, გადმოგვცემს, რომ „სომეხთა და ქართველთა, რანთა[1] და მოვაკნელთა[1], ჰერთა[1] და ლეკთა... ერთი იყო მამა“[2] და მას სახელად თარგამოსი ერქვაო.

ქართველი მემატიანის ეს ცნობა სომხებისა და ქართველების ერთი წინაპრისა და ახლო ეთნიკური ნათესაობის შესახებ მეცნიერულად გაუმართლებელია; სომხები, როგორც ნათქვამი იყო, იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხთა ჯგუფს არ ეკუთვნიან. მაგრამ ლეონტის ეს ცნობა მაინც საგულისხმოა და იმას ადასტურებს, რომ სომეხ და ქართველ ხალხებს, ალბანელებთან ერთად, ძველადაც უკვე თანამეგობრობისა და მეზობლური ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდათ.

ლეონტი მროველი, რომელიც ამიერკავკასიის ხალხთა ძმობა-ერთობის მომხრეა, ცდილობს ამ ერთობას ეთნიკური, ახლო ნათესაური და სხვა თეორიული საფუძვლები მოუძებნოს. იგი სომეხ-ქართველთა და ამიერკავკასიის სხვა ხალხთა წინაპრებს ძმებად წარმოგვიდგენდა.

ლეონტის გადმოცემით, ერთ დროს ამიერკავკასიის ხალხების გმირი წინაპრები „რვანივე ერთობით ჰმონებდეს ნებროთს გმირსა,

---

[1] ე. ი. ალბანთა.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 3.

რომელი იყო პირველი მეფე ყოელისა ქუეყანისა"[1]. მაგრამ „შემდგომად... მცირედთა წელიწადთა"[2] უფროსი ძმა ჰაოსი რჩევას აძლევს სხვა ძმებს: „მოგუცა ღმერთმან მალალმან ძალი და სიმრავლე ნათესავისა ჩუენისა. აწ შეწევნითა დამბადებლისათა ვიყუნეთ არა ვისა მონა, და არავის ემსახუროთ თჳნიერ ღმრთისა დამბადებელისა"[3].

ძმები დაეთანხმნენ ჰაოსს, „ეწამნეს შვიდნი იგი გმირნი და დაუმტკიცეს განზრახვა იგი" ჰაოსს. „განუდგეს ნებროთს და არღარა მისცეს ხარკი"[4].

მრისხანე მტერმა განდგომილთა დასჯა გადაწყვიტა. მან „შემოკრიბნა გმირნი მისნი და ყოველნი, რომელნი ერჩდეს სპანი მისნი, და მომართა თარგამოსიანთა"[5]. უკანასკნელებმა ძალთა მობილიზაცია მოახდინეს, ამასთან, მათ „შეეწიენეს სხუანიცა ვინმე ნათესავნი დასავლეთისანი"[6] და ბრძოლად გამზადებულნი დადგნენ „ძირსა მასისისასა"[7]. სამხრეთიდან წამოსული ნებროთი დიდი ლაშქრით ადარბადაგანში მოვიდა და იქ დაბანაკდა, საიდანაც „წარავლინნა გმირნი სამეოცნი და მათ თანა სპანი ძლიერნი წყობად თარგამოსიანთა"[8].

მოპირდაპირეთა შორის სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლა გაიმართა. მაგრამ, გადმოცემის თანახმად, ერთიმეორისადმი უანგარო დახმარებამ ამიერკავკასიის ხალხთა გმირ წინაპრებს გამარჯვება მოუპოვა. „სძლეს თარგამოსიანთა და მოსრნეს სამეოცნი იგი გმირნი ნებროთისნი და სპანი მათნი. ხოლო... თარგამოსიანნი... დარჩეს ცოცხლებით თჳნიერ წყლულებისა, და ძლევა-მოსილნი..."[9].

ნებროთმა, რომელმაც თავისი ლაშქრის დამარცხების ამბავი გაიგო, თვით იკისრა ბრძოლის მეთაურობა. მან ხელმეორედ გაუმართა ომი თარგამოსიანებს, მაგრამ ერთიმეორისადმი ერთგულებისა და ერთსულოვანი დახმარების შედეგად უკანასკნელნი გამოჰყავს თხზულების ავტორს გამარჯვებულნი. მისი კონცეფცია გასაგებია. იგი ამიერკავკასიის ხალხთა ერთ სამეურნეო და პოლიტიკურ

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 6.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] იქვე.

[6] იქვე.

[7] მასისი, მთის სახელია.

[8] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 6.

[9] იქვე, გვ. 7.

ერთეულად შეკავშირებას ისახავს მიზნად, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ხალხებისათვის.

ლეონტი მროველი ამიერკავკასიის ხალხთა ეთნიკურ შემადგენლობაში ათავსებს ლეკებს და მათ დამხმარედ საჭირო შემთხვევაში გამოჰყავს სომეხი, ქართველი და ალბანელი ხალხები. ლეონტის კონცეფციით, ამ ხალხების მიზან-ინტერესები არ არის გაყოფილი. ისინი ყოველთვის მზად არიან ერთად იმოქმედონ და ერთიმეორეს დახმარება აღმოუჩინონ.

ამ მხრივ ქართლის ცხოვრების სომხურ თარგმანშიც საინტერესო ცნობებია დაცული. იქ ნათქვამია, რომ ნებროთის დამარცხებიდან საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ „გაძლიერდა ხაზართა ტომი". ებრძოდა ლეკებსა და კავკასიის ტომებს, რომლებიც ჩაცვივდნენ გასაჭირში და სთხოვეს თორგომ(ოს)ის სახლის ექვს ტომს, რომლებიც მაშინ მხიარულებასა და მშვიდობიანობას მისცემოდნენ, მისულიყვნენ მათ საშველად. ისინი წავიდნენ კიდეც გულმოდგინედ და მზა აკაზმულობით, გადაიარეს კავკასის მთა, მოარბიეს ხაზართა ქვეყანა ტ[ა]რეთისის შვილის დუწუკის ხელით, რომელმაც მოუწოდა მათ დახმარებლად"[2].

* * *

როგორც ცნობილია, ძვ. წელთაღრიცხვის IV საუკუნის II ნახევარში დიდი პოლიტიკური ცვლილებები მოხდა წინა აზიაში. ალექსანდრე მაკედონელის მეთაურობით სპარსეთს ბერძენ-მაკედონელთა ძლიერი ლაშქარი შემოესია და აქემენიდთა სპარსეთის იმპერია დაემხო. ალექსანდრე მაკედონელის მიერ შექმნილი დიდი იმპერიაც უდღეო აღმოჩნდა. ალექსანდრე 323 წელს გარდაიცვალა და მის მიერ შექმნილმა იმპერიამაც ნგრევა დაიწყო. ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრებმა ხელისუფლებისათვის ბრძოლა ვაჰაღეს ურთიერთ შორის. ეს ბრძოლა 301 წელს იმით დამთავრდა, რომ მთელი იმპერია ალექსანდრეს სამმა მხედართმთავარმა გაიანაწილა. მთელი წინა აზია, ირანის ვრცელი მიწა-წყლით, ალექსანდრეს ერთ-ერთ სარდალს — ს ე ლ ე ვ კ ს ხვდა. ასე ჩამოყალიბ-

---

[1] სხვა წყაროებში ამ უძველეს ხანაში ჩრდილო კავკასიის ველებზე და დაღისტნის ახლოს ხაზარები არ იხსენიებიან. წყაროები ხაზარებს აკაცირების საუკუნეებით პირველად V საუკუნეში იხსენიებს. უკანასკნელნი, რომლებიც, თანახმად ცნობებისა, ჩრდილო დაღისტნის ველებზე ცხოვრობდნენ, 448 წელს ჰუნთა მეთაურმა ატილამ დაიმორჩილა.

[2] ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ. თბილისი, 1953, გვ. 14—15.

და სელევკიდთა ვრცელი სამფლობელო, რომელმაც დაახლოებით ორნახევარი საუკუნე იარსება.

ზემოთ აღნიშნულ მოვლენებს ამიერკავკასიის ხალხებისათვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ბერძნული ანუ ელინური კულტურა გავრცელდა. სელევკიდების ვრცელმა საბრძანებელმაც ბერძნული კულტურის გავლენა განიცადა და, ამრიგად, ძვ. წ. IV—III საუკუნეების მიჯნიდან მოყოლებული ამიერკავკასიის ხალხებს სამხრეთიდან ძლიერი ელინიზებული სელევკიდთა სამეფო დაუმეზობლდა.

შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროებზე, იქ, სადაც ძირითადად ქართველთა მოდგმის ხალხი — მეგრელ-ჭანები და სხვა ტომები ცხოვრობდნენ, ძვ. წ. IV საუკუნეში პონტოს სამეფო შეიქმნა. ეს ქვეყანაც ბერძნული კულტურის გავლენას განიცდიდა. პონტო მალე გაძლიერდა და მომდევნო ხანაში დიდი როლი შეასრულა მაშინდელი მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რასაც ამიერკავკასიის ხალხებისა და მათი ურთიერთობისთვისაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა.

* * *

სელევკიდთა ბატონობის ხანაშიაც სომხეთი ერთ მთლიან პოლიტიკურ ერთეულს ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა. მაგრამ სომეხთა მიერ დასახლებულ მიწა-წყალზე ამ დროისათვის სამი საკმაოდ მსხვილი პოლიტიკური გაერთიანება ჩამოყალიბდა. ესენი იყვნენ: 1. მ ც ი რ ე ს ო მ ხ ე თ ი, 2. დ ი დ ი ს ო მ ხ ე თ ი და 3. ს ო ფ ე ნ ე. მ ც ი რ ე ს ო მ ხ ე თ ი მდინარე ჰალისსა და ევფრატს შორის მდებარეობდა და მეტნაკლებად ძველი ჰაიასის მიწა-წყალს შეიცავდა. სამხრეთით ის კაბადოკიამდე აღწევდა, ხოლო ჩრდილოეთით მას პონტოს სამეფო ესაზღვრებოდა, რომლის ძირითადი მოსახლეობა ქართველთა მოდგმის ხალხს განეკუთვნებოდა. დ ი დ ს ო მ ხ ე თ ს, რომელმაც ეს სახელწოდება მცირე სომხეთისაგან განსხვავების მიზნით ძვ. წ. III საუკუნიდან მიიღო, ადარბადაგანსა და ევფრატის ზემო დინებას შორის მდებარე ვრცელი ტერიტორია ეჭირა, რომელსაც ჩრდილოეთით ქართლი ანუ იბერია ესაზღვრებოდა, ხოლო სამხრეთით ჩრდილო მესოპოტამიამდე აღწევდა. ს ო ფ ე ნ ე ს კი მცირე და დიდ სომხეთს შორის მდებარე ადგილი ეკავა[1].

სელევკიდთა მბრძანებლები ენერგიულად ცდილობდნენ თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ სომეხთა პოლიტიკური ერთეულები.

---

[1] История армянского народа, ч. I, 1944, გვ. 40—41.

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, მათ მიზანს მიაღწიეს. ძვ. წ. 220 წ. ანტიოქოს III არარატის მხარეც დიდ სომხეთს შეუერთა.

წყაროებიდან ჩანს, რომ ელინიზებული მეზობლები თავის დროზე ქართლზედაც ცდილობდნენ გავლენის გავრცელებას, მაგრამ ქართლის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალები და მათი უახლოესი მეზობლები — სომხები ერთიმეორეს ეხმარებოდნენ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ცნობილია, რომ ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულსა და III საუკუნის დასაწყისში დიდი ბრძოლა წარმოებდა ქართლის, ანუ იბერიის, სამეფოს წარმოსაქმნელად. ჩანს, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მაშინდელი საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება შემდეგდროინდელი შიდა ქართლის, მცხეთის რაიონის, ხელთგდებას ცდილობდა და ელინიზებური მეზობლის, როგორც ფიქრობენ, პონტოს სამეფოს მხარდაჭერით მიზანსაც მიაღწია. მაგრამ ქართლში ძლიერი ბრძოლა გაუმართეს მოსულთ. ამ ბრძოლას ქართლის სამეფო დინასტიის ფუძემდებელი, მცხეთის მამასახლისის სამარას ძმისშვილი ფარნავაზი მეთაურობდა, ხოლო მოწინააღმდეგე ბანაკს ვინმე აზო — „კაცი ძნელი და მოსისხლე".

აზოს ლაშქრობისა და ქართლში შემოჭრის შესახებ[1] ლეონტი მროველი შემდეგს გადმოგვცემს: „ამან აზონ მოარღვნა ზღუდენი ქალაქსა მცხეთას საფუძვლითურთ, და დაუტევნა ოთხნი იგი ციხენი, რომელნი მოსდგმიდეს პირსა ქართლისასა: თავადი ციხე, რომელ არს არმაზი; და ერთი ციხე დასასრულსა არმაზისა ცხჳრისასა; და ერთი თავსა ზედა მცხეთისასა; მეოთხე ციხე, დასავლით, მცხეთა მტკუარსა ზედა. და ესენი მომტკიცნა, და განავსნა იგინი ლაშქრითა. და ყოველთა ქართლისა ქალაქთა მოარღვნა ზღუდენი, და დაიპყრნა ყოველნი საზღვარნი ქართლისანი, ჰერეთითგან და ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ზღუადმდე სპერისა"[2].

ფარნავაზი მომხდურთა წინააღმდეგ ბრძოლას ჩაუდგა სათავეში. იგი პირველ ყოვლისა ეგრისის ერისმთავარს ქუჯის დაუკავშირდა, რომელსაც, ჩანს, გაძლიერებული პონტოს სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებიც აკავშირებდა ფარნავაზთან. ამასთანავე, მოკავშირეები „ეზრახნეს ოვსთა და ლეკთა"[3], რომლებიც, ჩანს, თვი-

---

1 აზო, როგორც ცნობილია, ლეონტი მროველის დაუსაბუთებელი განმარტებით. თითქოს, ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთი სარდალთაგანი იყო და მან მოიყვანა ქართლში.

2 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 19.

3 იქვე, გვ. 23.

თონაც იყვნენ დაინტერესებულნი „აზოელთა“ წინაღმდეგ ბრძოლით.

ქართლში ძლიერმა აჯანყებამ იფეთქა და განდევნეს აზო და მისი ლაშქარი, მაგრამ ახლა ისინი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე გადავიდნენ და „სიმაგრეთა შინა კლარჯეთისასა“[1] გამაგრდნენ. აქ მყოფმა აზომ „მოირთნა სპანი საბერძნეთით (პონტოსაგან — ვ. კ.), განძლიერდა ფრიად და მომართა ფარნავაზს“[2].

ფარნავაზი, თავის მხრივ, სელევკიდთა მბრძანებელს დაუკავშირდა, რომლისთვისაც გაძლიერებული პონტოს სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებს უნდა ეკარნახებინა ქართლისადმი დახმარება. სელევკიდთა მბრძანებელმა, რომლის სამფლობელოში მაშინ სომხეთიც შედიოდა, დაუყოვნებლივ აღუთქვა დახმარება და „უბრძანა ერისთავთა სომხეთისათა, რათა შეეწეოდიან ფარნავაზს“[3].

ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „ნაქალაქევსა თანა არტანისასა, რომელსა ერქუა მაშინ ჭაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური“[4], სომეხ-ქართველთა ლაშქარმა და მათმა მოკავშირეებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს; „იძლივნეს ბერძენნი“[5] — წერს მემატიანე, ე. ი. ფარნავაზმა დაამარცხა მტერი, მტრის ბევრი მოლაშქრე მოკლეს და აზოც სიცოცხლეს გამოასალმეს.

ამ გამარჯვების შემდეგ იბერიის სამეფო, რომლის დედაქალაქი იყო მცხეთა, სწრაფად გაძლიერდა, დასავლეთ საქართველოში კოლხეთის ძლიერი სახელმწიფო ამ დროს უკვე დასუსტებული იყო. ჩანს, ის პონტოს სამეფოს მიერ განიცდიდა შევიწროებას და ამიტომ, როგორც ნათქვამი იყო, აღმოსავლეთ საქართველოსთან კავშირს ამჯობინებდა.

ქართლის, ანუ, როგორც მას უცხოელები ეძახდნენ, იბერიის მეფის ძალაუფლება სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით შორს გავრცელდა. ის შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირომდე აღწევდა და სპერის პროვინციაც მას ეკუთვნოდა. იბერიის სამეფო ხელისუფლებამ თავისი გავლენა დასავლეთ საქართველოში ეგრისზედაც გაავრცელა, ხოლო ერთ დროს ეგრისის გაერთიანებაში შემავალი ქართლის მოსაზღვრე რაიონი, არგვეთი, უშუალოდ ქართლის სამეფოს შემოუერთა.

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 23.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] იქვე.

აძრიგად, ძვ. წ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე ქართლის სამეფოს სახით საქართველოს მიწა-წყალზე ძლიერი პოლიტიკური ერთეული წარმოიქმნა, რომელიც მაშინდელი ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა.

სომხური პოლიტიკური ერთეულების დამოკიდებულება სელევკიდებისადმი ნახევრად ფორმალურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ის, მაინც დიდად უშლიდა ხელს ამ პოლიტიკური ერთეულების დამოუკიდებელ განვითარებას. ამ დაბრკოლებას ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისიდან მოელო ბოლო.

ცნობილია, რომ ძვ. წ. III საუკუნის დასასრულს მონათმფლობელური რომი ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში იწყებს გაბატონებას. ამ მსარეში დამკვიდრებისა და მთელი საბერძნეთის დამორჩილების შემდეგ რომის ხელისუფლებამ წინა აზიაში გადმოიტანა დაპყრობითი ომები. დაიპყრო რა აქ გარკვეული რაიონები, რომის იმპერიის ლეგიონები თანდათან მიუახლოვდნენ სელევკიდთა სამფლობელოს საზღვრებს.

სელევკიდების სახელმწიფო მტკიცე არ იყო. დაპყრობილი ქვეყნები მუდამ თავისუფლებისათვის იბრძოდნენ. ეს გარემოება დიდად დაეხმარა რომის იმპერიას სელევკიდების წინააღმდეგ ბრძოლაში. ქ. მაგნეზიასთან გამართულ ომში, რომელიც ძვ. წ. 190 წელს მოხდა რომაელებისა და სელევკიდების ჯარებს შორის, უკანასკნელთა მეფემ ანტიოქოს დიდმა სასტიკი მარცხი განიცადა.

სელევკიდთა ამ დამარცხებით მათ მიერ დაპყრობილმა ბევრმა ხალხმა ისარგებლა და იწყო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. მათ შორის ანტიოქოს დიდს განუდგა ორი სომხური პროვინცია: დიდი სომხეთი და სოფენე. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას სათავეში ჩაუდგნენ თვით ანტიოქოს დიდის მიერ ამ მხარეების მმართველებად დანიშნული პირები. კერძოდ, დიდი სომხეთისას — არტაშესი, ხოლო სოფენისას — ზარეჰი. სომხებმა სელევკიდთა ბატონობა თავიდან მოიცილეს და დამოუკიდებლობა მოიპოვეს, ხოლო არტაშესმა და ზარეჰმა თავი დამოუკიდებელ მეფეებად გამოაცხადეს.

არტაშეს პირველის მეფობის დროს სომეხთა მიერ დასახლებული თითქმის მთელი მიწა-წყალი ერთ სომხურ სახელმწიფოდ გაერთიანდა. ამასთანავე, გაძლიერებულმა სომხეთმა მეზობელი ქვეყნების და მათ შორის იბერიის გარკვეული რაიონებიც შეიერთა.

დღევანდელ საბჭოთა აზერბაიჯანის მიწა-წყალზე, როგორც ნათქვამი იყო, სწორედ ამავე ხანებში ჩამოყალიბდა ალბანიის სახელწოდებით ცნობილი სახელმწიფო, რომელიც სომხეთთან და იბერიასთან ერთად ამიერკავკასიის სახელმწიფოთა მწყობრში ჩადგა.

ამიერიდან ამ სამმა სახელმწიფომ და მათში გაერთიანებულმა მოძმე ხალხებმა მრავალსაუკუნოვანი, ხანგრძლივი ურთიერთობისა და თანამეგობრობის ისტორია განვლეს. ეს თანამეგობრობა მუდამ ვლინდებოდა როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში.

* * *

ძვ. წ. I საუკუნეში ამიერკავკასიას სამხრეთით პართიის ძლიერი სახელმწიფო ემეზობლებოდა. ამ სახელმწიფოს ჯერ კიდევ ძვ. წ. III საუკუნის შუა წლებში ჩაეყარა საფუძველი კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე. პართიის სამეფოს ფუძემდებლად არშაკი ითვლება, რადგან 255 წ. მისი მეთაურობით ეს მხარე სელევკიდებს აუჯანყდა და მათი ბატონობისაგან თავი გაითავისუფლა. არშაკიდების ბატონობის ხანაში პართია დიდად გაძლიერდა. ერთ დროს მისი მიწა-წყალი მდინარე ევფრატიდან მდინარე ინდუსამდე აღწევდა. პართიის სამეფომ მისი პირველი მეფის არშაკის შთამომავლების მეთაურობით დაახლოებით ხუთი საუკუნე იარსება და მან ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც გარკვეული როლი შეასრულა.

სომხეთსა და იბერიას დასავლეთით პონტოს სამეფო ესაზღვრებოდა. ეს სამეფო, როგორც ნათქვამი იყო, ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულს წარმოიქმნა. ამ სამეფოს მმართველი დინასტიის ფუძემდებელი იყო მითრიდატ III, რომელმაც ძვ. წ. 302 წელს ხელისუფლება მიიღო, ხოლო 281 წელს მეფის ტიტულით აღიჭურვა. ამ პოლიტიკურ ერთეულს მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი, ე. ი. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი, რაიონები ეჭირა. პონტოს სამეფოს ძირითადი მოსახლეობა ქართველთა მოდგმის ხალხისაგან შედგებოდა. მან თავისი ძლიერების მწვერვალს ძვ. წ. I საუკუნის დამდეგს, მითრიდატ VI მეფობის დროს, მიაღწია. პონტოს სამეფოს გაძლიერებას დიდად შეუწყო ხელი აგრეთვე სელევკიდთა დაუძლურებამ.

მითრიდატ VI, რომელიც ძვ. წ. 114 წელს გამეფდა, მრავალი ქვეყანა დაიმორჩილა, მათ შორის მცირე სომხეთი, ბოსფორის სამეფო და კოლხეთიც, რომელიც თავის სამეფოს შეუერთა.

ჩრდილოეთით ამიერკავკასიას, კერძოდ, ალბანიასა და ქართველთა მიწა-წყალს ესაზღვრებოდა სარმატია, როგორც მას ბერძენი და რომაელი მწერლები უწოდებენ. სარმატიის სახელწოდებით ცნობილ ჩრდილო კავკასიის მიწა-წყალზე მაშინ მრავალი ტომი ცხოვრობდა, რომლებიც ერთად სარმატებად იწოდებოდნენ. ისინი ჯერ კიდევ თემური წყობილების საფეხურზე იმყოფებოდნენ და განვითარების მხრივ სამხრეთელ მეზობლებს ჩამორჩებოდნენ.

თავი II

ამიერკავკასიის ხალხთა ერთობლივი ბრძოლა რომისა და პართიის აგრესიის წინააღმდეგ

I. სამხედრო კავშირი პონტოს სამეფოსთან

ძვ. წ. III—II საუკუნეებში მონათმფლობელურმა რომმა უდიდეს ძლიერებას მიაღწია. ამასთანავე, II—I საუკუნეების მიჯნაზე არშაკიდთა პართიაც ძლიერი სახელმწიფო გახდა. მაგრამ რომის იმპერიის ძლიერება პირველი საუკუნის დასაწყისში უკვე საგრძნობლად შეირყა.

რომს ამ დროს შინაგანი პოლიტიკური კრიზისი ღრღნიდა. ამასთან, პოლიტიკურ კრიზისში გახვეული რომის მეტოქედ აღმოსავლეთში პონტოს სამეფო გამოვიდა. 94 წელს პონტოს მეფე მითრიდატ VI დიდი სომხეთის მეფე ტიგრან მეორესთან საიდუმლო ხელშეკრულება დადო, რომლითაც მოკავშირეები ზოგიერთი მოსაზღვრე ქვეყნების დაპყრობა-განაწილებაში შეთანხმდნენ.

მაშინდელი პონტო და სომხეთი ძლიერი პოლიტიკური ერთეულები იყვნენ. „სომხეთი სწორედ ამ ხანებში... ტიგრან დიდის მეფობაში, ისეთ ძლიერებას აღწევს, რომლის მსგავსიც მას შემდეგში არასოდეს არ უნახავს"[1].

სტრაბონის ცნობების თანახმად, ტიგრანი ამ დროს მართლაც უდიდესი მფლობელი გახდა. მან პირველ ყოვლისა მთელი სომხეთი გააერთიანა, შემდეგ პართიას გამოსტაცა ხელიდან ბევრი მინატაცები მიწა-წყალი და შეტევაზეც გადავიდა. დაიპყრო რა მრავალი ქვე-

---

[1] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, თბილისი, 1952, გვ. 177.

ყანა, მას „ქვეშევრდომებად ჰყავდა ატროპატენე[1] და გორდიეოსი[2], მათთან ერთად დანარჩენი მესოპოტამია; აგრეთვე თვით სირია და ფინიკია, ევფრატზე რომ გადავიდა, ძალით დაიმორჩილა“[3].

ძველი ბერძენი ცნობილი ფილოსოფოს-მორალისტი და ისტორიკოსი პლუტარქე,რომელიც ახ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარსა და მეორე საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა, გადმოგვცემს, რომ ტიგრანმა „მრავალი ხალხი დაიმორჩილა და პართების ძლიერება ისე დააკნინა, როგორც არავინო“[4].

მითრიდატ ევპატორს თავისი მოღვაწეობის პირველ ხანებში „ევპყრო [ქვეყანა] შემოსაზღვრული ჰალისით ვიდრე ტიბარანებამდე და არმენიელებამდე და ჰალისის შიგნით მდებარე (ადგილებით), რომლებიც ვრცელდებიან ამასტრიამდე და პაფლაგონიის ზოგ ნაწილებამდე“[5], ხოლო შემდეგ „მან შესძინა (თავის ქვეყანას) სანაპირო დასავლეთის მხარეს პერაკლიამდე... მოპირდაპირე მხარეს მდებარე ქვეყანათაგან ადგილები ვიდრე კოლხიდამდე და მცირე არმენიამდე, რომლებიც მიუერთა პონტოს“[6].

მითრიდატ ევპატორის სამფლობელოს ზრდა ამით არ დამთავრებულა და მან თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია აგრეთვე ყირიმი, აზოვის ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ზოგიერთი სარმატული ტომი, ტამანის ნახევარკუნძული, ანაპის მხარე და კოლხეთი.

მაგრამ როგორც მითრიდატის, ისე ტიგრანის ბატონობის ხანგრძლივობაზე უარყოფითი როლი შეასრულა იმ გარემოებამ, რომ მათ მკაცრი, დესპოტური დამოკიდებულების კურსი აიღეს დაპყრობილი ქვეყნების მიმართ. სტრაბონი გადმოგვცემს, რომ ტიგრანმა „ქალაქი დააფუძნა იბერიის მახლობლად... [ქალაქს] უწოდა ტიგრა-

---

[1] ატროპატენე — ადარბადაგანი. იგივე სამხრეთ აზერბაიჯანი.

[2] გორდიეოსი—გორდიეების უფროსი თ. მიშჩენკოს განმარტებით, გორდიეები-ასირიის სამეფოში გაერთიანებული მესოპოტამიელი ტომი იყო (იხ. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1957, გვ. 252).

[3] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ. დასახელებული გამოცემა, გვ. 197.

[4] პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, 1. ძველ-ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო აკ. ურუშაძემ, სახელგამი, თბილისი, 1957, გვ. 78 (შემდეგში მითითებული იქნება: პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, 1).

[5] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ. გვ. 200.

[6] იქვე.

ნაკერტი[1] და მისგანვე გაუბედურებული 12 ელინური ქალაქიდან დაასახლა აქაურობაო"[2].

პონტოსა და სომხეთის სამეფოების შეთანხმება არა მარტო რომაელთა წინააღმდეგ იყო მიმართული აღმოსავლეთში, არამედ მას არშაკიდთა პართიის წინააღმდეგ ბრძოლის მიზანიც ჰქონდა.

პონტოს სამეფოს გაძლიერება დიდად დაემუქრა რომის იმპერიას. მას სულ მალე აღმოსავლეთიდან განდევნას უქადდა. ამიტომ, მიუხედავად რთული შინაგანი პოლიტიკური მდგომარეობისა, რომაელებმა მთავარი ყურადღება პონტოს სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლის ხაკითხს მიაპყრეს, ძვ. წ. 89—88 წელს რომსა და პონტოს შორის მწვავე ბრძოლა დაიწყო, რომელიც, დროგამოშვებით, 64—63 წლამდე მიმდინარეობდა. ამ ბრძოლაში სომხებთან ერთად იბერიისა და ალბანიის სამეფოებიც პონტოს მხარეზე გამოვიდნენ.

პონტოს მეფემ მითრიდატ VI ევპატორმა რომის წინააღმდეგ ბრძოლის გარკვეულ ეტაპზე უდიდეს წარმატებებს მიაღწია, იმპერიას დიდი საფრთხე შეუქმნა და მისი მთავრობა საგონებელში ჩააგდო. პლუტარქეს სიტყვით რომ ვთქვათ, მითრიდატე იყო რომაელთა „ყველაზე უფრო მძვინვარე და საშიში მტერი მეფეთა შორის"[3].

ამიერკავკასიის ხალხების ერთობლივი გამოსვლა მითრიდატეს მხარეზე რომის წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხების ინტერესებიდან გამომდინარეობდა. გაძლიერებული რომის იმპერია პირველ ყოვლისა სომხეთს, ხოლო შემდეგ მის ჩრდილოეთელ მეზობლებს— ალბანიასა და იბერიას უქმნიდა დიდ საფრთხეს. ამიტომ ამიერკავკასიის მოძმე ხალხები რომის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლით ერთიმეორის ინტერესებსაც ემსახურებოდნენ.

დროებით შეწყვეტილი ომი ძვ. წ. 73 წლის გაზაფხულზე განახლდა. ეს მესამე დიდი ომი იყო პონტოს სამეფოსა და რომს შორის.

რომის მდგომარეობა ახლა ძალზე გართულდა. იმ დროს, როდესაც მითრიდატე რომის პროვინციებს უტევდა, იტალიაში გაჩაღდა მონათა დიდი აჯანყება ცნობილი სპარტაკის მეთაურობით.

მონათმფლობელური რომის მმართველმა წრეებმა ყოველგვარი ზომა იხმარეს მძიმე მდგომარეობიდან გამოსასვლელად. ძვ. წ. 71

---

[1] ქალაქ ტიგრანაკერტი სასუნის პროვინციის სამხრეთით, ტიგროსის ზემო დინების რაიონში, შემდეგდროინდელ ნეპერკერტის - ადგილას მდებარეობდა.

[2] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 197.

[3] პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, 1, გვ. 65.

წელს შეძლეს სპარტაკის დამარცხება და შემდეგ მთელი ძალები აღმოსავლეთში გადმოისროლეს.

სასტიკი ომი გაჩაღდა მოპირდაპირეთა შორის. ბრძოლის ამ ეტაპზე სომეხთა მეფე ტიგრან II მითრიდატის მოკავშირედ არ ჩანს. ამ პერიოდში იგი სელევკის შთამომავლებს აცლიდა ხელიდან მათ სამფლობელოებს. მითრიდატესაგან ტიგრანის დროებით ჩამოცილებამ არა მარტო პონტოს სამეფოს ბედზე, არამედ სომხეთის მომავალზეც უარყოფითად იმოქმედა და, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „მტერს საუკეთესო საშუალება მისცა ისინი ცალ-ცალკე და სათითაოდ დაემარცხებინა“[1]. ზოგიერთი ცნობის თანახმად, რომის ჯარების სარდალი თითქოს ცდილობდა ისე ემოქმედა, რომ ტიგრანი მითრიდატეს არ დახმარებოდა ომში. შეტევითი ომის დამჩქარებელთა შისამართით ლუკულუსის მიერ ნათქვამ სიტყვებს პლუტარქე შემდეგნაირად გადმოგვცემს: „კაბეირადან[2] რამდენიმე დღის სავალ მანძილზე ძევს სომხეთი. სომხეთის ტახტზე ზის მეფეთა-მეფე ტიგრანი. მას დიდძალი მსედრობა ჰყავს და ამ მხედრობის წყალობით პართებს გასაქანს არ აძლევს აზიაში, ბერძნულ ქალაქთა მოსახლეობა მიდიაში გადაჰყავს, სირიასა და პალესტინაზე მბრძანებლობს... ეს ტიგრანი მითრიდატეს ასლობელია, მისი სიძეა. მითრიდატემ რომ მას დახმარება სთხოვოს, იგი უარს არ ეტყვის და ჩვენს წინააღმდეგ ომს დაიწყებს. თუ ჩვენ ავჩქარდებით, რათა მითრიდატე უკუვაქციოთ, ამით ტიგრანის მხრივ თავდასხმის საფრთხეს შევქმნით. ტიგრანი უკვე დიდი ხანია ჩვენს წინააღმდეგ ომის საბაბს ეძებს და იმაზე უკეთეს მიზეზს, რომ გასაჭირში მყოფ ახლობელ კაცს... დაეხმაროს, იგი ვერასოდეს ვერ იპოვის“[3]. ისე ვიმოქმედოთ, რომ მითრიდატემ ტიგრანს დახმარებისათვის არ მიმართოსო.

ძვ. წ. 71 და 70 წლებში რომის ლეგიონებმა ლ უ კ უ ლ უ ს ი ს მეთაურობით უდიდესი გამარჯვება მოიპოვეს, პონტოს სამეფოს მიწა-წყალი დაიპყრეს და მითრიდატე სამშობლოდან განდევნეს.

დამარცხებულმა მითრიდატემ სიძისა და მოკავშირის, ტიგრანის, სამეფოს შეაფარა თავი. ლ უ კ უ ლ უ ს მ ა ელჩის პირით ტიგრანს

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1951, გვ. 4.

[2] კაბეირა — „ქალაქი და ციხე-სიმაგრე პონტოს სამხრ.-აღმოსავლეთით (მცირე სომხეთში)... მითრიდატეს ერთ-ერთი რეზიდენცია, მერმინდელი ნეოკესარია (აწინდელი ნიკსარა მდინარე კელკიდ-ლიკეზე)“. (იხ. პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, I, გვ. 303, მთარგმნელის შენიშვნა, 55).

[3] პ ლ უ ტ ა რ ქ ე, დასახ. გამოცემა, გვ. 73.

მითრიდატეს გადაცემა მოსთხოვა, ტიგრანმა ლუკულუსის ელჩს „აპიუსს უპასუხა, რომ იგი მითრიდატეს არ გასცემს, მაგრამ, თუ რომაელები ომს დაუწყებენ, თავს დაიცავს“[1].

როდესაც ლუკულუსს ტიგრანის პასუხი აცნობეს, რომაელმა სარდალმა დასწრება ამჯობინა და სომხეთისაკენ გაემართა. ტიგრანმა მტერს ძლიერი ლაშქარი მიაგება. მაგრამ, სამწუხაროდ, ბრძოლის ამ ეტაპზე სომხები დამარცხდნენ. მითრიდატე ტიგრანს ურჩევდა, რომ პირდაპირ არ შებმოდა მტერს, არამედ სურსათის მისაწოდებელი გზები ჩაეკეტა მისთვის[2].

ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ დაღონებული ტიგრანი მითრიდატეს მიერ წარგზავნილ კაცს „გულდასმით უსმენდა“, მაგრამ, როდესაც სხვა ქვეყნების ლაშქართან ერთად „მასთან მოზღვავდნენ... კასპიის ზღვის მხარიდან დაძრული მრავალრიცხოვანი ალბანები და ალბანების მეზობლად მცხოვრები იბერები... მაშინ მეფის სუფრასა თუ საბჭოზე იმედითა და გამბედაობით აღსავსე ხმა და რომაელთა მისამართით... მუქარა გაისმაო“[3].

ამრიგად, მიუხედავად მთავარი მოკავშირის, მითრიდატეს დამარცხებისა, ამიერკავკასიის ხალხები ერთად აღდგნენ სომხეთის მიწა-წყლის დასაცავად. იბერიელებისა და ალბანელების მისვლამ გამარჯვების იმედი მისცა მოძმე სომხებს.

ტიგრანისა და მისი მოკავშირეების ბანაკში დიდმა სამხედრო ძალამ მოიყარა თავი. თუ პლუტარქე არ აჭარბებს, აქ შეიკრიბა „ოცი ათასი მშვილდოსანი და მეშურდულე, ორმოცდათხუთმეტი ათასი მხედარი, აქედან ჩვიდმეტი ათასი, — როგორც ლუკულუსი სენატს სწერდა, — აბჯარში იყო ჩამჯდარი და ასორმოცდაათი ათასი კოჰორტებად და ფალანგებად დაწყობილი მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარი. გარდა ამისა ტიგრანის ლაშქარში ირიცხებოდა ოცდათხუთმეტ ათასამდე გზისა და ხიდის მკეთებელი. მდინარეთა ფონის გამწმენდი, ტყის მკაფავი და სხვა სამუშაოთა შემსრულებელი კაცი“[4].

შეტევაზე გადასულ ლუკულუსს უკვე ტიგრანაკერტისათვის ალყა შემოერტყა. ტიგრანმა და მისმა მოკავშირეებმა ტავრი გადალახეს და ტიგრანაკერტს მიუახლოვდნენ.

პლუტარქე გადმოგვცემს, რომ რომაელებთან შედარებით ტიგრანისა და მისი მოკავშირეების რიცხობრივი უპირატესობის მიუ-

---

[1] პ ლ უ ტ ა რ ქ ე, დასახ. გამოც. გვ. 78.

[2] იქვე, 82.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 83.

ხედავად უკანასკნელებმა მარცხი განიცადეს ბრძოლაში. მტერმა ტიგრანაკერტის აღება და მისი გაძარცვა-განადგურება შეძლო. ამასთან, ამ მარცხის შემდეგ სომხეთს ჩამოსცილდა სირია, ფინიკია და აღმოსავლეთი კილიკია[1].

ზემოაღნიშნული მარცხის მიუხედავად მოკავშირეებს ხელი არ აუღიათ ბრძოლაზე. მითრიდატე ევპატორმა ტიგრანს მიაშველა თავისი ლაშქარი, რომელიც მას დამარცხების შემდეგ კიდევ შემორჩენოდა.

მითრიდატესა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლებში არაერთგზის გამარჯვებით გათამამებულმა ლუკულუსმა ბრძოლა გააგრძელა და იგი სომხეთის ძველი დედაქალაქის არტაშატის დასაპყრობად გაემართა. ტიგრანი და მისი მოკავშირეები კი მტრის წინააღმდეგ გაეშურნენ. მოპირდაპირენი ერთმანეთს მიუახლოვდნენ და პირისპირ დაბანაკდნენ. მათ „ერთმანეთისაგან ჰყოფდა მდინარე არასანი"[2] (არაცანი).

პლუტარქეს გადმოცემით, გათამამებულმა „ლეკულესმა, თითქოს გამარჯვება უკვე ხელში ჰქონდაო, ღმერთებს მსხვერპლი შესწირა და ჯარი მდინარეზე გადაიყვანა. წინ თორმეტი კოჰორტი მიდიოდა, ხოლო დანარჩენი კოჰორტები, მტრის ალყის თავიდან ასაცილებლად, ზურგში იყვნენ დაწყობილნი. ლუკულუსის წინააღმდეგ მტრის რჩეული და მრავალრიცხოვანი მხედრობა იყო ჩამწკრივებული. ამ მხედრობის წინ ცხენოსანი მშვილდოსნები — მარდები და შუბოსანი იბერები იდგნენ. უცხო მეომართა შორის უველაზე უფრო დიდნდობას, როგორც საუკეთესო მებრძოლებს, ტიგრანი სწორედ ამათ უცხადებდაო"[3]. მოკავშირეებმა ძლიერ დააზარალეს მტერი. რომის ჯარების სარდალი ლუკულუსი იძულებული გახდა სომხეთი დაეტოვებინა და მესოპოტამიაში წასულიყო[4]. მითრიდატე და მისი მოკავშირეები გადავიდნენ შეტევაზე. ტიგრანმა სომხეთში დატოვებული რომაელი გარნიზონები ამოხოცა და კაბადოკიაში შეიჭრა, ხოლო მითრიდატე ხელახლა დაეპატრონა პონტოს სამეფოს.

რომის ხელისუფლებამ ლუკულუსს ჩამოართვა აზიაში ბრძოლის მეთაურის უფლებები და ის უკან გაიწვია. ხოლო ძვ. წ. 66 წელს საგანგებო უფლებებით აღჭურვილი პომპეუსი გამოგზავნა მითრიდატე ევპატორისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ.

---

[1] პლუტარქე, დასახ. გამოცემა, გვ. 84—85.

[2] იქვე, გვ. 87.

[3] იქვე.

[4] **История армянского народа**, I, გვ. 83.

პომპეუსმა მეტად ფრთხილად დაიწყო მოქმედება. მან მოსვლისთანავე პართიის ხელისუფლებასთან დაიწყო მოლაპარაკება ერთიანი მოქმედების შესახებ. რომაელმა სარდალმა მიზანს მიაღწია და პართია მოკავშირედ გაიხადა. რა თქმა უნდა, პართიასა და რომს სრულებითაც არ სურდათ ერთმანეთის გაძლიერება, მაგრამ პონტოს სამეფო და ამიერკავკასიის ხალხები იმდენად დიდ საფრთხეს უქმნიდნენ რომსა და პართიას, რომ ამ საფრთხემ ისინი ურთიერთსამხედრო კავშირის დადებამდე მიიყვანა.

აღნიშნული ღონისძიების შედეგად პომპეუსმა მითრიდატეს სომხეთის სახით ძლიერი მოკავშირე ჩამოაცილა: იმ დროს, როდესაც რომაელმა სარდალმა მითრიდატეს წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღა, პართიამ სამხრეთიდან სომხეთს შემოუტია. პართიის მეფე შეეცადა სომხეთის ტახტზე თავისი ერთგული პირი დაესვა. ამ გარემოებამ ტიგრან II საშუალება არ მისცა მითრიდატეს მიშველებოდა. პომპეუსმა მითრიდატე დაიმარტოხელა და საბოლოოდ დაამარცხა.

პართიის შემოტევას ამიერკავკასიის მოძმე ხალხები გაუძლებდნენ და მას ბევრს არაფერს დაუთმობდნენ, მაგრამ მითრიდატეს დამარცხების შემდეგ პომპეუსმა მთელი ძალები ამიერკავკასიისაკენ დაძრა.

ჩანს, ბრძოლის ამ ახალ ეტაპზე ამიერკავკასიის ხალხებმა ძალთა გაერთიანება ვეღარ მოახერხეს, ისინი ვერ მიეშველნენ ერთიმეორეს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. როდესაც რომაელთა სარდალი თავის ლეგიონებით სომხეთს მოადგა, ტიგრან II იძულებული გახდა დამორჩილებოდა მას. ამის შემდეგ პომპეუსი ალბანიისა და იბერიის დასასჯელად გამოეშურა.

რომაელებს სხვა ინტერესებთან ერთად ინდოეთ-ევროპის დიდი სავაჭრო გზის ხელში ჩაგდებაც იზიდავდა. ეს გზა, როგორც ცნობილია, კოლხეთის, იბერიისა და ალბანიის მიწა-წყლით, ფაზისმტკვრის აუზებით და კასპიის ზღვით ინდოეთისაკენ მიემართებოდა. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ტიგრან II დამორჩილების შემდეგ პომპეუსი კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროების, ალბანთა ქვეყნის დასაპყრობად გაეშურა.

ალბანელებმა მეფე ორისეს მეთაურობით სასწრაფოდ დაიწყეს ომისათვის მზადება. იმ დროს, როდესაც პომპეუსი, ამიერკავკასიის ხალხების ეს საერთო მტერი, გამოსაზამთრებლად მტკვრის სანაპიროზე იყო დაბანაკებული. მას მოულოდნელად თავს დაესხა ორისე 40 ათასი მეომრით, მაგრამ, სამწუხაროდ, ალბანელების იმედი არ გამართლდა. რომაელებმა შეძლეს ორისეს ლაშქრის მოგერიება-უკუქცევა. „ამის შემდეგ, — გადმოგვცემს პლუტარქე, — ალბანების მეფემ მას (პომპეუსს—ვ. კ.) ელჩები მიუგზავნა და შეწყალება

სთხოვა. პომპეუსმა მას დანაშაული აპატია, დაეზავა და ახლა იბერთა წინააღმდეგ გაილაშქრაო“ [1].

ალბანელების მიერ პომპეუსის წინააღმდეგ ზემოაღნიშნულ ბრძოლას იბერიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იბერიის სამეფო ხელისუფლება, რომლისთვისაც ცნობილი იყო, რომ პომპეუსი იბერიის წინააღმდეგაც მოდიოდა სალაშქროდ, საომრად ემზადებოდა. ამ ვითარებაში საერთო მტრის წინააღმდეგ ალბანთა მიერ წარმოებული ბრძოლა იბერიის ხელისუფლებას ომისათვის მომზადების შესაძლებლობას აძლევდა.

პომპეუსმა ალბანთა მეფე ორისესთან დროებითი ზავის დადების შემდეგ, ძვ. წ. 65 წელს, თავისი უზარმაზარი ლაშქარი იბერიისაკენ დაძრა. იბერიელებმა მეფე არტაგის მეთაურობით ძლიერი ბრძოლა გაუმართეს რომაელებს. პლუტარქე წერს, რომ „იბერნი რიცხვით ალბანელებს არ ჩამოუვარდებიან. გულადობითაც სხვებზე უფრო მამაცნი იყვნენ და ძალიან უნდოდათ მითრიდატესათვის ეამებინათ და პომპეუსი უკუექციათ. იბერნი არც მიდიელების მორჩილებაში უოფილან, არც სპარსელებს ექვემდებარებოდნენ და თავის დროზე, მაკედონელთა მბრძანებლობაც აიცდინეს თავიდანო“[2]. იგივე ისტორიკოსის გადმოცემით, იმ ტომთა შორის, „რომლებიც კავკასიონის ქედის გარშემო ცხოვრობენ... ყველაზე უფრო უდიდესნი ალბანელები და იბერები არიან. იბერთა ტომი მოსხურ მთებამდე და პონტომდე აღწევს, ალბანელები კი აღმოსავლეთით — კასპიის ზღვამდე მოსახლეობენო“[3]. მრავალრიცხოვანმა და კარგად შეიარაღებულმა რომის ლეგიონებმა საბოლოოდ მაინც მიაღწიეს გამარჯვებას, დაამარცხეს მეფე არტაგი და იბერიის დედაქალაქი მცხეთაც აიღეს. ისტორიკოსის ცნობით, ამ ბრძოლაში ქართველთაგან „ცხრა ათასი კა-

---

[1] პ ლ უ ტ ა რ ქ ე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, I, გვ. 117.

[2] უნდა შევნიშნოთ, რომ პლუტარქეს ეს ცნობა, კერძოდ, იბერთა მიერ აქემენიდთა სპარსეთის ბატონობის თავიდან აცილების შესახებ, როგორც ამას გ. ა. მელიქიშვილი აღნიშნავს (К история древней Грузии, გვ. 117—118), რამდენადმე დაზუსტებას საჭიროებს. ქართლის (იბერიის) სამეფოში ზოგიერთი სპარსული გავლენის ელემენტების არსებობა საეჭვოდ ხდის იმას, რომ ამ სამეფოს შემადგენელი იბერთა ტომები სრულიად თავისუფალნი იყვნენ სპარსთა გავლენისაგან. თუმცა გ. მელიქიშვილი ამასთანავე შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ეს ვითარება, ე. ი. სპარსთა გავლენის ელემენტების დანერგვა, შესაძლებელია სამხრეთ საქართველოს (ზემო ქართლი) ტერიტორიაზე — სპერის რაიონში მომხდარიყო, რომლის ტრადიცია შემდეგ მცხეთის რაიონში არსებობას განაგრძობდა (იქვე, გვ. 118).

[3] პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, I, გვ. 117.

ცი მოკლული იქნა, ხოლო ათი ათასზე მეტი რომაელებს ჩაუვარდა ტყვედ"[1].

როდესაც პომპეუსი ქართველების წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდა, ალბანელები ზურგში მას დიდ საფრთხეს უმზადებდნენ. მიუხედავად დროებითი ზავისა, ისინი რომაელთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის მოემზადნენ.

იბერიის დამორჩილების შემდეგ, როგორც ცნობილია, პომპეუსი დასავლეთ საქართველოში გადავიდა და იქაურობის დაპყრობას შეუდგა, პლუტარქეს გადმოცემით, მან იქ გაიგო, რომ ალბანელები ისევ გადაუდგნენ მას და აჯანყება მოუწყეს. „რისხვითა და შურისძიების სურვილით ანთებული პომპეუსი ალბანთა წინააღმდეგ დაიძრა. მან დიდის წვალებითა და თავგანწირვით გადალახა კვლავ მტკვარი... (და) ალბანელებს იგი მდინარე აბასის[2] ნაპირზე შეხვდა. სამოცი ათასი ქვეითი მეომრისა და თორმეტი ათასი მხედრისაგან შემდგარი მტრის (ე. ი. ალბანელების — ვ. კ.) ჯარი უკვე საბრძოლოდ იყო განწყობილი, მაგრამ შეიარაღებული იყო მეტის-მეტად ცუდად... ამ მხედრობას წინამძღოლობდა ალბანთა მეფის ძმა კომისი"[3]. სამწუხაროდ, მკაცრ ბრძოლაში, რომელიც მაშინ მოპირდაპირეთა შორის ალაზნის ნაპირას გაიმართა, საბოლოო გამარჯვება მაინც რომაელებს ხვდათ, ალბანელები დამარცხდნენ.

როგორც ვხედავთ, თავისუფლებისმოყვარე ამიერკავკასიის ხალხებმა მკაცრი ბრძოლა გაუმართეს მათ საერთო მტერს — დამპყრობ რომაელებს. მაგრამ, რამდენადაც ამ ხალხებმა ძალთა გაერთიანება ამჯერად ვერ შეძლეს, მტერს გამარჯვება გაუადვილეს; ბრძოლებში ცალ-ცალკე გამოსულნი ისინი დამარცხდნენ. ასე მოვიდნენ რომაელები ამიერკავკასიაში და თავს მოახვიეს აქაურ ხალხებს მძიმე ვალდებულებანი.

ზემოაღნიშნული მდგომარეობა, ბუნებრივია, ამიერკავკასიის ხალხების წინაშე აყენებდა ურთიერთდასმარების აუცილებლობის საკითხს. ერთიმეორისადმი დახმარებას მათი სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვდა. ამიერიდან იწყება რომაელ დამპყრობთა წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხთა მწვავე ბრძოლა, რომელიც დიდხანს გრძელდება. ეს ხალხები ერთად გამოდიოდნენ მათი საერთო მტრის

---

[1] პ ლ უ ტ ა რ ქ ე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, I, გვ. 117.

[2] აბასი — იგივე ალაზანი.

[3] პ ლ უ ტ ა რ ქ ე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, I, გვ. 117.

წინააღმდეგ. მოსე ხორენელის გადმოცემით, არტავაზ ტიგრანის-ძე (ძვ. წ. 55—34) ალბანელებისა და იბერიელების დახმარებით მესოპოტამიაში შეიჭრა. ეს მხარე ერთ დროს ანტონიუსმა წაართვა სომხებს, მაგრამ ახლა მოკავშირეებმა რომაელები აქიდან გააძევესო[1].

2. ბრძოლა რომის ბატონობისა და პართიის აგრესიის წინააღმდეგ

თუ ერთ დროს პონტოსა და ამიერკავკასიის ხალხების წინააღმდეგ ბრძოლაში პართია რომის მოკავშირე გახდა, მითრიდატესა და მისი მოკავშირეების დამარცხების შემდეგ როგორც ამიერკავკასიაში, ისე საერთოდ აღმოსავლეთში თვითონ პართია გამოდის რომის იმპერიის პრეტენდენტად. ამიტომ ამიერკავკასიის მოძმე ხალხებს — სომხებს, ქართველებსა და ალბანელებს არა მარტო რომაელთა ბატონობის თავიდან მოცილებისათვის უხდებოდათ ბრძოლა, არამედ პართიის შემოტევის წინააღმდეგაც აწარმოებდნენ თავდაცვითს ომებს. ამ ბრძოლების დროს კიდევ უფრო მტკიცდებოდა ამიერკავკასიის ხალხებში ურთიერთდახმარების აუცილებლობის შეგნება, მათი საერთო ინტერესები ხდიდა ამ ხალხებს ურთიერთსაიმედო მოკავშირედ.

მიუხედავად იმისა, რომ რომის იმპერიამ შეძლო ამიერკავკასიის ხალხების დაპყრობა, მან იბერიის, სომხეთისა და ალბანიის ადგილობრივი ნაციონალური სამეფო დინასტიების გაუქმება ვერ გაბედა; სამივე ქვეყანას ადგილობრივი სამეფო დინასტიები მართავდნენ.

რომისა და პართიის სახელმწიფოებს ბევრი რამ იზიდავდა ამიერკავკასიისაკენ. მას არა მარტო უდიდესი პოლიტიკური, არამედ დიდი ეკონომიური მნიშვნელობაც ჰქონდა მათთვის. დიდი მნიშვნელობის მქონე აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელ სავაჭრო გზასთან ერთად რომაელებს დიდად აინტერესებდათ კავკასიონის საუღელტეხილო გზებიც, რომლებითაც მონები გადმოჰყავდათ.

შორეული რომი, რომელიც ამიერკავკასიაში ბატონობის შენარჩუნებით იყო დაინტერესებული, იბერიის, სომხეთისა და ალბანიის მიმართ უხეშობას ერიდებოდა, მაგრამ იმ მოვალეობის შესრულება, რომელიც ძვ. წ. '66—65 წლების შეთანხმებით რომის მიმართ დაეკისრა ამიერკავკასიის ხალხებს, ე. წ. „თანამებრძოლობა“ თავისთავად ამ ხალხების უკმაყოფილებას იწვევდა; ამ ე. წ. „თანამებრძოლობით“, რომელსაც ბერძნულად „სიმმაქია“ ეწოდებოდა, ამიერ-

[1] **История Армении Моисея Хоренского, перевод Н. О. Эмина. Москва, 1893, გვ. 73.**

კავკასიის ხალხები ვალდებული იყვნენ რომაელებთან ერთად მონაწილეობა მიეღოთ იმ დაუსრულებელ ომებში, რომელთაც რომი მაშინ აღმოსავლეთში, კერძოდ, პართიის წინააღმდეგ აწარმოებდა. ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი იმ არა ერთი აჯანყებისა, რომელიც რომაელთა ბატონობის წინააღმდეგ ეწყობოდა.

მაშინდელი საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებში, როგორც ნათქვამი იყო, ბევრი რამ უშლიდა ხელს ამიერკავკასიის ხალხთა ერთობლივ ბრძოლას საერთო მტრის წინააღმდეგ. ამიტომ ისინი ზოგჯერ ცალ-ცალკე ებრძოდნენ საერთო მტერს, მაგრამ ამით ობიექტურად მაინც ერთმანეთს ეხმარებოდნენ.

ცნობილია, რომ ძვ. წ. 36 წელს ანტონიუს კეისარმა თავისი უშუალო სარდლობით რომაელთა ლაშქარი დაძრა პართიის წინააღმდეგ. თანახმად არსებული პირობისა, ამ ბრძოლაში ანტონიუსს იბერიაც უნდა დახმარებოდა. მაგრამ, ჩანს, რომაელთა მიერ წარმოებული ომებით თავმობეზრებულმა იბერიამ არ ისურვა სხვის სასარგებლო ომში გამოსვლა. ამის შედეგი უნდა იყოს ის გარემოება, რომ სწორედ ამავე წელს დიდი აჯანყება მოხდა იბერიაში რომაელთა ბატონობის წინააღმდეგ. ბერძენი ისტორიკოსი დიო კასსიუსი გადმოგვცემს, რომ რომაელებმა დაამარცხეს აჯანყებული იბერიელები და აიძულეს ისინი ისევ რომაელთა მოკავშირე გამხდარიყვნენ[1].

ჩანს, სომხებიც გადაუდგნენ ამ დროს ანტონიუს კეისარს და არ გაჰყვნენ პართიის წინააღმდეგ ომში. ანტონიუსი ამ ომში დამარცხდა და შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ რომის კეისარმა ამ დამარცხების მიზეზი სომხეთის მეფის არტავაზდ II გულგრილობაშიც დაინახა და მასზე ვერაგულად შური იძია[2]. საისტორიო წყაროებიდან ჩანს, რომ ამ დროს ალბანელებიც აუჯანყდნენ რომაელებს, რომელთა მიმართ საგანგებო ღონისძიებების ჩატარება დასჭირდა რომის ხელისუფლებას[3].

ამრიგად, ძვ. წ. 36 წელს ამიერკავკასიის ხალხთა გამოსვლა რომის წინააღმდეგ, რომელიც ერთი და იგივე მიზეზით იყო გაპირობებული, ამ ხალხების ერთობლივი დიდი პროტესტი იყო დამპყრობთა ბატონობის წინააღმდეგ.

---

[1] **Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, собрал и издал с русским переводом В. В. Латышев, т. I, вып. 3-й, Санкт-Петербург, 1900, გვ. 620** (შემდეგში მითითებული იქნება: **В. В. Латышев, Известил,** სათანადო ტომისა და გამოცემის აღნიშვნით).

[2] **История армянского народа, I, გვ. 47.**

[3] **В. В. Латышев, Известия, т. I, вып. 3-й, გვ. 620**

ამიერკავკასიის მოძმე ხალხები ხშირად მოხერხებულად იყენებდნენ რომისა და პართიის წინააღმდეგობას; მათ არა ერთხელ გამოუყენებიათ ამ ორი მტრის ურთიერთშორის ბრძოლა თავის სასარგებლოდ. ძვ. წ. I საუკუნის დასასრულს სომეხთა მეფემ ტიგრან IV პართია გამოიყენა რომის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ რომაელები ამიერკავკასიის არც ერთ ქვეყანაზე არ იღებდნენ ხელს. ახალი წელთაღრიცხვის პირველ წელს ტიგრანი კავკასიის მთიელებთან ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო სომხეთში ისევ რომაელებმა გაიმტკიცეს მდგომარეობა. ტიგრანის სიკვდილით დამთავრდა არტაშიდების დინასტიის ბატონობა და ამის შემდეგ გარკვეული დროის განმავლობაში უმეფობის ხანა იყო სომხეთში.

რომი და პართია თანაბარი მტრები იყვნენ ამიერკავკასიის ხალხებისა. I საუკუნის პირველ ნახევარში როგორც საერთოდ ამიერკავკასია, ისე სომხეთიც რომაელების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მაგრამ პართია რომაელების განდევნას და თავის გავლენის გავრცელებას ცდილობდა. I საუკუნის 35 წელს რომის გავლენის ქვეშ მყოფ სომხეთში პართიის ლაშქარი შეიჭრა. პართიის მეფე არტაბანმა მოშალა სომხეთში რომაელთა ადმინისტრაცია და თავისი შვილი არშაკი გაამეფა. რომის ხელისუფლება და სომხეთში მყოფი რომის ლეგიონები უძლური აღმოჩნდნენ პართიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ დროს იბერიის სამეფო ძლიერი იყო. ის მაშინ სომხეთთან შედარებით ნაკლებად განიცდიდა უცხოელთა შემოსევას. მოძმე სომეხი ხალხის მიწა-წყალზე შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ ბრძოლა იბერიამ იკისრა.

რომის ხელისუფლებაც შეეცადა თავის სასარგებლოდ იბერიის გამოყენებას.

სომეხ ხალხს, ყოველმხრივ შევიწროებულს და საკუთარ სამეფო ხელისუფლებამოკლებულს, თავისი ძალებით მტრის განდევნა არ შეეძლო.

იბერიის მეფედ ამ დროს ფარსმანი იყო. თუ ფარსმანი სომხეთიდან პართელებს განდევნიდა, რომის ხელისუფლება სომხეთის სამეფო ტახტს ფარსმანის ძმას მიჰრდატს ანუ მითრიდატს პირდებოდა. საამისო შეთანხმების შემდეგ ფარსმანი საომარ მზადებას შეუდგა.

ძველი რომაელი ისტორიკოსი პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსი, რომელიც ახ. წ. I და II საუკუნეთა მიჯნაზე ცხოვრობდა, ამ ამბების შესახებ მოგვითხრობს, რომ რომის კეისარმა ტიბერიუსმა სომხეთის ტახტის დასაკავებლად მითრიდატე იბერიელი შეარჩია და

შეარიგა ის თავის ქვეყნის ტახტის მფლობელ ფარსმანთან [1]. ფარსმანი და მითრიდატი პირველ ყოვლისა პართიის მეფის არტაბანის ძის არშაკის მსახურთა მოსყიდვას შეუდგნენ, ხოლო შემდეგ იბერიელები დიდი ლაშქრით სომხეთში შეიჭრნენ და ქალაქი არტაშატი დაიკავესო [2].

ამის გამო არტაბანმა, შურისძიების მიზნით, თავის შვილს ოროდს დიდი ლაშქარი ჩააბარა, შეაიარაღა იგი იბერთა წინააღმდეგ და ამასთანავე ლაშქრის დასაქირავებლად სარმატთა ქვეყანაში კაცი გაგზავნა. თავის მხრივ, ფარსმან იბერთა მეფე პირველ ყოვლისა ალბანელებს დაუკავშირდა და ამავე დროს სარმატების მოსაწვევადაც კაცი გაგზავნა. სარმატებმა, — წერს ტაციტუსი, — მიიღეს რა ორთავე მხარიდან — პართიისა და იბერიის მეფეებისაგან საჩუქრები, მათი ჩვეულების თანახმად, არც ერთს არ უთხრეს უარი დახმარებაზე. იბერიელებმა თავიანთ დასახმარებლად წამოსული სარმატები მალე მიიღეს და გამოიყენეს, ხოლო არტაბანის დასახმარებლად წამოსულნი არ გაუშვეს, ვინაიდან უღელტეხილებზე გადმოსასვლელი გზები იბერთა ხელში იყო [3].

ტაციტუსი გარკვევით არ ამბობს, თუ სად მოვიდა და დაბანაკდა ოროდი. მაგრამ გადმოგვცემს, რომ დამხმარე ლაშქრით გაძლიერებულმა ფარსმანმა ოროდი ბრძოლაში გამოიწვია, უკანასკნელი მოერიდა ომში ჩაბმას, მაგრამ ფარსმანმა შეტევა დაიწყო მტრის წინააღმდეგ, ალყა შემოარტყა მის ბანაკს და ფურაჟის მისაღები გზები ჩაუკეტა. ხანგრძლივი ალყა ვეღარ აიტანეს პართელებმა და ოროდის ბრძოლის დაწყების წინადადებით მიმართეს [4].

ოროდის ლაშქარი მხოლოდ ცხენოსნებისაგან შედგებოდა. ფარსმანი კი ძლიერი იყო ქვეითი ჯარით. იბერიელები და ალბანელები, რომლებიც მთაგორიან ადგილებში ცხოვრობდნენ, კარგად იყვნენ შეჩვეულნი ამტანიანობასა და ადგილობრივ პირობებს [5].

საინტერესოა ტაციტუსის ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ მიმართავდნენ ორთავე მხარის ბელადები თავიანთ ლაშქარს. ოროდი თავის მხედრობას პართელთა მიერ აღმოსავლეთზე ბატონობისა და არშაკიდთა სახელგანთქმულობის შესახებ მოუთხრობდა, ხოლო იბერიელებს და მათ მიერ დაქირავებულ ლაშქარს ამცირებდა და

---

[1] В. В. Латышев, Известия, т. II, Латинские писатели, вып. 1, з. 234.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 235.

[4] იქვე.

[5] იქვე.

არარად მიიჩნევდა. ფარსმანი კი თავის ლაშქარს მიმართავდა, რომ ისინი აქამდე თავისუფალი იყვნენ პართელთა ბატონობისაგან და ახლა რამდენადაც მეტი იქნება მტერზე გამარჯვებისაკენ მისწრაფება, იმდენად გამარჯვებაც უზრუნველყოფილი იქნება და დიდებასა და სახელს დაიმსახურებთო[1].

ქართველთა და ალბანთა ლაშქარმა ბრძოლებში დახელოვნებულ სარმატებთან ერთად ჩინებულად გამოიყენა ადგილობრივი პირობები და ბრძოლის გამოცდილება. პართელთა ცხენოსანი ლაშქარი, რომელიც ბრძოლის ადგილის პირობებს შეუჩვეველი იყო და მოუქნელად მოქმედებდა, სასტიკად დამარცხდა, ხოლო ოროდი არტაბანის ძე ამ ბრძოლაში დაიღუპა[2].

ომის შედეგის გაგებისთანავე პართიის მეფემ არტაბანმა მთელი თავისი ძალებით გამოილაშქრა და კიდევ გაჩაღდა სისხლისმღვრელი ომი სომხეთში. ამ შემთხვევაშიაც, მემატიანის გადმოცემით, უპირატესობა იბერიელთა მხარეზე იყო, მაგრამ არტაბანმა მაინც არ აიღო ხელი ბრძოლაზე მანამდე, სანამ ცნობა არ მიიღო იმის შესახებ, რომ რომაელები მესოპოტამიაში შეჭრას აპირებენო.

ბერძენი ისტორიკოსის დიო კასსიუსის გადმოცემით ტიბერიუსის მომდევნო კეისარს გაიოზ კალიგულას (37—41 წ.) მიუწვევია რომში მითრიდატი, ბორკილები შეუბამს მისთვის და რატომღაც ციხეში ჩაუმწყვდევია. 41 წელს კი გაიოზ კალიგულას შემცვლელ კეისარს კლავდიუსს იგი გაუთავისუფლებია და უკან გამოუშვია[3].

ჩანს, პართელები ამ დროს ისევ შემოჭრილან სომხეთში, მაგრამ მითრიდატის დაბრუნების შემდეგ რომაელების დახმარებით იბერიელებს სომხეთი პართელებისაგან გაუთავისუფლებიათ და იქ ისევ მითრიდატი გაუმეფებიათ.

უდავოა, რომ სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლისა და მათი დამარცხების საქმეში დიდი როლი თვით სომეხმა ხალხმა შეასრულა. ქართველთა და ალბანთა გამარჯვებისა და სპარსთა დამარცხების საწინდარი სომხეთში სწორედ ის უნდა ყოფილიყო, რომ სომეხი ხალხი აქტიურად უჭერდა მხარს დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლას.

* * *

იბერიასა და პართიას შორის ბრძოლა სომხეთისათვის კიდევ დიდხანს გაგრძელდა. პართელების მიერ რამდენიმეჯერ მოწყობილი ლაშქრობა მარცხით დამთავრდა.

---

[1] В. В. Латышев, Известия, т. II, Латинские писатели, вып. 1, გვ. 234.

[2] იქვე.

[3] В. В. Латышев, Известия, т. I, Греческие писатели, выпуск 3-й, გვ. 620.

მითრიდატი დაახლოებით 15 წლის განმავლობაში მეფობდა სომხეთში, მის მეფობას მაშინდელი მმართველი წრეებისათვის დამახასიათებელმა ვერაგობამ მოუღო ბოლო: სომხეთის სამეფო ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით 51 წელს მითრიდატი თავის ძმისშვილმა რადამისტ ფარსმანისძემ მოაკვლევინა მამის დახმარებით. რადამისტი სომხეთში გამეფდა, მაგრამ მისმა უხეშობამ მისი ხელისუფლების დამხობაც დააჩქარა.

რომაელები და პართელები, ითვალისწინებდნენ რა იმას, რომ ამიერკავკასიის ხალხებს ისინი, როგორც დამპყრობნი, ორივე სძულდათ, ცდილობდნენ ამ ხალხებს შორის შუღლი და მტრობა დაენერგათ. რომაელები ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ აქაც გამოეყენებინათ თავიანთი ცნობილი დევიზი: divide et impera (დაანაწილე და იბატონე). ისინი მოხერხებულად იყენებდნენ თავიანთ სასარგებლოდ აგრეთვე ადგილობრივ დინასტიურ თუ უფლისწულთა შორის ტახტისათვის ბრძოლას. ეს გარემოება სომხეთში მყოფ რომაელ მოხელეთა იმ სიტყვებიდანაც დასტურდება, რომელიც მათ რადამისტ ფარსმანისძის მიერ თავისი ბიძის, მითრიდატის, ვერაგულად მოკვლასთან დაკავშირებით უთქვამთ.

რომაელ მოხელეებს, რომლებიც სომხეთში იმყოფებოდნენ, თავიანთ სასარგებლოდ მიუჩნევიათ რადამისტის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება და, კორნელიუს ტაციტუსის გადმოცემით, უთქვამთ, რომ „სხვის ყოველგვარ ბოროტმოქმედებას სიხარულით უნდა შევხედოთო“. „ჩვენ, — უთქვამთ მათ, — კიდევაც უნდა დავთესოთ სიძულვილის თესლი... დაე რადამისტი ფლობდეს თავისი ბოროტმოქმედების ნაყოფს და იყოს სიძულვილისა და ზიზღის საგანი, რაკი ეს ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მას რომ ხელისუფლებისათვის დიდებით მიეღწიაო“[1].

იბერიის სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლის გამეფება სომხეთში რომისათვის სრულებითაც არ იყო ხელსაყრელი, რადგან ამას მოჰყვებოდა იბერია-სომხეთის თავდაცვის მომხრე ძალების უფრო მჭიდრო შეკავშირება. ეს კი რომაელებისათვის ხელსაყრელი არ იყო და ამიტომ ისინი ხელს უწყობდნენ ასეთი გაერთიანების წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ მოქმედებას.

მითრიდატის მოკვლითა და რადამისტის გამეფებით შექმნილი მდგომარეობით რომაელებმა სრულებითაც ვერ ისარგებლეს. ეს გარემოება პართიამ უფრო გამოიყენა. მეფე ვალარშმა სომხეთს დიდი

---

[1] В. В. Латышев, Известия, т. II, Латинские писатели, вып. 1, 83. 244.

ჯარი შეუსია და იქ თავისი ძმა ტირდატი გაამეფა, თუმცა მალე, 50-იანი წლების დასასრულს, სომხეთში ისევ რომაელთა გავლენა დამყარდა.

ამიერკავკასიის ხალხების საერთო ვითარებისა და, კერძოდ, მათი ნორმალური ურთიერთობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ როგორი სახელმწიფოები ემეზობლებოდნენ მათ: ძლიერი და აგრესიული თუ შედარებით ნაკლებად საშიში. სამწუხაროდ, მომდევნო საუკუნეებში ამ მხრივ პოლიტიკური მოვლენები ამიერკავკასიის ხალხებისათვის არახელსაყრელი მიმართულებით განვითარდა.

პართიის სახელმწიფო, რომელიც თავის დროზე სელევკიდების საბრძანებელს გამოეყო, ელინიზებული იყო. ელინიზმის გავლენა განიცადა არა მარტო იმ ქვეყნებმა, რომლებიც ალექსანდრე მაკედონელის მიერ იყო დაპყრობილი, არამედ ბევრმა ისეთმა ქვეყნებმაც, რომლებიც ალექსანდრეს მიერ უშუალოდ დაპყრობილი არ ყოფილან. ასეთები იყვნენ ამიერკავკასიის ქვეყნებიც. ელინიზებულ ქვეყნებს ზოგი რამ საერთო ჰქონდათ და. ამ გარემოებას, თავის დროზე, მათი ურთიერთობისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

3. სასანიდების გაბატონება სპარსეთში და მისი შედეგები ამიერკავკასიის ხალხებისათვის

პართიის სახელმწიფოს სათავეში, როგორც ნათქვამი იყო, ძვ. წ. III საუკუნის შუაწლებიდან, ე. ი. ამ სახელმწიფოს წარმოქმნის დღიდან, არშაკიდთა საგვარეულო ედგა. თავის დროზე ეს სახელმწიფო საკმაოდ ძლიერი იყო, მაგრამ ახ. წ. III საუკუნის დასაწყისიდან შინაგანი და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესებამ ის დაასუსტა. ამ გარემოებით ისარგებლეს ქვეშევრდომებმა და არშაკიდთა ბატონობისაგან განთავისუფლების მიზნით ბრძოლა დაიწყეს.

224 წელს პართიის მეფეს არტავანს სამხრეთ-დასავლეთი ირანის ერთ-ერთი მხარის—ფარსისტანის ერთი მთავართაგანი არტაშირი აუჯანყდა. ბრძოლა დამთავრდა 226 წელს არტაშირის სრული გამარჯვებით. არტავანი ბრძოლის ველზე დაიღუპა, ხოლო არტაშირი ამიერიდან სპარსეთის მეფე გახდა. არტაშირს და მის შთამომავლებს სასანიდებს ანუ სასანიანებს ეძახიან იმიტომ, რომ არტაშირის პაპას, რომელიც მთავარი ქურუმი იყო, სასანი ერქვა.

სასანიანების დინასტიამ უარყო ელინისტური მისწრაფებანი და იდეოლოგიურ დასაყრდენად ძველი სპარსული ზოროასტრული სა-

რწმუნოება—ზრადაშტის ანუ ზარატუშტრას[1] მოძღვრება—ცეცხლთაყვანისმცემლობა წამოწია. ამ იდეოლოგიური იარაღით მან მკაცრი დაპყრობითი ომები დაიწყო და რომის იმპერიის მეტოქემ, პირველ ყოვლისა, თავისი მახვილი ამიერკავკასიის ქვეყნებისაკენ მიმართა. სასანიდების ბატონობა სპარსეთში VII საუკუნემდე გაგრძელდა და ამ ხნის განმავლობაში არ შეწყვეტილა ამიერკავკასიის ხალხების გმირული ბრძოლა სასანიდ დამპყრობთა წინააღმდეგ, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

* * *

უცხოური წერილობითი წყაროების მიხედვით ჯერ კიდევ ძვ. წ. I-ლი ათასეულის უკანასკნელ საუკუნეებში სოციალურ-ეკონომიური განვითარების მხრივ ალბანია რამდენადმე ჩამორჩებოდა სომხეთსა და იბერია-კოლხეთს, მაგრამ პირველი საუკუნეებიდან სომხების, ქართველებისა და ალბანელების ისტორია არა მარტო პოლიტიკური, არამედ სოციალურ-ეკონომიური მხრივაც თითქმის თანაბრად ვითარდებოდა. ამიტომ, საზოგადოებრივი განვითარების შედეგად მომხდარი ყველა ახალი მოვლენაც ამ ხალხებში მეტ-ნაკლებად ერთსა და იმავე დროს ხდებოდა. ასეთი იყო, მაგალითად, სომხების, ქართველებისა და ალბანელების მიერ დაახლოებით ერთსა და იმავე დროს ქრისტიანული სარწმუნოების მიღება.

ძველად, როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის ხალხებს წარმართული სარწმუნოება ჰქონდათ. ეს სარწმუნოება სრულიად შეეფერებოდა მათი განვითარების მაშინდელ საფეხურს. მაგრამ დადგა დრო, როდესაც იგი ისე, როგორც ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელსაც ეს სარწმუნოება ემსახურებოდა, დრომოჭმული ხდებოდა, რადგან წარმოიშვა ახალი გაბატონებული საზოგადოებრივი სოციალური ფენა, რომელსაც ხალხის დასამონებლად და უკვე მისთვის გამოუსადეგარი ძველი გაბატონებული რელიგიის წინააღმდეგ საბრძოლველად ახალი იდეოლოგიური იარაღი ესაჭიროებოდა. ახალი საერთო რელიგიის შემოღებას და კერპთაყვანისმცემლობის მოშლას ქვეყნის სხვადასხვა მხარეების შემოსამტკიცებლადაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამასთანავე, იმ დროს, როდესაც სპარსეთში სასანიანები ბატონობდნენ, ამიერკავკასიის თითქმის ყველა ხალხის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა ერთნაირი იყო, თუ არ მივიღებთ მხედველო-

---

[1] ზოროასტრული სარწმუნოების შექმნას მითიურ წინასწარმეტყველს ზარატუშტრას მიაწერენ. იგი ძველ ბერძენ ავტორთა მიერ „ზოროასტრის" სახელით იხსენიება და აქედან წარმოდგა ამ რელიგიის სახელწოდებაც.

ბაში იმას, რომ მეზობელ სომხეთს რამდენადმე უფრო უჭირდა, ამიერკავკასიის ხალხებს სასანიანთა სპარსეთი ყველას თანაბრად ემუქრებოდა.

IV საუკუნის დასაწყისში რომის იმპერიაში ქრისტიანობა უკვე ოფიციალურ სახელმწიფო სარწმუნოებად ფორმდებოდა, ხოლო სპარსეთში მაზდეიანობა ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობა ბატონობდა. როგორც რომი, ისე სპარსეთი ამიერკავკასიის ქვეყნებში გაბატონებისათვის იბრძოდნენ და, ბუნებრივია, თითოეული მათგანი აქ თავისი რელიგიის გავრცელებასაც ცდილობდა.

ამიერკავკასიის ხალხების გაბატონებულ წრეებს კი, რომელთაც შინაგანი წინააღმდეგობის დასაძლევად მაინც ჭირდებოდათ ახალი იდეოლოგიური იარაღი, იმ ქვეყნის რელიგიისათვის უნდა დაეჭირათ მხარი, რომელთანაც პოლიტიკური კავშირი მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო. მაშინ სასანიანთა სპარსეთი უფრო საშიში იყო ამიერკავკასიის ხალხებისათვის, ვიდრე რომი და ამიტომ ორიენტაცია რომისაკენ უნდა აეღოთ.

ამრიგად, ამიერკავკასიის ხალხების შინაგანმა და საგარეო საერთო პოლიტიკურმა ინტერესებმა განაპირობეს ის, რომ მათ დაახლოებით ერთსა და იმავე დროს, კერძოდ IV საუკუნის I ნახევარში სომხეთმა და იბერიამ, ხოლო სულ მალე ალბანიამაც ერთი და იგივე რელიგია — ქრისტიანობა — სახელმწიფო სარწმუნოებად მიიღეს.

რელიგია, საერთოდ, როგორც ცნობილია, ადამიანის მეცნიერული აზროვნების განვითარების ბორკილია და ამდენად ის მავნებელია. ამასთანავე, კლასობრივ საზოგადოებაში ის გაბატონებული კლასის მოქნილი იდეოლოგიური იარაღია ჩაგრული კლასის დასამონებლად. ქრისტიანული რელიგიაც, რა თქმა უნდა, საერთოდ ამ რეაქციული თვისებების მატარებელი იყო. მაგრამ ამიერკავკასიის ხალხების მიერ ერთსა და იმავე დროს სახელმწიფო სარწმუნოებად ქრისტიანობის მიღებას ამ ხალხების ერთიმეორესთან კიდევ უფრო დაახლოებისათვის უთუოდ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა განსაზღვრულ ხანაში. განსაკუთრებით მნიშვნელობა ჰქონდა მას კულტურულ-იდეოლოგიური დაახლოებისათვის.

. მოსე კალანკატუელის სიტყვით, მას შემდეგ, რაც სომხებმა და ალბანელებმა ქრისტიანობა მიიღეს და ერთმორწმუნე გახდნენ, ისი—

ნი ერთიმეორესთან გულწრფელ მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენო.[1]

კალანკატუელის ეს ცნობა სომეხ-ალბანთა ერთმორწმუნეობის მნიშვნელობის ესოდენ გადაჭარბებით შეფასების შესახებ ისტორიკოსის სუბიექტური განწყობილებიდან ჟამომდინარეობს და ამიტომ მისი გაზიარება არ შეიძლება. ამიერკავკასიის ხალხთა, კერძოდ, სომეხ-ალბანთა მეგობრობას, როგორც ნათქვამი იყო, მათი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების თანაბარი, საერთო ინტერესები განსაზღვრავდა და არა ერთმორწმუნეობა, მაგრამ ამ უკანასკნელსაც რომ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, ამის უარყოფაც არ შეიძლება.

---

[1] История Агван Моисея Каганкатваци, писателя X века, перевод с армянского, გვ. 10.

თავი III

სასანიანთა სპარსეთის აგრესია და ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა

1. ბრძოლა სომხეთის დამოუკიდებლობისათვის

ქართლის (იბერიის) ორ სამეფოდ გაყოფა

IV საუკუნის 30-იანი წლებიდან აღმოსავლეთ რომის იმპერიას, შემდეგში ბიზანტიის სახელწოდებით ცნობილ სახელმწიფოს, ჩაეყარა საფუძველი. იგი ამიერიდან სპარსეთის იმპერიის წინააღმდეგ, რომის იმპერიის პოლიტიკის გამგრძელებლად გამოდის.

ამიერკავკასიის ხალხები, რომელთაც სასანიანთა სპარსეთისაგან საფრთხე ემუქრებოდათ, აღმოსავლეთ რომის იმპერიას დაუკავშირდნენ. სპარსეთის გაძლიერების წინააღმდეგ ბრძოლა აღმოსავლეთ რომის იმპერიის ხელისუფლების ინტერესებშიაც შედიოდა და, ამდენად, ეს უკანასკნელი და ამიერკავკასიის ხალხები ახლა ერთად გამოდიან სასანიანთა სპარსეთის წინააღმდეგ. მაგრამ აღმოსავლეთ რომის იმპერიის დახმარება ყოველთვის არ ხორციელდებოდა და მტრის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სიმძიმე ისევ ამიერკავკასიის ხალხებზე გადადიოდა.

ხანგრძლივ ბრძოლაში, რომელიც ამიერკავკასიისა და სხვა ქვეყნების გამო რომსა და სპარსეთს შორის მიმდინარეობდა, უპირატესობას დიდხანს რომი ინარჩუნებდა. მაგრამ IV საუკუნის მეორე ნახევარში ეს უპირატესობა თანდათან სპარსეთის ხელში გადავიდა.

ჯერ კიდევ ამავე საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში სპარსთა მეფემ შაბურ II ბრძოლა დაიწყო სომხეთის დასაპყრობ-

ად. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას სომხეთში ახლა სამეფო ხელისუფლება მეთაურობდა, რომელსაც ახალი რომი მეტად სუსტ დახმარებას უწევდა.

IV საუკუნის შუა წლებიდან სასანიანთა სპარსეთი სომხეთის დასაპყრობად იბრძოდა, ხოლო აღმოსავლეთ რომის იმპერია, რომელსაც ძველი რომის ძლიერება არ შესწევდა, სომხეთის დამოუკიდებლობას ამჯობინებდა.

ისე როგორც ყოველთვის, ახლაც ამიერკავკასიის ხალხთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შინაგანი შუღლი და მტრობა, კერძოდ, მეფესა და მის ქვეშევრდომ მსხვილ მიწათმფლობელთა შორის ბრძოლა უშლიდა ხელს.

350—368 წლებში სომხეთში არშაკ II მეფობდა. იმ დროს, როდესაც არშაკის მეთაურობით სომხები შაბურ II აგრესიის წინააღმდეგ იბრძოდნენ და შეტევაზეც კი გადადიოდნენ, სომეხ ნახარართა (ერისთავთა) ერთი ნაწილი, რომელიც სპარსეთს უჭერდა მხარს და აღმოსავლეთ რომის იმპერიასთან ურთიერთობის წინააღმდეგი იყო, სპარსეთის დახმარებით არშაკს აუჯანყდა. ისინი პირადი ინტერესებისათვის იბრძოდნენ და თავდაცვის საქმეს ხელს უშლიდნენ. შინაგანმა და საგარეო მტრებმა დიდად შეავიწროვეს სომხეთის თავდაცვისათვის მებრძოლი ძალები. ახლაც ქართველი ხალხი ამოუდგა მხარში დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სომეხ ხალხს, ხოლო ალბანიას, ჩანს, ძალად მოახვია თავს სასანიანთა სპარსეთმა სომხეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება.

აჯანყებული ნახარარები თავს დაესხნენ არშაკის მიერ გაშენებულ ქალაქ არშაკავანს, აიღეს ის და ნანგრევებად აქციეს. ხოლო ქალაქის მცხოვრებლები, ერთ დროს ნახარართა უღლისაგან გაქცეულნი და არშაკის მიერ ამ ქალაქში დასახლებულნი, ამოხოცეს. დამარცხებული არშაკი საქართველოში გამოიქცა და მას შეაფარა თავი.[1]

აჯანყებულთა გამარჯვება სასანიანთა სპარსეთის გამარჯვებას ნიშნავდა სომხეთში. ეს გარემოება კი ისეთივე საფრთხეს უქმნიდა ქართველებს, როგორსაც მეზობელ სომხებს. ამიტომ, ბუნებრივია, დამარცხებულ არშაკს სომხეთის დამოუკიდებლობის დასაცავად ამიერკავკასიელი მეზობლები მხარში უნდა ამოდგომოდნენ.

---

[1] **История Армении Моисея Хоренского**, გვ. 164.

თუ ალბანია სასანიდთა სპარსეთმა იძულებით ჩააბა ახლა სომხეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, იბერიის სამეფო ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ აღმოუჩინა დახმარება სომეხთა მეფეს. ქართველთა ლაშქრით გამაგრებული არშაკი სომხეთში დაბრუნდა,[1] დაამარცხა მოწინააღმდეგენი და მკაცრად დასაჯა ზოგიერთი ნახარარი. მოღალატე ნახარარების ნაწილმა სპარსეთში გაქცევით უშველა თავს.

რომაელები ერთგვარ წამახალისებელ ღონისძიებებს უფრო მიმართავდნენ ახლა ამიერკავკასიის მეფეთა მიმართ, ვიდრე სამხედრო ძალით დახმარებას. IV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე, ცნობილი რომაელი ისტორიკოსი ამიანე მარცელინი გადმოგვცემს, რომ გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი რომაელები სომეხთა მეფე არშაკს და იბერიის მეფე მირიანს ძვირფას საჩუქრებს უგზავნიდნენ, რათა ისინი სპარსელებს არ მიმხრობოდნენ. თუ სომხები და ქართველები სპარსელებს მხარს დაუჭერდნენ, მათ შეეძლოთ რომაელებისათვის დიდი ზიანი მიეყენებინათო.[2]

სამწუხაროდ, როგორც საერთოდ ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის, ისე ამ ხალხების ურთიერთობის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ მოგვეპოვება. მაგრამ იმ მცირე წყაროებიდან, რომელნიც ჟამთა სიავეს გადაურჩნენ, მაინც ჩანს, რომ ამიერკავკასიის ხალხები ერთად იბრძოდნენ დამოუკიდებლობის დასაცავად სპარსთა წინააღმდეგ.

სომხეთის მოღალატე ნახარარების დამარცხების შემდეგაც სპარსეთმა სრულებითაც არ აიღო ხელი ამიერკავკასიის დაპყრობისათვის ბრძოლაზე. შაბურ II კიდევ გაამზადა დიდი ლაშქარი და ამიერკავკასიისაკენ გამოისტუმრა მის დასაპყრობად და ხალხის დასაბეგვად.

აღმოსავლეთ რომის იმპერიასა და სპარსეთს შორის წარმოებული ომი, რომელიც 358 წელს დაიწყო, 363 წელს რომაელებისათვის სამარცხვინო ზავით დამთავრდა. რომის იმპერიამ ბევრი საკარო ქვეყანა დაუთმო სპარსეთს და სომხეთის დახმარებაზედაც ხელი აიღო.

სპარსთა მეფე შაბურ II უფრო ენერგიულად შეუდგა ახლო ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობას.

ფაუსტოს ბიზანტიელის გადმოცემით, შაბურ II ლაშქარმა დაუზოგავად გაძარცვა და გადაწვა მთელი მხარე, სპარსელებს ტყვედ

---

[1] История Армении Моисея Хоренского, გვ. 166.

[2] В. В. Латышев, Известия, т. II, Латинские писатели, вып. 2-ой, გვ. 324.

ჰიჰყავდათ სომეხი მოსახლეობა და აგრეთვე გაუკითხავად ხოცავდნენ ხალხს. სომხეთის ქალაქები, რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობაში დიდ როლს ასრულებდნენ, ნანგრევებად აქციეს, ხოლო ქალაქის მოსახლეობა ტყვედ წაიყვანეს სპარსეთში.[1]

ფაუსტოს ბიზანტიელისა და მოსე ხორენელის ცნობების თანახმად, პოლიტიკურად უფლებაწართმეულსა და განადგურებულ სომხეთში შაბურ II სცადა აღმოეფხვრა ქრისტიანობა და დაენერგა ზოროასტრული მოძღვრება. ამ პოლიტიკის გატარების დროს იგი ეყრდნობოდა ზოგიერთ სომეხ რენეგატ ნახარარს, რომელთა შორის იყვნენ მერუჟან არწრუნი და ვაჰან მამიკონიანი. ისინი ანგრევდნენ ქრისტიანული კულტურის ცენტრებს. აგებდნენ სამსხვერპლოებს და მოსახლეობაში ნერგავდნენ მაზდეიანურ სარწმუნოებას[2], რასაც სპარსთა მიზნებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

სომეხთა მეფე არშაკი შაბურ II-ემ მოტყუებით თავის სატახტო ქალაქში ქტეზიფორში მიიწვია. ამიანე მარცელინის გადმოცემით, იქ მას თვალები დათხარეს და ციხეში გამოკეტეს, სადაც მალე გარდაიცვალა[3].

მოსე ხორენელი გადმოგვცემს, რომ არშაკ მეფის სიკვდილის შემდეგ შაბურ მეფემ მრავალრიცხოვანი ლაშქარი შეჰყარა და მოღალატე მერუჟანის მეთაურობით სომხეთში გამოგზავნა. სომხეთის მმართველობაც მერუჟანს ჩააბარა. შაბურმა თავისი და ორმიზდუხში ცოლად შერთო მერუჟანს და სიგელებით დაუმტკიცა ბევრი სოფელი და სააგარაკო საბინაო ნაგებობანი სპარსთა მიწა-წყალზე. ამასთან დაჰპირდა, რომ, თუ სპარსთა მოწინააღმდეგე ნახარარებს დაიმორჩილებდა და სომხეთს მაზდეიანურ სარწმუნოებაზე მოაქცევდა, მას სომხეთის სამეფო ტახტზე დასვამდა. მერუჟანმა წინადადება მიიღო და სომხეთში მოვიდა. მან პირველყოვლისა სპარსეთის მოწინააღმდეგე ნახარარების ცოლები შეიპყრო და ციხეებში ჩასვა იმ იმედით, რომ ამით მათ ქმრებს აიძულებდა სპარსეთს დამორჩილებოდნენ. მერუჟანმა მიზნად დაისახა ეკლესიის მსახურთა ამოხოცვა: გადასახადების გადაუხდელობის საბაბით იგი იქერდა საეკლესიო წოდების პირებს, ამწყვდევდა მათ სატუსაღოებში და შემდეგ სპარსეთში გზავნიდა. იგი ცეცხლში წვავდა ყველა წიგნს,

[1] Я. А. Манандян, Месроп-Маштоц и борьба армянского народа за культурную самобытность, Ереван, 1941, გვ. 7.

[2] იქვე.

[3] В. В. Латышев, Известия, т. II, Латинские писатели, вып. 2-ой, გვ. 332.

რომელსაც კი ნახავდა, და ბრძანებას იძლეოდა, რათა ესწავლათ არა ბერძნულად, არამედ მხოლოდ სპარსულად.[1]

სპარსელებმა და მათმა მომხრეებმა სამშობლოდან განდევნეს სუმბეთის ტახტის მემკვიდრე პაპი არშაკუნი, რომელიც აღმოსავლეთ რომის იმპერიის მთავრობასთან გაიქცა.

სომხეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა ძალებმა მწვავე ბრძოლა გაუმართეს მტერს. უკანასკნელმა არ დაინდო დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი სომხები და სასტიკი ხოცვა-ჟლეტა გააჩაღა. სპარსელებმა ხელთ იგდეს და წამებით მოკლეს სომხეთის ტახტის მემკვიდრის პაპის დედა ფარანძემი. მტერმა განსაკუთრებით არარატის პროვინცია გაანადგურა, დიდად დააზარალა ისეთი ცნობილი სომხური ქალაქები, როგორიც იყო: არტაშატი, ვაღარშაპატი,, ერვანდაშატი, ნახჩავანი, ზარიშატი, ვანი, ტიგრანაკერტი და სხვ.[2]

მომძლავრებული სპარსეთი ახლა სომხეთის მოკავშირე იბერიაშიც შემოიჭრა. მან განდევნა აქედან რომაელების ორიენტაციის მომხრე მეფე საურმაგი და მის მაგიერ სამეფო ტახტი საურმაგის ნათესავს ასპაგურს ჩააბარა. საურმაგი რომის ხელისუფლებასთან გაიქცა.

ქართლში სპარსეთის შემოჭრას, ბუნებრივია, რომის კეისარი უნდა გამოხმაურებოდა. ამიანე მარცელინის გადმოცემით, რომის ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ შეჰყარა 12 ლეგიონი და ცნობილი სარდლის ტერენტის მეთაურობით ქართლში (იბერიაში) გამოგზავნა[3].

რომის ლაშქარსა და მის სარდალს, ჩანს, დავალებული ჰქონდა არა მარტო ქართლიდან, არამედ სომხეთიდანაც განედევნათ სპარსელები, რომი ახლა სომხეთის ტახტის მემკვიდრის პაპის უფლებრივი მდგომარეობის აღდგენის საბაბით იწყებს ბრძოლას სომხეთში სპარსთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლის ინიციატორი და მთავარი მამოძრავებელი კი თვით სომეხი ხალხი იყო.

ამიანე მარცელინის ცნობით, როცა სპარსთა მეფის შაბურის მიერ იბერიის მმართველად დანიშნულმა ასპაგურმა რომის ლაშქრის მოახლოება შეიტყო, მოლაპარაკება გამართა საურმაგთან და სთხოვა მას, როგორც ნათესავებს, გაეყოთ იბერია და ორივეს ემეფათ. ამიანეს ცნობიდან ჩანს, რომ თითქოს ასპაგურსაც რომაელთა მხარეზე სურდა გადასვლა, მაგრამ, ვინაიდან მისი შვილი სპარსთა მე-

[1] История Армении Монсея Хоренского, გვ. 172.

[2] История армянского народа, I, გვ. 77—78.

[3] В. В. Латышев, Известия, т. II, Латинские писатели, вып. 2-ой, გვ. 335.

ფესთან იმყოფებოდა მძევლად, ცდილობდა თავიდან აეცილებინა რომაელთა მხარეზე აშკარად გადასვლა [1].

სომხეთში შექმნილი მდგომარეობისა და რომისა და სპარსეთის მოქმედების შესახებ ამიანე მარცელინი გადმოგვცემს, რომ სპარსთა მიერ ვერაგულად მოკლული სომეხთა მეფის არშაკის შვილი პაპი რომის ხელისუფლებამ შეიფარა, მაგრამ შემდეგ სპარსთა თანაშეშინებულმა სომხეთის პოლიტიკური წრეების მოთხოვნით აღმოსავლეთ რომის იმპერიის ხელისუფლებამ სარდალ ტერენტის თანხლებით იგი სომხეთში გამოგზავნა.

როდესაც ეს გარემოება სპარსთა მეფემ შაბურმა გაიგო, ეს მოქმედება მან რომაელთა მიერ ზავის დარღვევად ჩათვალა და სომხეთს უდიდესი ლაშქარი მიუსია, რომელმაც ქვეყნის რბევა და განადგურება დაიწყო.

აღნიშნული გარემოებით შეშინებულმა პაპმა და მისმა მომხრეებმა, რომლებმაც რომაელთაგან საჭირო დახმარება ვერ მიიღეს, სომხეთი დატოვეს და თავშესაფარი ისევ მოძმე ქართველი ხალხის მიწა-წყალზე ჰპოვეს, კერძოდ, ეგრისში (ლაზიკაში) გადავიდნენ და იქ ხუთი თვის განმავლობაში იმყოფებოდნენ.[2]

შაბურის მიერ გამოგზავნილი ლაშქრის მიზანი იყო სომხეთისა და იბერიის დაპყრობა და სპარსეთის მეტოქის რომის აქედან განდევნა. სომხეთი და იბერია დიდი საშიშროების წინაშე დააყენა სპარსეთმა ამ დროს. სომეხთა ლაშქარმა მუშეღ მამიკონიანის მეთაურობითა და მოკავშირეების დახმარებით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ამ გარემოებამ აიძულა სპარსთა მეფე შაბური სომხეთის სამეფო ტახტზე პაპის ხელისუფლება ეცნო, ხოლო იბერიის საკითხში რომის მიმართ დათმობაზე წასულიყო: „იბერიაში სპარსელებმა, ვარაზ-ბაკურს[3] გარდა, მათგან განდევნილი საურმაგის უფლებაც სცნეს. საურმაგს, კონსტანტინეპოლიდან ზურგგამაგრებულს, დაუთმეს სამეფოდ იბერიის ერთი ნაწილი—მტკვრის მარცხნივ მდებარე ქართლი (371 წ.), რომელშიც შედიოდა მცხეთაც“ [4].

ამრიგად, სომხეთის სამეფო ხელისუფლების გაუქმებას მაშინ სპარსეთმა ვერ მიაღწია, მაგრამ დამპყრობლებმა იბერიის სამეფოს ორად გაყოფა შეძლეს: ერთი ნაწილი იბერიისა, რომელიც ქვემო

---

[1] В. В. Латышев, Известия, т. II, Латинские писатели, вып. 2-ой, გვ. 335.

[2] იქვე, გვ. 334.

[3] იგივე ასპაგური.

[4] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, ზ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, დასახელებული გამოცემა, გვ. 91.

ქართლისა და მის ახლო მდებარე რაიონებისაგან შედგებოდა, სპარსთა გავლენის ქვეშ მოექცა და იქ მეფედ სპარსელებმა ვარაზ-ბაკური დასვეს, ხოლო მეორე ნაწილი—მტკვრის მარცხენა მხარე აღმოსავლეთ რომის იმპერიის გავლენის ქვეშ დარჩა და იქ მეფედ საურმაგი დატოვეს.

სპარსეთისა და რომის ხელისუფალთა ვერაგობას ამიერკავკასიის ხალხების დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალების მიმართ საზღვარი არ ჰქონდა. პაპი არშაკის ძემ სომხეთის სამეფო შემოიმტკიცა და წარმატებით დაიწყო ბრძოლა როგორც რეაქციულად განწყობილ სომეხი ნახარარების წინააღმდეგ, ისე უცხო დამპყრობთა გავლენისაგან სამშობლოს გასათავისუფლებლად. მაგრამ პაპის მოღვაწეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. თუ არშაკ II არშაკუნიანი სპარსელებმა ვერაგულად მიიტყუეს ქტეზიფონში და ციხეში მოკლეს, არშაკის მემკვიდრე პაპი მოღალატე ნახარარებისა და ზოგიერთი საეკლესიო პირის ცილისმწამებლური დასმენით კეისარმა ვალენტიმ სომხეთში მდგომ რომაელთა ლაშქრის სარდალს ტრაიანეს 374 წელს ვერაგულად მოაკვლევინა.

ასეთი იყო ხშირად ამიერკავკასიის ხალხებისა და მათი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პატრიოტების ბედი. სწორედ ეს გარემოება უკარნახებდა მათ ერთიმეორისადმი დახმარებას, რაც მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებაში უანგარო ჩანდა.

ლეონტი მროველის გადმოცემით, ვარაზ-ბაკურის (ვარაზ-ბაქარის) მეფობის დროს „გამოგზავნა სპარსთა მეფემან ერისთავი სპითა დიდითა სომეხთა და ქართველთა ზედა ხარკისა დადებად. მაშინ სომეხთა მოგზავნეს ვარაზ-ბაქარისსა მოციქული და რქუეს, რათა შეკრბენ და მოირთონ ძალი ბერძენთაგან, და განახუნენ კარნი კავკასიანთანი და მოიყვანნენ ოვსნი და ლეკნი, და წინააღუდგნენ სპარსთა. და წარჩინებულნი თჳსნიცა ეტყოდეს წინააღდგომასა სპარსთასა“ [1]. მაგრამ სპარსთაგან განდიდებულმა ვარაზ-ბაკურმა (ვარაზ-ბაქარმა) „არა ისმინა არცა სომეხთა, არცა წარჩინებულთა თჳსთა, რამეთუ იყო იგი ჩუკენი („გულდედალი“, „ჯაბანი“) და მოშიში“ [2]. ამის შემდეგ „მოვიდეს სპარსნი პირველად სომხითს, და მოაოჯრეს სომხითი, და შემოვიდეს ქართლს“ [3].

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, დასახ. გამოცემა, გვ. 136.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ამრიგად, ამიერკავკასიის ხალხთა ძალების საბრძოლო გაერთიანების სურვილი, საჭირო შემთხვევაში, ყოველთვის იჩენდა თავს, მაგრამ ზოგჯერ გაბატონებული კლასის ზოგიერთი წარმომადგენელი, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ხელს უშლიდა მას.

2. ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა V საუკუნეში

ამიერკავკასიისათვის ხანგრძლივ ბრძოლაში, რომელიც რომსა და სპარსეთს შორის წარმოებდა, სასწორი სასანიანთა სპარსეთის მხარეზე იხრებოდა. ორმა მტაცებელმა, რომელთაგან სპარსეთი შეტევაზე გადადიოდა, ხოლო დასუსტებული რომის აღმოსავლეთი იმპერია თავს იცავდა, 387 წელს სომხეთიც დაინაწილეს. მის უდიდეს ნაწილს სპარსეთი დაეპატრონა, ხოლო უმცირესი —1/5 კი აღმოსავლეთ რომის იმპერიამ შეინარჩუნა. ამრიგად, სომხეთის მიწა-წყალზე ორი მეფე აღმოჩნდა, მაგრამ მტაცებლებმა, როგორც გავეცნობით, სულ მალე ორივე მეფის ხელისუფლება გააუქმეს და სომხეთი ბიზანტიისა და სპარსეთის პროვინციებად აქციეს.

ამიერკავკასიის ხალხები—სომხები, ქართველები და ალბანელები გმირულად იბრძოდნენ დამოუკიდებლობის დასაცავად. რომისა და სპარსეთის ურთიერთშორის დაუსრულებელი ბრძოლა ხშირად უბედურების მომტანი იყო ამიერკავკასიის ხალხებისათვის, მაგრამ ზოგჯერ, ერთი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში მეორეს მოხერხებულად იყენებდნენ ეს ხალხები. შეტევაზე გადმოსული სპარსეთის წინააღმდეგ არა ერთხელ გამოუყენებიათ რომი და შემდეგ აღმოსავლეთში რომის მემკვიდრე ბიზანტია. მაგრამ, რაც დრო გადიოდა, დასავლეთის დახმარება თანდათან არარეალური ხდებოდა და მომძლავრებულ სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლაში ეს სამი ძოძმე ხალხი მარტო რჩებოდა.

ჩვენ არ ვიცით კარგად, თუ რამდენ ხანს გაგრძელდა იბერიის ორ სამეფოდ არსებობა, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ მომდევნო წლებში როგორც სომხეთიდან და ალბანიიდან, ისე იბერიიდანაც სასანიდთა სპარსეთმა თითქმის მთლიანად გააძევა ბიზანტია და ცეცხლითა და მახვილით გაავრცელა ამ ქვეყნებში თავისი გავლენა.

429 წელს სპარსელებმა ბოლო მოუღეს სომხეთის დამოუკიდებლობას, გააუქმეს სპარსეთის ქვეშევრდომ სომხეთში სამეფო ხელისუფლება და ქვეყნის სათავეში სპარსეთის მოხელე მარზპანი დასვეს. მართალია, იბერიასა და ალბანიას ჯერჯერობით საკუთარი მეფეები ჰყავდათ, მაგრამ სპარსეთის მიერ სომხეთში გატარებული ღონისძიებანი იმათაც დიდ საფრთხეს უქმნიდა და ამიტომ, ბუნებ-

რივია, ქართველი და ალბანელი ხალხები, როგორც ყოველთვის, ახლაც მოძმე სომეხ ხალხს უნდა მიშველებოდნენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

რაც დრო გადიოდა, ძნელი ასატანი ხდებოდა სასანიანთა სპარსეთის ბატონობა ამიერკავკასიის ხალხებისათვის. განსაკუთრებით მძიმე გახდა ის სომხეთში მას შემდეგ, რაც იქ სპარსეთმა ადგილობრივი მეფის ხელისუფლება გააუქმა.

ძლიერ აუტანელი გახდა სასანიანთა სპარსეთის ბატონობა აგრეთვე ალბანიის მოსახლეობისათვის. უდიდესი ხარჯები და ის სამუშაოები, რომლებიც დარუბანდის კარების გამაგრებასთან იყო დაკავშირებული, ალბანიის მოსახლეობას დააკისრეს. გარდა ამისა, სასანიდები განუსაზღვრელად ბეგრავდნენ მოსახლეობის ყოველგვარ შემოსავალს. სანამ სასანიანთა მოხელე მიწისმფლობელის კუთვნილ მიწიდან მიღებულ მთელ შემოსავალს არ შეამოწმებდა და მიწის მფლობელი გადასახადს არ გადაიხდიდა, მანამდე ამ უკანასკნელს უფლება არ ჰქონდა თავისი შრომით მოყვანილი სურსათისათვის ხელი ეხლო.[1]

არაბი ისტორიკოსი ტაბარი წერს, რომ სასანიდთა სპარსეთის მოხელეების შიშით გლეხი ვერ ბედავდა საკუთარი ბაღიდან თავის პატარა ბავშვებისათვის ხილი მიეცაო.

438 წელს სპარსეთის სამეფო ტახტი იეზდიგერდ II მიიღო. მან გადაწყვიტა იმ ქრისტიანული ქვეყნების საბოლოო დამორჩილება, რომლებიც გეოგრაფიულად აღმოსავლეთ რომის იმპერიის საზღვრის ახლო მდებარეობდნენ, სპარსეთის გავლენას განიცდიდნენ, მის შიერ შეწუხებული იყვნენ და რომაელთა დახმარებით თავის განთავისუფლებას ფიქრობდნენ. თავისი განზრახვის განხორციელების მიზნით იეზდიგერდ II ამ ქვეყნების კულტურას, ზნე-ჩვეულებებსა და რელიგიას გამოუცხადა ბრძოლა. მან მოინდომა ამიერკავკასიის ხალხები კულტურულ-იდეოლოგიურად სპარსულ ყაიდაზე გარდაექმნა და ამით ამ ხალხებზე სპარსეთის ხანგრძლივი ბატონობის საფუძველი შეექმნა.

იეზდიგერდ II განკარგულებით სპარსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა სომხეთის აღწერა მოახდინეს. აღწერისთანავე მძიმე ხარკი დაადვეს სომხეთს. დიდი გადასახადები დააკისრეს სომხურ ქრისტიანულ ეკლესიასაც, მას წაართვეს სასამართლოს უფლებები და სპარს მოგვებს გადასცეს.

სპარსეთის ხელისუფლება ზემოაღნიშნული ღონისძიებებით არ დაკმაყოფილდა. იეზდიგერდ II კანონიც გამოსცა, რომლის თანახ-

[1] **История Азербайджана**, I, გვ. 84.

მად, სპარსეთის გავლენაში მყოფ ყველა ქრისტიანულ ქვეყანას უარი უნდა ეთქვა საკუთარ რელიგიაზე, ზნე-ჩვეულებებსა და კანონებზე და მათ მაგიერ სპარსული რელიგია, ზნე-ჩვეულებები და კანონები შემოეღოთ.

სპარსეთის ხელისუფლების ეს უხეში კანონი და განკარგულება ამიერკავკასიის ყველა ხალხის კულტურასა და დამოუკიდებლობას თანაბრად ემუქრებოდა. ამიტომ ეს ხალხები ერთად უნდა გამოსულიყვნენ მოძალადე სპარსეთის წინააღმდეგ.

სომხებმა, ქართველებმა და ალბანელებმა უკუაგდეს იეზდიგერდის განკარგულება. სპარსთა მბრძანებელს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა ჰქონდა გართულებული და იმ ჯერად ვერ იცლიდა ამ ხალხების დასასჯელად, მაგრამ მალე სომხეთის, იბერიისა და ალბანიის თავკაცები სატახტო ქალაქ ქტეზიფონში გამოიძახა. უკანასკნელები დაემორჩილნენ შაჰის ბრძანებას და სპარსეთში გაემგზავრნენ, რადგან, თუ იეზდიგერდის ამ განკარგულებასაც არ შეასრულებდნენ, ის დამსჯელ ჯარებს გამოგზავნიდა ამიერკავკასიაში და ქვეყანა დიდ განსაცდელში ჩავარდებოდა.

ქტეზიფონში მისულთ სპარსეთის მეფემ წინადადება მისცა ქრისტიანული სარწმუნოება უარეყოთ, მის მაგიერ მაზდეიანობა ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობა მიეღოთ, ხოლო შემდეგ ეს სპარსული სარწმუნოება თავიანთ ქვეყნებშიაც გაევრცელებინათ. თუმცა სომხეთის, იბერიისა და ალბანიის თავკაცებს პირობა ჰქონდათ წინასწარ მიცემული ერთიმეორისათვის, რომ შაჰის ბრძანება არ შეესრულებინათ, მაგრამ, როდესაც იეზდიგერდი სიკვდილით დასჯას დაემუქრა, იძულებული გახდნენ ფორმალურად დათანხმებოდნენ მას.

სპარსეთის მეფემ პირობა ჩამოართვა ამიერკავკასიის თავკაცებს და დავალების შესასრულებლად ისინი უკან გამოგზავნა, ხოლო ზოგიერთი მათგანი, უკან დაბრუნებულთა ერთგულების უზრუნველსაყოფად, მძევლად დაიტოვა.

სომეხი ისტორიკოსი ელიშე ვარდაპეტი გადმოგვცემს, რომ, როდესაც სპარსთა მეფემ იეზდიგერდ მეორემ ამიერკავკასიის თავკაცებს პირობა ჩამოართვა და უკან გამოგზავნა, სპარსთა ლაშქართან ერთად 700 მოგვი გამოაყოლა მათ.

სპარსეთის მბრძანებელმა თავის შეიარაღებულ მხედრობასა და მოგვთა ასეულებს უბრძანა — ზოროასტრული სარწმუნოება დაენერგათ ერთი წლის განმავლობაში ამიერკავკასიასა და ზოგიეთ სხვა ქრისტიანულ ქვეყანაში. ამ მიზნით, პირველ ყოვლისა, მათ უნდა გამოეკეტათ ქრისტიანული ეკლესიები; მოეხდინათ ეკლესიებში არსებული ძვირფასი სამკაულების კონფისკაცია და სათა-

ნადო სიით ისინი შაჰისათვის გაეგზავნათ; მოესპოთ ადგილობრივი ნაციონალური სწავლა-განათლების წესები; აეძულებინათ წარჩინებულთა ოჯახის წევრები, რათა პირველად ისინი გამხდარიყვნენ მოგვთა მიმდევრები და ამით მაგალითი ეჩვენებინათ სხვებისათვის [1].

ამასთანავე იეზდიგერდმა უბრძანა თავის ლაშქარსა და მოგვებს, რომ საჯარო მოედნებზე ესწავლებინათ ახალგაზრდობისათვის მაზდეიანური სარწმუნოების მოძღვრება; შეეცვალათ ქორწინების ადგილობრივი წესები და ნაცვლად ერთისა თითოეულ მამაკაცს შეერთო რამდენიმე ცოლი; გაეუქმებინათ სისხლით ნათესაობის დაცვის წესები და განეხორციელებინათ უახლოესი ნათესავების ერთიმეორესთან დაქორწინება; არც ერთი იმ ცხოველთაგანი, რომლებიც გათვალისწინებულნი იყვნენ ადამიანის საკვებად, არ გაეშეყენებინათ მანამ, სანამ ზოროასტრული წესის მიხედვით მსხვერპლი არ იქნებოდა შეწირული [2] და სხვ.

შაჰის დავალების ძალდატანებითი შესრულებისათვის „ზრუნვამ“ ნაყოფი ვერ გამოიღო. ამიერკავკასიის ხალხები მტრულად შეხვდნენ იეზდიგერდის, როგორც დამპყრობისა და მოძალადის, განკარგულებას, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მცირე გამონაკლისებს, ისიც მაღალი ფენებიდან, რომელნიც სპარსეთის მბრძანებლის წყალობას მოელოდნენ და პირად ბედნიერებაზე ჰყიდდნენ სამშობლოს მომავალს. მაგრამ ასეთი პირები ხალხს სძულდა და მათ წყევლა-კრულვას უგზავნიდა.

სპარსეთის ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ სწრაფად დაიწყო მღელვარება ამიერკავკასიაში. მძიმე გადასახადებითა და სასანიანთა უხეში პოლიტიკით შევიწროებული სომეხი მოსახლეობა აღდგა ჩოძალადეთა თავიდან მოსაშორებლად. სომხების მეთაურებმა აღმოსავლეთ რომის იმპერიასა და მის ქვეშევრდომ სომხეთის მოსაზღვრე ქვეყნებს მიმართეს დახმარებისათვის. მათ შორის დასავლეთ სომხეთსაც, რომელიც რომის გავლენის ქვეშ იყო. მარკიანე კეისარმა არათუ დახმარება გაუწია სომხეთს, არამედ, პირიქით, დაუყოვნებლივ აცნობა სპარსეთის ხელისუფლებას ყოველივე ის, რასაც სომხები ფიქრობდნენ და შაჰს თავისი ერთგულება აღუთქვა. მრგრამ სომხები ბრძოლაში მარტო როდი იყვნენ, მათ საიმედო მოკავშირედ ისევ ქართველები და ალბანელები აღმოაჩნდათ.

---

[1] **История Егише Вардапета, Борьба христианства с учением Зороастровым в пятом столетии в Арменни. Перевод с армянского П. Шаншиева, Тифлис, 1853, გვ. 85—86.**

[2] იქვე, გვ. 86—87.

V საუკუნის 40-იანი წლების დასასრულს ქართველებმა, სომხებმა და ალბანელებმა ერთობლივი აჯანყება მოაწყეს. ამ დროს დარუბანდში სპარსეთის ლაშქარი იდგა. ირანის შაჰმა ეს ლაშქარი ალბანიას მიუსია და ქვეყნის განადგურებასთან ერთად ამ ლაშქარს ალბანთა შორის სპარსული—მაზდეიანური სარწმუნოების გავრცელება დაავალა.

სომხებმა ვარდან მამიკონიანის მეთაურობით მწარე დამარცხება აგემეს მათ მიწა-წყალზე მყოფ სპარსთა ლაშქარს. ეღიშეს გადმოცემით, სომეხი ხალხის მღელვარებით თავზარდაცემულმა მოგვების მეთაურმა ხვეწნა-მუდარა დაუწყო შაჰის დავალების სპარს და სომეხ შემსრულებლებს, მათ შორის სამხედრო ბანაკის მეთაურებსაც, რათა ეხსნათ მისი სიცოცხლე და ამასთანავე ნება დაერთოთ მისთვის წერილობით ერჩია სპარსთა მეფისათვის, რომ ხელი აეღო მას სომხეთის მიმართ თავის განზრახვაზე[1].

როდესაც სომხები ვარდან მამიკონიანის მეთაურობით მომხდარი აჯანყების შედეგს ზეიმობდნენ, ამ დროს მათთან გამოცხადდა ალბანთა დელეგაცია და დაბეჯითებით სთხოვა მათ, რომ დახმარებოდნენ თავდამსხმელი სპარსელების წინააღმდეგ. ეღიშეს გადმოცემით, ალბანთა დელეგაცია სომხებს მოუთხრობდა: სპარსეთის ლაშქარი, რომელიც ჰუნთა ქვეყანაში იდგა, ახლა მობრუნდა და ჩვენს ქვეყანაში შემოვიდა. ამასთანავე, მის კვალდაკვალ სპარსთა მეფის მიერ გამოგზავნილი დამხმარე მხედრობა მოემართება. ამ ლაშქართან იმყოფება მოგვთა სამასი მასწავლებელი, რომლებიც ძალად ავრცელებენ მაზდეიანურ სარწმუნოებას და ხალხს აფრთხილებენ, რომ, თუ ვინმე მათ წინააღმდეგობას გაუწევს, სიკვდილით დასჯიან[2].

სომხები დაუყოვნებლივ შეუდგნენ ძალთა მობილიზაციას, ხოლო ალბანთა წარმომადგენლებს უთხრეს: გამაგრდით, და ეცადეთ, რათა რამდენიმე ხანს როგორმე შეაკავოთ მტერი. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მალე გამოვცხადდებით თქვენ დასახმარებლადო[3].

სომხებმა ბიზანტიის მთავრობასთან დაუყოვნებლივ დაიწყეს მოლაპარაკება. ამასთან, მობილიზაცია გაუკეთეს თავიანთ ძალებს და ბრძოლის ტაქტიკური გეგმაც შეადგინეს: მთელი ლაშქარი სამად გაყვეს, რომელთაგან ერთი ნაწილის მეთაურობა ნერშაპ რიმბოსიანს ჩააბარეს და სამხრეთ აზერბაიჯანის მხრიდან სომხეთის საზღვრის დაცვა დაავალეს; მეორე ნაწილი ვარდან მამიკონიანის

---

[1] История Егише Вардапета, Борьба христианства с учением Зороастровым в пятом столетии в Армении. Перевод с армянского П. Шанишева, Тифлис, 1853, გვ. 98.

[2] იქვე, გვ. 115—116.

[3] იქვე, გვ. 117.

მეთაურობით ქართლის აღმოსავლეთ საზღვრებისაკენ გამოემართა[1]. ვარდანის მიზანი იყო შეერთებოდა ქართველთა და ალბანთა ლაშქარს[2] და გაერთიანებული ძალით თავს დასხმოდა სპარსთა ლაშქარს; მესამე ნაწილს ვასაკ სივნიელის მეთაურობით სომხეთის შიდა რაიონები უნდა დაეცვა[3].

მაგრამ ფეოდალური საზოგადოების ზოგიერთი აღზევებული წევრებისათვის დამახასიათებელმა გამცემლობამ აქაც იჩინა თავი და ხელი შეუშალა ვარდანის მიზნების განხორციელებას. აჯანყების დაწყებიდან ვარდან მამიკონიანთან ერთად ამ განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური იყო ვასაკ სივნიელი. ჩანს, ვასაკი აჯანყებულთა ტალღამ და ბიზანტიისაგან დახმარების იმედმა მიიყვანა განმათავისუფლებელი ბრძოლის მხარდაჭერამდე. მაგრამ, როდესაც ბიზანტიის მიერ დახმარების იმედი აღარ გამართლდა, ვასაკმა ისევ მტრის მხარდაჭერა და სამშობლოს ღალატი გადასწყვიტა. იგი, სპარსეთის მეფის მიერ იყო განდიდებული და სომხეთის მარზპანის თანამდებობა ეკავა.

ეღიშეს გადმოცემით, ვასაკ სივნიელმა დაუყოვნებლივ აფრინა კაცი დარუბანდის მხარეში მყოფ სპარსთა ლაშქრის მეთაურთან და მას ყველაფერი აცნობა. სომეხთა მთელ საბრძოლო გეგმასთან ერთად მტერს ატყობინებდა, რომ ვარდან მამიკონიანის მეთაურობით წამოსული ლაშქარი მცირერიცხოვანია. ამიტომ შენ შეგიძლია უშიშრად წახვიდე მის შესახვედრად და, ვინაიდან ძალთა უპირატესობა თქვენს მხარეზეა, ადვილად გაიმარჯვებო[4].

სპარსთა ლაშქრის მეთაური დაუყოვნებლივ გაემართა ვარდან მამიკონიანის წინააღმდეგ. იგი, ჩანს, მოკავშირეთა ლაშქრის შეერთებამდე, იბერიის საზღვრის ახლოს შეხვდა სომეხთა ლაშქარს. მაგრამ მოღალატე ვასაკ სივნიელის იმედი ამჯერად არ გამართლდა. სომხებმა ვარდან მამიკონიანის მეთაურობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს[5].

ამ გამარჯვების შემდეგ უმალვე შეუერთდნენ ვარდან მამიკონიანს სპარსთა მიერ დევნილი ალბანელები და ერთიანი ძალით დარუბანდისაკენ გაეშურნენ, სადაც სპარსელები იყვნენ გამაგრე-

---

[1] История Егише Вардапета, Борьба христианства с учением Зороастровым в пятом столетии в Армении. Перевод с армянского П. Шаншиева. Тифлис, 1853, გვ. 98.

[2] История армянского народа, I, გვ. 87.

[3] История Егише Вардапета, დასახ. გამოცემა, გვ. 122.

[4] იქვე, გვ. 123.

[5] იქვე, გვ. 125—127.

ბული, აიღეს იეზდიგერდის მიერ აშენებული ძლიერი ციხე-სიმაგრე და იქ თავიანთი ლაშქარი ჩააყენეს[1].

ვასაკ სივნიელის ღალატმა დიდად შეასუსტა სომხეთის თავდაცვისათვის მებრძოლი ძალები. ალბანელებთან ერთად ბრძოლაში გამარჯვებული ვარდან მამიკონიანი სომხეთში დაბრუნდა და აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. სომხეთის თავდაცვისათვის მებრძოლმა ძალებმა ვარდანის მეთაურობით მოკავშირე მეზობლების ლაშქართან ერთად 451 წლის 2 ივნისს გმირული ბრძოლა გაუმართეს სომხეთში შემოჭრილ მტრის 200-ათასიან არმიას, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში მარცხი განიცადეს და ამ მოძრაობის ერთგული სარდალი ვარდან მამიკონიანიც ბრძოლაში დაიღუპა[2]. მტერმა შეძლო აჯანყების ჩაქრობა.

სასანიანთა სპარსეთის ამ გამარჯვებამ სრულებითაც ვერ გატეხა ამიერკავკასიის ხალხთა ნებისყოფა. დამპყრობ სპარსეთის წინააღმდეგ ამ ხალხების განმათავისუფლებელმა ბრძოლამ კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო.

451 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ სომხეთში მყოფმა სპარსეთის ხელისუფლებამ შაჰის დავალებით მკაცრად დასაჯა აჯანყების მეთაურები. მაგრამ ამავე დროს იგი იძულებული გახდა ანგარიში გაეწია იმ ფაქტისათვის, რომ მარტო უხეშობისა და ძალის გამოყენებით შეუძლებელი იყო ამიერკავკასიის ხალხთა დამორჩილება. ამიტომ ამ აჯანყების ჩაქრობის შემდეგ სპარსეთმა რამდენადმე შეარბილა სომხეთისადმი მკაცრი დამოკიდებულება. მან სომეხთა გულისმოგების მიზნით სომეხი ხალხის მოღალატე და შაჰის საიმედო აგენტი ვასაკ სივნიელიც აღარ დაინდო. იგი აჯანყების მოთავე სომეხ პატრიოტებთან ერთად ქტეზიფონში დაიბარა და ციხეში გამოკეტა. ვასაკმა ამ ციხეში დაამთავრა თავისი სიცოცხლე.

აღსანიშნავია, რომ, როგორც ელიშეს ცნობებიდან ჩანს, როდესაც იეზდიგერდ II დავალებით ქტეზიფონში სომეხ პატრიოტებს ასამართლებდნენ და მათ ვასაკ სივნიელს უპირისპირებდნენ, ამ დროს სამსჯავროს წინაშე წამდგარმა სომხებმა, გარკვეული მიზნით, სასამართლოს წარუდგინეს წერილობითი საბუთები იმის შესახებ, რომ აჯანყებისათვის მზადების დროს სომხები, ქართველები და ალბანელები თანხმობით მოქმედებდნენ და ბიზანტიის კეისართან დახმარების შესახებ მოლაპარაკებასაც ერთად აწარმოებდნენ[3].

---

[1] **История Егише Вардапета.** დასახ. გამოცემა. გვ. 128.

[2] იქვე, გვ. 197—199.

[3] იქვე, გვ. 221.

დამპყრობმა მალე განაახლა სომხებისადმი უხეშობა. ამასთან, სპარსთა მიერ შემოღებული სიმკაცრის, აუტანელი გადასახადებისა და ადგილობრივი მოსახლეობისადმი არაადამიანური, შემავიწროებელი დამოკიდებულების გამო 457 წელს ახალმა აჯანყებამ იფეთქა ალბანიაში. ამ აჯანყებას ალბანთა მეფე ვაჩე მეთაურობდა. მწვავე და სისხლისმღვრელ ბრძოლაში ჰუნთა დაქირავებული ლაშქრის დახმარებით სასანიანებმა შეძლეს აჯანყების ჩაქრობა და 461 წელს ალბანიაში მეფობაც გააუქმეს, ეს მხარე სასანიდთა სპარსეთის პროვინციად აქციეს და მას მმართველად მარზპანი დაუნიშნეს[1].

V საუკუნის 50-იანი წლებიდან ქართლის ანუ იბერიის მეფეა ვახტანგ გორგასალი. თავისი მეფობის პირველ ხანებში ვახტანგი იძულებულია სპარსეთის მეფის ბრძანებას დაემორჩილოს. ეს ალბათ გამოიწვია 451 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ სპარსეთის მკაცრმა ღონისძიებებმა.

სპარსეთის მეფედ ამ დროს იეზდიგერდ II ძე პეროზი (458—484) იყო. ვახტანგი იძულებული გამხდარა ქტეზიფონში პეროზთან წასულიყო, სადაც ის შვიდი წელი (466—473) დარჩენილა და მრავალ ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა, ხოლო „წელსა მერვესა“[2] სამშობლოში დაბრუნებულა.

ამიერკავკასიაში ამ დროს დიდი სოციალური ბრძოლა მიმდინარეობდა. როგორც სომხეთში, ისე საქართველოში დიდი აზნაურები მიწათმფლობელობის ფეოდალური წესის განმტკიცებისათვის იბრძოდნენ. მათს ასეთ მოქმედებას როგორც სომხეთში (ჯერ კიდევ იქ მეფობის გაუქმებამდე), ისე იბერიაში და ეგრისში მეფის ხელისუფლება ებრძოდა, რადგან, თუ მეფის მიერ სამოხელეოდ დროებით მიცემულ ყველა მამულს აზნაურები სამემკვიდრეოდ დაიჩემებდნენ, მეფეს ეს მამულები ხელიდან გამოეცლებოდა და ის დასუსტდებოდა. ამიტომ მეფესა და აზნაურებს შორის ბრძოლა მიმდინარეობდა.

ეს ბრძოლა ყველაზე უფრო ვახტანგ გორგასალის მეფობის დროს გამწვავდა ქართლში. მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ქართლის მსხვილ აზნაურთა წრეს ეკუთვნოდა ცნობილი ვარსქენ პიტიახში, რომელიც ამიერკავკასიაში სპარსეთის ბატონობის მომხრე იყო და ამიტომ ის სპარსელებმა კავკასიის კუსტაკის[3] მმართველად დანიშნეს.

---

[1] **История Азербайджана**, I, გვ. 86.

[2] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 196.

[3] მთელი სპარსეთის იმპერია ოთხ კუსტაკად იყო დაყოფილი. ერთ-ერთ კუსტაკს კავკასია შეადგენდა და ის მეორე კუსტაკად ითვლებოდა.

როგორც ნათქვამი იყო, 451 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ სპარსეთმა მკაცრად დასაჯა ამ აჯანყების მეთაურები. პეროზ იეზდიგერდის ძემ სხვა უხვ ღონისძიებებთან ერთად უზომოდ გაუდიდა ამიერკავკასიის ხალხებს გადასახადები. ამასთანავე, სომხეთში მყოფი შაჰის მოხელეები ენერგიულად შეუდგნენ სომეხთა გასპარსელებას, დევნა დაუწყეს სომხურ ნაციონალურ კულტურასა და რელიგიას. როდესაც ვახტანგ გორგასალი ქტეზიფონიდან ქართლში დაბრუნდა, მან კარგად დაინახა, რომ ამიერკავკასიაში სპარსთა ბატონობის წინააღმდეგ მოძრაობა უკვე დაწყებული იყო. იგი მალე ამ მოძრაობას თვით ჩაუდგა სათავეში. მიუხედავად იმისა, რომ ქართლის სამეფო ხელისუფლება ჯერ კიდევ გაუქმებული არ იყო და ამ მხრივ ის სომხეთისა და ალბანიისაგან განსხვავდებოდა, მისი მდგომარეობა მეზობელი სომხეთისა და ალბანიის მსგავსად მაინც ძალზე რთული იყო.

ქართლის სამეფოს პოლიტიკურ მდგომარეობას ახლა მარტო საგარეო მტრის — სპარსეთის შემაწუხებელი მოქმედება როდი ართულებდა. მოძალადე დამპყრობი მარტო კი არ იბრძოდა ქართლის მაშინდელი თავდაცვის ორგანიზატორის — სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ მას მოკავშირედ ყავდა ქართლის დიდი აზნაურები, რომლებიც მიწათმფლობელობის ფეოდალური წესის განმტკიცებისათვის იბრძოდნენ და ამ ნიადაგზე ვახტანგ გორგასალთან მტრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. ამ დროს ქართლის დიდ აზნაურებსა და სპარსეთის ხელისუფლებას ქართლის სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესები აერთიანებდა.

ვახტანგ გორგასალმა, ჩანს, ისარგებლა იმით, რომ V საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში სპარსელებმა მარცხი განიცადეს ეფტალიტებთან (თეთრ ჰუნებთან) ბრძოლაში და იგი აშკარად გამოვიდა სპარსთა წინააღმდეგ. სომეხი ისტორიკოსის ლაზარე ფარპელის გადმოცემით, საქმე იმით დაიწყო, რომ პეროზის მეფობის ოცდამეხუთე წელს (483 წ.) ვახტანგის განკარგულებით მოკლულ იქნა სპარსეთის საიმედო აგენტი ქართლში ვარსქენ პიტიახში[1]. ამ აქტის შესრულებისთანავე გაჩაღდა მწვავე ომი სპარსთა ბატონობის წინააღმდეგ.

მრავალსაუკუნოვან საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიაში ერთხელ კიდევ ჩაწერეს ამიერკავკასიის ხალხებმა ურთიერთ უანგარო დახმარების ფურცელი. ისინი ერთად აღდგნენ საერთო მტრის წინააღმდეგ.

[1] V. Langlois. Collection des historiens anciens et modernes de l'Arménie. თარგმანი სომხურიდან, t. II, Paris, 1859, გვ. 325—326.

ვახტანგ გორგასალის მეთაურობით წარმოებული ეს დიდი განმათავისუფლებელი ომი სინამდვილეში იმ ბრძოლის გაგრძელება და მწვერვალი იყო, რომელიც ჯერ კიდევ V საუკუნის 50-იან წლებში გაუმართეს ამიერკავკასიის ხალხებმა მტერს. ეს ბრძოლა არ ჩამქრალა და ახლა მან მთელი სიმძლავრით იფეთქა.

ვახტანგის მოწოდებისთანავე ფეხზე დადგნენ მეზობელი სომეხი და ალბანელი ხალხები. სომეხთა ლაშქარს სათავეში ჩაუდგა ნიჭიერი და გულადი სარდალი ვაჰან მამიკონიანი[1], ძმისშვილი იმ ვარდან მამიკონიანისა, რომელიც 451 წელს გმირულად დაიღუპა განმათავისუფლებელი ბრძოლის ველზე.

ვახტანგმა კავშირი გააბა აგრეთვე ჩრდილო კავკასიის ველებზე მცხოვრებ ჰუნთა ტომებთან, რომლებიც მტრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ სპარსეთის სახელმწიფოსთან. ვახტანგს იმედი ჰქონდა, რომ მას ბრძოლაში ჰუნები მოეშველებოდნენ და მტრის დამარცხებას გაუადვილებდნენ.

აჯანყებულმა სომხებმა გაწმინდეს სომხეთის მიწა-წყალი სპარსთაგან, აიღეს ქალაქები დვინი და არტაშატი; სპარსეთის წარმომადგენელი — სომხეთის მმართველი მარზპანი ბრძოლაში მოკლეს, ხოლო მმართველებად სომხები აირჩიეს.

სამწუხაროდ, ისე როგორც ხშირად სხვა დროს, ახლაც ამიერკავკასიის ხალხების თავდაცვის საქმეს მცირე ზიანი როდი მიაყენეს შინაგამცემლებმა. ამიერკავკასიის ხალხებმა კარგად იცოდნენ, რომ სასანიანთა სპარსეთის ვერაგი ხელისუფლება აჯანყების ჩასაქრობად ყოველგვარ ზომებს მიიღებდა და დამსჯელ ლაშქარს გამოგზავნიდა. ამიტომ მათ ვახტანგის მეთაურობით მტრის მოსალოდნელი

---

[1] სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდი გადმოგვცემს, რომ ბოროტმა ვასაკ სიუნიელმა, რომელმაც სამშობლოს უღალატა, ხამაიაკის (მამიკონიანი? — ვ. კ.) ცოლი და მისი სამი ვაჟი, როგორც დამნაშავის ცოლ-შვილი, სპარსთა შაჰის კარზე გაგზავნა. მაგრამ იბერიის პიტიახშმა არშუშამ გამოითხოვა ისინი იეზდიგერდისაგან, რომელმაც სრულიად მოულოდნელად დაუთმო მას ისინი. შემდეგ იმათგან (ხამაიაკის ვაჟთაგან) უფროსი სომხეთის სპარაპეტი გახდაო (Всеобщая история Вардана Великого, перевод Н. Эмина, Москва, 1861, გვ. 71).

ხამაიაკის უფროსი ვაჟი ვაჰან მამიკონიანი უნდა იყოს, რომელიც მართლაც გახდა შემდეგ სომხეთის სპარაპეტი. ამასთანავე, როგორც ცნობილია, ქვემო ქართლელი დიდი აზნაური არშუშა პიტიახში (ვარსქენის მამა) უდიდესი პატივით მართო ამიერკავკასიაში როდი სარგებლობდა. მას დიდ ანგარიშს უწევდა სპარსეთის ხელისუფლებაც. იეზდიგერდის წინაშე არშუშას შუამდგომლობა სომეხი პატრიოტების განთავისუფლების შესახებ იმას გვაფიქრებინებს, რომ სომეხი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას არშუშაც თანაუგრძნობდა.

თავდასხმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ფართო გეგმა ჰქონდათ შედგენილი, მაგრამ ზოგიერთი სომეხი ნახარარის წყალობით სპარსეთის ხელისუფლებისათვის ეს გეგმა ცნობილი გამხდარა. ამიტომ სპარსთა მეფემ დიდძალი ჯარი დაძრა ჩრდილოეთისაკენ ამიერკავკასიის ხალხების წინააღმდეგ. ეს უზარმაზარი ლაშქარი ქართლს თავს დაესხა ისე, რომ მოკავშირეებმა ძირითადი ძალების გაერთიანებაც კი ვერ მოასწრეს.

როგორც ჩანს, მტერმა თავისი ლაშქრის ერთი ნაწილი სომხეთში გაგზავნა, ხოლო ლაშქრის ძირითადი ბირთვი ქართლს შემოუსია. სომხეთში შემოჭრილ მტერს სომეხთა ლაშქართან ერთად ვახტანგ გორგასალის მიერ სომხების დასახმარებლად გაგზავნილი ქართველთა ლაშქარიც დაუხვდა.

სომეხ-ქართველთა გულადი ლაშქარი ვაჰან მამიკონიანის მეთაურობით რამდენჯერმე ეკვეთა მტერს და დაამარცხა ის, ხოლო შემდეგ მტრის უზარმაზარი ლაშქრის პირისპირ წამდგარ მოძმე ქართველთა ლაშქარს მოეშველა.

ვახტანგის მოლოდინი, რომ მოკავშირეებს ჰუნთა ლაშქარი მოეშველებოდა, არ გამართლდა. მტრის მრავალრიცხოვანი ჯარის პირისპირ მარტო ამიერკავკასიის მოძმე ხალხების ლაშქარი აღმოჩნდა. სომეხთა ლაშქარს, რომელიც ქართველებს მოეშველა, ვაჰან მამიკონიანი და საჰაკ ბაგრატუნი სარდლობდნენ.

სამშობლოს მოღალატე აზნაურებისა და ნახარარების მოქმედებამ მტერს უდიდესი დახმარება გაუწია. ისინი ჯერ კიდევ ომის გაჩაღებამდე აწვდიდნენ საიდუმლო ცნობებს მტერს. ზოგიერთი სომეხი ნახარარი სპარსთა სარდლობას აცნობებდა, რომ მათ სრულებით არ სურთ სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლა. ვაჰან მამიკონიანმა გამოიყვანა ისინი იძულებით ბრძოლის ველზე. ამასვე ჩადიოდა ზოგიერთი ქართველი აზნაურიც, რომელიც, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარი მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მტრის გამარჯვებას ამჯობინებდა.

ჰუნთა ლაშქრის მოლოდინში მყოფმა ვახტანგ გორგასალმა სწრაფად არ გაუმართა ბრძოლა მტერს. მან კარგად იცოდა, რომ მტერი ძლიერი იყო და დიდი ძალა იყო საჭირო მის უკუსაქცევად. შვიდი დღის განმავლობაში უცდიდა ის ჰუნებს, მაგრამ იმედი არ გაამართლდა და ჰუნთა ლაშქარი არ მოვიდა.

მიუხედავად მტრის დიდი რიცხობრივი უპირატესობისა, ქართველები და სომხები ბრძოლის ველზე გავიდნენ. ამ გადამწყვეტ მომენტშიაც მოკავშირეთა ბანაკს გარკვეული რაოდენობის ნახარარი და აზნაური გამოაკლდა, ისინი მტერს ეახლნენ.

გადამწყვეტი ბრძოლა ჰარმანის ანუ გარდაბნის ველზე გაიმართა. მოღალატეობა მოქმედებამ მტრისათვის სასარგებლო ნაყოფი გამოიღო. მოკავშირეთა ლაშქარმა მარცხი განიცადა. სომეხთა ლაშქრის სარდლობამ გადარჩენილი მეომრებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძნელად მისადგომ რაიონებს შეაფარა თავი, ხოლო ვახტანგი დასავლეთ საქართველოში გადავიდა იმ მიზნით, რომ ახალი ძალა მოეკრიბა და მტრისათვის ხელახალი ბრძოლა გაემართა.

ვერც ამ დამარცხებამ გატეხა თავისუფლებისმოყვარე ამიერკავკასიის ხალხები. დასავლეთ საქართველოდან ქართლში დაბრუნებულმა ვახტანგ გორგასალმა ენერგიულად განაგრძო მტრის წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო ვაჰან მამიკონიანი სომხეთში დაბრუნდა და პარტიზანული ომი გააჩაღა. ქართველებმა და სომხებმა ისევ გააბეს კავშირი ჰუნებთან და სპარსეთთან მტრულად განწყობილ სხვა ტომებთან, რომელთა საშუალებით დიდი ზიანი მიაყენეს სპარსელებს. ქართველებმა და სომხებმა გაერთიანებული ძალებით შეძლეს მტრის დროებით განდევნა თავიანთი მიწა-წყლიდან.

ამ ბრძოლის მთავარი ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი ვახტანგ გორგასალი იყო. მისი გამოჩენა ბრძოლის ველზე თავზარს სცემდა სპარსელებს. ისინი დიდად იყვნენ მონდომებული, რომ ან მოეკლათ ვახტანგი, ან ტყვედ ჩაეგდოთ ხელში, თუმცა მტერმა ეს ვერ შეძლო. მაგრამ აქაც მოღალატე ქართველი აზნაურის საშუალებით მიაწღიეს სპარსელებმა გულის წადილს. 502 წელს ერთ-ერთ ძლიერ ბრძოლაში, რომელიც თურმე დიდხანს გაგრძელდა, ვახტანგი სასიკვდილოდ დაიჭრა სპარსთაგან კი არა, არამედ თავისი ქვეშევრდომის მიერ. ამის შესახებ ერთი უცნობი ავტორი მოგვითხრობს: „ხოლო მოიკლა იგი (ვახტანგი — ვ. კ.) სპარსთა ბრძოლასა შინა მონა-ყოფილისაგან მისისა, რამეთუ იცოდა განახევი ჯაჭვსაჲ ღლიასა ქუშ'შე; და აღიპყრა რა ჯრმალი თჳსი (ვახტანგმა — ვ. კ.), რათა სცეს კაცსა სპარსთაგანსა, მონამან მან ბოროტმან ჰკრა ისარი ღლიასა ქუშ'შე და მით მოიკლა“ [1] ვახტანგ მეფეო.

ვახტანგის მკვლელობის ეს ფაქტი იმ დიდი სოციალური ბრძოლის შედეგია, რომელიც მაშინ ქართლში მიმდინარეობდა. მაგრამ ამ სოციალური ბრძოლის შინაარსის განმარტება აქ უადგილოა და ამაზე საუბარს არ განვაგრძობთ. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ვახტანგ გორგასალის ხელისუფლება ძველი, დრომოჭმული მონათმფლობელური საზოგადოებრივი ურთიერთობის ნიადაგზე იყო აღმოცენებული და ის ამ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან ერთად

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, I, თბილისი, 1893, გვ. 50.

დასაღუპავად იყო განწირული იმიტომ, რომ მის წინააღმდეგ მებრძოლი სოციალური ძალები—აზნაურები, როგორც ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებისათვის მებრძოლი ძალები, უფრო პროგრესულნი იყვნენ. ამიტომ დრომოჭმულთან ბრძოლაში ახალს, პროგრესულს უნდა გაემარჯვნა და ეს ასედაც მოხდა. მაგრამ ვახტანგის, როგორც თავისი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტის, ღვაწლი სამშობლოს წინაშე დიდია და ქართველი ხალხი მის სახელს მუდამ პატივისცემით ატარებს.

ამიერკავკასიის ხალხთა ამ დიდი მოძრაობის დამარცხების მიუხედავად, მტრის წინააღმდეგ ამ ერთობლივმა მოქმედებამ სომხეთისა და ალბანიისათვის მაინც დადებითი შედეგი გამოიღო. სასანიანთა სპარსეთი იძულებული გახდა ზავი შეეკრა სომხებთან და დიდად შეერბილებინა ის მკაცრი და უხეში დამოკიდებულება სომხებისადმი, რომელსაც სპარსეთი წინათ იჩენდა: აღუდგინა ნახარარებს ძველი უფლებები და შეწყვიტა ქრისტიანული სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლა. ამიერიდან სომხეთის ფაქტიური მმართველი ვაჰან მამიკონიანი გახდა და შაჰმა სომხეთის მარზპანის თანამდებობაც მას მისცა. გარკვეული წლების განმავლობაში სომხეთმა თითქოს დაისვენა. ამასთან, სასანიანთა სპარსეთი იძულებული გახდა ალბანიაში მეფობა აღედგინა.

მიუხედავად განმათავისუფლებელი ბრძოლის ამ დადებითი შედეგისა, ამიერკავკასიის ხალხები სპარსეთთან მაინც ვასალურ დამოკიდებულებაში რჩებოდნენ და შევიწროებას განიცდიდნენ.

სპარსელები ვერ ითმენდნენ იმას, რომ ვახტანგის სიკვდილის შემდეგაც ქართლმა საკუთარი მეფის ხელისუფლება შეინარჩუნა და იმ განმათავისუფლებელ ბრძოლას, რომელიც ვახტანგის სიკვდილის შემდეგაც გრძელდებოდა, ქართლის მეფე და მისი ხელისუფლება მეთაურობდა.

სპარსეთის მეფემ კავადმა (488—531) ისევ გააძლიერა ამიერკავკასიის ხალხების ჩაგვრა. მან VI საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ბრძანებაც კი გამოსცა იმის შესახებ, რომ ცეცხლთაყვანისმცემლობის წესები დაეცვათ და ქრისტიანული წესით მიცვალებულიც არ დაემარხათ[1]. ამან და სხვა შემავიწროებელმა მოქმედე-

[1] ზოროასტრული მოძღვრების თანახმად, მთელი სამყარო ოთხი წმინდა სტიქიონის: მზისა, ცეცხლისა, ღედამიწისა და წყლისაგან შედგებოდა და იგი ორი უზენაესი ღვთაების — კეთილისა და ბოროტის სფეროებად იყოფოდა, რომელთა შორის გამუდმებული ბრძოლა არსებობდა. კეთილ ღვთაებას ა ჰ უ რ ა მ ა ზ დ ა ერქვა, ხოლო ბოროტს ა ნ ჰ რ ა — მ ა ი ა ნ ჲ უ. ადამიანის სხეული მთელი მისი ნაწილებით ბოროტ სამყაროს განეკუთვნებოდა, ხოლო სული — კეთილს. ამიტომ

ბამ ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანა და 523 წელს გურგენ მეფის მეთაურობით იბერიაში ძლიერი აჯანყება მოხდა. მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში აჯანყებულებმა მარცხი განიცადეს და ამიერიდან სპარსელებმა იბერიაშიც გააუქმეს მეფობა.

ამრიგად, სპარსეთის ხელისუფლებამ, ისე როგორც სომხეთში და ალბანიაში, ქართლშიაც შეძლო სამეფო ხელისუფლების გაუქმება. ამ მიზანს მან ქართლის ზოგიერთი დიდი აზნაურის დახმარებით მიაღწია. ამით დამთავრდა მაშინ ის დიდი განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა და რომლის მედროშე, გარკვეული წლების განმავლობაში, ვახტანგ გორგასალი იყო.

3. პოლიტიკური მდგომარეობა VI—VII საუკუნეთა მიჯნაზე. არაბთა გაძლიერება და სასანიდთა სპარსეთი. ირანელების დამარცხება ალბანთა მიერ ქართველთა დახმარებით

როგორც გავეცანით, VI საუკუნის 20-იანი წლებიდან ამიერკავკასიის ხალხები თითქმის თანაბარ პოლიტიკურ პირობებში იმყოფებოდნენ. თუმცა ალბანიას საკუთარი მეფის ხელისუფლება ჯერ კიდევ გააჩნდა, მაგრამ ამავე საუკუნის 50-იანი წლებიდან სპარსელებმა ალბანთა მეფის ხელისუფლება ისევ გააუქმეს და ამიერიდან ალბანიის მმართველადაც სპარსეთის წარმომადგენელი მარზპანი დასვეს. იგი იყო უმაღლესი ხელისუფალი. მარზპანები განაგებდნენ სასამართლო, ადმინისტრაციულ და სხვა ფუნქციებს როგორც ალბანიაში, ისე ქართლსა და სომხეთში. ქართლის აზნაურები და სომეხი ნახარარები, რომლებიც ერთ დროს სპარსეთს თავიანთ ქვეყანაში ეპატიჟებოდნენ და მას ეხმარებოდნენ, გარკვეულ დრომდე მარზპანის განკარგულების შემსრულებელნი იყვნენ. მაგრამ უცხო დამპყრობთან მათი უპრეტენზიო თანამშრომლობა არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო და ის მალე დაირღვა.

VI საუკუნის 70-იან წლებში ახლებურად გაჩაღდა ბრძოლა ამიერკავკასიაში სასანიდთა სპარსეთის ბატონობის თავიდან მოსაცილებლად. ახლა აზნაურ-ნახარარები თვითონ ჩაუდგნენ სათავეში სპარსთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლას.

ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მისი სხეული, რომელსაც თითქოს სულის სახით კეთილი გასცილდებოდა, მიწისათვის, როგორც წმინდა სტიქიონთაგანისათვის, არ უნდა მიებარებინათ. მას ან გერმეტულად გაკეთებულ ქვითკირის საფლავში სდებდნენ გასახრწნელად, ან ცხოველებს მისცემდნენ ხოლმე შესაჭმელად.

ქართული და უცხოური წყაროები გადმოგვცემს, რომ ახლა ამიერკავკასიის ხალხები ყველა გამოვიდა სპარსელების ბატონობის წინააღმდეგ. ბერძენი ისტორიკოსი თეოფანე ბიზანტიელი, რომელიც VI საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა, გადმოგვცემს, თუ როგორ აწამებდა სპარსეთის წარმომადგენელი „სურენა არმეხიელებს... და რომ ისინი შეთანხმდნენ ერთმანეთში და მოკლეს სურენა მანუელის ძმის ვარდანის და სხვა რომელიღაც ვარდის შემწეობით, და რომ არმენიელები ჩამოშორდნენ სპარსელებს და რომაელებს მიემხრნენ, დატოვეს ქალაქი დვინი, სადაც ცხოვრობდნენ, და რომაელთა მიწა-წყალზე გადავიდნენ“[1].

სპარსთა წინააღმდეგ აჯანყებულ სომხებს მიეშველნენ „კოლხები, აბაზგები და ალანთა (ოსთა — ვ. კ.) მეფე საროე; ხოლო მირანის (სპარსთა სარდალი—ვ. კ.) მხარეზე (იბრძვიან) საბირები[2], დაგანები[3] და დილმაინის ტომი“[4].

სომეხი ისტორიკოსი სებეოსი გადმოსცემს, რომ სპარსეთის მეფის ხოსრო პირველის მეფობის 41-ე წელს (571—572 წწ) სომეხი ნახარარების ერთი ჯგუფის ბელადი ვარდან მამიკონიანი აუჯანყდა სპარსელებს. ვარდანს მხარი დაუჭირა ყველა სომეხმა და თავი გათავისუფლეს სპარსეთის ბატონობისაგან. ამასთანავე, — განაგრძობს სებეოსი, — სომხები მოულოდნელად დავსხნენ თავს დვინში მყოფ მარზპან სურენს და მოკლეს ის, ხოლო შემდეგ ბიზანტიის მხარეზე გადავიდნენო[5].

სომეხი და ბიზანტიელი ისტორიკოსების ცნობას ადასტურებს არსენ კათალიკოსიც. იგი თავის ნაშრომში „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“ აღნიშნავს, რომ სპარსეთის ხელისუფლება დიდად ავიწროებდა სომეხ საერო პირებს, „რომლისათჳს ვერღარა დაითმინეს შეურაცხება იგი ფრიად ვარდან მამკუწნმა (მამიკონიანმა), რომელსა ჩიქხი ეწოდა, რომელ არს ურჩ, და ნათესავთა მისთა აზნაურთა სხუათა შერაცხილთა მოკლეს სურენ ვინმე მარზაპანი

---

[1] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ, გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936, გვ. 256 (შემდეგში მითითებული იქნება ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, სათანადო ტომისა და გამოცემის აღნიშვნით).

[2] კავკასიის მთიელთა ერთი ტომი.

[3] ჰუნთა ტომი.

[4] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა. III, გვ. 258.

[5] История епископа Себеоса, перевод Ст. Малхасянца, Ереван, 1959, გვ. 28.

სპარსი და სახლები მათი... მოწუმს ცეცხლითა და დედაწულითურთ ლტოლვილნი წარვიდეს კოსტანტინეპოლის“ [1].

სომხეთის ამ აჯანყებას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ქართლი და ალბანია. თეოფანე ბიზანტიელის გადმოცემით, აღმოსავლეთ საქართველომ გურგენის მეთაურობით ბრძოლის დროშა ააფრიალა[2]. ქართლში დაამარცხეს ირანის ლაშქრის სარდალი გოგონ მიჰრანი [3].

როდესაც ამიერკავკასიის ხალხებმა ირანის ბატონობის წინააღმდეგ მახვილი აღმართეს, მათ დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ბიზანტიის საიმპერიო[4] ხელისუფლება. მან მოხერხებულად ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და ამიერკავკასიის უდიდესი ნაწილი დაიკავა. ბიზანტია ცდილობდა სომხეთი და ქართლი შემოემტკიცებინა და ამას ახერხებს კიდეც მომდევნო წლების განმავლობაში.

დაიწყო მკაცრი ომი ამიერკავკასიის მიწა-წყლისათვის ბიზანტიასა და ირანს შორის. ბრძოლა ხშირად ცვალებადი შედეგით მთავრდებოდა, მაგრამ, როგორ ჩანს, გარკვეული წლების განმავლობაში უპირატესობას ბიზანტია ინარჩუნებდა. როდესაც ბრძოლაში ორივე მხარე მოიქანცა, ზავზე დაიწყეს მოლაპარაკება, დავობდნენ სომხეთისა და ქართლის შესახებ. ეს დავა და ზავისათვის მოლაპარაკება დიდხანს გაჭიანურდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიელებმა შეძლეს დაპატრონებოდნენ ქართლსა და სომხეთს, როგორც წყაროებიდან ჩანს, ისინი მაინც თანახმა იყვნენ გარკვეული პირობით დაეთმოთ ეს ქვეყნები ირანელებისათვის. ერთ-ერთი პირობა ის იყო, რომ ვინც არ მოისურვებდა ირანელთა ბატონობას, უფლება უნდა ჰქონოდა ბიზანტიელების მხარეზე გადასულიყო.

VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი მენანდრე გადმოგვცემს, რომ ირანელებიც მზად იყვნენ დათანხმებოდნენ ბიზანტიელებს ზემოთ აღნიშნულ პირობაზე იმ იმედით, რომ არც ერთი სომეხი და ქართველი „არ წავიდოდა უცხო ქვეყანაში სამშობლოს სიყვარულის გამო“[5].

---

[1] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, თბილისი, I, 1892, გვ. 326—327.

[2] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, ტ. III, გვ. 256—257.

[3] **История епископа Себеоса**, გვ. 31.

[4] VI საუკუნიდან აღმოსავლეთ რომის იმპერიას, ჩვეულებრივ, ბიზანტიის იმპერიას უწოდებენ.

[5] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, ტ. III, გვ. 246.

ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული საზავო მოლაპარაკება, რომ სპარსეთში შაჰის ტახტის პრეტენდენტებს შორის დიდი შფოთი ატყდა. მოწინააღმდეგეებმა აიძულეს ახლად გამეფებული ხოსრო II ჰორმიზდის ძე სპარსეთის დაუძინებელ მტერთან — ბიზანტიის კეისართან გაქცეულიყო და მისთვის დახმარება ეთხოვა. მავრიკე კეისარმა დახმარების საკომპენსაციოდ გარკვეული ტერიტორია მოსთხოვა ხოსროს. ჩანს, შეთანხმება მოხდა და მავრიკე კეისრის დახმარებით ხოსრომ ირანის შაჰის ტახტი დაიბრუნა, ხოლო სომხეთისა და ქართლის დიდი ნაწილი ბიზანტიას „დაუთმო“.

ბიზანტიასა და ირანს შორის წარმოებული ბრძოლის შედეგით, რა თქმა უნდა, ამიერკავკასიის ხალხების მდგომარეობა არ შეცვლილა; ამ ხალხებისათვის ბიზანტია და ირანი ორივე მტერი იყო და ერთი გაბატონდებოდა თუ მეორე ეს ძირითადად საქმეს არ ცვლიდა. ამიტომ ქართველები, სომხები და ალბანელები მუდამ იმას ცდილობდნენ, რომ ამ ორ მტაცებელთაგან არც ერთი არ ყოფილიყო მათი ბატონი. აღნიშნულ გარემოებას ბიზანტია და ირანიც კარგად ამჩნევდნენ და ამიერკავკასიის ხალხებს მტრულად, მუდამ ეჭვის თვალით უყურებდნენ. ამის თვალსაჩინო მაგალითს VII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის სებეოსის ერთი ცნობა წარმოადგენს.

როდესაც მავრიკე კეისრის დახმარებით ხოსრო II ირანში გაბრეფდა, ბიზანტიისა და სპარსეთის მბრძანებლებს შორის არსებული მტრობა დროებით შენელდა. სწორედ ამ დროს, სებეოსის ცნობით, მავრიკე კეისარმა ხოსრო მეორისადმი გასაგზავნი შემდეგი შინაარსის წერილის დაწერის ბრძანება გასცა: „ჩვენს (ქვეყნებს) შორის ურჩი და ქედმოუხრელი ხალხი ცხოვრობს და ის აჯანყებებს აწყობს. ამიტომ ასე მოვიქცეთ: მე შევკრებ ჩემსას (ჩემს გავლენის ქვეშ მყოფთ) და მათ ფრაკიაში გავგზავნი, ხოლო შენ შეკრიბე შენი და უბრძანე, რათა გაგზავნონ ისინი აღმოსავლეთში ჩვენი მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. თუ ისინი იქ დაიხოცებიან, ჩვენი მტრები დაიხოცებიან, ხოლო თუ დახოცენ, ჩვენს მტრებს დახოცენ და ჩვენ კი მშვიდობიანად ვიცხოვრებთ. ხოლო თუ ისინი დარჩებიან თავის ქვეყანაში, ჩვენ მოსვენება არ გვექნებაო“[1].

სებეოსი განაგრძობს, რომ ბიზანტიის იმპერატორი და სპარსეთის შაჰი შეთანხმდნენ ზემოთ აღნიშნულ საკითხზე. იმპერატორმა

[1] **История епископа Себеоса**, გვ. 45.

ბრძანება გასცა, რათა შეკრიბონ ყველა და ფრაკიაში გაგზავნონ; ის დაეინებით მოითხოვდა ამ ბრძანების შესრულებასო[1].

მაგრამ ბიზანტიისა და სპარსეთის მბრძანებლები არასდროს არ ყოფილან ერთიმეორის მიმართ გულწრფელნი. იმათ თვითონაც კარგად იცოდნენ, რომ ერთიმეორის მიმართ თვალთმაქცი იყვნენ და ერთმანეთისადმი ნდობა არ შეიძლებოდა. ამიტომ ხშირად, როდესაც ერთი მათგანი დაპყრობილ ქვეყანას აოცროებდა, უკანასკნელის უმწეო მდგომარეობას მეორე იყენებდა და შევიწროვებულნი თავის მხარეზე გადაჰყავდა. სებეოსი გადმოგვცემს, რომ, როდესაც ბიზანტიის კეისარმა სომხების მიმართ ასეთი უხეში ბრძანება გამოსცა, სომხეთის მთავრებმა, განსაკუთრებით იმ რაიონებიდან, რომლებიც სპარსთა მფლობელობაში იმყოფებოდნენ, სპარსთა სამსახურში იწყეს გადასვლა. ხოლო სპარსთა მეფე ხოსრო ყველას დიდი პატივით ღებულობდა და უფრო მეტ საჩუქრებს აძლევდა, ვიდრე ბიზანტიის კეისარი[2].

სასანიანი დამპყრობლები ამიერკავკასიაში უცხო ტომთა მომრავლებასაც უწყობდნენ ხელს. ტაბარის გადმოცემით, ხოსრო I 10.000 ხაზარი ჩაიგდო ტყვედ ხელში და ისინი ალბანიის მიწა-წყალზე დაასახლაო[3].

XI საუკუნის ერთი ავტორი, კერძოდ, სულთან ალფ-არსლანისა და მალიქ-შას პირველი ვაზირი ნიზამ ალ-მულქი თავის „სიასეტნამე"-ში სასანიანთა მბრძანებლების უხეშობის შესახებ წერდა, რომ მათი წარმომადგენელი, მარზპანი, აზერბაიჯანში და სხვა დაპყრობილ ქვეყნებში ხალხს შეუბრალებლად ეპყრობოდა. ის უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოხუც ქვრივ ქალებსაც ართმევდა „პატარა მიწის ნაკვეთებს და ამით ერთადერთ საარსებო საშუალებასაც კი უსპობდა"[4] მათო.

სპარსეთის უხეში პოლიტიკისა და აუტანელი გადასახადების შედეგად VI საუკუნის 70-იან წლებში ქართლი, სომხეთი და ალბანეთი ერთდროულად აჯანყდა სპარსეთის წინააღმდეგ. ამ აჯანყების შედეგად იბერიასა და სომხეთში ძლიერ შეირყა სასანიანთა სპარსეთის ბატონობა, მაგრამ, ჩანს, მთლიანად ვერ იქნა თავიდან მოცილებული.

მშვიდობიანობა, რომელიც ბიზანტიასა და სპარსეთს შორის დამყარდა, არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო და ის

---

[1] **История епископа Себеоса**, გვ. 45.

[2] იქვე.

[3] **История Азербайджана**, I, გვ. 95.

[4] იქვე, გვ. 94.

მართლაც მალე დაირღვა. მათ შორის ატყდა ომი, რომელიც დიდხანს გაგრძელდა. მოპირდაპირენი რიგ-რიგობით ანადგურებდნენ ამიერკავკასიის ხალხებსა და მათ ნაჭირნახულევს. ამიერკავკასიის ხალხები, ისე როგორც ყოველთვის, ახლაც მტრებს არ უთმობდნენ და ცალ-ცალკე თუ ერთობლივი ძალით ქედმოუხრელად იბრძოდნენ.

ბიზანტია-სპარსეთს შორის წარმოებულ ამ ომში გამარჯვებული ბიზანტია გამოვიდა. მაგრამ მან ამიერკავკასიიდან სპარსეთი მთლიანად მაინც ვერ განდევნა, ჩანს, მან ალბანიაში თავისი გავლენა ვერ გაავრცელა. ხანგრძლივ ომში მოქანცულმა და შემოსავალშემცირებულმა სპარსეთმა კიდევ უფრო გააძლიერა დაპყრობილი ქვეყნების ეკონომიური შევიწროება. VI—VII საუკუნეთა მიჯნაზე, ხოსრო II მეფობის დროს, სპარსელებმა კიდევ უფრო გაადიდეს გადასახადი დაპყრობილ ქვეყნებში. მარტო 608 წელს 600 მილიონი დირჰემი[1] შემოუვიდა სასანიანების სალაროს[2].

VII საუკუნის დასაწყისში ბიზანტიასა და სპარსეთს შორის კიდევ დაიწყო ომი. მისი დაწყებიდან პირველი ათეული წლების განმავლობაში უპირატესობა სპარსეთს ჰქონდა. მაგრამ ამ უპირატესობას ბოლო მოეღო ბიზანტიაში ჰერაკლე კეისრის მეფობის დროს. ჰერაკლე 610 წელს გამეფდა და სამი წლის შემდეგ სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო. მან პირველად ამიერკავკასიისაკენ მიმართა მახვილი. გადაწყვიტა ჯერ აქედან განედევნა სპარსეთი, ხოლო შემდეგ თვით სპარსეთისათვის შეეტია. ამ მიზნით მან 614 წელს სომხეთი დალაშქრა და ადარბადაგანამდე ანუ ირანის აზერბაიჯანამდე მიაღწია.

მოსე კალანკატუელის ცნობით, ჰერაკლე კეისარი პირველად პირდაპირ არ ჩაება ბრძოლაში სპარსელებთან. ის ზღვით, ეგრისზე გავლით, სომხეთში მოვიდა. ამის გაგებისთანავე სპარსეთის შაჰი ხოსრო, რომელიც მაშინ მიდიაში (იგულისხმება ადარბადაგანი) იმყოფებოდა, სამხრეთისაკენ გაიქცა[3].

ადარბადაგანიკ დამორჩილების შემდეგ ჰერაკლე კეისარი ბარდავის მხარეში გამოემართა დასაზამთრებლად. ამავე დროს ალბა-

---

[1] ვერცხლის მონეტა. ერთი დირჰემის ღირებულება დაახლოებით ერთი დინარის (ოქროს მონეტა დაახლოებით 5 მანეთი) 1/10-ს უდრიდა, ხოლო წონა დაახლოებით 3 გრამს.

[2] **История Азербайджана**, I, გვ. 94.

[3] **История Агван Моисея Каганкатваци**, გვ. 101; შდრ. **История епископа Себеоса**, გვ. 82.

ნიას, სომხეთსა და იბერიას მორჩილებისა და ბრძოლაში თავის მხარეზე გამოსვლის წინადადება მისცა. ალბანია, რომელიც მაშინ, როგორც ჩანს, ირანის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, არ დაემორჩილა კეისრის განკარგულებას. ამიტომ „ბერძენთა (ბიზანტიელთა— ვ. კ.) ურიცხვი ლაშქარი"[1] ალბანიაში შეიჭრა და ქვეყანა გაანადგურა.

ჰერაკლე კეისარმა მუქარით მიმართა სომხებსა და ქართველებს და უსიტყვო მორჩილება, სამსახური და სურსათ-სანოვაგის მიწოდება მოითხოვა მათგან.

თეოფანე ქრონოგრაფის ცნობების საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ჰერაკლეს ლაზები, აფხაზები და იბერიის ერთი ნაწილი მიმხრობია, მეორე ნაწილი თბილისითურთ სპარსელების ერთგული ყოფილა. ამგვარად, კეისარს მოკავშირეებად სხვათა შორის ლაზთა, აფხაზთა და იბერთა ჯარებიცა ჰყავდაო"[2].

ამრიგად, წყაროებიდან ჩანს, რომ ალბანელები არ დაეხმარნენ კეისარს, ხოლო ქართველები კეისრის მოთხოვნებით შეწუხებულნი, ბრძოლის დროს გაემიჯნენ მას და ბიზანტიელთა ბანაკი მიატოვეს. ამის შემდეგ ხაზარებთან ერთად განაგრძო ჰერაკლემ ბრძოლა სპარსთა წინააღმდეგ.

ამიერკავკასიის ხალხთა გაბატონებულ წრეებში, ისე როგორც სხვა დროს, ახლაც იყვნენ საგარეო ორიენტაციის საკითხში ურთიერთდაპირისპირებულ ადამიანთა გარკვეული ჯგუფები, რომელთაგან ზოგი ბიზანტიის, ხოლო ზოგი სპარსეთის ორიენტაციას მოითხოვდა. ამ ხალხების ინტერესები კი მათი ძალების გაერთიანებას და თანხმობით მოქმედებას საჭიროებდა. მაგრამ ამის განხორციელებას სწორედ გაბატონებული წრეები უშლიდნენ ხელს ხშირად, საგარეო პოლიტიკაში შეუთანხმებლობისა და განსხვავებული ორიენტაციის წყალობით ისინი შინაგან ძალებს ქსაქსავდნენ და ამით ქვეყნის თავდაცვის საქმეს ზიანს აყენებდნენ.

როგორც ნათქვამი იყო, ბიზანტიის კეისარმა ვერ გამოიყენა ამიერკავკასის ხალხები თავის სურვილისამებრ. ამიტომ მან ამ ხალხების დასჯა გადაწყვიტა; ამ საქმეში მას მისი ძლიერი მოკავშირე ხაზართა ხაკანი უნდა დახმარებოდა.

ხაზარები, რომელთაც სპარსეთის სიძულვილი ბიზანტიასთან აკავშირებდა, თვითონაც დაინტერესებულნი იყვნენ ამიერკავკასია-

---

[1] История Агван Монсея Каганкатваци, 192; შდრ. История Азербайджана, გვ. 97.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1951, გვ. 263.

ში შემოჰრით. იმ ხანებში ერთ-ერთი თავდასხმის დროს მათ მოარბიეს ალმოსავლეთი ამიერკავკასია, კერძოდ კი ალბანთა ქვეყანა. დიდმა ნადავლმა მადა გაუხსნა ხაზარებს.

მოსე კალანკატუელი გადმოგვცემს, რომ, როცა ხაზართა „მთავარმა იხილა სიმრავლე ნადავლისა, კაცთა და პირუტყვთა, ოქროს ჭურჭლისა და ძვირფას სამოსთა, განიზრახა თვით წასულიყო იმ მხარეებში“, საიდანაც ეს ნივთები მოიტანესო[1]. სწორედ ეს ის დრო იყო, როდესაც ბიზანტიის კეისარი, სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმული და ამიერკავკასიის ხალხებზე გაჯავრებული, დახმარებისაკენ მოუწოდებდა ხაზართა ხაკანს. უკანასკნელიც სამზადისს შეუდგა. იმავე ისტორიკოსის გადმოცემით, ხაკანმა „შეატყობინა ყველას, ვინც მის ხელქვეით იყო, თითოეულ ტომსა და ხალხს, მთისა და ბარის მცხოვრებლებს, ბინადარსა და მომთაბარეს... თავგადაპარსულებსა და გრძელთმიანებს, რომ მის ნიშანზე სავსებით მზად ყოფილიყვნენ... არავის შეეძლო მისი ჯარის სიმრავლის დათვლა“[2].

როდესაც ალბანელებმა ეს საშინელი ამბავი გაიგეს, მტრის წინააღმდეგ ბრძოლის მზადებას შეუდგნენ. სპარსთა წარმომადგენელთან — ვინმე გაჲშაჰთან ერთად, რომელიც მაშინ ალბანიაში იმყოფებოდა, გადაწყვიტეს ქალაქი ბარდავი გაემაგრებინათ და დაეცვათ[3].

ხაზარები დარუბანდის გზით ჯიბღუ ხაკანის მეთაურობით ალბანიაში შემოიჭრნენ. კალანკატუელი აღნიშნავს, რომ როდესაც ალბანელებმა, კერძოდ, ბარდავის მცხოვრებლებმა მოსული თავხედი, წამწამებმოკლებული, ფართო სახის საზიზღარი შესახედაობისა და ქალურად თმაგადაშვებული მტერი დაინახეს, ისინი ძრწოლამ აიტანა. მათ შეეშინდათ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შორს მსროლელი მტრის მოისარნი ნახეს. ხაზარებმა სეტყვასავით დააყარეს ისრები ალბანელებს და, როგორც მძორის მჭამელი მგლები[4], მოურიდებ-

---

[1] История Агван Моисея Каганкатваци, გვ. 104.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] დამახასიათებელია, რომ ხაზარების ანალოგიურ დახასიათებას იძლევა VIII საუკუნის ქართველი მოღვაწე იოანე საბანისძეც. იგი წერს, რომ არაბთაგან ლტოლვილი ნერსე ქართლის ერისმთავარი „შევიდა ჴეუყანასა მას ჩრდილოჲასასა, სადა იგი არს სადგური და საბანაკჲ ძეთა მაგოგისთჲს, რომელ არიან ხაზარნი, კაც ველურ, საშინელ პირითა, მჭეცის ბუნება, სისხლის მჭამელ, რომელთა შჯული არა აქუს“ (ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. პროფ. კორნ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით, თბილისი, 1935, გვ. 64—65).

ლად და დაუზოგავად ხოცავდნენ ხალხს ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე. შეუბრალებლად ექცეოდნენ მოხუცებს, უმწეო მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს და ყველას, რომლებსაც მათთვის არავითარი ენების მიყენება არ შეეძლო. არ იბრალებდნენ არც ჩვილ ბავშვებს, რომელნიც ეხვეოდნენ მოკლულ დედებს და რძის მაგიერად მათი ძუძუდან სისხლს სწოვდნენ. როგორც ცეცხლი ლერწამში, ისე შედიოდნენ და გადიოდნენ ერთი კარებიდან მეორეში და სახლში მტაცებელ მხეცთა და ფრინველთა ნამოქმედარს ტოვებდნენო[1].

ზემოაღნიშნული არაადამიანური და მხეცური მოქმედების შემდეგ ხაზართა ბრბოები იბერიისაკენ გამოეშურნენ. 626 წელს ალყა შემოარტყეს ფაქიზს, სახელოვანსა და დიდ ქალაქ თბილისს. ხაზარებს დაუყოვნებლივ მოეშველა ჰერაკლე კეისარი დიდი ლაშქრით და მოკავშირეებმა ბრძოლა დაიწყეს თბილისის ასაღებად[2].

თბილისელები მხნედ ებრძოდნენ გარშემორტყმულ ძლიერ მტერს, ხაზართა და ბიზანტიელთა გაერთიანებულ ლაშქარს. თბილისელთა მხნეობის, ქედმოუხრელობისა და ბრძოლის შესახებ მოსე კალანკატუელი წერს: „დიდად გული მიეცათ და დაუწყეს დაცინვა ორივე მეფეს (ე. ი. ხაზართა და ბიზანტიელთა მეფეებს — ვ. კ.), თუმცა კი ხედავდნენ ურიცხვ სიმრავლეს ჩრდილოეთისა და დასავლეთის ჯარებისას, რომელნიც მთებივით გარს შემოსდგომოდნენ ქალაქს: აგრეთვე მანჭანებს, ოთხთვალებსა და ჰრომაელთა ოსტატების ხელით გაკეთებულ სხვადასხვა საშუალებებს, რომელნიც უცდომლად ისროდნენ უზარმაზარ ქვებს და აქცევდნენ კედლებს; აგრეთვე ქვებით გავსებულ. გაბერილ უზარმაზარ ტიკებს, რომლებითაც (აგუბებდნენ) ქალაქის გვერდით მიმდინარე მტკვარს და მას პირდაპირ კედლებისაკენ აძლევდნენ მიმართულებას. მაგრამ მათ (ე. ი. თბილისელებს — ვ. კ.) არაფრის არ ეშინოდათ, ამხნევებდნენ ერთმანეთს და მტრის მიერ დანგრეულს აშენებდნენ და აღადგენდნენ“[3].

მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა, მტერი იძულებული გახდა ბრძოლის დროებით შეწყვეტის გადაწყვეტილება მიეღო. როდესაც თბილისელებმა ეს შეამჩნიეს, მასხრად აიგდეს ვერაგი და დაუნდობელი მტრები, რომლის შესახებ მოსე კალანკატუელი წერს: „როდესაც ქალაქის მცხოვრებლებმა გაიგეს მათი (მტრების) სისუს-

---

[1] История Агван Моисея Каганкатваци, გვ. 105.

[2] იქვე, გვ. 107.

[3] ვ. ნ ა ლ ბ ა ნ დ ი ა ნ ი, თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, თარგმანი ნ. ჯანაშიასა და ე. ცაგარეიშვილის, თბილისი, 1959, გვ. 38—39; შდრ. История Агван Моисея Каганкатваци, დასახელებული გამოცემა, გვ. 107.

ტე. კიდევ უფრო გაამაყდნენ და ერთი ოინი გაითამაშეს, რომელიც შემდეგში მათი დაღუპვის მიზეზი უნდა გამხდარიყო. მოიტანეს ერთი დიდი კვახი, ზედ ჰუნების (ე. ი. ხაზარების) მეფე დახატეს ერთი წყართის სიგრძისა და სიგანისა. წამწამების ნაცვლად წვრილი ხაზი გაავლეს, რომელიც შორიდან შეუმჩნეველი იყო, წვერის ადგილას საზიზღარი სიტიტვლე დატოვეს. ცხვირის ადგილას კი ერთი მტკაველის სიფართის ულვაშები (გაუკეთეს) თმებისაგან, რომლითაც ძნელად თუ ვინმე იცნობდა მას. (ეს კვახი) გამოიტანეს მათს წინაშე, დასდვეს ციხის გალავანზე და (მტრის) ჯარს უყვიროდნენ და ეუბნებოდნენ: „აი თქვენი კეისარი მეფე, მობრუნდით, თაყვანი ეცით. ეს ჯებუ-ხაკანიაო". (შემდეგ) აიღეს შუბი და მათ თვალწინ ხვრეტდნენ ამ კვახს, რომელიც დაემსგავსებინათ მისთვის (ჯებუ-ხაკანისათვის). ასევე მასხარად აიგდეს მეორე მეფეც. დასცინოდნენ. აგინებდნენ, ბილწსა და მამათმავალს ეძახდნენ" [1].

ამავე საკითხზე „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ავტორი წერს, რომ „მაშინ ჩამოვლო ჰერაკლჱ მეფემან ბერძენთამან და უკმო ციხისთავმან კალაჲთ ტფილისისაჲთ მეფესა ჰერაკლეს ვაცბოტობით... და მეფემან თ᷾ქა: უკუეთუ ჩემთჳს ესრეთ იყოს სიტყუაჲ მე მიგაგო მისაგებელი შ᷾ნი. და აუტეევა ჯიბღო ეროსთავი ბრძოლად და თჳთ წარვიდა ბაღდადს ბრძოლად ხუასრო მეფისა" [2].

გაჯავრებულმა ჩრდილოეთელმა მტაცებლებმა და ბიზანტიის მბრძანებელმა ბრძოლაზე დროებით ხელი აიღეს და წავიდნენ [3].

ვერაგ მტრებს თბილისის აღებისათვის ბრძოლაზე საბოლოოდ კი არ აუღიათ ხელი, არამედ მიზნის მისაღწევად სამზადისს განაგრძობდნენ და ხელსაყრელ დროს უცდიდნენ.

627 წელს ბიზანტიელებმა და ხაზარებმა შეტევა გააძლიერეს. ჰერაკლე კეისარმა, რომელიც სპარსეთის სამეფოს მიწა-წყალზე შეიჭრა და იქ უტევდა მოწინააღმდეგეს, უდიდეს გამარჯვებას მიაღწია. მისმა მოკავშირე ხაზარებმა კი ამიერკავკასიის ხალხებს თავს უბედურება დაატეხეს. ჯიბღუ-ხაკანთან ერთად ხაზართა ამ მხეცურ ლაშქრობასა და მოქმედებას მისი შვილი შათი მეთაურობდა. ხაზართა მოქმედებას და მის საშინელ შედეგს მოსე კალანკატუელი შემდეგნაირად აგვიწერს: „...მოვიდა წამხდენელი მხეცი თავის სისხლისმსმელ ლეკვთან (ე. ი. შვილთან) ერთად, რომელსაც შათი ერქვა. იგი ჯერ ქართველთა ქვეყნის ქალაქ თბილისის წინააღმდეგ გაემართა.

---

[1] ვ. ნ ა ლ ბ ა ნ დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

[2] Е. Такайшвили, Описание рукописей, т. II, Тифлис, 1906 — 1912, გვ. 724—725.

[3] История Агван Моисея Каганкатваци, გვ. 109.

ძველ მხნე კაცთაგან არავინ იყო (ქალაქის) შიგნით. ამიტომ მან ხელსაყრელად ჩასთვალა დრო მათგან მიღებული შეურაცხოფისათვის ანგარიშის გასასწორებლად. ალყა შემოარტყა ქალაქს და დაუწყო ბრძოლა. შეავიწროვა (ქალაქის) მცხოვრებლები, რომელნიც მის წინააღმდეგ (იბრძოდნენ). ფრიად დაშავრნენ ისინი ორი თვის განმავლობაში. მაშინ დაუღრიალა მათ განძვინებულმა მხეცმა, ბევრი დაიჭირა და დაახრჩობინა თავის ლომის ბოკვერებს. აავსო თავისი ბუნაგი ნანადირევით და თავისი ჯარი ნაძარცვით. მათ იშიშვლეს ხმლები და ყველამ მიაშურა გალავანს, სადაც ერთმანეთზე დახროვდნენ ისეთი სიმრავლით, რომ ზღუდესაც კი ასცილდნენ. მაშინ ბნელი ჩრდილი დაეცა ქალაქის მცხოვრებლებს, დაიშალნენ მათი სხეულის ნაწევრები, დაუსუსტდათ მკლავები, დამარცხდნენ, დაიხიეს კედლებიდან და მონადირის მახეში გაბმულ ბეღურასავით შეშინებულმა ვერც ერთმა ვერ შეძლო სახლში მიესწრო ამ საშინელი ამბის მისატანად, რომ ეთქვა საყვარელი მეუღლისათვის, შეეცოდებინა თავისი მუცლით ნაშობი შვილი, ანდა გაეხსენებინა მშობლებისათვის მშობლიური შეწყალების შესახებ. არამედ თავზარდაცემულნი ცდილობდნენ, დამალულიყვნენ ზოგნი ერდოებზე [1], ზოგნი წყალსადენებში, ხოლო მრავალმა მიმართა წმინდა ეკლესიების ჭერს. ხმა მათი სულთქმისა ამოდიოდა. როგორც დიდი ცხვრის ფარისა კრავთა მიმართ, ან დედისა ყრმისადმი. ხოლო მათ შემდეგ უწყალო მომკალნი (მოვიდნენ), მათმა ხელებმა დააყენეს სისხლის ნაკადულები, ფეხებით თელავდნენ გვამებს, ხოლო თვალები ხედავდნენ დაყრილ მკვდრებს, როგორც სეტყვის ღვარს. როდესაც შეწყდა ხმა ტირილისა და ვაებისა და აღარავინ დარჩა ცოცხალი, მაშინ მათაც გაიგეს, რომ დაძღნენ მათი მახვილნიც"[2].

ველურმა ხაზარებმა მართლაც საშინელება დაატრიალეს თბილისში, არ დაინდეს ქალაქი არც ეკონომიური განადგურებით და არც მცხოვრებთა ფიზიკური მოსპობით. მორალსა და ადამიანურ გრძნობებს მოკლებული ხაზარები ხარბად დაეწაფნენ თბილისის სიმდიდრეს. „...ხელთ იგდეს ყუთები განძით სავსე, მთელს სიმრავლეს ჯარისას ზურგით მიჰქონდა ისინი და თავიანთი მბრძანებლის წინაშე ახვევებდა ერთმანეთზე. იმდენ ხანს მიჰქონდათ ისინი მის წინაშე, რომ ყურებაც კი მოსწყინდა ოქროსა და ვერცხლის ფულების ურიცხვი

---

[1] ერდო — სახლის ზედა კერძო ბანი (სახა).

[2] ვ. ნ ა ლ ბ ა ნ დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 43—44; შდრ. **История Агван Моисея Каганкатваци**, გვ. 119—120.

სიმრავლისა. ხოლო ვინ მოსთვლის მარგალიტის ქვებით მოოქვილ საეკლესიო სამკაულსა და ჭურჭელს"[1].

მტერმა თბილისი აიღო, მრავალი ადამიანი ამოხოცა და თბილისს დაცვის ხელმძღვანელებიც ხელთ იგდო. აღსანიშნავია, რომ, მემატიანეს სიტყვით, თბილისის ორ მმართველთაგან, რომლებიც ხაზარებმა შეიპყრეს და მეფეს მიჰგვარეს, ერთი იყო სპარსეთის წარმომადგენელი, ხოლო მეორე ქალაქის მკვიდრთაგანი იბერიის დიდებულთა წოდებიდან[2]. ისინი კეისარს მიჰგვარეს, რომლის განკარგულებით მათ ჯერ თვალები დასთხარეს, ხოლო შემდეგ ჩამოახრჩეს. ტყავი გააძრეს, თივით გატენეს და ზღუდის კედელზე ჩამოჰკიდეს[3].

„მოქცევაჲ ქართლისაჲს" ავტორის ცნობით, ბიზანტიელებსა და ხაზარებს თითქოს ჰერაკლეს სპარსეთში გამგზავრების შემდეგაც არ მოუხსნიათ ალყა თბილისის ციხისათვის და გაუგრძელებიათ ბრძოლა. ის წერს, რომ „ამან ჯიბღო მცირეთა დღეთა შემდგომად კალაჲ გამოიღო და ციხის თავი იგი შეიპყრა და პირი დრაჰკნითა აღუვსო და მერმე მრთელსა ტყავი გაჰჭადა და მეფესა უკუანა მისწია გარდბანს ვარაზ გრიგოლისსა შინა"[4].

თუმცა მოსე კალანკატუელი არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რამდენად იზიარებდა მაშინ იბერიისა და მისი დედაქალაქის ამ გაჭირვებას მეზობელი ალბანია და სომხეთი, მაგრამ ის კი უდავოა, რომ ალბანთა მეისტორიე (სომეხი მოღვაწე) თბილისზე თავდატეხილ ამ უბედურებას ისე განიცდის, როგორც საკუთარი ქვეყნის ბედს.

თბილისის აღებისა და მისი განადგურების შემდეგ ხაზარები, ალბათ ისინი, ვინც სამშობლოში არ გამგზავრებულა. მეზობელ ალბანიას შეესიენ. მოსე კალანკატუელის ცნობების თანახმად, იქ მაშინ სპარსეთის წარმომადგენელი, მარზპანი, იყო მმართველად. ამ უკანასკნელს და ალბანთა ქრისტიანული ეკლესიის მამამთავარს ვიროს ხაზარებმა უსიტყვო მორჩილების წინადადება მისცეს. გზააბნეული მარზპანი ირანში გაიქცა, ხოლო კათალიკოსმა ვიროს ხაზართა მოციქულებს გარკვეული პასუხი ვერ გასცა. მძარცველები ალბანიის ყველა კუთხეს მოედვნენ და მთელი ალბანია გაძარცვეს და გაანადგურეს[5].

---

[1] ვ. ნალბანდიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45—46; **История Агван Моисея Каганкатваци**, გვ. 120.

[2] **История Агван Моисея Каганкатваци**, გვ. 120.

[3] იქვე.

[4] **Описание рукописей**, გვ. 725.

[5] **История Агван Моисея Каганкатваци**, გვ. 122.

სასანიანთა სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ბიზანტია ახლაც გამარჯვებული გამოვიდა. მაგრამ, ჩანს, ამიერკავკასიიდან სპარსეთის გავლენის აღმოფხვრა მთლიანად მან ვერც ახლა შეძლო. წყაროების ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სასანიანთა სპარსეთი ალბანიაში თავის გავლენას მანამდე ინარჩუნებდა, სანამ ახალმა დამპყრობლებმა — არაბებმა სპარსეთი არ გაანადგურეს.

VII საუკუნის 30-იან წლებში არაბებმა ძლიერი შეტევა დაიწყეს ირანზე. ბიზანტიისა და ხაზარების წინააღმდეგ ხანგრძლივ ბრძოლაში დასუსტებულ სასანიანთა სპარსეთს აღარ შესწევდა ძალა დიდი წინააღმდეგობა გაეწია არაბთა ძლიერი ძალებისათვის. 636 წელს არაბებმა დაამარცხეს სპარსთა ლაშქარი და სასანიანთა შაჰების სატახტო ქალაქიც დაარბიეს.

ამ ბრძოლაში სპარსთა მხარეზე ალბანთა ლაშქარიც ღებულობდა მონაწილეობას გარდაბნის მთავრის ჯუანშერის მეთაურობით, რომელიც სპარსელების დამარცხების შემდეგ თავისი ლაშქრით სამშობლოში დაბრუნდა.

არაბთაგან დამარცხებული სპარსელი ფეოდალები 639 წელს დიდი ლაშქრით ალბანიის მიწა-წყალზე შემოიჭრნენ და რბევა დაუწყეს მას. ირანის შაჰის გუშინდელი თანამებრძოლი ჯუანშერი ახლა იძულებული გახდა ირანელების წინააღმდეგ ბრძოლას ჩადგომოდა სათავეში. თავდასხმელებს ძლიერი ბრძოლა გაუმართეს ალბანელებმა ჯუანშერის მეთაურობით [1].

მოსე კალანკატუელის გადმოცემით, ალბანელებმა პირველი შეხვედრის დროს დაამარცხეს მტერი [2]. მაგრამ სპარსელებმა მაინც არ აიღეს ხელი ბრძოლაზე და, ჩანს, იბერიისა და ალბანიის საზღვარზე გადმოინაცვლა ბრძოლის ველმა. ჯუანშერმაც, ალბათ გარკვეული სტრატეგიული თვალსაზრისით, იბერიის საზღვრებს მოაშურა. ის თავის სამფლობელოს საზღვრებიდან მტკვრის მეორე მხარეზე, კამბეჩოვანში, გადავიდა და იქ გაუმართა ბრძოლა მოწინააღმდეგეს. აქ მან მტერს დიდი ზიანი მიაყენა, მაგრამ ბრძოლის დროს დაიჭრა [3].

ალბანთა მეთაურს იბერიის მიწა-წყალი და საზღვრები საიმედო ადგილად მიაჩნდა და მეგობრულად განწყობილი ხალხის, ქართველების, მიწა-წყალზე თავს თავისუფლად გრძნობდა. ამიტომ იყო, რომ მოსე კალანკატუელის გადმოცემით, გამარჯვების შემდეგ, დაჭრილი ჯუანშერი თავისუფლად ისვენებდა იბერიის საზღვრებთან [4].

---

[1] История Азербайджана, I, გვ. 105.

[2] История Агван Моисея Каганкатваци, გვ. 141.

[3] იქვე, 141.

[4] იქვე, 142.

იბერია, ჩანს, ბიზანტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა მაშინ და მისი მმართველიც, ჰერაკლეს გამარჯვების შემდეგ, ბიზანტიის მიმხრობას ამჯობინებდა. ამდენად ჯუანშერის მიერ სპარსთა წინააღმდეგ გამოსვლა ალბანთა მთავარს იბერიის მმართველის მომხრედ ხდიდა საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში.

ალბანელები მოძმე ქართველი და სომეხი ხალხებისაგან არა მარტო მორალურ მხარდაჭერას პოულობდნენ ამ ბრძოლაში, არამედ უანგარო სამხედრო დახმარებასაც. იგივე მემატიანის გადმოცემით, როდესაც ალბანთა მთავარი ჯუანშერი დაჭრილი იყო და იბერიის საზღვართან ისვენებდა, მასთან მოვიდა კაცი დიდად პატიოსანი, ამ ქვეყნის მმართველი ადრნერსე მთაჭარი, რომელსაც რომაელთა მეფეებისაგან სამმაგი პატივი ჰქონდა. იგი დიდად გახარებული იყო ჯუანშერის გამარჯვებით და, დაჭრილისადმი მოვლა-მზრუნველობის გარდა, დაურღვეველი საზავო ხელშეკრულება დადო მასთან და ქართველთა ჯარი მიაშველა ალბანთა მთავარს. ჯუანშერი იბერთა დამხმარე ლაშქრით უტის მხარეში გაემართა და გაანადგურა ყველა, ვინც მას სპარსთა ლაშქრიდან შეხვდა[1].

ალბანთა მთავარი ჯუანშერი მეზობელ სომხეთის მხედართმთავრებთანაც სდებს ახლა კავშირს[2] და, ამრიგად, სამი მოძმე ხალხი — ქართველები, ალბანელები და სომხები — ერთად იბრძვიან სპარსთა წინააღმდეგ.

როგორც დამოწმებული ცნობიდან ჩანს, ადრნერსეს ბიზანტიის მთავრობისაგან სამი პატივი, ე. ი. ტიტული, ანუ თანამდებობა ჰქონდა მიღებული. ხშირად ასეთ შემთხვევაში ის პირი, ვისაც კეისრისაგან გარკვეული პატივი ჰქონდა მიღებული, ბიზანტიის სახელმწიფო სალაროსაგან ხელფასს იღებდა. ბიზანტიის მთავრობა ადრნერსე მთავარის მსგავს ადამიანებს პატივსა და ხელფასს იმიტომ აძლევდა, რომ ამით მათი გაერთგულება სურდა. ამ შემთხვევაში ადრნერსეს გაერთგულებას სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლაში მისი გამოყენების მიზანიც ჰქონდა. მაგრამ ადრნერსე და მისი მსგავსი პირები გულუბრყვილონი როდი იყვნენ. ხშირ შემთხვევაში ისინი ცდილობდნენ კეისრის მათდამი ასეთი დამოკიდებულება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ადრნერსე რომ სპარსეთს ებრძოდა და ალბანთა მთავარს ეხმარებოდა, ეს იმიტომ კი არა, რომ ბიზანტიისათვის ზრუნავდა, არამედ იმიტომ, რომ მეზობელი ალბანიისადმი დახმარებით საკუთარ ქვეყანასაც იცავდა.

---

[1] **История Агван Моисея Каганкатваци**, გვ.. 141, შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ. 157.

[2] **История Азербайджана**, II, გვ. 105.

4. ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლა არაბების წინააღმდეგ

VII საუკუნის შუა წლებიდან ახალი დამპყრობლები მოევლინა ამიერკავკასიის ხალხებს. ესენი იყვნენ, როგორც ცნობილია, არაბები. მათი ბატონობა აქ საუკუნეთა მანძილზე გაგრძელდა და მან სათანადო კვალი დატოვა ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიაში.

არაბები ეთნიკურად სემიტთა მოდგმის ხალხს ეკუთვნიან. „მსოფლიო ისტორია იცნობს ხალხთა მოძრაობის ორ დიდ კერას: ერთი არის შუა აზია, თურქულ-მონღოლური ტომების სამშობლო, საიდანაც დროგამოშვებით გადმოდენილი ეთნიკური ზვირთები წამლეკავი სიძლიერით ეფინებოდნენ მეზობელ ქვეყნებს და, უპირატესად, დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მოძრაობდნენ. კავკასიურ სამყაროს ისინი აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ევლინებოდნენ.

მეორე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კერა არაბეთის ნახევარკუნძულია“ [1]. ამ კუნძულიდან არა ერთხელ გამოსულა სემიტთა მოდგმის დიდი ტალღა, რომელსაც წაულეკია ბევრი ქვეყანა. კერძოდ, წინააზია.

არაბეთის ნახევარკუნძულიდან გამოსული არაბთა ეს ტალღა ჯერ-ჯერობით ცნობილია მეხუთე დიდი საემიგრაციო სემიტური ტალღად. არაბთა ტომების გაერთიანება არაბეთის ნახევარკუნძულზე, როგორც ცნობილია, მოხდა VII საუკუნის დამდეგს. ამ ახალი სახელმწიფოს მეთაური იყო მუჰამედი, რომელიც სავაჭრო-ფეოდალურ წარჩინებულთა წრეს ეკუთვნოდა. მან შეუქმნა არაბებს ახალი სარწმუნოება—„ისლამი“, რაც მინდობას ნიშნავს. ამიტომ ამ სარწმუნოების მიმდევართ „მუსლიმებს“, ე. ი. „მინდობილებს“ ეძახიან. ეს იგივე მაჰმადიანური სარწმუნოებაა. უკანასკნელი სახელი კი თვით ამ სარწმუნოების ფუძემდებლის „მუჰამედის“ ანუ „მაჰმადის“ სახელიდან მომდინარეობს. ეს სარწმუნოება მუჰამედმა და შემდეგ მისი საქმის გამგრძელებელმა ხალიფებმა იდეოლოგიური ბრძოლის იარაღად გამოიყენეს და ცეცხლითა და მახვილით ჯერ ცელებდნენ მას დაპყრობილ ქვეყნებში.

გაძლიერებული არაბები მალე სპარსეთს მიადგნენ. 636 წელს, როგორც აღნიშნული იყო, არაბებმა სასტიკად დაამარცხეს სასანიანთა სპარსეთის რჩეული ლაშქარი და შეტევა განაგრძეს. ისინი ჩრდილოეთისაკენ გამოიჭრნენ და მათი დამრბევი ლაშქარი 640 წელს სომხეთში ქ. დვინს დაესხა თავს, სადაც ძლიერი ომი გაიმართა დვინელთა და თავდამსხმელთა შორის. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში

[1] ს. ჯანაშია, შრომები, II, 1952, გვ. 343.

დვინელებმა მარცხი განიცადეს. დვინელთაგან 12,000 კაცი შეეწირა ამ ბრძოლას [1], ხოლო 37,000 ტყვედ ჩაიგდო მტერმა [2]. ტყვეებითა და ნადავლით დატვირთული არაბები სომხეთიდან გავიდნენ.

640 წელს ქ. დვინზე არაბთა თავდასხმის შესახებ სომეხი ისტორიკოსი სებეოსი შემდეგს გადმოგვცემს: მტერმა ცეცხლი გააჩაღა ქალაქის ირგვლივ. ბოლითა და ისრების დაშენით განდევნეს ქალაქის კედლებთან მდგომი გუშაგები; გააკეთეს კიბეები, ავიდნენ კედლებზე, შევიდნენ ქალაქში და გააღეს მისი კარები. მტრის ლაშქარი ქალაქში შეიჭრა და მცხოვრებთა უმრავლესობა ამოწყვიტა. ნაძარცვი ქონებით დაბრუნდა ისევ თავიანთ ბანაკში და განლაგდა. ეს მოხდა პარასკევს *ტრზ* [3] თვის 20 რიცხვში. დაისვენეს რა რამდენიმე დღე, ისინი იმავე გზით დაბრუნდნენ. რომლითაც მოვიდნენ, და 35.000 ტყვე თან წაიყვანესო [4]. სომხეთის მმართველი მცირერიცხოვანი ლაშქრით ჩაუსაფრდა მტერს და თავს დაესხა მას, მაგრამ ვერაფერს გახდა და გაიქცა. არაბები დაედევნენ მას და ბევრი მებრძოლი დაუხოცეს. ხოლო შემდეგ ასირიაში წავიდნენო [5].

არაბთა ამ ლაშქრობას სომხეთის დაპყრობის მიზანი არ ჰქონია. არაბები ნადავლით იყვნენ დაინტერესებულნი და მისი ხელში ჩაგდების შემდეგ სომხეთიდან გავიდნენ. არაბთა ამ ლაშქრობის გამანადგურებელი შედეგი მხოლოდ სომხეთს ხვდა წილად და ქართველთა და ალბანთა მიწა-წყალმდე მათ არ მიუღწევიათ. მტრის წინააღმდეგ ბრძოლაშიც მარტო სომხები ჩაებნენ და ქართველები და ალბანელები მათ ვერ მიეშველნენ.

სომხეთიდან დაბრუნებული არაბები არაბთა სხვა რაზმებთან ერთად ირანის საბოლოოდ დაპყრობისათვის იწყებენ ბრძოლას. 641—642 წლებში არაბებთან ბრძოლაში უდიდესი მარცხი განიცადა სპარსეთის შაჰმა იეზდიგერდ III [6].

---

[1] **История армянского народа, I, გვ. 112.**

[2] **Всеобщая история Вардана Великого, გვ. 85.**

[3] „*ტრზ* (*Տրէ*) მეოთხე თვის ძველი სომხური სახელწოდება შეესატყვისება თანამედროვე კალენდარით პერიოდს 9 ნოემბრიდან 9 დეკემბრამდე (ვ. შილაკაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 363), ძველი სომხური კალენდრით VII საუკუნეში. იგი სექტემბერ-ოქტომბერში მოდიოდა. 20 „*Տրէ*“ 640 წლის 6 ოქტომბერს უდრიდა და პარასკევი დღე იყო (იხ. **История епископа Себеоса.** შენ. 267).

[4] როგორც ზემოთ მოტანილი ცნობიდან გაეცანით. ვარდანი 37.000 კაცს ასახელებს.

[5] **История епископа Себеоса, გვ. 93.**

[6] **История халифов Вардапета Гевонда, писателя VIII века,** თარგმანი სომხურიდან, 1862, გვ, 3. აგრეთვე შენიშვნა 16.

642—643 წლებში არაბები ხელმეორედ შემოიჭრნენ სომხეთში, აიღეს დვინი და ამ ქალაქს დიდი უბედურება მოუტანეს. VII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ლეონტი ქ. დვინში მომხდარი ამბების შესახებ შემდეგს გადმოგვცემს: „...მოაღწიეს ქალაქს (დვინს) და მაშინვე აიღეს ციხე. შიგ მყოფთაგან კაცები ამოწყვიტეს, ხოლო ქალები და ბავშვები ტყვედ წაასხეს, 35.000 სული.

აწ, ვინ დაიტირებს ღირსეულად ამ უბედურების სიმწარეს, რადგანაც ყოველმხრივ უზომო იყო ეს განსაცდელი. რამეთუ წმინდა ეკლესიები, რომლებშიც წარმართნი შესვლადაც კი ღირსნი არ იყვნენ, დაინგრნენ, დაიქცნენ და უსჯულოთა ბილწი ფეხებით დაითრგუნნენ. ხოლო მღვდლები, დიაკვნებსა და მსახურებთან ერთად, თავხედი და უწყალო მტრის მასვილით მოიკლნენ. მრავალი აზიზად აღზრდილი ქალბატონი, რომელსაც გაჭირვება არ გამოეცადა, ჯოხის ცემით შეურაცხყოფილი და მოედანზე (ძალით) გათრეული, გლოვის ვაებას აღავლენდა ამ მოულოდნელი ხვედრის გამო. აგრეთვე კრებული სიმრავლისა იმავე განსაცდელით შეპყრობილი თავის ვაჟიშვილებთან და ქალიშვილებთან ერთად განამრავლებდა ვაებასა და მოთქმას, რადგანაც არ იცოდნენ რა უფრო ეტირათ — უსჯულოთა მახვილით სიკვდილი, თუ ცოცხლად დარჩენა და ვაჟიშვილებთან და ქალიშვილებთან განშორება... ზოგიერთები შესახედავად საცოდავნი მკვდრებივით დაცემულიყვნენ მკვდრების გვამებზე და სისხლში მოსვრილნი ქვითინებდნენ, მაგრამ არ შეეძლოთ ამ გვამების აღება და დასაფლავება“ [1].

გაჭირვებაში მყოფმა სომხებმა დახმარებისათვის მიმართეს სომხეთში მდგომ ბიზანტიის ლაშქრის მეთაურს პროკოფის, მაგრამ ამ თხოვნაზე პროკოფიმ ცივი უარით უპასუხა [2]. ამ საკითხის შესახებ ლეონტი ვარდაპეტი გადმოგვცემს: როდესაც სომხებმა, კერძოდ, რშტუნის პროვინციის მმართველმა თეოდოროს რშტუნმა არაბთა მოახლოება გაიგო, დაუყოვნებლივ აცნობა ამის შესახებ ბიზანტიის ლაშქრის მეთაურს პროკოფის, მაგრამ პროკოფიმ არავითარი ზომები არ მიიღო. თეოდოროს რშტუნმა სამჯერ გაუმეორა თავისი თხოვნა პრკოფის, მაგრამ უკანასკნელმა არამცთუ ანგარიში არ გაუწია ამ თხოვნას, არამედ შეურაცხყოფაც კი მიაყენა მთხოვნელსო [3].

ბერძენთა ლაშქრის მეთაურის ასეთი უხეში მოქმედების შემდეგ თეოდოროს რშტუნმა ბრძანება გასცა და თავისი ხელქვეითები მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად გაამზადა. სომხები რშტუნის მე-

---

[1] ვ. ნალბანდიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47—48.

[2] История армянского народа, I, გვ. 112.

[3] История халифов Вардапета Гевонда, 1962, გვ. 4.

თაურობით ეიწრო გასასვლელებთან ჩაუსაფრდნენ მტერს[1], თავს დაესხნენ მას, დაამარცხესა და გაათავისუფლეს ათეულ ათასობით დატყვევებული სომეხი, რომლებიც არაბებს ხელში ჩაეგდოთ.[2] სომეხთა ლაშქარი რშტუნის მეთაურობით ამიერიდან ჩამოსცილდა ბიზანტიელებს და სივნიეთის პროვინციაში, გარნის მხარეში, გადავიდა[3].

არაბთა ამ ლაშქრობის დროს არც ბიზანტიელთა ლაშქარს დასდგომია კარგი დღე სომხეთში. ლეონტის ცნობით, სომეხთა ლაშქრის ჩამოცილების შემდეგ პროკოფიმ ბრძანება გასცა თავისი ლაშქარი დაძრულიყო მტრის წინააღმდეგ, მაგრამ არაბებმა დაასწრეს ბერძნებს, თავს დაესხნენ მათ და უმრავლესობა გაანადგურეს, ხოლო დანარჩენებს თავიანთ ბანაკამდე მისდიეს[4].

ლეონტი გაკვირვებას გამოთქვამს იმის შესახებ, რომ, როგორც ამბობენ, ბერძენ მოლაშქრეთა რიცხვი 60,000 კაცს უდრიდა, ხოლო არაბებისა — 10,000 კაცს[5], მაგრამ გამარჯვება მაინც არაბებს ხვდა.

მეორე დღეს — განაგრძობს ლეონტი — შეაგროვეს რა მთელი ნადავლი, დიდი ალაფით უკან დაბრუნდნენ არაბები[6].

სებეოსის ცნობიდან ჩანს, რომ 642—643 წ. არაბები არა მარტო სომხეთში შემოიჭრნენ, არამედ ისინი ალბანიასა და საქართველოსაც მოსწვდნენ. სებეოსი წერს: ადარბადაგანში მოსული არაბთა ლაშქარი სამად გაიყო. ერთი მათგანი არარატის მიმართულებით გაემართა (ეს არაბთა ლაშქრის ის ნაწილი უნდა იყოს, რომელსაც თეოდოროს რშტუნმა გაუმართა ბრძოლა და რომელმაც ბიზანტიელი სარდლის პროკოფის ხელქვეით მყოფი ლაშქარი დაამარცხა), მეორე — სეპაგან გუნდში (ვასპურაკანში), ხოლო მესამე ალბანიაში წავიდა. სეპაგან გუნდში გაგზავნილი ლაშქარი მთელ მხარეს მოედო, ამოხოცა ბევრი მკვიდრთგანი, გაძარცვა და უამრავი ალაფი და ტყვეები დააგროვა[7].

---

[1] История халифов Вардапета Гевонда, 1962, გვ. 4.

[2] История армянского народа, გვ. 112.

[3] История халифов Вардапета Гевонда, 1962, გვ. 4.

[4] იქვე.

[5] იქვე.

[6] უნდა შევნიშნოთ, რომ ლეონტის შრომის მთარგმნელს კ. პატკანიანს არაბთა ეს ლაშქრობა და მასთან დაკავშირებული ამბები 640 წელს მომხდარ ფაქტად მიაჩნია (იხ. შენიშვნა 27), ხოლო სომხეთის ისტორიის სხვა მკვლევარები მას 642—643 წ. მომხდარად მიიჩნევენ (იხ. История армянского народа, I, გვ. 112).

[7] История епископа Себеоса, გვ. 99.

არაბთა იმ რაზმის მოქმედების შესახებ, რომელიც არარატის მხარეში გაემგზავრა და რომელმაც ბიზანტიელთა ლაშქარი დაამარცხა, სებეოსი წერს: გაანადგურა რა „ყველა დასახლებული ადგილი... საქართველოსა და ალბანიის (საზღვრამდე), ხელთ იგდო ალაფი და ტყვეები, ნახჩევანში მოვიდა, რათა შეერთებოდა იმ ლაშქარს, რომელიც ნახჩევნის სიმაგრესთან იბრძოდაო“[1].

ამიერკავკასიაში არაბთა ამ ლაშქრობის შესახებ, მ. კაზარიანის განმარტების საფუძველზე, ივ. ჯავახიშვილი წერდა: „პირველად არაბები საქართველოს ეწვივნენ 643 წელს ქ. შ., მას შემდგომ, როდესაც ადარბაგანი უკვე საბოლოოდ დაპყრობილი ჰქონდათ. ამირამ რამდენიმე სარდალი შეჰყარა და თითოეული ცალკე ჯარითურთ კავკასიის სხვადასხვა კუთხეში გაგზავნა ქვეყნის დასაპყრობად; საქართველოში ჰაბიბ იბნ მასლამა გამოისტუმრა, რომელიც სასწრაფოდ ტფილისისაკენ გამოემართა“[2]. აღნიშნული საკითხი იქვე აკად. ივ. ჯავახიშვილს ისე აქვს განმარტებული, რომ არაბებმა 642—643 წელს თითქოს დაიპყრეს აღმოსავლეთ საქართველო[3]. სინამდვილეში კი ამ წელს „ქართველებს ისინი დაუმარცხებიათ და თავისი საზღვრებიდან გაუდევნიათ“[4]. საქართველოს საზღვრებს არაბთა ის რაზმი უნდა მოსდგომოდა აღნიშნულ წელს, რომელიც ადარბადაგანიდან არარატის მიმართულებით გამოემართა და რომელმაც სომხეთში მყოფი ბიზანტიელთა ლაშქარი დაამარცხა.

როგორც აღნიშნული იყო, ამ დროს ალბანიასაც დაესხნენ თავს არაბები პირველად. უკეთებენ რა ანალიზს არაბთა ამ დროის დაპყრობითი ომების ამბებს, აზერბაიჯანის ისტორიის მკვლევარები აღნიშნავენ, რომ „დაიპყრეს რა არაბებმა სირია, მესოპოტამია და საბოლოოდ გაანადგურეს ირანის ლაშქარი ნეგავენდთან (642 წ.), ისინი აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრებისაკენ გამოეშურნენ. აზერბაიჯანელებმა, სომხებმა და ქართველებმა გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიეს დამპყრობელებს“[5].

ამრიგად, ისე როგორც 640 წელს სომხეთში, 642—643 წელსაც არაბები ნადავლის შეძენის მიზნით შემოესივნენ ამიერკავკასიის

---

[1] История епископа Себеоса, გვ. 100.

[2] ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 70.

[3] იქვე, გვ. 70—72.

[4] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, 1946, გვ. 139.

[5] История Азербайджана, გვ. 105—106.

ქვეყნებს. თუმცა ახლაც სომხეთს მიაყენეს დიდი ზარალი, მაგრამ ამიერკავკასიის ყველა ხალხთან დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ.

ამიერკავკასიის ხალხებმა, ჩანს, ვერ მოახერხეს ამ შემთხვევაში საერთო მტრის წინააღმდეგ ძალთა გაერთიანება. ამის შესაძლებლობა არც ჰქონდათ მაშინ მათ; ისინი საუკუნეთა განმავლობაში სასანიანთა სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლით იყვნენ მოქანცულნი, ახლა ბიზანტიის მიერაც განიცდიდნენ პოლიტიკურსა და ეკონომიურ შევიწროებას. ასეთ ვითარებაში ახალი მტრის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ორგანიზაცია, ისიც ახალგაზრდა ფეოდალური ურთიერთობის პირობებში, ძნელი იყო.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 642 წელს სპარსთა წინააღმდეგ არაბთა გამარჯვებას. ამ ბრძოლაში საბოლოოდ იქნა განადგურებული ირანის ლაშქარი. სასანიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი იეზდიგერდ III, რომელიც აღნიშნული მარცხის შემდეგ აღმოსავლეთში გაიქცა, 651 წელს მოკლულ იქნა და ამით სასანიანთა სპარსეთის დამოუკიდებელი არსებობაც დამთავრდა. ამიერიდან სპარსეთი არაბთა სახალიფოს პროვინციად გადაიქცა.

არაბების მიერ ირანის დამარცხებას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ ბიზანტიასთან მრავალწლოვანი ომის შედეგად ირანი დასუსტდა. მართალი არის ქართველი მემატიანე, რომელიც აღნიშნავს, რომ არაბებმა სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლაში ასე ადვილად იმიტომ გაიმარჯვეს, რომ „შესულ იყო ერაკლე მეფე სპარსეთს, და განერყუნა სპარსეთი და აღარავინ იყო წინააღმდგომი სპარსეთსო“ [1]. არაბთა მბრძანებელმა „დაიპყრა სპარსეთი, შევიდა ბაღდადს [2] და მძლავრობით დაატეობინა უმრავლესთა ცეცხლის-მსახურება, და მოაქციენა სარკინოზად“ [3].

5. ბრძოლა სომხეთიდან ბიზანტიელთა განსადევნად

ბიზანტია, რომელიც თავს სომხეთის ბატონ-პატრონად აცხადებდა, არაბთა მიერ სომხეთის განადგურებას შორიდან უყურებდა. ის ამიერკავკასიის ხალხებისაგან მორჩილებას მოითხოვდა, მაგრამ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებაზე თავს არ იწუხებდა. იმ დროს არც შეეძლო ბიზანტიას ამიერკავკასიის ხალხებისათვის „დახმარე-

---

[1] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 229.

[2] ბაღდადი, როგორც ცნობილია, 762 წელს, აბასიდთა მეორე ხალიფას—მანსურის დროს იქნა დაარსებული და ამიტომ ეს ანაქრონისტული ცნობა ჯუანშერის ნაშრომში უადგილოა.

[3] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 229.

ბის“ გაწევა, რადგან არაბებს მთავარი იერიში ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ მიჰქონდათ და მას თვითონ უჭირდა.

როგორც ნათქვამი იყო, VII საუკუნის 20-იან წლებში გააერცელა ბიზანტიამ თავისი გავლენა ამიერკავკასიის ქვეყნებზე, კერძოდ, სომხეთსა და იბერიაზე. ბიზანტიის გავლენა აქ ამავე საუკუნის 50-იან წლებამდე გაგრძელდა. ბიზანტია ამიერკავკასიის ხალხებისათვის მეტად შემაწუხებელი იყო და ისინი ხელსაყრელ დროს უცდიდნენ დამპყრობთა ბატონობის თავიდან მოსაშორებლად.

გაძლიერებულმა არაბებმა ირანის დაპყრობის შემდეგ მთავარი იერიშები ბიზანტიის იმპერიაზე მიიტანეს. მესამე დიდი ლაშქრობის დროს (650 წ.) არაბთა ფლოტი კონსტანტინეპოლს მიადგა და იმპერიის დედაქალაქი დიდ საფრთხეში ჩააგდო. იმპერატორმა კონსტანტინემ უდიდესი გადასახადის გადახდით შეძლო ზავი დაედო არაბებთან.

მიუხედავად იმისა, რომ ახლა სომხეთიც საშინლად დაარბიეს არაბებმა, ჩანს, როგორც სომხეთში, ისე მის მეზობელ იბერიასა და ალბანიაში საგარეო ორიენტაციის კურსის შეცვლის საკითხი დაისვა. ამიერკავკასიის ხალხებმა გადაწყვიტეს ესარგებლათ ბიზანტიის მდგომარეობით და განუდგნენ მას. გამარჯვების უზრუნველსაყოფად, ჩანს, არაბთა გამოყენებას შეეცადნენ ისინი.

651 წელს რშტუნის პროვინციის მმართველი თეოდოროს რშტუნი განუდგა ბიზანტიელებს, არაბებთან დადო შეთანხმება და აშკარად აუჯანყდა ბიზანტიას [1].

სომეხი ისტორიკოსის სებეოსის გადმოცემით, როდესაც თეოდოროს რშტუნი ბიზანტიელთა წინააღმდეგ იბრძოდა, მისი მოკავშირეები ამ ბრძოლაში ქართველები და ალბანელები იყვნენ [2]. მართლაც, სხვა ცნობებითაც დასტურდება, რომ ამ ბრძოლის დროს ქართველთა და ალბანთა რაზმები სომხეთში იმყოფებოდნენ და სომხებთან ერთად სომხეთის მიწა-წყლის გასათავისუფლებლად იბრძოდნენ.

თეოდოროს რშტუნი ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში არაბთა გამოყენების მიზნით არაბებს მიმხრობია, მაგრამ მისთვის ისიც გასაგები უნდა ყოფილიყო, რომ ბიზანტიელთა განდევნის შემთხვევაში არაბები თვითონ შეეცდებოდნენ სომხეთის დაპყრობას. ამიტომ, რა თქმა უნდა, დამპყრობი არაბები სომხეთის მოკავშირედ ვერ გამოდგებოდნენ და უკანასკნელის ერთგულნი ისევ მისი ისტორიული მეზობლები — ქართველები და ალბანელები რჩებოდნენ.

---

[1] **История епископа Себеоса**, გვ. 116—117.

[2] იქვე, 118.

თეოდოროს რშტუნის მიერ ბიზანტიისაგან განდგომისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების შესახებ სომეხი ისტორიკოსები ლეონტი ვარდაპეტი და ვარდან დიდიც გვაძლევენ სათანადო ცნობებს. ისინი მოგვითხრობენ, რომ თეოდოროსმა და მისმა შვილმა ვარდამ მტრული დამოკიდებულების კურსი აიღეს ბიზანტიისადმი. ბიზანტიის კეისარი კონსტანტინე II თეოდოროსს აიძულებდა, რომ არაბების წინააღმდეგ გამოსულიყო. კონსტანტინეს მუქარით შეშინებულმა თეოდოროსმა თავისი შვილი ვარდა სათანადო ლაშქრით ბიზანტიის სარდალთან გაგზავნა. ვარდას თხოვნით კეისრის სარდალმა ის ევფრატის გადასასვლელის მცველად დააყენა, მაგრამ, ლეონტის გადმოცემით, როდესაც ცხარე ბრძოლაში არაბებმა გაიმარჯვეს და დამარცხებული ბიზანტიელები უკან იხევდნენ, „თეოდოროსის შვილი... მდინარის მეორე მხარეზე გადავიდა და მან ხიდის ბაგირი გადაჭრა, რათა გაქცეულთათვის (ბიზანტიელთათვის) თავის გადარჩენის შესაძლებლობა მოესპო. ხოლო არაბებმა, შემოარტყეს რა ალყა ბერძნებს (ბიზანტიელებს), ზოგი მათგანი მდინარეში ჩაძირეს, დანარჩენებმა ...გაქცევით უშველა თავსო“ [1].

652 წელს თეოდოროს რშტუნმა ხალიფას ქვეშევრდომობა იკისრა. ეს მოქმედებაც ბიზანტიის წინააღმდეგ იყო მიმართული. საპასუხოდ კონსტანტინე კეისარმა 20 ათასი მოლაშქრე შეჰყარა და სომხეთში შეიჭრა, ხოლო აქედან „იბერიაში, ალბანიასა და სივნიეთში (ეს უკანასკნელიც სომხური პროვინცია იყო — ვ. კ.) რაზმები გაგზავნა, რათა (თეოდოროსთან) მათი კავშირი ჩაეშალაო“ [2].

გარეშე მტრების წინააღმდეგ დაუსრულებელ ბრძოლაში ამიერკავკასიის ხალხები ხალისით უჭერდნენ მხარს ყველა იმ პირს, რომელიც გამათავისუფლებელ ბრძოლაში ხალხის მეთაურობას იკისრებდა. მაგრამ, როდესაც პიროვნების მოქმედება თავდაცვის საქმეს აღარ ემსახურებოდა. მიზნად პირად განდიდებას ისახავდა და ქვეყნის ინტერესს აღარ შეეფერებოდა, ასეთ პიროვნებას მხარს აღარ უჭერდნენ, ზურგს შეაქცევდნენ და, ისე როგორც მტერს, ომს უცხადებდნენ.

თეოდოროს რშტუნი ერთ დროს ჯერ მძარცველი არაბებს, ხოლო შემდეგ დამპყრობი ბიზანტიის წინააღმდეგ იბრძოდა და ის სომხების მიერ მხარდაჭერასაც პოულობდა. მასვე მიეშველნენ აგრეთვე გამათავისუფლებელ ბრძოლაში ქართველები და ალბანელები ბიზანტიის წინააღმდეგ. მაგრამ შემდეგ, სებეოსის ცნობის თანახმად, თეო-

---

[1] **История халифов Вардапета Гевонда**, გვ. 8; **Всеобщая история Вардана Великого**, გვ. 87.

[2] **История епископа Себеоса**, გვ. 118.

დოროს რშტუნი ხალიფას ნება-სურვილის შემსრულებელი გამხდარა და არაბთა მბრძანებელს რშტუნის საშუალებით ამიერკავკასიის ხალხების დამორჩილება განუზრახავს. ხალიფას თეოდოროსი სომხეთის, იბერიისა და ალბანიის მმართველად დაუნიშნავს. ამ ქვეყნების დამორჩილების მიზნით ხალიფას თეოდოროსისათვის სათანადო ლაშქარიც გამოუგზავნია [1] და განსაკუთრებით ქართლის მორბევა და დამორჩილება დაუვალებია.

დვინში მოსულ არაბთა ლაშქრის სარდალს ქართველებისათვის მორჩილების წინადადება მიუცია. უკანასკნელებს კი მორჩილების ნაცვლად ბრძოლისათვის სამზადისი დაუწყიათ. ამიტომ არაბებს ქართველების განადგურება და მოსპობა გადაუწყვეტიათ. მაგრამ მათი ეს განზრახვა სუსხიან ზამთარს გაუქარწყლებია და ისინი იძულებული გამხდარან გაწბილებული დაბრუნებულიყვნენ.

არაბთა მიერ ქართლის მორბევა-დამორჩილება მეზობელ სომხეთისთვისაც საზიანო იყო. ამიტომ თეოდოროს რშტუნის მოქმედებას, რომელიც ახლა არაბებს ეხმარებოდა და ხალიფას დახმარებით განდიდებას ფიქრობდა, მტრულად შეხვდა სომეხი მოსახლეობა, მას აუჯანყდნენ, ისარგებლეს თეოდოროსის ავადმყოფობით, მისი მამულები სომეხმა მთავრებმა დაინაწილეს, ხოლო არაბებს ბრძოლა გამოუცხადეს. აქ შესაძლებელია გავიხსენოთ სომეხი ისტორიკოსის ეღიშეს სიტყვები: „ვისაც დანაშაულის ფასად სურდა სომხეთის ტახტი მიეღო, მას საფლავისათვისაც აღარ ჰქონდა ადგილი" [2]. ამრიგად, ეს ფაქტიც იმას მოწმობს, რომ ამიერკავკასიის ხალხებს ერთი და იგივე ინტერესები ამოძრავებდათ, ერთის მტერი მეორის მტერიც იყო. ეს მათ კარგად ესმოდათ.

---

[1] История епископа Себеоса, გვ. 121—122.

[2] История Егише Вардапета. გვ. 233.

თავი IV

არაბთა ბატონობა ამიერკავკასიაში

1. ამიერკავკასიის დაპყრობა არაბების მიერ. განმათავისუფლებელი ბრძოლები. პოლიტიკური მდგომარეობა VII—VIII საუკუნეთა მიჯნაზე

ბიზანტიის ლაშქარი, რომელიც არაბებთან თეოდოროს რშტუნის შეთანხმების გამო კეისარმა სომხეთში გამოგზავნა, იქ დიდხანს არ დარჩენილა. კონსტანტინეპოლში შექმნილი მდგომარეობის შედეგად ის მალე გავიდა სომხეთიდან.

სომხეთისადმი არაბთა დამოკიდებულებაც მალე შეიცვალა. ხალიფა ოსმანმა გადაწყვიტა დაერღვია 652 წლის შეთანხმება და ძალით დაემორჩილებინა ამიერკავკასიის ხალხები. ამ მიზნით 654 წელს არაბთა ძლიერი ლაშქარი სომხეთში შემოიჭრა, აიღო ქ. დვინი და მთელ მხარეს დაეპატრონა.[1]

ამ ლაშქრობის დროს არაბებმა 2000-მდე ნახარარი და მათი ოჯახის წევრები წაიყვანეს მძევლად სომხეთიდან, რომელთა შორის ავარმყოფი თეოდოროს რშტუნიც იყო და ის ტყვეობაში გარდაიცვალა, ხოლო დანარჩენი მძევლები ქ. დამასკოში ამოწყვიტეს.[2]

არაბებმა გააგრძელეს შეტევა ამიერკავკასიაში. სომხეთის დაპყრობისა და დარბევის შემდეგ საკეისროს მთავარი ციხე-სიმაგრე ამიერკავკასიაში თეოდოსიუპოლი ანუ ერზერუმიც აიღეს. ამავე

---

[1] История армянского народа, გვ 113.

[2] იქვე, გვ. 114.

წელს ერზერუმიდან ქართლისაკენ იბრუნეს პირი და აიძულეს ქართლის ერისმთავარი არაბებს დამორჩილებოდა. ამრიგად, VII საუკუნის 50-იანი წლებიდან არაბთა ბატონობა დამყარდა ამიერკავკასიაში. დაიწყო ამიერკავკასიის ხალხთა ხანგრძლივი და მწვავე ბრძოლა არაბ-დამპყრობთა ბატონობის წინააღმდეგ.

არაბებმა ამიერკავკასიის ხალხებს ხარკი დაადეს და სხვადასხვა მოვალეობაც დააკისრეს, მაგრამ ადგილობრივი მმართველობა თავდაპირველად არ შეუცვლიათ. როგორც ქართლში, ისე სომხეთსა და ალბანიაში ქვეყნის სათავეში ისევ ადგილობრივი ძველი მმართველები დატოვეს, მათ დააკისრეს არაბთათვის განკუთვნილი ხარკის აკრეფა და სხვა მოვალეობის შესრულებაზე პასუხისმგებლობა.

სახალიფოში ატეხილმა შინაგანმა შფოთმა აიძულა არაბები ორი წლის შემდეგ ისევ დაეტოვებინათ ამიერკავკასია. ამ მოვლენით ისარგებლეს აქაურმა ხალხებმა და შეეცადნენ მთლიანად გაეთავისუფლებინათ თავი არაბებისაგან. მაგრამ სახალიფოში მღელვარება ამჯერად დიდხანს არ გაგრძელებულა. 661 წელს სირიის არაბთა მეთაურმა, ომაიდთა საგვარეულოს წარმომადგენელმა მოავიამ ჩაიგდო ხალიფას ტახტი და არეულობა მიწყნარდა. მოავიამ ამიერკავკასიას მიაქცია ყურადღება. იგი შეეცადა მტკიცედ დამკვიდრებულიყო ამიერკავკასიაში და არაბთა სამსახურში ჩაეყენებინა აქაური ხალხები. მაგრამ, ჩანს, უხეშობისა და ძალადობის გამოყენებას ერიდებოდა, რადგან მისი ხელისუფლება ჯერ კიდევ არ იყო მტკიცე სახალიფოში და მოწინააღმდეგენი კიდევ ებრძოდნენ მას ტახტისათვის.

აღნიშნული გარემოებით აიხსნება ისიც, რომ მოავია შეეცადა მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა სომხებთან დამოკიდებულების საკითხი. მან აღადგინა 652 წელს დადებული შეთანხმება და პირველ ხანებში ერიდებოდა ძალის გამოყენებას ამიერკავკასიის ხალხების წინააღმდეგ. მართალია, როგორც ჩანს, ხარკს მაინც აწვდიან ამიერკავკასიის ხალხები არაბებს, მაგრამ დამპყრობლებმა ჯერჯერობით მაინც ვერ მოიკიდეს მტკიცედ ფეხი ამიერკავკასიაში. მოავიას კიდევ ებრძოდნენ მოწინააღმდეგეები, მას ახლა არც ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება ჰქონდა და ერთხანს ხარკსაც კი იხდიდა საკეისროს სასარგებლოდ. მაგრამ ამიერკავკასიის ხალხე-

ბისადმი ხალიფას დამოკიდებულება მალე ისევ ძალის გამოყენებით შეიცვალა, რასაც გამათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერებით უპასუხეს ამიერკავკასიის ხალხებმა. იოანე დრასხანაკერტელის გადმოცემით, 667—677 წლებში იბერიელები დახმარების ხელს უწვდიან არაბთა მიერ შევიწროებულ სომხეთს. ქართლის ერისმთავარი ნერსე თავს დასხმია სომხეთში მდგომ ხრაბთა სარდალს ვინმე ბარაბას და მის ლაშქარს, დაუმარცხებია ისინი, მტრის ბევრი მოლაშქრე გაუჟლეტია და გაუდევნია სომხეთიდან[1].

მაგრამ ამ დროს არც ხაზარები აძლევენ მოსვენებას ამიერკავკასიის ხალხებს. მათმა ბრბოებმა 668—718 წლებში რამდენიძეჯერ იღაშქრეს ამიერკავკასიაში და ნგრევა და რბევა მოუტანეს ქართველ, სომეხ და ალბანელ ხალხებს.

გარდაბნის მთავარი ჯუანშერი, რომელიც ერთ დროს სპარსელებს ებრძოდა და ადრნერსე ქართველთა მთავრის მიერ დიდ დახმარებას ღებულობდა, იძულებული გამხდარა თვით აეღო ინიციატივა არაბებთან პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებისა. ის ორჯერ ყოფილა მოავიასთან, მორჩილება აღუთქვამს არაბთა მბრძანებლისათვის, ხოლო უკანასკნელს მთელი ალბანიის მმართველად დაუნიშნავს იგი. ამის შემდეგ, როგორც წყაროები გადმოგვცემს, ჯუანშერმა ბრძოლა დაიწყო ალბანიაში ხელისუფლების გასამტკიცებლად. ალბანთა ფეოდალები, რომლებსაც ჯუანშერის გაძლიერება არ მოსწონდათ, 670 წელს აჯანყდნენ ამ უკანასკნელის წინააღმდეგ და სასიკვდილოდ დასჭრეს იგი. ჯუანშერი გარდაიცვალა.

ალბანთა ამ შინაგანი არეულობით ისარგებლეს ამიერკავკასიის ხალხთა მტრებმა; არაბებთან ერთად ალბანიას თავს დაესხნენ ხაზარები და ბიზანტიელები, მათ აიძულეს ალბანელები სამთავესათვის ეძლიათ ხარკი. მაგრამ ხაზარები ამით როდი დაკმაყოფილდნენ, ისინი პერიოდულად მაინც აწარმოებდნენ ამიერკავკასიის მიწა-წყალზე შემოჭრას და ბევრი უბედურება მოჰქონდათ ქართველ, სომეხი და ალბანელი ხალხებისათვის. მათი ერთ-ერთი ლაშქრობის

---

[1] იოანე დრასხანაკერტელი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლითურთ ილია აბულაძისა, თბილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1937, გვ. 14; შდრ. Всеобщая история Вардана Великого, გვ. 89.

შესახებ სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ტარონელი (ასოღიკი) მოგვითხრობს: „მაშინ სასტიკი რბევა და აოხრება მოიწია სომხეთის ქვეყანაზე, რადგანაც „ჰლდ" [ՀԼԴ = 134 + 551 = 685] წელს ჩრდილოეთის ჯარებმა, რომელნიც არიან ხაზარნი, დაიპყრეს სომხეთი, ქართლი და ალვანეთი, ხოლო სომეხთა და ქართველთა მთავარი ბრძოლაში მოკლეს".[1]

ანალოგიურ ცნობას გვაწვდის მეორე სომეხი ისტორიკოსი ლეონტი. იგი წერს, რომ არაბების მოუცლელობითა და სახალიფოს შინაგანი არეულობით ხაზარებმაც ისარგებლეს, ხალიფას კარზე არეულობის დაწყებიდან მეოთხე წელს სომხეთი ხაზარებმა დაიპყრეს და ბრძოლაში გრიგოლ (მამიკონიანი) მთავარი მოკლეს. ამ ბრძოლაში დაიხოცნენ აგრეთვე ბევრი ქართველი და ალბანელი დიდებული და წარჩინებულიო.[2]

ლეონტი განაგრძობს, რომ ხაზარებმა აოხრეს სომხეთი, ხელთ იგდეს ალაფი და ტყვეები, რის შემდეგ თავიანთ ქვეყანაში წავიდნენო.[3] მემატიანის ამ განცხადებაში ხაზარებთან ბრძოლაში სომხების, ქართველებისა და ალბანელების გამარჯვების შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიის მკვლევარნი, ალბათ მათთვის ხელმისაწვდომი წყაროების საფუძველზე, აცხადებენ, რომ ხაზართა ამ თავდასხმის დროს ქართველებმა, სომხებმა და ალბანელებმა გაიმარჯვესო. მათი განმარტებით, მშვიდობიანი ცხოვრება დარღვეულ იქნა ხაზართა შეჭრით ალბანიასა, საქართველოსა და სომხეთში. სომეხთა, ქართველთა და ალბანთა გაერთიანებულმა ლაშქარმა დაამარცხა ხაზარები და უკუაქცია ისინი (684 წ.). ამ ბრძოლაში დაიღუპა სომხეთის მმართველი გრიგოლ მამიკონიანიო[4].

გრიგოლ მამიკონიანი თეოდოროს რშტუნის თანამებრძოლი იყო. იგი მოავიამ ხალიფას ტახტის დაუფლებისთანავე სომხეთის მმართველად დანიშნა. გრიგოლი დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა და თავისი ქვეყნიდან არაბთა საბოლოო განდევნას ცდილობდა, მაგრამ

---

[1] ვ. ნალბანდიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 50; შდრ. Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика по прозванию, писателя XI столетия. Перевод с армянского Н. Эмина, Москва, 1864.

[2] История халифов Вардапета Гевонда, გვ. 10.

[3] იქვე, შდრ. Всеобщая история Вардана Великого, 90

[4] История армянского народа, I, გვ. 114; История Азербайджана, I, გვ. 107.

ხაზარებსა და არაბებს შორის ბრძოლაში, ჩანს, მისი გამადიდებლის, ხალიფას, მხარეზე გამოსვლას ამჯობინებდა.

შოავიას გარდაცვალების შემდეგ კიდევ უფრო აიწეწა სახალიფოს შინაგანი საქმეები, აბდ-ალ-მალიქის ხალიფობის დროს (685—705 წწ.) დიდი შფოთი ატყდა ხალიფას კარზე. სწორედ ამ დროს, 696 წელს, სომხური წყაროების თანახმად, ისარგებლეს რა სახალიფოში შექმნილი მდგომარეობით, ქართველებმა, სომხებმა და ალბანელებმა ერთობლივი ბრძოლა გააჩაღეს დამპყრობი არაბების საბოლოოდ გასადევნად. ამის შესახებ ლეონტი გადმოგვცემს: „სარკინოზებს შორის (ამტყდარი) ბრძოლის დროს სომხებმა, ქართველებმა“ და „ალვანელებმა 30 წლის მორჩილების შემდეგ შეუწყვიტეს მათ ხარკის მიცემა“ [1]. ამ ხელსაყრელი შემთხვევის გამოყენებას ბიზანტიის კეისარიც შეეცადა. მან დიდი ლაშქარი გამოგზავნა ამიერკავკასიაში და მას ქართლის, სომხეთისა და ალბანიის დაპყრობა დაავალა. ამრიგად, ჯერ ერთი მტერი ვერ მოეცილებინათ თავიდან ამიერკავკასიის ხალხებს, რომ დასავლეთიდან მეორე მოადგათ.

ორი მტაცებელი — არაბთა ხალიფა და ბიზანტიის კეისარი, შეთანხმებულან იმაზე, რომ სომხეთსა და იბერიაში აკრეფილი ხარკი შუაზე გაეყოთ. ამიერკავკასიის ხალხები კი ამ შეთანხმებას არ ცნობდნენ და ორთავე დამპყრობის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ამიერკავკასიის ხალხთა საბრძოლო ერთიანობას, როგორც ნათქვამი იყო, ხშირად უშლიდა ხელს მეფე-მთავრებისა და ეკლესიის მეთაურების ჟინიანობა, ქრისტიანული ეკლესია მტრის წინააღმდეგ ბრძოლის მჭადაგებლად მაშინ გამოდიოდა, როდესაც მტერი თვით მას ემუქრებოდა. ზოგჯერ კი ეკლესიის ზოგიერთი მამამთავარი, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ანგარების მიზნით მტრებსაც ეხმარებოდა.

ამ მხრივ ერთ საინტერესო ცნობას მოსე კალანკატუელი გადმოგვცემს. ის წერს, რომ „სომეხთა კათალიკოსმა ილიამ ხალიფა აბდ-ალ-მალიქს მისწერა შემდეგი შინაარსის ეპისტოლე: „ჩვენს დამორჩილებულ ქვეყანას ყოვლისმპყრობელი ღვთისაგან წილად ხვდა თქვენი სამსახური და, ალვანელებთან ერთად, ქრისტეს ღვთაებრიობის ერთი სარწმუნოების აღიარება. ალვანელების ეხლანდელი კა-

[1] История халифов Вардапета Гевонда, გვ. 9—10; შდრ. ვ. ნალბანდიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

თალიკოსი კი, რომელიც ბარდავში ზის, შეუთანხმდა ბერძენთა კეისარს, იხსენიებს მას ლოცვებში და აიძულებს ქვეყანას შეუერთდეს მას სარწმუნოებრივად. და, ყოველივე ეს ცნობილი იყოს თქვენთვის, და ნუ უგულებელსყოფ ამას, რადგანაც მას ჰყავს თანამოაზრე ერთი წარჩინებული დედაკაცი (იგულისხმება გარდაბნის მთავარი). ბრძანეთ თქვენი დიდი უფლებით მათი დასჯა".[1]

არაბები, ისე როგორც ერთ დროს სასანიანთა სპარსეთი, ცდილობდნენ მოხერხებულად გამოეყენებინათ ქრისტიანული რელიგიის შიგნით არსებული ბრძოლა. ხოლო სომხური ეკლესიის ზოგიერთი მამამთავარი ცდილობდა არაბების დახმარებით მონოფიზიტობა განემტკიცებინა მეზობელ ქვეყნებში და თავისი გავლენისათვის დაემორჩილებინა მეზობელ მხარეთა ეკლესიები.

არაბთა ხალიფამ დიდად მოუწონა ილია კათალიკოსს მისი ეპისტოლე. ხალიფამ საპასუხო ეპისტოლეში ილიას ღვთის კაცი უწოდა და აცნობა, რომ ილიას შეწყალების გამო, მან სანდო მსახური გაგზავნა დიდძალი ლაშქრით ალბანიაში, რათა სასტიკად დასაჯოს ისინი, რომლებიც „ჩვენი ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებულახო"[2]. არაბებმა მართლაც აწამეს ზემოთ დასახელებული პირები და ამ წამებაში ილია კათალიკოზსაც უშუალო მონაწილეობა მიუღია.

ასე იქცეოდა ხშირად ზოგიერთი აზნაურ-ნახარარიც და ეკლესიის მაღალი თანამდებობის პირიც, რომლებიც თავიანთი ხალხისა და ქვეყნის ბედ-იღბალს პირად განდიდებაზე სცვლიდნენ, სამშობლოს გასაჩირის დანახვაზე თვალს ხუჭავდნენ და მტრის დამხმარის როლში გამოდიოდნენ. ილია სომეხთა კათალიკოსმა კარგად იცოდა, რომ მოძმე ალბანელი ხალხის დარბევითა და განადგურებით სომხეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ძალებსაც ზიანს აყენებდა, სომხეთის მოკავშირეს ანადგურებდა.

მეტად რთული იყო მაშინ ამიერკავკასიის ხალხების პოლიტიკური მდგომარეობა: სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან არაბები შემოესივნენ და ქვეყანას არბევდნენ; ბიზანტია, თავის მხრივ, ამიერკავკასიაზე პრეტენზიას აცხადებდა და როდესაც ხელსაყრელ დროს იშოვიდა, მას თავს ესხმოდა და ანადგურებდა; ამ ორ მტაცებელს ამიერკავკასიის ხალხთა რბევა-განადგურებაში არც კავკასიონის მთებს იქით მცხოვრები ხაზარები ჩამორჩებოდნენ. ისინი VII საუკუნიდან, არაბთა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის დღიდანვე, მტრულად იყვნენ არაბებისადმი განწყობილნი, რადგან არაბების გაძლიერება ხაზარებსაც საფრთხეს უქმნიდა. ამიტომ იყო, რომ,

---

[1] **История Агван Моисея Каганкатваци**, გვ. 239.

[2] იქვე, გვ. 240.

როდესაც არაბებმა ამიერკავკასიამდე მოაღწიეს, ხაზარებმა კავკასიონის უღელტეხილებიდან სამხრეთში შემოჰკრა გაახშირეს. ისინი ხშირად ამიერკავკასიაში არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოდიოდნენ, მაგრამ ქვეყანას ძარცვავდნენ, უდანაშაულო ხალხს ჟლეტდნენ და ანადგურებდნენ.

შინაგანი ბრძოლა, რომელიც VII ს. 80-იან წლებში სახალიფოში მიმდინარეობდა, მალე მიწყნარდა. ომაიდთა სარდლებმა განაგრძეს ჯერ კიდევ ადრე დაწყებული ბრძოლა ჩრდილო აფრიკის დაპყრობისათვის. მაგრამ მათ ამ საქმეში დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ბერბერთა ტომებმა, რომლებიც ბიზანტიასთან კავშირში იმყოფებოდნენ. 688 წელს არაბებმა დაამარცხეს ბერბერები და 693 წელს კართაგენის აღებაც მოახერხეს.[1]

ამრიგად, VII საუკუნის 90-იან წლებში არაბები თითქმის ყველა ფრონტზე შეტევას აწარმოებდნენ და ეს შეტევა უმეტეს შემთხვევაში გამარჯვებით მთავრდებოდა.

VII საუკუნის დასასრულს არაბებმა შედარებით მტკიცედ მოიდგეს ფეხი ამიერკავკასიაშიც. ისინი ამ დროს თუმცა მცირე ხნით, მაგრამ მაინც დასავლეთ საქართველოშიაც კი ახერხებენ გადასვლას. არაბები იქ გადავიდნენ ამ მხარის მმართველის სერგი პატრიკის მიწვევით, რომელიც ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყებულა და დამხმარედ არაბები მიუწვევია. ეს გარემოება ამ მხარის პოლიტიკური ვითარებით იყო გაპირობებული. VII—VIII საუკუნეთა მიჯნაზე ქართლი, სომხეთი და ალბანია თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ერთი მათგანის მტერი დანარჩენების მტერიც იყო და ისინი ერთობლივ თუ ცალ-ცალკე განუწყვეტლივ ებრძოდნენ საერთო მტრებს, პირველ რიგში კი დამპყრობ არაბებს. მაგრამ დასავლეთი საქართველო ამ სამ მხარესთან შედარებით განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ის დიდი ხნის განმავლობაში ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო და ახლაც განიცდიდა მისგან შევიწროებას. სწორედ ამან განაპირობა ის გარემოება, რომ, როდესაც ქართლი, სომხეთი და ალბანია არაბებს ებრძოდნენ, სერგი ბარნუკის-ძე პატრიკი ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოსაყენებლად არაბებს დასავლეთ საქართველოში ეპატიჟებოდა.

ამიერკავკასიაში ახლა იმის ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა, რაც სასანიდთა სპარსეთის ბატონობის დროს იყო: ქვეყანას უკვე

---

[1] Б. Н. Заходер, История восточного средневековья (Халифат) и Ближний Восток, 1944, გვ. 31.

არაბები დაეპატრონენ და მის შიგნით თარეშობდნენ, ბიზანტიელებს ამიერკავკასიისათვის ბრძოლა დღის წესრიგიდან არ მოუხსნიათ და ხელსაყრელ დროს უცდიდნენ, ხოლო ხაზარები დროგამოშვებით ჩრდილოეთიდან შემოჰკრას აწარმოებდნენ და ქვეყანას ანადგურებდნენ.

ხაზარები არაბთათვის საშიშ ძალას წარმოადგენდნენ. ამ გარემოებას ხალიფებიც კარგად ამჩნევდნენ და ხაზართა დასამორჩილებლად მთელი ენერგიით იბრძოდნენ. ეს ბრძოლები კი უმეტეს შემთხვევაში ამიერკავკასიის მიწა-წყალზე მიმდინარეობდა და ქვეყანა ნადგურდებოდა. მოსე კალანკატუელი გადმოგვცემს, რომ „სომეხთა წელთაღრიცხვით 146 წელს (146+551=697)[1] მოვიდა მუჰამედ II სომხეთში და ალბანიაზე სწრაფად გაელით ჩორში (დარუბანდში) შევიდა“.[2]

ეს ლაშქრობა არა მარტო დარუბანდის უღელტეხილის დასაკავებლად, არამედ, პირველყოვლისა, ამიერკავკასიის ხალხთა დასაჩორჩილებლად მოაწყეს არაბებმა. ამ დროს დიდი აჯანყება მიმდინარეობდა სომხეთში და ალბანიაში არაბთა ბატონობის თავიდან მოსაშორებლად. მოსე კალანკატუელის ცნობით, სომხებმა ბიზანტიის ლაშქარიც მოიწვიეს და სომხეთში მდგომი არაბთა ლაშქარი ამოწყვიტეს. მაგრამ დარუბანდიდან დაბრუნებული მუჰამედი სომხეთში შეიჭრა და ციხე-სიმაგრე სევანს ალყა შემოარტყა. იგი, ისტორიკოსის ცნობით, სამი წლის განმავლობაში იბრძოდა ამ ციხის ასაღებად. „აიღო რა ის, მან ამოხოცა ყველა, ვინც მასში იპოვა. ამის შემდეგ მან დაამარცხა ბიზანტიისა და სომხეთის ლაშქარი. სომხეთის დიდებულთაგან ის პირნი, რომლებიც ხელში ვერ ჩაიგდო, მოტყუებით თავისთან შეკრიბა და ქ. ნახჩევანში წაიყვანა, გამოკეტა ეკლესიაში და 800 კაცი ცოცხლად დაწვა“ [3].

მოსე კალანკატუელის ამ ცნობას ვარდან დიდიც ადასტურებს. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სომეხ აზნაურთა ასეთი ვერაგული სასჯელის სისრულეში მოყვანის თარიღად ვარდანი

---

[1] სომხური წელთაღრიცხვა, ბიზანტიური წელთაღრიცხვის დასაპირისპირებლად, 554 წელს სომხეთის საეკლესიო კრებაზე იქნა მიღებული. ამ კრების დადგენილებით სომხური წელთაღრიცხვის დასაწყის პირველ წლად 552 წელი ითვლება.

[2] История Агван Моисея Каганкатваци, გვ. 259.

[3] იქვე.

სომეხთა წელთაღრიცხვის 150 (551+150=701) წელს ასახელებს, მოსე კალანკატუელი კი, როგორც გავეცანით, 146 (551+146=697) წელს აღნიშნავს.

2. ბრძოლა ხაზარებსა და არაბებს შორის. მისი შედეგები ამიერკავკასიის ხალხებისათვის. მურვან-ყრუს სისხლიანი ლაშქრობა ამიერკავკასიაში. ომაიდების საგვარეულოს ბატონობის დასასრული

VIII საუკუნის პირველ მეოთხედში არაბებმა მოახდინეს ამიერკავკასიის პოლიტიკური, ადმინისტრაციული და სამხედრო მართვის რეორგანიზაცია. საქართველოს (იგულისხმება აღმოსავლეთი ნაწილი), სომხეთისა და ალბანიის ხარჯზე ერთი ადმინისტრაციული ერთეული შექმნეს. ამ პოლიტიკური ერთეულის მმართველის—ამირას ადგილსამყოფელი იყო ქ. დვინი· ამირას ევალებოდა სარკის აკრეფა, ხალიფასათვის მიწოდება და აგრეთვე ამიერკავკასიაში მყოფ არაბთა ლაშქრის მეთაურობა.

ამავე საუკუნის მეორე ათეული წლების დასასრულს არაბებმა დარუბანდი აიღეს. ამის საპასუხოდ ხაზართა ძლიერი ლაშქარი ალბანიაში შემოიჭრა. გაჩაღდა მწვავე ბრძოლა მოპირდაპირეთა შორის. გამარჯვება არაბებს ხვდა, მაგრამ ადგილობრივი სოფლები და ქალაქები განადგურდა.

VIII საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში არაბებმა თვით ხაზარეთში მოაწყეს ლაშქრობა. მაგრამ ამ ლაშქრობის დროს არაბებმა სასტიკი მარცხი განიცადეს. ხალიფა იაზიდ II ამ დამარცხებას ვერ შეურიგდა და დაუყოვნებლივ მოაწყო ხაზართა წინააღმდეგ დიდი ექსპედიცია. არაბი ისტორიკოსი იაკუბი გადმოგვცემს, რომ 104 (ჰიჯრ.) წლის (722—3) ახლო ხანებში იაზიდმა (720—24) ალ-ჯარრაჰი გამოგზავნა დიდი ჯარით. ის რანში მოსული ხაზართა ხაკანის შვილს შეხვდა და ბრძოლა გაუმართა. ალ-ჯარრაჰმა დაამარცხა ხაზარები და გააქცია ისინი. ხაზართა ლაშქრის წევრები ბევრი ამოწყვიტეს არაბებმა, ხოლო ბევრიც ტყვედ ჩაიგდეს ხელში[2].

არაბებსა და ხაზარებს შორის ბრძოლა გაგრძელდა. ალ-ჯარრაჰი აბდალაჰის ძე აღმოსავლეთ საქართველოში შემოიჭრა, მაგრამ არაბებს არც ხაზარები ჩამორჩნენ. მათი ძლიერი ტალღა კიდევ შემოიჭრა ჩრდილოეთიდან და ახლა მოპირდაპირენი ალაზნის პირას შეხვდნენ ერთმანეთს. აქ გაიმართა მწვავე და სისხლისმღვრელი

---

[1] Всеобщая история, გვ. 115.

[2] Я' К у б и, „История", ე. კ. ყუბეს თარგმანი, 1927, გვ. 6.

ომი. გასაგებია, თუ რაოდენ დიდი უბედურება უნდა მოჰყოლოდა ქახეთისათვის ამ ორი ძლიერი მტაცებლის საომარ ასპარეზად ქახეთის გადაქცევას.

ალ-ჯარრაჰი განაგრძობდა ბრძოლას ხაზართა და ალანთა წინააღმდეგ. იაკუბი გადმოგვცემს, რომ 106 (724—5) წელს ალანთა წინააღმდეგ მოაწყო ლაშქრობა ალ-ჯარრაჰმა[1], მაგრამ იგი სულ მალე ხაზარების წინააღმდეგ ბრძოლის მსხვერპლი გახდა. მან. რომელმაც მტერი დაამარცხა, გაქცეული მტრის დევნა განაგრძო. მაგრამ ხაზარები ხელახლა ეკვეთნენ მტერს, დაამარცხეს ის, გაუწყვიტეს ლაშქარი და თვითონაც მოკლეს.[2]

ხაზარეთში ალ-ჯარრაჰის უკანასკნელი ლაშქრობისა, მისი დამარცხებისა და მოკვლის შესახებ მოსე კალანკატუელი უფრო დამაჯერებლად მოგვითხრობს. იგი აღნიშნავს, რომ 729 წელს ჯარრაჰი აფხაზეთზე გავლით მეორეჯერ შეიჭრა ხაზარეთში. მეორე წელს ხაზარეთის მფლობელის შვილმა ბრძოლა გაუმართა ალ-ჯარრაჰს და ის ამ ბრძოლაში მოიკლაო.[3]

ყოველი დიდი ექსპედიციის დროს, რომელსაც ასე დაუსრულებლად აწყობდნენ არაბები ხაზართა წინააღმდეგ, ბუნებრივია, ჩრდილოეთისაკენ მიმავალ ლაშქარს ამიერკავკასიის მიწა-წყალი უნდა გაევლო. ამ გავლის დროს არაბებს უბედურება მოჰქონდათ აქაური ხალხებისათვის, ქვეყანას ძარცვავდნენ, აწიოკებდნენ და ყველაფერი მიჰქონდათ და მიჰყავდათ, რის წაღება და წაყვანაც შესაძლებელი იყო. ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიის ხალხებს ძალთა გაერთიანების შესაძლებლობა არ ჰქონდათ. ისინი უფრო ხშირად ერთიმეორის დამოუკიდებლად უმართავდნენ მტრებს ბრძოლას. მაგრამ ამითაც ობიექტურად ერთმანეთს ეხმარებოდნენ.

ხალიფა ჰიშამის (724—743) დროს კიდევ უფრო გამწვავდა ბრძოლა არაბებსა და ხაზარებს შორის. ბრძოლა ამიერკავკასიის მიწა-წყალზე მიმდინარეობდა და გამარჯვება ხელიდან ხელში გადადიოდა. ბრძოლის დროს ამიერკავკასიის ხალხები ნადგურდებოდნენ და, ბუნებრივია, ისინი ამ აუტანელი მდგომარეობიდან გამოსვლას ცდილობდნენ.

ჰიშამი მხეცურ დამოკიდებულებას იჩენდა ამიერკავკასიის ხალხებისა და, კერძოდ, სომხების მიმართ. ლეონტი ვარდაპეტი გადმოგვცემს, რომ ჰიშამმა თავისი მეფობის პირველსავე წელს სომხეთში ბოროტი განზრახვით სარდალი გერტა გაგზავნა. სომეხთა მონური

[1] Я'Куби, „История", э. д. ეუზეს თარგმანი, „О-по обследования и изучении Азербайджана", 1927, გვ. 7.

[2] იქვე, გვ. 6.

[3] История Агван Моисея Каганкатваци, გვ. 261.

მდგომარეობის კიდევ უფრო დასამძიმებლად მას დაავალა, რომ საყოველთაო აღწერა მოეხდინა და სომხები უფრო მძიმე გაჭირვებაში ჩაეგდო. მართლაც, მან ბევრი უბედურება მოუტანა სომხეთს, იქამდეც კი მიიყვანა იგი, რომ ყველა კვნესოდა მწარე ჩაგვრისა და შევიწროების გამო. მაგრამ არ იყო არავითარი შესაძლებლობა, რომ სომხეთს თავი დაეღწია აუტანელი გაჭირვებისაგანო.[1]

ასეთი ძნელბედობის დროს ჩრდილოეთელი მტაცებლებიც მოემზადნენ სომხეთზე თავდასასხმელად. გარდაცვლილი ხაკანის დედამ, პარაბიტმა, უბრძანა სარდალ ტარმაჩს, შეეგროვებინა დიდი ლაშქარი და სომხეთისაკენ წასულიყო. ტარმაჩმა ბრძანება შეასრულა, დარუბანდი გადმოლახა, ამიერკავკასიაში შემოიჭრა, მასკუტთა[2] მიწა-წყალი გაიარა და ქვეყნის რბევას შეუდგა.[3]

ჰიშამის გამეფების მეორე წელს (125) არაბებმა მთელი სომხეთი აღწერეს. აღრიცხეს როგორც ხალხი, ისე ყოველგვარი ქონება. ამ აღწერის შემდეგ დამპყრობლებმა ყველაფერს დაადეს ხარკი, კომლობრივ გადასახადთან ერთად სულადობრივი გადასახადებიც შემოიღეს.

სომხეთის გაბატონებულმა წრეებმა, საერო და საეკლესიო ფეოდალებმა დამპყრობლებთან საერთო ენის გამონახვა შეძლეს. დამპყრობი არაბებისა და ადგილობრივი ფეოდალების მიერ სომეხი მწარმოებელი საზოგადოების ძარცვამ უკიდურესობამდე მიიყვანა მშრომელი მოსახლეობა. იფეთქა ცნობილმა მოძრაობამ, რომელიც პავლიკიანთა მოძრაობის სახელით არის ცნობილი.

ეს მოძრაობა, რომელიც ჯერ კიდევ ადრე დაიწყო სომხეთში, მარტო არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ არ იყო მიმართული. ის ადგილობრივ საერო და საეკლესიო ფეოდალებსაც ემუქრებოდა და მძაფრი სოციალური ბრძოლის ხასიათს ატარებდა. ამიტომ მწარმოებელი საზოგადოების ამ მოძრაობას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს როგორც არაბმა დამპყრობლებმა, ისე ადგილობრივმა საერო და საეკლესიო ხელისუფლებამ.

პავლიკიანთა მოძრაობა სომხეთიდან ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში გავრცელდა. ამ მოძრაობაში იქ ჩაება როგორც სომეხი, ისე ბერძენი მწარმოებელი მასა. სამწუხაროდ, თუ არ ვცდები, წყაროები არაფერს გადმოგვცემს იმის შესახებ, თუ

---

[1] История халифов Вардапета Гевонда, გვ. 71.

[2] მასკუტები იგივე ლეკები არიან, რომელთა ქვეყანა დარუბანდის სამხრეთით, კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე იყო (იხ. История халифов Вардапета Гевонда, შენ. 158).

[3] იქვე, გვ. 72.

რამდენად გამოეხმაურა პავლიკიანთა ამ მოძრაობას საქართველოსა და ალბანიის მოსახლეობა. თუ საქართველოს სხვა რაიონების მოსახლეობის მონაწილეობა ამ მოძრაობაში ნაკლებად არის მოსალოდნელი, სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ქართველი მოსახლეობის მონაწილეობა ისევე საფიქრებელია, როგორც შემდეგ თოდრაკელებთან მათი კავშირი.

VIII საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში ხალიფა ჰიშამს ამიერკავკასიის მმართველად მურვანი გამოუგზავნია. მურვანს, ჩანს, დავალებული ჰქონდა არა მარტო ამიერკავკასიის ხალხების დამორჩილება, არამედ ჩრდილო კავკასიაში შესვლა და ხაზარების დამარცხება. ამ მიზნით ხალიფამ 150 ათასი ჯარისკაცი ჩააბარა მას.

ამიერკავკასიის ხალხებს იშვიათად ახსოვთ ისეთი საშინელება, როგორიც მათ 736—738 წლებში მურვანმა მოუტანა. ჩანს, მურვანის მკაცრი მოქმედება იმის შედეგი იყო, რომ ახლა ამიერკავკასიის ხალხები, ერთად თუ ცალ-ცალკე, ყველა გამოვიდა არაბების წინააღმდეგ. ამის შედეგი უნდა ყოფილიყო ის, რომ სომხური წყაროების თანახმად, მურვანს სომხეთის ყველა ციხე აუღია და დაუნგრევია, ამასთან მცხოვრებლები გაუძარცვავს და აუწიოკებია. ციხეებს იმ მიზნით ანგრევდნენ არაბები, რომ სომხებისათვის მოესპოთ შემდგომი ბრძოლის საშუალება.

კიდევ უფრო სასტიკად მოიქცა ის საქართველოში. ქართველი მემატიანის ცნობით, მურვანის ვერაგული მოქმედებით თავზარდაცემული მთავრები, პიტიახშები და ერისმთავართა და წარჩინებულთა ნათესავები „შეიმეოტნეს კავკასიად, და დაიმალნეს კლდეთა და ღრეთა“.[1] მაგრამ მურვანი, ჩანს, მათ იქაც ეწვია.

მან „მოვლო... ყოველი კავკასია“[2] და დარიალისა და დარუბანდის უღელტეხილებიც ხელთ იგდო. დაიპყრო რა აღმოსავლეთ საქართველოს ციხე-ქალაქები, არაბთა სარდალი დასავლეთ საქართველოშიც გადავიდა. იქ, ისევე როგორც ქართლში, მურვანმა „შეამუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ჭუეყანისა ეგრისისანი“.[3] სხვა მრავალ ქალაქთან დ ციხე-სიმაგრესთან ერთად მურვანმა დაანგრია ეგრისის სამგალავნიანი ქალაქი ციხე-გოჯი, „შეამუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი“,[4] აღმოსავლეთ საქართველოს ძველი ქალაქის შიდა-ციხე არმაზი და სხვ.

---

[1] ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 234.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 235.

[4] იქვე.

არაბების ჯალათი სარდალი და მისი ლაშქარი შეუბრალებლად მოექცა ამიერკავკასიის ყველა ხალხს. ამიტომ ქართველი ისტორიკოსი გულისტკივილით წერს, რომ მურვანის ლაშქრობის შედეგად „იქმნა... გარყვნილ ქვეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა და არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყუთა ყოვლადვეო“ [1].

არაბთა ჯალათ სარდალს მურვანს, „რომელ არა მიითუალვიდა სიტყუასა განმზრახთასა“ [2], ქართველმა ხალხმა ყრუ შეარქვა, ხოლო სომეხმა ხალხმა მას ამაოხრებელი უწოდა. სტეფანოზ ორბელიანი წერს: „მოვიდა სომხეთში წყეული და ქვეყნის ამაოხრებელი მურვანი სარკინოზთა დიდი ჯარით და, როგორც სასტიკმა ცეცხლმა, გადაწვა და გადაბუგა ამ ქვეყნის სიმშვენიერე, რის გამო მას შეერქვა სახელად ამაოხრებელი“[3]. იოანე კათალიკოზი (დრასხანაკესტელი) წერს: „ვინმე მურვანი ისმაელის ტომიდან, რომელიც სომხეთში ოსტიკანად იყო გამოგზავნილი, შეებრძოლა სომხეთის ყველა სიმაგრეს. ყველა, რომელიც თვითონ აიღო, დაანგრია, დაარღვია და მოთხარა. ხოლო სევანის კუნძული, გელამის ტბაში რომ არის, თუმცა კი პირველად ვერ აიღო, მაგრამ ორიოდე წლის შემდეგ ხელთ იგდო. ყველა, ვინც კი ამ სიმაგრეში ცხოვრობდა, ტყვედ წაასხა, ალაფიც აიღო. ციხე კი მთლად დაანგრია და აოხრაო“ [4].

ამრიგად, ქართველი და სომეხი მემატიანეები აღნიშნავენ, რომ მურვანმა დიდი უბედურება მოუტანა ამიერკავკასიის ხალხებს.

ამიერიდან იწყება ალბანიაში მუსლიმანური რელიგიის დანერგვა. მას დიდ წინააღმდეგობას უწევდა ადგილობრივი მოსახლეობა. შედარებით იოლად მიიღეს მუსლიმანური რელიგია ვაჭრებმა და ხელოსნებმა იმიტომ, რომ არაბები ცდილობდნენ ხელსაყრელი პირობები შეექმნათ მათთვის [5]. არაბების მიერ გაწეულმა მფარველობამ ვაჭრები და ხელოსნები არაბთა მხარეზე დააყენა და ისლამიც მიაღებინა.

არაბმა დამპყრობლებმა მაზდეიანური და ქრისტიანული ბევრი ძვირფასი ძეგლი მოსპეს, დაანგრიეს ტაძრები და სხვა საკულტო ნაგებობანი [6].

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 239.

[2] იქვე, გვ. 233.

[3] ვ. ნალბანდიანი, დასახ. შრომა, გვ. 54.

[4] იქვე.

[5] История Азербайджана, I, გვ. 108.

[6] იქვე.

დიდად გაუარესდა ალბანელი ხალხის მდგომარეობა. არაბებს ჩვეულებად ჰქონდათ ტყვეებისა და დაპყრობილი ქვეყნების მშვიდობიანი მოსახლეობის მონებად გადაქცევა. VIII საუკუნის 30-იან წლებში ამირები აიძულებდნენ შირვანისა და სამხრეთ დაღესტნის მოსახლეობას, რათა მათ ყოველწლიურად 4000-მდე ბიჭი და გოგო მიეწოდებინათ არაბებისათვის მონათა სახით. ვისაც ხარკის გადახდა არ შეეძლო, მათ არაბები მონებად აქცევდნენ [1].

არაბი ისტორიკოსის იაკუბის გადმოცემით, როდესაც ხალიფა ჰიშამმა მასლამას შემდეგ არმენიის მმართველად მურვან იბნ-მუჰამედი (მურვან ყრუ) დანიშნა, უკანასკნელმა მრავალი ქვეყანა დაიპყრო და ერთი ქვეყნის მმართველს ათას ხუთასი შაათმიანი ახალგაზრდის მიწოდება დააკისრა [2].

743 წელს ჯალათმა მურვან ყრუმ ხალიფას ტახტი ჩაიგდო ხელში. მისი ხალიფობის დროს, VIII საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარში, შინაგანმა ბრძოლებმა და ომმა მოიცვა სახალიფო. ამით ისარგებლეს ამიერკავკასიის ხალხებმა და ბრძოლა დაიწყეს არაბთა ბატონობისაგან თავის დასაღწევად. წყაროებიდან ჩანს, რომ ეს განმათავისუფლებელი მოძრაობა ყველაზე ძლიერი იყო სომხეთში. იქ, გრიგოლ მამიკონიანისა და მისი თანამოაზრეების მეთაურობით, მკაცრი ბრძოლა გაჩაღდა არაბთა ბატონობის თავიდან მოსაცილებლად. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ნახარარი, დამარცხების შიშით, აჯანყებას მხარს არ უჭერდა, განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მაინც სახალხო ხასიათი მიიღო და 747—748 წლებში აჯანყებულებმა თითქმის მთელი სომხეთი გაანთავისუფლეს არაბ დამპყრობლებთაგან.

VIII საუკუნის შუა წლებში დინასტიური ბრძოლა გაჩაღდა სახალიფოში, მოკლეს ომაიდების საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენელი მურვანი და აბასიდების დინასტია გაბატონდა. უკანასკნელთ აბასიდებს იმიტომ უწოდებენ, რომ ამ დინასტიის ბატონობას აბულ-აბასმა ჩაუყარა საფუძველი.

დაუსრულებელმა ომებმა და დინასტიურმა ბრძოლებმა შეასუსტა სახალიფოს ძლიერება. ამის შედეგად კიდევ უფრო გააძლიერეს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არაბთა ბატონობით შეწუხებულმა ქვეყნებმა.

---

[1] **История Азербайджана**, გვ. 110.

[2] **Я'Куби, „История“**, გვ. 7.

3. ამიერკავკასიის ხალხთა მდგომარეობა VIII ს. მეორე ნახევარში. არაბთა ჩამოსახლება ამიერკავკასიის ქალაქებში

აბასიდების დინასტიამ გაბატონების დღიდანვე დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სხვა ქვეყნებთან ერთად ამიერკავკასიას მიაქცია ყურადღება. 751 წელს ხალიფა აბულ-აბასმა აუტანელი გადასახადები შემოიღო. ვარდან დიდის გადმოცემით, მან მიცვალებულებსაც კი შეაწერა გადასახადები.[1] ამიერკავკასიაში ჯერ მკაცრი ტირანი იაზიდი გამოგზავნა,[2] ხოლო შემდეგ თავისი ძმა და მომავალი ხალიფა ალ-მანსური მოავლინა დიდი ლაშქრით. უკანასკნელმა ცეცხლითა და მახვილით ჩაახშო სომეხთა აჯანყება. მოახდინა ხალხის აღწერა და აუტანელი გადასახადები დააწესა.

ალ-მანსურის მიერ დაწესებული მკაცრი საგადასახადო რეჟიმისა და ხალხის შემავიწროებელი მოქმედების შესახებ სომეხი ისტორიკოსი ლეონტი წერს: ალ-მანსურმა საშინელება მოუტანა სომხებს. მან სომხეთის ხელახლად დაპყრობისა და ხალხის აღწერის შემდეგ უსაზღვრო და აუტანელი გადასახადები შემოიღო. მთელი ქვეყანა სიღატაკის კარამდე მიიყვანა და გადასახადს თხოულობდა არა მარტო ცოცხალ ადამიანებზე, არამედ მიცვალებულებზედაც კი. საშინლად ტანჯავდა და აწამებდა ქვრივ-ობლებს; მათრახით სცემდა და აწამებდა სამღვდელო პირებს და მათგან მოითხოვდა მიცვალებულთა და მათი ოჯახის წევრების (შთამომავალი, მემკვიდრე ცოცხალი ადამიანების) სიების გამოჩენას; ის მძიმე და მწარე ხარკით ტანჯავდა ქვეყნის ყველა მკვიდრთ; მან ყველას ტყვიის ბეჭედი შეაბა კისერზე; ნახარარები ნებსით თუ უნებლიეთ იძულებული იყვნენ ძღვნად მიეყვანათ ამ მტარვალთან ცხენები, ჯორები და მიეტანათ პატიოსანი სამოსელი, ოქრო და ვერცხლი, რათა როგორმე ამოევსოთ ამ გაუმაძღარი ვეშაპის პირი. ასეთსავე ამბებს ჩადიოდა იგი სხვა პროვინციებში (ე. ი. ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებში) და მოსახლეობას უკანასკნელ სარჩოსაც ართმევდაო [3].

ამ დროის ალბანიის მდგომარეობას ეხება მოსე კალანკატუელის ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ 200 (551+200=751) წელს კიდიდან კიდემდე მოედო ქვეყანას მკაცრი, მოძალადე, ნგრევის მომტანი სამხრეთელი ხალხი, რომელმაც ცეცხლისებურად შთანთქა ხალხის დიდება და მშვენიერება. ეს იყო დიდი უბედურება ჩვენი მშობლიური ალბანიისა, რადგან მტაცებელმა ტაჯიკებმა წაართვეს ალბან-

---

[1] Всеобщая история, გვ. 96.

[2] იქვე.

[3] История халифов Вардапета Гевонда, გვ. 89—90.

თა მთავრებს დედაქალაქი ბარდავი და ისე, როგორც თავიანთ ძველ დედაქალაქში, სირიის დამასკოში, ახლა ალბანიის ბარდავში საფუძველი ჩაუყარეს თავიანთ ადგილსამყოფს, რათა დოვლათი გამოსწოვონ იქაურობასო [1].

VIII საუკუნის 50-იან წლებში დამპყრობ არაბთა წინააღმდეგ ბრძოლა, ჩანს, მეტნაკლებად თანაბარ ხასიათს ატარებდა სომხეთში, საქართველოსა და ალბანიაში, ამიტომ არაბთა მკაცრ სასჯელსაც ვერც ერთი ამ ქვეყანათაგანი ვერ გადაურჩა. არაბებმა დალაშქრეს ქართლი და მეფე არჩილი წამებით მოკლეს, ხოლო „ყოველივე შენებული ქართლისა" [2] გაანადგურეს.

როდესაც სახალიფოს სათავეში აბასიდები მოექცნენ, მაშინ არაბთა სახელმწიფო მეტისმეტად დიდი იყო. ამ უზარმაზარი სახელმწიფოს მართვას, საამისოდ საჭირო სამხედრო და სამოქალაქო ბიუროკრატიული აპარატის შენახვას უდიდესი ხარჯები სჭირდებოდა. თუ წინათ ამ ხარჯების საკმაო ნაწილს დაუსრულებელი ომების შედეგად შემოსული ნაძარცვი ფარავდა, ამიერიდან არაბები ახალ ქვეყნებს ვეღარ იპყრობდნენ და ნადავლიც შეუმცირდათ. პირიქით, ზოგიერთი დაპყრობილი ქვეყანა წარმატებით იბრძოდა არაბთა ბატონობისაგან განსათავისუფლებლად. ეს კი ხალიფას მხრივ სამხედრო ნაწილებისა და საამისოდ საჭირო ხარჯების გაზრდას იწვევდა.

ზემოაღნიშნული გარემოება ხალიფას აიძულებდა კიდევ უფრო გაედიდებინა ხარკი დაპყრობილი ქვეყნების მიმართ, რაც თავის მხრივ ამ ქვეყნებს წინააღმდეგობას ზრდიდა. ხოლო ეს უკანასკნელი გარემოება ხალიფას წინაშე კიდევ სამხედრო ბიუროკრატიული აპარატის გაზრდის საკითხს აყენებდა. ასე დაუსრულებლად იზრდებოდა წინააღმდეგობა დამპყრობთა და დაპყრობილთა შორის მანამდე, სანამ ეს წინააღმდეგობები და სხვა მიზეზები არაბთა სახელმწიფოს დაანგრევდა.

არაბთა ბატონობის ხანგრძლივ პერიოდიდან VIII საუკუნის მეორე ნახევარი ყველაზე ძნელი ასატანი იყო ამიერკავკასიის ხალხებისათვის. 752 წლიდან ალ-მანსურის ნაცვლად იაზიდი გახდა ამიერკავკასიის მმართველი. ის აგრძელებს ამიერკავკასიის ხალხების შევიწროებასა და ქვეყნის შეუბრალებლად ძარცვას. სომხეთი, ალბანია და ქართლი, თუმცა ერთმანეთისაგან მოწყვეტილად ცალ-ცალკე, ბრძოლას განაგრძობდნენ მტრის თავიდან მოსაშორებლად.

---

[1] История Агван, გვ 265.

[2] ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა... ქართლის ცხოვრება, I, გვ. 245.

იაზიდის მმართველობის დროს უფრო გაუარესდა ამიერკავკასიის ხალხთა მდგომარეობა. ყველა ამ ხალხზე შეიძლება გავავრცელოთ ლეონტის ის სიტყვები, რომელსაც იგი სომხების მიმართ ამბობს: ამიერკავკასიაში იაზიდის მმართველობისა და მეორე აბდილას (ალმანსურის) ხალიფობის დროს უკიდურესობამდე გაზარდეს არაბებმა ხარკი სომხეთში. ხარბი და გაუმაძღარი დამპყრობლები ქრისტიანთა სხეულის გლეჯითა და სისხლის სმით არ კმაყოფილდებოდნენ. მთელი ჩვენი ქვეყანა აუტანელ გაჭირვებაში ჩავარდა... გაიღეს რა უკანასკნელი საარსებო საშუალება, ხალხი ვერ პოულობდა ტანჯვა-წამებისა და სახრჩობელებისაგან თავის დაღწევისა და აგრეთვე სიცოცხლის გადარჩენის გზას.[1]

გაჭირვებული ხალხიდან ბევრი გამოქვაბულებში გარბოდა, ბევრიც წყალში ვარდებოდა და თავს იხრჩობდა, რადგან არ შეეძლოთ იმის შოვნა, რასაც მათგან მოითხოვდნენო[2].

როგორც არაბულ წყაროებიდან ჩანს, ამიერკავკასიის ხალხთა ამ განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს კახელები, ანუ, როგორც წყარობები იხსენიებენ, წანარები დიდ ზიანს აყენებდნენ არაბებს. მაგრამ არაბი ისტორიკოსი ბალაძორი მოგვითხრობს, რომ თითქოს იაზიდმა დაამარცხა წანარები და აიძულა ისინი ხარაჯა ეხადათ არაბების სასარგებლოდ.

ცნობილია, რომ 762 წელს, როდესაც არაბთა სარდალი დიდი ლაშქრით ვასპურაკანში შემოიჭრა და ქვეყანას რბევა დაუწყო, მტერს ბრძოლა გაუმართეს სომხებმა ძმებია ჰამაზასპ და სააკ არწრუნების მეთაურობით, დაამარცხეს კიდეც ის და უკუაქციეს. მაგრამ ჰამაზასპი და სააკი ამ ბრძოლაში დაიღუპნენ[3].

ჰამაზასპისა და სააკის მეთაურობით სომეხთა ბრძოლას არაბების წინააღმდეგ ლეონტი ცოტა სხვანაირად მოგვითხრობს. იგი წერს, რომ ხალიფა აბუ-მოჰამედ-მუსა-ალ-გადის მიერ ტახტის მიღებისთანავე სომხეთის მმართველად მან ვინმე ხაზმი თუ რაზმი გამოგზავნა. როდესაც უკანასკნელი დვინს მოუახლოვდა, მას არწრუნთა საგვარეულოს წარმომადგენლები ჰამაზასპი, სააკი[4] და მერუჟანი მიეგებნენ. ხაზმმა ისინი დაუყოვნებლივ დააპატიმრა და ციხეში ჩაყარა, ხოლო შემდეგ ხალიფასაგან მათი სიკვდილით დასჯის ნებართვა მი-

---

[1] История халифов Вардапета Гевонда, გვ. 94.

[2] იქვე.

[3] История армянского народа, I, გვ. 120.

[4] ლეონტის ეს ცნობა გაუგებრობას იწვევს იმიტომ, რომ ხალიფა აბუ-მოჰამედ-მუსა-ალ-გადი სულ ერთი წელი (785—786) მეფობდა, ხოლო ამაზასპი და სააკი, როგორც აღვნიშნეთ, 762 წელს დაღუპულან ბრძოლაში.

ილო და სააკი და ჰამაზასპი წამებით მოკლესო [1]. იგივე მემატიანის ცნობით, ამ დროს არაბებმა ვერაგულად დასაჯეს აგრეთვე იბერიის მთავარი: აწიეს ის ხელებითა და ფეხებით და შუაზე გასჭრეს. ასე შეწყვიტეს და დაღუპეს ამ ახალგაზრდის სიცოცხლე, როგორც ბატკნისა სასაკლაოზე [2].

ლეონტის ამ ცნობიდან ჩვენს ყურადღებას ის გარემოება იპყრობს, რომ სომეხ დიდებულებთან ერთად არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის მსხვერპლი გამხდარა მაშინ იბერიელი უფლისწულიც. ეს გარემოება შემთხვევითი არ არის და იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ან მეზობელ სომხებთან ერთად ებრძვიან ქართველები მტერს, ან ცალკე გაუმართეს უკანასკნელებმა ბრძოლა სომეხ-ქართველთა საერთო მტერს, მაგრამ დამარცხდნენ ბრძოლაში.

არაბთა ბატონობის პერიოდში, როგორც ნათქვამი იყო, მარტო არაბები როდი ანადგურებდნენ ამიერკავკასიის ხალხებსა და მათ ნაჭირნახულევს. გარდა იმისა, რომ მეორე მტერი, ბიზანტიის იმპერია, ყოველთვის მზად იყო ამ მხრივ არაბები შეეცვალა და თვითონ ეძარცვა ამიერკავკასიის ქვეყნები, ხაზართა სახელმწიფოს ლაშქარიც ხშირად ესხმოდა და ძარცვავდა ამიერკავკასიის ხალხებს. ხაზარები არაბების მტრები იყვნენ და მათ ებრძოდნენ, მაგრამ სინამდვილეში არაბებს ვერაფერს აკლებდნენ და სახალიფოს მიერ დაპყრობილსა და შევიწროებულ ამიერკავკასიის ქვეყნებს ანადგურებდნენ. 764 წელს ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა ხაზარებმა დიდად დააზარალეს ქართლ-კახეთი და ალბანია.

ამ ლაშქრობას უნდა გულისხმობდეს ლეონტი, რომელიც წერს, რომ სომხეთის არაბ მმართველს იაზიდს ხაზარებთან ურთიერთობა გაურთულდა. ხაკანმა დიდი ლაშქარი შეჰყარა, ჩააბარა ის თავის სარდალს რაჟუ-თარხანს და იაზიდის სამფლობელოს დასარბევად გამოგზავნა. ხაზარებმა მთელი ალბანია და ქართველთა შვიდი მხარე დაარბიეს. ხელთ იგდეს რა უამრავი ნადავლი და ტყვეები, ისინი თავის ქვეყანაში გაბრუნდნენ. სომხეთის ტრაბახა მმართველმა (ლაპარაკია იაზიდზე) თავის აწევაც ვერ გაბედა და გულგრილად უყურებდა ჩვენი ქვეყნის განადგურებასო [3].

არაბი ისტორიკოსი იაკუბი გადმოგვცემს, რომ, როდესაც ხალიფა ალ-ჯაფარის (ალ-მანსურის) მიერ გამოგზავნილი იაზიდი სომხეთში მოვიდა, მას თავს დაესხნენ ხაზარები. შექმნილი მდგომარეობის შესახებ იაზიდმა ხალიფას აცნობა დაუყოვნებლივ. უკანასკნელმა

---

[1] История халифов, გვ. 112—114.

[2] იქვე, 114.

[3] იქვე, გვ. 92—93.

20000 ჯარისკაცი მოაშველა იაზიდს, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ არაბები. ამის შემდეგ იძულებული გახდა ხალიფა კიდევ გამოეგზავნა ლაშქარი იაზიდისათვის.[1]

ამრიგად, ამიერკავკასიის ხალხები ამ ორი მტაცებლის მიერ მარტო ძარცვა-აწიოკებას როდი განიცდიდნენ, არამედ ამიერკავკასიის ქვეყნები ამ მძარცველთა ბრძოლის ასპარეზიც იყო.

არაბ-ხაზართა შემოსევების წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლის შესახებ მსჯელობის დროს არ შეიძლება არ გავიხსენოთ „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორის ერთი ცნობა იმის შესახებ, რომ VIII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ხაზართა ხაკანმა ქართლის ერისმთავარს ჯუანშერს „მოუგზანა მოციქული... და უქადა შუელად სარკინოზთა ზედა“.[2] ეს ცნობა იმაზე მიგვითითებს, რომ ქართლი არაბთა ბატონობის თავიდან მოცილებით იყო დაინტერესებული და იბრძოდა დამპყრობთა წინააღმდეგ. ქართლის ასეთი განწყობილება ქრონოლოგიურად მეტნაკლებად ემთხვევა იმ ხანას, როდესაც ვასპურაკანი ძლიერ ბრძოლას აწარმოებდა არაბთა წინააღმდეგ საკ და ჰამაზასპ არწრუნების მეთაურობით, რომლებიც ამ ბრძოლას შეეწირნენ.

იაკუბის ზემოთ დამოწმებული ცნობა სომხეთში მყოფ არაბთა სარდალ იაზიდზე ხაზართა თავდასხმის შესახებ 764 წელს მოძღვარი ამბავი უნდა იყოს, როდესაც ხაზარებმა ქართლი და მისი დედაქალაქი თბილისი დაარბიეს: ჯუანშერისათვის სარკინოზთა წინააღმდეგ დახმარების წინადადების „შემდგომად სამისა წლისა მოგზავნა ხაკანმან სპასალარი თჳსი ბლუჩან; გამოვლო გზა ლეკეთისა და შემოვიდა კახეთად; მოადგა ციხესა, რომელსა შინა იყვნეს ჯუანშერ და დაჲ მისი შუშან, და მცირედთა დღეთა წარიღო და ტყუე ყენა იგინი; შემუსრა ქალაქი ტფილისი, წარტყუენა ქართლი და ყოველი ესე ქუეყანა“ [3].

ჯუანშერი შვიდი წლის განმავლობაში ჰყავდა თავის კარზე ხაზართა ხაკანს, ხოლო შემდეგ „განუტევა ნიჭითა დიდითა ხაკანმან და წარმოგზავნა ქუეყანად თჳსად“ [4].

ამ ცნობიდან საყურადღებო ის არის, რომ ხაკანი ასაჩუქრებს ქართლის ერისმთავარს და ისე აბრუნებს უკან. ხაკანის ასეთი მოქმედება ჯუანშერის წახალისებას ნიშნავდა არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ვინაიდან ქართლი სომხეთთან და ალბანიასთან

---

[1] Я·Кубн, „История“, გვ. 8—9.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 249.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 250.

ერთად თვითონაც იყო დაინტერესებული და იბრძოდა არაბთა წინააღმდეგ, ხაკანის ეს მოქმედება იმაზედაც უნდა მიუთითებდეს, რომ ხაზარებს ნაკლებად ენდობოდნენ ამიერკავკასიის ხალხები, მაგრამ ხაკანს სურდა დაერწმუნებინა ისინი თავის „ქეთილ სურვილებში“. სხვანაირად შეუძლებელია ავხსნათ ხაკანის ეს საქციელი. ხაზარები ხომ „კაც ველურ, საშინელ პირითა, მკეცის ბუნება, სისხლის მჭამელ“ [1] იყვნენ, მაგრამ ისინი არა მარტო ჯუანშერს, არამედ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ნერსე ერისმთავარსაც კარგად მოექცნენ.

მიუხედავად იმისა, რომ არაბები ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ, რათა დაეძლიათ ამიერკავკასიის ხალხთა წინააღმდეგობა, ისინი ამას ვერ აღწევდნენ იმიტომ, რომ ამ ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლა არაბთა უხეში და აუტანელი ბატონობის შედეგი იყო და სანამ ეს შემავიწროებელი არაბთა უხეში ბატონობა იარსებებდა, ამიერკავკასიის ხალხთა განმათვისუფლებელ ბრძოლასაც ბოლო არ მოეღებოდა.

VIII საუკუნის 60-იანი წლების დასასრულსა და 70-იანი წლების დასაწყისში კვლავ იფეთქა აჯანყებებმა არაბთა ბატონობის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ამიერკავკასიის ხალხთა ამ განმათავისუფლებელ ბრძოლას ახლა ერთი ცენტრი არ გააჩნდა და ეს გარემოება მტერს ბრძოლას უადვილებდა.

წყაროებიდან ირკვევა, რომ 60-იანი წლების დასასრულს მღელვარებამ მოიცვა აღმოსავლეთ საქართველო. წანარები სიცოცხლეს უმწარებენ დამპყრობ არსებებს. იაკუბი მოგვითხრობს, რომ ხალიფა ალ-მანსურის მიერ გაგზავნილი ალ-ჰასანი მთელი ძალით ებრძოდა წანარებს (ამ შემთხვევაში კახელებს), მაგრამ ის ვერაფერს გახდა და იძულებული შეიქნა მებრძოლ წანართა ძლიერებისა და მრავალრიცხოვანობის შესახებ ხალიფა ალ-მანსურისათვის ეცნობებინა. ხალიფამ ალ-ჰასანს 20000 კაცი გამოუგზავნა ამირ იბნ-ისმაილ ალ-ხარისის სარდლობით. არაბთა ამ დიდმა ლაშქარმა ბრძოლა გაუმართა კახელებს. ომი რამდენიმე დღე გაგრძელდა და, იმავე ისტორიკოსის ცნობით, არაბების გამარჯვებით დამთავრდა [2]. იაკუბი არაბთა ამ გამარჯვებას ღვთის განგებას მიაწერს და კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ წანარებზე გამარჯვება ღმერთმა უბოძა მაჰმადია-

---

[1] ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა: I, იოანე საბანის-ძე, II. ბასილ ზარზმელი. პროფ. კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1935, გვ. 64.

[2] Н·Кубн, „История“, გვ, 8.

ნებსო[1]. მისი გადმოცემით ეს ბრძოლა მეტად მკაცრი ყოფილა. ამ ბრძოლაში ერთ დღეს არაბთა ლაშქარს თითქოს 16.000 კაცი გაუჟლეტია წანართა (ქახთა) ლაშქრიდან, ხოლო შემდეგ არაბთა სარდალი და მისი ლაშქარი თბილისისაკენ გაემართნენ, გზაში ყველა ტყვე ამოხოცეს, რომელნიც თან ჰყავდათ, და წანარებს ყოველი მხრიდან მდევარნი გამოუსიესო[2].

ქართველთა ეს განმათავისუფლებელი ბრძოლა ქრონოლოგიურად მეტ-ნაკლებად ემთხვევა იმ ბრძოლას, რომელსაც სომხეთში, კერძოდ. შირაკის პროვინციაში ჰქონდა ადგილი. არაბთა მიერ წარმოებულმა უსაზღვრო ძარცვამ სომხებს იარაღი ააღებინა დამპყრობთა წინააღმდეგ. ხოლო, როდესაც ისინი დამარცხდნენ. აჯანყების მეთაურებმა ისევ საქართველოში ჰპოვეს თავშესაფარი.

ლეონტის გადმოცემით, არაბებმა უდიდეს გაჭირვებაში ჩააგდეს ახლა სომხეთის ყველა სოციალური ფენა. გაბატონებული ადგილობრივი საერო და საეკლესიო წრეები სულს ღაფავდნენ გაჭირვებისაგან. ხოლო „მდაბიო“ ხალხი სხვადასხვა სახის წამებით იტანჯებოდა: ზოგს სცემდნენ და მძიმე გადასახადს სთხოვდნენ, ზოგს მუხრუჭებით აწამებდნენ, ზოგსაც აშიშვლებდნენ და ძლიერი ყინვის დროს ტბაში აგდებდნენ. თან გუშაგს მიუჩენდნენ ხოლმე და უბრძანებდნენ, რათა ეწამებინათ ისინი[3] და სხვ.

შეწუხებულმა სომხებმა ძლიერი აჯანყება მოაწყეს არტავაზ მამიკონიანის მეთაურობით შირაკის პროვინციაში. აგვიწერს რა ამ ამბავს და სომეხთა უმწეო მდგომარეობას, ლეონტი წერს, რომ ასეთი უბედურებით უკიდურესობამდე მისულმა სომეხმა ნახარარებმა სპარსთა ბატონობის თავიდან მოცილება გადაწყვიტეს, რომლის განხორციელება მცირერიცხოვნობის გამო მათ არ შეეძლოთ[4].

მართლაც, არტავაზ მამიკონიანმა ვერ გაუძლო მტერს და დამარცხებულმა ჯერ სამცხეს მიაშურა, ხოლო შემდეგ აჯანყებულები ეგრისში გადავიდნენ და იქ ჰპოვეს თავშესაფარი[5].

აჯანყებულ სომეხთა მიერ თავშესაფარის მონახვა საქართველოში იმას მოწმობს, რომ ქართველი და სომეხი ხალხები ახლაც თანაბრად იყვნენ დაინტერესებულნი მტრის თავიდან მოცილებით და ერთმანეთს ეხმარებოდნენ რითაც შეეძლოთ.

---

[1] М. К у б и, „История“, გვ. 8.

[2] იქვე, გვ. 9.

[3] История халифов Вардапета Гевонда, გვ. 95—96.

[4] იქვე, გვ. 96.

[5] იქვე.

არტავაზის დამარცხებით სომხებს ხელი არ აუღიათ ბრძოლაზე. შირაკს სომხეთის სხვა პროვინციებიც გამოეხმაურნენ. ახლა აჯანყებას სათავეში ჩაუდგა მუშეგ მამიკონიანი. ლეონტის გადმოცემით, ამ აჯანყებაში მდაბიო ხალხიდანაც ბევრი იღებდა მონაწილეობას. ისინი წავიდნენ და ალყა შემოარტყეს თეოდოსიუპოლ-კარნუ-ქალაქს [1].

775 წლის გაზაფხულზე ხალიფამ 30.000 კაცისაგან შემდგარი ჯარი მოაშველა სომხეთში მდგომ თავის ლაშქარს [2]. ამ გარემოებამ მტერი გაამაგრა, ხოლო აჯანყებულთა ბანაკზე ცუდი გავლენა მოახდინა. ნახარართა შორისაც არ იყო ერთი აზრი და ერთსულოვნება. ზოგი მათგანი აჯანყებას უმიზნოდ თვლიდა. ლეონტის გადმოცემით, ერთ-ერთი თვალსაჩინო ნახარართაგანი აშოტ ბაგრატუნი არათუ არ მონაწილეობდა ამ აჯანყებაში, არამედ ურჩევდა კიდეც აჯანყებულებს, რომ თავი დაენებებინათ ამ დამღუპველი განზრახვისათვის. იგი აჯანყებულებს ეუბნებოდა, რომ თქვენ არ შეგიძლიათ წინ აღუდგეთ მრავალთავიანი ურჩხულის (ე. ი. დამპყრობი არაბების) ძალას. დიდია მისი ძლიერება და აურაცხელია მისი ლაშქარი. უხვიმოა მისი იარაღის მარაგი საწყობებში. ყველა სამეფო, რომელმაც მას წინააღმდეგობა გაუწია, დაიმსხვრა როგორც თიხის ჭურჭელი. რომაელთა სამეფომაც ვერ გაბედა ხელები აღემართა მათზეო [3].

დიდი ბრძოლა გაიმართა მდ. ევფრატ-არაცანის სანაპიროზე. მტრის რიცხობრივმა უპირატესობამ არაბებს გამარჯვება არგუნა. ამ გმირულ ბრძოლაში დაიღუპნენ ძმები მუშეღ და სამოელ მამიკონიანები, სააკ და სმბატ ბაგრატუნები და სხვ [4]. სომეხთა დამარცხებაში ერთი ხელმძღვანელი ცენტრის უყოლობამაც გარკვეული როლი შეასრულა.

ისტორიამ ჩვენ ცოტა ცნობები შემოგვინახა იმ გმირული, განმათავისუფლებელი ბრძოლების შესახებ, რომელიც VIII საუკუნის 70-იან წლებში ამიერკავკასიის ხალხებმა გადაიტანეს. ამ განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგი უნდა იყოს ის, რომ გაჯავრებულმა არაბთა ხალიფამ ალ-მანსურმა ქართლის ერისმთავარი ნერსე ბაღდადში გაიწვია და „შესმენითა ბოროტთა კაცთაჲთა საპყრობილესა შეაგდო“ [5]. ეს ამბავი მოხდა 772—773 წწ. და სამი წლის განმავლობაში ნერსე საპყრობილეში ჰყავდა ხალიფას. 775 წელს ალ-მანსუ-

---

[1] История халифов Вардапета Гевонда, გვ. 99.

[2] История армянского народа, I, გვ. 120.

[3] История халифов Вардапета Гевонда, გვ. 99.

[4] История армянского народа. I, გვ. 121.

[5] იოანე საბანის-ძე, მარტვილობა აბო თბილელისა, დასახ. გამოც., გვ. 63.

ერი გარდაიცვალა და მისმა შვილმა, ახალმა ხალიფამ მაჰდიმ, ნერსე პატიმრობიდან გაათავისუფლა და ამ უკანასკნელმა ისევ დაიბრუნა ქართლის ერისმთავრობა. მაგრამ ხუთიოდე წლის შემდეგ, VIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, „იყო... კუალად განრისხებაჲ ჴელმწიფეთა მათ სარკინოზთაჲ ნერსე ერისთავსა ზედა“ [1] და ის იძულებული გახდა ხაზარეთში გაქცეულიყო.

ამრიგად, მიუხედავად ხალიფას მიერ მიღებული ყოველგვარი ზომებისა, ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა მაინც არ შეწყდა. ქართლი, სომხეთი და ალბანია თითქმის გამუდმებით აჯანყების ალში იყვნენ გახვეულნი. ალბანელთა მიერ არაბების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლებიდან VIII საუკუნის დასასრულს აღსანიშნავია ისეთი ძლიერი აჯანყებანი, როგორიც იყო ბარდავის მოსახლეობის აჯანყება 781 და 795 წლებში.

მაშინ, როგორც ქართლში, ისე სომხეთში და ალბანიაში განმათავისუფლებელ მოძრაობას თავისი მქადაგებლებიც ჰყავდა. სომეხ ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდებდა სომხური გრიგორიანული ეკლესიის ბევრი მამამთავარი, რომელთათვის მაჰმადიანი არაბების ბატონობა სომხეთში ყოვლად მიუღებელი იყო.

არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის მოწოდების შესანიშნავ ნიმუშს გვაძლევს ქართველი საეკლესიო პირი იოანე საბანისძე. მისი ძვირფასი თხზულება არა მარტო ამ მხრივ არის საინტერესო, არამედ არაბთა ბატონობისა და მძლავრობის შედეგად გამოწვეულ გაჭირვებასაც ნათლად გვისურათებს. იოანე საბანისძე, რომელიც VIII საუკუნის 80--იანი წლების ქართლის მდგომარეობას აგვიწერს, გადმოგვცემს, რომ ჩვენ არაბთა „მძლავრებასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქეჯნილნი, ძჳრ-ძჳრად ზღუეულნი“ [2] ვიმყოფებითო. ილია კათალიკოსი და მისი მსგავსი ადამიანები გამონაკლისს წარმოადგენდნენ, რომლებიც თავიანთი მოქმედების შედეგს არ ითვალისწინებდნენ და მეზობელი ხალხის საზიანოდ ამიერკავკასიის ხალხთა საერთო მტრის გამოყენებით პირადი საქმის გაკეთებას ცდილობდნენ.

ქართლის მოსახლეობა, მეზობელ სომხებთან და ალბანელებთან ერთად, მუდამ ებრძოდა არაბ დამპყრობლებს. მაგრამ, როდესაც უთანასწორო ბრძოლაში მტრის დამარცხება შეუძლებელი ხდებოდა, მოსახლეობა მამაპაპეულ მიწა-წყალს ტოვებდა და განაპირა

[1] იოანე საბანის-ძე, მარტჳლობა აბო თბილელისა, დასახ. გამოც., გვ. 54.

[2] იქვე, გვ. 58.

რაიონებში გარბოდა. ამ დროს შიდა ქართლის შევიწროებული მოსახლეობის ემიგრაცია უმთავრესად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ხდებოდა. მაშინ ეს მხარე ბიზანტიის მფარველობაში იმყოფებოდა და შიდა ქართლიდან გაქცეული მოსახლეობა იქ აფარებდა თავს.

შიდა ქართლიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გარბოდნენ არა მარტო ყველაზე უფრო შევიწროებული, მწარმოებელი საზოგადოების წევრები, არამედ გაბატონებული კლასის წარმომადგენლებიც. VIII საუკუნის 60-იან წლებში არაბებმა ქართლიდან ტაო-კლარჯეთში გააქციეს ერისთავი ადარნასე ბაგრატიონი, რომლის შთამომავლებმა შექმნეს ტაო-კლარჯეთის ძლიერი სამთავრო.

VIII საუკუნის დასასრულს, 70-იანი და 80-იანი წლების აჯანყებათა დაძლევის შემდეგ, არაბებმა მწვავე რეჟიმი დააწესეს ამიერკავკასიის ხალხების მიმართ. განმათავისუფლებელი ბრძოლის ხელმძღვანელი და არაბთაგან დევნილი ბევრი სომეხი იძულებული იყო გაქცეულიყო სომხეთიდან. ისინი ახლაც საიმედო თავშესაფარს ძველ ქართულ პროვინციებში — სპერში და ტაოში პოულობდნენ.

სომხური და არაბული წყაროების თანახმად, არაბებმა VIII—IX საუკუნეების მიჯნაზე წარჩინებულთა საგვარეულოებზე მიიტანეს იერიში. ხალიფა ალ-რაშიდის (786—809 წწ.) დროს მისმა წარმომადგენელმა ხუზაიმა იბნ-ხაზიმმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა წარჩინებულებს. მან, არაბი ისტორიკოსის იაკუბის გადმოცემით, შეიპყრო პატრიკები და მეფის შვილები (უნდა იგულისხმებოდეს ქართლის ერისმთავართა საგვარეულოს წევრები), რომელთაც თავები დასჭრაო.

აწამებდნენ და სიკვდილით სჯიდნენ ერისმთავრებს, ერისთავებს და სხვა წარჩინებულ პირებს. რა თქმა უნდა, უცხო დამპყრობთა მკაცრ ბატონობას ყველაზე უფრო მძიმე შედეგი დაბალი სოციალური ფენების, მწარმოებელი საზოგადოების წევრებისათვის მოჰქონდა, მაგრამ მათ გაჭირვებას, ისე როგორც სოციალური ბრძოლის ამბებს, ძველი მემატიანეები ნაკლებად გადმოგვცემენ.

არაბების სისასტიკემ VIII საუკუნის მეორე ნახევარში მკაცრი აჯანყება გამოიწვია აღმოსავლეთ საქართველოში. ამიერკავკასიის არაბი მმართველის მიერ გაგზავნილი ლაშქარი, როგორც ნათქვამი იყო, ვერაფერს გახდა აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში. არაბების წარმომადგენელმა მეორეჯერ მოაწყო დიდი შეტევა მათ წინააღმდეგ და ახლა თითქოს დაამარცხა ისინი, მაგრამ ქართველებმა ხელი არ აიღეს ბრძოლაზე.

არაბების მიერ ადგილობრივ მკვიდრთა შემაწუხებელი მოქმედება და ამ მოქმედების წინააღმდეგ ბრძოლა, ქართლ-კახეთის მსგავ-

სად, სომხეთშიც გრძელდებოდა ამ დროს. არაბი დამპყრობლები კი. რომლებმაც ამიერკავკასიის ხალხთა ვერც ერთ სოციალურ ფენაში დასაყრდენი ვერ პოვეს, არაბი მოსახლეობის აქ მომრავლებით ცდილობდნენ პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებას. მრავალი არაბი ვაჭარი და სხვა პირი იქნა ჩამოსახლებული ბარდავში (ალბანიის მაშინდელი დედაქალაქი), თბილისში, თეოდოსიუპოლსა და არ-ჭეშში, სლათში, ბერკრში და სხვაგან.

აზერბაიჯანის მიწა-წყალზე არაბთა პირველ ჩამოსახლებლად იაკუბი იაზიდ იბნ-ხატიმას ასახელებს. იგი გადმოგვცემს, რომ აბუჯაფარმა (ხალიფა ალ-მანსური 754 — 775 წწ.) არმენიის მმართველად იაზიდ იბნ-უსაიდ ოკ-სულამი დანიშნა, ხოლო აზერბაიჯანისა — იაზიდ იბნ-ხატიმა ალ-მუხალლაბი, რომელმაც ბარსიდან იქ იემენლები გადაასახლა. ის პირველი იყო, რომელმაც ეს გადასახლება მოახდინა [1].

ამიერკავკასიაში არაბთა ჩამოსახლებას, როგორც ნათქვამი იყო, თავიანთი პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცების მიზნით აწარმოებდნენ არაბები. იაკუბი გადმოგვცემს, რომ ხალიფა ალ-მაჰდის (775—785) გარდაცვალების შემდეგ მთელი არმენია (იგულისხმება ამიერკავკასია) აჯანყებამ მოიცვა. ეს აჯანყება დიდ ხანს გაგრძელდა, მაგრამ როდესაც ხალიფა არ-რაშიდმა არმენიის მმართველად ხუზაიმა იბნ-ხაზიმა ატ-ტამიმი დანიშნა, რომელმაც ამ თანამდებობაზე ერთი წელი და ორი თვე დაჰყო, აჯანყება ჩაქრობილ იქნა და მოსახლეობა არაბებს დამორჩილდა [2]. შემდეგ კი ხუზაიმას მაგივრად არ-რაშიდმა იუსუფი გამოგზავნა, რომელმაც, იაკუბის გადმოცემით, სომხეთში ნაზარიტთა ნაწილი გადმოასახლა; მისი მმართველობის დროს მათი (ნაზარიტების) რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა მაშინ, როდესაც აქ წინათ იემენთა რიცხვი ჭარბობდა. შემდეგ არ-რაშიდმა იაზიდ იბნ-მაზიადა იბნ-ზაიდუ აშ-შაიბანი დანიშნა, რომელმაც ყოველი მხრიდან გადმოასახლა რაბიიტები, რომლებიც იქ არაბთა მოსახლეობის მთავარ ნაწილს შეადგენდნენ. იაზიდი ისე მტკიცედ მართავდა ქვეყანას, რომ არავის არ შეეძლო ოდნავ განძრეულიყოო [3].

---

[1] Я'Куби, „История", გვ. 8.

[2] იქვე, გვ. 9.

[3] იქვე, გვ. 9—10.

4. ხურამიტების მოძრაობა ბაბეკის მეთაურობით და ამიერკავკასიის ხალხები

ამიერკავკასიის ხალხთა გამათავისუფლებელ მოძრაობას ქრონოლოგიურად მეტ-ნაკლებად ემთხვევა არაბთა ბატონობის წინააღმდეგ მიმართული ისეთი დიდი სოციალური და განმათავისუფლებელი ხასიათის სახალხო მოძრაობანი, როგორიც იყო 776—783 წწ. გლეხთა აჯანყება შუა აზიაში მუკანის მეთაურობით; გურგანის გლეხთა დიდი მოძრაობა, რომელიც 778—779 წწ. დაიწყო და მისი მონაწილენი „სურხ ალემ"-ის („წითელდროშოვანთა") სახელწოდებით არიან ცნობილი. მაგრამ ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობასთან უშუალო კავშირი ჰქონდა და მისთვის უდიდესი მნიშვნელობის იყო მის მოძრაობა, რომელიც ხურამიტთა მოძრაობის სახელწოდებით არის ცნობილი.

IX საუკუნის დასაწყისში არაბთა სახალიფოს მიერ დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობა განსაკუთრებულ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამიტომ ხშირ შემთხვევაში ამ ქვეყნებში დაწყებული მოძრაობა არა მარტო განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათს იღებდა, არამედ სოციალური ბრძოლის შინაარსსაც ატარებდა. ერთ-ერთ ასეთ თვალსაჩინო მოძრაობად სწორედ ხურამიტთა მოძრაობა უნდა ჩაითვალოს.

ეს მოძრაობა 808—809 წლებში აზერბაიჯანის მიწა-წყალზე, კერძოდ, ყარადაგში, ლენქორანის მთიან რაიონებში და მუღანის ბარში დაიწყო. ხურამიტთა მოძრაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ გლეხები, ხელოსნები და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა. ამ მოძრაობის ხელმძღვანელი პირველად ერთ-ერთი წვრილი ფეოდალი ჯავიდანი იყო, ხოლო მისი მოკვლის შემდეგ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა მხნე და გულადი ადამიანი ცნობილი ბაბეკი.

ხურამიტები მაზდაკიზმის[1] დიდ გავლენას განიცდიდნენ. ბაბეკი

---

[1] მაზდაკი V—VI საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა და 529 წელს სიკვდილით ჰქნა დასჯილი. ის, გადმოცემის თანახმად, სპარსული სარწმუნოების ერთ-ერთი ქურუმი და კავად I სასახლესთან დაახლოებული პირი იყო. მაზდაკმა შეიმუშავა რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომლის თანახმად ბუნებაში 3 ელემენტია: წყალი, ცეცხლი და მიწა, რომელთა შეერთება დადებით და უარყოფით მოელენებს გვაძლევს. მუდმივი ბრძოლა, რომელიც კეთილ, ნათელ საწყისსა და ბნელ, ბრმად მოქმედ ბოროტ ძალებს შორის არსებობს, კეთილის გამარჯვებითა და „ადამიანთა ბოროტების" ძალდატანებითი განადგურებით გათავდება.

816 წლიდან ჩაუდგა სათავეში ამ მოძრაობას. აჯანყებულთა ბრძოლის სიმბოლოდ წითელი ფერი იყო მიღებული და მის მონაწილეებს „წითელ ხალათიანებს“ ეძახდნენ.

ბაბეკის მამა წვრილი ვაჭარი იყო, ხოლო დედა ქმრის გარდაცვალების შემდეგ მსახურ ქალად მუშაობდა. თვით ბაბეკი მამის სიკვდილის შემდეგ ჯერ მწყემსად იყო ერთ მსხვილ ფეოდალთან, ხოლო შემდეგ აქლემების ქარავნის გამყოლად მუშაობდა და ხელოსნური საქმის შესასწავლად მოწაფედ დაიწყო მუშაობა. ის 18 წლის იყო, როდესაც სურამიტთა სექტას შეუერთდა. მალე „წითლების“ მოძრაობის ხელმძღვანელი გახდა და, როგორც მხნე და გულადი, ამ სექტამ ის ღვთაების განსახიერებად აღიარა.

ბაბეკმა, მოექცა რა იგი მოძრაობის სათავეში, აშკარად და დაუყოვნებლივ გამოუცხადა ბრძოლა არაბთა ბატონობას. ხურამიტებთან ბრძოლაში სამჯერ განიცადა დიდი მარცხი ხალიფას ლაშქარმა — 820, 823 და 827 წლებში. ამის შემდეგ ეს მოძრაობა ერცელ ტერიტორიაზე, სომხეთის აღმოსავლეთ რაიონებში და დასავლეთ ირანში, გავრცელდა. ხურამიტების ხელში გადავიდა დიდი ტერიტორია დვინი-ბარდავიდან ისპაანამდე ირანში.

მაზდაკმა ადამიანთა სოციალური და ეკონომიური უთანასწორობის მოსპობის პრინციპი წამოაყენა. ის უარყოფდა მიწისა და ყოველგვარი ქონების კერძო საკუთრების არსებობას.

მაზდაკიზმის, როგორც მოძღვრების, აღმოცენების დრო სპარსეთში ემთხვევა იმ ხანას, როდესაც იქ ფეოდალთა მიერ სათემო მიწების მიტაცებისა და მეთემე-გლეხთა კაბალურ მდგომარეობაში მოქცევის პროცესი სწრაფად მიმდინარეობდა. ამიტომ, ამ მოვლენის შედეგად, კლასობრივი ურთიერთობის გამწვავების პირობებში, მაზდაკის მოძღვრებამ დაბალ სოციალურ ფენებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

როდესაც კავადმა დაინახა, რომ მაზდაკის მოძღვრებამ დიდი მოძრაობა გამოიწვია, ის შეეცადა ეს მოძრაობა მსხვილ ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა. მაგრამ, როდესაც მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო და ხალხმა ფეოდალთა საკუთარი ქონების ჩამორთმევა და ფეოდალების ფიზიკური განადგურებაც კი დაიწყო, შეშინებული გაბატონებული კლასი შაჰის მემკვიდრის ხოსრო კავადისძის მეთაურობით სასტიკად გაუსწორდა მოძრაობის მონაწილეებს, ხოლო მაზდაკი სიკვდილით იქნა დასჯილი.

მაზდაკის მოძღვრება მაშინ უტოპიური იყო და, რამდენადაც სათემო მიწათმფლობელობისაკენ დაბრუნებას მოითხოვდა, რეაქციულიც. მაგრამ მაინც, ამ მოძღვრების შედეგად გაჩაღებული მოძრაობა პროგრესული ხასიათისა იყო.

ვარდან დიდი, აგვიწერს რა IX საუკუნის I ნახევრის სომხეთის პოლიტიკურ ამბებს, წერს, რომ ამ დროს სომხეთს მოევლინა ვიღაც კაცი სახელად ბაბეკი, რომელმაც მწარე დამარცხება აგემა არაბებს, ბევრი ტყვედ ჩაიგდო ხელში. ერთ-ერთ ბრძოლაში მან 30.000 არაბი გაჟლიტაო[1].

ქართული და უცხოური წყაროების ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აზერბაიჯანელი, ქართველი და სომეხი ხალხები IX საუკუნის 20-იან წლებში არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ბრძოლაში ერთიმეორესთან იყვნენ დაკავშირებული.

ეჭვი არ არის, რომ IX საუკუნის 20-იან წლებში თავისი წვლილი შეიტანა ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელმა ბრძოლამ სახალიფოს დასუსტებაში. ეხება რა აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას, „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი აღნიშნავს, რომ IX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს „მოუძლურებულ იყვნეს სარკინოზნი და ...ტფილისს არავინ დარჩა სარკინოზთაგანი თჳნიერ ალი შუაბისძისაო“[2]. მართლაც, არაბთა სახალიფო, რომელმაც, იგივე მემატიანის გადმოცემით, ბიზანტიასთან ბრძოლაში დიდი მარცხი განიცადა, დიდად იყო დაზარალებული ხურამიტების მიერაც.

არაბი ისტორიკოსი და გეოგრაფი მასუდი, რომელიც X საუკუნეში მოღვაწეობდა, მოგვითხრობს, რომ ხურამიტებმა ძლიერების უდიდეს საზომს მიაღწიეს და მათმა მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა აბასიდების სამეფო კინაღამ მოსპოო[3].

ახლა არათუ ამიერკავკასიაში მყოფი არაბთა საოკუპაციო ლაშქარი უნდა ჩაბმულიყო მთლიანად ხურამიტების წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ ბაღდადიდანაც უდიდესი სამხედრო ძალების გამოგზავნა სჭირდებოდა ხალიფას. იქნებ ამ მოვლენის შედეგი იყო ის, რომ „ტფილისს არავინ დარჩა სარკინოზთაგანი თჳნიერ ალი შუაბისძისა“.

აზერბაიჯანის ისტორიის მკვლევართა დასკვნით ხურამიტთა მოძრაობას სომხეთისა და საქართველოს რაიონებიც გამოეხმაურნენ. ისინი აღნიშნავენ, რომ „ბაბეკის აჯანყებამ ირანის ზოგიერთი მხარე, აღმოსავლეთ სომხეთი და საქართველო მოიცვა. ხურამიტებმა კავშირი დაამყარეს აჯანყებულ სომხებთან და ქართველებთანო“[4].

---

[1] Всеобщая история Вардана Великого, გვ. 101.

[2] ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 252.

[3] История Азербайджана, I, გვ. 121.

[4] იქვე, გვ. 120.

ჯერ კიდევ IX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში არაბთა წინააღმდეგ აჯანყებული სომხების დასახმარებლად მოსულმა ბაბეკის რაზმებმა სასტიკად დაამარცხეს სივნიეთში არაბთა ლაშქარი და გააძევეს ამ მხარიდან. როდესაც არაბთა სარდალი სევადი თავს დაესხა ყარაბახს, ბელაქანსა და სივნიეთს, აქაურმა ფეოდალებმა და მოსახლეობამ ბაბეკს მიმართეს დახმარებისათვის. ბელაქანსა და სივნიეთში მოსულმა ბაბეკმა გაანადგურა სევადის ლაშქარი და აიძულა არაბთა სარდალი გაქცეულიყო.

სივნიეთისა და მისი მთავრისადმი ბაბეკის მიერ დახმარების აღმოჩენის შესახებ მოსე კალანკატუელი შემდეგ ცნობას გვაწვდის: სომეხთა წელთაღრიცხვის 270 (551+270=821) წელს დამანგრეველი სევადი თავს დაესხა და გაძარცვა მთელი მხარე, მობრუნდა სივნიეთში და ცგკაცის მხარეში, ქალაქ შაგატის ციხეში გამაგრდა. ამ მხარის მფლობელმა ვასაკმა, სიუნიკთა საგვარეულოს უფროსმა, მოიყვანა რა ბაბეკი, დაამარცხა (სევადი) და აიძულა გაქცეულიყო[1]. ამის შემდეგ ადგილობრივმა მოსახლეობამ შეერთება დაიწყო მოძრაობასთან. ყარაბაღისა და სივნიეთის სომხებმა შეიარაღებული დახსურსათო დახმარება აღმოუჩინეს ხურამიტებს. სივნიეთის მთავარმა ვასაკმა ნათესაური კავშირიც დაამყარა ბაბეკთან — თავისი ქალიშვილი ბაბეკს მიათხოვა ცოლად[2].

მოსე კალანკატუელის ცნობით, სომხეთისა და აზერბაიჯანის ზოგიერთ რაიონში, ალბათ იქ, სადაც არაბთა გავლენა და ძალები უფრო ძლიერი იყო, მკაცრი ღონისძიების ჩატარებაც დასჭირდა ბაბეკს. ისტორიკოსი წერს, რომ ბაგთა[3] მხარემ არ შეასრულა ბაბეკის განკარგულება, რისთვისაც მან მკაცრი ზომები მიიღო მისი მცხოვრებლების წინააღმდეგ. შემდეგ წელს კი ის აქედან გელაქუნის მხარეში გადავიდა, სადაც 15 ათასი სული ადამიანი ამოჟლიტა და დიდი სატახტო ქალაქი მაკენეცი[4] გადაწვა. ეს ამბები 276 (551+ +276=827) წელს მოხდაო[5].

ორი წლის შემდეგ — განაგრძობს იგივე ისტორიკოსი — ბაბეკმა ტავუსი[6] დაანგრია, საიდანაც 150000 სული ადამიანი გააძევა, ხოლო შემდეგ წელს ვინმე აბრაგიმ გეტის ძე დაამარცხაო[7].

[1] История Агван Моисея Каганкатваци, გვ. 267.

[2] იქვე.

[3] სტეფანოზ ორბელიანი ამ ადგილს ბალასაკანად, ე. ი. ბალაქანად ახსენიებს (იხ. История Агван Моисея Каганкатваци, გვ. 267, შენიშვნა 4).

[4] კ. პატკანიანი შენიშნავს, რომ აქ უთუოდ მონასტერი იგულისხმება (იხ. იქვე, გვ. 267).

[5] იქვე, გვ. 267.

[6] იგულისხმება ტავუში უტის პროვინციაში.

[7] История Агван, გვ. 267—268.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოსე კალანკატუელის რამდენადმე გადაჭარბებულ ამ ცნობაში სომხეთისა და აზერბაიჯანის ის მკვიდრი მოსახლეობა კი არ იგულისხმება, რომელიც არაბთა ბატონობის თავიდან მოსაცილებლად იბრძოდა, არამედ ძირითადად მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც არაბი მოხელეების მიერ აზერბაიჯანისა და სომხეთის მიწა-წყალზე იქნა ჩამოსახლებული, ამა თუ იმ გზით სახალიფოსთან იყო დაკავშირებული და არაბთა ბატონობას მხარს უჭერდა.

IX საუკუნის 20-იანი წლები ის ხანაა, როდესაც ბრძოლა იწყება სამეფო-სამთავროთა შორის პირველობისათვის საქართველოში. მაგრამ ამასთან ეს სამთავროები (ტაო-კლარჯეთი, კახეთი და ჰერეთი) დამპყრობ არაბებს ებრძვიან.

ამავე დროს ხალიფასაგან განდგომას იწყებს თბილისის ამირაც. IX საუკუნის 20-იან წლებში გამდგარა თბილისის ამირა მუჰამად იბნ-ატაბი, რომელსაც ქართლიც დაუპყრია. მისი მოკავშირეები ყოფილან წანარები. მუჰამად იბნ-ატაბი ხალიდ იაზიდისძემ დაიმორჩილა. უკანასკნელმა მოარბია აგრეთვე „სამხრეთი საქართველო და ურჩ წანარებსაც, ე. ი. კახელებს, თავს დაესხა“ [1].

იაკუბის გადმოცემით, ხალიდ იაზიდისძე „მედგრად ებრძოდა მათ (წანარებს) ჯურზანში (საქართველოში), გააქცია ისინი, ხელში ჩაიგდო მათი ჯოგები და, ბოლოს, შემოირიგა იმ პირობით, რომ ისინი (წანარები) მოსცემდნენ სამიათას ფაშატ ცხენსა და ოციათას ცხვარს. მაგრამ არ გასულა დიდი დრო, რომ ისინი კვლავ აჯანყდნენ“ [2].

ამავე საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს მეორეჯერ დასჭირდა დიდი ლაშქრით მოსვლა აღმოსავლეთ საქართველოში აჯანყების ჩასაქრობად არაბთა სარდალს ხალიდ იაზიდისძეს. ეს ლაშქრობანი საქართველოში ქრონოლოგიურად ემთხვევა ხურამიტთა დიდ მოძრაობას. მეორეჯერ მოსული ხალიდ იაზიდისძე სასტიკად დაამარცხეს კახეთში სოფელ გავაზთან. ამის შესახებ „მატიანე ქართლისაჲ-ს“ ავტორი გადმოგვცემს, რომ „კუალად მეორედ მოვიდა... ხალილ არაბი. შეებნეს გარდაბანელნი გავაზს, და გააქციეს ხალილ, და მოსწყდა სიმრავლე ფრიადიო“ [3].

სოფელ გავაზთან გამართულ ბრძოლაში ქართველ-ალბანთა გაერთიანებული ლაშქარი უნდა გამოსულიყო არაბთა წინააღმდეგ. ჩვენი აზრით, სრულიად მართალი არიან აზერბაიჯანის ისტორიის

---

[1] ს. ჯანაშია, შრომები, II, 1952, გვ. 405.

[2] იქვე.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 254.

მკვლევარები, როდესაც ამ ბრძოლის შესახებ წერენ, რომ „объединенные отряды грузин и албанов в бою у деревни Гавази в Кахети нанесли арабскому войску поражение“[1].

არაბთა წინააღმდეგ ხურამიტებისა და აღმოსავლეთ საქართველოს მებრძოლი ძალების კავშირ-ურთიერთობის საკითხი ჯერ კიდევ ღრმა შესწავლას საჭიროებს.

ხურამიტების სუსტი მხარე და შეცდომა იმაში გამოიხატება, რომ მათ მსხვილ ფეოდალებთან შეკრეს სამხედრო კავშირი. ამ უკანასკნელებმა მოხერხებულად გამოიყენეს ხურამიტების ბრძოლა, დამოუკიდებლობა განიმტკიცეს და ხალიფას მომხრე ფეოდალების მიწა-წყლის ხარჯზე საკუთარი სამფლობელოებიც გაიდიდეს.

ხურამიტთა ბრძოლის სოციალური შინაარსი სრულებითაც არ იყო მისაღები ფეოდალებისათვის. ამიტომ, როდესაც ფეოდალებმა მიზანს მიაღწიეს და ხურამიტთა ბრძოლაც გარკვეულ საზღვარს მიუახლოვდა, ნახარარ-ფეოდალებისათვის ხალიფასთან კავშირი უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა. მათ უღალატეს ბაბეკს და არა მარტო გაეთიშნენ მოძრაობას, არამედ ხალიფას მხარეზე დადგნენ ხურამიტთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ფეოდალთა ღალატმა და ხალიფას მიერ მთელი ძალების მობილიზაციამ ბრძოლის სასწორი არაბთა სასარგებლოდ გადახარა. ერთი წლის ალყის შემდეგ, 837 წელს, ხურამიტთა ცენტრი სამხრეთ აზერბაიჯანში — ბაზზი დაეცა. ბაბეკმა ალბანიაში მოასწრო გამოჭცევა და ერთ-ერთ აქაურ დიდ ფეოდალთან, როგორც მოკავშირესთან, სახლა სუმბატთან, თავი შეაფარა. მაგრამ უკანასკნელმა ბაბეკს უღალატა და მტერს ჩაუგდო ხელში, რისთვისაც ხალიფასაგან ჯილდოდ 1 მილ. დირჰენი მიიღო. შეპყრობილი ბაბეკი ხალიფას რეზიდენციაში მიიყვანეს და წამების შემდეგ, 837 წლის 4 სექტემბერს, სიკვდილით დასაჯეს.

ბაბეკის დამარცხებისა და სიკვდილით დასჯის შესახებ სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდი შემდეგ ცნობას გვაწვდის: ხალიფამ აფშინი გაგზავნა ძლიერი ლაშქრით ბაბეკის წინააღმდეგ. აფშინმა დაამარცხა ბაბეკის ლაშქარი. სახლა სუმბატისძემ ტყვედ ჩაიგდო ხელში ბაბეკი, რისთვისაც აფშინასაგან გამოსასყიდად მოითხოვა ვერცხლის მილიონი მონეტა. ბაბეკს მოსჭრეს ხელები და ფეხები და ჩამოახრჩესო[2].

---

[1] История Азербайджана, I, გვ. 120.

[2] Всеобщая история, გვ. 101.

ნ. განმათავისუფლებელი ბრძოლა არაბების წინააღმდეგ IX საუკუნის 50-იან წლებში. აბულ-კასიმის ლაშქრობა და სომეხ-ქართველთა დამარცხების მიზეზები

არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლა მეტნაკლები სიძლიერით ცალკეულ ქვეყნებსა და რაიონებში თითქმის განუწყვეტლივ მიმდინარეობდა და, რა თქმა უნდა, ხურამიტთა დამარცხების შემდეგაც არ შეწყვეტილა. IX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში არაბთა სარდალს ხალიდ იაზიდისძეს მესამეჯერ მოუხდა ლაშქრობა ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში. არაბთა ყოველი ლაშქრობა სისხლისმღვრელი ომით თავდებოდა და ის ამიერკავკასიის ხალხებს უდიდეს ზიანს აყენებდა, მაგრამ განმათავისუფლებელი მოძრაობა არ წყდებოდა და მტრის საბოლოო დამარცხების დროც ახლოვდებოდა. ხალიდ იაზიდისძე საქართველოში მისი მესამეჯერ ლაშქრობის მსხვერპლი გახდა. ის, ქართველ და სომეხ მემატიანეთა ცნობით, ჯავახეთში მოკლეს.

განმათავისუფლებელი ბრძოლა ამიერკავკასიის ხალხებს, როგორც ნათქვამი იყო, ბაბეკის დამარცხების შემდეგაც არ შეუწყვეტიათ, მაგრამ ამ გამათავისუფლებელმა ბრძოლამ განსაკუთრებული ხასიათი IX საუკუნის 40-იანი წლების დამლევსა და 50-იანი წლების დასაწყისში მიიღო.

849—850 წწ. სომხური პროვინციების — ვასპურაკანისა და ტარონის აჯანყებულმა მოსახლეობამ დაამარცხა აქ გამოგზავნილი არაბთა ლაშქარი და გააქცია ის. მაგრამ არაბებმა კიდევ გამოგზავნეს დიდი დამსჯელი ჯარები და ახლა მარცხი სომხებმა განიცადეს. არაბთა ლაშქარმა ულმობლად გაანადგურა თითქმის მთელი სომხეთი, დამსჯელი რაზმების გამანადგურებელ თარეშს გადაურჩა მხოლოდ სომხეთის ზოგიერთი მთიანი, მიუვალი ადგილი, მათ შორის სასუნის პროვინცია.

851 წელს სასუნის მთაგორიან რაიონიდან დაიწყო არაბთა წინააღმდეგ ბრძოლა. მოძრაობა სასწრაფოდ მოედო ბარის რაიონებს და ბრძოლა გაჩაღდა. აჯანყებულებმა იერიში მიიტანეს ქ. მუშზე, აიღეს ის და ეკლესიის გუმბათში შემალული არაბთა ლაშქრის სარდალი იუსუფი მოკლეს. სომეხი ხალხის ეს გმირული ბრძოლა საფუძვლად დაედო „დავით სასუნელის“ ცნობილ ეპოსს.

სომეხი ხალხის ამ ბრძოლას მეზობელი ქართლისა და ალბანიის მოსახლეობაც სასწრაფოდ გამოეხმაურა. აჯანყებულები მკაცრად უსწორდებოდნენ არაბთა მოხელეებსა და მეციხოვნე რაზმებს. მაგრამ, ისე როგორც ზოგჯერ სხვა დროს, ახლაც აჯანყებულებს ერთი ხელმძღვანელი ცენტრი არ ჰყავდათ, ცალკეული რაიონები

მტერს დამოუკიდებლად ებრძოდნენ და ამიტომ მიზანს ვერ აღწევდნენ.

852 წლის გაზაფხულზე თავისუფლებისათვის მებრძოლ ამიერკავკასიის ხალხთა წინააღმდეგ უდიდესი ლაშქარი გამოგზავნა ხალიფამ ბუღას მეთაურობით. უკანასკნელმა ჯერ სომეხ აჯანყებულებს გამოუცხადა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, სისხლის მორევში ჩაახრჩო იქ განმათავისუფლებელი ბრძოლა და შემდეგ ქართლისაკენ დაძრა თავისი ლაშქარი.

IX საუკუნის შუა წლები ის ხანა იყო, როდესაც მომწიფდა სახალიფოს დაშლის პირობები და ზოგი პროვინციის მმართველი ამირაც კი აღარ ემორჩილებოდა ხალიფას. ხალიფასაგან განდგომის ტენდენციებს ჯერ კიდევ IX საუკუნის 20-იანი წლებიდან, როგორც ნათქვამი იყო, თბილისის ამირებიც იჩენდნენ. 40-იანი წლების დასაწყისიდან თბილისის ამირა საჰაკი ხარკს აღარ აძლევდა ხალიფას და ადგილობრივ აკრეფილ ხარკს თვითონ ითვისებდა.

ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიაში ეს ის ხანაა, როდესაც უკვე წარმოქმნილია ცალკეული ფეოდალური სამეფო-სამთავროები და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათ შორის ბრძოლაა დაწყებული პირველობისათვის. იზრდებოდა ქვეყნის გაერთიანების ტენდენცია. ამიტომ მებრძოლი მხარეები მიზნის მისაღწევად ზოგჯერ საგარეო მტრის გამოყენებასაც კი ცდილობდნენ. როდესაც სომეხ ხალხსა და ბუღას ლაშქარს შორის მწვავე ბრძოლა გაჩაღდა, დვინში მყოფი სუმბატ ბაგრატუნი არათუ დაეხმარა თანამემამულეებს, არამედ ბუღას მორჩილება განუცხადა და მისი მოთხოვნილებაც შეასრულა.

853 წელს ბუღა აღმოსავლეთ საქართველოში შემოიჭრა. ჩანს, ხალიფა და მისი სარდალი ყველაზე მეტად საჰაკის, როგორც ხალიფას ურჩი მოხელის, დასჯით იყვნენ დაინტერესებული. საქართველოში შემოჭრილმა ბუღამ თბილისზე მიიტანა იერიში. ბუღას წინააღმდეგ გამოვიდნენ თბილისის ამირა, აფხაზთა მეფე, კახთა მთავარი და ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებიც, გარდა ბაგრატ აშოტისძე კურაპალატისა. უკანასკნელმა თავისი ლაშქარი ბუღას მიაშველა და მას დაეხმარა. ამით ის ცდილობდა საქართველოს სამეფო-სამთავროთა შორის პირველობისათვის ბრძოლაში არაბთა ლაშქარი გამოეყენებინა.

ბაგრატის დახმარებით ბუღამ თბილისი აიღო და მოწინააღმდეგეებიც დაამარცხა. არაბთა სარდალმა თბილისის მოსახლეობა შეუბრალებლად გაჟლიტა და ქალაქი გადაწვა, ხოლო საჰაკ ამირა სიკვდილით დასაჯა. არაბული ცნობების თანახმად, ამ ბრძოლის დროს ქ. თბილისის მცხოვრებთაგან 50.000 სული დაღუპულა.

ბუღამ თანაბარი უბედურება მოუტანა ამიერკავკასიის ხალხებს, კერძოდ, სომხებსა და ქართველებს. ამის შესახებ ჩვენ არა ერთი წერილობითი წყარო მოგვეპოვება. საინტერესო ცნობას გვაძლევს სომეხი ისტორიკოსი თომა არწრუნი ბუღას მიერ ქ. თბილისის აღებისა და განადგურების შესახებ. იგი წერს: „ამის შემდეგ (სომხეთში აჯანყებულთა დასჯის შემდეგ — ვ. კ.) შეკრიბა ურიცხვი სიმრავლე ჯარისა, უფრო მეტი, ვიდრე პირველად, გამოვიდა, დაიძრა, აღმოსავლეთის ქვეყნის მისაღწევად, ბრძანა დასცემოდნენ ტფილისად წოდებულ ქალაქს, რომელსაც წინათ ფაიტაკარანს ეძახდნენ. მათი ქალაქი ხისგან იყო ნაგები, მისი ზღუდეები და კედლები, სასახლეები, ქალაქის მცხოვრებთა ყველა სახლი, (საერთოდ) მთელი სახლკარი [ხისა იყო].

ზედმეტად მიმაჩნია სათანადოდ გამოვაცხადო... ამ ქალაქის ყოველი უსჯულოება, საესე ბოროტებითა, რომლითაც სოდომსა და იერიქონს აღემატებოდა[1]. მხოლოდ, როდესაც ბუღამ მიაღწია, გადავიდა გაზაფხულის გამო ადიდებულ დიდ მდინარეზე, რომელსაც ჰქვია მტკვარი, და ქალაქის ირგვლივ დაიბანაკა... მაშინვე ქალაქს ირგვლივ ცეცხლი შემოარტყა, წაუკიდა რა ტყესა და ღვიას, რომელიც ადვილად იწვოდა. ხოლო ქალაქის თავი საჰაკი გავიდა (ქალაქის) კარიდან, რომელიც სამშვილდის ციხისკენ მიდის, მოისხა სიასამური, ხელში აიღო კვერთხი და იმდენად გასულელდა, რომ დაკარგა გასაქცევი, მან, რომელსაც შეეძლო წასულიყო სადაც უნდოდა. გაგზავნა (კაცნი) სარდალ ზირაქთან[2] და შეუთვალა „იჩქარე ჩემს შესახვედრადო“. ხოლო მან (ზირაქმა) არ დაუჯერა მოსულთ, რომელნიც იწვევდნენ მას, ვიდრე მეორედ და მესამედ არ უთხრეს. (მაშინ) ზირაქი მივიდა, შეიპყრა ოგი და წაიყვანა, წარუდგინა ბუღას. მის აჯანყებაზე უფრო მისი ეს ფრიად უჭკუო საქციელი გაიკვირვა... ბუღამ უბრძანა ჯალათებს თავი მოეკვეთათ მისთვის... როდესაც (საჰაკს) თავი მოჰკვეთეს, ბუღამ მეფის კარზე გაგზავნა იგი“[3].

თომა არწრუნის ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისის ამირა საჰაკი თითქოს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ჩაბარდა არაბთა სარდალს, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ, როგორც ამას

---

[1] სომეხ ისტორიკოსს ამ განცხადების უფლებას ის აძლევდა, რომ ჯერ ხოროსტრული სპარსეთი, ხოლო შემდეგ მაჰმადიანი არაბები დიდი ხნის განმავლობაში მძვინვარებდნენ და დათარეშობდნენ ქალაქ თბილისში.

[2] ზირაქი ბუღა თურქის სპასალარი იყო.

[3] ვ. ნ ა ლ ბ ა ნ დ ი ა ნ ი, დასახ. შრომა, გვ. 58—59.

ვ. ნალბანდიანი აღნიშნავს, ეს გარემოება ფასს არ უკარგავს თომა არწრუნის ცნობებს [1].

ჩვენ საკმაო წერილობითი წყაროები მოგვეპოვება იმის შესახებ, რომ ბუღამ ბრძოლით დაიმორჩილა თბილისი, თუმცა ეს ბრძოლა თბილისელთა მხრივ, გასაგები მიზეზების გამო, არ უნდა ყოფილიყო ისეთი ერთსულოვანი და თავდადებული, როგორც ის იყო ჰერაკლე კეისრისა და ხაზართა ხაკანის თავდასხმების დროს — 626—627 წლებში.

თბილისელთა წინააღმდეგობისა და ჩვენთვის საინტერესო სხვა საკითხების გასათვალისწინებლად არაბი ისტორიკოსი ტაბარი გვაძლევს ძვირფას ცნობებს. იგი წერს: „...შემდეგ (ბუღა) მივიდა დვინს, სადაც ერთი თვე დაყო, მერე წავიდა ტფილისს. 238 (=852—853—ვ. კ.) წლის შაბათ დღეს რაბის თვის პირველ რიცხვზე ათი დღით ადრე, ბუღამ გაგზავნა ზირაქ თურქი, რომელიც გადავიდა მდინარე მტკვარზე. ეს მდინარე ბაღდადის მდინარე სარას მსგავსად დიდია და ქალაქის შუაგულზე გადის ისე, რომ თბილისი ბ-ს დასავლეთ, ხოლო სუღდაბილი მის აღმოსავლეთ მხარეზე რჩებიან. ბუღამ აღმოსავლეთის ნაპირზე დაიბანაკა. ზირაქი გადავიდა მტკვარზე და შევიდა ტფილისის მაიდანში. ქალაქს ხუთი კარი აქვს. ესენი არიან: მაიდანის კარი, ძველი კარი, მცირე კარი, შუა კარი და სუღდაბილის კარი... ისაჰაკ ისმაელი (ე. ი. საჰაკი — ვ. კ.) გამოვიდა ზირაქის წინააღმდეგ და საბრძოლველად გაიწვია იგი. ბუღა ავიდა ერთ გორაკზე, რომელიც ქალაქის პირდაპირ, სუღდაბილის მახლობლად იყო.

შემდეგ მან გაგზავნა მენავთეები, რომლებმაც ცეცხლი მოუკიდეს კუპრს და ქალაქში ისროდნენ. ქარმა ცეცხლი გააღვივა. ისაჰაკ ისმაელი ქალაქში დაბრუნდა, რათა მიეხედნა ხანძრისათვის, რომელსაც მისი სასახლე და ირგვლივ მდებარე შენობები მოეცვა. ამ დროს მას თავს დაესხნენ თურქები და მაღრიბელნი (აფრიკელები), ტყვედ ჩაიგდეს იგი თავის შვილთან, ომართან ერთად და მიჰგვარეს ბუღას, რომელმაც ბრძანა წაეყვანათ იგი და ბორკილებშივე მოეკვეთათ მისთვის თავი ჰასაკის (sic) კარის წინ. მისი თავი ბუღას მოუტანეს, შემდეგ ჰასაკის (sic) კარზე დასდეს, ხოლო სხეული კი მტკვარში გადააგდეს. იგი ერთი პატარა ტანის მოხუცი იყო, მსუქანი და დიდთავა, რომელიც მუქი ფერის ბასმით იღებავდა თმას.

მისი თავის მოკვეთის მეთვალყურე იყო ღამეში, ბუღას ნაცვალი. ქალაქში 5.000 კაცამდე დაიწვა, რადგანაც კუპრის ხანძარი გა-

[1] ვ. ნალბანდიანი, დასახ. შრომა, გვ. 60.

ნუწყვეტლად ბობოქრობდა დღისითაც და ღამითაც. დილით მოვიდნენ მაღრიბელნი და გარეთ გამოიყვანეს ისინი, ვინც ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, ხოლო მკვდრებს სამოსი გააძრეს. ისაჰაკის ცოლი, რომელიც საბირის მთავრის ქალი იყო, სულდაბილში დარჩენილიყო, ტფილისის აღმოსავლეთ მხარეს რომ არის. ეს ქალაქი... ისაჰაკს გაუმაგრებია, მის ირგვლივ თხრილი გაუთხრია და ქალაქში ხეთელებისა და სხვათა მცველი ჯარი ჩაუყენებია"[1].

ზემოთ აღნიშნული ცნობიდან ვ. ნალბანდიანი ყურადღებას აქცევს „ხეთელების" ხსენებას. იგი წერს, რომ „ბულას ურდოების წინააღმდეგ თბილისის მებრძოლი დამცველების რიგებში გვხვდებიან გულადი და უშიშარი ხეთელებიც, რომელნიც 851—852 წლების ზამთარში არაბთა წინააღმდეგ მომხდარი სასუნის აჯანყების სულსა და გულს წარმოადგენდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ აჯანყების ჩახშობის შემდეგ მისი მონაწილენი ბულას შურისძიებას გაექცნენ, მოვიდნენ საქართველოში და თავშესაფარი პოვეს თბილისში, საჰაკის საამიროში, რომელიც არაბთა სახალიფოსაგან დამოუკიდებლობას ჩემულობდა"[2].

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის დროს ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი. მაშინდელი საზოგადოებრივი წყობა, თვით ეპოქა, ყოველთვის როდი იძლეოდა უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხთა ერთობლივი, მონოლითური გამოსვლის შესაძლებლობას. ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელ მისწრაფებებს, პირველობისათვის ბრძოლასა და მტრობას დამპყრობთა ხელისშემწყობის როლშიც კი გამოჰყავდა ზოგიერთი ქართველი, სომეხი და ალბანელი მეფე-მთავარი.

თბილისის აღება ბულას მიერ როდი ნიშნავდა იმას, რომ მან მთელი აღმოსავლეთი საქართველო დაიმორჩილა. ქართველი ხალხი მტრისათვის ძნელად მისადგომ რაიონებში განაგრძობდა ბრძოლას მოძალადე დამპყრობის წინააღმდეგ. თუ მეზობელი აომხეთი, როგორც მტრის მიერ ახლად განადგურებული, ახლა ქართლს ვერ ეხმარებოდა, ალბანიის მოსახლეობა იარაღს ისხამდა და ამიერკავკასიის ხალხების საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად აქტიურად ემზადებოდა.

თბილისის განადგურებისა და ქალაქის მორბევის შემდეგ ბულაჰ ოსეთში შეჭრა განიზრახა. ქართველ მთიელებს რომ მისთვის ხელი არ შეეშალათ, ჭართალეთს მისულმა იქაურებს მძევლები მოსთხოვა და, ჩანს, მიიღო კიდეც მათგან. მაგრამ მთის სხვა რაიონებმა,

---

[1] ვ. ნალბანდიანი, დასახ. შრომა, გვ. 61—62.

[2] იქვე, გვ. 62

კერძოდ, ცხავატელებმა უარი განუცხადეს ბუღას მორჩილებაზე. იმათ იუკადრისეს კიდეც ბუღას ქედმაღლური წინადადება მორჩილების შესახებ და არაბთა სარდალს პასუხიც არ შეუთვალეს, ხოლო უკანასკნელის მიერ გაგზავნილი მოციქულები, რომლებიც, ალბათ, ბუღას კაცები იყვნენ, კარგად მიბეგვეს და ისე გაისტუმრეს.

წყაროებიდან ჩანს, რომ, როდესაც ბუღა მთიელების დამორჩილებას ცდილობდა, ქართლის, სომხეთისა და ალბანიის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალები ქართველ მთიელებს დაუკავშირდნენ და მტრის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდეს. ქართველი მემატიანე გადმოგვცემს, რომ „აბულაბაზ სომეხთა ერისთავმან და გუარამ აშოტის ძემან მიუწერეს მთიელთა, რათა არა შეუშუან“[1] ბუღა თავიანთ მიწა-წყალზე.

მთიელები, ჩანს, ყველა დაირაზმა მტრის წინააღმდეგ. ჭართალელნიც გადაუდგნენ ბუღას. მათ მძევლებიც კი გასწირეს და მწვავე ბრძოლა გაუმართეს მტერს[2]. განრისხებულმა არაბთა სარდალმა მთელი თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქარი მიუსია ქართველ მთიელებს. მაგრამ მტერი დამარცხდა და უკუიქცა.

არაბების სარდალმა ხელი არ აიღო ბრძოლაზე. მან კიდევ სამჯერ მიუსია თავისი ლაშქარი ქართველ მთიელებს. მაგრამ სამივეჯერ დამარცხებულ იქნა. გაწბილებული ბუღა, როგორ ამას სომეხი ისტორიკოსის თომა არწრუნის ნაშრომი — „არწრუნთა სახლის ისტორია“ გვაცნობს[3], „მიიქცა... ქედმოდრეკილი, სირცხვილეული და განქიქებული. სასაცილო და დიდად შემუსვრილი“.

ქართველ მთიელთა მიერ დამარცხებულმა ბუღამ ქვემო ქართლი განვლო, ალბანთა ქალაქ ბარდავში შეიჭრა და იქ დაბანაკდა. მან იქიდან წერილი გაუგზავნა ალბანელების მთავარს აპუმუსეს და მორჩილება მოთხოვა მას. მაგრამ, ვინაიდან ალბანელებმა ქართველთაგან „იხილეს იგი დამარცხებული და ძლეული“, ალბანელები წახალისდნენ, მათმა მთავარმა აპუმუსემ განკარგულება გასცა და საომრად მოემზადნენ; აპუმუსემ ბუღას თავის მოთხოვნაზე მტკიცე უარი შეუთვალა და აცნობა, რომ ვინაიდან ბუღამ სხვა ხალხებს და ქვეყნებს უბედურება და განადგურება მოუტანა, არ ემორჩილება მის მოთხოვნას და მზად არის შეებრძოლოს მას.

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 256.

[2] იქვე.

[3] პროფ. ილ. აბულაძის ნებართვით, აქ და ქვემოთაც, ვსარგებლობ მის მიერ შესრულებული, ჯერ გამოუქვეყნებელი ქართული თარგმანით, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

აპუმუსეს მკაცრი პასუხით განრისხებულ ბუღას თვითონ ვერ გადაეწყვიტა, თუ როგორ მოქცეულიყო და მდგომარეობის მოსახსენებლად ხალიფასთან კაცები გაგზავნა. ამასობაში აპუმუსემ დახსწრო ბუღას, თავს დაესხა მას, დაარბია მისი ბანაკი და უკან დაბრუნდა. ამის შემდეგ გაიმართა მკაცრი ბრძოლა მოპირდაპირეთა შორის. ბრძოლამ დიდხანს გასტანა. ამ ბრძოლაში ალბანელებმა მწარე დამარცხება აგემეს არაბებს. ისტორიკოსი ამბობს, რომ მხედართმთავარი ბუღა დაღუპვის პირს იდგა, შეიპყრო სასოწარკვეთილებამ, ბრაზობდა თავის გულში, ცნობამიხდილი ღონეს იკრებდა, რათა გამოსავალი ეპოვა, ჩაიკეტა სირცხვილეული ოთახში და გარეთ ვერ გამოდიოდა. ასე იყო ის ჩაკეტილი ათი დღის განმავლობაში, მაგრამ შემდეგ ერთ-ერთმა მისმა ქვეშევრდომმა გაამხნევა.

მიუხედავად ხანგრძლივი ბრძოლისა, არაბებმა ვერ დაიმორჩილეს ალბანელები, ხოლო შემდეგ აპუმუსე ნებაყოფლობით დაემორჩილა ხალიფასო.

ამრიგად, ამ შემთხვევაშიაც, ალბანელები და ქართველები ურთიერთდამოუკიდებელი ბრძოლითაც დიდ დახმარებას უწევდნენ ერთმანეთს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბოლოს და ბოლოს ბუღამ შეძლო ალბანელების დამორჩილება. აიღო „ყარი დარუბანდისა“[1] და ხაზარებს დაუკავშირდა, მაგრამ ყოველივე ეს მას ძვირად დაუჯდა.

ქართველები და ალბანელები ყველა რომ ერთსულოვნად ებრძოდნენ არაბებს, ქედს არ იხრიდნენ მტრის წინაშე და ბევრი მათგანი სიცოცხლეს წირავდა სამშობლოს დაცვის საქმეს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ არაბებმა ბუღა თურქის ლაშქრობის დროს შეიპყრეს და ქართველ მხედართმთავარ კონსტანტინე კახასთან ერთად წამებით მოკლეს ვინმე სოლომონი, რომელიც სევორდიელი ანუ უტიელი, ე. ი. ალბანელი ყოფილა.

თომა არწრუნის ცნობით, არაბთა ხალიფას წინაშე გასასამართლებლად წამდგარმა კონსტანტინემ და სოლომონმა ხალიფას ჰოხოვნა არ შეასრულეს და მას უთხრეს: „უმჯობესია ჩვენთვის სიკვდილი... ვიდრე ვიშვებდეთ შენთან. როგორი სიკვდილითაც კი გნებავს, აღგვასრულე (ე. ი. მოგვკალი — ვ. კ.), მზად ვართ ყოველგვარ სატანჯველში შესასვლელად, რაც კი უსწავლებია შენთვის ბოროტებათა მოძღვარსო“.

ამ პასუხით განრისხებულმა ხალიფამ „ბრძანა გაეკრათ ისინი პალოებზე ხელფეხშეკრული, მოატანინა ქაძვებიანი ჯოხი მათ საგვემელად“, დაუწყეს მათ ტანჯვა-წამება. თან აყურებინებდნენ მათ

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 256.

ურთიმეორის ტანჯვას, რომ იქნებ „შეშინდნენ და დაემორჩილონ მეფის ბრძანებასო“, მაგრამ გმირებმა ქედი მაინც არ მოიხარეს, ხალიფას ბრძანებას არ დაემორჩილნენ. მაშინ არაბთა მეფემ ბრძანება გასცა, რათა სოლომონი „ისრით განგმირონ“, ხოლო კახა მახვილით მოკლან. მტარვალებმა ბრძანება შეასრულეს, სოლომონი ისრებით განგმირეს, ხოლო კახას თავი მოჰკვეთესო.

ქართველ მთიელთა ბრძოლამ ბუღა თურქისა და მისი ლაშქრის წინააღმდეგ საბჭრეთ სომხეთის პოლიტიკური მოღვაწეებიც წაახალისა. თომა არწრუნი წერს, რომ, როდესაც არწრუნთა საგვარეულოს წარმომადგენლებმა გაიგეს არაბთა ლაშქრის დამარცხება წანარების (აქ „წანარებში“ ავტორი ქართველ მთიელებს უნდა გულისხმობდეს) მიერ, დაუყოვნებლივ შეადგინეს ლაშქარი, მეთაურებიც გამოყვეს თავიანთ წრიდან და აჯანყებისათვის გაემზადნენო.

IX საუკუნის დასაწყისიდან, როგორც ნათქვამი იყო, ძლიერდება არაბთა სახალიფოს დაშლის ტენდენციები. მისგან ჩამოცილებასა და დამოუკიდებლობის მოპოვებას იწყებს ბევრი ქვეყანა. ამიერკავკასიაში კი არაბთა ბატონობის შესუსტების ხანაში წარმოქმნილი დამოუკიდებელი ფეოდალური სამეფო-სამთავროები განმათავისუფლებელ ბრძოლასთან ერთად კიდევ უფრო ავითარებენ პირველობისათვის ურთიერთშორის ბრძოლას. ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი შუღლი და მტრობა ძლიერდება და მებრძოლი მხარეები ახლა უფრო ხშირად მიმართავენ ერთიმეორის წინააღმდეგ მტრის გამოყენების ცდას.

არაბთა უკანასკნელ დიდ ლაშქრობას ამიერკავკასიაში ადგილი ჰქონდა X საუკუნის მეორე ათეული წლების პირველ ნახევარში. ამ ლაშქრობას ადარბადაგანის ამირა აბულ კასიმ იუსუფ აბუსაჯისძე მეთაურობდა. არაბთა ამ ლაშქრობის დროს კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა როგორც სომეხი, ისე ქართველი მეფე-მთავრების ინტერესთა შეუთავსებლობა.

თანამემამულე მეფე-მთავრების მტრობით აბულ კასიმს მიემხრო ზოგიერთი სომეხი მთავარი და, აგრეთვე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გარკვეული რაიონების მმართველი, ქართველთა მეფედ წოდებული ადარნასე ბაგრატიონი. სომეხ-ქართველთა ძალების ასეთმა დაქსაქსვამ და ზოგი მათგანის დახმარებამ მტრისათვის აბულ-კასიმს დიდად შეუწყო ხელი. მან ჯერ სომხეთი მოარბია და სუმბატ სომეხთა მეფე დაამარცხა, რომელმაც, ქართველი ისტორიკოსის ცნობით, ერთ ხანს საქართველოს მიწა-წყალს შემოაფარა თავი[1]. აქ მას არაბთა წინააღმდეგ მებრძოლი ბევრი მოკავშირეც

[1] „ბატიანე ქართლისა“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 262.

ჰყავდა, მაგრამ მალე აბულ-კასიმი საქართველოსაც ეწვია და, ჩანს, სუმბატი ისევ სომხეთში დაბრუნდა.

არაბთა სარდალმა ქართლისა და კახეთის მთავარი ციხე-სიმაგრეები და ქალაქები აიღო და ქვეყანა დაარბია, ხოლო შემდეგ სომხეთში დაბრუნდა და კაპუიტის ციხეს შემოარტყა ალყა, სადაც სუმბატ სომეხთა მეფე იყო გამაგრებული. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ აბულ-კასიმმა კაპუიტის ციხე აიღო და სუმბატ მეფე ტყვეღ ჩაიგდო [1].

მიუხედავად სუმბატის დატყვევებისა, ჩანს, სომხები კიდევ განაგრძობდნენ ბრძოლას მტრის წინააღმდეგ. დამპყრობლებმა ვერ შეძლეს სივნიეთის ერთ-ერთი ციხის, კერძოდ, ერნჯაკის აღება. მიზნის მისაღწევად არაბებმა სომეხთა მეფე სუმბატი ერნჯაკის ციხის კედელთან ძელზე გააკრეს და დაემუქრენ მას, რომ, თუ მეციხოვნეებს ციხის დაცლას არ უბრძანებ, ჩამოგახრჩობთო. მაგრამ სუმბატმა მტრის ნება-სურვილის წინააღმდეგ მეციხოვნეებს უბრძანა, რომ ბრძოლა განეგრძოთ [2]. სუმბატის ასეთი მოქმედებით ბრაზმორეულმა აბულ-კასიმმა სომეხთა მეფის წამებისა და სიკვდილით დასჯის ბრძანება გასცა. არაბებმა აწამეს სუმბატი, ხოლო შემდეგ ჩამოჰკიდეს იგი „ძელსა და მოკუდა“ [3].

ამრიგად, ამიერკავკასიის ხალხთა ერთობლივი ბრძოლა ხშირად გამხდარა ამ ხალხების გამარჯვების საწინდარი. მაგრამ მეფე-მთავრებისა და გაბატონებული კლასის სხვა წარმომადგენლების ურთიერთ შორის შუღლი და მტრობა ზოგჯერ ამ ხალხების დამარცხების მიზეზი ხდებოდა და ქვეყანას უდიდეს ზიანს აყენებდა.

---

[1] История армянского народа, I, გვ. 128.

[2] იქვე.

[3] „მატიანე ქართლისა“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 264.

თავი V

ტაო-კლარჯეთი და სომხეთის სამეფო-სამთავროები X საუკუნის მეორე ნახევარში

1. ქართველებისა და სომხების მონაწილეობა ბიზანტიის იმპერიის შინაპოლიტიკურ ბრძოლაში X საუკუნის მეორე ნახევარში

IX საუკუნის შემდეგ არაბთა ხალიფას ამიერკავკასიის ქვეყნები აღარ ემორჩილებოდნენ. მაგრამ სამაგიეროდ ამიერკავკასიის ხალხებს მტრულად განწყობილი საამიროები ებრძოდნენ.

ცნობილია, რომ X საუკუნეში ფეოდალური საქართველო გაერთიანებული არ იყო და ის ჯერ კიდევ ცალკეულ სამეფო-სამთავროებად იყო დაყოფილი. ამავე დროს როგორც საქართველოში, ისე სომხეთში ბრძოლა წარმოებდა ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს სამეფო-სამთავროთა შორის ყველაზე ძლიერი იყო ტაო-კლარჯეთი და პოლიტიკურ ცხოვრებაშიც ყველაზე დიდ როლს ის ასრულებდა.

ბიზანტიის იმპერია, რომელიც ამიერკავკასიის ხალხების მიმართ არაბთა წინაღმდეგ ბრძოლაში თითქოს მოკავშირის როლში გამოდიოდა, ამ ხალხების მიწა-წყალს ყოველთვის დამპყრობის თვალით უყურებდა, მაგრამ X საუკუნის 70—80-იან წლებში იმპერიის შინაგანი მღელვარების გამო მას ამიერკავკასიის ხალხთა შინაგან საქმეებში ჩარევა აღარ შეეძლო. პირიქით, დადგა დრო, როდესაც ტაო-კლარჯეთი ბიზანტიის იმპერიაში გაჩაღებულ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაერია და მაკედონელთა დინასტია დაღუპვისაგან იხსნა.

იმ პოლიტიკურ ბრძოლაში, რომელიც მაშინ ბიზანტიის იმპერიაში წარმოებდა, ქართველებთან ერთად სომხებიც იღებდნენ მონაწილეობას და ამ შემთხვევაშიაც ამ ორი ხალხის ურთიერთობა და ინტერესები მჟღავნდება. ამიტომ ამ საკითხზე, მოკლედ მაინც, შეჩერება უმიზნო არ იქნება. მით უმეტეს, რომ ზოგიერთ ცნობილ

ქართულ ნაწარმოებში ბიზანტიის კეისრის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი სომხები, მსგავსად სპარსელებისა, ისე არიან დაპირისპირებული ქართველებთან, რომ შესაძლებელია მკითხველს მოვლენაზე არასწორი შეხედულება დარჩეს.

ცნობილია, რომ ბიზანტიის იმპერია, როდესაც მას ამის შესაძლებლობა ჰქონდა, ყოველთვის ცდილობდა საბოლოოდ დაპატრონებოდა სომხეთის რაიონებს. იგი ამ მიზნით ყოველგვარ შემთხვევას იყენებდა. 966 წელს ტარონის მთავარი აშოტ ბაგრატუნი გარდაიცვალა. ბიზანტიის ხელისუფლებამ ეს შემთხვევა გამოიყენა, 967 წელს ტარონი დაიპყრო და ამ მხარეს მძიმე უღელი დაადგა[1].

აშოტის შთამომავლები და ტარონის სომეხი მოსახლეობა უკმაყოფილო იყვნენ ბიზანტიის აგრესიული პოლიტიკით.

ამავე ხანებში იმპერატორმა ნიკიფორე ფოკამ ვანის ტბის მიმართულებით განაგრძო შეტევა. ბიზანტიის ლაშქარი ტარუბერანის მხარეში შეიჭრა და ქალაქი მანასკერტიც აიღო[2]. ბიზანტიის ლაშქარს ამ ბრძოლაში იმპერატორ ნიკიფორე ფოკას ნათესავი ბარდა-ფოკა მეთაურობდა.

969 წელს პატრიკმა იოანე ციმისხიმ თეოფანე დედოფლის დახმარებით ნიკიფორე ფოკა მოკლა და თვითონ დაიკავა იმპერატორის ტახტი. ნიკიფორე ფოკას მკვლელობით უკმაყოფილო ბარდა ფოკამ, რომელსაც მაშინ უკვე აღმოსავლეთი იმპერიის საზღვარ-ძალების სარდლის თანამდებობა ეკავა, აჯანყება მოუწყო იოანე ციმისხის, მაგრამ უკანასკნელმა დაამარცხა ბარდა ფოკა, დააპატიმრა იგი და ერთ-ერთ კუნძულზე გადაასახლა[3].

976 წელს იოანე ციმისხი გარდაიცვალა და ამიერიდან საიმპერიო ტახტი კანონიერმა მემკვიდრემ, რომანოზ II შვილმა ბასილ II დაიკავა.

ბიზანტიის ისტორიაში ცნობილია, რომ მცირე აზიის სამხედრო ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებს არა ერთხელ მოუწყიათ აჯანყება იმპერატორის ხელისუფლების წინააღმდეგ. ახლაც, მცირეწლოვანი ბასილის გამეფებისთანავე, ძლიერი აჯანყება მოაწყო მცირე აზიის სამხედრო ფეოდალურმა არისტოკრატიამ თავისი ერთ-ერთი ძლიერი წარმომადგენლის ბარდა სკლიაროსის მეთაურობით, რომელიც იოანე ციმისხის ნათესავი იყო.

---

[1] Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика, გვ. 127.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ბარდა სკლიაროსმა იმპერატორად გამოაცხადა თავი და სამი წლის განმავლობაში (976—979) მცირე აზია სამოქალაქო ომის ქარცეცხლში იყო გახვეული.

ბიზანტიელი ისტორიკოსის კედრენეს ცნობით, იოანე ციმისხის მეფობის დროს ბარდა სკლიაროსი სტრატეგიული თვალსაზრისით ბიზანტიის იმპერიისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე მხარის — ჭალდიის დუკი ყოფილა[1], რომლის რეზიდენცია ქ. ტრაპიზონი იყო. ბაგრამ, როგორც მაჰმა ანტიოქელისა და იბნ-ალ-ასირის ცნობებიდან ჩანს, ბასილ კეისარს გამეფებისთანავე იგი ხანზიტისა და ალხალიდიატის[2] მმართველად დაუნიშნავს[3], რაც. ალბათ, ბარდა სკლიაროსის დამდაბლებას ნიშნავდა და ამით ის უკმაყოფილო უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, ახალგაზრდა კეისარს ბასილ მეორეს სწორედ იმ პროვინციების მმართველად გაუგზავნია ბარდა სკლიაროსი, სადაც ბიზანტიის აგრესიით უკმაყოფილო სომხური მოსახლეობა იყო. აქ შეეძლო უკმაყოფილო სკლიაროსს მომხრეები ეშოვნა. მან აჯანყებისთანავე, პირველ ყოვლისა, სწორედ სომხური თემების, ე. წ. მესამე არმენიის მხარეების — ჯეჰანისა და მელიტინის მმართველად გამოაცხადა თავი, რომელსაც დაუყოვნებლივ მიემხრო ბიზანტიის მიერ დაპყრობილი სომხეთის სომეხთა ცხენოსანი ლაშქარი[4].

აჯანყებულებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ქართველი ჰაგიოგრაფის გიორგი ათონელის გადმოცემით, ბარდა სკლიაროსმა „ქმელით კერძი ყოველი დაიპყრა და მეფენი (იგულისხმებიან ბასილ II და მისი უმცროსი ძმა კონსტანტინე, — ვ. კ.) და დედოფალი შეწყუდეულად იყვნეს ქალაქსა შინა (ე. ი. კონსტანტინეპოლში,— ვ. კ.) დიდითა ჭირითა და იწროებითა“[5].

მესამე არმენიაში გაბატონებული სკლიაროსი ბითვინიამდე მივიდა და ბიზანტიის სამეფო ორად გაჰყო, ხელთ იგდო იმპერიის თითქმის

---

[1] Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, 1884, გვ. 204.

[2] მაკადასის ცნობების თანახმად, ალ-ხალიდიატი ტარონის პროვინციაში მდებარეობდა, ხოლო ხანზიტი მესოპოტამიის მხრიდან ტარონს ესაზღვრებოდა (იხ. В. Розен, Император Василий Болгаробойца, извлечения из летописи Яхи Антиохийского, 1883, გვ. 80, შენ. 12).

[3] В. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 1—2, 139, შენ. 83.

[4] Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика, გვ. 133.

[5] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად გაამზადა ილ. ჯავახიშვილმა, თბილისი, 1946, გვ. 17.

მთელი აზიური ნაწილი და 978 წელს საიმპერიო ხელისუფლების უკანასკნელი დასაყრდენი აზიაში ნიკეაც დაიპყრო [1].

იმპერიის აზიური ნაწილის ყველა მხარის დაპატრონების შემდეგ იგი თავისი გემებით ზღვასაც დაეუფლა და კონსტანტინეპოლი დიდ გასაჭირში ჩააგდო, ჩაკეტა გზები და არ შეუშვა პურის მიმწოდებელი ხომალდები[2].

ბარდა სკლიაროსის აჯანყების თანამედროვე ქართველი მოღვაწე საბა, რომელიც მოგვითხრობს, თუ როდის და როგორ დაიწერა „გამოცხადებაჲ წ'დისა მახარობელისა... იოვანესი", აღნიშნავს, რომ ეს წიგნი მის მიერ დაიწერა „განდგომილებასა ვარდა სკლეაროსიჰა, ჭირსა დიდსა საბერძნეთისასა, ოკრებასა გლახაკთასა და აწყუეტასა ჭაბუკთასა უწყალოდ. ურთიერთას ძმაჲ ძმასა ზედა და მამაჲ შვილსა ზედა. ესე ყოველი იქმნებოდა ამას რაჲ წიგნსა ვწერდი. ხოლო თუ ძლევაჲ ვის მიეცემოდა, არავის უწყოდა თჳნიერ ო'ისა (უფლისა). ყოველივე ურთიერთას ეკუეთებოდეს სიტ'უთ (სიტყჳთ) და საქმით, მცირენი და დიდნი ყოველნი იბრძოლეს" [3].

იმპერატორის ხელისუფლებამ სკლიაროსს დაუპირისპირა მცირეაზიელი, სამხედრო ფეოდალური მიწათმფლობელთა არისტოკრატიის მეორე წარმომადგენელი ბარდა ფოკა, რომელიც ერთ დროს იოანე ციმისხის წინააღმდეგ აჯანყებისათვის პატიმრობაში იმყოფებოდა. ჩააბარეს მას ლაშქარი და სკლიაროსის წინააღმდეგ გაგზავნეს, მაგრამ გამარჯვება კვლავ აჯანყებულებს ხვდათ.

სტეფანოზ ტორონელის გადმოცემით, ბიზანტიის იმპერიაში შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა ძველი სომხური მხარეების— ხლათისა და ნეპერკერტის ამირამ ბადმა, რომელიც ბარდა ფოკამ განდევნა იქიდან 968 წელს. ბადმა, პირველ ყოვლისა, ეს მხარეები დაიბრუნა, მანასკერტი აღადგინა და შემდეგ შეტევაზე გადავიდა. იგი ტარონის მხარეში შეიჭრა, ააოხრა ქვეყანა და გაძარცვა ცნობილი ქალაქი მუში. ადგილობრივ მცხოვრებთაგან ბევრი ტყვედ ჩაიგდო ხელში და ბევრიც სიცოცხლეს გამოასალმა [4].

ზემოაღნიშნული რაიონები და აგრეთვე ბევრი სხვა მხარეც, რომლებიც სკლიაროსმა ხელთ იგდო, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა მიწა-წყალს ესაზღვრებოდა და ამიტომ აქაური მმართველი წრეები არ შეიძლებოდა გულგრილად შეხვედროდნენ იმ ამბებს,

[1] Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика, გვ. 133—134.

[2] История Льва Диакона, переведенная Д. Поповым, 1820, გვ. 105.

[3] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, I, 1893, გვ. 123; შდრ. მ. კ ა ხ ა ძ ე. ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, 1954, გვ. 33—34.

[4] Всеобщая история, გვ. 134.

რაც მათ საზღვრებზე ხდებოდა. მით უმეტეს, რომ როგორც ბარდა სკლიაროსი, ისე ამირა ბადი მტრულ განწყობილებაში იყვნენ ტაო-კლარჯეთის მმართველ ბაგრატიონებთან, კერძოდ, სამხრეთი ტაოს მიწა-წყლის მფლობელ დავით III კურაპალატთან. უკანასკნელისათვის საზიანო იყო როგორც ბარდა სკლიაროსის, ისე ამირა ბადის გაძლიერება. სინამდვილეში არც აჯანყების მონაწილე სომხებისათვის ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა სკლიაროსის გაბატონებას. მისი მიზანი იყო იმპერატორის ტახტი ჩაეგდო ხელში და, ამრიგად, სკლიაროსის გამარჯვების შემთხვევაში სომხების ერთ დამპყრობ კეისარს მეორე შეცვლიდა.

აჯანყებულთა მიერ შევიწროებული და საგონებელში ჩავარდნილი ბიზანტიის მთავრობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შექმნილი მდგომარეობიდან მისი გამოყვანა ტაო-კლარჯეთის სამთავროს შეეძლო.

ბიზანტიის ხელისუფლებამ იცოდა, რომ ათონის ქართველთა მონასტერში ბერად იყო აღკვეცილი ცნობილი ქართველი მხედართმთავარი იოვანე-თორნიკე. კეისარმა და მისმა მთავრობამ გადასწყვიტეს გამოეყენებინათ ის და სასწრაფოდ გაგზავნეს ქართველთა მონასტერში სევასტოფორი. საიმპერიო ხელისუფლება ცალ-ცალკე აცნობებდა იოვანე-თორნიკეს, ათონის მთაწმიდის ქართველთა მონასტრის ორ დამაარსებელს ათანასე დიდსა და იოვანეს, რომ „უღმრთოჲ სკლიაროსი გაგუადგა და ჰმელით კერძი ყოველი დაიპყრა. აწ ვევედრებით სიწმიდესა თქუენსა, რაჲთა თჳნიერ ყოვლისა მიზეზისა იოვანე-თორნიკ მოვიდეს მეფობისა ჩუენისა“ და სხუანი მრავალნი ვედრებანი და ქენებანი ეწერნეს სამეფოთა მათ წიგნთა შინაო“[1].

იოვანე-თორნიკე უარს ამბობდა მეფეთა თხოვნის შესრულებაზე. აცხადებდა, ვინაიდან „სახე მონაზონებისაჲ“ შეიმოსა, „ამიერითგან არცაღა მეფეთა თანა მიც შესაპოვარიო“[2]. ათანასე დიდი და იოვანე მთაწმიდელი თორნიკეს სთხოვდნენ, რომ შეესრულებინა მეფეთა თხოვნა. მათ გარკვეული შიში ამოქმედებდათ და თორნიკეს ეუბნებოდნენ: „უკუეთუ ამას ჟამსა ურჩ ვექმნეთ მეფეთა, დიდსა რისხვასა მოვაწევთ ჩუენ ზედა და მონასტერსა ამას ზედაო“[3]. ე. ი. თუ კეისრის განკარგულებას არ შეასრულებდნენ, გამარჯვების შემთხვევაში იგი დასჯიდა ქართველ ბერებს და მონასტერსაც დიდ ზიანს მიაყენებდა. იოვანე-თორნიკე დიდხანს იყო

[1] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, დასაბეჭდებული გამოცემა, გვ. 18,
[2] იქვე.
[3] იქვე.

უარზე და „ამას ცილობასა ზედა გარდაჰქდა შჯდეული ერთი“ [1]. ბოლოს აიძულეს იოვანე კეისართან წასულიყო. იგი დიდი პატივისცემით მიიღეს იმპერატორის სასახლეში. გიორგი მთაწმიდელი გადმოგვცემს, რომ განსაცდელში მყოფმა თეოფანე დედოფალმა „უბრძანა... ბასილის და კონსტანტის და ფერჯთა შეუვაოდეს“ [2] იოვანეს.

იოვანე-თორნიკეს მიერ მრავალგზის უარის თქმის მიუხედავად ბიზანტიის ხელისუფლებამ აიძულა იგი დავით კურაპალატთან წამოსულიყო; თან „წიგნები ვედრებისაჲ დაწერეს კურაპალატსა თანა“ [3] და თორნიკეს გამოატანეს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულთა მიერ თითქმის ყველგან შეკრული იყო გზები, მაინც „რომლითაცა სახითა“ [4] სამხრეთ ტაოში დავით კურაპალატთან მოვიდა.

ბიზანტიის ხელისუფლება სასწრაფო შველას სთხოვდა დავით ბაგრატიონს. მაგრამ ამ თხოვნის შესრულება დამოკიდებული იყო დავითის ნება-სურვილზე, დავითი კი მაშინ მიიღებდა მონაწილეობას ბრძოლაში სკლიაროსის წინააღმდეგ, თუ ამას მისი ინტერესები მოითხოვდა.

დავითმა და იოვანე-თორნიკემ სასახლის სხვა წევრებთან ერთად ითათბირეს და გადაწყვიტეს, „რაჲთა ლაშქარნი წარგზავნეს საბერძნეთს, და სპასალარად თორნიკ განაჩინეს“ [5]. მაგრამ ამავე დროს, ჩანს, ბრძოლაში მონაწილეობის მიღების საკომპენსაციოდ ბიზანტიის ხელისუფლებისადმი წასაყენებელი გარკვეული ტერიტორიის დათმობის მოთხოვნის პირობები შეიმუშავეს, ამის შემდეგ იოვანე-თორნიკემ „კურაპალატისა და თავისა წიგნები მეფეთა წინაშე წარსცა და ყოველი ნებაჲ კურაპალატისაჲ აუწყა“ [6]. ბიზანტიის ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ განაცხადა თანხმობა და „მისცნეს მეფეთა ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი კურაპალატსა, რაჲთა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ“ [7]. აქ „ზემონი ქუეყანანი“-ს რიცხვში ბევრი სომხური რაიონიც შედიოდა.

ბიზანტიის მთავრობას, ჩანს სურდა იოვანე-თორნიკეს დაინტერესებაც. დავით კურაპალატისათვის. ტერიტორიის დათმობის თანხ-

---

[1] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთუმესი, დასახელებული გამოცემა, გვ. 18.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 19.
[4] იქვე.
[5] იქვე.
[6] იქვე.
[7] იქვე.

მობასთან ერთად „თორნიკს მოუწერეს: „ვიცით, რომელ ღმერთი შეგეწევის და ნურარას ორგულობ, და ოდეს ღმერთმან წარგიმართოს, ყოველნი წინააღმდგომნი ჩუენნი დატყუენენ და ყოველივე ნატყუენავი (ნაძარცვი, — ე. კ.) მათი შენი იყოს“ [1].

12 ათასი მხედრისაგან შემდგარი ქართველთა ლაშქარი იოვანე-თორნიკესა და ჯოჯიკის მეთაურობით ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ გაემართა. როგორც ცნობილია, ქართველთა ლაშქარმა ბრძოლის ბედი მაკედონელთა დინასტიის წარმომადგენლების სასარგებლოდ გადაწყვიტა; საიმპერიო ხელისუფლების ლაშქარმა, რომელსაც ბარდა ფოკა მეთაურობდა, და ქართველთა მხედრობამ ორი მხრიდან გაუმართეს ბრძოლა აჯანყებულებს, დაამარცხეს ისინი და დეენილმა სკლიაროსმა ბაღდადის ამირა იბნ-ხოსროსთან ჰპოვა თავშესაფარი.

ამ გამარჯვების შემდეგ, თანახმად პირობისა, ბიზანტიის ხელისუფლებამ დავით კურაპალატს შემდეგი მხარეები გადასცა:

1. ციხე ხალტოი-არიჩი და მასთან მდებარე კლისურა დასავლეთ ევფრატის ხეობაში.

2. ჩორმაირის თემი მდინარე ჭოროხის სათავეებთან.

3. კარინი ანუ თეოდოსიუპოლი (არზრუმი) მისი ახლო რაიონებით.

4. სამხრეთი ბასიანი (ჩრდილო ბასიანი დავით ბაგრატიონის სამფლობელოში შედიოდა).

5. ციხე სევუკი, მარდალიის კანტონში, მდინარე ეარაქსის სათავეებთან.

6. ჰაქსისა და აპაჰუნის პროვინციები აღმოსავლეთ ევფრატის ზემო ხეობაში [2].

ჩამოთვლილი რაიონებიდან ზოგი მთლიანად სომხური იყო, ხოლო ზოგშიც სომეხი მოსახლეობა დიდი რაოდენობით ცხოვრობდა. დავით ბაგრატიონის სამფლობელოში სომხური და ქართული რაიონების

---

[1] სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ტარონელი ჯოჯიკს მთავართა-მთავრად იხსენიებს (Всеобщая история გვ. 135). სომხეთის სამეფო კარზე მთავართა-მთავრის ტიტულს ატარებდა ის პირი, რომელიც პასუხისმგებელი იყო მეფის წინაშე ყველა ვასალის შესახებ, მასვე ექვემდებარებოდნენ საგადასახადო მოხელეები და ის ნიშნავდა ციხისთავებს. საფიქრებელია, ანალოგიურ მოვალეობას ასრულებდა დავით III სამეფო კარზე ჯოჯიკი.

[2] Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика, გვ. 135, შდრ. პ. ინგოროყვა, გიორგი მცირჩულე, ნაწილი პირველი, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1954, გვ. 67; С. Джанашия, Об одном примере искажения исторической правды, 1947, გვ. 29

მოქცევამ კიდევ უფრო დააახლოვა ერთიმეორესთან სომხები და ქართველები.

როგორც გავეცანით, X საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში ზოგიერთი სომხური რაიონი და ტაო-კლარჯეთი ურთიერთ მოპირდაპირეთა ბანაკში აღმოჩნდნენ. ეს იყო ამ ორი ხალხის ნებასურვილის გარეშე, პოლიტიკური მოვლენით გაპირობებული შემთხვევა და ამ ორი ხალხის ურთიერთ დაპირისპირება არც ერთის ინტერესებიდან არ გამომდინარეობდა: განთავისუფლებისათვის ბრძოლის ინტერესებმა სომხები, ხოლო მტრულად განწყობილი ბარდა სკლიაროსისა და ამირა ბადის გაძლიერების საფრთხემ ქართველები — ურთიერთმოწინააღმდეგე ბანაკებში მოაქცია და ისინი ერთიმეორეს შეაჯახა. მაგრამ, როგორც ქვემოთ გავეცნობით, ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლმა სომხებმა მალე გამონახეს საერთო ენა ტაო-კლარჯეთის მმართველ წრეებთან, კერძოდ დავით ბაგრატიონთან და მასთან ერთად გამოეიდნენ მაკედონელთა დინასტიის წინააღმდეგ.

ცნობილია, რომ ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციების მეზობელი საამიროები, რომლებიც სახალიფოს ნანგრევებზე აღმოცენდნენ, ყოველთვის მტრულ განწყობილებაში იმყოფებოდნენ ბიზანტიასთან. ამიტომ ბაღდადის ამირამ სიამოვნებით მიიღო და თავშესაფარი მისცა ბარდა სკლიაროსს. იგი ფიქრობდა საჭირო შემთხვევაში სკლიაროსი ბიზანტიის იმპერიის დასასუსტებლად გამოეყენებინა.

986 წელს ბიზანტიელებმა დიდი მარცხი განიცადეს ბულგართა წინააღმდეგ ბრძოლაში. როდესაც ეს ამბავი ბარდა სკლიაროსმა და ბაღდადის ამირა იბნ-ხოსრომ გაიგეს, დაუყოვნებლივ შეუდგნენ სამზადისს. ამირამ გარკვეული რაოდენობის ლაშქარი ჩააბარა სკლიაროსს და გამოისტუმრა.

ბიზანტიის მიერ დაპყრობილ პროვინციებში მოსულ სკლიაროსს ბევრი ადგილობრივი მმართველი მიემხრო და დაემორჩილა. დავით კურაპალატის მტერმა, აპაჰუნისა და მარტიროპოლის ანუ ნეპერკერტის ამირა ბადმაც მორჩილება განუცხადა მას და დახმარება აღუთქვა[1].

ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში კიდევ გაჩაღდა სამოქალაქო ომი. ტაო-კლარჯეთი დავით კურაპალატის მეთაურობით, ბუნებრივია, ამჯერადაც ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების მხარეზე უნდა გამოსულიყო.

---

[1] Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика. გვ. 177.

ბასილ კეისარმა აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურობა კიდევ ბარდა ფოკას მიანდო, მას მრავალრიცხოვანი ჯარი ჩააბარა და აჯანყებულთა წინაღმდეგ გაგზავნა. სტეფანოზ ტარონელის გადმოცემით, ფოკას მეთაურობით აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილი ლაშქრის შემადგენლობაში იბერთა ლაშქარიც იმყოფებოდა[1]. მაგრამ სანამ ფოკა აჯანყებულებს ომს გაუმართავდა, სრულიად მოულოდნელად „იბერიის ლაშქარი თავის ბანაკიდან დაითხოვა"[2].

იბერთა (ქართველთა) ლაშქრის გაშვება ფოკას ბანაკიდან უკანასკნელის საიდუმლო განზრახვის შედეგი უნდა ყოფილიყო. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ფოკას სკლიაროსთან შეთანხმების, მის მხარეზე გადასვლის განზრახვა ჰქონია და ამ აზრის განხორციელების შემთხვევაში იბერიის ლაშქარი, რომელშიაც ჩვენ დავით კურაპალატის ლაშქარს ვგულისხმობთ, ფოკასთვის სანდო არ იქნებოდა.

მართლაც, ფოკასა და სკლიაროსს შორის საიდუმლო მოლაპარაკება გაიმართა, შეთანხმებაც მოხდა და ურთიერთ ერთგულების ფიციც დაიდო. 987 წელს ფოკა აშკარად აუჯანყდა იმპერატორის ხელისუფლებას. მაგრამ შეთქმულთა შეთანხმებული მოქმედება დიდხანს არ გაგრძელებულა, ფოკამ ხელთ იგდო სკლიაროსი, დააპატიმრა ის და აჯანყებულთა მთელ ბანაკს თვითონ ჩაუდგა სათავეში. ამრიგად, დავით კურაპალატის მოსისხლე მტერი ბარდა სკლიაროსი ფოკამ ჩამოაცილა აჯანყებულთა ბანაკს და ამის შემდეგ იბერთა ლაშქარი კვლავ აღმოჩნდა ფოკას ბანაკში.

სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ტარონელი (ასოღიკი) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბარდა ფოკამ სკლიაროსი დააპატიმრა და ციხეში ჩასვა, ხოლო შემდეგ „საბერძნეთისა და იბერიის ლაშქრით სამეფო ქალაქის კონსტანტინეპოლის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა, რომელიც ორ წელს გაგრძელდაო"[3].

აჯანყებულებმა სწრაფად განავითარეს შეტევა და ბიზანტიის იმპერიის ყველა აზიური ოლქი დაიმორჩილეს[4]. ისინი კონსტანტინეპოლის მისადგომებთან განლაგდნენ[5] და იმპერატორის ხელისუფლება საფრთხეში ჩაგდეს.

ამრიგად, ამიერიდან აჯანყებულთა ბანაკს დავით კურაპალატის საშიში მტერი ბარდა სკლიაროსი კი არ მეთაურობდა, არამედ ბარდა ფოკა, რომელიც, ბიზანტიელი ისტორიკოსის კედრენეს გადმო-

---

[1] Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика. გვ. 178.

[2] იქვე. გვ. 179.

[3] იქვე. გვ. 178.

[4] История Льва Диакона. დასაბ. გამოცემა, გვ. 28.

[5] В. Розен, Император Василий Болгаробойца, извлечения из летописи Яхи Антиохийского, დასაბ. გამოცემა. გვ. 24.

ცემით, „მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო დავითთან იმ დროიდან, როდესაც ის ქალდიაში ჯარის უფროსად იყო“ [1].

როგორც ვხედავთ, აჯანყებულთა ბანაკის ხელმძღვანელობაში მომხდარმა ცვლილებამ ხელი შეუწყო დავით კურაპალატის ორიენტაციის შეცვლას და დავითი აჯანყებულთა ბანაკში ჩააყენა. აქ გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ფოკასა და დავითის ურთიერთ ნდობასა და მეგობრობას, მაგრამ უკანასკნელის მიერ კეისრის მოწინააღმდეგე ბანაკში გადასვლის ძირითადი მიზეზი ეს არ იყო.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ X საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი დახმარებისათვის კეისარმა ვრცელი ტერიტორია გადასცა დავით კურაპალატს, მაგრამ ეს ტერიტორია მას სამუდამოდ კი არ გადაუცია დავითისათვის, არამედ მხოლოდ მის სიცოცხლეში უნდა ჰქონოდა დავითს, შემდეგ ისევ ბიზანტია უნდა დაპატრონებოდა ამ რაიონებს.

ფოკა გამარჯვების შემთხვევაში, ალბათ, მეტს პირდებოდა დავითს, ვიდრე მაკედონელთა წარმომადგენლები უთმობდნენ მას. ამიტომ, როგორც ამას მ. კახაძე აღნიშნავს [2], დავითისათვის უფრო ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო ფოკას მხარეზე გამოსვლა. ამასთანავე, ბრძოლის გარკვეულ ეტაპზე უპირატესობა აშკარად აჯანყებულთა მხარეზე ჩანდა. ამ გარემოებას ისიც დაემატა, რომ 986 წ. გამარჯვების შემდეგ ბულგარელებმა წარმატებით განავითარეს შეტევა. მათი ლაშქარი სამუილის მეთაურობით ბიზანტიის სამფლობელოში შეიჭრა და ხელთ იგდო ვრცელი ტერიტორია [3].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა საფუძველი მისცა დავით კურაპალატს მაკედონელთა დინასტიის წინააღმდეგ გამოსულიყო. ამ გარემოებამ კი ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი სომხური პროვინციის — ტარონის პოლიტიკური წრეები დავით კურაპალატის მხარეზე დააყენა და ამით აღდგენილ იქნა ამ მხარის სომეხთა ტრადიციული ურთიერთობა ტაო-კლარჯეთის ქართველებთან.

დაჰაა ანტიოქელის გადმოცემით, როდესაც აჯანყებულთა ლაშქარი კონსტანტინეპოლის მისადგომებთან განლაგდა და აღმოსავლეთის მხარეებიც დაიპყრო, ბასილ კეისარმა ზღვით მაგისტრი ტარონიტი გაგზავნა ტრაპიზონში. უკანასკნელმა იქ ხალხი (იგულისხმება ლაშ-

---

[1] Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, перевел с латинского текста К. Ган, ч. II, Тифлис, 1890. გვ. 38.

[2] მ. კ ა ხ ა ძ ე, ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში., თბილისი, 1954, გვ. 40—41.

[3] История Болгарии, т. I, Издательство Академии Наук СССР, Москва, 1954, გვ. 95.

ქარი) შეკრიბა და ევფრატის სანაპიროსაკენ გაემართა[1]. აქ ის ერზინჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონებში — დავით კურაპალატის სამფლობელოში უნდა შეჭრილიყო. ბასილ კეისრის მიერ მოფიქრებული ბრძოლის ეს ტაქტიკა მტრის ზურგიდან დარტყმას ისახავდა მიზნად და აჯანყებულებს დიდ საფრთხეს უქმნიდა.

კეისრის მოქმედების საპასუხოდ ბარდა ფოკამ თავისი შვილი ნიკიფორე დავით კურაპალატთან გაგზავნა და ტარონიტის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვა[2].

დავითმა თხოვნის შესასრულებლად ლაშქარი შეაგროვა. მას მხარში ამოუდგნენ და ლაშქრით მიეშველნენ ტარონის მთავრის — აშოტ ბაგრატუნის ორი შვილიშვილი[3], სომეხთა და ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა ტარონიტის ლაშქარი დაამარცხა და დავალება ბრწყინვალედ შეასრულა. მაგრამ საბოლოოდ მათი იმედი არ გამართლდა.

განსაცდელში მყოფმა იმპერატორის ხელისუფლებამ, დაჰპა ანტიოქელის ცნობით, რუსთა მთავარს სთხოვა დახმარება[4]. შეთანხმებაც მოხდა და „988 წელს გამოგზავნილ იქნა რუსთა დამხმარე ლაშქარი ბიზანტიაში“[5]. ბიზანტიელი ისტორიკოსების, კედრენესა და ზონარას გადმოცემით, ამ ლაშქარმა უდიდესი როლი შეასრულა აჯანყებულთა დამარცხებაში[6].

სწორედ იმ დროს, როდესაც დავით კურაპალატის მიერ გაგზავნილი სომეხთა და ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი ტარონიტზე გამარჯვებას ზეიმობდა, ცნობა მოვიდა, რომ საიმპერიო ხელისუფლებისა და რუსთა გაერთიანებულმა ძალებმა „დაამარცხეს აჯანყებულები“[7].

მაკედონელთა დინასტიის გამარჯვება დავით კურაპალატისა და მისი მოკავშირე სომხების დიდი მარცხი იყო. სტეფანოზ ტარონელისა (ასოლიკის) და დაჰპა ანტიოქელის ცნობებიდან ჩანს, რომ აჯანყებულთა მთავარი ბანაკის დამარცხების შემდეგაც ქართველები და სომხები კიდევ განაგრძობდნენ ბრძოლას საიმპერიო ხელისუფლების ძალების წინააღმდეგ სომხურ პროვინციებში.

---

[1] В. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] В. Г. Васильевский, Труды, т. I, 1903, გვ. 199.

[6] იქვე, გვ. 198—199.

[7] В. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

სტეფანოზ ტარონელის გადმოცემით, იმ პირთა რიცხვიდან, რომლებიც ბარდა ფოკასთან ერთად განდგნენ, კიდევ დარჩა ზოგიერთი, როგორც, მაგალითად, თორნიკე ბერის ძმისწული მაგისტრი ჩორჩანელი [1], რომლის ძალები დერჯანიისა და ტარონის მხარეებში იყვნენ მოფენილნი. ბასილ კეისარმა მის (ჩორჩანელის, — ვ. კ) წინააღმდეგ პატრიკი ჟანი, იგივე პორტეზი გაგზავნა, რომელმაც ორჯერ გაუმართა ბრძოლა ჩორჩანელს და უკანასკნელ ბრძოლაში, რომელიც დერჯანიის მხარეში — ბაგარიონდის მინდორზე 990 წელს მოხდა, ჩორჩანელი მოკლულ იქნა" [2] და მისი ლაშქარიც დამარცხდაო. ამასთან დაჰკა ანტიოქელი გადმოგვცემს, რომ „ბასილ კეისარი განრისხებული იყო ქართველთა მეფე დავითზე და ალ-ხალიდიატის მფლობელ ბაგრატის ორ შვილზე (ლაპარაკია აშოტ ბაგრატუნის შვილიშვილებზე, რომლებიც დავითმა ტარონიტის წინააღმდეგ გაგზავნა,—ვ. კ.) იმიტომ, რომ ისინი ფოკას დაეხმარნენ. ერთ-ერთი პატრიკის, სახელად ჟაკრუსოს, მეთაურობით ჯარი გაგზავნა მათ (ბაგრატის შვილების) წინააღმდეგ საბრძოლველად. მან (ჟაკრუსომ) ბრძოლა გაუმართა ბაგრატის შვილებს, რომელთაგან უფროსი მოკლა, ხოლო უმცროსი გააძევაო" [3].

ტაო-კლარჯეთის მოსაზღვრე სამხრეთ თემებში მოქმედ სომეხთა და ქართველთა ძალების დამარცხების შემდეგ ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების დღის წესრიგში ტაო-კლარჯეთის წინააღმდეგ გამოლაშქრებისა და დავით კურაპალატის დასჯის საკითხი დადგა. უკანასკნელისა და მისი თანამოაზრეებისათვის გასაგები უნდა ყოფილიყო, რომ აჯანყება დამარცხდა და მათი იმედი არ გამართლდა. ამიტომ მდგომარეობიდან გამოსავლისათვის უნდა ეზრუნათ. თუმცა ტაო-კლარჯეთი მაშინ ძლიერი იყო, მაგრამ ის სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მტრულად განწყობილი პოლიტიკური ერთეულებით იყო გარემოცული. ამასთან, ჩანს, საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებიდანაც არ ჰქონდა მას მაშინ დახმარების იმედი. ცნობილია, რომ 988 წელს კლდეკარის საერისთავოს გამო ომამდე კინაღამ მივიდა საქმე ბაგრატ მესამესა და დავითს შორის. ამ გარემოებამაც ხელი შეუწყო იმას, რომ, როდესაც ბასილ კეისარი დავით კურაპალატს ომით დაემუქრა, დაჰკა ანტიოქელის ცნობით, დავითმა თავის ქვეყანა დასჯა-დარბევისაგან იმით გადაარჩინა, რომ სამფლობელო ანდერძით კეისარს გადასცაო [4].

---

[1] თ. ჟორდანიას მოსაზრებით, ეს ჩორჩანელი იოვანე თორნიკეს შვილი უნდა იყოს და არა ძმისშვილი (ქრონიკები, I, 1893, გვ. 109).

[2] Всеобщая история, გვ. 180.

[3] В. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

[4] იქვე.

ამრიგად, ბარდა ფოკას აჯანყების დამარცხებას მისი მომხრე სომხური რაიონებისა და დავით კურაპალატის სამეფოსათვის ის შედეგი მოჰყვა, რომ სომხური რაიონები კვლავ ბიზანტიის უღელქვეშ დარჩნენ. ხოლო დავითის სამფლობელო ბიზანტიის კეისრის მფლობელობაში უნდა გადასულიყო დავითის გარდაცვალების შემდეგ. ამ მარცხს ჯერჯერობით დავით კურაპალატისა და მისი სამფლობელოს, როგორც პოლიტიკური ერთეულის, ძლიერება არ შეუსუსტებია. დავითი სომხეთისა და ტაო-კლარჯეთის მეფე-მთავრებს შორის კიდევ ხელმძღვანელის როლში გამოდიოდა და დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ წარმატებებსაც აღწევდა.

2. ტაო-კლარჯეთისა და სომხეთის სამეფო-სამთავროების განმათავისუფლებელი ბრძოლა საამიროების წინააღმდეგ დავით კურაპალატის მეთაურობით

X საუკუნის 90-იან წლებში სომხეთის სამეფო-სამთავროებსა და ტაო-კლარჯეთს მაჰმადიანურ საამიროებთან ჰქონდათ ომები. ეს ომები განმათავისუფლებელი ხასიათისა იყო და მტრის მიერ მინატაცები სომხებისა და ქართველების უძველესი მიწა-წყლის განთავისუფლებას ისახავდა მიზნად. ზოგჯერ ამ ბრძოლებს თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა. ორივე შემთხვევაში ქართველები და სომხები დავით კურაპალატის მეთაურობით ერთად გამოდიოდნენ. ეს ერთობლივი და შეთანხმებული გამოსვლა უმეტეს შემთხვევაში ბრძოლის ბედს სომხებისა და ქართველების სასარგებლოდ წყვეტდა, მტერი მარცხდებოდა. დავითი თავის სამფლობელოში მყოფი სომხებისა და ქართველების მიმართ თანაბარ მზრუნველობას იჩენდა.

არაბთა ბატონობის დროს სამხრეთ სომხეთის გარკვეულ რაიონებში, კერძოდ, ვანის ტბის ჩრდილო სანაპიროებზე თურქული მოდგმის ხალხი დამკვიდრდა. სომხეთის ხელისუფალნი იძულებულნი გახდნენ მთელი რიგი ქალაქები (მანასკერტი, ხლათი, ბერკრი, არჭეში და სხვ.) ხალიფებისათვის დაეთმოთ, რომლებმაც იქ თავიანთი ამირები და ამირას ნაცვლები ჩააყენეს[1].

მოსულთა ზეგავლენით ადგილობრივ მოსახლეობაში მუსლიმანობა გავრცელდა და ბევრი რაიონი გამაჰმადიანდა. ამრიგად, სომხეთის ეს ძველისძველი მიწა-წყალი მაჰმადიანმა მოსახლეობამ მოიცვა და ეს მოსახლეობა სომხეთისა და საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში მაჰმადიანი საამიროების დასაყრდენი გახდა.

---

[1] Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, 1884, გვ. 191.

სომხები და ქართველები ყოველთვის ოცნებობდნენ აღნიშნული რაიონების განთავისუფლების შესახებ და სათანადო დროს უცდიდნენ. როგორც ცნობილია, 990 წელს, ალბათ ბიზანტიის კეისართან შეთანხმების შემდეგ, დავით III ბაგრატიონმა ისარგებლა იმით, რომ ნეპერკერტისა და სხვა მოსაზღვრე რაიონების მმართველი ამირა ბადი გარდაიცვალა და ცნობილ ქალაქსა და ციხე-სიმაგრეს — მანასკერტს ალყა შემოარტყა.

ხანგრძლივი და მწვავე ბრძოლის შემდეგ განდევნეს იქიდან თურქები და ქალაქი ქართველებმა აიღეს. ცდილობდა რა დასაყრდენის შექმნას, მანასკერტის განთავისუფლებისთანავე დავითმა იქ ქართველები და სომხები ჩაასახლა.

მანასკერტიდან და მის ახლო მდებარე რაიონებიდან თურქების განდევნას არა მარტო უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა სომხებისა და ქართველებისათვის, არამედ ის დიდი ეკონომიური მნიშვნელობისაც იყო: იგი სომხებისა და ქართველების ინტერესებს თანაბრად ემსახურებოდა და ამიტომ სომხეთის სამეფო-სამთავროები და ტაო-კლარჯეთი ერთად გამოდიოდნენ ამ მხარის გასათავისუფლებლად ან დასაცავად.

მანასკერტის დაკარგვა დიდი დანაკლისი იყო მაჰმადიანი საამიროებისათვის. სომეხი ისტორიკოსის სტეფანოზ ტარონელის (ასოღიკი) გადმოცემით, მანასკერტიდან თურქთა განდევნის გამო განრისხებულმა სპარსელებმა და არაბებმა დავით კურაპალატს მოციქულები გამოუგზავნეს და წინადადება მისცეს, რომ ქალაქი მანასკერტი მათთვის დაებრუნებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ომით ემუქრებოდნენ დავითს[1].

დავით ბაგრატიონმა დესპანები უარყოფითი პასუხით გაისტუმრა და მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. ამის შემდეგ საამიროებმა ქართველებისა და სომხების წინააღმდეგ გამოლაშქრება გადაწყვიტეს, ძალების მობილიზაცია მოახდინეს და დიდი ლაშქარით სომხეთში, არარატის პროვინციაში, შემოიჭრნენ[2].

თავის მხრივ, ქართველებმა და სომხებმა, რომლებსაც თანაბრად ემუქრებოდათ მტერი, სასწრაფოდ მიიღეს ზომები. ქართველებს დაუყოვნებლივ შეუერთდნენ სომხეთიდან ანისის მეფე გაგიკ პარველი და ვანანდის მეფე აბასი[3].

---

[1] Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика, гл. 191.

[2] იქვე.

[3] იქვე.

მოკავშირეები მტრისაკენ გაემართნენ და ბაგრევანდის სანახებში, ქ. ვალაშკერტში დაბანაკდნენ. როდესაც მოწინააღმდეგემ ქართველებისა და სომხების გაერთიანებული ბანაკის მზადყოფნა და სიძლიერე გაიგო, ბრძოლაზე ხელი აიღო და შერცხვენილ-გაწბილებული ის უკან დაბრუნდა [1].

ამის შემდეგ ქართველებმა კიდევ უფრო სამხრეთისაკენ გადაიტანეს ბრძოლა. 997 წელს ვანის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაპირზე მდებარე ძლიერ ციხე-სიმაგრესა და ქალაქს — ხლათს შემოარტყეს ალყა, მაგრამ მისი აღება მეტად ძნელი აღმოჩნდა. ხლათში გამაგრებულთა საშველად მაჰმადიანების დიდი ლაშქარი გამოემართა, ეს ლაშქარი მოულოდნელად დაესხა თავს ხლათისათვის მებრძოლ ქართველებს. სტეფანოზ ტარონელი გადმოგვცემს; რომ, მიუხედავად მტრის მრავალრიცხოვნებისა, მამაცმა და გულადმა ქართველმა მებრძოლებმა მტერს დიდი ზიანი მიაყენეს და უკუაქციესო [2]. მაგრამ შემდეგ რატომღაც ქართველებმა ხლათის აღებისათვის ბრძოლას თავი დაანებეს და მას ალყა მოხსნეს [3].

ქართველებისა და სომხების გაძლიერება, სამხრეთის მიმართულებით მათი უფლებების გავრცელება, როგორც ნათქვამი იყო, დიდად ლახავდა მოსაზღვრე საამიროების ინტერესებს. ისინი განსაკუთრებით მანასკერტის დაკარგვას ვერ ეგუებოდნენ და ცდილობდნენ როგორც მანასკერტის დაბრუნებას, ისე სომხეთისა და საქართველოს მიწა-წყლის დარბევას.

998 წელს ადარბადაგანის (ირანის აზერბაიჯანი) ამირამ ხორასნისა და სხვა საამიროები შემოიკრიბა, უდიდესი ლაშქარი შეაგროვა და სომხებისა და ქართველების მიწა-წყლის დაპყრობა გადაწყვიტა. მოკავშირეთა ლაშქარი ადარბადაგანის დედაქალაქში — თავრიზში შეგროვდა და ჩრდილოეთისაკენ დაიძრა [4].

მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელობა ახლაც დავით ბაგრატიონმა იკისრა. მან ბრძოლისაკენ მოუწოდა სომეხ და ქართველ მეფე-მთავრებს, ანისის მეფე გაგიკმა სასწრაფოდ მიაშველა 6000 კაცისაგან შემდგარი რჩეული მხედრობა, რომელსაც მთავარმთა-მთავარი ვაჰრამ გრიგოლისძე პაჰლავუნი მეთაურობდა [5]. დავითს მოეშველა თავისი ლაშქრით აგრეთვე ვანანდის მეფე აბასიც.

---

[1] იქვე, გვ. 192; შრდ., ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1943, გვ. 127.

[2] Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика. გვ. 193.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 193—194.

[5] იქვე.

დავით ბაგრატიონი ამ დროს უკვე მოხუცებული იყო და თვითონ ბრძოლის ხელმძღვანელობა აღარ შეეძლო. ამიტომ ქართველთა და სომეხთა გაერთიანებული ლაშქრის სარდლად მან გამოცდილი ქართველი მხედართმთავარი გაბრიელ ოჩოპენტრესძე დანიშნა და მტრის წინააღმდეგ გაგზავნა [1].

მოპირდაპირენი აპაჰუნის მხარეში შეხვდნენ ერთმანეთს. სტეფანოზ ტარონელის ცნობების თანახმად, მტერი 100000-მდე ქვეითსა და ცხენოსან მოლაშქრეს ითვლიდა [2]. მტერს იმედი ჰქონდა, რომ შედარებით მცირერიცხოვან ქართველებსა და სომხებს ადვილად დაამარცხებდა. ამით გათამამებული უკანასკნელთა ბანაკს თავს დაესხა, მაგრამ მტერს იმედი არ გაუმართლდა. საომრად გამზადებულმა ქართველებმა და სომხებმა მტერს შეუტიეს, სწრაფი დარტყმით მას დიდი ზიანი მიაყენეს და სასტიკად დაამარცხეს კიდეც [3].

გაქცეულ მტერს ქართველებმა და სომხებმა ვანის ტბის ნაპირამდე, ქ. არჭეშამდე სდიეს. ამ ბრძოლაში, რომელშიაც ქართველებმა და სომხებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, თავი ისახელეს ძმებმა გამრეკელებმა [4].

სომხებისა და ქართველების მიერ გადახდილი ამ ომის შესახებ სტეფანოზ ტარონელი (ასოღიკი) შემდეგს მოგვითხრობს: მტერთან მისულმა სომეხთა და ქართველთა ლაშქარმა სასწრაფოდ აისხა იარაღი და ამხედრდა, მტერი მათ წინ ისე იდგა, როგორც ტყე; სომხები და ქართველები ლომისებური სიძლიერით ეკვეთენ მრავალრიცხოვანი მტრის ბანაკს. სომეხთა რაზმმა მჭიდროდ განლაგებული მოწინააღმდეგის მარჯვენა ფრთაზე სწრაფი დარტყმით მამაცობის უდიდესი მაგალითი აჩვენა, გააქცია ბარბაროსები და მტერს დიდი მარცხი აგემა. ამასთანავე, — განაგრძობს სტეფანოზ ტარონელი, — სახელგანთქმულმა ძმებმა გამრეკელებმა იბერთა რაზმიდან, რომელიც უჩვეულო სიძლიერით შეიჭრა მტრის ბანაკში, შუაზე გააპეს მტრის ცხენოსანი ლაშქარი. დამარცხებული და თავზარდაცემული მტერი დაიფანტა და სხვადასხვა მიმართულებით გაიქცა. ხვდებოდნენ რა დამარცხებული მტრის ლაშქრის წევრებს ტაოელი მებრძოლები, ძირს ცვიოდა დამარცხებულ მოწინააღმდეგეთა გვამები. თავზარდაცემულმა ამირა მამლანმა თავის მოლაშქრეთაგან გადარჩენილ რაზმთან ერთად გაქცევით უშველა თავს. მაგრამ სომხეთისა და იბერიის ლაშქარი — აღნიშნავს სტეფანოზ ტარონელი — უკან დაე-

---

[1] Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика, გვ. 193—194.
[2] იქვე, 195.
[3] იქვე, 196.
[4] იქვე.

დევნა მას, მზის ჩასვლამდე ანადგურებდა მტერს და ქ. არჭეშის კარიბჭეებამდე მისდიაო[1].

გამარჯვებული ქართველები და სომხები დიდი ალაფით დაბრუნდნენ უკან. ქართველებსა და სომხებს განსაკუთრებით ის ახარებდათ, რომ, თუ მემატიანეს დავუჯერებთ, ამ დიდ ბრძოლაში მათ მეომრებიდან მხოლოდ ხუთი იბერიელთაგანი დაიღუპა, ხოლო დანარჩენი სიხარულით აღსავსე თავის ქვეყანაში დაბრუნდაო.

ცნობილია, რომ ტაო-კლარჯეთი საქართველოს ის მხარე იყო, სადაც ყველაზე უფრო თვალნათლივ ხორციელდებოდა ორი მოძმე ხალხის — სომხებისა და ქართველების ურთიერთობა. დავით III კურაპალატის სამფლობელო ვრცელი მიწა-წყლისაგან შედგებოდა და, როგორც ნათქვამი იყო, მის სამფლობელოში სომეხთა მიერ დასახლებული ბევრი რაიონიც შედიოდა.

შემთხვევითი არ არის, რომ სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ტარონელი (ასოღიკი) დავითს უდიდესი პატივისცემით იხსენიებს. იგი აღფრთოვანებულია იმით, რომ დავითი არა მარტო ქართველებისა და სომხებისათვის ზრუნავდა, არამედ მას მთელი აღმოსავლეთის კეთილდღეობა სურდა. ის დავითის შესახებ წერს: დავითი ჩვენი დროის ყველა ხელმწიფეს აღემატებოდა თავისი ლმობიერებითა და მშვიდობისმოყვარეობით. მისი წყალობით დამყარდა მშვიდობა მთელს აღმოსავლეთში და კეთილმოწყობილი შეიქმნა ეს მხარე; ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი იყო მისი ამაგი სომხებისა და ქართველების მიმართ; მან ბოლო მოუღო იმ ომებს, რომლებიც განუწყვეტლივ იჩენდა ხოლმე თავს ყოველი მხრიდან; სძლია რა მეზობლებს, ყველა ხელმწიფე ნებაყოფლობით დაემორჩილა მასო[2].

ერთ პოლიტიკურ ერთეულში გაერთიანებული და დავითის სამფლობელოში შემავალი სომხები და ქართველები ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, ერთად იყვნენ ისინი ჭირში და ლხინში. სომხებისა და ქართველების მეგობრობა, მათი ურთიერთდახმარება დავითის სამფლობელოს საზღვრებს სცილდებოდა. ქართველები დავითის მეთაურობით სომხეთის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებსაც დიდ დახმარებას უწევდნენ. ამან ათქმევინა სტეფანოზ ტარონელს, რომ დავითის „წყალობით დამყარდა მშვიდობა მთელს აღმოსავლეთშიო“. სამაგიეროდ სომხებიც ქართველებთან იყვნენ ყველა დიდ გასაჭირში.

---

[1] Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика, გვ. 196.

[2] იქვე, გვ. 198—199.

თავი VI

სომეხი და ქართველი ხალხების გაერთიანების ცდა ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ XI საუკუნეში

1. სამხრეთი ტაოს დაპყრობა ბიზანტიის მიერ

არაბები დიდი ხნის განმავლობაში აწამებდნენ დაპყრობილ ქვეყნებს, უზომო გადასახადებით ავიწრებდნენ და ძარცვავდნენ ხალხებს. გმირული ბრძოლის შედეგად არა მარტო ამიერკავკასიის ხალხებმა, არამედ ბევრმა სხვა ხალხმაც თავი გაითავისუფლა არაბების ბატონობისაგან და დამოუკიდებლობა მოიპოვა.

X საუკუნისათვის სახალიფო უკვე ცალკეულ სახელმწიფოებად დაიშალა. აბასიდების დინასტიის მბრძანებლობაში მხოლოდ თანამედროვე მესოპოტამიის ტერიტორია დარჩა. 945 წელს ირანის ერთერთი პროვინციის მმართველი დინასტიის — ბუიდების წარმომადგენელმა ბაღდადი აიღო და ხალიფას პოლიტიკური დამოუკიდებლობა წაართვა. ამიერიდან მას მხოლოდ რელიგიური ბატონობის უფლება შერჩა მუსლიმანურ ქვეყნებზე. ამავე დროს ამიერკავკასიის სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით, როგორც ნათქვამი იყო, ბევრი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული შეიქმნა.

როდესაც სახალიფო დასუსტდა და იშლებოდა, ამიერკავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობა და ეკონომიური მდგომარეობა თანდათან მტკიცდებოდა და იზრდებოდა. აქ, როგორც აღნიშნული იყო, X საუკუნის მეორე ნახევარში ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი ბევრი სამეფო და სამთავრო არსებობდა.

საქართველოს მიწა-წყალზე აფხაზთა სამეფო, ტაო-კლარჯეთის, კახეთისა და ჰერეთის სამთავროები და თბილისის საამირო არსებობ-

და. ამავე დროს სომხეთშიც რამდენიმე, ერთი-მეორესთან სუსტად დაკავშირებული ან დამოუკიდებელი სამეფო-სამთავრო წარმოიქმნა.

არაბთა ბატონობამ ყველაზე დიდი კვალი ალბანიის მოსახლეობაში დატოვა. აზერბაიჯანის ძველი მოსახლეობის მაჰმადიანურ სამყაროსთან ხანგრძლივმა ურთიერთობამ და აგრეთვე ამ მოსახლეობაში მუსლიმანური სარწმუნოების გავრცელებამ, რაც განსაკუთრებით VIII—X საუკუნეებში ხდებოდა, აზერბაიჯანის ძველი მოსახლეობა მაჰმადიანური სამყაროს კულტურასთან და ზნე-ჩვეულებებთან დააკავშირა. მოსულთა და მკვიდრთა ეთნიკური შერწყმის ხანგრძლივმა პროცესმა თავისი ნაყოფი გამოიღო და ძველმა მკვიდრმა მოსახლეობამ საკუთარი სახე, კულტურა და ზნე-ჩვეულება თანდათან დაკარგა.

XI საუკუნეში ალბანიის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თავისი რელიგიითა და ზნე-ჩვეულებებით უკვე დღევანდელი მოძმე აზერბაიჯანელი ხალხის წინაპარს წარმოადგენდა, ნაწილი კი მეზობელ სომეხ მოსახლეობაში იქნა ასიმილირებული. ხოლო ალბანიის ჩრდილო-დასავლეთი რაიონების მოსახლეობა, რომლის გაქართველების პროცესი ჯერ კიდევ ადრე დაიწყო, ქართულ კულტურას უფრო დაეწაფა და საბოლოოდ გაქართველდა.

ამასთან, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ახ. წელთაღრიცხვის დასაწყისიდან აზერბაიჯანის მიწა-წყალზე თურქულ ენაზე მოლაპარაკე მომთაბარე ხალხი იწყებს შემოჭრასა და გავრცელებას. ამ ხალხის ყველაზე ძლიერი ტალღა იქ V—VII და XI—XII საუკუნეებში შემოვიდა[1] (ამ შემთხვევაში იგულისხმება სამხრეთ აზერბაიჯანიც). მომთაბარე, თურქულ ენაზე მოლაპარაკე ხალხის მოსვლა-დამკვიდრებასთან ერთად შესამჩნევი ხდება მათი ენის თანდათანობით გავრცელება და ადგილობრივი იმ ენების ასიმილირება, რომელზედაც საუკუნეთა განმავლობაში აზერბაიჯანის მიწა-წყალზე მცხოვრები ძველი მოსახლეობა ლაპარაკობდა.

ამრიგად, ალბანიის ტერიტორიის დიდ ნაწილზე თურქულ ენაზე მოლაპარაკე ხალხის მასობრივად მოსვლა-დამკვიდრებისა და პოლიტიკურად გაბატონების შედეგად „მოხდა ის, რაც ბევრი სხვა ხალხის ისტორიაშიც მომხდარა, — ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის ენის შეცვლა მოსულთა ენით“ [2].

ამიერკავკასიის მიწა-წყალს, კერძოდ, სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიას დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით ბიზანტიის იმპერია ესაზღვრებოდა. არაბთა ძლიერების პერიოდში, რო-

[1] История Азербайджана, I, გვ. 169.

[2] იქვე, გვ. 172.

გორც ნათქვამი იყო, არაბები ბიზანტიის იმპერიასაც ავიწროებდნენ. ამიტომ ბიზანტია იძულებული იყო არაბთა წინააღმდეგ მებრძოლ ამიერკავკასიის ხალხთა დამხმარედ გამოსულიყო. რა თქმა უნდა, ამიერკავკასიის ხალხთა ინტერესები მას არ ამოქმედებდა. არაბების განდევნის შემთხვევაში ამიერკავკასიის ხალხების დაპყრობა-დამონებას ის თვითონ ცდილობდა.

არაბთა ბატონობით განაწამები ამიერკავკასიის ხალხები სახალიფოს დამარცხებით იყვნენ დაინტერესებულნი და ბიზანტიის გაძლიერებაში მომავალ საშიშროებას ნაკლებად ხედავდნენ. მაგრამ ბიზანტიის ვერაგობა სულ მალე გამომჟღავნდა.

1001 წელს სამხრეთი ტაოს მეფე დავით III ბაგრატიონი გარდაიცვალა. როგორც ცნობილია, მას შვილი არ ჰყავდა და ამიტომ ჩრდილო ტაოს მფლობელის გურგენ ბაგრატიონის ვაჟი — ბაგრატი იშვილა. ეს უკანასკნელი დავითის დახმარებით 975 წელს ქართლში, ხოლო სამი წლის შემდეგ დასავლეთ საქართველოშიც გამეფდა. XI საუკუნის დასაწყისში ბაგრატ III დასავლეთ საქართველოსა და ქართლის გაერთიანებულ სამეფოს მართავდა.

X—XI საუკუნეთა მიჯნაზე ბიზანტია ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა, ხოლო მისი ძველი მეტოქე სახალიფო, როგორც გავეცანით, უკვე დაკნინებული იყო. ამიტომ არაბების წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხების დახმარება, ბიზანტიის ხელისუფლების აზრით, მას ახლა აღარ სჭირდებოდა და მათ დაპყრობაზე ოცნებობდა.

მაკედონელთა დინასტიის წინააღმდეგ აჯანყებულთა მხარეზე მონაწილეობის მიღებისათვის — როგორც აღვნიშნეთ — ბასილ კეისარმა აიძულა დავით III ბაგრატიონი თავისი სამფლობელო ანდერძით კეისრისათვის გადაეცა. ბიზანტიის მეფემ ბასილ II მაკედონელმა, როდესაც დავით III გარდაცვალება გაიგო, დაუყოვნებლივ გადაწყვიტა, რათა დაეპყრო ის მიწა-წყალი, რომელიც დავითის სამფლობელოს შეადგენდა. ამიტომ თავისი დიდი ლაშქრით სასწრაფოდ ტაოსაკენ გამოეშურა.

ბაგრატ III და მისი მამა — ჩრდილო ტაოს მფლობელი, ქართველთა მეფედ წოდებული გურგენი, ჩანს, არ ფიქრობდნენ, რომ ბიზანტიის მეფე მტრულად მოდიოდა და დავით III სამფლობელოს, ქართველთა ამ მიწა-წყალს დაიპყრობდა. ამიტომ ისინი საომრად არ მომზადებულან და ბასილ მაკედონელის შესახვედრად სამხრეთ ტაოში გაემგზავრნენ მხოლოდ მცირე ამალით. როდესაც ბასილ მაკედონელს შეხვდნენ, მაშინ სულ სხვა ამბავი გამოირკვა. მათთვის ნათელი გახდა, რომ ბიზანტიის მეფეს ბასილს დავით ბაგრატიონის მთელი სამფლობელოს მიტაცება ჰქონდა განზრახული. დავითის სამფლობელოში, როგორც ნათქვამი იყო, სომეხთაგან დასახლებუ-

ლი ბევრი რაიონი შედიოდა და, ამრიგად, ბიზანტია როგორც ქართველების, ისე სომხების მიწა-წყლის დაპყრობას აპირებდა.

როდესაც ბაგრატ და გურგენ ბაგრატიონებს ბასილ მაკედონელმა თავისი განზრახვა გამოუცხადა და გამოირკვა, რომ ბიზანტიას დავით ბაგრატიონის მთელი სამფლობელოს დაპყრობა სურს, სრულიად მოულოდნელად ტაოელ ქართველებსა და ბიზანტიის ლაშქარს შორის სისხლისმღვრელი ომი გაჩაღდა.

ბიზანტიის მეფეს ძლიერი ლაშქარი ახლდა თან; მასთან იყო 6000 კაცისაგან შემდგარი კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი რუსთა ლაშქარი. სწორედ ბრძოლის ბედი რუსთა ამ ლაშქარმა გადაწყვიტა და ტაოელი ქართველები დამარცხდნენ.

სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ტარონელი გადმოგვცემს, რომ თითქო ეს ბრძოლა ბიზანტიის მეფის ლაშქარსა და ქართველებს შორის სულ უბრალო რამეზე მოხდა: ერთ რუს ჯარისკაცს თავისი ცხენისათვის თივა მიჰქონდა და ეს თივა მას ერთმა იბერიელთაგანმა წაართვა; ამ ორი კაცის დავაში ორთავე მხრიდან სხვებიც ჩაერივნენ. იბერიელებმა მოკლეს რუსი, რომელსაც თივა მიჰქონდა, და ამის გამო ქართველთა და ბიზანტიელთა ლაშქარს შორის დიდი ომი ატყდა, რომელშიც ბევრი იბერიელი დიდებულთაგანი მოკვდაო[1].

„თივა“ ამ შემთხვევაში შეიძლება ბრძოლის საბაბად მივიჩნიოთ. ომის ნამდვილი მიზეზი კი ბიზანტიის აგრესიულ მოქმედებაში უნდა ვეძიოთ. ტაოელ ქართველებს არ უნდოდათ ბიზანტიის ბატონობის ქვეშ ყოფნა. ამიტომ, როდესაც გაიგეს, რომ ბასილ მეფეს მათი ქვეყნის დაპყრობა აქვს გადაწყვეტილი, ამ გარემოებას ისინი ვერ შეეგუენ. ამ დროს ბრძოლის პატარა საბაბიც გაჩნდა და სამშობლოს დასაცავად მტრის წინააღმდეგ ომი გააჩაღეს.

თუმცა ზოგიერთი ტაოელი აზნაური სამშობლოს ღალატობდა და ბიზანტიას ემხრობოდა, მაგრამ ფართო მასას და აზნაურთა უმრავლესობასაც ბიზანტიელები ეზარებოდა და თავისი მიწა-წყლის დასაცავად, აგრესორის წინააღმდეგ იბრძოდა. ამ გარემოებას სტეფანოზ ტარონელის ცნობაც ადასტურებს. იგი გადმოგვცემს, რომ კეისრის ლაშქარსა და ტაოელთა შორის სისხლისმღვრელი ომისა და დავით ბაგრატიონის სამფლობელოს მიტაცების შემდეგ, ბასილ კეისარმა თავისი ლაშქრით, სომხეთის მიწა-წყალზე გავლით, სამხრეთ-აღმო-

[1] Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика, გვ. 200—201.

საველეთის მიმართულებით განაგრძო გზა. მაგრამ ხლათისა და ბაგრევანდის მოვლის შემდეგ ბიზანტიის მბრძანებელს ისევ სამხრეთ ტაოში დასჭირდა მობრუნება. ჩანს, იქ საქმე ისე არ მოგვარდა, როგორც ეს ბიზანტიის მთავრობას სურდა.

სამხრეთი ტაო განუდგა ბასილ კეისარს. ამის გამო ბასილი დაუყოვნებლივ გამოემართა ბაგრევანდიდან ტაოში და დიდი ბრძოლა დასჭირდა ტაოელთა დასამორჩილებლად. კეისარმა ხელმეორედ „დაიპყრო ყველა სიმაგრე, მიუვალი ადგილები და ჩააბარა ისინი ერთგულ პირებსო“ [1]. მაგრამ ახლა ბიზანტიის მთავრობა მარტო აღნიშნული ღონისძიებით როდი დაკმაყოფილდა. სტეფანოზ ტარონელის ცნობის თანახმად, კეისარმა ტაოს ყველა უნდო აზნაური მშობლიური მიწა-წყლიდან აჰყარა და „თვით წაიყვანა, რათა ბერძენთა მიწაზე დაასახლოს ისინიო“ [2].

1001 წელს ბიზანტიამ მთლიანად მიიტაცა დავით ბაგრატიონის სამფლობელო. ამით ის ქართველთა მიწა-წყლის სიღრმეში შემოიჭრა და ამასთან სომხეთის დამოუკიდებელი სამეფო-სამთავროების საზღვრებსაც მიადგა.

ამ მიწა-წყლის მიტაცებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბიზანტიის იმპერიისათვის როგორც სტრატეგიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით, ისე ეკონომიური თვალსაზრისითაც. თუ ტარონის დაპყრობით ბიზანტიამ მაჰმადიანი საამიროების წინააღმდეგ შექმნა ბრძოლის პლაცდარმი, დავით ბაგრატიონის სამფლობელოს მიტაცებით ქართველთა მიწა-წყალზე შემოდგა ფეხი და ამავე დროს მაშინდელი სომხეთის ორ ძლიერ პოლიტიკურ ერთეულს — ანისისა და ვასპურაკანის სამეფოებს უშუალოდ დაემუქრა.

სამხრეთი ტაოს დაპყრობით ბიზანტიამ შექმნა პირობები იმისათვის, რომ ვანის ტბის სანაპიროებზე გამაგრებულიყო, სადაც მრავალი ისეთი ძლიერი სტრატეგიული პუნქტი და ეკონომიური ცენტრი არსებობდა, რომელთაგან ზოგიერთის შესახებ ბიზანტიის კეისარი კონსტანტინე პორფიროგენეტი (912—959) წერდა: თუ ციხე ხლათი, არჭეში და ბერკრი ბიზანტიის კეისრის მფლობელობაში იქნება, „სპარსთა ჯარი რომანიის წინააღმდეგ წამოსვლას ვერ შეძლებს, რად-

---

[1] **Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика,** გვ. 201.

[2] იქვე.

გან ისინი რომანიისა და არმენიის შუაში [1] არიან და წარმოადგენენ ჯარებისათვის ღობესა და საფარსო" [2].

დავით III ბაგრატიონის სამფლობელოს დაპყრობის შემდეგ ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებამ ამ ახლად მიტაცებული მიწა-წყლის ხარჯზე იბერიის თემი — საკატაბანო დააარსა და იქ მმართველად თავისი მოხელე დანიშნა. აღნიშნავდა რა საკეისროს მიერ იბერიის ამ მიწა-წყლის მიტაცებას კარლ მარქსი, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბიზანტიისათვის ამ მოვლენას [3].

ბიზანტიის იმპერიაში თემის უფროსები სტრატეგის, დუკისა ან კატაბანის ტიტულს ატარებდნენ. ორი უკანასკნელი ტიტულის მქონე პიროვნება ამავე დროს სტრატეგის წოდების მატარებელიც იყო, მაგრამ ყველა სტრატეგს დუკისა ან კატაბანის ტიტულის ტარების უფლება არ ჰქონდა. სტრატეგოსთაგან „მხოლოდ ზოგიერთი იყო დუკი ან კატაბანი, კერძოდ ის, რომელსაც შედარებით სხვასთან განსხვავებული მდგომარეობა ეკავა" [4].

სტრატეგთან შედარებით დუკისა და კატაბანის უპირატესი უფლებრივი მდგომარეობა იმით იყო გაპირობებული, რომ „პირველის ფუნქცია უმთავრესად სამოქალაქო ხასიათისა იყო, ხოლო უკანასკნელთა — სამხედრო" [5]. თუმცა, ისე როგორც დუკისა და კატაბანის, სტრატეგის კომპეტენციაში სამხედრო ხელმძღვანელობაც შედიოდა, მაგრამ რამდენადაც დუკი და კატაბანი სანაპირო თემების მმართველები იყვნენ, მათი ძირითადი მოვალეობა სამხედრო ხელმძღვანელობა იყო, ხოლო სტრატეგისა, როგორც შიდა თემის მმართველისა, — სამოქალაქო [6]. ამიტომ „სადუკატოები და საკატაბანოები, რო-

---

[1] ბიზანტიის იმპერიის მუდმივსა და ბუნებრივ საზღვარს აღმოსავლეთით ევხის ტბის სანაპიროები არ წარმოადგენდა, მაგრამ საკეისროს მიერ აღმოსავლეთის მიმართულებით წარმოებული აგრესია, რომელიც ხშირად წარმატებით მთავრდებოდა, უფლებას აძლევდა ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებას სტრატეგიულად მისთვის დიდი მნიშვნელობის მქონე დასახელებული ციხე-სიმაგრეები და მათი მოსაზღვრე რაიონები „რომანიისა და არმენიის" სასაზღვრო რაიონად გამოეცხადებინა.

[2] ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. II, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1952, გვ. 254.

[3] Архив Маркса и Энгельса, т. V, 1948, გვ. 43.

[4] Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, დასახ. გამოცემა, გვ. 187.

[5] იქვე.

[6] იქვე, გვ. 188.

გორც განაპირა თემები და სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი, შიდა ჩვეულებრივ თემებზე უფრო მაღლა იდგნენ“ [1].

აღნიშნულიდან გამომდინარე გასაგებია, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლება სამხრეთი ტაოს ყოფილი სამეფოს მიწა-წყლის ხარჯზე შექმნილ იბერიის თემს, რომლის მმართველი კატაბანის ტიტულით იყო აღჭურვილი.

იბერიის თემი — საკატაბანო გაიხადა შემდეგ ბიზანტიის იმპერიამ იმ სამხედრო ძალების შტაბად, რომელთაც ის საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკური ერთეულების დასაპყრობად იყენებდა.

ამრიგად, დავით ბაგრატიონის სამფლობელოს მიტაცება ბიზანტიის მიერ არა მარტო ქართველი ხალხისათვის იყო დიდი დანაკლისი, არამედ სომეხი ხალხის დამოუკიდებლობასაც ძლიერ ემუქრებოდა. ამიტომ, ბუნებრივია, 1001 წლის მარცხს ქართველების მსგავსად სომეხი ხალხიც განიცდიდა.

მიუხედავად სამხრეთი ტაოს დაკარგვისა, ფეოდალური საქართველო ამ დროს ძლიერდებოდა, სომხეთიც აღმავლობას განიცდიდა და ძალებს იკრებდა.

* * *

არ იქნებოდა სწორი გვეთქვა, რომ ამიერკავკასიაში არსებული პოლიტიკური ერთეულების მმართველი წრეები ფეოდალიზმის ხანაში ყოველთვის მეგობრულ განწყობილებაში იყვნენ ერთიმეორესთან. ისინი, თავიანთი ხალხების ინტერესების წინააღმდეგ, ზოგჯერ მტრობდნენ კიდეც ერთიმეორეს. ამის მიზეზი, როგორც ნათქვამი იყო, ძირითადად მაშინდელ საზოგადოებრივ ურთიერთობაში უნდა ვეძიოთ, მაგრამ ამ საქმეში გარკვეულ როლს ასრულებდა აგრეთვე უცხო დამპყრობთა ბატონობაც ან ამ ბატონობის გადმონაშთები. ასეთ გადმონაშთს გარკვეული დროის განმავლობაში განძის მმართველი წრეები და მათი ამირები წარმოადგენდნენ. ისინი არაბთა ბატონობის დამხობის შემდეგაც მტრულად იყვნენ განწყობილნი საქართველოს და სომხეთის პოლიტიკური ერთეულების მიმართ, აწყობდნენ ხშირად მათზე თავდასხმებს და არბეცდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. მაგრამ ზოგჯერ სამაგიეროს უხდიდნენ ქართველები და სომხები განძის ამირებს.

განძის ამირად ამ დროს წარმოშობით ქურთი, მაპმადიანი ფადლონი (985—1030) იყო. საქართველოს მეფემ ბაგრატ მესამემ მისი დასჯა გადაწყვიტა და მან სომეხთა მეფეს — გაგიკს ფადლონის წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობის მოწყობა შესთავაზა. 1011 —

---

[1] **Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке**, დასახ. გამოცემა, გვ. 193.

1012 წ.წ. ქართველებისა და სომხების გაერთიანებული ლაშქარი განძის საამიროში შეიჭრა, ფადლონი დაამარცხა და ბაგრატმა მას საქართველოს სასარგებლოდ ხარკი დააკისრა. ამასთანავე, საჭირო შემთხვევაში, სამხედრო დახმარებაც დაავალა. წყაროებიდან არ ჩანს, თუ რამდენხანს იხდიდა ხარკს განძის ამირა საქართველოს სასარგებლოდ, მაგრამ, როგორც ცნობილია, მომდევნო წლებში იგი დიდად გაძლიერდა. ფადლონ პირველმა თავისი მოღვაწეობის უკანასკნელ წელს „ლაშქრობა მოაწყო ხაზართა წინააღმდეგ და მათი დედაქალაქი სამანდარი დაარბია"[1]. შემდეგ ხანებში კი ფადლონის შთამომავლები მტრულ დამოკიდებულებაში იყვნენ საქართველოს სამეფო ხელისუფლებასთან.

2. ბრძოლა სამხრეთი ტაოს მიწა-წყლის განსათავისუფლებლად

XI საუკუნის 20-იანი წლებიდან სომხეთის პოლიტიკური მდგომარეობა მეტად რთული შეიქმნა. იქ, ერთი მხრივ, ბიზანტიის იმპერიისა, ხოლო, მეორე მხრივ, თურქთა ბრბოების შემოსევები გაძლიერდა და სულ მალე სომეხი ხალხის დამოუკიდებლობის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა.

აღნიშნული მოვლენით გამოწვეულ სომეხი ხალხის გაჭირვებას მოძმე ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხები იზიარებდნენ და დაუღალავად იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. სამაგიეროდ, ახლაც სომეხი ხალხი ქართველებთან და აზერბაიჯანელებთან იყო ყველა დიდ გასაჭირში.

ბიზანტიის იმპერიის მიერ სამხრეთი ტაოს დაპყრობას ქართველი ხალხი ვერ ეგუებოდა და თავის მიწა-წყლის უკან დაბრუნებაზე ოცნებობდა. ის მმართველი წრეებისაგან ტაოს დაბრუნებისათვის სათანადო ზრუნვას მოითხოვდა და ბრძოლის დაწყებისათვის სათანადო დროს უცდიდა.

XI საუკუნის დასაწყისში ბიზანტიის იმპერიამ ბულგარელების დასამორჩილებლად განაახლა ბრძოლა. ბულგარელი ხალხი გმირულად იცავდა დამოუკიდებლობას. ამიტომ ბრძოლამ ხანგრძლივი და მწვავე ხასიათი მიიღო და ის ამავე საუკუნის მეორე ათეული წლების დასასრულამდე გაგრძელდა.

აღნიშნული გარემოებით ისარგებლა საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ, კერძოდ, გიორგი პირველმა და ბიზანტიის მიერ მიტაცებულ ტაოში ქართველთა ლაშქარი შეიყვანა, იქაური ციხე-სიმაგრეებიდან ბიზანტიელები განდევნა და ამ მხარეს თვითონ დაეპატრო-

---

[1] История Азербайджана, I, გვ. 130.

ბა. ტაოს მოსახლეობა სიხარულით შეხვდა მოძმე ქართველებს და აქტიურად ჩაება განმათავისუფლებელ ბრძოლაში. წყაროებიდან დასტურდება, რომ მოძმე სომეხი ხალხი ქართველთა ამ განმათავისუფლებელ ბრძოლას სიმპათიით ეკიდებოდა და საჭიროების შემთხვევაში დასახმარებლად ემზადებოდა.

ქართველების იმედი იმის შესახებ, რომ ბიზანტია ბულგარელებს ებრძოდა და მთავარ ყურადღებას ქართველების წინააღმდეგ ბრძოლას ვეღარ მიაქცევდა, არ გამართლდა. ბიზანტიის ლაშქარმა ბასილ მაკედონელის მეთაურობით დაამარცხა ბულგარელები და შემდეგ საბრძოლო მახვილი საქართველოსაკენ წარმართა.

ბასილ მეფემ, სანამ ის თავის ლაშქრით სამხრეთ ტაოში შემოიჭრებოდა, საქართველოს მეფეს გიორგი პირველს წინადადება მისცა, რომ მას დაუყოვნებლივ დაეცალა სამხრეთი ტაო. მაგრამ გიორგი მეფისაგან ბასილმა მტკიცე უარი მიიღო. ასეთი პასუხით განრისხებულმა ბასილ მაკედონელმა მაშინვე გამოგზავნა ლაშქარი ტაოს დასაპყრობად.

სომხური წყაროები გადმოგვცემს, რომ ბიზანტიის მეფემ ბასილმა თავის ლაშქარს სადაო ქვეყნის ძალით დაპყრობა დაავალა, მაგრამ, როდესაც ეს ლაშქარი ტაოში მოვიდა, მის „წინააღმდეგ მამაცნი ტაოელნი გამოვიდნენ". ბრძოლა მოხდა სამხრეთი ტაოს დედაქალაქის ოლთისის ახლოს. ამ ბრძოლაში ტაოელებმა გაიმარჯვეს, მტერი დაამარცხეს და გააქციეს.

როგორც ვხედავთ, ალბათ, ტაოში მყოფ ქართველთა სხვა ლაშქრის დახმარებით ტაოელებმა დაამარცხეს მტერი და განდევნეს. ჩანს, ჯერჯერობით საჭირო არ გამხდარა ქართველთადმი სომეხთა დახმარება.

ბიზანტიის ლაშქრის დამარცხების შემდეგ ბასილ მეფე თვით ჩაუდგა თავის უზარმაზარ ლაშქარს სათავეში და საქართველოს წინააღმდეგ წამოვიდა. ქართველებს სომხეთის ერთ-ერთი დიდი პოლიტიკური ერთეული — ანისის სამეფო ამოუდგა მხარში. ამ გარემოების დამამტკიცებელ ნათელ ცნობას ბიზანტიელი ისტორიკოსი კედრენე იძლევა. იგი გადმოგვცემს: როდესაც საქართველოს მეფე გიორგი I „რომაელების (იგულისხმება ბიზანტიელები,—ვ. კ.) წინააღმდეგ იბრძოდა, მისი მოკავშირე ქ. ანისის მფლობელი იოანე (Ἰωάννες ὁ Ἀνίτης) იყოო" [1]. წყაროებიდან ჩანს, რომ მოძმე ქართველი ხალხის მხარეზე გამოსულა ახლა სამხრეთ სომხეთის — ვასპურაკანის მეფე სენექერიბი, რომლის ასული საქართველოს მეფის გიორგი პირველის მეუღლე იყო.

---

[1] К. Г а и, Известия, II, გვ. 40.

ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ ამ ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო. ის დროგამოშვებით ორი წლის განმავლობაში (1021—1022 წ.) მიმდინარეობდა. ბიზანტიელმა მძარცველებმა საშინლად დაარბიეს და გაანადგურეს სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, რომელიც მაშინ კულტურისა და მეურნეობის მხრივ ყველაზე უფრო აყვავებულ მხარეს წარმოადგენდა საქართველოში.

სამწუხაროდ, ქართველებმა და მათმა მოკავშირეებმა ამ ბრძოლაში საბოლოოდ მარცხი განიცადეს. ომის შედეგი ქართველებისათვის მეტად მძიმე აღმოჩნდა. სამხრეთი ტაო ბიზანტიამ ხელმეორედ მიიტაცა და მას საქართველოს მიწა-წყლის ხარჯზე ზოგიერთი დასახლებული ადგილი და ციხე-სიმაგრეც მიუმატა. ამ ომის შედეგი მძიმე აღმოჩნდა აგრეთვე სომხეთისათვისაც: ბიზანტიის ხელისუფლებამ აიძულა ანისის მეფე იოანე-სუმბატი თავის სამეფო ანდერძით გადაეცა ბიზანტიის იმპერიისათვის. ამასთანავე, ამავე ხანებში ბიზანტია, სარგებლობს რა ვასპურაკანის სამეფოში თურქთა ბრბოების შემოსევით, თვითონ შეიჭრა ამ სამეფოში და ბოლო მოუღო მის დამოუკიდებლობას.

ვასპურაკანის სამეფო დიდი შენაძენი იყო ბიზანტიის იმპერიისათვის. ამ მხარის დაპყრობით არა მარტო ძლიერი ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობის მხარე შეიძინა ბიზანტიამ, არამედ სომეხ-ქართველთა სამეფოებს ძლიერი მოკავშირეც ერთხელ და სამუდამოდ ჩამოაცილა.

ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ წარმოებულ ამ დიდ ომში შაქელებიც საქართველოს მხარეზე გამოვიდნენ; ბრძოლაში დამარცხებულმა გიორგი მეფემ, როდესაც უკან დაიხია და ის თრიალეთში კონტრშეტევისათვის ემზადებოდა, კახელებთან ერთად მას შაქელებიც დაუყოვნებლივ მიეშველნენ.

საყურადღებოა, რომ როგორც X—XI საუკუნეებში, ისე სხვა დროსაც საქართველოსა და სომხეთის ხელისუფალნი შინაგანი ბრძოლის თავიდან აცილების მიზნით ხშირად ეხმარებოდნენ ერთმანეთს საშინაო პოლიტიკური საკითხების მოგვარებაში.

1020 წელს ანისის მეფე გაგიკ I გარდაიცვალა, რომელსაც ორი შვილი — იოანე-სუმბატი და აშოტი დარჩა. ტახტის მემკვიდრე უფროსი ძმას იოანე-სუმბატს დაუყოვნებლივ მოუწყო აჯანყება უმცროსმა ძმამ აშოტმა. ამ უკანასკნელმა ძლიერი ბრძოლა გაუმართა ძმას და წარმატებებსაც მიაღწია. ამ ამბებთან დაკავშირებით სომეხი ისტორიკოსი არისტარქეს ლასტივერტელი გადმოგვცემს, რომ ანისის მეფის გაგიკ პირველის შემდეგ „მისი ხელისუფლების მემკვიდრეებად მისი შვილები — სუმბატი, რომელსაც იოანეს უწოდებენ, და მისი ღვიძლი ძმა აშოტი დარჩნენ... აშოტი... იყო მხნე, ახოვანი და ომისმოყვა-

რე. ქვეყნის გაყოფისას იმათ წინააღმდეგობა გაუწიეს ერთიმეორეს და კანონი და სამართალი ესაჭიროებოდათ. ამის გამო მოვიდა აფხაზთა (იგულისხმება საქართველოს,—ვ. კ.) მეფე გიორგი და არწმუნებდა მათ მშვიდობიანად მორიგებულიყვნენ და მისცა ნაწილად ორსახელოვან სუმბატს ანისის სიმაგრე სანახებითურთ..., ხოლო აშოტს მისცა ქვეყნის შიდა მხარე, რომელიც ესაზღვრებოდა სპარსეთსა და ქართლს"[1].

თუმცა, როგორც იმავე ისტორიკოსის ცნობიდან ჩანს, შემდეგ გიორგისა და იოანე-სუმბატს შორის კონფლიქტი ჩამოვარდა, მაგრამ, როგორც ზემოთ მოტანილი ცნობიდან ჩანს, საქართველოს მეფის გიორგის სომხეთში მისვლის მიზანი იყო სომხეთის ტახტის მემკვიდრე ძმათა შორის შფოთისა და ბრძოლის თავიდან აცილება.

გიორგი ქართველთა მეფის ჩარევა სომხეთის სამეფო კარზე წარმოშობილ დავაში სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც საქართველოს ლაშქარი სამხრეთ ტაოში იყო შესული და ბიზანტიის კეისარი ამ მხარის ხელახალი დაპყრობისათვის ემზადებოდა.

აშოტ გაგიკისძემ, რომელიც უკმაყოფილო იყო იმით, რომ გიორგი ქართველთა მეფის ჩარევით ანისი იოანე-სუმბატს ხვდა, ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებას მიმართა დახმარებისათვის და მართლაც აღმოუჩინეს სათანადო დახმარება. ამ ამბებთან უნდა იყოს დაკავშირებული არისტარქეს ლასტივერტელის ცნობა: „აშოტს, რომლის სამფლობელოს გარშემო მყოფი ადგილები დიდებულებს მისგან უსამართლოდ წაეღოთ... არ შეეძლო ამის მოთმენა. ამის გამო მიატოვა თავისი ქვეყანა... წავიდა ბერძენთა კარად... და... დასახმარებლად ჯარს მოითხოვდა. მიიღო რა დახმარება, შეიჭრა თავის ქვეყანაში... დაიპყრო მრავალი მხარე და ციხე და გაძლიერდა უმეტეს, ვიდრე ყველანიო" [2].

ბიზანტიის დახმარებით აშოტმა დიდ წარმატებებს მიაღწია, მან ხელთ იგდო სომხეთის ვრცელი მიწა-წყალი და სპარსეთის მოსაზღვრე რაიონებისა და ზოგიერთი სხვა მხარის მეფე გახდა. ყოველივე ამის შედეგად ბაგრატუნიანთა სამეფო ორად გაიყო, რასაც სომხეთისათვის უაღრესად უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამრიგად, სომხებისა და ქართველების ერთიანობას, გარდა ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებისა, ახლაც შინაგანი ფეოდალური შუღლი და ბრძოლა უშლიდა ხელს: ბიზანტია მოხერხებულად იყენებდა სომხეთის სამეფო კარზე ტახტისათვის წარმოებულ ბრძოლას.

---

[1] *Ш. Ласткверци*, თბილისი, 1912, გვ. 9.

[2] იქვე, გვ. 11.

3. სომხეთისა და საქართველოს პროგრესული ძალების გაერთიანება ანისის სამეფოს დამოუკიდებლობის დასაცავად

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ანისის მეფე იოანე-სუმბატი იძულებული გახდა თავისი სამფლობელო ანდერძით გადაეცა ბიზანტიისათვის. კედრენე მოგვითხრობს, რომ ბასილ კეისარმა იოანესაგან საკუთარი ხელით დაწერილი სიგელი მოითხოვა იმის შესახებ, რომ იოანეს სიკვდილის შემდეგ მთელი მისი სამფლობელო ბიზანტიის კეისრის განკარგულებაში გადასულიყო და იმპერიის შემადგენელი ნაწილი გამხდარიყო [1].

1041 წელს იოანე-სუმბატი და მისი ძმა აშოტი გარდაიცვალნენ. ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებამ გამოიყენა ანისის მეფის მიერ გაცემული ანდერძი. იოანე-სუმბატის გარდაცვალებისთანავე ანისის სამეფო მოითხოვა და ამ მხარის სამეფო ტახტი გაუქმებულად გამოაცხადა.

სომეხი ნახარარების ერთმა ნაწილმა ბიზანტიის მორჩილება ამჯობინა და თავისი ქვეყნის ბიზანტიისათვის გადაცემა მოითხოვა. ისინი საკუთარი ქვეყნის მეფის ხელისუფლებას ებრძოდნენ, მისი გაძლიერების წინააღმდეგი იყვნენ და ამიტომ სამშობლოს მოღალატის როლში გამოდიოდნენ.

ბიზანტიის ხელისუფლებისა და მისი მომხრე ნახარარების მოთხოვნას წინ აღუდგა სომეხი ხალხი. სამშობლოს დაცვისათვის მებრძოლ ბანაკს სომხეთში გამოჩენილი სომეხი მხედართმთავარი ვაჭრამ პახლავუნი მეთაურობდა.

ბიზანტიის მოწინააღმდეგე ძალების ინიციატივით, ბიზანტიისა და მისი მომხრე ნახარარების სურვილის წინააღმდეგ, ანისის სამეფო ტახტი გაგიკ II ბაგრატუნმა დაიკავა, რომელიც იოანე-სუმბატის ძმის — აშოტის შვილი იყო.

ბიზანტიის ხელისუფლებამ, როდესაც გაგიკის გამეფება გაიგო, ანისის სამეფოს ძალით დაპყრობა გადაწყვიტა და 1042 წელს მრავალრიცხოვანი ლაშქარი სომხეთს მიუსია. ქ. ანისის კარიბჭეებთან მისულ მტერს სომხებმა მკაცრი ბრძოლა გაუმართეს და ის უკუაქციეს.

აგრესორმა მაინც არ აიღო ხელი ბრძოლაზე, მან კვლავ განაგრძო შეტევა ანისის სამეფოს დასაპყრობად. წყაროების სიმცირის გამო ნათლად არ ჩანს, თუ როგორ განვითარდა ეს ბრძოლა, რა შედეგს მიაღწიეს ბიზანტიელებმა და სხვ. აკად. მ. ბროსე ფიქრობდა, რომ თუ ქ. ანისის ერთი წარწერის მიხედვით ვიმსჯელებდით, 1042 წელს

---

[1] К. Гац, Известия, II, გვ. 41.

ანისი თითქოს ბიზანტიელების ხელში უნდა ყოფილიყო იმიტომ, რომ ამ დროს იმპერატორ ზოიას ბრძანებით იქ ვიღაც არონი მუშაობდაო[1].

თუ ანისის წარწერას ისე გავიგებდით, რომ 1042 წლის გარკვეული დროის მონაკვეთში ქ. ანისი ბიზანტიელთა ხელში იყო, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ 1042 წელს, ქ. ანისზე ხელმეორედ თავდასხმის დროს, ბიზანტიელებმა ეს ქალაქი აიღეს. მაგრამ ბიზანტიის იმპერიაში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ (არეულობა 1042 წ. აპრილსა და მაისში) აიძულა ბიზანტიის ხელისუფლება ანისიდან გაეყვანა თავისი ლაშქარი. შემდეგაც, გარკვეული დროის განმავლობაში, გიორგი მანიაკის განდგომა და სხვა პოლიტიკური სირთულეები ბიზანტიის ხელისუფლებას საშუალებას არ აძლევდა სომხეთისა და სხვა ანალოგიური ქვეყნებისათვის მიექცია ყურადღება. მაგრამ მანიაკის დამარცხების შემდეგ, 1043 წლიდან, ბიზანტია კვლავ აგრძელებს ბრძოლას ანისის დასაპყრობად.

ანისის დაპყრობისათვის ბიზანტიელთა მიერ ამ ბრძოლისა და მისი გაგრძელების შესახებ კედრენე შემდეგს გადმოგვცემს: „ბასილის გარდაცვალებიდან მრავალი წლის გასვლის და აგრეთვე იოანეს (იგულისხმება იოანე-სუმბატი, — ვ. კ.) სიკვდილის შემდეგ მისმა შვილმა გაგიკმა[2] (κακύκιος) მიიღო ხელისუფლება და არ სურდა რომაელებისათვის გადაეცა ის, რასაც მისგან მოითხოვდა მამისეული სიგელი“[3].

ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინე მონომახმა (1042—1052) „ქ. ანისი და მთელი „დიდი სომხეთი“ თავისთვის მოითხოვა“[4]. მაგრამ, როდესაც გაგიკმა აცნობა, რომ მას „არ სურს სამემკვიდრეო სამფლობელოზე ხელის აღება“[5], კონსტანტინე მონომახმა სომხეთს ძლიერი ლაშქარი მიუსია მიხეილ ვესტას მეთაურობით. გაგიკმა ბრძოლა გაუმართა მტერს და აიძულა მიხეილი დახმარება ეთხოვა კეისრისათვის[6]. კონსტანტინე მონომახმა კიდევ გაუგზავნა მას ლაშქარი მისი თანამებრძოლის ნიკოლოზის მეთაურობით[7].

---

[1] M, Brosset, Histoire de la Georgie 1—re partie. 1849, გვ. 319, შენ. 2

[2] კედრენეს ამ ცნობაში შეცდომაა: გაგიკი იოანე-სუმბატის ძმის აშოტის შვილი იყო და არა იოანე-სუმბატის.

[3] К. Г а н, Известия... , დასახ. გამოცემა, გვ. 41.

[4] იქვე.

[5] იქვე.

[6] Lebeau. Histoire du Bas-empire, т. XIV, გვ. 335.

[7] К. Г а н, Известия... II, გვ. 41.

ამასთანავე, ბიზანტიის ხელისუფლებამ ე. წ. პერსარმენიის ზოგიერთი რაიონის მფლობელს მაჰმადიან აპლესფარს (აბულ-სუარს [1]) სთხოვა დახმარება.

კედრენე გადმოგვცემს, რომ აპლესფარმა თანხმობა განუცხადა კეისარს მხოლოდ იმ პირობით, თუ ბიზანტიის ხელისუფლება მის განკარგულებაში გადასცემდა იმ მიწა-წყალს, რომელსაც აპლესფარი დაიპყრობდა. კეისარი დაუყოვნებლივ დაეთანხმა აპლესფარს და უკანასკნელმა ბიზანტიელებთან ერთად ანისის სამეფოს წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა [2].

როგორც ვხედავთ, ბიზანტიის ხელისუფლებას დიდი ომის წარმოება დასჭირდა ანისის სამეფოს დასაპყრობად, მაგრამ ძალის გამოყენებით ვერ შეძლო მან მიზნის მიღწევა. სომხები ენერგიულად იცავდნენ თავს. ყოველივე ამის შემდეგ ბიზანტიის ხელისუფლებამ ბრძოლის გზა და ხერხი შეცვალა. მან გაგიკ მეფის კონსტანტინეპოლში მოტყუებით მიყვანა განიზრახა. ანისის ტახტის მფლობელი კონსტანტინეპოლში მიიწვია და დაჰპირდა დასაჩუქრებულს უკან დაბრუნებდა [3].

ბიზანტიას უდიდესი დახმარება აღმოუჩინა ახლაც ზოგიერთმა სომეხმა ნახარარმა. გრიგოლ მაგისტროსმა, სარჭის ვესტმა, პეტროს კათალიკოსმა და სხვებმა ბიზანტიის აგენტის როლი შეასრულეს. მათ სომეხთა მეფე დაარწმუნეს, რომ ბიზანტიის მთავრობა გულწრფელია გაგიკისადმი. იგი კონსტანტინეპოლში გაგზავნეს [4].

კონსტანტინეპოლში მისულ გაგიკს პირველად კარგად შეხვდნენ და დიდი ზეიმითაც მიიღეს, მაგრამ მალე თავის სამეფოზე ხელის აღება და მისი ბიზანტიისათვის გადაცემის მოთხოვნა წარუდგინეს. როდესაც გაგიკისაგან უარი მიიღეს, მას თავისუფლება წაართვეს, ზედამხედველი მიუჩინეს და ეგეოსის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე გააგზავნეს.

სომეხმა ნახარარებმა, რომლებმაც გაგიკი მოტყუებით კონსტანტინეპოლში გაგზავნეს, ქ. ანისისა და გაგიკ მეფის სასახლის გასაღები ბიზანტიის მეფეს გაუგზავნეს [5]. უკანასკნელმა კი ანისის სამეფო ტახტი და მეფის ხელისუფლება ისევ გაუქმებულად გამოაცხადა [6].

---

[1] ეს არის ის აბულ-სუარი, რომელსაც XI საუკუნის პირველ ნახევარში გაძლიერებულმა განძის ამირა ფადლონმა დეინი და მისი ახლო რაიონები უბოძა.

[2] К. Г а н, Известия... გვ. 42.

[3] Всеобщая история Вардана Великого, გვ. 124.

[4] Lebeau, т. XIV, გვ. 335—337; Ф. И. Успенский, История Византийской империи, т. III, 1948, გვ. 52.

[5] Lebeau, XIV, გვ. 337.

[6] Всеобщая история Вардана Великого, გვ. 124.

გაგიკ II ბაგრატუნიანთა საგვარეულოს უკანასკნელი მეფე იყო. სომეხი ხალხი კარგად მიხვდა, რომ ანისის სამეფო ხელისუფლების გაუქმებით ბიზანტიას სომეხი ხალხის დაპყრობა-დამონება სურდა. ამიტომ, რა თქმა უნდა, ის ბიზანტიის ამ ვერაგულ მოქმედებას ვერ შეურიგდებოდა. ბიზანტიის ხელისუფლების მოქმედებამ ანისში მღელვარება გამოიწვია, სომეხთა შორის ცხარე ბრძოლა გაჩაღდა ორიენტაციის საკითხზე.

ნახარართა ერთმა ჯგუფმა, რომელმაც გაგიკი მოტყუებით კონსტანტინეპოლში გაგზავნა, კლავე ბიზანტიის იმპერიას დაუჭირა მხარი. ზოგი კიდევ მოითხოვდა, რომ ანისი დავით დვინელისათვის გადაეცათ. მაგრამ ანისის პროგრესულმა ძალებმა და ხალხმა არცერთს არ დაუჭირა მხარი. მათ მოითხოვეს, რომ ანისის სამეფო საქართველოს მეფის — ბაგრატ მეოთხისათვის გადაეცათ. უკანასკნელმა დასმა, ჩანს, გონივრულად აწონ-დაწონა პოლიტიკური ვითარება და ძალია განწყობილება. საქართველოს მეფისათვის ანისის სამეფოს გადაცემის გადაწყვეტილებამდე იმ გარემოებამ მიიყვანა ეს დასი, რომ საქართველოსა და სომხეთის მიწა-წყალზე მყოფ პოლიტიკურ ერთეულებს შორის მხოლოდ ბაგრატ მეოთხის სამფლობელო — საქართველოს სამეფო იყო, რომელიც ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ, თავისი ქვეყნის დასაცავად შედარებით წარმატებით იბრძოდა.

ჯერ კიდევ IX საუკუნის დამდეგიდან საქართველოს გაერთიანებისათვის დაწყებული ბრძოლა XI საუკუნის პირველ ნახევარში ცენტრალიზაციის მომხრე ძალების სასარგებლოდ ვითარდებოდა. ეკონომიური განვითარებისა და თავდაცვის საჭიროება ცენტრალიზაციის აუცილებლობის საკითხს სვამდა. აღმავლობის გზაზე მდგომი საქართველო საგარეო მტრებსაც უმკლავდებოდა და საკუთარ მიწა-წყალს არავის უთმობდა. ამასთანავე სომხებმა კარგად იცოდნენ, რომ ბიზანტიის იმპერია სომხებისა და ქართველების თანაბარი მტერი იყო და აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლით ქართველებიც დიდად იყვნენ დაინტერესებულნი.

თუმცა, როგორც სომხეთის, ისე საქართველოს ცენტრალიზაციას დიდად უშლიდა ხელს რეაქციულად განწყობილი ზოგიერთი დიდი აზნაური, მაგრამ ამ დროისათვის პროგრესული ძალები იმდენად მოძლიერებული იყვნენ, რომ შინაგანი და საგარეო მტრების შემოტევებს უმკლავდებოდნენ, მათ არაფერს უთმობდნენ და ქვეყნის გაერთიანებასაც წარმატებით აწარმოებდნენ. მატიანე ქართლისაჲს ავტორი გადმოგვცემს, რომ ამავე საუკუნის 40-იანი წლების პირველ-

ნახევარში საქართველო და მისი მეფე ბაგრატ IV დიდად გაძლიერდაო [1].

ეს სწორედ ის დრო იყო, როდესაც ანისის მეფე გაგიკი ბიზანტიის ხელისუფლებამ მოტყუებით კონსტანტინეპოლში მიიყვანა, ეგეოსის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე გაგზავნა და ანისის სამეფო ტახტი გაუქმებულად გამოაცხადა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, სომეხ ხალხს თავის უახლოეს მოკავშირედ ქართველები უნდა მიეჩნია, ხოლო ქართველები მათ ისტორიულ მოკავშირეებს — სომხებს უნდა მიშველებოდნენ.

ქართველები, კიდევ უფრო მეტად, ვიდრე სხვა დროს, ვალდებული იყვნენ მოძმე სომეხ ხალხს დახმარებოდნენ, რადგან, როგორც ნათქვამი იყო, 1021—1022 წლებში ანისის სამეფო საქართველოს მოკავშირე იყო ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამან მისცა უკანასკნელს ფორმალური საბაბი იმის შესახებ, რომ ბრძოლა დაეწყო ანისის დასაპყრობად, თუმცა ის ამ ფორმალური საბაბის გარეშეც დაიწყებდა ანისის სამეფოს დაპყრობისათვის მოქმედებას.

საქართველოს მომხრე სომხებს ბაგრატისათვის ანისის გადაცემის საფუძველს ისიც აძლევდა, რომ ბაგრატი სომხეთის ერთ-ერთი სამეფო საგვარეულოს — არწრუნთა შთამომავალი იყო დედით. იგი ვასპურაკანის უკანასკნელი მეფის — სენექერიბის ასულის შვილი იყო და ამიტომ, ანელთა აზრით, მას სომხეთზე ხელი მიუწვდებოდა [2]. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ანელთა მოქმედების გასამართლებლად გამონახული ფორმალური საბაბი იყო. სინამდვილეში კი ბაგრატის მომხრე სომხების ამ მოქმედებას მათი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები განსაზღვრავდა.

იმ დროს, როდესაც კონსტანტინეპოლში მყოფ გაგიკისაგან ბიზანტიის ხელისუფლება ანისის გადაცემას მუქარით მოითხოვდა და

---

[1] ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 299.

[2] სუმბატ დავითის-ძე ბაგრატ IV-ის დედის მარიამის შესახებ წერს, რომ იგი „ნაშობი იყო ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და მეფეთა არშაკუნიანთა“-ო (ქართლის ცხოვრება, 1, დასახელებული გამოცემა, გვ. 386). უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველ მემატიანეს აქ შეცდომა მოსვლია და ამ შეცდომას ეახუშტი ბაგრატიონიც ემორჩილება (იხ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, დ. ბაქრაძის გამოცემა, 1885, გვ. 159), ბაგრატის დედა მარიამი, როგორც აღვნიშნეთ, არწრუნთა საგვარეულოს შთამომავალი იყო და არა „არშაკუნიანთა“. უკანასკნელთა დინასტიის დამხობის შემდეგ არწრუნთა საგვარეულო თანდათან გაძლიერდა, დაიპყრო ვასპურაკანის მერმინდელი სამეფოს მიწა-წყალი და ცენტრად ქ. ვანი გახდა. 909 წელს კი გაგიკ არწრუნმა სამეფო გვირგვინი მიიღო. ამ საგვარეულომ ვასპურაკანში 1022 წლამდე იმეფა.

ფიქრობდა, რომ საკეისროს აგენტების — სომეხ ნახარარების საშუალებით ანისში თავის საქმეს უმტკივნეულოდ აკეთებდა, საქართველოს მომხრე ძალებმა აქტივობა გააძლიერეს და ბიზანტიელ აგრესორთა მოლოდინი დროებით ჩაშალეს.

სომეხი ისტორიკოსი არისტარქეს ლასტივერტელი გადმოგვცემს, რომ „როდესაც ბიზანტიის კეისარმა სომეხთა მეფე გაგიკი მოტყუებით თავისთან მიიწვია და შემდეგ თავის სამეფოში აღარ გამოუშვა, 1045 წ. ქ. ანისი უმეფოდ დარჩა; სომხებმა, მეტადრე ქალაქის ბერებმა, გადაწყვიტეს ანისი ან დავით დვინელისათვის, ან „ბაგრატ აფხაზთა მეფისათვის „მიეცათ“ [1].

„მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორის გადმოცემით, საქართველოში შემოჭრილი ბიზანტიის ლაშქრისა და ლიპარიტ ბაღვაშის საქართველოდან გასვლის შემდეგ[2] ჰპოვა „სუემან ბაგრატისამან ჟამი, მოერთო ვესტი ცხრითა ციხითა ანისისათა თჳნიერ ამბერდისათა და მოსცეს ანელთა ანისი ბაგრატის დედასა, რამეთუ მამულად ეყუოდეს სომეხნი, სენაქერემ სომეხთა მეფისა ასული იყო მარიამ დედოფალი ბაგრატის დედა“ [3].

აღნიშნულ ცნობაში მარტო ქ. ანისი არ უნდა იგულისხმებოდეს; ვესტი, რომლის ვინაობა ჩვენთვის ცნობილი არ არის და რომელიც „ცხრითა ციხითა“ შემოუერთდა ბაგრატს, ბიზანტიელებისადმი განწყენებული პირი ჩანს. მაგრამ მისი სახელო მარტო ქ. ანისით კი არ შემოიფარგლება, არამედ მას ანისის (შირაკის) სამეფოს ვრცელ მიწა-წყალზე მიუწვდება ხელი, სადაც ეს ცხრა ციხე უნდა იყოს განლაგებული. რაც შეეხება ქ. ანისს, საქართველოს მეფისათვის მისი გადა-

---

[1] ციტირებულია ივ. ჯავახიშვილის მიხედვით; ქართველი ერის ისტორია, I და II, 1913, გვ. 437.

[2] ცნობილია, რომ ბიზანტიის იმპერიის ძლიერი მოკავშირე საქართველოში ლიპარიტ ბაღვაში იყო, რომლის დახმარებით საკეისრომ ხანგრძლივი ბრძოლა აწარმოა საქართველოს დასაპყრობად. ბიზანტიის ხელისუფლება და ლიპარიტი მიზნის მისაღწევად ყოველგვარ შემთხვევას იყენებდნენ. XI საუკუნის 40-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის საბაბად ბაგრატ IV-ის უკანონო ძმა, ბიზანტიაში გაქცეული დემეტრე გამოიყენეს, ბიზანტიის ლაშქარი საქართველოში შემოიჭრა და დემეტრეს გამეფების საბაბით ლიპარიტმა და ბიზანტიელებმა ბრძოლა გააჩაღეს. მტრებმა მიზანს ვერ მიაღწიეს, მაგრამ ბაგრატ მეფე აიძულეს დიდ დათმობაზე წასულიყო. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორის გადმოცემით, „დაეზავა ლიპარიტ აფხაზთა მეფესა: უბოძა მეფემან ქართლის ერისთავობა. წარვიდეს ბერძენნი საბერძნეთად და წარიტანეს დემეტრე“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 298). ამრიგად, ბიზანტიელება, დემეტრე უფლისწული და ლიპარიტი დროებით გაიდნენ საქართველოდან.

[3] ქართლის ცხოვრება, I, დასახ. გამოცემა, გვ. 299.

ცემა მარტო ვესტის სურვილზე არ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. აქ ანელთა სურვილი იყო მთავარი და, თავის მხრივ, „მოსცეს ანელთა ანისი ბაგრატის დედასა“.

ამრიგად, სომხებს თავიანთი განზრახვა სისრულეში მოუყვანიათ და ანისი ბაგრატისა და მისი დედის მარიამისათვის გადაუციათ. სომეხ ხალხს, გასაგებია, თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა სურდა, მაგრამ, თუ სომხები ახლა ასე მოიქცნენ, ამით აგრესიული ბიზანტიის წინააღმდეგ სომხეთისა და საქართველოს ძალების გაერთიანება სურდათ და, ამგვარად, ბიზანტიის მიერ მიტაცებისაგან ანისი უნდა დაეცვათ.

სომხების მიერ ბაგრატისათვის ანისის გადაცემა საინტერესო მოვლენაა საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის ისტორიაში. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამ საკითხის განხორციელებას სომხეთის პროგრესული ძალები უჭერდნენ მხარს, ხოლო რეაქციონერები მათ წინააღმდეგ იბრძოდნენ და თავიანთ ქვეყანაში მტერს ეპატიჟებოდნენ.

ვინ იყვნენ ის პროგრესული ძალები, რომლებმაც ბაგრატ მეფისათვის ანისის გადაცემა განახორციელეს? ისინი, ძირითადად, ვაჭარ-ხელოსანთა ფართო ფენა, ე. წ. „მოქალაქეები“ იყვნენ, რომელთა მტრად სომეხი ნახარარები ითვლებოდნენ. ამავე დროს იგივე ნახარარები სომხეთის მეფის ხელისუფლების გაძლიერების მტრებიც იყვნენ.

ნახარარებისა და ვაჭარ-ხელოსანთა ინტერესები ერთიმეორესთან შეუთავსებელი იყო, რადგან ნახარარები ქვეყნის გაერთიანებისა და ერთმეფობის დამყარების წინააღმდეგ იბრძოდნენ, ფეოდალურ კარჩაკეტილობას მოითხოვდნენ და ამით ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას აფერხებდნენ. ისინი თავიანთ მიწა-წყალზე გამვლელ ვაჭრებს როგორც სურდათ ისე ექცეოდნენ, უზომო ბაჟებს ახდევინებდნენ და ავიწროებდნენ.

სომეხი ნახარარები შეუვალობისა და მიწის საკუთრების უფლებების განმტკიცებისათვის იბრძოდნენ. ეს იყო მათი ბრძოლის ძირითადი მიზანი ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამასთან, XI საუკუნე უკვე ის ხანა იყო, როდესაც ფეოდალური ურთიერთობის წიაღში შეუმჩნევლად წარმოშობილი და საზოგადოების სარბიელზე ახლად გამოსული ვაჭართა და ხელოსანთა ფენა, ე. წ. „მოქალაქეები“ თავისუფალი მოქმედების პირობების შექმნას საჭიროებდნენ, მაგრამ საზოგადოებრივ ურთიერთობაში არსებული უწესრიგობა ამის საშუალებას არ იძლეოდა. თავისუფალი აღებ-მიცემობის პირობების მოპოვებისა და ფეოდალური კარჩაკეტილობის შერბილებისათვის მეოცნებე ეს მზარდი საზოგადოებრივი ფენა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებაში თავის სასარგებლო მოვლენას ხე-

დავდა და ამიტომ ამ ხელისუფლების დამხმარედ გამოდიოდა. თავის მხრივ ცენტრალური ხელისუფლება — სამეფო კარი „მოქალაქეთა“ სახით მოკავშირეს ხედავდა და თვითნება ფეოდალების წინააღმდეგ მის გამოყენებას ცდილობდა.

სომეხ ნახარართა ურთიერთშორის მტრობა და აგრეთვე მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მათი ბრძოლა სომხეთის მთლიანობას ღრღნიდა. ეს გარემოება ქვეყანას უდიდეს ზიანს აყენებდა იმ მხრივაც, რომ გარეშე მტრებს მის დაპყრობას უადვილებდა. XI საუკუნის საქართველოში და სომხეთში საქალაქო ცხოვრება საკმაოდ განვითარებული იყო, „მოქალაქეთა“ ხმა და ძალა პოლიტიკურ ცხოვრებაშიც სათანადოდ ჩანდა. ვაჭარ-ხელოსნების ინტერესებმა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მათმა გავლენამ ხელი შეუწყო საქართველოს მეფის ხელისუფლებისათვის ანისის გადაცემას. საქართველოსა და სომხეთში იმის ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს, რასაც ევროპაში უფრო მოგვიანო ხანაში ჰქონდა ადგილი [1].

ანისის „მოქალაქეები“ მეფის ძლიერ ხელისუფლებაში მფარველს ხედავდნენ და მას მხარს უჭერდნენ. XI საუკუნის 40-იან წლებში, როგორც ნათქვამი იყო, ამიერკავკასიაში მხოლოდ საქართველოს მეფის ხელისუფლება ჩანდა ანისის „მოქალაქეთა“ თვალში ისეთ ძალად, რომელსაც შეეძლო როგორც შინაგანი „წესრიგის დამყარება“, ისე გარედან მოსული მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია. საშუალო საუკუნეების ამ საყოველთაო არევ-დარევაში მეფის ხელისუფლება პროგრესულ ელემენტად გვევლინება [2]. ამიტომ იყო, რომ ვაჭრობა-ხელოსნობაში ჩაბმულმა ანისის „მოქალაქეთა“ უმრავლე-

---

[1] «В городах и в деревне повсюду увеличилось в населении количество таких элементов, которые прежде всего желали, чтобы был положен конец бесконечным бессмысленным войнам, чтобы прекращены были раздоры феодалов, приводившие к тому, что внутри страны шла непрерывная война даже и в том случае, когда внешний враг был в стране, чтобы прекратилось это состояние непрерывного и совершенно бесцельного опустошения, которое неизменно продолжало существовать в течение всего средневековья. Будучи сами по себе еще слишком слабыми, чтобы осуществить свое желание на деле, элементы эти находили сильную поддержку в главе всего феодального порядка — в короле». (Ф. Энгельс. О разложении феодализма и развитии буржуазии. К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. XVI, ч. I. Москва, 1937. გვ. 443).

[2] ენგელსი პირდაპირ მიუთითებს, რომ მაშინ მეფის ხელისუფლება „была прогрессивным элементом,—это совершенно очевидно. Она была представительницей порядка в беспорядке“ (იქვე, გვ. 445).

სობამ ბაგრატ მეოთხისათვის ანისის გადაცემის გზა აირჩია, განზრახვა შეასრულა და იგი ბაგრატს გადასცა [1].

წყაროების ანალიზი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ანისის პოლიტიკური დასების ინტერესებზე და, აქედან გამომდინარე, თითოეული მათგანის ორიენტაციაზე: აღზევებული და თავისი ქვეყნის მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ნახარარები ბიზანტიასთან კავშირს ამჯობინებდნენ, ხოლო საზოგადოების პოლიტიკურ ასპარეზზე ახლად გამოსული ვაჭრები და ხელოსნები ნახარარებისა და მათი მოკავშირის — ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების მიზნების წინააღმდეგ იბრძოდნენ; საკუთარ მეფის ხელისუფლებას მოკლებულნი, ისინი, საქართველოს სამეფო ხელისუფლებას უკავშირდებოდნენ. ბიზანტიისა და სომეხი ნახარარების დამხმარედ გამოდიოდა აგრეთვე ზოგიერთი ისეთი დიდ-ვაჭარი, რომელიც ვაჭრობის გზით გამდიდრებულიყო და პოლიტიკურად ფეოდალური არისტოკრატიის მდგომარეობაში გადასულიყო.

სომეხ ნახარარებს სამშობლოს საზიანო მოქმედებაში ზოგიერთი ქართველი ფეოდალიც არ ჩამორჩებოდა. ლიპარიტ ბაღვაშმა უდიდესი სამსახური გაუწია ბიზანტიას, მისი უშუალო დახმარებით შეძლო ბიზანტიამ ქართველებისა და სომხების დამარცხება ანისში.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ანისის დამოუკიდებლობისათვის სომხებისა და ქართველების მიერ წარმოებული ბრძოლა 1045 წელს სოციალურ ბრძოლაში გადაიზარდა: ერთ მხარეზე გამოვიდნენ სომხეთისა და საქართველოს რეაქციონერები, ხოლო მეორე მხარეზე — სომხეთისა და საქართველოს პროგრესული ძალები.

ამ ორ მოპირდაპირე ბანაკს შორის ბრძოლაში პროგრესული ძალები საკმაოდ ძლიერი იყვნენ როგორც სომხეთში, ისე საქართველოში. ისინი რეაქციონერებს დაამარცხებდნენ, მაგრამ უკანასკნელებმა ბიზანტია მოიშველიეს და, როგორც ჭვემოთ დავინახავთ, სომხეთში მაინც გაიმარჯვეს. ეს გამარჯვება სინამდვილეში ბიზანტიის გამარჯვება იყო. .

ქ. ანისი უდიდესი სავაჭრო ცენტრი იყო. ცნობილია, რომ აღმოსავლეთის და დასავლეთის დამაკავშირებელმა დიდმა სავაჭრო გზამ, რომელიც არაბთა ბატონობის ხანამდე ქ. დვინზე გადიოდა, მომდევნო ხანაში ჩრდილოეთისაკენ გადმოინაცვლა. ეს გზა ახლა ქ. ანისსა და ყარსს გაივლიდა; ამ გარემოებამ ანისს უდიდესი მნიშვნელობა მიანი-

---

[1] „Все революционные элементы,—წერდა ენგელსი,—которые образовались под поверхностью феодализма, тяготели к королевской власти, точно так же, как королевская власть тяготела к ним. Союз королевской власти и буржуазии ведет свое начало с X века“ (იქვე).

ჭა, იგი სწრაფად დაწინაურდა და დიდი ეკონომიური ცენტრი გახდა. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ XI საუკუნის სომეხი ისტორიკოსი არისტარქეს ლასტივერტელი ანისს მსოფლიოში ცნობილ ქალაქს უწოდებს [1]. სომხური წყაროების მიხედვით, ჯერ კიდევ X საუკუნის დამლევს ქ. ანისში 100.000 მცხოვრები იყო [2].

ანისის სამეფოს დაკარგვას არ შეიძლებოდა შეგუებოდა ბიზანტიის იმპერია. იგი ყოველგვარ ზომებს ხმარობდა საქართველოს მომხრე ძალების დასამარცხებლად და ანისის დასაპყრობად.

როდესაც სომხებმა ბაგრატ მეოთხესა და მის დედას მარიამს ანისი გადასცეს, ბაგრატმა იქ მმართველებად თავისი მომხრე ქართველი ფეოდალები დანიშნა. მაგრამ ქართველი რეაქციონერების წყალობით ანისის მმართველებად ყოფნა მათ დიდხანს არ დასცალდათ.

როგორც ნათქვამი იყო, საქართველოს მეფეს ბაგრატ მეოთხეს ქართველ ფეოდალთაგან ყველაზე უფრო ძლიერი მტერი კლდეკარის ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტ მაღვაში ჰყავდა. იგი არაერთხელ შეშოუძღვა საქართველოში ბიზანტიის ლაშქარს და საქართველოს დიდი ზიანი მიაყენა. ახლაც ანისისათვის ბრძოლაში ლიპარიტმა აღმოუჩინა უდიდესი დახმარება ბიზანტიის მთავრობას.

როდესაც სომხები ანისის სამეფოს დამოუკიდებლობის დასაცავად იბრძოდნენ და ქალაქი ბაგრატ მეოთხეს გადასცეს, მაშინ ლიპარიტი ბიზანტიაში იმყოფებოდა. ის იქ ბიზანტიას ეხმარებოდა გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ, როცა სომხეთში ბიზანტიის საქმე ცუდად წავიდა და საქართველოს მომხრე ძალები იმარჯვებდნენ, ჩანს, მდგომარეობის გამოსასწორებლად ბიზანტიის მთავრობამ იქ ლიპარიტი გაგზავნა.

ქართველი ფეოდალები მხოლოდ ერთი ზაფხულის განმავლობაში მართავდნენ ანისს. 1045 წლის დასასრულს, როდესაც ბაგრატ მეოთხის მეთაურობით ქართველები ბრძოლას აწარმოებდნენ თბილისის გასათავისუფლებლად, ბიზანტიელთა უდიდესი ლაშქარი ანისს მიადგა. მას სომხებმა გმირული ბრძოლა გაუმართეს. თბილისში მყოფმა ბაგრატმა გაიგო, რომ ლიპარიტმა გამოიტყუა ანისიდან ქართველი ფეოდალები, რომლებიც ბაგრატის მიერ ანისის მმართველებად იყვნენ დანიშნული, და შეიპყრო ისინი [3].

---

[1] А. Я. Манандян. О торговле и городах Армении... 1930, გვ. 145; შდრ. Н. Я. Марр, Ани, 1939, გვ. 48.

[2] А. Я. Манандян, დასახელებული ნაშრომი, გვ. 48.

[3] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 300.

ლიპარიტის ღონისძიებას არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა იმ ბრძოლის შედეგებზე, რომელსაც სომეხი ხალხი აწარმოებდა. მართალია, სომხებმა მაინც განაგრძეს თავდაცვითი ომი და მტერი ქალაქში არ შეუშვეს, მაგრამ სომეხი ნახარარები მიეშველნენ ბიზანტიას. მათი დახმარებით ბიზანტიის ლაშქარმა ქ. ანისში შეჭრა შეძლო, დაამარცხა თავდაცვისათვის მებრძოლი სომეხი პატრიოტები და ქალაქი დაიპყრო. „1045 წელს მთელი ანისის სამეფო ბიზანტიის იმპერიასთან იქნა შეერთებული“ [1].

გაგიკ მეორე, რომელიც ბიზანტიის ხელისუფლებამ ეგეოსის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე გაგზავნა, ჩანს, შეეგუა თავის ბედს. ის იძულებული გახდა ეცნო ანისში ბიზანტიის ბატონობა. სამაგიეროდ მას ბიზანტიის ხელისუფლებამ კაბადოკიაში ქ. პიზა და მისი გარეუბნები მისცა.

ამრიგად, ორი მოძმე ხალხის — სომხებისა და ქართველების ერთობლივმა ბრძოლამ ჯერ ქართველთა მიწა-წყლის—სამხრეთი ტაოს დასაცავად, ხოლო შემდეგ სომხეთის დამოუკიდებლობისათვის მარცხი განიცადა და ანისის სამეფო ბიზანტიამ დაიპყრო. ანისისათვის ბრძოლაში დამარცხება ძირითადად სომეხი და ქართველი რეაქციონერების ღალატმა განაპირობა.

4. თურქ-სელჩუკები. მათი ლაშქრობანი ამიერკავკასიაში. ბიზანტიის ბატონობის დასასრული

სელჩუკები ოგუზთა მოდგმის თურქების ერთ შტოს შეადგენდნენ. ეს სახელწოდება ოგუზთა მოდგმის ამ შტომ მათი მეთაურის — სელჩუკის სახელიდან მიიღო.

X საუკუნის დასაწყისში სელჩუკები სირ-დარიის ქვემო დინების ნაპირებზე ცხოვრობდნენ. მათი ძირითადი მეურნეობა მესაქონლეობა იყო. ამავე საუკუნის დამლევს ისინი ბუხარასა და სამარყანდს შორის გავრცელდნენ. აქედან კი სულ მალე მეზობელ მხარეებშიც გადავიდნენ.

XI საუკუნის 30-იან წლებში სელჩუკთა ერთი შტო ხორასანში შეიჭრა და ამ ქვეყნის მმართველის ლაშქარი დაამარცხა. 1038—1063 წლებში სელჩუკების ამ ერთი შტოს სულთანი იყო თოღრილ-ბეგი. მან, პირველ ყოვლისა, ირანი, ერაყი, ქურთისტანი, ირანის აზერბაიჯანი და სამხრეთის სხვა ქვეყნები დაიპყრო, ხოლო 1048 წელს მისი ლაშქარი სომხეთში შეიჭრა.

---

[1] История армянского народа, I, გვ. 152.

სომხეთის მიწა-წყალზე შემოჭრით თურქ-სელჩუკები ბიზანტიის იმპერიასაც დიდ საფრთხეს უქმნიდნენ. იმ დროს თითქმის მთელი სომხეთი ბიზანტიის მიერ იყო დაპყრობილი. ვასპურაკანის დარბევის შემდეგ თურქ-სელჩუკები ბაგრევანდის მხარეში გადმოვიდნენ; სულ მალე ბასიანში აღმოჩნდნენ და ამ მხარესაც რბევა დაუწყეს. XI საუკუნის სომეხი ისტორიკოსის არისტარქეს ლასტივერტელის ცნობით, ამ ლაშქრობის დროს თურქ-სელჩუკებმა სომხეთის 24 მხარე შემუსრეს, გაანადგურეს ყველაფერი და ადგილობრივ მკვიდრთაგან ბევრი ტყვედ ჩაიგდეს ხელში [1].

ყოველივე ეს იმ დროს ხდებოდა, როდესაც ბიზანტიის ლაშქარი საქართველოში იყო შემოჭრილი და ლიპარიტ ბაღვაშის დახმარებით საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ძალებს ავიწროებდა.

ბიზანტიის ხელისუფლების წინაშე უფრო მწვავე საკითხად ახლა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლა დაისვა. ამ შემთხვევაშიც იგი ლიპარიტ ბაღვაშზე ამყარებდა დიდ იმედს.

მართლაც, საქართველოს სამეფო ხელისუფლების მტრობის შედეგად ბიზანტიის ერთგულ მსახურად ქცეული ლიპარიტი თავდადებულად იბრძოდა ბიზანტიის სასარგებლოდ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი განმარტებით, „თითქმის ყოველს დიდ ლაშქრობაში, რომელიც კი ბერძნებს აღმოსავლეთში შემთხვევიათ, ბიზანტიელების მოკავშირედ ლიპარიტი იყო“ [2].

ბიზანტიელი ისტორიკოსი კედრენე გადმოგვცემს, რომ სომხეთში შემოჭრილი თურქ-სელჩუკთა ლაშქარი, რომელსაც ჰასანი მეთაურობდა, თითქოს პირველად დაამარცხეს ბიზანტიელებმა [3]. ამასვე ადასტურებს ერთი უცნობი ბერძენი ავტორიც, რომელიც აღნიშნავს, რომ ჰასანის მეთაურობით სომხეთში შემოჭრილ თურქ-სელჩუკთა ლაშქარსა და ბიზანტიელებს შორის ბრძოლა მოხდა „სტრაღნა მდინარეზე... ამ ბრძოლაში დამარცხდნენ თურქები და მათი სარდალი ჰასანიც მოკლულ იქნაო“ [4].

კედრენეს გადმოცემით, როდესაც თოღრილ-ბეგმა ჰასანის დამარცხების ამბავი გაიგო, მან დაუყოვნებლივ გამოგზავნა მრავალრიცხოვანი ლაშქარი ამიერკავკასიაში. სომხეთში მყოფმა ბიზანტიელმა სარდლებმა — არონმა და კეკავმენმა მოსალოდნელი საფრთხე ბიზანტიის

---

[1] **История армянского народа, I, გვ. 153.**

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I და II, გვ. 441.

[3] **К. Г а и, Известия, II, გვ. 45.**

[4] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ტურინოს კომპილაციისათვის, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, IV, 1924, გვ. 354.

კეისარს კონსტანტინე მონომახს აცნობეს. უკანასკნელმა აარონსა და კეკავმენს უბრძანა, რომ არ ჩაებან მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში მანამ, სანამ იბერიელთა ლაშქრით მათ ლიპარიტ ბაღვაში არ შეუერთდებოდა[1]. ამასთანავე, კეისარმა ლიპარიტს აცნობა, რომ დაუყოვნებლივ მიეშველოს იგი სომხეთში მყოფ ბიზანტიელ სარდლებს. ხოლო უკანასკნელებმა, რომ ისინი ლიპარიტის მისვლამდე მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლაში არ ჩაბმულიყვნენ, უკან დაიხიეს და ძნელად მისადგომ ერთ მაღლობ ადგილას გამაგრდნენ. ლიპარიტის მისვლის შემდეგ ისინი იმ ბორცვის ძირას ჩამოვიდნენ, რომელზედაც ციხე კაპეტრი (τοῦ καπέτρα φρουρίου) იდგა. ამავე დროს ამ ადგილს თურქებიც მოუახლოვდნენ და მოპირდაპირეთა შორის ბრძოლა გაიმართა[2].

სომეხი ისტორიკოსის სტეფანე ორბელიანის გადმოცემით, ლიპარიტ ბაღვაშს ამ ბრძოლაში 700 დიდი აზნაური[3], თავისი ქვეშევრდომი 16000 მეომარი და 10000 კაცისაგან შემდგარი სამეფო ლაშქარი[4] გაუყვანია[5].

ბიზანტიელები და ლიპარიტი დამარცხდნენ ბრძოლაში. ლიპარიტი ტყვედ ჩაუვარდა ხელში თურქ-სელჩუკებს. მატიანე ქართლისაჲს ავტორი ამ ამბის შესახებ გადმოგვცემს, რომ 1048 წელს „გამოჩნდეს თურქნი სულტნისანი... ქუეყანასა ბასიანისასა. გამოვიდა ბერძენთა მეფის ლაშქარი, და უკმეს ლიპარიტს. და წარვიდა ლიპარიტ შუელად ბერძენთა ყოველითა ლაშქრითა ამის ზედაჲს კერძისათა. შეიბნეს ორდროსა და უკუმიასა ქუემოთ, და გააქციეს ყოველი სპა

---

[1] К. Г а н, Известия, II, გვ. 45.

[2] იქვე, გვ. 45—46.

[3] „700 დიდი აზნაური" გაზვიადებული რიცხვი ჩანს. თუ XI საუკუნის ქართველი დიდი აზნაურის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის ხვედრით წონას გავითვალისწინებთ, არ შეიძლებოდა ლიპარიტს ამ ბრძოლაში 700 დიდი აზნაური ჰყოლოდა.

[4] აქ საყურადღებო არის „10000 კაცისაგან შემდგარი სამეფო ლაშქრის" დასახელება. ვისი ლაშქარი უნდა იყოს ის? საქართველოს მეფე ბაგრატ IV, რომლის წინააღმდეგ ბიზანტია და ლიპარიტი იბრძოდნენ, ახლა თავის მტერს — ლიპარიტს ლაშქარს არ ჩააბარებდა. ეს ბიზანტიის ის ლაშქარი უნდა იყოს, რომელიც საქართველოში იყო შემოჭრილი და ლიპარიტის მეთაურობით ბაგრატ მეოთხეს ებრძოდა.

[5] **О великом нахарарстве Орбелианов. Исследования и статьи Н. О. Эмина, Москва, 1896, გვ. 359.**

საბერძნეთისა და ლიპარიტისა თურქთა. იქმნა მოსრვა დიდი, და შეიპყრეს ლიპარიტ და წარიყვანეს ხუარასანს სულტანსა თანა“ [1].

ლიპარიტის გამოსახსნელად კეისარმა დაუყოვნებლივ მიიღო ზომები და გამოიხსნა კიდეეაც ის სულთნისაგან [2].

როგორც ვხედავთ, ამიერკავკასიის ხალხებისათვის მეტად რთული პოლიტიკური ვითარება შეიქნა: საქართველო ბიზანტიას იგერიებდა, მაგრამ მას თურქ-სელჩუკთა სახით უფრო საშიში მტერი უახლოვდებოდა, თავდაცვით ბრძოლაში დასუსტებული და ბიზანტიის მიერ დაპყრობილი სომხეთი ახლა ორი ძლიერი დამპყრობის — ბიზანტიელებისა და თურქ-სელჩუკების ბრძოლის ასპარეზად იქცა.

თურქ-სელჩუკთა გამარჯვებებს იმ გარემოებამ შეუწყო ხელი, რომ არაბთა სახალიფოს დაშლის შემდეგ ირანსა და მის მეზობელ ქვეყნებში ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი, ხოლო ცალკეულ წვრილ სამთავრო-საამიროებს თურქ-სელჩუკთა გამკლავება არ შეეძლო.

სომეხ ხალხს, რომლის მიწა-წყალზე სელჩუკები შემოიჭრნენ, არც ძალა შესწევდა და არც ხალისი ჰქონდა სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლისა იმიტომ, რომ ის ვერაგულად დაიპყრო ბიზანტიამ და სომეხ ხალხს ბიზანტია უფრო სძულდა, ვიდრე უცნობი მტერი. ვერც მოძმე ქართველმა ხალხმა აღმოუჩინა ჯეროვანი დახმარება მეზობელ სომხეთს. ლიპარიტ ბაღვაში გამოვიდა ახლა მხოლოდ საკმაოდ ძლიერი ლაშქრით თურქთა წინააღმდეგ. თუმცა იგი ერთი დამპყრობის წინააღმდეგ მეორე დამპყრობს ეხმარებოდა, მაგრამ მაინც ამ შემთხვევაში ობიექტურად სომხეთის სასარგებლოდ იბრძოდა.

სელჩუკებმა სომხეთი დაარბიეს, მრავალი ტყვე ხელში ჩაიგდეს და ნადავლით დატვირთული უკან დაბრუნდნენ.

ბიზანტიელები და მათი მთავრობა ამიერკავკასიის ხალხებს დიდ ზიანს აყენებდნენ, მათი დამოუკიდებლობის მოსპობას ცდილობდნენ, მაგრამ თურქ-სელჩუკებთან შედარებით ბიზანტიელები უფრო კულტურულნი იყვნენ. საზოგადოებრივი განვითარების მხრივაც ისინი უფრო წინ იდგნენ, ვიდრე სელჩუკები. ამიტომ ამიერკავკასიაში სელჩუკების გაბატონება კიდევ უფრო დიდ ზიანს მოუტანდა აქაურ ხალხებს, ვიდრე ბიზანტიას მოჰქონდა.

თურქ-სელჩუკების შესახებ შეიძლება იგივე ითქვას, რასაც მარქსი და ენგელსი ბარბაროსი ხალხების შესახებ ამბობდნენ: „ბარბაროსული ხალხების შესევა, ჩვეულებრივი ომებიც კი, საკმარისია, რათა განვითარებული საწარმოო ძალებისა და მოთხოვნილებების მქონე

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 302.

[2] К. Г а н, Известия, II, გვ. 46—48.

რომელიმე ქვეყანა იქამდე მივიდეს, რომ იძულებული გახდეს ყველაფერი კვლავ თავიდან დაიწყოს“ [1]. ამიტომ მომთაბარე სელჩუკების წინააღმდეგ თავდაცვითი ბრძოლა უთუოდ პროგრესული იყო, „რადგან ქრისტიანი და მუსლიმანი ხალხები ამით თავიანთ განვითარებულ მეურნეობას და კულტურას იცავდნენ“ [2].

პირველი თავდასხმიდან ერთი წლის შემდეგ, 1049 წელს, ხელმეორედ შემოიჭრნენ სომხეთში თურქ-სელჩუკები. უკანასკნელთა გაცნობამ, ჩანს, ამიერკავკასიის ხალხები დაარწმუნა, რომ თურქ-სელჩუკებს კიდევ უფრო მეტი უბედურება მოჰქონდათ ამ ხალხებისათვის, ვიდრე ბიზანტიელებს. ამიტომ, როდესაც სელჩუკები ხელმეორედ შემოიჭრნენ სომხეთში, ბიზანტიელებთან ერთად ქართველები და სომხებიც აქტიურად იბრძოდნენ მათ წინააღმდეგ, მაგრამ, სამწუხაროდ, მარცხი განიცადეს და მტერმა სომხეთს ახლაც უდიდესი ზიანი მიაყენა. დიდი ალაფითა და უამრავი ტყვეებით ის ამჯერადაც ისევ უკან დაბრუნდა.

1054 წელს თვით სულთანი თოღრილ-ბეგი წამოუძღვა თავის ბრბოებს ჩრდილოეთისაკენ და ისინი მესამეჯერ დაესხნენ თავს სომხეთს. ახლაც, კიდევ უფრო მეტად, ვიდრე წინა ორი თავდასხმის დროს, მიწასთან გაასწორეს სომხეთის ბევრი ქალაქი და დასახლებული ადგილი. ამოხოცეს ხალხი და ხელთ იგდეს დიდი ალაფი.

განძის ამირამ შავირ შადადიდმა მორჩილება განუცხადა სელჩუკებს, მიართვა მათ ძვირფასი საჩუქრები და მისცა მძევლები. ასე მოიქცენ აზერბაიჯანის დანარჩენი ფეოდალური ერთეულების მმართველებიც [3], მაგრამ ამით მხოლოდ დროებით აიცდინეს დამპყრობთა რისხვა.

ამის შემდეგ თურქ-სელჩუკთა თავდასხმები ამიერკავკასიის ქვეყნებზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ შეწყვეტილა. 1064—1065 წლებში ისინი მთელ ამიერკავკასიას მოედვნენ. 1063 წლიდან სასულთნოს ალფარსლანი ედგა სათავეში. მისი მეთაურობით თურქ-სელჩუკთა უზარმაზარი ლაშქარი ჯერ ადარბადაგანში შემოიჭრა, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთ საქართველო და სომხეთი აოხრა. სამწუხაროდ, ამიერკავკასიის ხალხებმა ახლა ძალები ვერ გააერთიანეს. მტერი მათ ცალ-ცალკე ესხმოდა თავს და ანადგურებდა.

---

[1] კ. მარქსი, და ფრ. ენგელსი. გერმანული იდეოლოგიიდან, თბილისი, 1948, გვ. 66.

[2] ვ. გაბაშვილი, „დიდ სელჩუკთა სახელმწიფო“, ნარკვევები მახლობელ აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1957, გვ. 126.

[3] История Азербайджана, I, გვ. 138.

სულთანმა საქართველოს ბევრი ქალაქი დაარბია. მას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ჯავახეთის ახალქალაქის მცხოვრებლებმა მესხი აზნაურების მეთაურობით. ბრძოლა ქალაქთან სამი დღე გაგრძელდა. ბოლოს კი რიცხობრივად უპირატესობის მქონე მტერმა გაიმარჯვა და ქალაქი აიღო. მან შეუბრალებლად ამოხოცა ადგილობრივი მოსახლეობა. ქართველი მემატიანე გადმოგვცემს, რომ დახოცილთა სისხლით „შეიღება წყალი ახალქალაქისაო“ [1].

საქართველოდან წასულმა სულთანმა 1065 წელს ანისი აიღო და იქიდან ბიზანტიელები განდევნა.

ბიზანტია, რომელსაც მაშინ სომხეთი დაპყრობილი ჰქონდა, უძლური აღმოჩნდა თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში. ის უკანასკნელებს ვერ გაუმკლავდა, XI საუკუნის 70-იან წლებში აღმოსავლეთიდან გაიქცა და სხვა ქვეყნებთან ერთად სომხეთიც მძარცველ თურქ-სელჩუკებს დაუტოვა.

თურქ-სელჩუკები მათ მიერ დაპყრობილი და მათთან შედარებით დაწინაურებული ბევრი ქვეყნის შემდგომი განვითარების ბორკილად იქცნენ. მათმა ლაშქრობებმა მიწასთან გაასწორა და გაანადგურა მრავალი კულტურისა და აღებ-მიცემობის ცენტრი. მათ ლაშქრობებს თან სდევდა აგრეთვე მშვიდობიანი მოსახლეობის უდიდესი მსხვერპლი; გაღატაკება და გაუბედურება. არისტარქეს ლასტივერტელი წერს, რომ ზედიზედ სამი ლაშქრობის შედეგად სელჩუკებმა გააჩანაგეს სომხეთი, მთლიანად მოსპეს ცოცხალი საქონელი და უკაცრიელი გახადეს ქვეყანაო [2].

სელჩუკიანთა თავდასხმების დროს ბევრი ცნობილი ქალაქი გაანადგურებულ იქნა სომხეთში. დაინგრა სომხეთის შესანიშნავი ქალაქები ანისი, არცნი, მანასკერტი და სხვ. ქ. არცნი, რომელიც დიდი და ერმრავალი ქალაქი იყო, ისე განადგურდა, რომ მისი აღდგენა შეუძლებელი გახდა. სომეხი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო ბევრი სამშობლოდან სხვა ქვეყნებში გადაიხვეწა ბედის საძიებლად.

ვაჭრები და ხელოსნები, რომლებმაც თურქ-სელჩუკთა თავდასხმების დროს სომხეთიდან გაქცევა ვერ მოასწრეს, ფიზიკურად გაანადგურეს. თურქ-სელჩუკთა გაბატონების შედეგად ძლიერ დაზარალდნენ აგრეთვე სომეხი ფეოდალები. დაიპყრეს რა სომხეთი, სელჩუკებმა მთელი სომხეთის მიწა-წყალი თავიანთი ლაშქრის მეთაურებს გაუნაწილეს.

---

[1] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 306.

[2] **История армянского народа, I. 1944. გვ. 167.**

დამპყრობლებმა სომხეთში ისე ძლიერ მოიდგეს ფეხი, რომ ფეოდალური კლასის წარმომადგენელთა თვალსაჩინო რიცხვს ეს დამპყრობელები შეადგენდნენ [1]. ისინი ადგილობრივ მოსახლეობას მხოლოდ საძარცვავად უყურებდნენ.

სომხეთში გაბატონებულმა დამპყრობთა ამ ძალამ ეროვნული გადაგვარების საფრთხე შეუქმნა სომეხ მოსახლეობას. მაგრამ მარტო ამიერკავკასიასა და მის მეზობელ ქვეყნებს როდი უქმნიდნენ უდიდეს საფრთხეს დამპყრობლები. თურქ-სელჩუკთა მომთაბარე არისტოკრატიამ პირველ ყოვლისა ირანელ ფეოდალებს ჩასცა ძლიერი მახვილი, გაბატონდა მათზე და დიდად დააზარალა როგორც მიწათმფლობელთა მაღალი ფენა, ისე განსაკუთრებით მწარმოებელი საზოგადოება. სწორედ „ამავე მიზნით მოდიოდნენ ისინი სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში" [2].

საზოგადოებრივი განვითარების მხრივ ჩამორჩენილმა თურქ-სელჩუკებმა საფრთხის წინაშე დააყენეს მათ მიერ დაპყრობილი, შედარებით განვითარებული ხალხების კულტურული მეურნეობა. მომთაბარეთა ბატონობის უარყოფით შედეგს სელჩუკიანთა მმართველი წრეებიც, სახელმწიფოს ცალკეული მოღვაწეებიც გრძნობდნენ და ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ ირანის ცენტრალური რაიონებისათვის თურქთა ბატონობის ასეთი შედეგი.

თურქ-სელჩუკთა ვრცელი სახელმწიფო, ამ სახელმწიფოს სათავეში მყოფ სელჩუკთა საგვარეულოს ბატონობის შენარჩუნება ძლიერსა და მრავალრიცხოვან ლაშქარს მოითხოვდა. ერთგული მრჩევლები სულთნებს მუდამ ეუბნებოდნენ: ჩვენი მტერია ყველა ის, ვინც ლაშქრის რიცხობრივ შემცირებას გვირჩევს და, პირიქით, მრავალ ქვეყანაზე ბატონობის გავრცელება-შენარჩუნება ლაშქრის სიმრავლეზე არის დამოკიდებულიო [3].

სამხედრო ძალა, რომლის ძლიერებაზე სელჩუკთა ბატონობა იყო დამყარებული, ძირითადად მომთაბარე სელჩუკებისაგან შედგებოდა. ამდენად, ამ ძალას მმართველი დინასტიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ეს უკანასკნელი იმასაც გრძნობდა, რომ მაშინდელი ირანის „წარმოება-მეურნეობას, სამიწათმოქმედო ფეოდალურ კულტურას, ქალაქებსა და საქალაქო ცხოვრებას მომთაბარე თურქ-

---

[1] С. Еремян, Опыт периодизации истории Армении эпохи феодализма, Вопросы истории, 1951, № 7, გვ. 62.

[2] ვ. გაბაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 129.

[3] Сиасет-наме. Книга о правлении везира XI столетия Низам ал-мулька, перевод профессора В. Н. Заходера. М.—Л., 1949, გვ. 166—167.

სელჩუკების პრიმიტიული მეურნეობა (მეჯოგეობა)"[1] განადგურებას უქადდა. ამიტომ ისინი იძულებული იყვნენ ირანიდან ამ მომთაბარე თურქების განსახლებაზე ეფიქრათ. ასეთ ვითარებაში მმართველი წრეების არჩევანი ამიერკავკასიაზე ჩერდებოდა და მომთაბარე საშიშ თურქთა ბრბოებს ამიერკავკასიისაკენ ერეკებოდნენ.

ცნობილია, რომ სელჩუკიანი სულთნების ვაზირთა შორის ყველაზე ჭკვიანი, განათლებული და შორსმჭვრეტელი ალფ-არსლანისა (1067—1072) და შემდეგ მალიქ-შაჰის (1072—1092) ვაზირი ნიზამ ალ-მულქი იყო. ის თავის „სიასეტ-ნამეში" აშკარად გამოთქვამდა სელჩუკთა, ამ მმართველი დინასტიის, მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თურქმანთა ძირითადი მასა ბიზანტიისა და საქართველოს საზღვრებზე ჰყოლოდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მოქმედებით გამოწვეულ ზიანს ირანში თავიდან ვერ ავიცდენთო [2].

ამრიგად, ამიერკავკასიისაკენ წამოსული სელჩუკები აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ საზღვრებზე, კერძოდ, მათ მიერ დაპყრობილ სომხეთის მიწა-წყალზე მოზღვავდნენ და სომეხ ხალხს უდიდესი საფრთხე შეუქმნეს.

ქართველი ისტორიკოსის გადმოცემით, ამ დროს თურქმანები „მეზობლობით მოეახლნეს საზღვართა ჩუენთა, განმრავლდა შიში და ჰირი მათგან ჩუენ ზედა. რამეთუ იწყეს მიერითგან რბევად, ტყუენვად და მოოკრებად, წუად, სრვად და ტყუეობად ჩუენ ქრისტიანეთა"[3].

ნიზამ ალ-მულქის „სიასეტ-ნამეში" დაცული ცნობა იმის შესახებ, რომ თურქ-სელჩუკთა ცენტრალური ხელისუფლება ირანიდან თურქმანთა ბრბოების განსახლებაზე ზრუნავდა და ამ ბრბოებს საქართველოსაკენ ერეკებოდა, ქართულ წყაროებშიაც პოულობს პირდაპირ დადასტურებას. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, საქართველოში და მის საზღვრებთან თურქთა მოზღვავება იმდენად დიდი იყო, რომ მათი მნახველი იტყოდა: „ყოველი თურქობა ყოველსა ქუეყანისა იქი არსო". და არავისგან მოსაგონებელ იყო ოდესცა მათი გასხმა ანუ ვნება, არცა თუ თჳთ სულტანისაგანო" [4].

---

[1] ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

[2] А. Якубовский, Сельджукское движение и туркмены в XI в., Известия АН СССР, Отдел общественных наук, 1937, № 4, გვ. 945; შდრ. ვ. გაბაშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 125.

[3] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318—319.

[4] იქვე, გვ. 332.

რთულმა და არახელსაყრელმა პოლიტიკურმა პირობებმა ამიერკავკასიის ხალხებს თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ძალთა გაერთიანების საშუალება არ მისცა. მარტო საქართველოს არ შეეძლო თავის საზღვრებთან მოზღვავებული მტრის შეკავება. დავითის ისტორიკოსი სიტყვებსაც ვერ პოულობს იმ საშინელების წარმოსათქმელად, რაც მაშინ თურქმანებმა ამიერკავკასიის ხალხებს მოუტანეს. იგი წერს, რომ ერთ-ერთი თავდასხმის დროს, როდესაც „ქორონიკონი იყო სამასი“ (780+300=1080) თურქთა ბრბოები „მოეფინნეს პირსა ყოველსა ქუეყანისასა, ვითარცა მკალი... მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვდრი ყოველი“ [1].

თურქ-სელჩუკთა ლაშქრობის შესახებ ანალოგიურ ცნობებს გვაძლევენ უცხო ავტორებიც. XIII საუკუნის მოღვაწე ნესევი გადმოგვცემს, რომ XI საუკუნის 80-იან წლებში სულთან მალიქ-შაჰის მიერ გამოგზავნილი თურქმანები ისე მოეფინენ არანის მინდვრებს, მთებსა და ციხე-სიმაგრეებს, როგორც კალიაო [2].

სელჩუკებმა ამ ლაშქრობის დროს უდიდესი უბედურება დატეხეს თავს საქართველოს. დავითის ისტორიკოსის გადმოცემით, ცეცხლს მისცეს და გადასწვეს საქართველოს სატახტო ქალაქი „ქუთათისი“ და ცნობილი სავაჭრო ცენტრი „არტანუჯი და უდაბნონი კლარჯეთისანი“ [3].

თურქმანთა ბრბოებმა—განაგრძნობს ისტორიკოსი — „მოჭამეს ქუეყანა და მოსწყუჯდეს, თუ სადღა ვინ დარჩობილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ჯურელთა ქუეყანისათა... ხოლო თუ ვინმე მთიულეთს ანუ სიმაგრეთა სადამე ვინ დაშთა კაცი, ზამთრისა სიფიცხითა, უსახლობითა და შიმშილითა ეგრეცა მოისრა“ [4].

ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, საქართველოს არასდროს არ უნახავს ისეთი უბედურება, როგორიც თურქ-სელჩუკებმა მოუტანეს მას. „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოჯრდა ქუეყანა და ტყედ გადაიქცა და ნაცვლად კაცთა მჭეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვდრნეს მას შინა. და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვდრთა ქუეყანისათა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდესვე ყოფილთა სმენილთა და გარდასრუნთა ოჯრებათასა“ [5].

---

[1] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 319—320..

[2] История Азербайджана, I, გვ. 140.

[3] ქართლის ცხოვრება, §, გვ. 319.

[4] იქვე, გვ. 320.

[5] იქვე.

უკონომიურ განადგურებასთან ერთად ქვეყანა სისხლიდან იცლებოდა და ფიზიკურადაც ნადგურდებოდა. თურქთა ბრბოები ადამიანებზე ნადირობდნენ და ტყვეთა სახით მიჰყავდათ. ამასთანავე, „მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჰაბუკნი დაკუეთებულ (დასაჭურისებული, — ვ. კ.), ხოლო ჩჩვილნი მიმოტაცებულ“ [1].

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, სელჩუკებმა ვერ შეძლეს საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა. თუმცა სისხლის ფასად, მაგრამ მაინც ქართველმა ხალხმა „შეინარჩუნა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია“ [2].

საქართველოზე უფრო უარეს პოლიტიკურ გარემოში მოექცა მეზობელი სომხეთი. ჯერ ბიზანტიელთა მიერ განადგურებულმა, ხოლო შემდეგ თურქმანთა უღელქვეშ მოქცეულმა „სომხეთმა გაერთიანება ვერც კი მოასწრო, რომ მას სახელმწიფოებრიობა მოეშალა“ [3].

სომხეთის ფეოდალურმა პოლიტიკურმა ერთეულებმა, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, დამოუკიდებლობა დაკარგეს და თურქ-სელჩუკთა მომთაბარე სამხედრო არისტოკრატიის უშუალო მბრძანებლობაში მოექცნენ. ამრიგად, თუმცა სომხეთს სოციალურ-ეკონომიური დეგრადაციისა და ეთნიკური გადაგვარების დიდი საფრთხე შეუქმნეს დამპყრობლებმა, მაგრამ თურქ-სელჩუკებთან შედარებით მაღალი კულტურის მქონე სომხურმა მოსახლეობამ ეროვნების საკუთარი სახე არ დაკარგა და სანამ დამპყრობელები ამ ხალხის ეროვნულ გადაგვარებას მიაღწევდნენ, მოძმე ქართველი ხალხის დახმარებით სომეხმა ხალხმა თვით მოუღო ბოლო სომხეთში დამპყრობთა ბატონობას.

სელჩუკებმა ძლიერ დააზარალეს აგრეთვე აზერბაიჯანის მოსახლეობა. მათ ყოფილი ალბანიის მიწა-წყლის სამხრეთი რაიონები XI საუკუნის 80-იან წლებში საბოლოოდ დაიპყრეს. მომთაბარე დამპყრობლები განუწყვეტლივ ძარცვავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ამასთანავე ქ. განძაში მუდმივად ჩააყენეს 48 ათასი მოლაშქრე. რომელთა შენახვა არანის მოსახლეობას დააკისრეს, ხოლო საქართველოს მეზობელი შარვანი, რომელიც დიდხანს ებრძოდა დამპყრობ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 320.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, მნათობი № 6, 1954, გვ. 124.

[3] იქვე, გვ. 122.

ლებს, აიძულეს ერთდროულად 70 ათასი დინარი[1] გადაეხადა სელ-ჩუკიანთა სასარგებლოდ. შემდეგ კი ყოველწლიურად ხარკის სახით 40 ათასი დინარი უნდა მიეწოდებინა. სულთნისათვის. ამასთანავე, აზერბაიჯანის დიდი ნაწილის დაპყრობამ სელჩუკების მიერ ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებსა და რელიგიაშიც სათანადო ცვლილებები გამოიწვია. თუ წინათ მუსლიმანურ სამყაროში ძირითად მიმართულებად შიიტობა ითვლებოდა, სელჩუკიანთა სულთნებმა ოფიციალურ რელიგიად სუნიტური მიმართულება აირჩიეს. ამავე დროს დაიჭარეს აზერბაიჯანის იმ მოსახლეობის გამაჰმადიანება[2], რომელსაც ჯერ კიდევ შემოენახა ქრისტიანული რელიგია.

თუმცა, როგორც ნათქვამი იყო, საქართველომ დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, მაგრამ მეფე გიორგი II ხარკი იკისრა თურქ-სელჩუკთა სულთნის სასარგებლოდ იმ იმედით, რომ სულთანი მომთაბარე თურქებს საქართველოს ძარცვას აუკრძალავდა. მაგრამ ხარკი ხარკად დარჩა და მომთაბარე სელჩუკიანთა თარეშში სრულებით არ შეწუვეტილა. დამპყრობლებმა მთელი ამიერკავკასია თავიანთი ნახირის საძოვრებად აქციეს და მეურნეობა გააჩანაგეს.

XI საუკუნემდე არცერთ დამპყრობს არ შეუქმნია ისეთი საფრთხე ამიერკავკასიის ხალხებისათვის, როგორიც მათ თურქმანებმა შეუქმნეს. ისინი ხომ „გადმოსახლებით მოდიოდნენ და დაპყრობილ ქვეყნებში თავისი მეურნეობისათვის საჭირო მიწებს იჭერდნენ.... თურქ-სელჩუკთა შემოსევა შეუდარებლად უფრო მძიმე და საშიში იყო, ვიდრე არაბთა (ან ბიზანტიელთა) ბატონობა. არაბობა ქართული (კავკასიური) ფეოდალური მეურნეობის განვითარებას მძიმე ხარკით აფერხებდა. „თურქობა“ კი ამ მეურნეობას საფუძველს (მიწას) აცლიდა და მას ერთნაირად გადაშენების საფრთხეს უქმნიდა“[3].

ამიერკავკასიის ხალხთა განვითარებულ ფეოდალურ მეურნეობასთან თურქული მომთაბარული მეურნეობის შეუთავსებლობა მშვენივრად ჩანს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობებში. იგი წერს, რომ „მოაქამომდე“, ე. ი. მანამდე, სანამ ქართველები თურქების გაძევებას ძალით დაიწყებდნენ, მომთაბარე მძარცველები „სთუელთა ჩამოიარიან... სომხითი, ყოვლითა ფალანგითა მათითა, ჩამოდგიან გაჩიანთა, პირსა მტკუარისასა, ტფილისთაგან ვიდრე ბარდავადმდე.

---

[1] დინარი მონეტის ძველი სახელწოდებაა ლათინური სიტყვა denarius-იდან (რომაული ვერცხლის მონეტა). არაბული დინარი, რომელიც ძველად უმთავრესად გავრცელებული იყო მაჰმადიანურ აღმოსავლეთში, ოქროს მონეტა იყო და წონით დაახლოებით 2,4 გრამს უდრიდა.

[2] История Азербайджана, I, გვ. 139—141.

[3] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, მნათობი, 1954, № 6, გვ. 123.

და ჯორის პირთა, და ყოველთა ამათ შუენიერთა ადგილთა საზამთროთა... ამათ ადგილთა შინა დადგიან ხარგებითა. ცხენისა, ჯორისა, ცხუარისა და აქლემისა მათისა არა იყო რიცხჳ... თჳსთა ქალაქთა ვაჭრობდიან, ხოლო ჩუენთა ნაპირთა არბევდიან ტყჳთა და ალაფითა სავსეთა. გაზაფხულსა თანა იწყიან სლვა აღმართ მთათა სომხითისა და არარატისათა“ [1].

ზემოთ მოტანილი ცნობიდან ნათლად ჩანს, „თუ როგორ... ერთიმეორის გამომრიცხველი იყო ორი მეურნეობა — თურქულ მომთაბარული და ქართულ-ფეოდალური... ადგილობრივ მკვიდრთა ინტენსიური სამიწათმოქმედო კულტურა იკვეცებოდა. ბაღ-ვენახი, სელი და პურეული ადგილს უთმობდა პირველყოფილ საძოვრებს. ქართული (კავკასიური) ფეოდალური საზოგადოების განვითარება ფერხდებოდა, მას დაკნინება-გადაგვარება ემუქრებოდა“ [2].

თურქ-სელჩუკთა გაბატონების შედეგად „შეფერხდა.. დიდი და პროგრესული საქმე კავკასიის გაერთიანებისა“ [3], რომელიც საქართველოს მეთაურობით ამიერკავკასიის ხალხთა პროგრესულმა ძალებმა დაიწყეს ჯერ კიდევ XI საუკუნის პირველ ნახევარში, „შეიქმნა დიდი საფრთხე მოწინავე ფეოდალური ქვეყნის გადაგვარებისა. გაჩაღდა დაუნდობელი ბრძოლა დამპყრობელ თურქებსა და ადგილობრივ მკვიდრთა შორის“ [4]. და სწორედ ამ უკანასკნელთა ბრძოლას ჰქონდა უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა.

თურქ-სელჩუკებმა მრავალი ქვეყანა და უამრავი ხალხები დაიპყრეს, რომელთა ხარჯზე უდიდესი სახელმწიფო შექმნეს. აკად. ვ. ბარტოლდის სიტყვებით რომ ვთქვათ, ოგუზ-თურქმანთა ხალხმა სელჩუკთა იმპერიის წარმოქმნით ისეთი მნიშვნელობა მოუპოვა მუსლიმანურ სამყაროს, როგორიც საშუალო საუკუნეების არცერთ თურქული მოდგმის ხალხს არ გაუკეთებია [5]. მაგრამ მომთაბარე ჩამორჩენილმა თურქებმა სახელმწიფოებრივი ერთიანობა, როგორც ქვემოთ გავეცნობით, დიდხანს ვერ შეინარჩუნეს.

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 332.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, გვ. 123.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] В. В. Бартольд, Туркмения, т. I, изд. АН СССР, Л. 1929, გვ. 27; შდრ. Е. А. Беляев, Периодизация средневековой истории Турции. Известия Академии Наук СССР, серия истории и философии, т. IV, № 1, Москва, 1947, გვ. 87.

X—XI საუკუნეები ამიერკავკასიის ფეოდალური სახელმწიფოების სწრაფი აღმავლობისა და განვითარების ხანა იყო. თურქ-სელჩუკებმა დროებით შეაფერხეს განვითარება, მაგრამ ვერ შეაჩერეს იგი. საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი სოციალურ-ეკონომიურსა და კულტურულ აღმავლობას განიცდიდნენ.

მტერთაგან განუწყვეტელ თავდახმებს ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხები ყველა თანაბრად განიცდიდა, მაგრამ სომეხი ხალხი, ხშირ შემთხვევაში, უფრო მეტად ზარალდებოდა იმიტომ, რომ ამიერკავკასიაში სამხრეთიდან მოსული მტერი პირველად სომხეთის მიწა-წყალზე შემოდგამდა ფეხს და დამპყრობლის პირისპირ პირველად სომეხი ხალხი აღმოჩნდებოდა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, ბუნებრივია, სომხეთის პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოსთან შედარებით უფრო რთული იყო. ამით უნდა აეხსნათ ნაწილობრივ ის გარემოება, რომ როდესაც თურქ-სელჩუკთა ბატონობის თავიდან მოცილებისათვის ხელსაყრელი დრო დადგა, ამიერკავკასიის ხალხთა გამათავისუფლებლის ინიციატორის როლში საქართველო გამოვიდა, მტრის წინააღმდეგ შეტევაზე ის პირველი გადავიდა და, ამიერკავკასიის მოძმე ხალხების მხარდაჭერით, მიზანს მიაღწია.

თავი VII

ამიერკავკასიის ხალხთა განთავისუფლება უცხოელთა ბატონობისაგან. პოლიტიკური ერთიანობის გაძლიერება საქართველოს მეთაურობით

1. ბრძოლა თურქ-სელჩუკების განსადევნად. ამიერკავკასიის ხალხთა განთავისუფლება უცხოელთა ბატონობისაგან. დავით აღმაშენებელი

XI საუკუნის 90-იანი წლებიდან დაშლა დაიწყო თურქ-სელჩუკთა სახელმწიფომ. ცალკეული მხარეების მმართველებს, სელჩუკიანთა საგვარეულოს უფლისწულებს დამოუკიდებლობის სურვილი გაუჩნდათ, დაიწყეს ბრძოლა როგორც ცენტრის წინააღმდეგ, ისე ურთიერთშორის. „მათს გარშემო ირაზმებიან ცალკეული ფეოდალური ჯგუფები, რომელთა პოლიტიკურ მიზნებს სავსებით შეესაბამებოდა ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება“[1]. სელჩუკი „უფლისწულები ქმნიან... დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. 1080 წელს უფლისწულმა სულეიმანმა საფუძველი დაუდო რუმის სასულთნოს — სელჩუკთა სახელმწიფოს მცირე აზიაში“[2]. იგივე სულეიმანი გახდა ამ სახელმწიფოს პირველი ხელმწიფე[3]. ყოველივე ამით ისარგებლეს დაპყრობილმა ქვეყნებმა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა დაიწყეს.

ამასთანავე, თურქ-სელჩუკებს უდიდესი მტერი გაუჩნდათ ევროპელი ჯვაროსნების სახით. 1097 წელს ჯვაროსნებმა ძლიერი დამარცხება აგემეს თურქ-სელჩუკებს მცირე აზიასა და სირიაში. ხოლო

---

[1] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 133.

[2] ი ქ ვ ე.

[3] Вл. Гордлевский, Государство сельджукидов Малой Азии, Москва—Ленинград, 1941, გვ. 23.

1099 წელს პალესტინა და იერუსალიმიც დაიპყრეს. ამ მოვლენამაც დიდად შეუწყო ხელი თურქ-სელჩუკების მიერ დაპყრობილ ქვეყნების წარმატებით ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლასთან ერთად სომხეთისა და აზერბაიჯანის მიწა-წყლის დიდ ნაწილზე ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი არაბ-სელჩუკთა რამდენიმე საამირო ყალიბდებოდა. ხოლო საქართველოში არაბთა ბატონობის დროს წარმოქმნილი თბილისის საამირო ჯერ კიდევ არსებობდა.

გარდა ამისა, როგორც სომხეთსა და აზერბაიჯანში, ისე აღმოსავლეთ საქართველოშიაც თითქმის ყველა მთავარი ციხე-სიმაგრე ჯერ კიდევ თურქ-სელჩუკთა ხელში იყო.

XI—XII საუკუნეთა მიჯნაზე ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულებს შორის შედარებით ძლიერ სახელმწიფოს საქართველო წარმოადგენდა. თუმცა პოლიტიკურად ის ჯერ კიდევ საბოლოოდ გაერთიანებული არ იყო: თბილისის საამირო და კახეთ-ჰერეთი დამოუკიდებელ არსებობას განაგრძობდნენ, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მთავარ ციხე-სიმაგრეებში, როგორც ნათქვამი იყო, ჯერ კიდევ თურქ-სელჩუკები ისხდნენ.

ყოფილი ალბანიის ტერიტორია, ანუ მეტ-ნაკლებად დღევანდელი აზერბაიჯანის მიწა-წყალი, ორად იყო გაყოფილი. მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს შირვან-შაჰები მართავდნენ, რომელთა რეზიდენცია ქ. შემახია იყო. ხოლო სამხრეთი რაიონები განძის საამიროში შედიოდა, რომელსაც სელჩუკთა წარმომადგენლები განაგებდნენ, მათ რეზიდენციას განძა (განჯა) წარმოადგენდა.

ამრიგად, XI—XII საუკუნეთა მიჯნაზე, ჯერ კიდევ საბოლოოდ გაუერთიანებელ საქართველოს აღმოსავლეთით შირვან-შაჰების მიწა-წყალი ესაზღვრებოდა, რომელსაც ამ მხარის ძველი მმართველი დინასტიის წარმომადგენლები განაგებდნენ. ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით განძის საამირო ემიჯნებოდა, რომელსაც თურქ-სელჩუკთა წარმომადგენლები მართავდნენ.

რაც შეეხება სომხეთს, როგორც ნათქვამი იყო, იქ მხოლოდ ზოგიერთ სამთავროს ჰქონდა შენარჩუნებული დამოუკიდებლობა (ხარკის პირობით). სომხეთის უმეტეს მიწა-წყალზე რამდენიმე საამირო არსებობდა, რომელთა სათავეში მაჰმადიანები იყვნენ.

სამხრეთ სომხეთში შაჰ-არმენის სახელით ცნობილი ქურთთა დინასტია გაბატონდა, რომლის რეზიდენცია იყო ვანის ტბის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე დიდი სავაჭრო ცენტრი ქ. ხლათი.

ჯერ კიდევ 1048 წელს განძის მმართველმა შედადიდებმა სომეხ მთავარს დავითს ქ. დვინი წაართვეს და იქაც შედადიდები გაბატონდნენ, ხოლო 1072 წ. დვინის ერთ-ერთმა მმართველმა შედადიდმა

სულთან ალფ-არსლანისაგან სომხეთის ცნობილი ქალაქი ანისი იყიდა და იგი თავის ერთ-ერთ შვილს, მანუჩეს, მისცა. უკანასკნელის მიერ ჩაეყარა საფუძველი შედადიდების ანისის შტოს ბატონობას[1].

XI საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართველი ხალხი წარმატებით იბრძოდა საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებისათვის. თავისი ეპოქის ჭკვიანმა მმართველმა და მხედართმთავარმა დავით აღმაშენებელმა ჯერ ქართველი თვითნება ფეოდალები დაიმორჩილა, თურქ-სელჩუკთა მბრძანებელსაც ხარკი შეუწყვიტა და შემდეგ კახეთისა და ჰერეთის შემოერთებას მიაქცია ყურადღება. კახეთისა და ჰერეთის შემოერთებას იმიტომ მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება, რომ ამ მხარეს საქართველოსათვის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა. საქართველოს ეს აღმოსავლეთი რაიონები განძის ანუ განჯის საამიროს ესაზღვრებოდნენ. ეს უკანასკნელი კი მაშინ სომხეთისა და ალბანიის მიწა-წყალზე არსებულ საამიროთა შორის ყველაზე უფრო ძლიერი იყო. მისი ამირები ხშირად მეზობელ რაიონებს არბევდნენ და ქართველებისა და სომხების მიწა-წყლის ხარჯზე სამფლობელოს გაფართოებას ცდილობდნენ.

XII საუკუნის დასაწყისში კახეთ-ჰერეთის მეფედ აღსართანი იყო. ის ხარკს აძლევდა თურქთა სულთანს, მის მორჩილებას ამჯობინებდა და საქართველოს სამეფოსთან დაახლოება-გაერთიანებას გაურბოდა. მაგრამ კახეთისა და ჰერეთის ზოგიერთი წარჩინებული წინააღმდეგი იყო აღსართანის მიერ არჩეული ორიენტაციისა და საქართველოსთან გაერთიანებას მოითხოვდა.

ამ წარჩინებულებმა 1104 წელს შეიპყრეს აღსართანი და დავით აღმაშენებელს გადასცეს. ამით ისარგებლა დავით აღმაშენებელმა და კახეთ-ჰერეთი შემოიერთა. დავითის ისტორიკოსის გადმოცემით, „ესე აღსართან, კახთა მეფედ კსენებული, შეიპყრეს ჰერთა დიდებულთა, არიშიანმან და ბარამ, და დედის ძმამან მათმან ქავთარ ბარამის ძემან, და მისცეს მეფესა. და აღიხუნა მეფემან ჰერეთი და კახეთი“ [2].

ეს გარემოება არ მოეწონა არც განძის ამირასა და არც მის მბრძანებელს თურქთა სულთანს, რადგან კახეთ-ჰერეთის საქართველოსთან შემოერთებით სულთანს ხარკი ეკარგებოდა, ხოლო განძის ამირას საქართველოს სამეფოს სახით ძლიერი მეტოქე დაუმგზობლდებოდა.

---

[1] История армянского народа, I, გვ. 158.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 328.

საქართველოსთან კახეთისა და ჰერეთის შემოერთება განძის ამირამ ვერ მოითმინა. მან იმავე 1104 წელს სულთნის დახმარებით დიდი ლაშქარი შეჰყარა და საქართველოს წინააღმდეგ გამოილაშქრა. მაგრამ ქართველები მას გულხელდაკრეფილი როდი შეხვდნენ, ისინი დაუყოვნებლივ შეეგებენ მტერს. ბრძოლა მოხდა ერწუხში (საინგილოში). ქართველებმა ამ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს და გათავხედებული მტერი სასტიკად დაამარცხეს. დავითის ისტორიკოსი ამ ბრძოლის შესახებ გადმოგვცემს: დავითმა „ერწუხს ქმნნა წყობანი დიდნი და კმა-გასმენილი იგი დიდი ძლევა, რომელ მცირედითა ლაშქრითა და განწირულითა ერითა დაჰკოცნა სულტანისა იგი ურიცხუნი სპანი“ [1].

ერწუხის ომში ქართველების გამარჯვებას არა მარტო საქართველოსათვის ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა, არამედ ის სომხეთისა და შარვანისთვისაც დიდი მნიშვნელობისა იყო. თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს ბევრი ციხე-სიმაგრე და დედაქალაქი თბილისი ჯერ კიდევ განთავისუფლებული არ იყო, ამდენად, ამ საკითხის გადაწყვეტამდე მოძმე სომეხი ხალხისათვის დახმარების აღმოჩენა არ ხერხდებოდა. მაგრამ, როგორც ქვემოთ გავეცნობით, საკუთარი მიწა-წყლის განთავისუფლების შემდეგ დაუყოვნებლივ მიეშველა სომეხ ხალხს ქართველი ხალხი იმ განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რომელსაც სომეხი ხალხი აწარმოებდა.

ქართველმა ხალხმა საკუთარი მიწა-წყლის განსათავისუფლებლად აქტიური ბრძოლა XII საუკუნის ათიან წლებში დაიწყო. 1110 წელს, როდესაც ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი სამშვილდე აიღეს, თავზარდაცემულმა თურქებმა „უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს, და ღამით მეოტ იქმნნეს“ [2]. გაანთავისუფლეს რა აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა ციხე-სიმაგრე, გარდა თბილისისა და დმანისისა, 1117 წელს ქართველებმა ჰერეთის უკიდურეს აღმოსავლეთ საზღვარზე მყოფი ციხე-სიმაგრე გომიც აიღეს, სელჩუკები დაამარცხეს და 4000 კაცი ტყვედ ჩაიგდეს ხელში. ამ ბრძოლაში შარვანელებიც ქართველების მხარეზე იყვნენ [3].

ამიერკავკასიის ის ხალხები, რომელთაც დიდი ხანია თავისუფლება წართმეული ჰქონდათ, საქართველოს გაძლიერებაში თავის სასარგებლო მოვლენას ხედავდნენ და ქართველების მიღწევებს სიმპათიით ეკიდებოდნენ.

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 328.

[2] იქვე, გვ. 331—332.

[3] **История Азербайджана**, I, გვ. 142.

ამიერკავკასიის მიწა-წყალზე აღმოცენებული საამიროების მმართველები და მათი სამხრეთელი მეზობლები კი საქართველოს მიმართ მტრულ დამოკიდებულებას იჩენდნენ, რადგან საქართველოს გაძლიერება მათ საფრთხეს უქმნიდა და ამის გამო ცალ-ცალკე თუ გაერთიანებული ძალით ისინი საქართველოს თავს ესხმოდნენ. მაგრამ საქართველო ამ დროისათვის უკვე საკმაოდ მოძლიერებული იყო და მის წინააღმდეგ საამიროების მიერ მოწყობილი ეს თავდასხმები უკანასკნელთა მარცხით თავდებოდა. ფეოდალური საქართველო სამხრეთისაკენ მიიწევდა და ამიერკავკასიის მოძმე ხალხების განთავისუფლების დღეც ახლოვდებოდა.

თურქ-სელჩუკები დიდხანს იბრძოდნენ შარვანის დასაპყრობად. მიუხედავად იმისა, რომ შარვანის ბევრი ციხე-სიმაგრე და ქალაქი მტრის ხელში მოექცა და შარვანის მმართველმა ხარკიც იკისრა, სელჩუკებმა საბოლოოდ მაინც ვერ დაიმორჩილეს შარვანი. იქ კიდევ ძველი მმართველი დინასტიის წარმომადგენლები მართავდნენ ქვეყანას და თურქ-სელჩუკთა მბრძანებლებმა თავიანთი წარმომადგენელი მმართველად ვერ დასვეს.

შინაგანი მდგომარეობის გამტკიცებისა და სამხედრო რეფორმების ჩატარების შემდეგ საქართველოს მეფემ დავით აღმაშენებელმა დიდი შეტევა დაიწყო ამიერკავკასიიდან თურქების განსადევნად. პირველად მან იმ მიმართულებით დაიწყო შეტევა, სადაც თურქები უფრო სუსტად იყვნენ ფეხმოდგმული. ასეთი მხარე კი შარვანი იყო.

1120 წელს ქართველებმა დავით აღმაშენებლის მეთაურობით შარვანზე გაილაშქრეს. შარვანის ძირითადი მოსახლეობა სიხარულით მიეგება ქართველ ლაშქარს, აქტიურად დაეხმარა მას და დამპყრობლები გააძევა თავის მიწა-წყლიდან. ამავე წელს დავითმა რანშიაც გაილაშქრა და თურქ-სელჩუკთა მფლობელობაში მყოფი ბევრი ქალაქი დაარბია.

შარვან-შაჰები, როდესაც მათ სამხრეთიდან ან ჩრდილოეთიდან მტერი ემუქრებოდა, საქართველოსთან კავშირს ამჯობინებდნენ. ახლაც, როდესაც შარვანიდან მტერი განდევნეს, მაგრამ მოსალოდნელი იყო, რომ თურქთა სულთანი შარვანელებს ამას არ აპატიებდა, შარვან-შაჰმა საქართველოს მეფის ყმადნაფიცობა იკისრა. ამ ღონისძიებას, როგორც საქართველოსათვის, ისე შარვანისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ქართველების წარმატებებით თავზარდაცემულმა თურქებმა, რომლებიც თბილისში, განჯაში, დმანისში და ზოგიერთ სხვა ქალაქებში ჯერ კიდევ იყვნენ მოკალათებულნი, თურქთა სულთანს დახმარება სთხოვეს.

დავითის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ „ამათ ესევითართა ჴირთაგან შეიწრებულნი თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განბელტფილელ-დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე, და ყოველსა სპარსეთსა შეიღებნეს შავად, რომელთამე პირნი, და რომელთამე ჴელები, და რომელნიმე სრულიად; და ესრეთ მიუთხრნეს ყოველნი ჴირნი, მოწევნულნი მათ ზედა, რომლითა აღძრნეს წყალობად თჳსა, და იქმნა გლოვა ფრიადი შორის მათსა“ [1].

სულთანს თვითონაც საგონებელში აგდებდა საქართველოს გაძლიერება და ის დაუყოვნებლივ გამოეხმაურა მთხოვნელებს. მან მაჰმადიანთა მრავალ მეფე-მთავარს მოუწოდა, მათი კავშირი შეკრა და უზარმაზარი ლაშქარი საქართველოს მოსარბევად გამოგზავნა. საქართველო მარტო უნდა შებმოდა რიცხობრივად დიდი უპირატესობის მქონე მტერს. მეზობელ სომხეთს, რომლის ძირითად ტერიტორიაზე მაშინ უცხო დამპყრობლები ბატონობდნენ, არ შეეძლო საქართველოს დახმარებოდა. მაგრამ, სამაგიეროდ, შორსმჭვრეტელსა და გონიერ მხედართმთავარს დავით აღმაშენებელს, ქართულ ფეოდალურ ლაშქარს გარდა, ახლა უკვე კარგად გაწვრთნილი ყივჩაყთა მრავალი ათასეულიც გააჩნდა.

თურქთა ამ დიდ ლაშქრობას შედეგად მოჰყვა ცნობილი დიდგორის ომი, რომელიც 1121 წლის აგვისტოში მოხდა. ამ ომში ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო საქართველოსათვის, არამედ ამიერკავკასიის ყველა ხალხისა და პირველ რიგში მეზობელ სომხეთისათვის.

1122 წელს საქართველოს დედაქალაქი თბილისი გაანთავისუფლეს ქართველებმა, რომელიც ოთხასი წლის განმავლობაში იმყოფებოდა უცხოელ დამპყრობთა ხელში[2]. ამ გარემოებამ საქართველოს მოძმე ამიერკავკასიის ხალხებიც წაახალისა და მათ განთავისუფლების რწმენა ჩაუნერგა. მაგრამ ამავე დროს თურქები აღაშფოთა და ისინი კიდევ ბრძოლისათვის სამზადისს შეუდგნენ.

1123 წლის მაისის თვეში თურქთა სულთანი მუჰამედი დიდი ლაშქრით შარვანში შეიჭრა. შარვანის დედაქალაქი შამახია აიღო და შარვან-შაჰი მანუჩარ II ტყვედ ჩაიგდო ხელში. ამის შემდეგ გათავხედებული სულთანი დავით აღმაშენებლისადმი გამოგზავნილი წერილით საქართველოსაც დაემუქრა. იგი ქართველი ისტორიკოსის გადმოცემით, დავითს სწერდა: „შენ ტყვეთა მეფე ხარ და ვერა ოდეს

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 340.

[2] იქვე, გვ. 342.

გამოხვალ ველთა; ხოლო მე ესე-რა შარვანშა შეეიპყარ ქელთა და ხარაჯასა ვითხოვ; შენ თუ გენებოს, ძღუენი ჯეროვანი გამოგზავნე და თუ გინდა სამალავთათ გამოვედ და მნახე"[1].

სულთნის ამ უხეში წერილიდანაც ჩანს, რომ იგი საშიშ ძალას ხედავს ახლა საქართველოს სახით. ამიტომ არის, რომ ხარკის შესახებ. რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ საქართველომ სულთანს შეუწყვიტა, სიტყვას არ ამბობს. სულთნის სიტყვები: „შენ თუ გენებოს, ძღუენი ჯეროვანი გამოგზავნე, და თუ გინდა სამალავთათ გამოვედ და მნახე" თურქ-სელჩუკთა მიერ ძველ პრეტენზიებზე ხელის აღებას ნიშნავს. მაგრამ სულთანს კიდევ არ სურს გამოტყდეს ამაში, იგი უკან იხევს, მაგრამ ცდილობს თავი უშიშრად და ყოვლის შემძლედ აჩვენოს.

ქართველები მტრის წინააღმდეგ ბრძოლის სამზადისს შეუდგნენ. დავით აღმაშენებელმა ლაშქრის გამოყვანის განკარგულება გასცა და „ბრძანებასავე მისსა თანა მოვიდეს წინაშე მისსა ყოველნი სამეფოსა მისისანი". შარვანს გამგზავრებული მოლაშქრენი „იყო შემბელი კაცი ორმოცდაათი ათასი". დასახმარებლად მისულ ქართველებს არ შეიძლებოდა სიხარულით არ შეხვედროდნენ შარვანის მმართველი წრეები და მოსახლეობა. სულთანი კი, რომელსაც „ეუწყა... ძალი და სიმრავლე სპათა [ქართველებისა]... აოყარა ველთათ, სადა დგა, და მსწრაფლ შევიდა ქალაქად და გარემოიზღუდა ურთ-კერძო სხრტითა[2] და ხანდაკებითა[3], და სხუთ-კერძო ზღუდითა ქალაქისა შამახიისათა"[4].

ქართველი ისტორიკოსი დაცინვის კილოთი წერს, რომ შეშინებულმა „სულტანმან მრავალთა მიერ ვედრებათა და ძღუენთა და მუდარითთა შეთულილობათა, ვითარცა მონამან ჭირვეულმან, არღა ძღუენი ანუ ომნი ითხოვნა, არამედ გზა სამლტოლვარო, ფრიად რამე სიმდაბლით და არა სულტანურად, შეიწრებულმან შიმშილითა და წყურილითა მრავალ დღე"[5].

დავითის ისტორიკოსის ცნობიდან ჩანს, რომ, როდესაც სულთანი და მისი ლაშქარი ქალაქის ზღუდის შიგნით იმყოფებოდნენ, ამ დროს მის დასახმარებლად რანის ათაბაგი მოემართებოდა „ძალითა სიმრავლითა". ქართველებმა ბრძოლა გაუმართეს ამ ლაშქარს და „მოსრეს მონათა მეფისათა ვითარ ოთხი ათასი კაცი, და იგი (ე. ი.

---

[1] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 343.

[2] სხრტითა — ღობით.

[3] ხანდაკი — თხრილი.

[4] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 343.

[5] იქვე.

ათაბაგი,—ვ. კ.) ოდენ მარტო მეოტი ძლით მივიდა სულტანსა წინაშე“ [1].

ჩანს, სულთანი დიდ იმედს ამყარებდა რანის ათაბაგის მეთაურობით მომავალ მაშველ ლაშქარზე. მაგრამ, როდესაც ეს იმედი ქართველებმა გაუქარწყლეს და ლაშქრის ნაცვლად მას მხოლოდ ათაბაგი მიუვიდა, „იხილა რა ესე სულტანმან, მასვე ღამესა გაიპარა, და სასდუნით მეოტი სხჳთ გზით წარვიდა სოფლად თჳსად“ [2].

ამრიგად, დავითის ისტორიკოსი დამაჯერებლად მოგვითხრობს, რომ საქართველოს ლაშქრის ძლიერებით თავზარდაცემული სულთანი ბრძოლაში ჩაბმას მოერიდა და შერცხვენილ-შეშინებული უკან გაიქცა.

1123 წელს შარვანზე სულთნის თავდასხმისა და იქ ქართველთა ლაშქრობის ამბავს არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირიც ეხება. მაგრამ იგი აღნიშნავს, რომ შარვანში მისულ დავითის ბანაკში მყოფ ქართველთა და ყივჩაყთა ლაშქარს შორის ბრძოლა ატყდა და „ამგვარად, ღმერთმა იხსნა მუსლიმანები ომისაგანო“ [3].

აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „არაბ ისტორიკოსის ცნობა, რომ ამ დროს ქართველთა და ყივჩაყთა შორის უსიამოვნება ჩამოვარდნილა, შეიძლება მართალი იყოს; იქნებ სწორედ ამით აიხსნება, რომ 50000 ჯარის კაცის პატრონი დავით მეფე ქართველი ისტორიკოსის მოწმობითაც სულტანს არ შეებრძოლა, არ დაედევნა და ქ. შემახიას აღებას არ შეეცადა; იქნებ ამითვე უნდა აიხსნებოდეს, რომ დავითს ამ ქალაქის ასაღებად ხელმეორედ მოუხდა შარვანში ლაშქრობა“ [4].

როგორც გავეცანით, არაბი ისტორიკოსის ცნობა, ერთი მხრივ, თითქოს რამდენადმე განსხვავდება ქართველი ისტორიკოსის ცნობისაგან, მაგრამ ამავე დროს, როგორც დავითის ისტორიკოსის, ისე იბნ ალ-ასირის ცნობებიდან ჩანს, რომ ძალთა უპირატესობა ქართველთა მხარეზე იყო. არაბი ისტორიკოსის განცხადება იმის შესახებ, რომ „ღმერთმა იხსნა მუსლიმანები ომისაგანო“, ქართველთა ძალის უპირატესობაზე მიგვითითებს.

---

[1] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 344.

[2] იქვე.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1948, გვ. 205.

[4] იქვე. გვ. 206.

შარვანიდან თურქთა საბოლოოდ განდევნისათვის ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. სულთნის გაქცევის შემდეგ „მეორესა თუესა, ივნისსა, კუალად წარვიდა შარვანს" დავითი. „აღიღო გულისტანი, სახლი თავადი შარვანისა, სიცხეთა მათ საშინელთა, მოირთო შარვანი და აღავსნა კეთილითა ყოველნი მორჩილნი ბრძანებათა მისთანი"[1].

დავით აღმაშენებელს კიდევ დაჭირდა შარვანში ლაშქრობა თურქმანთა საბოლოოდ განდევნისათვის. მაგრამ ამ ლაშქრობათა შედეგი მეტად დიდი იყო როგორც საქართველოს, ისე განსაკუთრებით შარვანისათვის. ქართველებისა და შარვანელების ერთობლივმა ბრძოლამ და გამარჯვებამ უზრუნველყო შარვანის დამოუკიდებლობა სელჩუკიან დამპყრობლებთაგან.

ამიერიდან კიდევ უფრო შემჭიდროვდა საქართველო და შარვანი. ვინაიდან თურქები თავისას არ იშლიდნენ და შარვანის მიმართ ისევ მძლავრობდნენ, 1124 წელს ამ მხარის საქართველოსთან შემოერთება გადაწყდა და განხორციელდა კიდეც. მაგრამ გარკვეული ხნის გავლის შემდეგ, როგორც ქვემოთ გავეცნობით, 1120 წელს დამყარებული ურთიერთობა იქნა აღდგენილი და შარვანი საქართველოს უმადნაფიცად დარჩა.

ქართველი და ჩრდილო აზერბაიჯანელი ხალხების წარმატებებმა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში სომეხი ხალხი დიდად წაახალისა. სომხეთის იმ ჩრდილო რაიონებში, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთით ესაზღვრებოდნენ, განმათავისუფლებელი ბრძოლა გაჩაღდა. სომეხი ხალხის აქტიურმა ბრძოლამ ხელი შეუწყო ქართველ ხალხს განმათავისუფლებელი ბრძოლა უფრო სამხრეთით გადაეტანა, შეტევა კიდევ უფრო წარმატებით გაეგრძელებინა. დავითის ისტორიკოსის გადმოცემით, სომხეთის მიმართულებით შეტევაზე გადასულმა ქართველებმა პირველ ყოვლისა გაანთავისუფლეს „ციხენი სომხითისანი: გაგნი, ტერონაკალი, ქავაზინი, ნორბედი, მანასგომნი და ტალინჯაქარი"[2].

XII საუკუნის 20-იან წლებში სომხეთის დიდ ტერიტორიას, კერძოდ ქ. ანისსა და შირაკის ვრცელ მიწა-წყალს, მაჰმადიანი შადადიანთა საგვარეულო განაგებდა. ამ საგვარეულოს წარმომადგენელი ამირა აბულ სოვარ მანუჩეს-ძე „კაცი ქალისმსგავსი და ვაჟკაცობას მოკლებული"[3] ისე გათავხედებულა, რომ სომხეთის დედაქალაქის

---

[1] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 344.

[2] იქვე, გვ. 344.

[3] Всеобщая исторня Вардана Великого, გვ. 146.

ანისის მიყიდვა გადაუწყვეტია კარის ამირასათვის 60.000 დინარად[1]. ამასთანავე, სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის ცნობებიდან ჩანს, რომ აბულ-სოვარი აბუჩად იგდებდა სომეხი ხალხის ზნე-ჩვეულებებს, კულტურასა და რელიგიას. მან—წერს ვარდანი—ბრძანება გასცა მოეტანათ ხლათიდან ვეებერთელა ნალი, ე. ი. მუსლიმანური რელიგიის მთავარის გამოხატულება და აღემართათ ის ანისის დიდ ტაძარზე, რომელიც ჯერ კიდევ აბულ-სოვარის წინაპრებს შიზგითად გადაექციათ[2].

აბულ-სოვარის ასეთმა მოქმედებამ და მრავალმა სხვა მიზეზმა სომეხი ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანა. 1124 წელს ქ. ანისისა და მთელი შირაკის მოსახლეობა ერთად გამოვიდა შადადიანთა ბატონობის თავიდან მოსაშორებლად. ახლაც, ისე როგორც 1045 წელს, ქართველებისა და სომხების ძალთა გაერთიანებისათვის ზრუნვა პირველად ქ. ანისის თავკაცებმა იკისრეს. დავითის ისტორიკოსის გადმოცემით, 1124 წლის 20 აგვისტოს, როდესაც დავით აღმაშენებელი თრიალეთში იმყოფებოდა, მასთან მოვიდნენ ანისის თავკაცების მიერ გამოგზავნილი მოციქულები და მოახსენეს, რომ ქ. ანისი ჩაიბაროს[3].

საქართველოს მთავრობამ სასწრაფოდ მიიღო ზომები მოძმე სომეხი ხალხის დასახმარებლად. მეფის განკარგულების თანახმად, სამი დღის განმავლობაში სამოცი ათასი მეომარი გაემზადა სალაშქროდ. ისე როგორც ყოველთვის, ახლაც, ამ ლაშქარს ნიჭიერი მხედართმთავარი — დავით აღმაშენებელი ჩაუდგა სათავეში და ის ანისისაკენ გაეშურა.

სომეხი მოსახლეობა სიხარულით შეხვდა დასახმარებლად მოსულ მოძმე ქართველთა ლაშქარს. მეგობრულად განწყობილ გარემოში მყოფმა ქართველებმა ალყა შემოარტყეს ქ. ანისს. ბუნებრივია, ქართველები და სომხები თანაბარი მონდომებით იბრძოდნენ ანისის განსათავისუფლებლად. ამან განაპირობა ის, რომ საქართველოს ლაშქარმა „მესამესა დღესა აიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად, და სოფელნი და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი“[4].

ქართველი და სომეხი ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ მაჰმადიანი მმართველები ყოველმხრივ ავიწროვებდნენ სომეხ მოსახლეობას. ისინი არა მარტო შეურაცხყოფდნენ მათ კულტურას, სარწ-

---

[1] Всеобщая история Вардана Великого, გვ. 146.

[2] იქვე.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 344; შდრ. Всеобщая история Вардана Великого, გვ. 146.

[4] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 345.

მუნოებას და ზნე-ჩვეულებას, არამედ ფიზიკურადაც ანადგურებდნენ სომეხ მოსახლეობას. დავითის ისტორიკოსის ნაშრომის ერთ ჩანართში ვკითხულობთ, რომ მაჰმადიან მმართველებს, რომლებსაც ანისის დიდი საუდარი მიზგითად გადაექციათ, „ქრისტიანეთა სისხლითა იგი საუდარი და ქალაქი“ [1] მოერწყოთო.

ვარდანის გადმოცემით, დავითმა დაუყოვნებლივ მოხსნა ანისის ტაძარს მაჰმადიანთა მიერ აღმართული საძულველი ემბლემა, რომელიც მას 60 წლის განმავლობაში ჰქონდა, ხოლო მის ნაცვლად ჯუარი აღმართა [2]. ამასთანავე, შეიპყრო ანისის მაჰმადიანი მმართველები. შეპყრობილი აბულ-სოვარი თავისი შვილებითა და ოჯახის სხვა წევრებით ჯერ თბილისში გამოგზავნა, ხოლო აქედან დასავლეთ საქართველოში გაგზავნა და ანისის მმართველებად თავისი ერთგული აზნაურები დანიშნა [3]. ვარდანის ცნობით აბულ-სოვარმა და მისმა შვილებმა საქართველოში დაამთავრეს თავიანთი სიცოცხლე [4].

ამრიგად, XII საუკუნის 20-იან წლებში ქართველი, ჩრდილო აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხების პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი დაახლოება-გაერთიანება განხორციელდა საქართველოს მეთაურობით. ამას მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებაში ამ ხალხების სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვდა. ამ გაერთიანებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ხალხებისათვის. ის არა მარტო თავდაცვის ინტერესებს ემსახურებოდა, არამედ სამეურნეო ცხოვრების განვითარებასაც უწყობდა ხელს.

* * *

დავით აღმაშენებელი ჭკვიანი და გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწე იყო. მას კარგად ესმოდა ის უდიდესი დადებითი მნიშვნელობა, რომელიც ამიერკავკასიის ხალხების გაერთიანებას ჰქონდა, ამიტომ ის ყოველგვარ ზომებს ხმარობდა იმისათვის, რომ ეს გაერთიანება ხანგრძლივი ყოფილიყო, ის მალე არ დარღვეულიყო.

სომეხი ისტორიკოსების განმარტებით, დავითი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა სომეხი ხალხის მიმართ. მის დროს აღდგენილ იქნა სელჩუკთა თავდასხმების დროს დანგრეული ქალაქები, სოფლები, სასახლეები, ციხე-სიმაგრეები, ეკლესია-მონასტრები და კულტურის ცენტრები სომხეთში. წესრიგში იქნა მოყვანილი ძვე-

---

[1] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 345.

[2] **Всеобщая история Вардана Великого**, გვ. 146.

[3] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 345.

[4] **Всеобщая история Вардана Великого**, გვ. 146.

ლი სამიმოსვლო გზები და გაყვანილ იქნა მრავალი ახალი გზა. ამასთანავე, დავითი ხელს უწყობდა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას[1], შეიქნა სათანადო პირობები ძველი სომხური კულტურის სხვა დარგების განვითარებისათვის და სხვ.

ყოველივე ეს იმან განაპირობა, რომ ქვეყანამ უცხოელთა შემოსევისაგან დაისვენა. ხალხმა მთელი თავისი ფიზიკური ძალა და შემოქმედებითი ნიჭი სამეურნეო ცხოვრებისა და კულტურის განვითარებას მოახმარა.

ისტორიულად, როგორც ცნობილია, სამხრეთიდან მოსული მტრების მიერ შეწუხებული და დევნილი სომეხი მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში თაეშესაფარს საქართველოში ეძებდა. ქართველი ხალხი მას კარგად ღებულობდა და საკუთარ მიწა-წყალს უთმობდა. საქართველოსა და ჩრდილო სომხეთის სახელმწიფოებრივი ერთიანობის პირობებში კი სომეხთა გადმოსახლებამ უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო. სომეხი მოსახლეობა საქართველოს თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა და აქ თავისუფლად მოდიოდა. საქართველოს მმართველი წრეების ნებართვითა და დახმარებით აქ სახლდებოდა და საქართველოს მკვიდრი ხდებოდა.

სომეხი ხალხისადმი ქართველი ხალხის მიერ გაწეული დახმარებით კმაყოფილი სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელი ანუ ედესელი დავით აღმაშენებლის მისამართით წერდა: დავითმა გაანთავისუფლა ქალაქი ანისი, რომელიც 60 წლის განმავლობაში მონობაში იყო[2]. ამასთანავე აღნიშნავს, რომ „იყო დავით მეფე კაცი წმიდა და სათნო, რომელიც ყოვლად შემკული იყო ღვთის მსახურებითა და კეთილი სამართლითა. და იგი აღმოჩნდა მიმღებელი და მოყვარე სომეხთა ნათესავისა... მან აღაშენა სომეხთა ქალაქი ქართლის ქვეყანაში და უწოდა ამ ქალაქს სახელად გორა[3]. და დიდი სიხარულითა და აღტაცებით ეპყრობოდა მას სომეხთა ნათესავი"[4], ე. ი. სომეხი ხალხი.

---

[1] **История армянского народа, I, 1944, გვ. 172—173.**

[2] **Ed. Dulaurier. Chronique de Matthieu d'Édesse (962—1136) avec la continuation de Grégoire le Prêtre, jusqu'en 1162, Paris, 1858. გვ. 313.**

[3] გორი უძველესი ქართული ქალაქია და ის პირველად დავით აღმაშენებელს არ დაუარსებია. მაგრამ დავითის მოღვაწეობის დროს, სხვა ქალაქებთან ერთად, გორიც სწრაფად გაიზარდა და მან, დავითმა, ქართველი მოსახლეობის გვერდით აქ სომხებიც დაასახლა.

[4] **Chronique de Matthieu d'Edesse,** დასახელებული გამოცემა, გვ. 310—311; შდრ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941, გვ. 126—127.

დავით აღმაშენებლის მიერ სომეხი ხალხისადმი გაწეული ამაგის შესახებ ბევრი სხვა სომხური წყაროც მოგვითხრობს. ასეთია მაგალითად ცნობა ჩრდილო სომხეთის ორი ცნობილი კერის — ახპატისა და სანაინის შესახებ. კერძოდ, ახპატის მთავარი ეკლესიის შესავლის კარზე 1123—1125 წლებში ამოჭრილ წარწერაში ვკითხულობთ: თვითმპყრობელი დავით გიორგის ძე, „რომელმაც მხარენი და ნათესავნი დაიპყრო... იქმნა მზრუნველი ახპატისა და სანაინისა... ტკბილი და კეთილმოყვარე ღვთისმსახურებით... ახპატი სიბნელისაგან მოოხრებისა განათავისუფლაო“ [1].

სომეხი და ქართველი ხალხების მიერ ურთიერთპატივისცემა, რა თქმა უნდა, ცალმხრივი არ იყო. ქართველი ხალხი უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა გამოჩენილ სომეხ მოღვაწეებს, რომლებმაც სამშობლოს ამაგი დასდეს და სახელმწიფოს ერთგულება დაიმსახურეს.

2. ბრძოლის განახლება ანისისათვის. ჩრდილო სომხეთის საბოლოო განთავისუფლება

სომხეთის მიწა-წყლის საბოლოო განთავისუფლებისათვის ბრძოლა ზემოთ აღნიშნულით არ დამთავრებულა. როგორც ცნობილია, 1125 წელს დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა და საქართველოს სამეფო ტახტი მისმა მემკვიდრემ დემეტრემ ჩაიბარა. თურქები, რომლებიც ქართველების მიერ ანისის განთავისუფლების გამო ძლიერ უკმაყოფილო იყვნენ, დავითის გარდაცვალების შემდეგ ისევ გააქტიურდნენ. საამიროებმა ბრძოლა დაიწყეს ანისისათვის. დემეტრე მეფე იძულებული გამხდარა ანისი ისევ მაჰმადიანი მმართველისათვის, კერძოდ, მანუჩეს შვილებისათვის, დაეთმო იმ პირობით, რომ უკანასკნელებმა საქართველოს ყმადნაფიცობა იკისრეს [2].

მაჰმადიან მმართველის ხელში ანისის გადასვლას, თუნდაც საქართველოსთან ყმადნაფიცობის პირობით, უაღრესად უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა სომხეთისა და საქართველოსათვის; მტრულად განწყობილ საამიროებს ადვილად შეეძლოთ სომხეთისა და საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად გამოეყენებინათ ანისი. ამ გარემოებას ქართველი და სომეხი პოლიტიკური მოღვაწეები კარ-

---

[1] ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა, თბილისი, 1928, გვ. 34.

[2] Chronique de Matthieu d'Edesse, გვ. 318—319.

გად გრძნობდნენ და საქმის გამოსწორებას ცდილობდნენ. ისინი ანისში მაჰმადიანთა თარეშს ვერ ეგუებოდნენ.

სომხეთიდან უცხო დამპყრობთა საბოლოოდ განდევნისათვის შეურიგებელი ბრძოლა საქართველოს მეფემ გიორგი დემეტრეს-ძემ დაიწყო. მან ამ მხრივ თავისი პაპის დავით აღმაშენებლის პოლიტიკა გააგრძელა და სომხეთში მოკალათებულ მაჰმადიან მმართველებს დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა. მაგრამ უკანასკნელებს მეზობელი საამიროები ეჭომაგებოდნენ და დახმარებას უწევდნენ იმიტომ, რომ მათ საქართველოს სამეფოს გაძლიერების ეშინოდათ და ცდილობდნენ სომხეთი საქართველოსათვის ჩამოეცილებინათ, ამავე დროს უნდოდათ სომეხი ხალხი ეძარცვათ და მორჩილებაში ყოლოდათ.

სომხეთისა და საქართველოს მოსაზღვრე საამიროებიდან, რომლებიც საქართველოსთან მტრულად იყვნენ განწყობილი, XII საუკუნის მესამე მეოთხედში ყველაზე უფრო ძლიერი განძისა და ხლათ-მანასკერტის საამიროები იყვნენ. უკანასკნელი ვანის ტბის ჩრდილო სანაპიროზე მდებარეობდა და მას ეკუთვნოდა ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიური ცენტრები და რაიონები, როგორიც იყვნენ ხლათი, მანასკერტი, არჭეში, მუში, სასუნი და სხვ. მის სათავეში, როგორც ნათქვამი იყო, შაჰ-არმენად წოდებული მაჰმადიანი მმართველი იდგა. ჩრდილო-დასავლეთ სომხეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ისეთი ძლიერი საამიროები, როგორიც იყვნენ „ერზინკის, კარინისა (ერზერუმის) და ყარსის, არა ერთხელ მოხვედრილან შაჰ-არმენთან ვასალურ დამოკიდებულებაში“ [1].

ქ. ანისი XII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ჯერ კიდევ შადადიანთა წარმომადგენლების ხელში იყო. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი გადმოგვცემს, რომ გიორგი მეფემ „კუალადცა ინება შეყრად და გალაშქრებად, და მიმართა დიდად ქალაქად ანისად, რომელი ძუელ ოდესმე ბერძენთა მეფეთა სახლი და საჯდომი იყო[2], რომელსა შინა მოდღესამდე არს ათას და ერთი ეკლესია. და მირიდებითა ბერძენთათა და მიმოცვალებითა ჟამთათა დიდად-გუარიანთა ვიეთმე შადადიანთა გამგეთა დადგმულთა ამას

[1] История армянского народа, I, 1951, გვ. 157.

[2] ქალაქი ანისი „ბერძენთა მეფეთა სახლი და საჯდომი“ არასოდეს არ ყოფილა. ავტორს აქ მხედველობაში ის აქვს, რომ გარკვეული ხნის განმავლობაში, თურქ-სელჩუკთა მოსვლამდე, ბიზანტიის მიერ იყო დაპყრობილი ანისი.

ზედა მყის მიმჭდომმან სამ დღე ყო ომთა სიმრავლე და ძგერა ჰუნეთა“[1].

ეს ამბავი 1161 წელს მოხდა. სომეხი ხალხის დახმარებით ქართველმა ლაშქარმა „გარდახუეწასა შინა შადადიანისა ქელთ იგდო ქალაქი“ [2]. გიორგი მეფემ ანისის მმართველად ივანე ორბელი — მანდატურთ-უხუცესი და ამირ-სპასალარი დანიშნა, ხოლო თანაშემწედ მას სარგის მხარგრძელი დაუნიშნა. ეს მხარე საქართველოს სამეფოს შემოუერთა და უშუალოდ სამეფო კარს დაუმორჩილა.

მათე ურჰაელი გადმოგვცემს, რომ ძლევამოსილმა და გამარჯვებულმა გიორგი მეფემ 1161 წელს, როდესაც ანისი აიღო, დიდი ქველმოქმედება გამოიჩინა: ქალაქის მცხოვრებლებს, განურჩევლად ეროვნებისა, 40000 დრაჰკანი მისცა და ანისიდან ტყვედ წაყვანილ ქრისტიანები და უცხო თესლიც (მაჰმადიანები) ყველა ტყვეობიდან გამოისყიდა [3].

საქართველოს ამ დიდმა მიღწევამ მოსაზღვრე თურქული სახელმწიფოები აღაშფოთა. თამარის ისტორიკოსის გადმოცემით „ჯავრისაგან აღიძრა ნავღელ-ფიცხელობა და ქედმაღლობა აგარიანთა და ისმაიტელთა“ [4].

ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლით დაინტერესებულ სახელმწიფოებს, რომლებიც ანისის დაკარგვას ვერ შეგუებოდნენ, შაჰ-არმენი ჩაუდგა სათავეში. იგი „მაწვეველ იქმნა ყოვლისა შამისა, ჯაზირისა და დიარბაგისა (დიაბექირის, — ვ. კ.) თურქთა თანა გარდმანისათა“[5].

იმავე ისტორიკოსის გადმოცემით, როდესაც მტერი ანისს მოადგა, მაშინ გიორგი III ნაჭარმაგევს იმყოფებოდა და იქ ისვენებდა. „ცნა ესე მეფემან მეფეთამან გიორგი... კაცმან მამადმან და ზეს გამომდებელმან წყობათა შინა, იქმნა დასნი და დასნი და ზედადმართველმან ერთმანერთთა ზენა-ქუენათა, ვითარ ყოველთა ხილულთა ზესთაობასა წინააღმდგომ ექმნა ჩრდილოსა და აღმოსავალსა.... არღა დამხედველი მცირეთა, და ყოვლადვე არღა მომლო-

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1959, გვ. 6.

[2] იქვე, გვ. 6; Всеобщая история Вардана Великого, გვ. 155.

[3] Chronique de Matthieu d'Edesse. გვ. 363. იხ. აგრეთვე Всеобщая история Вардана Великого, გვ. 155,

[4] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 6.

[5] იქვე.

დინე ექმნა სახელგანთქმულთა ჰაბუკთა ლიხთ-იმერთა და ეიეთთამე ამერთაცა... გარდამავალი მთათა შთავიდა შირაკად“ [1].

ისტორიკოსის გადმოცემით მტრის ბანაკთან მიახლოებულ გიორგი მეფეს მრჩევლები არ ურჩევდნენ მტრის შებმას „სიმცრობისათვის სპათასა“ [2]. მაგრამ გიორგი „არა დამორჩილდა“ მათ და თავის მეომრებს მოუწოდა: „კაცნო ძმანო, ერთსულნო და ერთრჯულნო... სასახელო არს მჯნეობრივ სიკუდილი... რამეთუ სახე და სახელი კეთილისა საუკუნოდ გზად გუყუებისა... აწ ფრთოვანნო ლომნო ჩემნო, ჩემთჳს განლახურილისა [3] აღვიხუნეთ ლახუარნი და ოროლნი, და უგმირნეთ ურწმუნოთაო“ [4].

მწვავე და სისხლისმღვრელ ბრძოლაში ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. დამარცხებულმა მტრებმა „იკმიეს სივლტოლა ძალისაებრ ჰუნეთასა“ [5]. ქართველებსა და მათ მოკავშირე სომხებს უამრავი ტყვე და ნადავლი ჩაუვარდათ ხელში.

ამ ომის მიზეზებისა და ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ მრავალი ცნობებია დაცული სომხურ და სხვა უცხო წყაროებში. სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელი წერს, რომ ქართველების მიერ ანისის აღების გამო გაჯავრებულმა ხლათის მთავარმა, რომელსაც შაჰ-არმენს უწოდებენ, 80000 კაცი შეკრიბა, მოვიდა და ქალაქი ანისი გარემოიცვა. როდესაც ეს ქართველთა მეფემ გაიგო, იგი მტრის წინააღმდეგ წამოვიდა, დაამარცხა ის და უკუაქცია. ამ ომში — განაგრძობს მათე ურჰაელი — დაიხოცა 7000 კაცი, ხოლო ქართველებს ხელში ჩაუვარდათ 2000 ტყვე 6 მთავრითა და 150 დიდი ამირათი, უამრავი ცხენები, ჯორები, აქლემები და სხვ [6]. იგივე ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ ამ ომის დამთავრებიდან დიდიხნის გავლის შემდეგაც ანელები მინდვრად ბალახებში მეომართა ბევრ ჯავშანს პოულობდნენო.

ანალოგიურ ცნობებს ამ ამბების შესახებ გადმოგვცემს მეორე სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდი. იგი აღნიშნავს, რომ 1161 წელს ქართველთა მეფე გიორგიმ შადდიდებს ანისი წაართვა. მაგრამ ორმოცდაათი დღის შემდეგ შაჰ-არმენი მრავალრიცხოვანი ლაშქრით ქალაქს თავს დაესხა. როდესაც ეს ამბავი გიორგიმ გაიგო, მობრუნდა

---

[1] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 7.

[2] იქვე.

[3] განლახურილი — „ლახვრით განგმირული“.

[4] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 8.

[5] იქვე, გვ. 9.

[6] Chronique de Matthieu d'Edesse, გვ. 362: შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 231.

ისევ და მოწინააღმდეგის იმდენი მეომარი მოსპო მახვილით, რომელთა რიცხვი არავის არ შეუძლია განსაზღვროსო [1].

იმავე ისტორიკოსის გადმოცემით, ტყვეთა რიცხვი, რომელიც ამ ბრძოლის დროს ხელში ჩაუვარდათ ქართველებს, თითქოს ორმოცდაერთი ათას კაცს შეადგენდა [2].

საქართველოს სამეფოს პოლიტიკური ინტერესები მოითხოვდა, რომ ქართველები და სომხები მიღწეულით არ დაკმაყოფილებულიყვნენ. ანისის დაკარგვას მაჰმადიანური პოლიტიკური ერთეულები ვერ ეგუებოდნენ და მუდამ ცდილობდნენ ისევ დაეპყროთ ის. ეს გარემოებაც უკარნახებდა ქართველებსა და სომხებს, რომ სამხრეთით მდგომარეობა განემტკიცებინათ, სომხური რაიონები მტრისაგან გაეწმინდათ და საზღვრები შემოემტკიცებინათ.

ზემოაღნიშნული გარემოებითაც უნდა ყოფილიყო გაპირობებული ის, რომ ანისის განთავისუფლებიდან ერთი წლის შემდეგ, 1162 წელს, გიორგი III კიდევ უფრო სამხრეთით „დიდად ქალაქად და სახელგანთქულად დვინად" [3] გაილაშქრა.

თამარის ისტორიკოსს ანისისა და დვინის მიმართულებით ქართველთა მიერ ჩატარებული ლაშქრობანი ისე აქვს მოთხრობილი, რომ თითქოს დვინში უფრო ადრე გაილაშქრეს ქართველებმა, ვიდრე ანისში. მაგრამ სხვა წყაროებით დასტურდება, რომ ჯერ ანისში აწარმოვა გიორგიმ ლაშქრობა, შემოიმტკიცა ეს მხარე და შემდეგ დვინში გაილაშქრა.

მათე ურჰაელი გადმოგვცემს, რომ 1162 წელს სახელგანთქმული ქალაქი დვინი ქართველთა მეფემ გიორგიმ აიღო. გიორგის წინააღმდეგ ქალაქიდან გამოსულ, მაგრამ ქართველთა მიერ უკუქცეულ უცხო თესლის ლაშქარს კვალდაკვალ მიჰყვნენ ქართველები, ლტოლვილები დახოცეს, გადარჩენილთ მისდიეს და ქალაქში შეიჭრნენ. იქ ბევრი ამოხოცეს და დიდი ალაფითა და ტყვეებით თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენო [4].

ისტორიკოსის ცნობა, იმის შესახებ, რომ დვინის აღების დროს ქართველებმა იქ ბევრი ხალხი ამოხოცეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს მკვიდრ სომხურ ქრისტიან მოსახლეობას. აქ მაჰმადიანთა, ამ უცხო ტომთა, წარმომადგენლები იგულისხმებიან, რომლებიც დამპყრობთა სახით იყვნენ მოსულნი ამ მხარეში. ამ გარემოებას მეორე

---

[1] Всеобщая история Вардана Великого, გვ. 155.

[2] იქვე.

[3] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", ქართლის ცხოვრება, II, გვ. 5.

[4] Chronique de Matthieu d'Edesse, გვ. 365; შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 233.

სომეხი ისტორიკოსის, გარდან დიდის ცნობებიც ადასტურებს. იგი გადმოგვცემს, რომ საქართველოს მეფემ კავკასიის ტომთა ხარჯზე ლაშქარი შეკრიბა. ამ ლაშქრით, თავის უშუალო წინამძღოლობით, დვინს დაესხა თავს და აიღო იგი. ყველა იქ მყოფნი, გარდა ქრისტიანებისა, ცეცხლითა და მახვილით ამოხოცაო[1].

ამასთანავე ვარდანი გადმოგვცემს, რომ, როდესაც გიორგი მეფემ დვინი აიღო, მან ბრძანება გასცა, რათა ჩამოეხსნათ მეჩეთის კოშკიდან ოდესღაც მოხარშული ადამიანის თავის ქალები, გადააფარა მათ ოქროქსოვილის ზედსაფარები და აიძულა მუღრიები[2] ფეხშიშველთ თავიანთი ბეჭით თბილისამდე მოეტანათო[3].

ბრძოლა სომხეთისათვის კიდევ დიდხანს გაგრძელდა. საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლ თურქთა კოალიციას დიდხანს უდგნენ სათავეში ელდიგუზიანები. მათი ბატონობა სამხრეთის გარკვეულ მიწა-წყალზე XII საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება; 1136 წელს სამხრეთ აზერბაიჯანისა და არანის მმართველ მცირეწლოვან სელჩუკ უფლისწულის ათაბაგად (მეურვედ) დანიშნულ იქნა შემს-ედდინ ელდიგუზი. უკანასკნელმა ამავე საუკუნის 50-იან წლებში ხელში ჩაიგდო ძალა-უფლება და საფუძველი ჩაუყარა სამხრეთ აზერბაიჯანის ათაბაგთა ელდიგუზების დინასტიას[4].

ელდიგუზიანებმა მკაცრი ბრძოლა გაუმართეს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ერაყის სელჩუკიან სულთანს. ამ ბრძოლაში არამცთუ დამოუკიდებლობა მოიპოვეს, არამედ ერაყის სულთნის ტახტზედაც თავიანთი კანდიდატი, მათი მომხრე კაცი დასვეს. ამიერიდან, გარკვეული დროის განმავლობაში, ელდიგუზიანების სამფლობელოში შედიოდა სამხრეთ აზერბაიჯანი, არანი, ნახიჩევანი და ირა-

---

[1] **Всеобщая история Вардана Великого**, გვ. 155.

[2] მუღრი *(მუღრ)* აღნიშნავდა იმ პირს, ვინც აიძულებდა სხვას, რათა ყურანი წაეკითხა (**Всеобщая история Вардана Великого**, გვ. 161, მთარგმნელის შენიშვნა 630).

[3] იქვე, გვ. 155—156.

ვარდანი გადმოგვცემს, რომ 1130 წელს ხურტი კუზასძემ ფადლონს დვინი წართვა (იქვე, გვ. 150), ხოლო 1131 წელს ივანე აბულეთის ძემ გარნისზე გაილაშქრა, მაგრამ ხურტისთან ბრძოლაში მარცხი განიცადა. უკანასკნელმა, როგორც გამარჯვებულმა, ბრძანება გასცა, რათა თავები მოკვეთონ ომში დაღუპულ მოწინააღმდეგეებს. რომლითაც სეჯამადი გააკეთონ, ხოლო თავის ქალები მეჩეთის კოშკზე ათანონ და იქ დადგან (იქვე, გვ. 151). იქნებ ეს თავის ქალებია ისინი, რომელთაც გიორგი III დიდი პატივი სცა, მეჩეთის კოშკიდან ჩამოაღებინა და აიძულა მუსლიმანები ფეხშიშველთ თავიანთი ბეჭით თბილისში მოეტანათ.

[4] **История Азербайджана**, I, გვ. 142.

ნის დასავლეთი მხარეები — ისპაანი და რეი[1]. ელდიგუზიანები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლ თურქთა კოალიციებში.

როდესაც გიორგი III მეთაურობით ქართველებმა და სომხებმა დვინი აიღეს, შემს-ედდინ ელდიგუზი რევანშისათვის სამზადისს შეუდგა. მას საამიროებთან ერთად მხარში ამოუდგნენ ერაყ-ხვარასნის სულთანი და ხალიფა. მაჰმადიანთა უზარმაზარი ლაშქარი დვინში მოვიდა და აქედან დვინის ჩრდილო საზღვარზე მყოფ მერენის ანუ მერიანის ციხეს დაესხა თავს. ვარდანის გადმოცემით, ამ ციხესთან მტრის წინააღმდეგ თავდაცვით ბრძოლას 4000-მა კაცმა შესწირა თავი, მაგრამ მტერმა მაინც შესძლო მისი აღება და განადგურება. აქედან კი მტერი გაგის მიმართულებით გაემართა[2].

თამარის ისტორიკოსის გადმოცემით, „ცნა ესე სახელგანთქმულმან... მკედარმან... გიორგი მეფემან... მსწრაფლ შემყრელმან შვიდთავე მისთა სამეფოთა, იმერთა და ამერთამან... გამოასხნა ოვსნი და ქუეყანანი დიდძალნი და მომართა სულტანსა, მყოფსა აურაცხელითა და უამრავითა ლაშქრითა“[3].

მტერმა, როგორც ჩანს, მოასწრო გაგის ციხის აღება. მაგრამ თუ ქართველ ისტორიკოსს დავუჯერებთ, როდესაც სულთანმა და ათაბაგმა ქართველთა ლაშქრის მომზადება და გამგზავრება გაიგეს, თქვეს: „მივრიდოთ თავი და ვეფაროთო“[4]. მტრებმა, „დამყრელთა ყოვლისა სანოაგისათა და უფროსღა გაგის შინა მყოფთა განელეს წყალი ეკლეციასა“[5], მაგრამ ვინაიდან მდინარე ძნელი გადასალახავი აღმოჩნდა და „შეაყენა ისინი... ეწივნეს მწუერვალნი (ე. ი. მოწინავე — ვ. კ.) ლაშქართანი [და] დაუწყეს ჩამოყრა“[6].

ქართველი ისტორიკოსის ცნობას, შეშინებული სულთნისა და მისი ლაშქრის გაქცევის შესახებ, ვარდან დიდიც ადასტურებს. იგი გადმოგვცემს, რომ „ეშინოდა რა ქართველთა მეფის, (სულთანმა) მიატოვა თავის საჭურველი და ის გაიქცაო“[7].

ამრიგად, როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, თურქთა წინააღმდეგ ბრძოლა თითქო ახლაც წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ თამარის ისტორიკოსი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „უქმ იქმნაე ესეოითარი ძლევად განმზადებულება. ანტაკრა ექმნეს (წინააღმდეგ

---

1 История Азербайджана, I, გვ. 142.

2 Всеобщая история Вардана Великого, გვ. 156.

3 „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 11.

4 იქვე.

5 იქვე.

6 იქვე.

7 Всеобщая история Вардана Великого, გვ. 156.

წავიდნენ — ვ. კ.) ვიეთნიმე დიდებულთაგანნი, ვიდრე სადავეთაცა დაჭიდებადმდე"[1].

გაქცეული მტრის დადევნების მოწინააღმდეგეებმა, რომელთა მოქმედებას ისტორიკოსი შურითა და მტრობით ხსნის, გიორგი მეფეს თითქოს მოქმედების შესაძლებლობა არ მისცეს. ეუბნებოდნენ მას, რომ „ვინათგან გაქცეულა სულტანი ყოვლითა სპითა მისითა, ნულარა აღზუავებულ მკადრებლობ ღმრთისაო"[2].

ლაშქრის დიდი ნაწილი გააშვებინეს გიორგი მეფეს, მაგრამ მტერი, რომლისთვისაც, ჩანს, ცნობილი გახდა ქართველთა ყურადღების მოდუნება და დემობილიზაცია, სომხეთიდან კი არ გავიდა, არამედ „სულტანი და ათაბაგი... შაჰარმენი და ყოველი ჴელმწიფე არაბეთისა"[3] ანისის კარებს მიადგნენ და ქალაქს ალყა შემოარტყეს. თამარის ისტორიკოსი წერს, რომ „მას ჟამსა შინა ანისსა განამტკიცებადა თორელი, დიდი და სახელგანთქმული მოლაშქრე"[4].

გიორგი მეფემ ეს ამბავი მაშინ გაიგო, როდესაც ის დაიმედებული, გულმშვიდად „დგა შორის მთათა ლორისა და დმანისისათა[5]. მტერი აქაც ეწვია მას და „ჟამსა განთიადისასა მძინარეთა ზედა დამსხმელ ექმნეს ესრეთ, რომელ ძლითღა იკუმია სწრაბა შეჭურვისა და ამჴედრებისა[6]. ამას ზედა ივანე ამირ-სპასალარმან და სხუათა დიდებულთა კნინღა და შეპყრობისა სახედ წამოიყვანეს"[7].

ამ ომის მსვლელობისა და მისი შედეგის სწორად გასათვალისწინებლად საჭირო ცნობები არ მოგვეპოვება. მაგრამ როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებიდან ჩანს, ამ ომში ღალატისა თუ სხვა მიზეზის შედეგად ქართველები დამარცხებულან. სამაგიეროდ ქართველები მომზადებულან და 1165 წელს განძა აუღიათ[8].

სომხეთისათვის ბრძოლა არც ამით დამთავრებულა. სულთანსა და საამიროებს განუწყვეტლივ მოჰქონდათ იერიში ანისზე. ვარდანის გადმოცემით, 4 წლის განმავლობაში მტრის განუწყვეტელი თავდასხმების შედეგად ანისს მოსვენება არ ჰქონდა, იგი მუდმივ განგაშსა და გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო[9].

---

[1] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", ქართლის ცხოვრება, II, გვ. 11—12.

[2] იქვე, გვ. 12.

[3] იქვე, გვ. 12—13.

[4] იქვე, გვ. 13.

[5] იქვე.

[6] ძლივს მოასწრო იარაღის ასხმა და ცხენზე შეჯდომა.

[7] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", ქართლის ცხოვრება, II, გვ. 13.

[8] **История Азербайджана**, I, გვ. 143.

[9] **Всеобщая история Вардана Великого**, გვ. 156.

ზემოაღნიშნულმა გარემოებამ, ჩანს, აიძულა გიორგი III ქ, ანისი გარკვეული წლების განმავლობაში ისევ ძველი მაჰმადიანი მფლობელებისათვის დაეთმო. მან „უბოძა ანისი თჳსსავე მემამულესა და ჴთაყუანა თავისა თჳსისა ყმად“ [1].

საბოლოოდ კი ქართველებისა და სომხების ეს ერთობლივი გამათავისუფლებელი ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა. 1173 წლიდან დვინი, ანისი და მათი ახლო მდებარე რაიონები საბოლოოდ გაერთიანდა საქართველოსთან.

3. საქართველოსა და შარვანის ურთიერთობა XII საუკუნის მეორე ნახევარში

XII საუკუნის ფეოდალური საქართველო ქრისტიანულ აღმოსავლეთში ბიზანტიის მაგივრობას იჩემებდა. იგი ქრისტიანული ქვეყნების შემაკავშირებლის როლში გამოდიოდა და ამ გაერთიანებულ ძალას მაჰმადიანურ სამყაროს უპირისპირებდა. მაგრამ ფეოდალური ურთიერთობის პირობებში ამ მიზნის განხორციელებას ბევრი რამ უშლიდა ხელს. ქრისტიანულ-ფეოდალური პოლიტიკური ერთეულების გაერთიანება ისევე არ შეიძლებოდა მყარი და მუდმივი ყოფილიყო, როგორც ფეოდალურ-მაჰმადიანური სახელმწიფოების ერთიანობა.

ფეოდალურ საქართველოს არ შეეძლო ზუსტად განეხორციელებინა ქრისტიანულ და მაჰმადიანურ სამყაროთა ურთიერთდაპირისპირების პრინციპი, რადგან საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში ზოგი მაჰმადიანური ქვეყანა მოექცა და ახლა საქართველოსა და ამ მაჰმადიანური ქვეყნების ურთიერთობას მათი პოლიტიკური და სხვა ინტერესები უფრო განსაზღვრავდა, ვიდრე სარწმუნოებრივი თავისებურება. ასე მაგალითად, როგორც ნათქვამი იყო, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის დროს შარვანი საქართველოს სამეფოს შემოუერთდა. ამასთანავე, ამ მხარის შემოერთებასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, შარვან-შაჰების ეს მემკვიდრეობითი თანამდებობაც უნდა გაუქმებულიყო. მაგრამ დავითის გარდაცვალების შემდეგ შარვანთან დამოკიდებულების ფორმა და შინაარსი საქართველოს მთავრობამ ისევ შეცვალა.

---

[1] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 15.

ცვლილება იმაში გამოიხატა, რომ საქართველოს მთავრობამ ისევ აღადგინა თავის უფლებებში შარვან-შაჰების მაჰმადიანი საგვარეულო და ეს მხარე ყმადნაფიცობის პირობით დაუქვემდებარა საქართველოს. ამასთანავე, შარვან-შაჰების ყოფილი სამფლობელო მთლიანად კი არ დატოვა მათ განკარგულებაში, არამედ შარვანის აღმოსავლეთი რაიონები დაუტოვა მათ, სადაც მაჰმადიანი მოსახლეობა სჭარბობდა, ხოლო საქართველოს მოსაზღვრე, შარვანის დასავლეთი რაიონები, სადაც ქართველები ან გაქართველებული მოსახლეობა სჭარბობდა და ძირითადად ქრისტიანული რელიგია იყო შემორჩენილი, საქართველოს შემოუერთა.

ამიერიდან საქართველოს მთავრობისა და შარვან-შაჰების ურთიერთობა დიდი ხნის განმავლობაში მეგობრული იყო და გაჭირვების დროს ისინი ყოველთვის ერთიმეორეს ეხმარებოდნენ. ამრიგად, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას, როგორც ნათქვამი იყო, სარწმუნოებრივი მდგომარეობა კი არ განსაზღვრავდა, არამედ პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ინტერესები აპირობებდა.

როგორც სომხეთთან, ისე შარვანთან კეთილ-მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საქმეს ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელი აქცევდა უდიდეს ყურადღებას. დავითმა 1116 წელს, ე. ი. მანამდე, სანამ შარვანს შემოიერთებდა, თავისი ქალიშვილი თამარი შარვან-შაჰს მიათხოვა. ეს ღონისძიება სწორედ შარვანთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას ისახავდა მიზნად.

ამიერკავკასიის მოძმე ხალხებთან დამოკიდებულების საქმეში საქართველოს მთავრობამ XII საუკუნის მეორე ნახევარშიაც დავით აღმაშენებლის პოლიტიკა გააგრძელა. გიორგი III, თამარი და საქართველოს სამეფო ხელისუფლების სხვა გამოჩენილი მოღვაწეები დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ შარვან-შაჰებს. მფარველობდნენ და ეხმარებოდნენ მათ მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1167 წლის ახლო ხანებში შარვანის მიწა-წყალზე იმიერკავკასიის მფლობელები შემოიჭრნენ. ამ დროს შარვან-შაჰად გიორგი მესამის ახლო ნათესავი, აღსართანი იყო. იგი „მეფე იყო შარვანისა და ზღუს პირისა დარუბანდით ხირხალამდის, რომელი მეფესა (გიორგი III — ვ. კ.) უჩნდა ვითარცა შვილ-ყოფად ვითარცა ერთი დიდებულთა მისთაგანი"[1]. აღსართანი საქართველოში მოვიდა და გიორგი მეფეს სასწრაფო დახმარება სთხოვა.

თუ რამდენად პატივცემული იყვნენ საქართველოს სამეფო კარზე შარვან-შაჰები, ერთი პატარა ცნობიდანაც შეუძლია ადამიანს გაითვალისწინოს: იმ დროს, როდესაც აღსართანი საქართველოს

[1] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", ქართლის ცხოვრება, II, გვ. 17.

სამეფო კარზე იმყოფებოდა, გიორგი III მეტად საპატიო სტუმრები — „ძმა ბერძენთა მეფისა ანდრონიკე“ [1] და მისი ცოლ-შვილი ესტუმრნენ. მეფემ მათ „მისცა პატივი შესატკვსი სახლის-შვილობისა მისისა. და მიმცემელმან ქალაქთა და ციხეთამან კმასაყოფელთამან დაუდგნა საჯდომნი სიახლესა საყდრისა თჳსისასა. პირისპირ მამის დისწულისა მისისა აღსართანისა“ [2]. ამ ცნობიდან ჩანს, რომ საქართველოს სამეფო კარზე მისაღებ ერთგულ, შინაურ პირთა რიგში შარვან-შაჰებს ერთი პირველი ადგილთაგანი ეჭირათ.

საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ შეჰყარა ლაშქარი. ქართველები შარვანის დასახმარებლად გაეშურნენ. მტერი განდევნეს და მას დარუბანდამდე მისდიეს. აიღეს ქალაქები შაბურანი და დარუბანდი, რომლებიც შარვან-შაჰს — აღსართანს გადასცეს.

საქართველოსა და შარვანის ურთიერთდახმარება და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა ცალმხრივი არ ყოფილა. თუ ქართველები შარვან-შაჰებს მფარველობდნენ და ეხმარებოდნენ, უკანასკნელები ხშირად საქართველოს პოლიტიკური გაძლიერებისათვის მოქმედებდნენ.

1177 წელს, როდესაც გიორგი III დემნა უფლისწული და ამირ-სპასალარი ივანე ორბელი აუჯანყდნენ, შარვან-შაჰი გიორგის ერთგულთა მსარეზე დარჩა. ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანე გადმოგვცემს, რომ მაშინ გიორგი მეფეს „აფხაზეთი, სუანეთი და ყოველი სამოქალაქო აქუნდა დაწყნარებით. და ოვსთა და ყივჩაყთა რაოდენი ათასი კაცი უბრძანის, მოვიდიან, ეგრეთვე შარვანის სახლიო“ [3].

შარვან-შაჰები საქართველოს მეფის სასახლეში დიდი რანგის ადამიანების პატივით სარგებლობდნენ. მათ ქართველები „შარვანისა და ზღვისპირის“ მეფესაც უწოდებდნენ და საქართველოს მეფის ერთ-ერთ ხელქვეით დიდებულთაგანად თვლიდნენ.

XII საუკუნის მეორე ნახევარში ფეოდალური საქართველო კიდევ უფრო გაძლიერდა. მისი სამხედრო ორგანიზაცია, რომელსაც ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა ჩაუყარა საფუძველი, კიდევ უფრო ძლიერი იყო. ასე რომ, საქართველო არც თავის თავს და არც მოძმე სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხებს არავის დააჩაგვრინებდა.

ძლიერი საქართველო თანდათან მიიწევდა სამხრეთისაკენ. ავიწროებდა თავის საზღვრებზე მოკალათებულ თურქებს და თავის ტერიტორიას აფართოებდა. შევიწროებულმა თურქებმა დახმარებისა-

---

[1] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 17.

[2] იქვე.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 367.

თვის ბაღდადის ხალიფას მიმართეს, ეს უკანასკნელი კი პოლიტიკურ ძალას მოკლებული იყო. მაგრამ ის აღმოსავლეთის მაჰმადიანთა რელიგიურ მეთაურად ითვლებოდა და ქრისტიანების მძლავრობისაგან მაჰმადიანების დაცვას თავის მოვალეობად მიიჩნევდა. ამავე დროს მის, როგორც აღმოსავლეთის მაჰმადიანთა რელიგიური მეთაურის, საქმეში ჩარევას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა.

ბაღდადის ხალიფა დაუყოვნებლივ გამოეხმაურა თურქების თხოვნას. მან ბრძანება დაგზავნა და ბრძოლაში მოუწოდა ბევრ მუსლიმანურ ქვეყანას. ამავე დროს ომისათვის საჭირო თანხაც უხვად გაიღო. ბასილი ეზოსმოძღუარი თავის ნაშრომში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ წერს, რომ ხალიფამ „განახუნა ძუელნი საგანძურნი და იდუმალ წარავლინა კაცი ყოველსა შინა სპარსეთსა, მისცა ოქრო აურაცხელი, რათა შეკრიბონ ყოვლით-კერძო ლაშქარი ურიცხვ. და მისცა ბრძანება რათა რომლისაცა სამთავროსაგან სპარსთასა არა წამოვიდნენ, თჳთ მათ ზედა მისლვითა იავარ ყვნეს. ესე ესრეცა იქმნა... შეკრბა ესეოდენი, ვიდრემდის არცა რიცხვ იცოდეს და ვერცა ერთსა თემსა დაეტეოდეს. შეკრბეს ადარბადაგანს და მაშინღა გაამჟღავნეს წაკიდება თჳსი“[1]. ამრიგად, ხალიფას ბრძანებას ბევრმა მაჰმადიანურმა სახელმწიფომ დაუჭირა მხარი და საომრად გაემზადნენ.

საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებულ თურქთა მეთაურობა ირანის აზერბაიჯანის ათაბაგმა აბუბექრმა იკისრა. მან თურქთა ძალები თავის ირგვლივ შემოკრიბა და საომრად გაემზადა. ქართველებმა თურქთა ამ საომარი მზადების შესახებ არაფერი იცოდნენ. მათ მხოლოდ მაშინ გაიგეს ეს ამბავი, როდესაც უკვე აბუბექრის მეთაურობით თურქთა ლაშქარი ირანის აზერბაიჯანში შეკრებილიყო და სალაშქროდ იყო გამზადებული.

მტრის ძირითადი მიზანი საქართველოს განადგურება იყო, მაგრამ ის შარვანისა და მისი მმართველის აღსართანის მიმართაც ძლიერ გაჯავრებული იყო იმიტომ, რომ შარვან-შაჰი საქართველოს არ ღალატობდა და მის გაძლიერებას ხელს უწყობდა, ხოლო აბუბექრს პირიქით, მტრობდა და ათაბაგის საგვარეულოს წევრთა შორის ბრძოლაში აბუბექრის მოწინააღმდეგეებს ემხრობოდა.

აბუბექრი უზარმაზარი ლაშქრით შარვანში შემოიჭრა, აიღო მისი დიდი ნაწილი და აღსართანი შარვანიდან განდევნა. ათაბაგს დიდი გეგმა ჰქონდა. შარვანის მორბევის შემდეგ მას ქართველთა მიწა-წყლის დარბევაც სურდა, მაგრამ მას იმედები გაუცრუვდა. აბუბექ-

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 125.

რის მიერ დამარცხებულმა და შარვანიდან განდევნილმა აღსართანმა თავის მფარველს, საქართველოს მთავრობას შველა სთხოვა.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი გადმოგვცემს, რომ გაჭირვებაში მყოფმა აღსართან შარვან-შაჰმა და მისმა სიძემ ამირ-მირმანმა[1] „აღიხილნეს თუალნი მათნი, და არავინ იხილეს მჭსნელი და მაცხოვარი მათი, გარნა ღმერთი მხოლოი და ღმრთისაგან ღმერთ-ქმნილნი დავით და თამარ“[2].

აღსართანი დახმარების თხოვნასთან ერთად თავის ეპისტოლეში თამარ მეფეს სწერდა, რომ ვინაიდან თქვენ საამისო ძალა შეგწევთ და მთელი სპარსეთის დაპყრობა შეგიძლიათ, აიღეთ ეს ქვეყანა და „პატრონად ყოვლისა სპარსეთისა“[3] თქვენი ასული დასვითო. თამარ მეფემ სასწრაფო დახმარება აღუთქვა თავის ერთგულ ყმას. დაიმედებული აღსართანი და მისი სიძე ამირ-მირმანი ამალით თვით მოვიდნენ თბილისში. ისტორიკოსის გადმოცემით, როდესაც აღსართანმა და ამირ-მირმანმა თამარი ნახეს და მისი სამხედრო ძალებიც დაათვალიერეს, თქვეს: „გავიმაგრნეთ გულნი ჩუენნი და აღვიძარცოთ კმაება შეჭირვებისა თუალთაგან ჩუენთა! ჴეშმარიტად ძალუც ჭსნა ჩუენი და კუალად-გება მამულადვე ჩუენდა“[4]. საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ დიდებული შეხვედრა მოუწყო სტუმრებს.

სასწრაფოდ შეყრილ საქართველოს ლაშქარს, რომელშიაც „ოვსნი, ყივჩაყნი.... და სომხითარნიც“[5] იყვნენ, დავით სოსლანი ჩაუდგა სათავეში და შარვანისაკენ გაემართა. ქართველთა საომარი სამზადისი აგენტებს აბუბექრისათვის უცნობებიათ და ისიც გადამწყვეტი ომისათვის მომზადებულა. ომი მოხდა შანქორში 1195 წელს. ამ ომში ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს და შანქორთან ერთად განძაც აიღეს. აღსართან შარვან-შაჰს ქართველებმა ხელისუფლება გაუმტკიცეს და გამარჯვებულნი უკან დაბრუნდნენ.

თამარის მეორე ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღუარი, რომელიც ამ ამბებს მოგვითხრობს, უკმაყოფილების კილოთი აღნიშნავს, რომ „აქა ვერ კეთილად განაგეს ზაქარია და ივანე, და ესეოდენ იქმნა დაკლება ამას განმარჯვებასა შინა. იყო ვინმე კაცი სპარსი, შარვან-

---

[1] ამირ-მირმანი აბუბექრ ათაბაგის მტერი იყო. ის, აბუბექრთან ბრძოლაში დამარცხებული, შარვანში გამოიქცა და აქ საქართველოს სამეფო საგვარიულოს ახლო ნათესავს, აღსართან შარვან-შაჰს დაესიძა

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 63.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 66.

[5] იქვე, გვ. 65.

შეთ სიძე, სახელით მირმირან. ესე შემოხუეწით იყო წინაშე თამარისა სათხოველისა რომლისათჳსმე და მაშინ დავოთს წინაშე მსახურად. ამან მირმირან გამოითხოვა განძა ცნობადმდე თამარისა და მისცეს შესანახავად"[1].

ის გარემოება, რომ ზაქარიამ და ივანემ განძა „მირმირანს" მიანდეს, სრულიად გასაგებია: ეს „მირმირანი" იგივე შარვან-შაჰის, აღსართანის სიძე ამირ-მირმანია. იგი აბუბექრთან მტრულ განწყობილებაში იყო და ალბათ ის საიმედო პირად მიაჩნდათ ზაქარიასა და ივანეს. მაგრამ უკანასკნელთა მოქმედებას იმ მხრივაც კიცხავს ისტორიკოსი, რომ მათ „ცნობადმდე თამარისა" ჩააბარეს განძა ამირ-მირმანს. მხარგრძელებმა თამარის რჩევას რომ არ დაუცადეს და საქმე „ვერ კეთილად განაგეს", მათ მოქმედებას არასასურველი შედეგიც მოჰყვაო: „რაჟამს ბუბაქარ ცნა ჩუენთა ლაშქართა შინა მოსლვა, გამოჩნდა და განძელთა ქალაქი მასვე მისცეს, თუცა მირმან შიშითა ცოცხალი გამოუშვეს"[2].

ამრიგად, ეს დიდი ომი, რომელიც შანქორის ომის სახელწოდებით არის ცნობილი, ქართველებმა შარვანის დაცვის მიზნით გადაიხადეს. მაგრამ ამ ომში ქართველების გამარჯვებას მარტო შარვანისათვის როდი ჰქონდა მნიშვნელობა. ის მთელი ამიერკავკასიის ხალხებისთვისაც უდიდესი მნიშვნელობისა იყო.

ქართველი და აზერბაიჯანელი პროგრესული ადამიანები, რომელთაც შეგნებული ჰქონდათ ამ ორი ხალხის მეგობრული ურთიერთობის მნიშვნელობა, ყოველგვარ საშუალებებს იყენებდნენ ამ ურთიერთობის განსამტკიცებლად. ამ მიზანს ემსახურებოდა ბაგრატიონების მიერ შარვან-შაჰებთან ნათესაური კავშირის დამყარება, რომელსაც ისინი ხშირად მიმართავდნენ.

ცნობილია, რომ XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველო მრავალმხრივ იპყრობდა ბევრი სახელმწიფოს ყურადღებას. მასთან, როგორც წინა აზიის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოსთან, ბევრი ქვეყანა ცდილობდა დაახლოებას. ამ მიზნით არაერთი სახელმწიფოს მმართველი დინასტიის წარმომადგენელს სურდა ნათესაური კავშირი დაემყარებინა საქართველოს სამეფო კართან. მრავალი იყო რუსუდან თამარის ასულის შერთვის მსურველი.

ქამთააღმწერელის ნაშრომის ერთ ჩანართში ვკითხულობთ: „დაჲ შათი (ლაშა-გიორგის — ვ. კ.) რუსუდან ითხოვეს ხლათის დასასშელად დიდმან სულტანმან მელიქმან, რომელსა ეგჳპტით ვიდრე ხლათამდე სპარსეთი ჰქონდა. და დააყენა მოწყალებამან ღმრთისა-

[1] ქართლის ცხოვრება II, გვ. 127—128.

[2] იქვე, გვ. 128.

მან, და არა ჰყო ესე. შემდგომად ამისა დიდითა შემოხუეწითა სთხოვა შარვანშე. უქადეს და უბრძანეს მიცემისა პირი. გაგზავნეს შარვანს ქართლისა ერისთავი, და თჳთ გიორგი მეფე ბაგავანს მივიდა გაკაზმად და მიცემად დისა მისისა. და ათ დღე დრო იყო წარსლვისა მისისა. ხოლო ღმერთმან აქაცა დააყენა"[1].

როგორც ვხედავთ სულთანმა ვერ მიიღო თანხმობა საქართველოს მთავრობისაგან რუსუდანის წაყვანის შესახებ; მაგრამ როდესაც შარვან-შაჰმა „დიდითა შემოხუეწითა" სთხოვა ბაგრატიონთა სახლს, რომ მისთვის მიეთხოვებინათ რუსუდანი, მას თანხმობა გაუცხადეს და „უქადეს მიცემისა პირი". მართალია, 1222 წელს ლაშა გიორგის მოულოდნელად გარდაცვალებისა და რუსუდანის გამეფების გამო შარვან-შაჰზე მისი გათხოვება აღარ განხორციელდა, მაგრამ რომ ეს შემთხვევა არა, შესაძლებელი იყო რუსუდანი შარვან-შაჰს გაყოლოდა და ამის განხორციელება საქართველოსა და შარვანის ურთიერთობის განმტკიცებას ისახავდა მიზნად.

* * *

XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს სამეფოში გაერთიანდნენ გელაქუნის, არარატის დაბლობისა და ჭოროხის ხეობის ზემონაწილის სომხური თემები, ხოლო 1204 წელს თურქების უკანასკნელი დასაყრდენი ამიერკავკასიაში კარი ანუ ყარსიც გაანთავისუფლეს ქართველებმა და სომხებმა.

XIII საუკუნის დასაწყისში ფეოდალური საქართველო ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ბევრი ქვეყანა იყო მისი ყმადნაფიცი და მოხარკე. ამ სიძლიერის საწინდარი ამიერკავკასიის ხალხების —ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების ურთიერთმხარდაჭერა იყო.

XII საუკუნე ფეოდალური საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიაში დიდი აღმავლობის ხანა იყო, ამ ქვეყნების ეკონომიურსა და პოლიტიკურ სიძლიერეს შედეგად მოჰყვა კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და ყველა დარგის თვალსაჩინო განვითარება.

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 166.

თავი VIII

ამიერკავკასიის ხალხების პოლიტიკური ურთიერთობა XIII—XV საუკუნეებში

1. ბრძოლა ხვარაზმელებისა და მონღოლ-დამპყრობლების წინააღმდეგ

XIII საუკუნის დასაწყისში საქართველო ძლიერ ფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა, მაგრამ ამავე დროს მისი შინაგანი, პოლიტიკური სისუსტეც უკვე შესამჩნევი ხდებოდა. ეს სისუსტე ფეოდალური ურთიერთობისათვის თანდაყოლილ, დამახასიათებელ თვისებებში მდგომარეობდა. დიდი თანამდებობის მქონე თუ ცალკეული მხარის მეპატრონე ფეოდალები საკუთარი, პირადი საქმეებით უფრო იყვნენ დაინტერესებულნი, ვიდრე ქვეყნისა და ხალხის საერთო ბედით.

თანდათან იზრდებოდა ფეოდალური სახელმწიფოს დამშლელი მოვლენები. ამ გარემოებას ისიც უწყობდა ხელს, რომ XII საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოს სამეფო ხელისუფლება ფეოდალების მიმართ დიდ დათმობებზე მიდიოდა: თამარის მეფობის პირველსავე წლებში, მეფის უფლებრივი მდგომარეობის შემცირების ხარჯზე, დიდგვარიანმა აზნაურებმა თავიანთი უფლებრივი მდგომარეობა გაზარდეს და სახელმწიფო მართვა-გამგეობაში დიდი უფლებები მოიპოვეს.

ეს უფლებები დიდგვარიანმა აზნაურებმა, სამეფოს ძლიერების საზიანოდ, თავის სასარგებლოდ გამოიყენეს. გაძლიერდა მამულებისა და სამოხელეო თანამდებობათა შეწყალების გზით გადაცემის ტენდენცია, რაც იმას ნიშნავდა, რომ ხშირ შემთხვევაში გარკვეულ პირებს საშვილიშვილოდ ეძლეოდათ ცალკეული რაიონები და დიდი თანამდებობანი. თამარის ისტორიკოსი პირდაპირ აცხადებს, რომ თამარი „არა თჳსისა ჭონებისა მოჭენე იყო და არცა სამეფოდ იმ-

ჰირვიდა ესეოდენთა ქალაქთა და ციხეთა, არამედ თჳთ მათვე მისცემდა, რომელთა აუცალოებდა, თჳსთა ლაშქართა, ვითარ წამებს დიდი და სახელგანთქმული სახლი სომეხთა მეფეთა ანისი, რომელი წარუღო სპარსთა შანშეობისა თანა მრავალქამ მათგან ქონებული, ხოლო სპარსთა სახლი სახელოვანი დვინი[1]. და ამათ ორთა პირთა-თჳს იქმოდა: პირველად, რათა მარადის გული უთქმიდეს და შური აიღონ ერთმანეთისა წარმართთა შეძინებისათჳს თჳსისა, და მეორედ, რათა მოუკუეთოს ყოველი მიზეზი, რომელი დაჰსნის (დაშლის, დაარღვევს, — ვ. კ.) ერთგულობასა"[2].

აღნიშნული გარემოება სახელმწიფოს ძლიერების საზიანო იმიტომ აღმოჩნდა, რომ დიდმა ფეოდალებმა მამულები და თანამდებობანი სამემკვიდრეოდ მიიღეს, ისინი შემდეგ გამთავრებასაც შეეცადნენ და ძველი წესით მეფისადმი მორჩილების ნაცვლად ყმადნაფიცობას არჩევდნენ. ამ ტენდენციების უარყოფითი შედეგი ჯერ-ჯერობით არ ჩანდა, მაგრამ როდესაც საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა გართულდა და ქვეყანას ძლიერი მტერი მოადგა, მაშინ იგი აშკარა და გასაგები გახდა.

ამასთანავე, მეფის ხელისუფლების შესუსტებას შედეგად მოჰყვა ფეოდალების ურთიერთშორის შუღლისა და მტრობის გაღრმავებაც. ეს გარემოებაც ფეოდალური სახელმწიფოს ძლიერებაზე უარყოფითად მოქმედებდა, მას ასუსტებდა.

XIII საუკუნის დასაწყისში მონღოლთა დიდი სახელმწიფო ჩამოყალიბდა. მონღოლების სამშობლო იყო ცენტრალური აზია, დღევანდელი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორია. გაერთიანებული მონღოლების პირველი ყაენი თემურჩინი იყო. იგი 1206 წელს აღიარეს უფროსად მონღოლთა თავკაცებმა და ამიერიდან ჩინგიზ-ხანის სახელწოდებით არის ცნობილი.

მონღოლები სოციალურ-ეკონომიური განვითარების მხრივ ძალზე ჩამორჩენილი იყვნენ. XIII საუკუნის დასაწყისში ისინი გვაროვნული წყობილებიდან კლასობრივზე გადადიოდნენ. სოფლის მეურნეობას ვერ იცნობდნენ და მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. ჟამთააღმწერელი მონღოლების შესახებ წერს, რომ „პურისა გემო არ იცოდიან, ჴორცითა და პირუტყვთა სძითა ცხოვნდებოდესო"[3].

---

[1] დვინი, როგორც გავეცანით, სომხეთის ქალაქი იყო და ისტორიულად იგი „სპარსეთა სახლი" არ ყოფილა. ისტორიკოსის ამ განცხადებაში ის იგულისხმება, რომ დვინი დიდხანს არაბთა, სპარსთა, თურქთა თუ სხვა მაჰმადიანთა ხელში იყო.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 130—131.

[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 158.

ჩინგიზის ყაენობის დროს (1206—1227) მონღოლები დიდად გაძლიერდნენ; 1211 წელს ისინი ჩრდილო ჩინეთში შეიჭრნენ და 1215 წელს ქ. პეკინი აიღეს. ჩინეთი მაშინ შედარებით განვითარებული ქვეყანა იყო და მისმა დაპყრობამ მონღოლებს შესაძლებლობა მისცა თავიანთი სამხედრო შეიარაღება, მაშინდელ კვალობაზე, კიდევ უფრო მკვეთრად გაეუმჯობესებინათ. იქ მონღოლებმა უაღრავი სამხედრო მანქანა დაამზადეს და ეს მანქანები შემდეგ სხვა ქვეყნების ციხე-ქალაქების დასანგრევად და ხალხების დასამორჩილებლად გამოიყენეს. მონღოლების დედაქალაქი დღევანდელი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მდინარე ორხონის ზემოდინების სანაპიროზე. მდებარე ყარაყურომი იყო, რომელიც ჩინგიზ-ხანმა დააარსა 1220 წელს.

გაძლიერებულმა მონღოლებმა ბევრი ქვეყანა დაიმორჩილეს და კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ხვარაზმის ქვეყანას მიადგნენ. დაამარცხეს ხვარაზმ-შაჰი მუჰამედი, გამოაქციეს ის თავის ქვეყნიდან; ლტოლვილ ხვარაზმ-შაჰს ჩინგის-ხანმა 20 ათასი მხედარი უკან დაადევნა. მუჰამედი ლტოლვილებაში გარდაიცვალა, ხოლო მასთან ერთად დევნილი მისი მემკვიდრე ჯალალ-ედინი ირანში შემოვიდა და იქ გამაგრებას შეეცადა, რათა მონღოლებისათვის ისევ ომი გაემართა. აქ მას მონღოლთა მდევარი ლაშქარიც შემოჰყვა.

ჩინგიზ-ხანის ბრძანებით მონღოლთა ამ ლაშქარს უნდა გაეგო თუ სად გამაგრდა და რა სამზადისს ეწეოდა მონღოლთა წინააღმდეგ ჯალალ-ედინი. ამასთანავე, ამ ლაშქარს ევალებოდა დაეზვერა ახლო აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. შეესწავლა თუ როგორ შეიძლებოდა ამ ქვეყნების დაპყრობა მონღოლთა მიერ. ახლო აღმოსავლეთში ამ სადაზვერვო დავალების შესრულების შემდეგ მონღოლებმა. ირანიდან დარუბანდზე გავლით, ჩრდილოეთში გადასვლა გადაწყვიტეს და დარუბანდისაკენ მიმავალნი 1220 წელს საქართველოს სამეფოს საზღვრებში შემოიჭრნენ. ეს იყო პირველი შემოჭრა მონღოლებისა ამიერკავკასიის მიწა-წყალზე, როდესაც სახელდახელოდ შეყრილ ორი მოძმე ხალხის, ქართველთა და სომეხთა ლაშქარს ბრძოლა მოუხდა მათ წინააღმდეგ.

საქართველოს მეფემ ლაშა გიორგიმ, რომელსაც დაუყოვნებლივ აცნობეს საქართველოს საზღვრებში მტრის შემოჭრა, ლაშქრის გამოყვანის ბრძანება გასცა. სასწრაფოდ დაიწყო ფეოდალური ლაშქრის გამოსვლა საქართველოსა და სომხეთის ყველა რაიონიდან. ამის შესახებ ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, რომ, როდესაც მონღოლებმა „მოიწივნეს საზღვართა საქართველოსათა. იწყეს დარბევად ქუეყანა გაგისა. ცნა ესე ვარამ გაგელმან და ივანე ათა-

ბაგბან, ...აცნობეს მეფესა ლაშას უცხოსა ნათესავისა მოსლვა, უცხოთა ენითა, ოკრებად სომხითისა. ხოლო მეფემან მოუწოდა სპათა თჳსთა, იმერთა და ამერთა, და შეკრიბა ოთხმოცდაათი ათასი[1] მჯედარი. და წარემართნეს თათართა კერძ, გაგისა ბოლოს მდგომთა"[2].

სწორედ ამ დროს „ივანე ათაბაგი და ძმისწული მისი, ზაქარიას ძე ამირსპასალარისა, შანშე, და ვარამ გაგელი მსახურთ-უხუცესი, მოერთნეს დიდითა ლაშქრითა[3], და წარემართნეს"[4].

ქართველთა და სომეხთა გაერთიანებული ლაშქარი ლაშა გიორგის უშუალო მეთაურობით ხუნანის ველებზე მიეგება მტერს. მტერმა ქართველებისა და სომხებისათვის უცნობი ტაქტიკა გამოიყენა ბრძოლაში და უკანასკნელებმა მარცხი განიცადეს. ეს უცნობი ტაქტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ მონღოლები ორად გაყოფილან. პირველი ნახევარი პირდაპირ შეხვედრია ქართველებს, ხოლო მეორე „ნახევართა გზირი ეყო"[5], ე. ი. ჩასაფრებულიყო. მტრის ლაშქრის პირველმა ნახევარმა ქართველებისა და სომხების შეხვედრისთანავე უკან იბრუნა პირი და გაიქცა. როდესაც ქართველები და სომხები მტერს მისდევდნენ, ჩასაფრებული („გზირი") მონღოლები მდევარ ქართველებსა და სომხებს „უკანით მოუკდეს"[6]. გაჩაღდა სისხლისმღვრელი ომი, სადაც, როგორც ნათქვამი იყო, ქართველებმა და სომხებმა მარცხი განიცადეს.

მაგრამ მონღოლებმა ქართველებისა და სომხების დევნა აღარ გააგრძელეს. ისინი საქართველოს საზღვრებს გასცილდნენ და გამოსაზამთრებლად მუღანში წავიდნენ. ვარდანის გადმოცემით, შემდეგ წელს მონღოლებმა კიდევ განიზრახეს თურმე საქართველოს სამეფოს მიწა-წყალზე შემოჭრა, მაგრამ გაიგეს რა ქართველებისა და სომხების მზადყოფნა, ველარ გაბედეს ჩვენს წინააღმდეგ ხელმეორედ წამოსვლაო[7].

ამ დროს მონღოლებმა აზერბაიჯანელ ხალხსაც დიდი უბედურება დაატეხეს თავს. მიწასთან გაასწორეს რანის ძლიერი ქალაქი ბელაქანი და შეუბრალებლად ამოხოცეს ქალაქის მოსახლეობა იმიტომ, რომ ბელაქნელებმა მონღოლებს მორჩილებაზე უარი უთხრეს და მოციქულებიც დაუხოცეს. ასევე მხეცურად მოიქცნენ მონღო-

---

[1] მოლაშქრეთა რიცხვი გადაჭარბებული ჩანს.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 164.

[3] აქ ძირითადად სომხური რაინდებიდან გამოყვანილი ლაშქარი იგულისხმება.

[4] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 164.

[5] იქვე.

[6] იქვე.

[7] Всеобщая история Вардана Великого, გვ. 175.

ლები შარვანის ქალაქის შემახიის მცხოვრებლების მიმართ, რომლებიც მტრის მოთხოვნას არ დაემორჩილნენ და მას ბრძოლა გაუმართეს [1].

რანის დარბევისა, ქართველთა და სომეხთა ლაშქართან ბრძოლისა და შარვანის დალაშქვრის შემდეგ მონღოლებმა გვერდი აუარეს გამაგრებულ ქალაქ დარუბანდს და ჩრდილო კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის ველებს შეესივნენ.

ჯალალ-ედინი ირანში საკმაოდ მომაგრებულიყო. მან 1225 წელს, როდესაც საქართველოს სამეფო ტახტზე რუსუდან თამარის ასული იყო, თავისი თავი რანისა და შარვანის პატრონადაც გამოაცხადა და ამით საქართველოს ინტერესები შელახა. მაგრამ ჯალალ-ედინი ამითაც არ დაკმაყოფილდა და საქართველოს მთავრობას მორჩილება მოსთხოვა. უარყოფითი პასუხის მიღებისთანავე ის საქართველოსაკენ დაიძრა, გადმოლახა სამეფოს საზღვრები და სომხეთის მიწა-წყალზე შემოიჭრა, დაარბია დვინის მიდამოები და ჩრდილოეთისაკენ წამოვიდა.

ახლა ამ ვერაგი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებნენ ქართველები და სომხები. ხვარაზმელების თავდასხმის შესახებ ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, რომ „მოიწივნეს ქუეყანად მჯარგრძელთა, რამეთუ ივანე ათაბაგსა ეპყრა დვინი, და ანისი მიეცა ძმისწულისა მისისა შანშესდა, მანდატურთ-უხუცესისათჳს. და ესე ხუარაზმელნი მოვიდეს წელსა მესამესა ლაშა-გიორგის მიცვალებითგან" ტყუენვად და მოოჯრებად ქუეყანათა დვინისა და კერძოთა მისთა. ცნეს რა ივანე ათაბაგმან და ვარამ გაგელმან, მივიდეს მეფესა რუსუდანს წინაშე, მოაჯსენეს მოსლვა ხუარაზმელთა და თჳთ დიდისა სულტნისა ჯალალდინისა ჯოცად და მოსრვად ქრისტიანეთა" [2].

საქართველოს მთავრობამ ჯალალ-ედინის წინააღმდეგ სომეხ-ქართველთა ლაშქრის საერთო მეთაურობა ივანე მხარგრძელს, ათაბაგს, ჩააბარა. მოპირდაპირეთა შორის მოხდა დიდი ომი სომხეთში, კერძოდ, გარისში. მაგრამ, სამწუხაროდ, მტერმა გაიმარჯვა. ვარდან დიდის გადმოცემით, ამ ბრძოლაში მრავალი სომეხი დაიღუპა [3]. გარისის ბრძოლის შემდეგ მტერი საქართველოშიაც შემოიჭრა და თბილისი აიღო.

ქართველი მემატიანე გარისის ომში დამარცხების მიზეზს დიდი ფეოდალების ურთიერთ შორის შუღლსა და მტრობაში ხედავს. ის

---

[1] История Азербайджана, I, გვ. 174—175.

[2] ლაშა-გიორგი 1222 წელს გარდაიცვალა.

[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 169.

[4] Всеобщая история Вардана Великого, გვ. 175—176.

პირდაპირ წერს, რომ როდესაც ომი გაჩაღდა, მოწინავე ლაშქრის მეთაურებს, ივანე და შალვა ახალციხელებს ივანე ათაბაგმა, თითქოს მტრობის ნიადაგზე, ლაშქარი არ მიაშველა: „ივანე ათაბაგი და სპანი ქართველთანი ხედვიდეს ძლიერსა ომსა და არა შეიწყალებდეს თანამონათესავეთა და ერთსჯულთა, ქრისტეს აღმსარებელთა თორელთა და მათ თანა მრავალთა სახელოვანთა, არამედ დგეს შორით და არა ინება შუელა ივანე ათაბაგმან, რომელსა შურითა იტყჳან ამას ყოფად და არა თუ შიშითა“ [1]. ამ გარემოებამ მოწინავე ლაშქრის დამარცხება და ჯალალ-ედინის გამარჯვება გამოიწვიაო.

1225 წლიდან 1230 წლამდე არბევდნენ ხვარაზმელები და მათი ჯალათი მეთაური ჯალალ-ედინი ამიერკავკასიას. ამ ხნის განმავლობაში არ შეწყვეტილა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების ბრძოლა მძარცველი ხვარაზმელების წინააღმდეგ. ბრძოლაში მრავალი უდანაშაულო ადამიანი იღუპებოდა და ქვეყანა ნადგურდებოდა, მაგრამ თავისუფლების მოყვარე ამიერკავკასიის ხალხები მტრის წინაშე ქედს არ იხრიდნენ, მტერმა ისინი საბოლოოდ ვერ დაიმორჩილა, პირიქით, ხანგრძლივ ბრძოლაში თავის ძალები გამოფიტა.

1230 წელს ამიერკავკასიის ხალხებმა ხვარაზმელთა თარეში თავიდან მოიშორეს, მაგრამ სულ მალე, XIII საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში მონღოლთა ბრბოებმა დაიპყრეს ამიერკავკასია.

ფეოდალურმა საქართველომ, რომელსაც რღვევის პროცესი უკვე შეპარვოდა, ვერ გაუკეთა თავის ძალებს ორგანიზაცია მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ხალხი თავდადებით იბრძოდა, მაგრამ ხელისუფლების სათავეში მყოფი გაბატონებული კლასის წარმომადგენლები დაბნეულობას იჩენდნენ.

ამიერკავკასიაში შემოჭრილი მონღოლები პირველად ქ. ბარდავს მოადგნენ, ხოლო მისი აღების შემდეგ ქ. განძას დაესხნენ თავს. განძა საქართველოს ყმადნაფიცი იყო, რომლის მოსახლეობას, ძირითადად, სომხები და აზერბაიჯანელები შეადგენდნენ.

მონღოლებმა, სანამ ისინი განძას თავს დაესხმოდნენ, წინადადება მისცეს განძელებს, რომ ისინი ნებით დამორჩილებოდნენ მონღოლებს, მაგრამ იქაურმა სომხებმა და აზერბაიჯანელებმა არამცთუ მორჩილების თანხმობა განუცხადეს მტერს, არამედ ამ საკითხზე მისული მონღოლთა მოციქულები იქვე ამოხოცეს.

---

[1] ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 170.

მონღოლებმა რომ ეს ამბავი გაიგეს, დაუყოვნებლივ დაესხნენ თავს ქ. განძას ჩორმაღან ნოინის მეთაურობით. ქ. განძის მოსახლეობამ სისხლისმღვრელი ომი გაუმართა მტერს, მაგრამ განძელი სომხები და აზერბაიჯანელები მარტო დარჩნენ ახლა ძლიერი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი დამარცხდნენ და მტერმა შეუბრალებლად გაანადგურა როგორც ქალაქი, ისე მისი მოსახლეობა.

კირაკოზ განძაკელის გადმოცემით, მონღოლებმა მრავალრიცხოვანი მანჭანის გამოყენებით დაანგრიეს ქალაქის კედლები, მაგრამ კედლების დარღვევის შემდეგ სწრაფად კი არ შეიჭრენ ქალაქში, არამედ ერთი კვირის განმავლობაში აწარმოებდნენ მის მთლიან ბლოკირებას. როდესაც ქალაქის მცხოვრებლებმა დაინახეს, რომ ქალაქი მტრის ხელშია და მათ გამოსავალი არ გააჩნიათ, ნაწილმა ცეცხლს მისცა თავისი ქონება და თვითონაც შიგ გამოიწვა, რათა მტერს არ ჩავარდნოდა ხელში, ნაწილმა ყველაფერი დასწვა, რის დაწვაც შეიძლებოდა და თვით მარტო დარჩა. შეხედეს რა ამას მონღოლებმა, გაცოფებულებმა მთელი მოსახლეობა ამოწყვიტეს განურჩევლად მამაკაცებისა, ქალებისა და ბავშვებისა. გადარჩა მხოლოდ კარგად შეიარაღებული მცირე ნაწილი, რომელმაც გაარღვია კედელი და გაქცევით უშველა თავს. გადარჩა აგრეთვე რამდენიმე ღატაკი ადამიანი, რომელთაც აწამებდნენ მონღოლები, რათა ეჩვენებინათ თუ სად იყო შენახული საუნჯე[1].

ამიერკავკასიის ქვეყნები მაშინდელ კვალობაზე განვითარებულ მხარეებს წარმოადგენდნენ. მონღოლებმა ამიერკავკასიაში მოსვლისა და გაბატონებისთანავე საქართველოს სამეფო დუმნებად[2] დაჰყვეს. სახელმწიფო მართვა-გამგეობის ეს ფორმა და ქვეყნის ადმინისტრაციული წესით ასეთი დაყოფა სრულიად შეუფერებელი იყო მოწინავე სახელმწიფოებრივი წყობილების მქონე ამიერკავკასიის ხალხებისათვის.

ამიერკავკასიის დაპყრობის დღიდანვე მონღოლებმა მძიმე გადასახადები დაადვეს აქაურ ხალხებს. რამდენი დროც გადიოდა, გადასახადებიც მატულობდა და ხალხი დიდ გაჭირვებაში ვარდებოდა. გადასახადს თავიანთ სასარგებლოდ თვითნებურად ზრდიდნენ საგადასახადო მოხელეები, რომლებსაც ზედამხედველობას არავინ

---

[1] **История монголов по армянским источникам**, II, пер. К. Патканова, 1874, გვ. 16—17.

[2] „დუმანი“ მონღოლურად 10000 ნიშნავდა, მაგრამ ამავე დროს სამხედრო და საქვეყნოდ გამრიგის სამოხელეო ერთეულსაც ეწოდებოდა“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 123), საიდანაც 10000 მოლაშქრე უნდა გამოეყვანათ.

არ უწევდა. გარდა ამისა, მძიმე სამხედრო ბეგარაც დააკისრეს ამიერკავკასიის ხალხებს მონღოლებმა.

პლანო კარპინი მონღოლების შესახებ წერდა: მონღოლები იმ ხალხებისაგან, რომლებიც მათგან დაშორებით ცხოვრობენ და ესაზღვრებიან ისეთებს, რომლებისაც რატომღაც მონღოლებს ეშინიათ და, რომლებიც ქედს არ იხრიან მონღოლების წინაშე, ხარკს იღებენ და მათ ეპყრობიან კაცთმოყვარეობით, რათა ლაშქრის გამოყენება არ დაჭირდეთ მათ წინააღმდეგ. აგრეთვე ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ფიქრობენ, ამ მაგალითზე სხვებიც თავიანთი სურვილით დაემორჩილონ მონღოლებს. ასე ექცევიან ისინი ობეზებს ანუ ქართველებს, რომლებიდანაც ხარკს იღებენ 50 ან 40 ათას პერპერს [1]. მაგრამ მიუხედავად ამისა ქართველებს, როგორც ეს მათგან გავიგე, განზრახული აქვთ აჯანყდნენო[2].

ეხებოდა რა პლანო კარპინის ცნობას, რომ „ქართველები ლამის არის აჯანყდნენო", აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ეს ცნობა ჩვენთვის ორი თვალსაზრისით არის საყურადღებო: იგი ჯერ ერთი ამტკიცებს, რომ პოლიტიკური მდგომარეობით გამოწვეული ქართველების უკმაყოფილების ამბავი თვით მონღოლთა ყაენის საჯდომს ქალაქშიც იცოდნენ. ხარკი მაინცდამაინც დიდი არა ჰქონიათ დადებული, მოპყრობითაც ქართველებს მონღოლები, რამდენადაც შეეძლოთ, რბილად და თავაზიანად ეპყრობოდნენ, მაგრამ მაინც საქართველო ასაჯანყებლად მზად არისო"[3].

იმავე მკვლევარის დასკვნით, შეთქმულებისა და აჯანყებისათვის თავიდანვე მიმდინარეობდა სამზადისი საქართველოში. „ქართველებისათვის, რომელთაც თავიანთი სახელმწიფოს ძლიერების ხანა თავის თვალით ნანახი ჰქონდათ და არა ერთი ქვეყანა ჰყავდათ ყმადნაფიცად, მონღოლთა ბატონობის თუნდაც მსუბუქი უღლის ატანა, რასაკვირველია, არაფერი სასიამოვნო იქნებოდა და ისიც უეჭველია სულ მუდამ თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ოცნებაში იქნებოდნენ და ყოფილან კიდეცო"[4].

მონღოლთა მიერ ამიერკავკასიის ხალხებისადმი ასეთი ლმობიერი დამოკიდებულება და აგრეთვე საქართველოდან აღნიშნული

---

[1] ბიზანტიური მონეტა, რომელიც წმინდა ოქროსაგან კეთდებოდა. მას ეწოდებოდა აგრეთვე „ბიზანტიური" (ხოლო შემდეგ „სულთანური") იმის გამო, რომ იგი კეთდებოდა კონსტანტინეპოლში, რომელსაც წინათ ბიზანტიონი ეწოდებოდა (Плано Карпини, Путешествия к татарам, перевод Д. Языкова, II, 7, 1825, გვ. 191).

[2] იქვე. II, 7. გვ. 189—191.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III. 1949, გვ. 137.

[4] იქვე.

ფულადი ხარკით დაკმაყოფილება შესაძლებელია მონღოლთა მოსვლის პირველი წლებისათვის ვიგულისხმოთ, მაგრამ შემდეგ, როგორც ცნობილია, დამპყრობლებმა უსაზღვროდ გაზარდეს ხარკი და გადასახადები, რამაც ამიერკავკასიის ხალხები აუტანელ გაჭირვებაში ჩააგდო.

მონღოლების ბატონობის შედეგად ყველაზე მეტად სოფლისა და ქალაქის მწარმოებელი საზოგადოება იტანჯებოდა. მაგრამ ამასთანავე ფეოდალებსაც დიდად გაუჭირდათ. თუმცა ზოგიერთი ფეოდალი მონღოლთა სასარგებლო გადასახადების აკრებაში მონაწილეობდა, ხალხს დაწესებულ გადასახადზე მეტს ახდევინებდა და თვითონ მდიდრდებოდა, მაგრამ ასეთი ფეოდალები მცირერიცხოვანი იყვნენ, ხოლო უმრავლესობა გაღარიბების გზაზე იდგა და უკმაყოფილო იყო.

ჯერ კიდევ XIII საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარში ქართველმა ფეოდალებმა მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება გადაწყვიტეს. ამ მიზნით ჯავახეთში, კოხტასთავს, შეიკრიბნენ და აჯანყების დრო და ადგილი განსაზღვრეს, მაგრამ ვიღაც მოღალატემ აჯანყების მეთაურები გასცა და ისინი მონღოლებმა შეიპყრეს. ამ აჯანყების მომზადებაში, ჩანს, სომხური თემებიდანაც ღებულობდნენ მონაწილეობას ფეოდალები.

კოხტასთავის შეთქმულთა დაპატიმრებით საქმე არ გათავებულა. სულ მალე თბილისში შეიკრიბნენ ქართველი და სომეხი ფეოდალები, ლაშქარიც შეჰყარეს და აჯანყებისათვის მოემზადნენ. მაგრამ ღალატმა და გამცემლობამ აქაც იჩინა თავი. თავიანთი აგენტების საშუალებით მონღოლებმა ეს ამბავიც გაიგეს, სასწრაფოდ მიიღეს ზომები და აჯანყების ხელმძღვანელები დააპატიმრეს.

მიუხედავად ხელმძღვანელების დაპატიმრებისა, აჯანყებულთა შეიარაღებული ძალები მაინც არ დაიშალნენ. ისინი გამოვიდნენ თბილისისა და ლორეს ზოგიერთ რაიონში და ბრძოლა გააჩაღეს. სომხეთის ისტორიის მკვლევართა დასკვნით ამ აჯანყებაში გლეხთა ფართო მასებიც ღებულობდნენ მონაწილეობას [1].

მონღოლ-თათართა წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხთა ერთობლივი ბრძოლის შესახებ მცირე ცნობები შემოგვინახა წყაროებმა. მაგრამ ზოგიერთი ისტორიკოსის მიერ ნათქვამი სიტყვები ადასტურებს, რომ მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში ბევრი სისხლი დაღვარეს ამ ხალხებმა. ვარდან დიდი გადმოგვცემს, რომ 692 (551+692=1243) წელს ტირილისა და ცრემლის მომგვრელი ამბავი მოხდა, რამაც მთისა და მინდორ-ველის სისხლითა და

[1] **История армянского народа, II, 1944, გვ. 192.**

ცრემლით მორწყვა გამოიწვიაო[1]. ვარდანი ამ ამბის შესახებ სიტყვას აღარ აგრძელებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ეს საშინელი ამბავი და უბედურება 698(551+698=1249) წელსაც განმეორდაო[2].

ისტორიკოსი ამ განმეორებულ ამბავში თბილისისა და სომხური რაიონების ზემოთ აღნიშნულ აჯანყებას გულისხმობს, რომლის შესახებ წერს: ბაჩუ ნოინმა და მონღოლთა სხვა სამხედრო მეთაურებმა საქართველოს მეფესა და დიდებულებს ღალატი და შეთქმულება დასწამეს. იმათ დაატყუევეს დავითი და სხვა დიდებულები, შეკრეს ისინი და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, თუმცა ისინი გადაურჩნენ სიკვდილს, მაგრამ ხალხის დიდი უმრავლესობა მტრის მახვილით დაიღუპა, ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა დაატყუევეს; სომხეთში ქალებს ნამუსი ახადეს, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ეს საშინელება საქართველოში ჩაიდინესო[3].

ამ აჯანყების შესახებ კიდევ უფრო ვრცელ ცნობას კირაკოზ განძაკელი გადმოგვცემს. იგი წერს, რომ მაშინ, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ რამდენადმე მოიშუშა დამპყრობთა მიერ მიყენებული ჭრილობა, მონღოლთა ლაშქრის მეთაურები მოულოდნელად შეიკრიბნენ თათბირზე, შეიარაღდნენ და მოემზადნენ, რათა ამოწყვიტონ მათ მიერ დამორჩილებული სომხები და ქართველები იმ საბაბით, რომ საქართველოს მეფეს თავის ლაშქრით განზრახული აქვს განუდგეს მონღოლებს და აგროვებს ლაშქარს მათი განადგურების მიზნითო[4].

მართლაც, — განაგრძობს კირაკოზ განძაკელი, — მონღოლებს ჰქონდათ ასეთი ეჭვების საფუძველი იმიტომ, რომ დიდებულები თავიანთი რაზმებით თბილისში გამოცხადებულან მეფესთან და ნადიმის დროს ასეთი სიტყვები წარმოუთქვამთ: „ჩვენ თათრებს ვემორჩილებით (მაგრამ) ჰყავთ თვით ამდენი ლაშქარი? მოდი დავესხათ მათ მოულოდნელად, ამოვხოცოთ და თვითონ ვიქნებით ჩვენი ქვეყნის მფლობელიო“[5].

ამასთანავე, კირაკოზ განძაკელი აღნიშნავს, რომ შეთქმულებს მომხრეებს ავაგ ათაბაგი ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ ამ დროს ეს ამბავი ვიღაცამ აცნობა იქ ახლო მყოფ მონღოლთა მხედართმთავრებს.

---

[1] Всеобщая история Вардана Великого, გვ. 181.

[2] იქვე.

[3] История монголов по армянским источникам, вып. I, перевод и объяснения К. Н. Патканова. С-Петербург, 1873, გვ. 8.

[4] История монголов по армянским источникам, вып. II, пер. К. Патканова, 1874, გვ. 70.

[5] იქვე, გვ. 71.

ამიტომ, როგორც კი დიდებულთა რაზმები დაიშალნენ და წავიდნენ სხვადასხვა მხარეებში, მონღოლებმა თავის მხრივ მიიღეს ზომები ყველას ამოწყვეტის მიზნით: ადგილზე მყოფი დიდებულები დაუყოვნებლივ შეიპყრეს, ხოლო ვინც იქ არ იყო, მას მდევარნი გამოუყენეს[1].

მაგრამ ამ საქმეში თითქოს ჩაღატა ნოინი ჩაერია, რომელიც ავაგ ახაბაგის მეგობარი იყო. მან უთხრა მონღოლთა მხედართმთავრებს, რომ ჩვენ ყაენის მიერ არ გვაქვს იმის რწმუნება, რომ დაპყრობილი და მორჩილებაში მყოფი ხალხი, რომლებიც ყაენის სასარგებლო გადასახადს იხდიან, ამოვხოცოთ. თუ თქვენ მათ ამოხოცავთ განსაკუთრებული მიზეზის გარეშე, მაშინ პასუხი მიეცით ყაენსო. გაიგონეს რა ეს მონღოლთა მხედართმთავრებმა, შეწყვიტეს ძიება და დევნა. ამავე დროს მონღოლებთან გამოცხადდა ავაგის დედა და თვით ავაგიც. აღუთქვეს ერთგულება მათ და ავაგმა საქმით დაუმტკიცა კიდეც ეს ერთგულებაო[2].

იმავე ისტორიკოსის გადმოცემით, მონღოლებთან გამოცხადდნენ აგრეთვე მეფე დავითი და ბევრი დიდებული. მონღოლებმა მათი ჩვეულების თანახმად ხელფეხი გაუკრეს მათ წვრილი თოკებით, გააჩერეს ისინი ამ მდგომარეობაში სამი დღე და ამ ხნის განმავლობაში სცემდნენ მათ და აგინებდნენ ქედმაღლობისა და ამბოხებისათვისო[3].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ ჩამოართვეს მათ ცხენები, აიღეს გამოსასყიდი და გაანთავისუფლეს ისინი. ხოლო თვით საქართველოს სხვადასხვა მხარეს, აჯანყებულსა და მშვიდობიანს, შეესივნენ. ბევრი ამოხოცეს, დიდი რიცხვი მამაკაცებისა და ქალების ტყვედ წაიყვანეს, ხოლო ბავშვები მდინარეებში დაახრჩვეს. ეს ამბავი სომეხთა წელთაღრიცხვით 698 (=1249) წელს მოხდაო[4].

ისტორიკოსის ცნობა იმის შესახებ, რომ მონღოლები საქართველოს სამეფოს „სხვადასხვა მხარეს, აჯანყებულსა და მშვიდობიანს შეესიენ". იმას მოწმობს, რომ მარტო სამზადისს კი არ ჰქონია ადგილი აჯანყებისათვის, არამედ სინამდვილეში ადგილი ჰქონდა აჯანყებას საქართველოსა და სომხეთის ბევრ რაიონში.

ამრიგად, 1249 წელს ქართველები და სომხები ერთად გამოვიდნენ მათი საერთო მტრის, დამპყრობ მონღოლების წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდნენ და მონღოლები ბარბაროსულად გაუსწორდნენ მათ.

---

[1] **История монголов по армянским источникам, вып. II, пер. К. Патканова,** 1874, გვ. 71.

[2] იქვე, გვ. 71—72.

[3] იქვე, გვ. 72.

[4] იქვე.

XIII საუკუნის 50-იანი წლებიდან მონღოლთა ბატონობა კიდევ უფრო ძნელი ასატანი გახდა. დამპყრობლებმა ყოველგვარ უძრავ-მოძრავ ქონებას ხარკი დაადვეს და ათასნაირი გადასახადებით ქვეყანა გააღატაკეს.

ის შემოსავალი, რომელიც თავის მფლობელობაში მყოფ მიწის ნაკვეთიდან გლეხს შემოსდიოდა, გადასახადებსაც ვერ აკმაყოფილებდა. ამასთანავე, მონღოლთა ბრბოები, რომლებიც თავიანთი ნოინების წინამძღოლობით ამიერკავკასიის ქვეყნებში ხშირად დახეტიალობდნენ, მოსახლეობას ძარცვავდნენ. მიჰყავდათ და მიჰქონდათ ყველაფერი, რის წაღება და წაყვანა შესაძლებელი იყო.

გაჭირვებული და გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი გლეხობა მამაპაპეულ მიწა-წყალს ტოვებდა და მიუვალ ადგილებში გარბოდა. დაიცალა მწარმოებელი საზოგადოებისაგან ბარის ბევრი რაიონი, ამის გამო დაეცა მეურნეობა. ამ გარემოებამ ფეოდალებიც გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა იმიტომ, რომ გადასახადზე მონღოლების წინაშე ფეოდალები იყვნენ პასუხისმგებელნი. გადახდის შესაძლებლობა კი მიწიდან მიღებულ შემოსავალზე იყო დამოკიდებული. ეს შემოსავალი ძალზე შემცირდა და, ამრიგად, ფეოდალებს გადახდის შესაძლებლობა აღარ ჰქონდათ.

მონღოლები არავითარ მიზეზს მხედველობაში არ იღებდნენ და ერთხელ დადგენილ გადასახადს მთელი სიმკაცრით მოითხოვდნენ. თუ ფეოდალი გადასახადის გადახდას ვერ შესძლებდა, მას ყველაფერს ართმევდნენ, თუ სხვა აღარაფერი გააჩნდა, შვილებიც კი მიჰყავდათ.

მონღოლებისათვის არ არსებობდა შედარებით განვითარებული ფეოდალური ქვეყნებისათვის მისაღები, ტრადიციულად გამტკიცებული ან წერილობით ფიქსირებული კანონი. მაშინ, როდესაც დაპყრობილი ქვეყნები მონღოლთა აუტანელი ხარკისაგან გაღატაკდნენ და იტანჯებოდნენ, ცალკეული პირები დაპყრობილთა გაჭირვებას თავის სასარგებლოდ იყენებდნენ. უკიდურესად განვითარდა მევახშეობა, რომლის საზღვრის დამდები, რა თქმა უნდა, არავინ ჩანდა. პლანო კარპინი გადმოგვცემს, რომ მონღოლები გასესხებული ფულის ყოველ ათ დინარზე თვეში ერთ დინარს იღებდნენ, ხოლო შემდეგ თვეებში ძირითადი თანხის აღნიშნულ პროცენტთან ერთად პროცენტის პროცენტსაც იღებდნენ. ამ წესით ერთმა პიროვნებამ საქართველოში მონღოლისაგან (თათრისაგან) 500 პერპერი ისესხა; ხუთი წლის შემდეგ იგი იძულებული გახდა ფულის გამსესხებელ მონღოლისათვის ნამატის სახით 7000 პერპერი გადაეხადა. ამასთანავე, ერთმა მონღოლმა (თათარმა) ქალბატონმა ერთ პიროვნებას 50 ცხვარი მისცა,

ხოლო შვიდი წლის შემდეგ ნამატის სახით მან 7000 პერპერი მოსთხოვა და აიძულა კიდეც გადაეხადა [1].

მეურნეობის ყველა დარგის დაცემასთან ერთად დაეცა და დაქვეითდა საქალაქო ცხოვრება და აღებ-მიცემობა. მთლიანად გაქრა ბევრი ქალაქი და დაქვეითდა დანარჩენი. ამრიგად, მონღოლთა ბატონობის შედეგად გამოწვეული გაჭირვება, როგორც ნათქვამი იყო, მეტნაკლებად საზოგადოების ყველა სოციალურ ფენას შეეხო.

ფეოდალების გაბატონებული კლასი საქართველოს სამეფოზე თავდატეხილი უბედურების მიზეზს მონღოლთა ბატონობაში ხედავდა. ამიტომ ისე, როგორც 40-იან წლებში, 50-იანი წლების მეორე ნახევარშიც ამ კლასის წარმომადგენლები ჩაუდგნენ განმათავისუფლებელ ბრძოლას სათავეში. აჯანყების საერთო მეთაურობა კი მეფის ხელისუფლებამ იკისრა.

ცნობილია, რომ ამ დროს საქართველოს სამეფო ტახტზე ორი მეფე, დავით ლაშა-გიორგის ძე და დავით რუსუდანის ძე იყო. ჩრდილო სომხეთი ჯერ კიდევ საქართველოს სამეფოში შემოდიოდა და ამ მეფეებს ექვემდებარებოდა. ამდენად, საქართველოს სამეფოში პოლიტიკური მოძრაობა, თუ ეს უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ იყო მიმართული, სომეხთა მონაწილეობის გარეშე არ ხდებოდა.

1259 წელს დიდმა აჯანყებამ იფეთქა საქართველოში დავით რუსუდანის ძის მეთაურობით. ბრძოლაში, რომელიც აჯანყებულებსა და მონღოლებს შორის გაიმართა, ვერც ერთმა მხარემ ვერ გაიმარჯვა. შემდეგ კი, როდესაც მონღოლებს დიდი დამხმარე ლაშქარი მოუვიდათ, დავით რუსუდანის ძემ ბრძოლის გაგრძელება მიზანშეუწონლად ჩათვალა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა, მაგრამ ბრძოლა ამით როდი გათავდა.

1260 წელს დავით ლაშა-გიორგის ძის მეთაურობით დაიწყო დიდი აჯანყება საქართველოში. დავითის დამხმარე და მარჯვენა ხელი ამ საქმეში სარგის ჯაყელი იყო. ქართველების ამ მოძრაობას არც სომხები ჩამორჩნენ. დაუყოვნებლივ „შეუერთდნენ აჯანყებას შირაკის, ლორის, გელაქუნისა და ხაჩენის რაიონები“ [2]. მრავალრიცხოვანი შეიარაღებული რაზმები წამოვიდნენ სომხეთიდან და შეუერთდნენ აჯანყებულ ქართველებს.

ამასთანავე, აჯანყება დაიწყო და ბრძოლა გაუმართეს მონღოლებს სევანისა და სომხეთის სხვა რაიონებში. აჯანყებულები მთიან რაიონებში გამაგრდნენ და მოულოდნელი თავდასხმებით მონღოლებს დიდ ზიანს აყენებდნენ. მაგრამ აჯანყებულებმა საქართველოდან და

---

[1] Плано Карпин, Путешествия к татарам, 11, 4, 1825, გვ. 107.

[2] История армянского народа, I, 1951, გვ. 198.

სომხეთიდან ვერ შეძლეს მონღოლთა განდევნა იმიტომ, რომ სომხეთის ზოგიერთი აჯანყებული რაიონი დამოუკიდებლად მოქმედებდა და აჯანყების ცენტრთან, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში იყო, სუსტი კავშირი ჰქონდა.

საქართველოსა და სომხეთში მომხდარი ამბების პარალელურად აზერბაიჯანშიც იფეთქა აჯანყებამ. იქ მონღოლთა უხეში ბატონობის შედეგად ჩამოყალიბებულიყო შეიარაღებული რაზმები, რომლებიც თავს ესხმოდნენ მონღოლთა მოხელეებს და ართმევდნენ მათ ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვის შედეგად შეძენილ ქონებას[1]. 1260 წელს მონღოლთა მიერ შევიწროებული ფეოდალები ჩაუდგნენ მოძრაობას სათავეში აზერბაიჯანშიც; უარი განაცხადეს გადასახადების გადახდაზე და იარაღით გამოვიდნენ მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ. მონღოლთა უაენმა ჰულაგუმ [2] დიდი ლაშქარი გამოგზავნა აზერბაიჯანში. მონღოლებმა შეძლეს აჯანყებულების დამარცხება როგორც საქართველოში, ისე სომხეთსა და აზერბაიჯანში. ისინი სასტიკად გაუსწორდნენ აჯანყებულებს და ბევრი მათგანი სიკვდილით დასაჯეს.

დამარცხებული დავით ლაშა-გიორგის ძე იძულებული გახდა თავის მომხრეებით დასავლეთ საქართველოში გადასულიყო. იმ დროს, როდესაც მონღოლები საქართველოს კულტურის ცენტრებსა და დასახლებულ პუნქტებს ანადგურებდნენ, ჩანს, ქართველებმა პარტიზანული ომი გაუმართეს მათ. კირაკოზ განძაკელის ცნობით, ძარცვაში გართულ მონღოლებს ელვის სისწრაფით დაესხა თავს ოთხასი კაცისაგან შემდგარი ქართული რაზმი, მოსპო არღუნის ბევრი მოლაშქრე და ყოველგვარი დანაკლისის გარეშე მიიმალა. ამის შემდეგ არღუნს შეეშინდა მსგავსი შემთხვევისა და მან ველარ გაბედა გაეგრძელებინა თავის მოქმედებაო [3].

ამ აჯანყების შედეგად მონღოლების მიერ დასჯილთა შორის იყვნენ ამირსპასალარი, შირაკისა და ლორის მფლობელი ზაქარია შანშეს ძე მხარგრძელი და ჰასან ჯალალი ხაჩინელი.

ქართველი და სომეხი ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ აღნიშნული პირები მონღოლებმა სიკვდილით დასაჯეს, მაგრამ ამ ისტორიკოსთა შორის თანხმობა არ არის დასჯის მიზეზების შესახებ. ყამთა-

---

[1] История Азербайджана, I, გვ. 180—181.

[2] ირანის, ამიერკავკასიისა და მათი მიმდგომი რაიონების პირველი უაენი იყო ჩინგიზ-ხანის შვილიშვილი ჰულაგუ. ამიტომ მის შთამომავლებს ჰულაგიდებს უწოდებენ.

[3] История монголов по армянским источникам, вып. II, стр. 101.

აღმწერელი აღნიშნავს, რომ „გაადგა ულო ყაენს შანშეს ძე ზაქარია ამირსპასალარი, კაცი ყოვლითა სათნოებითა შემკული და საჩინო, და ივლტოდა ქუთათის ნარინ დავითისა, „რამეთუ ბერქას ლაშქართა გამოსლვა მასმია ჩემ ზედა". ხოლო მეფემან დავით კეთილად შეიწყნარა, დაჰყო მცირე ჟამი, მერმე ფიცით მოიყვანა ყაენმან, გარნა არცა ეგრეთ დამშვდდა გული ულოსი, და მოკლა ზაქარია ამირსპასალარი, კაცი პატიოსანი და სახელოვანი" [1].

სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდი ზაქარია ამირსპასალარის შკვლელობის შესახებ წერს, რომ იგი სიკვდილით დასაჯეს სხვადასხვა ბრალდებების მომიზეზებით და მათ შორის იმიტომაც, რომ თითქოს ხელს უშლიდა დაწესებული ხარკის ყაენის სალაროსადმი დროულად მიწოდებას. მისი სიკვდილი მთელმა საქართველომ და სომხეთმა იგლოვა [2].

როგორც ნათქვამი იყო, ულუ დავითის მარჯვენა ხელი მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში სარგის ჯაყელი იყო, ხოლო ამ უკანასკნელის სიძე იყო ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარი. კირაკოზ განძაკელი გადმოგვცემს, რომ ზაქარია დიდ დახმარებას უწევდა მონღოლებს სხვადასხვა ბრძოლებში. მის გმირობას დიდად აფასებდა ჰულაგუ ყაენი და მისი ერთ-ერთი მოხელე დიდი ბასკაკი არღუნი. იმ დროს, როდესაც ულუ დავითი მონღოლებს აუჯანყდა, — განაგრძობს კირაკოზ განძაკელი, — ზაქარია ამირსპასალარი რატომღაც საქართველოში იმყოფებოდა არღუნის ლაშქართან. იგი საიდუმლოდ, არღუნსა და მონღოლთა სხვა სამხედრო პირებს რომ არ გაეგოთ, თავისი ცოლის შესახვედრად წავიდა, რომელიც თავის მამასთან (მამის სახლში) იმყოფებოდა. გაიგო რა ეს არღუნმა, მან დაუყოვნებლივ აცნობა ამის შესახებ ჰულაგუ ყაენს, რომელმაც ბრძანა, რათა სასწრაფოდ დააპატიმრონ ზაქარია და შებორკილი მიიყვანონ მასთან. მას ბრალი დასდეს სხვადასხვა დანაშაულში და სიკვდილით დასაჯესო [3].

აკად. ივ. ჯავახიშვილი, იხილავდა რა ულუ დავითის აჯანყებასთან დაკავშირებით მომხდარ ამბებს, წყაროების ღრმა ანალიზის საფუძველზე აღნიშნავდა, რომ „ზაქარია ამირსპასალარის დაღუპვაც ულუ-დავითის აჯანყებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამ მხრივ კირაკოზ განძაკელის ცნობა სწორი უნდა იყოს და ჟამთააღმწერელის მოთხრობა, ვითომც ბერქას გამოლაშქრება ზაქარია ამირსპასალარისათვის დაებრალებინოთ, ძნელი დასაჯერებელია, რადგან, რო-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 250.

[2] Всеобщая история Вардана Великого, გვ. 187.

[3] История монголов по армянским источникам, вып. II, დასაბეჭდი გამოცემა, გვ. 103—104.

გორც ვარდან ბარძბერდელის (ვარდან დიდის) სიტყვებითგან ჩანს, ზაქარია 1261 წელს, ბერქას გამოლაშქრებამდე იქნა დასჯილიო" [1].

მკვლევარი განაგრძობს, რომ ზაქარია ამირსპასალარის „შეპყრობის მთავარი მიზეზი კირაკოზ განძაკელს სწორადა აქვს დასახელებული. იმისდა მიუხედავად, რომ ზაქარია ამირსპასალარი, ალბათ მიზანშეუწონელობისა და სახიფათობის თვალსაზრისით, მონღოლთა (წინააღმდეგ) აჯანყების მომხრე არა ყოფილა და იმ დიდებულთა და. ხელისუფალთა ჯგუფს მიმხრობია, რომელნიც მონღოლებს არ გადაუდგნენ, გულით და სულით, როგორც ჩანს, ის ამ აჯანყებას თანაუგრძნობდა და გამდგარი ულუ-დავითის მთავარ სარდალთან, რომლის სიძეც ყოფილა, საიდუმლო კავშირი ჰქონია" [2].

მიუხედავად ზემოაღნიშნული სისასტიკისა. აჯანყების საბოლოო ჩაქრობა მონღოლებმა ვერ შეძლეს და იგი დროგამოშვებით ყოველთვის იფეთქებდა ხოლმე ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეში. ირანის მონღოლთა ყაენის კარის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და ისტორიკოსი რაშიდ-ად-დინი (1247—1318) გადმოგვცემს, რომ 1275 წელს, როდესაც აბაღა ყაენი (1265—1282) ცხენოსანი ლაშქრის თანხლებით რანში სანადიროდ მოვიდა, მას თავს დაესხნენ აჯანყებულები და ძლიერი შეიარაღებული შეჯახება მოხდა. ყაენი იძულებული გახდა დამხმარე შეიარაღებული ლაშქარი გამოეწვია და აჯანყება ჩაქრობილ იქნაო [3].

მონღოლთა ბატონობას თანაბარი უბედურება მოჰქონდა ამიერკავკასიის ყველა ხალხისათვის. XIII საუკუნის 50-იანი წლების დასასრულიდან ამიერკავკასიის ხალხები იძულებული იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ იმ დიდს და დაუსრულებელ ომებში, რომლებსაც მონღოლები სხვა ქვეყნების დასაპყრობად აწარმოებდნენ. უამრავი ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი უმიზნო ბრძოლაში იღუპებოდნენ.

ვინაიდან მონღოლთა ბატონობას ამიერკავკასიის ყველა ხალხისათვის უბედურება მოჰქონდა, ეს ხალხები ყველა თანაბრად უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლით. წყაროები გვიჩვენებს, რომ ეს ასედაც იყო.

ცნობილია, რომ XIII—XIV საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც მონღოლთა ყაენის ტახტზე ყაზანი იყო, აღმოსავლეთ საქართველოს მო-

---

[1] ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 170.

[2] იქვე.

[3] Фазлуллах Рашид-ад-дин (сборник летописей), т. III, перевод с персидского языка А. К. Арендса, изд. Академии Наук Азербайджанской ССР, Баку, 1957, გვ. 93—94.

სახლეობა სისხლისმღერელ ბრძოლას აწარმოებდა მონღოლთა ბატონობის თავიდან მოსაშორებლად. ამ ბრძოლას დავით VIII (1293—1311) და მისი მომხრეები მეთაურობდნენ. მწვავე ბრძოლაში ქვეყანა სისხლიდან იცლებოდა, მაგრამ აჯანყებას ბოლო არ ეღებოდა, მთაში გახიზნული დავითი მტერს დიდხანს ებრძოდა. ახლაც ქართველი მოსახლეობის ბედს მტრის მიერ შეწუხებული სომეხი მოსახლეობაც იზიარებდა და მონღოლთა წინააღმდეგ ისიც იბრძოდა. ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, რომ მეფის მომხრე ქართველებთან ერთად ამ ომში დავითს სომხებმაც „დიდი ერთგულება აჩვენეს“ [1].

ყაზანის დროს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო დავით მეფის მეთაურობით დაუსრულებელსა და მეტად მძიმე ომს აწარმოებდა მონღოლთა წინააღმდეგ. მეზობელი აზერბაიჯანიც იარაღით ებრძოდა დამპყრობ მონღოლებს. აღსანიშნავია, რომ, თუ დავით მეფემ აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში გადაიტანა ბრძოლის შტაბი და იქიდან ებრძოდა მონღოლებს, აზერბაიჯანელებმაც შარვანის მთიანი რაიონები გაამაგრეს და იქიდან აყენებდნენ დიდ ზიანს მტერს [2].

მონღოლები დიდად უწყობდნენ ხელს ამიერკავკასიის ხალხების პოლიტიკურად დასუსტებას. როგორც ცნობილია, საქართველოს მიწა-წყლიდან სამცხე-საათაბაგო, ხოლო სომხეთიდან ზოგიერთი რაიონი მონღოლებმა ულუსიანად [3] გაბადეს, ე. ი. საქართველოს სამეფოს ჩამოაცილეს და უშუალოდ საყაენოს დაუმორჩილეს. ამასთანავე, მონღოლები ხელს უწყობდნენ ყველას, ვინც საქართველოს მეფის ხელისუფლების დასასუსტებლად მოქმედებდა. შინაგან მიზეზებთან ერთად მონღოლებმაც დიდად შეუწყეს ხელი საქართველოში მთასა და ბარს შორის მდგომარეობის გამწვავებას, რამაც საქართველოს გულს — ქართლს დიდი ზიანი მიაყენა.

იცოდნენ რა ამიერკავკასიის ხალხთა განწყობილება მონღოლებისადმი, უკანასკნელები უნდობლობის თვალით უყურებდნენ ამ ხალხებს. ამიტომ იყო, რომ ამიერკავკასიის მკვიდრთ მონღოლები შორეულსა და დამღუპველ ომებში ერეკებოდნენ, თავიანთ ლაშქარს ამი-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 305.

[2] **История Азербайджана, გვ. 184.**

[3] სიტყვა უ ლ უ ს ი აღმოსავლეთის სხვადასხვა ხალხებში სხვადასხვა შინაარსით იხმარებოდა. ამ სიტყვით ზოგი ხალხი აღნიშნავდა ტომს, თაობას; ზოგი კი ხალხს, ხოლო ზოგიც მხარეს, სახელმწიფოს. ქართულს ისტორიოგრაფიაში ამ სიტყვაში მონღოლთა სახელმწიფოს გულისხმობენ, ე. ი. ულუსიანად გადაქცევა იმას ნიშნავს, რომ მონღოლებმა საქართველოს ჩამოაცილეს აღნიშნული რაიონები და უშუალოდ მონღოლთა სახელმწიფოს მბრძანებელს, ყაენს დაუმორჩილეს.

ერკავკასიაში გზავნიდნენ და ამით გაძარცულ ქვეყანას კიდევ უფრო ანადგურებდნენ. რაშიდ-ად-დინის გადმოცემით, ყაზან-ყაენმა ყუთლუშა ნოინს უბრძანა, რომ თავისი ლაშქრით საქართველოში წამოსულიყო. ხოლო ქართველთა ლაშქრის ნაწილი დიარბექირში გაეგზავნა, სადაც მულაის დუმენს უნდა შეერთებოდნენ და მზად ყოფილყვნენ სირიაში სალაშქროდ [1].

2. მონღოლთა ბატონობის დამხობა. ამიერკავკასიის ხალხების მდგომარეობა XIV—XV საუკუნეებში

მონღოლთა სამხრეთის სახელმწიფომ დაახლოებით ერთი საუკუნე იარსება და შემდეგ მალე გაქრა. ილხანთა [2] ბატონობის დამთავრება თვით მონღოლთა ჩამორჩენილობამ დააჩქარა. მონღოლები მათ მიერ დაპყრობილ, მაშინდელ კვალობაზე განვითარებულ ხალხებთან უმცირესობაში მოექცნენ და მათ ამ ხალხების გავლენა განიცადეს.

ეს მოვლენა ბუნებრივი იყო. მონღოლთა ჩამორჩენილი წყობა სრულებითაც არ შეეფერებოდა მათ მიერ დაპყრობილ, შედარებით განვითარებული ხალხების სახელმწიფოებრივ წყობას და ის უნდა გამქრალიყო. მართლაც, დროთა განმავლობაში მონღოლთა უფლისწულები და ნოინები ადგილობრივ ფეოდალებს დაემსგავსნენ. მონღოლთა საერთო ინტერესი დაივიწყეს და ის საკუთარი, ფეოდალური ინტერესებით შეცვალეს.

ამასთანავე, XIV საუკუნის დასაწყისში ირანის ილხანები გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ასწლიანი ბატონობის შედეგად, უამრავი გადასახადებითა და განუწყვეტელი ომიანობით მონღოლებმა დაპყრობილი ქვეყნები ეკონომიურად და ფიზიკურად გაანადგურეს. ამ ქვეყნებს ხარკის გადახდის უნარიანობა დაუკარგეს და ამით მონღოლთა ყაენის სალაროს შემოსავალი დიდად შეამცირეს.

ზემოთ აღნიშნულ გარემოებას ისიც დაემატა, რომ XIII საუკუნის 80-იანი წლებიდან მწვავე ბრძოლა დაიწყო მონღოლთა უფლისწულებს შორის ყაენის ტახტის დასაკავებლად. ამ გარემოებით ისარგებლეს დაპყრობილმა ქვეყნებმა და წარმატებით განავითარეს განმათავისუფლებელი ბრძოლა.

დაპყრობილი ქვეყნების მიერ წარმოებული განმათავისუფლებელი ბრძოლა დიდად ასუსტებდა მონღოლთა ბატონობას. ამ მხრივ

---

[1] Фазлуллах Рашид-ад-дин, გვ. 185.

[2] „ილხან" არაბულად ხალხის მბრძანებელს ნიშნავს. სამხრეთის, ე. ი. ირანის ყაენებს ხშირად ამ ტიტულით იხსენიებენ.

ამიერკავკასიის ხალხებმაც გარკვეული როლი შეასრულეს. ხშირი აჯანყებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა ქართლში XIII - XIV საუკუნეთა მიჯნაზე, მონღოლთა ძალებს ასუსტებდა და საკუთარი ქვეყნის განთავისუფლების დღეს აახლოებდა.

XIV საუკუნის 20-იანი წლებიდან თანდათან იწყებს დასუსტებას ამიერკავკასიაში მონღოლთა ბატონობა. ქართველებმა ყაენის სასახლეში დაწყებული დიდი არეულობით ისარგებლეს და სულ მალე თავიანთი მიწა-წყლიდან მონღოლთა ბრბოები განდევნეს, ამასთანავე ყაენს ხარკიც შეუწყვიტეს.

საქართველოს მიწა-წყლიდან მონღოლთა განდევნისათვის ბრძოლას მეფე გიორგი V ხელმძღვანელობდა. მისი მეფობის დროს (1314 — 1346). მონღოლთა ბატონობის ხანაში პოლიტიკურად დაშლილი საქართველო ისევ ერთ სამეფოდ გაერთიანდა. მაგრამ XII საუკუნის ძლიერება მან მაინც ვერ აღიდგინა.

მიუხედავად იმ დიდი ძნელბედობისა, რომელიც მონღოლთა ბატონობის ხანაში ამიერკავკასიის ხალხებს გადახდათ, სომხეთის გარკვეულმა ნაწილმა მაინც შეინარჩუნა საქართველოსთან ერთიანობა. XIV საუკუნის დამლევამდე ქ. ანისი და მთელი მისი ოლქი საქართველოს სამეფოში შემოდიოდა.

XIV საუკუნის 40-იანი წლებიდან მონღოლთა საყაენო უკვე დაშალა და მის ნანგრევებზე ბევრი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული აღმოცენდა. ადარბადაგანში, ანუ ირანის აზერბაიჯანში, თურქმანთა ერთ-ერთი ტომი გაბატონდა, რომელსაც შაებატკნიანებს უწოდებდნენ. მათ სამფლობელოში მოექცა აგრეთვე სომხეთის აღმოსავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონები.

თურქმანთა მეორე ტომი, რომელსაც თეთრბატკნიანებს უწოდებდნენ, ჩრდილო მესოპოტამიაში გაბატონდა და სომხეთის სამხრეთ-დასავლეთი რაიონები მის მფლობელობაში მოექცა.

ამრიგად, XIV საუკუნის 40-იანი წლებიდან სომხეთის დიდ ნაწილს თურქმანები დაეპატრონნენ, ხოლო ანისმა და მისმა ოლქმა ჯერჯერობით საქართველოსთან ერთიანობა შეინარჩუნა.

როგორც ზემოთ გავეცანით, ამიერკავკასიის ხალხთა პოლიტიკურმა შეკავშირებამ, რომელიც საქართველოს მეთაურობით მოხდა, უდიდესი როლი შეასრულა სომხური ეროვნების დამოუკიდებლობის შენარჩუნების საქმეში. ეს გარემოება სომეხ ხალხს კარგად ესმოდა და XIV საუკუნეშიაც მას მოძმე ქართველ ხალხთან ერთიანობა სურდა. მაგრამ სამხრეთიდან მოსული დამპყრობლები ამის საშუალებას არ იძლეოდნენ და თავიანთ სურვილებს სომეხ ხალხს ძალად თავს ახვევდნენ. ამ მხრივ XIV საუკუნის დასასრულიდან მდგომარეობა კიდევ უფრო რთული გახდა. ამ საუკუნის 80-იან

წლებში შუააზიელი მტარვალი თემურ-ლენგი დაესხა თავს ამიერკავკასიას. ახლა ამ საერთო, მეტად ვერაგ მტერს გაუმართეს ბრძოლა ამიერკავკასიის ხალხებმა. მტერმა საშინლად დაარბია საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანის გარკვეული რაიონები.

ქართული და უცხოური წყაროების თანახმად, თემურის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში ცოტა სისხლი როდი დაღვარეს ქართველმა და აზერბაიჯანელმა ხალხებმა; თემურის ლაშქარი, დროგამოშვებით, 14 წლის განმავლობაში (1387 წლიდან 1401 წლამდე) იბრძოდა ალინჯის ციხის ასაღებად, რომელიც ნახჩევნის ახლო, მდინარე ალინჯას ნაპირზე ციცაბო კლდეზე იყო აშენებული. 1397 წელს, როდესაც თემური ამ ციხეს ძლიერი ლაშქრით უტევდა, შაქის მმართველ სეით ალისა და მის ლაშქართან ერთად ალინჯის მცველთა დასახმარებლად ქართველი რაზმებიც გამოცხადდნენ. თუმცა ბრძოლაში შაქის მმართველი სეით ალი დაიღუპა, „მაგრამ ქართველთა და აზერბაიჯანელთა შეერთებულმა ძალებმა დაამარცხეს მტერი და აიძულეს ის ალყა მოეხსნა ალინჯის ციხისათვის“ [1]. მართალია, ეს გამარჯვება დროებითი იყო და ამის შემდეგ კიდევ ბევრი უბედურება მოუტანა თემურ-ლენგმა ამიერკავკასიის ხალხებს, მაგრამ ამჯერად ძალთა გაერთიანებამ ორი მოძმე ხალხის ლაშქარს გამარჯვება არგუნა.

საქართველოს მეზობელ შარვანს, ოქროს ურდოსთან ბრძოლაში მისი გამოყენების მიზნით, შედარებით ნაკლები ზიანი მიაყენა თემურ-ლენგმა. მაგრამ აიძულა შარვანის მმართველი იბრაგიმი თემურის სასარგებლოდ ომებში მიეღო მონაწილეობა. ამის შემდეგ იბრაგიმი ცდილობდა თემურ-ლენგი და საქართველოს მეფე გიორგი VII შეერიგებინა. მან შუამდგომლობა იკისრა თემურსა და გიორგის შორის და ცდილობდა თავიდან აეცილებინა ორთავე ხალხისათვის, ქართველებისა და აზერბაიჯანელებისათვის შუააზიელი მტარვალის რისხვა.

თემურ-ლენგის სისხლიანმა მრავალმა ლაშქრობამ, მის წინააღმდეგ ჩვიდმეტწლიანმა (1386 — 1403) მკაცრმა თავდაცვითმა ომმა დიდად დააზარალა ამიერკავკასიის ხალხები, ძალზე დაასუსტა საქართველოს სახელმწიფო ძლიერება. ამ ლაშქრობის დროს შუააზიელმა მტარვალებმა ბევრი ისეთი ზიანიც მიაყენეს ამიერკავკასიის ხალხებს, რომელთა გამოსწორება შემდეგ შეუძლებელი გახდა. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, ამიერკავკასიის ხალხთა ნორმალურ ურთიერთობასაც ძლიერი ლახვარი ჩასცა.

თემურ-ლენგი 1405 წელს გარდაიცვალა და მის მიერ შექმნილი იმპერიაც მალე დაიშალა. თემურის შთამომავლებმა ურთიერთ შორის გააჩაღეს ბრძოლა სამფლობელოებისათვის. სამხრეთ აზერბაიჯან-

[1] **История Азербайджана**, I, გვ. 200.

ში დაიწყო მკაცრი და გაბედული აჯანყება მათ წინააღმდეგ. ამიერკავკასიის ხალხებიც ამ ამბავს გულგრილად ვერ შეხვედებოდნენ. საქართველოს მეფემ და შარვანის მმართველმა კავშირი შეკრეს ერთმანეთთან. სამხრეთ აზერბაიჯანში თემურ-ლენგის შვილიშვილი ომარი იყო გაბატონებული. ქართველებმა და აზერბაიჯანელებმა ბრძოლა გაუმართეს ომარის ლაშქარს მტკვრის სანაპიროზე. ამ ბრძოლაში ომარმა უდიდესი ზარალი ნახა. ამის შემდეგ თემურის შთამომავლებს დიდხანს აღარ უბოგინიათ, მაგრამ შემდეგ ამიერკავკასიის სამხრეთით, ისევ თურქმანებმა წამოყვეს თავი და ჩრდილოეთისაკენ გამოილაშქრეს. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა საქართველოს მეფე გიორგი VII. მონღოლთა ასწლიანი ბატონობისა და თემურ-ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობების შედეგად მოქანცულმა ამიერკავკასიის ხალხებმა კიდევ სცადეს ძალთა გაერთიანება.

თურქმანთა ერთი შტოს მეთაური ყარა-იუსუფი შარვანსა და შაჰს დაემუქრა. უკანასკნელებს საქართველო მიეშველა. სამწუხაროდ, ბრძოლა, რომელიც მოპირდაპირეთა შორის გაიმართა, თურქმანების გამარჯვებით დამთავრდა. მათ ტყვედ ჩაიგდეს ხელში საქართველოს მეფე კონსტანტინე, შარვანის მმართველი იბრაგიმი და ბევრი სხვა ქართველი და აზერბაიჯანელი. შარვანის მმართველი გამოსყიდულ იქნა 1200 თუმნად, ხოლო კონსტანტინე მეფე და მისი თანამებრძოლი ქართველი მხედართმთავრები სიკვდილით დასაჯეს.

კონსტანტინეს სიკვდილით დასჯის შესახებ სომეხი ისტორიკოსი მათეოს განძასარელი წერს: „მწარე შეიქნა დრო და გამეფდა ვინმე თურქმანი სახელად უ ს უ ფ ი რომ ჰქვია... მეოთხე მხეცის, თამურის, აღფხვრისას, რომელიც მკელობელად[1] იწოდება, გაძლიერდა უ ს უ ფ ი, შეებრძოლა მის [თემურის] შვილებს სამჯერ და მოკლა ისინი. ხოლო დარჩენილები ლტოლვილნი წავიდნენ თავიანთ ქვეყანაში. ნამდვილი ხანი კი, რომელსაც ა ჰ მ ა დ ი ერქვა და რომელიც თავისი ნებით ბაბილონიდან მოვიდა ქალაქ თავრეზს, მასზედაც კი აღდგა უსუფი და მოკლა იგი. აქედან გადარჩა მხოლოდ შირვანის ამირა, რომლის განდგომისას სამჯერ წამოვიდა მასზე უსუფი და უკანასკნელად მოსვლის დროს შეიპყრა იგი და მრავალი (სხვა). მათ შორის მოკლა ქართველთა უბედური მეფეც კონსტანტინე, რომელიც შირვანის მთავრის დასახმარებლად მოსულიყო; ქვეყანაც იავარყო და წავიდა“[2].

---

[1] მკელობელი — კოჭლი.

[2] ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, მათეოს განძასარელის ცნობა ქართველთა მეფის კონსტანტინეს შესახებ, „ენიმკის მოამბე“, 1940, ტ. V—VI, გვ. 51.

თურქმანებმა დიდი საფრთხის წინაშე დააყენეს ამიერკავკასიის ხალხები. ამიერიდან მათ საბოლოოდ ჩამოაცილეს საქართველოს სომხური თემები. როგორც სომხურ თემებში, ისე ქვემო ქართლის ზოგიერთ რაიონში ჩამოთესლება დაიწყეს ამ დაუპატიჟებელმა სტუმრებმა.

XV საუკუნის პირველ ნახევარში ქართველებმა ერთხელ კიდევ სცადეს დახმარების ხელი გაეწოდებინათ მოძმე სომეხი ხალხისათვის. ალექსანდრე პირველის მეფობის დროს (1412—1443) საქართველოს შემოუერთდა სივნიეთი და სომეხთა მიერ დასახლებული სხვა ზოგიერთი თემი. მაგრამ მრავალწლიანი თავდაცვითი ომების შედეგად დასუსტებულმა და შინაგან სიმტკიცეს მოკლებულმა საქართველომ ამაზე შორს წასვლა ვეღარ შეძლო. ხოლო დამპყრობთა მძიმე უღელქვეშ მყოფ სომეხ ხალხს სომეხ-ქართველთა გაერთიანებისათვის ბრძოლის შესაძლებლობა არ ჰქონდა და სომხეთი და საქართველო ვეღარ გაერთიანდა.

თურქმანთა თარეშმა და ბატონობამ დიდად შეაწუხა სომეხი ხალხი. სამეურნეო, სახელმწიფოებრივი და კულტურული ცხოვრების დიდი გამოცდილების მქონე სომეხი მოსახლეობა თურქმანთა ბატონობას ვერ ეგუებოდა და მის წინააღმდეგ თავდადებით იბრძოდა. მაგრამ მტერი სამხედრო თვალსაზრისით შედარებით ძლიერი იყო და მისი დამარცხება ძნელი ხდებოდა, ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, სომეხი მოსახლეობა მამაპაპეულ მიწა-წყალს ტოვებდა და სხვაგან გარბოდა.

ახლაც, ისე როგორც სხვა შემთხვევებში, გაქცეული სომეხი მოსახლეობა საიმედო თავშესაფარს საქართველოში პოულობდა, აქ მოდიოდა და სახლდებოდა. XV საუკუნის პირველ ნახევარში სომეხი მოსახლეობის მრავალი ათასი სული გადმოსახლდა საქართველოში.

თავი IX

ამიერკავკასიის ხალხები ოსმალეთისა და სპარსეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში

1. თურქ-ოსმალთა სახელმწიფოსა და სეფიანთა სპარსეთის გაძლიერება

XV საუკუნის მეორე ნახევარში ორი უდიდესი მტერი დაუმეზობლდა ამიერკავკასიის ხალხებს: სამხრეთ-დასავლეთით, სამხედრო თვალსაზრისით მეტად ძლიერი, მაგრამ საზოგადოებრივი განვითარების მხრივ ჩამორჩენილი თურქ-ოსმალთა სახელმწიფო აღიმართა, ხოლო სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით სეფიანთა სპარსეთი ჩამოყალიბდა.

ყველაზე დიდი ზიანი, თუ ოდესმე ვინმეს ამიერკავკასიის ხალხებისათვის მიუყენებია, ზემოაღნიშნულმა ორმა მტაცებელმა სახელმწიფომ მიაყენა მათ. ოსმალეთი და სპარსეთი, რომელთათვისაც არ არსებობდა ომისა და ზავის ნორმები, საუკუნეთა განმავლობაში სისხლიდან ცლიდნენ ამიერკავკასიის ხალხებს.

ვინ იყვნენ თურქ-ოსმალები და საიდან გაჩნდნენ ისინი დღევანდელი თურქეთის მიწა-წყალზე? თურქ-ოსმალთა წინაპრების პირველი მომთაბარე ტალღა XI საუკუნეში მოვიდა შუა აზიიდან წინა აზიასა და მცირე აზიაში. ისინი ზემოთ დასახელებული თურქ-სელჩუკები იყვნენ, რომელთა ერთმა ნაწილმა XI საუკუნეში ამიერკავკასიის ხალხებს სიცოცხლე გაუმწარა და XII საუკუნის დასაწყისში განდევნილ იქნენ დავით აღმაშენებლის მეთაურობით.

თურქ-სელჩუკთა მიერ დაპყრობილ მცირე აზიის მიწა-წყალზე XII საუკუნეში რუმის სასულთნო ჩამოყალიბდა, რომელსაც თამარის მეფობის დროს საქართველოსთან მტრული დამოკიდებულება ჰქონდა. აქ გაბატონებული თურქ-სელჩუკები მათ მიერ დაპყრობილი ხალხებისა და მეზობელი ქვეყნების ნაძარცვით ცხოვრობდნენ.

თურქ-ოსმალთა წინაპრების მეორე ტალღა, შედარებით უფრო მცირე, იგივე ოგუზთა მოდგმის თურქთა სახით, მონღოლების მიერ დევნილ ხვარაზმ-შაჰთან, ჯალალ-ედინთან ერთად XIII საუკუნის 20-იან წლებში მოვიდა აღმოსავლეთიდან. ისინი რუმის სულთნის სამსახურში ჩადგნენ და უკანასკნელმა ბიზანტიის იმპერიის საზღვარზე მათ მეთაურს ერტოგრულს ფეოდალური სამფლობელოები უწყალობა. ერტოგრულმა თავის ქვეშევრდომები აქ დაასახლა და რუმის სულთანს დაემორჩილა.

XIII საუკუნის შუა რიცხვებში რუმის სულთანი მონღოლებმა დაიმორჩილეს და თავიანთ ქვეშევრდომად და მოხარკედ აქციეს. ხოლო XIII—XIV საუკუნეთა მიჯნაზე რუმის სასულთნო რამდენიმე დამოუკიდებელ საამიროდ დაიშალა. ამავე დროს დამოუკიდებლობა მოიპოვეს აგრეთვე იმ თურქებმა, რომლებიც ერტოგრულის მეთაურობით სულთანმა ბიზანტიის მოსაზღვრე მიწა-წყალზე დაასახლა. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მათ ერტოგრულის შვილი და მემკვიდრე ოსმან-ბეი (დაახლოებით 1281—1326 წწ.) მეთაურობდა. მან, პირველ ყოვლისა, მონათესავე თურქთა ტომები გააერთიანა, ხოლო შემდეგ თავისი სამფლობელო დიდ სახელმწიფოდ აქცია და ამ სახელმწიფომ მისი პირველი ფუძემდებლის, ოსმანის სახელწოდება მიიღო. ამიტომ ამ სახელმწიფოში გაერთიანებულ და გაბატონებულ თურქებს ამიერიდან თურქ-ოსმალებს ეძახიან.

თურქ-ოსმალთა ამ ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოს თავისი ტერიტორიის დიდი გაფართოების შესაძლებლობა ჰქონდა. განსაკუთრებით მას თავისი ტერიტორია ბიზანტიის იმპერიის მიწა-წყლის ხარჯზე შეეძლო გაეზარდა იმიტომ, რომ ერთ დროს ძლიერი ბიზანტიის იმპერია ახლა დასუსტებული იყო და სამხედრო თვალსაზრისით ძლიერ თურქ-ოსმალებს დიდ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა.

ოსმანის მემკვიდრეებმა ბიზანტიის იმპერიის ქვეშევრდომი მრავალი ქვეყანა დაიპყრეს. დიდად გაძლიერდნენ და XIV საუკუნის დამლევს ამ იმპერიის დედაქალაქს კონსტანტინეპოლს მიუახლოვდნენ. თურქ-ოსმალები ამ დროს ისე გაძლიერდნენ, რომ მათმა ძლიერებამ ევროპის ბევრი სახელმწიფო ძალზე შეაშინა და საგონებელში ჩააგდო. თურქ-ოსმალები წარმატებით აწარმოებდნენ შეტევას ევროპის ტერიტორიაზე, მაგრამ ამ გაუკითხავ, მძარცველ დამპყრობლების წინსვლა მეორე მძარცველ-დამპყრობთა ძალამ, თემურ-ლენგის ლაშქარმა შეაჩერა.

1402 წელს ქ. ანგორასთან ანუ ანკარასთან დიდი ბრძოლა მოხდა თურქ-ოსმალებსა და თემურის ლაშქარს შორის. ამ ბრძოლაში თურქ-ოსმალთა ლაშქარმა სასტიკი დამარცხება განიცადა და მათი სულთანი ბაიაზეთ პირველი ტყვედ ჩაუვარდა თემურ-ლენგს.

ამ დამარცხების შედეგად თურქ-ოსმალთა სახელმწიფოში არეულობა დაიწყო. მცირე აზიის ფეოდალურმა ერთეულებმა დამოუკიდებლობისათვის დაიწყეს ბრძოლა, ხოლო ბაიაზეთის შთამომაგლებმა ტახტისათვის გაუმართეს ომი ერთმანეთს. ამასთანავე, ფეოდალთა მიერ შეწუხებული გლეხების დიდი აჯანყებებიც დაიწყო და. ყოველივე ამან თურქ-ოსმალთა გაძლიერება დროებით შეაჩერა.

მაგრამ XV საუკუნის 40-იანი წლებიდან, ფეოდალების მიერ გლეხთა დიდი მოძრაობის ჩაქრობისა და შინაგანი მდგომარეობის დაწყნარების შემდეგ, თურქ-ოსმალებმა ისევ განაახლეს შეტევა. დაიპყრეს ბევრი ქვეყანა და 1453 წელს ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი კონსტანტინეპოლიც აიღეს. ამით დამთავრდა ერთ დროს ძლიერი და კულტურული ბიზანტიის იმპერიის არსებობა და მის მაგიერ სამხრეთ-დასავლეთით ამიერკავკასიას მეტად აგრესიული, უკულტურო და ძლიერი თურქ-ოსმალები დაუმეზობლდნენ.

თურქ-ოსმალებს მეზობელ სახელმწიფოებთან ნორმალური ურთიერთობა არ შეეძლოთ. ისინი სხვა ხალხების ნაძარცვით ცხოვრობდნენ და ძარცვაზე ხელს არ იღებდნენ. ამიტომ ამიერკავკასიის საზღვრებთან მათი მოახლოება უბედურების მოახლოებას ნიშნავდა.

XV საუკუნის 50-იანი წლების დასასრულს ევროპის დაინტერესებულ წრეებთან და მეზობელ სახელმწიფოებთან ერთად ქართველები თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ საომარ მზადებას შეუდგნენ. ახლაც, მცირე სომხეთის მმართველი, როგორც მოკავშირე. დაუყოვნებლივ ამოუდგა ქართველებს მხარში და ბრძოლისათვის სამზადისს შეუდგა. მაგრამ, სამწუხაროდ, თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის მოკავშირეთა გეგმები ჩაიშალა და სომხებისა და ქართველების იმედიც აღარ გამართლდა.

თუ სამხრეთ-დასავლეთით ამიერკავკასიის ხალხებისათვის ასეთი საშიში პირობები შემზადდა, უკეთესი მდგომარეობა, როგორც ნათქვამი იყო, არც სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩანდა.

XV—XVI საუკუნეთა მიჯნაზე თურქმანთა ძველი დინასტია ირანში ახალმა დინასტიამ შესცვალა. უკანასკნელი დინასტიის პირველი შაჰი (1502—1524 წწ.) ისმაილი იყო. ის არდაველის შეიხის, მაჰმადიანთა სასულიერო პირის, სეფი-ედდინის [1] შთამომავალი იყო და ამიტომ ისმაილსა და მის შთამომავლებს სეფიანებს ეძახდნენ.

[1] ცხოვრობდა 1254—1334 წლებში.

ხოლო თურქთა იმ ტომებს, რომლებიც ისმაილის სამხედრო ძალას შეადგენდნენ და გაბატონდნენ, ყიზილბაშებს[1] უწოდებდნენ.

სეფიანების სახელმწიფო ძველი ადარბადაგანის — ირანის აზერბაიჯანის მიწა-წყალზე ჩამოყალიბდა. ამ სახელმწიფოს სატახტო ქალაქი პირველ ხანებში იყო თავრიზი.

ეს ორი აგრესიული სახელმწიფო — თურქ-ოსმალეთისა და სეფიანთა სპარსეთისა — გამანადგურებლად მოევლინნენ ამიერკავკასიის ხალხებს. ისინი, ისე როგორც სამხრეთიდან ხშირად მოსული სხვა მტრები, პირველ ყოვლისა სომხეთსა და ჩრდილო აზერბაიჯანს მიწვდნენ.

1500 წელს, ე. ი. მანამდე, სანამ სეფიანები ირანის შაჰის ტახტს დაეპატრონებოდნენ, ყიზილბაშებმა მტკვარი გადმოლახეს და შარვანის მიწა-წყალზე შეიჭრნენ. შარვანელებმა გულისტანის ციხე-სიმაგრის ახლოს, ჯაბანის მიდამოებში, ბრძოლა გაუმართეს მტერს, მაგრამ დამარცხდნენ. 1501 წელს ყიზილბაშთა ლაშქარი ბაქოს მიადგა. მიუხედავად ბაქოელთა დიდი წინააღმდეგობისა მტერმა მაინც შეძლო ბაქოს აღება. მტერს დიდი ბრძოლა დასჭირდა შაქისა და შარვანის დასამორჩილებლად, მაგრამ 1538 წელს შარვანი, ხოლო 1551 წელს შაქი დაიმორჩილა და, ამრიგად, შეძლო ეს მხარეები თავის პროვინციებად გაეხადა. შაჰ-ისმაილის დროს სეფიანების სახელმწიფო დიდად გაძლიერდა. მან დაიპყრო ირანის დიდი ნაწილი, ხელთ იგდო ერაყის დედაქალაქი ბაღდადი და მცირე აზიის რიგ რაიონებსაც დაეპატრონა. ხორასნისათვის ბრძოლაში დაამარცხა უზბეკთა წინამძღოლი შეიბანხანი და მისი ქვეყანაც დაიპყრო, რომელსაც უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ კიდევ XVI საუკუნის პირველი ათეული წლების დასასრულს სეფიანთა სახელმწიფო გადაჭიმული იყო ამუ-დარიიდან ევფრატამდე. ამასთანავე, შაჰ-ისმაილის მოღვაწეობის დროს სეფიანებმა სომხეთიც დაიმორჩილეს და სომეხ ხალხს მძიმე უღელი დაადგეს.

ყიზილბაშებმა სომხეთში ფეოდალური მიწათმფლობელობის თავიანთი წესები შემოიღეს. ეს წესები სრულებითაც არ იყო მისაღები შედარებით განვითარებული ფეოდალური მიწათმფლობელობის მქონე სომეხი ფეოდალებისათვის. მაგრამ კიდევ უფრო დიდი უბედურების მომტანი იყო ის სომეხი მწარმოებელი საზოგადოებისათვის,

---

[1] სეფიანთა პირველ შაჰის — ისმაილის მამამ თავის ქვეშევრდომ თურქთა ტომებს საჭალდებულოდ გაუხადა ეტარებინათ წითელლენტშემოჭედებული დოლბანდი. ანუ თავსაბურავი — შალმა. ამიტომ ამ ტომებს „ყიზილბაშებს", ე. ი. წითელთავიანებს, ეძახდნენ.

რომელსაც დამპყრობლები და საკუთარი ქვეყნის ფეოდალები ყველა უნდა დაეკმაყოფილებინა. ამიტომ სომეხი ხალხი დამპყრობთაგან თავის განთავისუფლებას მუდამ ცდილობდა. მაგრამ ის ახლა მეზობელ საქართველოს მიერ მხოლოდ მორალურ მხარდაჭერას პოულობდა.

XVI საუკუნეში საქართველო უკვე რამდენიმე სამეფო-სამთავროდ იყო დაყოფილი. ეს სამეფო-სამთავროები მეფე-ფეოდალების ჟინიანობის წყალობით ხშირად ერთიმეორეს ებრძოდნენ და ამით თავიანთ ქვეყანას დიდად ასუსტებდნენ. ახლა ისინი არამცთუ მეზობელ სომხეთს ვერ ეკომაგებოდნენ, არამედ საკუთარ ქვეყანაში შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაშიც ვერ ერთიანდებოდნენ.

თურქ-ოსმალებმა ჯერ კიდევ XV საუკუნის 60-იანი წლების დასწყისში ტრაპიზონის იმპერია დაიპყრეს და საქართველოს სამეფოს საზღვრებს უშუალოდ მოადგნენ. უკანასკნელი მარტო აღმოჩნდა ვერაგი მტრის პირისპირ. სულ მალე დაიწყო მეტად მკაცრი, სისხლისმღვრელი და დაუსრულებელი თავდაცვითი ომი ქართველი ხალხისა ვერაგი მტრის წინააღმდეგ. მოძმე სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხებს ისე არ შეეძლოთ ახლა ქართველი ხალხისადმი დახმარების აღმოჩენა, როგორც ქართველ ხალხს მათთვის არ შეეძლო დახმარების გაწევა.

XVI საუკუნის დასაწყისში ორმა მტაცებელმა — ოსმალეთმა და სეფიანთა სპარსეთმა ურთიერთშორის დაიწყეს ომი. ეს ომი მეტად მკაცრი, ხანგრძლივი იყო და ის ძირითადად ამიერკავკასიისა და მისი სამხრეთელი მეზობელი ქვეყნების მიწა-წყალზე მიმდინარეობდა. ამ ომის დროს ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხებს მტრები შეუბრალებლად ანადგურებდნენ და მათ საბოლოო დამორჩილებას ცდილობდნენ.

1555 წელს, როგორც ცნობილია, ზავი დაიდო სულთანსა და შაჰს შორის. ამ ზავის თანახმად, დასავლეთ საქართველო და სამცხის დასავლეთი ნაწილი, აგრეთვე სომხეთის რაიონები — ვასპურაკანი და ბაიაზეთ-ალაშკერტის მხარეები, სულთანს ხვდა, ხოლო აღმოსავლეთი საქართველო და სომხეთის აღმოსავლეთი რაიონები შაჰის მფლობელობაში იქნა ცნობილი. მის მფლობელობაში იქნა ცნობილი აგრეთვე შაქი-შარვანიც. მაგრამ ამიერკავკასიის ხალხები ამ შეთანხმებას არ სცნობდნენ და მტრებს ებრძოდნენ. ისინი, რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მყოფნი და ძალთა გაერთიანების შესაძლებლობას მოკლებულნი, ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად ებრძოდნენ მტრებს. თურქ-ოსმალთა სულთანმა სომხეთის მიწა-წყალზე უცხო ტომთა ჩამოსახლება გააძლიერა. არარატის მიდამოებში და ვანის ტბის სანაპიროებზე ქურთთა მრავალრიცხოვანი მოსახლეობა იქნა ჩამოსახლებული.

სეფიანთა მბრძანებლებმა ძარცვა დაუწყეს აღმოსავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ სომხეთსა და შაქი-შარვანის რაიონებს. დაიწყო მწვავე ბრძოლა სეფიანთა ძალადობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას, როგორც ცნობილია, ყველაზე უფრო მკაცრი ხასიათი ქართლში ჰქონდა. აქ ბრძოლის მედროშე ჯერ ლუარსაბ პირველი (1534—1556), ხოლო შემდეგ სიმონ პირველი (1556—1600) იყო. ქართლის გმირული ბრძოლა მთელი ამიერკავკასიის ხალხებისათვის იყო მაგალითის მიმცემი.

თურქ-ოსმალთა სულთანი კმაყოფილი არ იყო 1555 წლის ზავით, იგი მუდამ იმას ოცნებობდა, რომ ხელსაყრელი დრო ეშოვა და ამიერკავკასიას მთლიანად დაპატრონებოდა. მალე მას ასეთი დროც დაუდგა.

XVI საუკუნის 70-იან წლებში ყიზილბაშთა სახელმწიფოს შინაგანი მდგომარეობა მეტად გართულდა. სეფიანთა მაშინდელი შაჰის თამაზ პირველის მიერ შემოღებულმა უდიდესმა გადასახადებმა მწარმოებელი საზოგადოება გააღატაკა, ქვეყანას შავი ჭირი მოედო. ყიზილბაშთა სახელმწიფოს ასეთი ვითარებით მისმა აღმოსავლეთელმა მეზობელმა უზბეკთა ხანმა ისარგებლა და ხორასანს შემოუტია. 1576 წელს შაჰთამაზი გარდაიცვალა და ყიზილბაშთა სახელმწიფოს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. სეფიანთა საგვარეულოს წევრებს შორის დაიწყო ბრძოლა შაჰის ტახტისათვის, რომელმაც დიდხანს გასტანა. ამასთანავე ბევრ მხარეში დაიწყო სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის მოძრაობა, რომელმაც სოციალური ბრძოლის ხასიათი მიიღო.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულით თურქ-ოსმალთა სულთანმა ისარგებლა, ყიზილბაშთა სახელმწიფოსთან დადებული ზავი დაარღვია და 1578 წელს სეფიანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ომი დაიწყო. სულთანმა თავისი ლაშქრის უდიდესი ნაწილი საქართველოს მიუსია, ხოლო მეორე ნაწილი სომხეთ-აზერბაიჯანისაკენ დაძრა. თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ მეტად მწვავე თავდაცვით ომში ჩაებნენ ამიერკავკასიის ხალხები. ამ ომის დროს მტერმა უდიდესი ზიანი მიაყენა ამიერკავკასიის ქვეყნებს. მარტო სომხეთიდან 100 ათასამდე ადამიანი იქნა წაყვანილი ტყვედ, რომლებიც ეგვიპტისა და სხვა ქვეყნების ბაზრებზე იქნენ გაყიდულნი [1].

ბრძოლა ყიზილბაშთა სახელმწიფოსა და თურქ-ოსმალთა შორის, რომელიც ერთ ათეულ წლებზე მეტ ხანს გაგრძელდა, თურქ-ოსმალთა გამარჯვებით დამთავრდა. 1590 წელს მოპირდაპირეთა შორის ზავი დაიდო, რომლის თანახმად მთელი ამიერკავკასია და სამხრეთ აზერბაიჯანი თურქ-ოსმალთა მფლობელობაში იქნა აღიარებული.

---

1. **История армянского народа**, I, 1951, გვ. 219.

ამრიგად, ამიერკავკასიის ხალხებისათვის მეტად საძულველი მტრები ფეხქვეშ თელავდნენ ამ ხალხების ინტერესებს. ისინი ხელიდან გლეჯდნენ ერთიმეორეს ამიერკავკასიის ქვეყნებს, ზოგჯერ კი შეთანხმდებოდნენ და ინაწილებდნენ ისე, როგორც საკუთარ ქონებას.

ორი ბარბაროსი მტრის წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლაში ამიერკავკასიის ხალხთა დამხმარე ძალა ჯერ არსად ჩანდა; დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან არაფერი გამოდიოდა, ხოლო რუსეთის სახელმწიფო, თუმცა ამიერკავკასიის ხალხებთან დაკავშირებას ცდილობდა, მაგრამ მისი ძალა და გავლენა ჯერ-ჯერობით სამხრეთით ისე შორს ვერ გავრცელებულიყო, რომ ამიერკავკასიის ხალხთა ინტერესებს აქტიურად გამოჭომაგებოდა. ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიის ხალხები საკუთარი ძალის ამარა რჩებოდნენ, მაგრამ მტრების მიერ დანაწილებულნი და რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მყოფნი, ძალთა გაერთიანების შესაძლებლობას მოკლებულნი იყვნენ.

ოსმალო-დამპყრობლებმა ენერგიულად მოკიდეს ხელი ამიერკავკასიის ხალხთა გათურქებას, მაგრამ ისინი უდიდეს წინააღმდეგობას წააწყდნენ. მოძალადე დამპყრობთა წინააღმდეგ სამართლიანი ბრძოლის მაგალითს ახლაც ქართლი იძლეოდა; ქართლის პატრიოტებმა საშუალება არ მისცეს მტერს აქ მიწათმფლობელობისა და სახელმწიფო მართვა-გამგეობის ოსმალური, ჩამორჩენილი წესები გაევრცელებინა. მაგრამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველომ, სამცხე-საათაბაგომ ეს უბედურება თავიდან ვერ აიცილა.

XVI საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემაძრწუნებელი ტრაგედია. განვითარებულ ქართულ ფეოდალურ კულტურასა და მეურნეობას ოსმალობის სახით თავს დაატყდა დიდი უბედურება; ცეცხლითა და მახვილით დაიწყეს ოსმალებმა მიწათმფლობელობის თავიანთი ჩამორჩენილი წესების, მართვა-გამგეობისა და რელიგიის გავრცელება. მიწათმფლობელობისა და პროვინციების მართვა-გამგეობის წესები ოსმალეთში ისე იყო მოწყობილი, რომ ვინც მაჰმადიანი არ იყო, ის მიწათმფლობელობის უფლებას ვერ შეინარჩუნებდა. ოსმალთა სახელმწიფოში მხოლოდ სამხედრო პირი შეიძლებოდა ყოფილიყო მიწათმფლობელი, ხოლო სამხედრო პირად გახდომის უფლება მხოლოდ მაჰმადიანს ჰქონდა. ამ გარემოებამ ბევრი ქართველი ფეოდალი აიძულა მაჰმადიანობა მიეღო.

დასავლეთ სომხეთში ადრე დაიწყეს თურქ-ოსმალებმა თავიანთი მართვა-გამგეობის წესებისა და მიწათმფლობელობის ფორმების გავრცელება, რასაც სომეხმა მოსახლეობამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა, მაგრამ მან ამ უბედურებას თავი მაინც ვერ დააღწია. აზერბაიჯანს XVI საუკუნის 80-იან წლებში ეწვივნენ თურქ-ოს-

მალები. თუმცა დროებით, იქაც გაავრცელეს თავიანთი მართვა-გამგეობის წესები. ამასთანავე, აზერბაიჯანელ ხალხს ძალად ახვევდნენ თავს სუნიტურ [1] რელიგიას და დევნიდნენ შიიზმის მიმდევრებს.

ამრიგად, 1590 წლის ზავით ამიერკავკასიის ხალხები ყველა თანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდა; ისინი ცალ-ცალკე, მაგრამ ყველა ერთ საერთო მტერს ებრძოდნენ. თუმცა ამ ბრძოლის შედეგი ყველგან ერთნაირი არ იყო.

თურქ-ოსმალებმა ამიერკავკასიაში მოპოვებული გამარჯვება დიდხანს ვერ შეინარჩუნეს. ყიზილბაშთა მბრძანებელმა — შაჰ-აბასმა, რომლის რეზიდენცია ყაზვინში იყო, შემდეგ ტახტი სპარსეთის სიღრმეში, ისპაჰანში გადაიტანა და ივი ომისათვის მზადებას შეუდგა. მან ჯერ სეფიანთა სახელმწიფოს შინაგანი მდგომარეობის გამოსწორებას მიაქცია ყურადღება; დაამარცხა მოწინააღმდეგეები, მიიღო ზომები სახელმწიფო სალაროს შემოსავლის გასადიდებლად; ინგლისის სამხედრო სპეციალისტების დახმარებით მოახდინა სამხედრო დარგში სათანადო რეფორმა და შექმნა რეგულარული ჯარი. ამასთანავე, თურქ-ოსმალთა სახელმწიფოში შინაგანი არეულობა დაიწყო; ატყდა ბრძოლა ტახტისათვის, ბევრ მხარეში დაიწყო გლეხთა მღელვარება. ამ გარემოებით უკვე ომისათვის მომზადებულმა შაჰ-აბასმა ისარგებლა, 1602 წელს დაარღვია სულთანთან დადებული ზავი და ოსმალეთს ომი გამოუცხადა.

სამხრეთ აზერბაიჯანიდან თურქ-ოსმალთა განდევნის შემდეგ ირანის მბრძანებელმა საბრძოლო მოქმედება სომხეთის მიწა-წყალზე

---

[1] მუსლიმანურ რელიგიაში ორი ძირითადი მიმართულება გამოირჩევა: პირველი არის სუნიტური მიმართულება, ხოლო მეორე შიიტური. სუნიტები ყურანთან (მაჰმადიანთა ძირითად „საღვთო წიგნთან") ერთად „სუნას"—მუსლიმანურ „საღვთო გადმოცემას" აღიარებენ, ხოლო შიიტები მხოლოდ ყურანს ცნობენ და ზეპირ „საღვთო გადმოცემას" უარყოფენ.

აღნიშნული მიმდინარეობანი VII საუკუნის მეორე ნახევარში, მეოთხე ხალიფა ალის (656—661) მოღვაწეობის დროს, ხელისუფლებისათვის პოლიტიკური ბრძოლის ნიადაგზე წარმოიშვა.

არაბთა საგვარეულო არისტოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში ხალიფა ალის თავის მომხრე პარტია (=შია) პყავდა. პირველ ხანებში ამ პარტიას „ალის შიას" („ალის პარტიას") უწოდებდნენ. შემდეგ კი „შია" აღნიშნული რელიგიური მიმდინარეობის სახელად დარჩა. შიას მიმდევრები ხალიფა ალის და მის შთამომავლებს სცნობდნენ მხოლოდ და სხვას ებრძოდნენ.

მაჰმადიანურ სამყაროში უმრავლესობას სუნიტები შეადგენენ, მაგრამ ერაყის, ირანის, იემენისა და აზერბაიჯანის მოსახლეობის უმრავლესობა შიიტობის მიმდევარია.

გადაიტანა. ამიერკავკასიის ხალხთა ერთი მტრის, თურქ-ოსმალეთის ლაშქარი შაჰ-აბასმა აღმოსავლეთ სომხეთიდან განდევნა, მაგრამ ყიზილბაშმა მტარვალმა თვით დაატეხა სომეხ ხალხს დიდი უბედურება: საომარი მოქმედების დროს ირანის ლაშქრის სამსახურსა და სამხედრო მნიშვნელობის სამუშაოებს მრავალი ათასი სომეხი შეეწირა, ხოლო აღმოსავლეთ სომხეთიდან თურქ-ოსმალთა განდევნის შემდეგ 350 ათასამდე სომეხი შაჰ-აბასის ბრძანებით მშობლიური მიწა-წყლიდან აყრილი და გადასახლებული იქნა [1]. გაუბედურებული სომეხი მოსახლეობა მტარვალისაგან თავის დაღწევის მიზნით გაქცევას ცდილობდა. ახლაც მშობლიური მიწა-წყლიდან აყრილმა მრავალმა სომეხმა აღმოსავლეთ საქართველოსა და შაქი-შარვანის მიწა-წყალზე ჰპოვა თავშესაფარი. თუმცა ერთი ათეული წლის შემდეგ ირანში გარეკილ სომხებს შაჰ-აბასმა უკან დაბრუნების ნება დართო, მაგრამ მრავალი ათასი სომეხი თავის სამშობლოს ვეღარ დაუბრუნდა და სომხეთისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებაც შეუძლებელი გახდა.

ყიზილბაშებმა შეძლეს გაედევნათ ამიერკავკასიის მიწა-წყლის უდიდესი ნაწილიდან თურქ-ოსმალები. 1612 წელს მეომარ მხარეთა შორის ზავი დაიდო და 1555 წლის საზავო პირობები იქნა აღდგენილი. მაგრამ შაჰ-აბასის ეს გამარჯვება მარტო ირანის სამხედრო ძლიერების შედეგი როდი იყო. თურქ-ოსმალთა ამ დამარცხებაში უდიდესი როლი თვით ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლამ შეასრულა. გავიხსენოთ ქართლის გმირული ბრძოლა XVI საუკუნის დასასრულს სიმონ მეფის მეთაურობით, რამაც თურქ-ოსმალებს ქართლში დამკვიდრების საშუალება არ მისცა.

თურქ-ოსმალთა განდევნის შემდეგ ყიზილბაშები დაეპატრონნენ ამიერკავკასიის უდიდეს ნაწილს. ყიზილბაშები და მათი ვერაგი წინამძღოლი—შაჰ-აბასი თურქ-ოსმალებზე ნაკლები მტრები როდი იყვნენ ამიერკავკასიის ხალხებისათვის. 1616 წელს ისევ განახლდა ომი ირანსა და ოსმალეთს შორის. მტარვალმა შაჰ-აბასმა ის საშინელება, რაც XVII საუკუნის პირველ ათეულ წლებში აღმოსავლეთ სომხეთში დაატრიალა, ახლა აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ განახორციელა. მაგრამ მტერი აღმოსავლეთ საქართველოში უფრო ძლიერ, აქტიურ წინააღმდეგობას წააწყდა, ვიდრე სომხეთში. სომხებს შაჰ-აბასი მაშინ დაესხა თავს, როდესაც ისინი თურქ-ოსმალთა მიერ იტანჯებოდნენ, მათი ბატონობის თავიდან მოცილებით იყვნენ დაინტერესებულნი და შაჰ-აბასის სახითაც თურქ-ოსმალთა მტერს ხედავდნენ. მართალია, მოყვრად არც შაჰ-აბასს თვლიდნენ, მაგრამ

[1] **История армянского народа, I, 1951, გვ. 220.**

მის მიერ ასე მოულოდნელად საშინელ ვერაგობას ნაკლებად წარმოიდგენდნენ.

შაჰ-აბასთან სისხლისმღვრელ ბრძოლებს მრავალი ათეული ათასი ქართველი შეეწირა ტყვეთა და მოკლულთა სახით, მაგრამ ქართველებმა მტერსაც დიდი ზარალი მიაყენეს და მას საშუალებას არ აძლევდნენ ქართულ მიწა-წყალზე დასახლებულიყო, სამაგიეროდ თუ სომხებს შაჰ-აბასმა უკან დაბრუნების ნება დართო, ასი ათასამდე ირანში გარეკილ ქართველს და მათ შთამომავლებს სამშობლოს ნახვა სამუდამოდ მოუსპო.

ირან-ოსმალეთის ომმა 1639 წლამდე გასტანა. ამ წელს ზავი დაიდო და ისევ 1555 წლის საზავო პირობები აღდგა. სომხეთ-აზერბაიჯანის მიწა-წყლიდან ირანის მფლობელობაში მოექცა: ერევნის, ნახჭევნის, განჯის, ყარაბაღის, შაქის, შარვანის, კუბის, ბაქოსა და ტალიშის სახანოები. თურქეთის სამფლობელოში მოქცეული სომეხთა მიწა-წყალი ყარსის, ერზერუმის, ხარბერდის, დიარბექირის, ბითლისის, ვანისა და ბაიაზეთის ვილაიეთებში იქნა დანაწილებული. ამრიგად, ბარბაროსული რბევისა და ტანჯვის შემდეგ სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო კიდევ ორ მტაცებელს შორის დანაწილებული დარჩნენ. მაგრამ ამიერკავკასიის მოძმე ხალხებს განმათავისუფლებელი ბრძოლის იარაღი არ გადაუგდიათ, ისინი მიზნის მიღწევის რწმენით გმირულად განაგრძობდნენ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. მიუხედავად ძალთა უპირატესობისა და ბრძოლებში წარმატებებისა, მტრებმა ვერ შეძლეს ამიერკავკასიის ხალხების საბოლოო დამორჩილება.

სპარსი და თურქი ასიმილატორები საუკუნეების განმავლობაში აწამებდნენ, ჟლეტდნენ და ანადგურებდნენ ამიერკავკასიის ხალხებს, მაგრამ არა თუ ვერ მიაღწიეს ამ ხალხების მოსპობის მიზანს, არამედ, როგორც ცნობილია, იძულებული გახდნენ კაპიტულაცია მოეხდინათ.

თავისი ეპოქის ორი უდიდესი დამპყრობის წინააღმდეგ ბრძოლაში ამიერკავკასიის ხალხების ეს დიდი გამძლეობა მტრებთან შედარებით მათი იმ სამეურნეო, კულტურული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების უპირატესობით აიხსნება, რომელიც ათეულ საუკუნეთა მანძილზე ნიჭიერი და შრომისმოყვარე ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების მიერ იქმნებოდა.

მართალია, ამიერკავკასიის ხალხების მთლიანი და საბოლოო დამორჩილება მტრებმა ვერ შეძლეს, მაგრამ უკანასკნელებმა ამ ხალხებს უდიდესი ზიანი მიაყენეს. თურქ-ოსმალებმა სომხეთსა და საქართველოს ბევრი ძვირფასი რაიონი ძალად ჩამოგლიჯეს, სადაც ძველი სომხური და ქართული კულტურა ბარბაროსულად გაანად-

გურეს და ქართველებსა და სომხებს ოსმალურ-ბარბაროსული ზნე-ჩვეულებანი ძალად თავს მოახვიეს. ქართველი და სომეხი ხალხები ოსმალთა უღელქვეშ მყოფ თავიანთი ძმების ტანჯვა-წამებას დიდი ხანია გულისტკივილით უყურებენ.

2. ამიერკავკასიის ხალხთა ერთობლივი მოქმედება სამშობლოს განსათავისუფლებლად

ძნელბედობის დროს, როდესაც ოსმალეთი და სპარსეთი ამიერკავკასიას ანადგურებდნენ და აქაურ უდანაშაულო ხალხებს ფიზიკური მოსპობით ემუქრებოდნენ, ამიერკავკასიის ხალხების მოწინავე ადამიანები არა ერთხელ შეეცადნენ თავიანთი ძალების გაერთიანებას. მაგრამ ამ ხალხების საერთო ინტერესები არა მარტო მათი ძალების გაერთიანებას მოითხოვდა, არამედ გარე-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხშიც ერთ გზას საჭიროებდა.

მოსკოვის სახელმწიფოს გაძლიერებამ და სამხრეთის მიმართულებით მისმა ძლევამოსილმა სვლამ ამიერკავკასიის ხალხებს ოსმალეთისა და სპარსეთის ძალადობისაგან განთავისუფლების იმედი ჩაუნერგა. ოსმალეთი XVI საუკუნიდან უკვე რუსეთსაც მტრობდა და, ამდენად, ის რუსი და ამიერკავკასიელი ხალხების საერთო მტრად გამოდიოდა.

საქართველოს პოლიტიკური წრეები შედარებით უფრო ადრე დაუკავშირდნენ მოსკოვს. ხოლო შემდეგ ამ გზას ამიერკავკასიის სხვა მოძმე ხალხებიც მიყვნენ. XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ამიერკავკასიის ყველა ხალხის პოლიტიკური მდგომარეობა ერთნაირი არ იყო. ირანის მიერ დაპყრობილი სომხეთი და აზერბაიჯანი სახანოებად და საბეგლარბეგოებად იყვნენ დაყოფილნი და დამოუკიდებლობის ყოველგვარი ნიშანი წართმეული ჰქონდათ. კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში იყვნენ ოსმალეთის მიერ დაპყრობილი დასავლეთი სომხეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო. ხოლო მათთან შედარებით ქართლსა და კახეთს დამოუკიდებელი მმართველობის გარკვეული ნიშნები შენარჩუნებული ჰქონდათ და, ამასთანავე, აღმოსავლეთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შესაძლებლობაც მეტი გააჩნდა. ამიტომ, როდესაც სომხები ქართველებთან ერთად რუსეთისაკენ იხედებოდნენ და მისგან შველას მოელოდნენ, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართველ ხალხზედაც დიდ იმედებს ამყარებდნენ.

სპარსელების მიერ შევიწროებულ სომხეთში XVII საუკუნის დამლევს აჯანყებისათვის გამალებული მზადება დაიწყო. ამ მოძრაობის

ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ცნობილი სომეხი მოღვაწე ისრაელ ორი იყო. მან და მისმა თანამოაზრეებმა ჯერ ევროპის სახელმწიფოებთან სცადეს კავშირის დამყარება, მაგრამ ევროპიდან დახმარების მიღების იმედი არ გამართლდა. ამის შემდეგ, 1701 წელს, სამშობლოს განთავისუფლებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ისრაელ ორი პეტრე პირველს ეახლა მოსკოვში და დახმარება თხოვა მას. პეტრემ ორს სათანადო დავალება მისცა და ირანში გაგზავნა, მაგრამ, უკან დაბრუნებული, 1711 წელს ის ასტრახანში გარდაიცვალა.

იმ დროს, როდესაც ორი პეტრე პირველს დახმარებას სთხოვდა, ის ამავე დროს მეზობელ საქართველოზედაც დიდ იმედებს ამყარებდა. ენერგიულად ცდილობდა ისრაელ ორი სომეხ-ქართველთა ძალების გაერთიანებას, რისთვისაც ის სათანადო გეგმებსაც ადგენდა და სამშობლოს განთავისუფლებაზე ოცნებობდა. ისრაელ ორის გარდაცვალების შემდეგ მისი დაწყებული საქმე მისმა მიმდევრებმა განაგრძეს.

საქართველოსა და მის მეზობლებს, შარვანსა და სომხეთს, დიდად ეწუხებდა ამ დროს ლეკების თავდასხმებიც. 1722 წელს ლეკები განჯაში შემოიჭრნენ და მათ გასადევნად ქართლის მეფეს ვახტანგ VI იქ გალაშქრება დასჭირდა. როდესაც ვახტანგი განჯაში იმყოფებოდა, მასთან გამოცხადდა სომეხთა კათალიკოსი ესაია, რომელიც კარგად იცნობდა ისრაელ ორის პოლიტიკურ პროგრამას სპარსთა ბატონობისაგან განთავისუფლების შესახებ და მხარს უჭერდა მას.

ესაია განჯიდან თბილისში წამოჰყვა ვახტანგ VI. ისინი შეთანხმდნენ სპარსთა წინააღმდეგ სომეხ-ქართველთა ერთიანი ბრძოლის შესახებ. ამ შეთანხმების თანახმად უნდა შექმნილიყო სომეხ-ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი, რომელიც ერთად გამოვიდოდა სპარსთა ბატონობის თავიდან მოსაშორებლად.

რუსეთის მიერ შვეციის წინააღმდეგ წარმოებული ჩრდილოეთის ხანგრძლივი ომი 1721 წელს რუსეთის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ამის შემდეგ პეტრე პირველმა კასპიის ზღვის სანაპიროების დაპყრობისათვის დაიწყო ზრუნვა. პეტრეს ამ მიზნის განხორციელებაში ის გარემოება უწყობდა ხელს, რომ მაშინ ირანს პოლიტიკური მდგომარეობა ძალზე გართულებული ჰქონდა: შაჰს მხარეთა მმართველი ბევრი ფეოდალი აუჯანყდა და აღარ ემორჩილებოდა. ამასთანავე, ირანის ბევრ მხარეში გლეხთა ძლიერმა აჯანყებებმა იფეთქა და სოციალური ბრძოლა გაჩაღდა. ამას ისიც დაემატა, რომ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის პირველი ათეული წლების დასასრულს დაწყებულმა ავღანთა აჯანყებამ თანდათან ძლიერი ხასიათი მიიღო

და 1722 წელს ავღანთა ლაშქარმა სეფიანთა სატახტო ქალაქს ისპაჰანს ალყა შემოარტყა, რომელიც ექვსი თვის ბრძოლის შემდეგ კიდეც აიღო. ასეთ ვითარებაში მყოფი, ტახტზე ახლად ასული ირანის შაჰი თამაზი იძულებული გახდა რუსთა ხელმწიფისათვის დახმარება ეთხოვა.

რუსეთს მაშინ სამხრეთისაკენ ეკონომიური ინტერესები იზიდავდა, ხოლო ამიერკავკასიის ხალხებს განმათავისუფლებელ ბრძოლაში რუსეთის დახმარების იმედი ჰქონდათ. პეტრე პირველი და ვახტანგ VI ერთმანეთს დაუკავშირდნენ, პეტრე ვახტანგს მაჰმადიანთა ბატონობისაგან განთავისუფლებას პირდებოდა და ირანში სალაშქროდ იწვევდა. რუსეთის ხელისუფლებამ სამხრეთში ლაშქრობის საბაბადაც გამოიყენა, რომ 1722 წელს, ქალაქ შემახიაზე თავდასხმის დროს, ლეკებმა რუსი ვაჭრები დაარბიეს. ივლისის დამლევს პეტრე პირველმა თავისი უშუალო ხელმძღვანელობით მდინარე თერგის სანაპიროებიდან ლაშქარი დაძრა. ეს ლაშქარი წარმატებით მოიწევდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და ზედიზედ იკავებდა ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებს. 23 აგვისტოს პეტრე დარუბანდს მიადგა და ეს ქალაქი მას უომრად დამორჩილდა. ამის შემდეგ პეტრემ ფრონტი დატოვა და რუსეთში დაბრუნდა, ხოლო ფრონტის ხელმძღვანელობა გენერალ მატიუშკინსა და პოლკოვნიკ შიპოვს მიანდო. როდესაც რუსებმა დარუბანდი დაიკავეს, ამიერკავკასიის ხალხები კიდევ უფრო წახალისდნენ. სომხეთის სხვადასხვა რაიონში სომხებმა ძლიერი შეიარაღებული რაზმები შექმნეს და აჯანყებამ იფეთქა.

აჯანყებულთა რიცხვმა სომხეთში 10 ათას კაცს მიაღწია. სომეხთა ამ გამათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებს უშუალო კავშირი ჰქონდათ ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსესთან. სომხეთის ისტორიის მკვლევართა განცხადებით, „ვახტანგ მეექვსემ სომხებს უდიდესი დახმარება აღმოუჩინა“[1] შეიარაღებული რაზმების მოწყობისა და საერთოდ აჯანყების ორგანიზაციის საქმეში. ამასთანავე, პეტრე პირველისადმი გაგზავნილ წერილში ვახტანგ VI ჯერ კიდევ ადრე გამოთქვამდა იმედს იმის შესახებ, რომ ირანის წინააღმდეგ გამოსვლის შემთხვევაში მას სომხებთან ერთად განჯელი აზერბაიჯანელებიც შეუერთდებოდნენ. მართლაც, როდესაც ვახტანგი პეტრეს მოწოდებით განჯაში მივიდა, სომეხთა რაზმებთან ერთად აზერბაიჯანელთა რაზმებიც შეუერთდნენ მას და, ამრიგად, ქართველთა, სომეხთა და აზერბაიჯანელთა გაერთიანებული ძლიერი ლაშქარი შეიქმნა. ამ ლაშქრით, პეტრე პირველთან შეთანხმების თანახმად, ვახტანგ VI რუსთა ლაშქარს უნდა შეერთებოდა „დარუ-

[1] История армянского народа, I, 1944, გვ. 228.

ბანდსა და ბაქოს შუა", საიდანაც ერთად ირანზე უნდა გაელაშქრათ.

პირობის თანახმად, განჯის სახანოში მისული ვახტანგ VI ქართველთა 40 ათასიანი მოლაშქრითა და სომეხთა ძლიერი რაზმებით პეტრესპირას დაბანაკდა და იქ სამი თვის განმავლობაში იცდიდა. თუმცა პეტრეს მიერ ფრონტის დატოვებისა და რუსეთში დაბრუნების შემდეგ გააგრძელა რუსთა ლაშქარმა შეტევა, დაიკავა ბაქო, შეიჭრა გილანში და წარმატებით მიიწევდა ირანისაკენ, მაგრამ, როგორც ცნობილია, პეტრე პირველის ირანში ლაშქრობის გეგმა, პარკეული მიზეზების გამო, აღარ განხორციელდა და ვახტანგ VI-ც სომეხ-ქართველთა ლაშქრით თბილისში დაბრუნდა.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ვახტანგ VI თანამოაზრე სომეხთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი დავით-ბეგს ეჭირა. დავითი სომეხი მელიქის შვილი იყო და ირანელთა ბატონობისადმი თავიდანვე მტრულად იყო განწყობილი. მისმა ასეთმა განწყობილებამ, ჩანს, ის ვახტანგ მეექვსესთან დააახლოვა და მას ქართლის სამეფო კარზე დიდი სამხედრო თანამდებობა ეჭირა, ხოლო როდესაც სომხეთში სპარსთა წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა, ვახტანგის თანხმობით ის სომხეთში გაემართა და იქ აჯანყებას ჩაუდგა სათავეში.

ქართველებისა და სომხების ძალთა გაერთიანება, რომელიც ვახტანგ VI მეთაურობით ირანელთა ბატონობის წინააღმდეგ იყო მიმართული, ცოფს გვრიდა ირანის მთავრობას ვახტანგის წინააღმდეგ. ხოლო პეტრე პირველის რუსეთთან ქართველებისა და სომხების კავშირი ოსმალეთსა და სპარსეთს ორივეს აბრაზებდა.

1723 წელს ირანის შაჰმა ვახტანგ VI ქართლის სამეფო ტახტიდან გადაყენებულად გამოაცხადა და ქართლი კახეთის მმართველს, ირანის მომხრეს, კონსტანტინეს გადასცა. უკანასკნელმა, როგორც ცნობილია, ლეკი აბრაგების დახმარებით თბილისი აიღო და ქალაქი მიწასთან გაასწორა. ამავე დროს ოსმალეთის სულთანმა თავისი ლაშქარი საქართველოსა და სომხეთ-აზერბაიჯანისაკენ დაძრა.

კონსტანტინეს მიერ დარბეულ თბილისში თურქ-ოსმალები შემოიჭრნენ და ქალაქი ადვილად ჩაიგდეს ხელში. ხოლო შემდეგ აზერბაიჯანსა და სომხეთს შეესივნენ. ოსმალებმა ქართლის მმართველად ბაქარ ვახტანგის-ძე დანიშნეს, მაგრამ იგი დამპყრობთა მკაცრ ბატონობას მალე გაექცა და მამასა და ძმებს შეუერთდა პარტიზანულ ბრძოლაში.

ქართლის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალების გასამხნევებლად მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა ამ დროს მოძმე სომხების მოქმედებას. სომხებმა დავით-ბეგის მეთაურობით სივნიეთის

შთელი მხარე გაწმინდეს სპარსელებისაგან. თუმცა პოლიტიკური მდგომარეობის მეტად გართულებამ ამიერკავკასიის ხალხებს გაერთიანებული ბრძოლის საშუალება არ მისცა, მაგრამ ამით ამ ხალხებმა ხელი როდი აიღეს ბრძოლაზე.

როდესაც ვახტანგ VI და მისი მომხრეები თბილისს გაეცალნენ და ქართლში შემოჭრილი თურქ-ოსმალების წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებდნენ, განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად ირანელთა ბატონობისაგან განთავისუფლებულმა სომხურმა თემებმა დავით-ბეგის მეთაურობით გმირული ბრძოლა გაუმართეს იქ შეჭრილ თურქ-ოსმალებს.

1724 წელს, როგორც ცნობილია, ვახტანგ VI თავისი თანამებრძოლებითა და მცირე ამალით იძულებული გახდა რუსეთში წასულიყო. ერთიმეორისაგან ძალად გათიშული ამიერკავკასიის ხალხები ურთიერთ დამოუკიდებლად განაგრძობდნენ გმირულ ბრძოლას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ამ ბრძოლას სომხეთში 1728 წლამდე ვახტანგ მეექვსის თანამოაზრე და სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი დავით-ბეგი მეთაურობდა. დამოუკიდებლობისათვის სომეხი ხალხის ბრძოლა ამიერკავკასიის ხალხთა საერთო მტერს ასუსტებდა და ამით სომეხი ხალხი მოძმე ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხებსაც ეხმარებოდა.

ქართველებისა და სომხების საგარეო ორიენტაციასა და პეტრე პირველის გეგმას, როგორც ნათქვამი იყო, მოძმე აზერბაიჯანელი ხალხიც თანაუგრძნობდა. ალბათ ამით აიხსნება ის, რომ 1723 წელს, როდესაც რუსეთის ესკადრა გენ. მ ა ტ ი უ შ კ ი ნ ი ს მეთაურობით ბაქოს მიადგა, ბაქოელებმა მას დიდი წინააღმდეგობა არ გაუწიეს და ბაქო ჩააბარეს.

8. ქართულ-სომხური ერთიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ცდა

XVIII საუკუნის 20 და 30-ან წლებში ირანის ლაშქარმა დიდი გამარჯვება მოიპოვა ავღანთა და თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლებში. ამ ბრძოლებს ნადირ-ხანი მეთაურობდა. მან შეძლო ამიერკავკასიიდანაც გაეძევებინა თურქ-ოსმალები და, ამრიგად, ოსმალო დამპყრობლები ირანელმა დამპყრობლებმა შეცვალეს. 1736 წელს სპარსეთის მცირეწლოვანი შაჰი აბას III გარდაიცვალა და სეფიანთა საგვარეულოს ბატონობაც ამით დამთავრდა. ამიერიდან ირანის შაჰად ნადირმა თავის თავი გამოაცხადა და ამიერკავკასიის ხალხებს უდიდესი გადასახადები შეაწერა. ნადირ-შაჰის უხეშმა პოლიტიკამ

უკანასკნელის ხელისუფლება ირანში მალე დაამხო. ის 1747 წელს მოკლულ იქნა და სულ მალე ირანის სახელმწიფო სახანოებად დაიშალა.

სამხედრო თვალსაზრისით ოდესღაც მეტად ძლიერი თურქ-ოსმალთა სახელმწიფო, რომელიც ერთ დროს ევროპასაც უდიდეს საფრთხეს უქმნიდა, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ევროპისათვის საფრთხეს აღარ წარმოადგენდა და თანდათან სხვისი ლუკმა ხდებოდა. ის ახლა მხოლოდ მოსაზღვრე პატარა სახელმწიფოებს ანადგურებდა.

დასუსტებული ოსმალეთისა და სპარსეთის სახელმწიფოების ტერიტორიის ხარჯზე ინგლის-საფრანგეთი და მეფის რუსეთი ხელის მოთბობას ცდილობდნენ და მათი მიწა-წყლის დასაპყრობად მოიწევდნენ, 1768—1774 წლებში მეფის რუსეთი შავი ზღვის სანაპიროების დასაპყრობად იბრძოდა, ინგლისმა სპარსეთის სამხრეთი რაიონები თავის გავლენის ქვეშ მოაქცია, ხოლო საფრანგეთი თვით თურქეთში პოზიციების გამაგრებას ცდილობდა. ამ გარემოებამ ამიერკავკასიის ხალხები წაახალისა და განმათავისუფლებელი ბრძოლისა და ქართულ-სომხური ერთიანი სახელმწიფოს შექმნის გეგმები კვლავ გაჩნდა.

სომეხი მოსახლეობა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე დამპყრობთაგან განადგურებას განიცდიდა, ძნელბედობას გაურბოდა და სხვადასხვა ქვეყანაში თავს აფარებდა. სამშობლოში დაბრუნების იმედი აღარ მართლდებოდა და უცხო ქვეყანაში სტუმრად მისული იქ სამუდამოდ რჩებოდა. ამიტომ ევაკუირებულ სომეხთა ხარჯზე ბევრ ქვეყანაში გაჩნდა სომხური კოლონია.

თავის დროზე რამდენიმე სომხური კოლონია ინდოეთშიაც წარმოიქმნა. იქ არსებულ სომხურ კოლონიებს შორის ყველაზე ძლიერი იყო ქ. მადრასისა და კალკუტის სომხური კოლონიები. ამ ქალაქებში, ისე როგორც ინდოეთის სხვა ზოგიერთ ქალაქში, გაძლიერდა სომხური სავაჭრო ბურჟუაზია, მაგრამ როდესაც იქ ინგლისის კოლონიზატორებმა ფეხი მოიდგეს, სომეხმა ვაჭრებმა თანდათან დაკარგეს წინანდელი გავლენა. ისინი მიხვდნენ, რომ ამ უცხო მხარეში მათი მომავალი უზრუნველყოფილი არ არის. ამიტომ, მსგავსად სხვა ქვეყნების ბურჟუაზიისა, სომხური ბურჟუაზიაც თანდათან გრძნობს საკუთარი სახელმწიფოს საჭიროებას[1]. ამიტომ მისი მოწინავე წარმომადგენლები იწყებენ სომხეთის განთავისუფლების გეგმების შედგენას და ამ გეგმების განხორციელებისათვის ზრუნვას.

[1] **История армянского народа**, I, 1951, გვ. 289.

XVIII საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა სომხეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილი მოღვაწე იოსებ ემინი. მან ლონდონში მიიღო სათანადო განათლება და ახალგაზრდობიდანვე სომხეთის განთავისუფლებაზე დაიწყო ოცნება.

იოსებ ემინი, რომლისთვისაც ცნობილი იყო სომხებისა და ქართველების განმათავისუფლებელი ბრძოლის ამბები, 1759 წელს სომხეთში ჩამოვიდა და მის მიერ ადრე შედგენილი გეგმის განხორციელებისათვის ზრუნვას შეუდგა. მან პირველად რუსეთში იმოგზაურა, ხოლო შემდეგ 1763 წელს ქართულ-სომხური ერთიანი სახელმწიფოს შექმნის გეგმით თბილისში ერეკლე მეორესთან მოვიდა.

ერეკლე II, რომელსაც ყველაზე კარგად ესმოდა ქართულ-სომხური ერთიანი სახელმწიფოს შექმნის უდიდესი მნიშვნელობა, თვითონაც დაინტერესებული იყო ამ საკითხით, ამიტომ ემინი მან დიდი პატივისცემით მიიღო, გეგმა მოუწონა და ამ საკითხზე თავისი აზრებიც გაუზიარა. მაგრამ ჰკვიანმა და შორსმჭვრეტელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, ერეკლე II მრავალ სიძნელესთან დაკავშირებულ ამ საკითხზე ემინს მალე ვერ მისცა პასუხი. საბოლოოდ ემინს ის მხოლოდ 1764 წელს დაეთანხმა.

ერეკლე მეფის ყოყმანი ემინისათვის თანხმობის მიცემაზე უსაფუძვლო არ აღმოჩნდა. მართლაც, აღნიშნული გეგმის განხორციელება შეუძლებელი გახდა იმ დროს, როდესაც ემინი და სომეხი მოწინავე ადამიანები ერეკლესაგან ქართულ-სომხური ერთიანი სახელმწიფოს შექმნის გეგმის განხორციელებას მოითხოვდნენ, რეაქციული ელემენტები სომხეთში კათალიკოს სიმონის მეთაურობით ამის წინააღმდეგი იყვნენ.

უწევდა რა ანგარიშს მაშინდელ პოლიტიკურ მდგომარეობას და ცალკეული პოლიტიკური წრეების განწყობილებას, ერეკლე II ძალზე ფრთხილად ეკიდებოდა ამ გეგმის განხორციელების დაწყებას. „ემინ-აღა, — ეუბნებოდა ის ემინს, — აბა რა ვქნა? თქვენი საკუთარი კათალიკოსი, თავისი ეპისკოპოსებითა და ბერებით, თქვენი წინააღმდეგია; ჩემი ქვეშევრდომი სომხების კეთილგონიერი ნაწილი კი მათ წინასწარმეტყველებად და მოციქულებად თვლის. თუ ყურად არ ვიღებ რასაც ისინი ამბობენ და თქვენთან ერთად ვიმოქმედებ, ისინი ხომ ისეთივე ქრისტიანებად ჩამთვლიან, როგორც სულთანიაო".

ამრიგად, ემინისა და მისი თანამოაზრეების გეგმა არ განხორციელდა, მაგრამ ქართულ-სომხური ერთიანი სახელმწიფოს შექმნის ცდა ამით არ დამთავრებულა.

XVIII საუკუნის 60-იანი წლების დასასრულს ქ. მადრასში მცხოვრებ ბურჟუაზიული იდეების მქონე სომეხთაგან პოლიტიკურ მოღვაწეთა გარკვეული ჯგუფი შეიქმნა. ამ ჯგუფის მიზანი იყო დახმარების ხელი გაეწოდებინა სომხეთისათვის უცხოელთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, გაეშალა ფართო სააგიტაციო მუშაობა სომეხ მოსახლეობაში და მოემზადებინა ხალხი აჯანყებისათვის.

პოლიტიკურ მოღვაწეთა ჯგუფის წევრთაგან თავიანთი აქტივობით გამოირჩეოდნენ სომეხი ეკუთვნილი შაამირ შაჰამირიანი და მოსე ნერსესიანი. სომხეთში სააგიტაციო მუშაობის გაჩაღების მიზნით შაამირ შაჰამირიანმა 1772 წელს ქ. მადრასში სტამბა დააარსა, სადაც სათანადო სააგიტაციო ლიტერატურა იბეჭდებოდა და სომხეთში იგზავნებოდა.

შაამირ შაჰამირიანი და მისი მიმდევრები სომხეთის განთავისუფლების გეგმებს რომ ადგენდნენ, ისინი დიდ იმედებს მოძმე ქართველ ხალხზედაც ამყარებდნენ. შაამირ შაჰამირიანისა და მისი თანამოაზრეების აზრით სომეხ-ქართველთა ძლიერი სახელმწიფო უნდა შექმნილიყო ერეკლე II მეთაურობით.

ამასთანავე, ისე როგორც მოწინავე ქართველი მოღვაწეები, სომეხი პროგრესული ადამიანებიც რუსეთზე ამყარებდნენ დიდ იმედს. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის 1783 წელს დადებულმა ტრაქტატმა რუსეთის მიერ დახმარების კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა დაუხატა სომხეთის განთავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანებს. ტრაქტატის ხელმოწერასთან დაკავშირებით შაამირ შაჰამირიანმა მდიდარ საჩუქრებთან ერთად ერთიანი ქართულ-სომხური სახელმწიფოს მის მიერ შეთხზული ღერბის ფორმაც გამოუგზავნა ერეკლე მეორეს.

სომეხ პატრიოტებს სწამდათ, რომ ქართველებისა და სომხების განთავისუფლება მათი ძალების გაერთიანებას უნდა მოჰყოლოდა. ისინი გამხნევებულნი იყვნენ იმით, რომ საქართველომ ვერაგი მტრების წინააღმდეგ ბრძოლებს საუკუნეთა განმავლობაში გაუძლო და XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფო შემოსეული მტრების წინაშე ქედს არ იხრიდა. ერეკლე მეორეს ისინი არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ სომეხი ხალხის წინამძღოლადაც თვლიდნენ.

შაამირ შაჰამირიანი რამდენიმე შრომის ავტორია, იგი თავის „ორ წიგნში საკითხსა სვამს უცხო უღლისაგან სომხეთის განთავისუფლებისა და სომხეთის მომავალი სახელმწიფო წყობილების შესახებ. ერთი ნაშრომი „ახალი რვეული, რომელსაც ეწოდება შეგო-

ნება",... გამოცემულია მადრასში 1772 წ., მეორე კი — „დიდების მახე" — გამოცემულია იქვე 1773 წ." [1].

პირველ წიგნში შაჰამირიანი იმ აზრს ანვითარებს, რომ „სომხეთმა უნდა გაითავისუფლოს თავი და შექმნას ახალი სახელმწიფო, კანონის დაცვისა და რესპუბლიკური წესების შემოღების საფუძველზე". [2]

„სომხეთის მომავალი სახელმწიფო სტრუქტურის პროექტი მოხაზულია მეორე წიგნში, სადაც რესპუბლიკურ წყობილებაზეა ლაპარაკი. ეს პროექტი წამოყენებულია ევროპულ რესპუბლიკური იდეების ზეგავლენით". [3]

უკანასკნელ წიგნს ორი ავტორი ყავს: შაამირ და იაკობ შაჰამირიანები. ამ წიგნის ტიტულზე მოხსენიებულია: „მამათმთავრობა უფლისა სიმეონისა, სრულიად სომეხთა კათალიკოსისა ვაღარშაპატს, და მეფობა უავგუსტესის უფლის ერეკლე მეორისა თბილისს" [4].

ამასთანავე, 1794—1796 წლებში ქ. მადრასში არუთინ შმავონიანი შირაზელის რედაქტორობით გამოდიოდა სომხური ჟურნალი „აზდარარ" (*Ազդարար*) — მაუწყებელი. ამ ჟურნალის სათაურის ქვეშ აღნიშნულია: „მამათმთავრობასა უფლისა ლუკასი სრულიად სომეხთა უწმინდესისა კათალიკოსისა და მეფობასა კეთილშობილის (უავგუსტესის) უფლის მეფის ერეკლე მეორისა თბილისს, აჩრდილს ქვეშე წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიისა მადრასს, მამა ჰარუთიუნ შირაზელის სტამბაში" [5].

შინაგანმა და საგარეო პოლიტიკურმა სირთულეებმა ქართულ-სომხური ერთიანი სახელმწიფოს შექმნა შეუძლებელი გახადა. მაგრამ საქართველოსა და სომხეთის მოწინავე, პროგრესული საზოგადოება არ დაიბნა, თავისი ხალხის ბედი კარგად გაითვალისწინა და მაშინდელ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში გადარჩენის ყველაზე უფრო სწორი გზა გამონახა.

---

[1] ლეონ მელიქსეთ-ბეგი, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, 1941, გვ. 170—171.

[2] იქვე, გვ. 171.

[3] იქვე.

[4] ლეონ მელიქსეთ-ბეგი, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები, თბილისი, 1949, გვ. 287.

[5] იქვე, გვ. 291.

• • •

მაშინაც კი, როდესაც საქართველო ერთიანი სახელმწიფო აღარ იყო და მას თვითონაც უჭირდა, ქართლ-კახეთის პოლიტიკური წრეები ყოველთვის ცდილობდნენ მოძმე სომეხ ხალხს მიშველებოდნენ. ამას მოითხოვდა არა მარტო სომეხი ხალხის, არამედ ქართველი ხალხის ინტერესებიც.

ტერ-ოჰან ვოსკერჩიანცის გადმოცემით, ერევნის ხანის თხოვნით 1751 წელს „ერეკლემ ერევნისაკენ გაილაშქრა, დაამარცხა აზატ-ხანი და გააქცია, რომელსაც ერევნის დაპყრობა უნდოდა“ [1].

რა თქმა უნდა, ერეკლე II ამ შემთხვევაში მარტო სომხეთისა და სომეხი ხალხისათვის არ ზრუნავდა, პირველ ყოვლისა, მის ამ მოქმედებას საკუთარი სამეფოს ინტერესები აპირობებდა, მაგრამ ქართველებისა და სომხების პოლიტიკური ცხოვრება ყოველთვის ისე იყო მოწყობილი, რომ მათი ინტერესები ერთიმეორეს ემთხვეოდა და ახლაც ერეკლეს მოქმედება და გამარჯვება ობიექტურად სომეხი ხალხის დახმარება იყო.

შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ ერეკლე მეორე თვით უწყობდა ხელს თავის სამეფოს მიწა-წყალზე სომეხთა ჩამოსახლებას. თუ ძალით შემოჭრილ თურქმანთა და ყიზილბაშთა ბრბოებს, როგორც დამპყრობლებსა და საშიშ ძალებს, ქართველები თავიანთი მიწა-წყლიდან ერეკებოდნენ და ცდილობდნენ დამკვიდრების საშუალება არ მიეცათ მათთვის, სომხებს ხშირად თვითონ ეპატიჟებოდნენ და თავიანთ მიწა-წყალზე ასახლებდნენ. ტერ-ოჰან ვოსკერჩიანცის გადმოცემით, XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს, ერეკლემ არარატის მხარიდან თურქეთის მიერ მიტაცებულ დასავლეთ სომხეთში, კერძოდ, ბაიაზეთის საფაშოში გაქცეული რვა სომხური სოფელი დააბრუნა უკან და ყველა საქართველოში გადმოასახლა [2]. ამ ღონისძიების გატარების დროს ერეკლეს გარკვეული სიძნელეების გადალახვა მოუხდა: ბაიაზეთის ფაშა თავდასხმის მუქარით აიძულა ერეკლემ უკან გამოეშვა არარატიდან გაქცეული და ბაიაზეთში შეხიზნული სომხები [3], ძნელი იყო თვით გადმოსახლების ორგანიზაცია და სხვა.

---

[1] «Кавказская старина», № 7 и 8, под редакцией А. Д. Ерицова, Тбилиси, 1873, გვ. 194.

[2] იქვე.

[3] იქვე.

თუმცა ერევნის ხანის შუამდგომლობითა და გადმოსახლებულ სომეხთა ნაწილის სურვილით გარკვეული რაოდენობა ამ სომხებისა ისევ არარატის მხარეში დაბრუნდა, მაგრამ ბევრიც სამუდამოდ საქართველოში, კერძოდ, უმეტესი მათგანი თელავის მიდამოებში და თბილისის გარეუბანში დასახლდა და დარჩა [1].

4. კულტურული ურთიერთობის აღორძინება[2]

მიუხედავად ამიერკავკასიის ხალხების მძიმე პოლიტიკური მდგომარეობისა, XVI — XVII საუკუნეებში ისინი მაინც წარმატებით ანვითარებდნენ საკუთარ კულტურას. იმასთან დაკავშირებით, რომ XVIII საუკუნის დასაწყისიდან თავი იჩინა სომეხ-ქართველთა ერთიანი სახელმწიფოს შექმნის იდეამ, ახლებურად გაჩაღდა ამ ორ ხალხს შორის კულტურული ურთიერთობა.

ქართველი და სომეხი მოწინავე ადამიანები კარგად გრძნობდნენ, რომ მათი ხალხების პოლიტიკური გაერთიანება ამ ხალხების მჭიდრო კულტურულ დაახლოებასაც მოითხოვდა. კულტურული ურთიერთობისა და დაახლოების სათანადოდ განხორციელება დიდად შეუწყობდა ხელს პოლიტიკურ ერთიანობას, სახელმწიფოებრივ გაერთიანებას. ამასთანავე, ქართველებსა და სომხებს შორის კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ახლებურად გაღრმავებას სომეხთა სავაჭრო და სომეხ-ქართველთა სხვა ბევრი საერთო ინტერესებიც მოითხოვდა.

გრძნობდნენ რა კულტურული ურთიერთობის გაღრმავების დიდ საჭიროებას, XVIII საუკუნის მოწინავე ქართველები საამისო ღონისძიებების გატარებას შეუდგნენ. იმათ, პირველ ყოვლისა, აუცილებელ საჭიროდ დაინახეს სომხური ენისა და ლიტერატურის შესწავლა. ამ საქმის განხორციელებაში უდიდეს როლს ასრულებდნენ და მოწინავე ქართველებს ეხმარებოდნენ ოდესღაც საქართველოში გადმოსახლებული და გაქართველებული სომხები. ასეთები იყვნენ, მაგალითად, ზაქარია მადინაშვილი, ფილიპე ყაითმაზაშვილი და სხვა მრავალი.

ფილიპე ყაითმაზაშვილი თავისი ეპოქის განათლებული კაცი იყო (ის ჯერ თბილისის სემინარიის რექტორი იყო, ხოლო შემდეგ თელავისა).

იმ პირთა საქმიანობაში, რომლებიც ქართველ-სომეხთა ლიტერატურული ურთიერთობის გაღრმავებისათვის დაუცხრომლად მოქ-

[1] «Кавказская старина», № 7 и 8, под редакцией А. Д. Ерицова, Тбилиси, 1873, გვ. 195.

[2] ამიერკავკასიის ხალხთა ადრეული საუკუნეების კულტურული ურთიერთობის საკითხები, რომელთაც ამ ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი, წიგნის მოცულობის განსაზღვრულობის გამო ვერ დაიბეჭდა.

მედებდნენ, „პირველი ადგილი უნდა მიეკუთვნოს ფილიპე ყაითმაზაშვილს“[1].

ფილიპე ყაითმაზაშვილის შესახებ იოანე ბატონიშვილი წერდა: „ესე იყო ზედმიწევნით ფილოსოფოსი. მსგავსი... ვართაპეტისა. ამანაც მრავალნი მოწაფენი განსწავლნა და შეეწია რაოდენთამე წიგნთა თარგმანებათა შინა კათოლიკოზს ანტონის პირველსა“[2].

ასეთივე შეფასებას აძლევს იოანე ბატონიშვილი ზაქარია მადინაშვილის მოღვაწეობას: „ესე ზაქარია მადინაშვილი ვართაპეტი იყო ზედმიწევნილი ფილოსოფოს-ღვთისმეტყველი.. . ამან ასწავა მრავალთა ქართველთა და სომეხთა საფილოსოფოსო წერილნი; და ამან განუმარტნა კაჳშირი ღვთისმეტყველებითი, პორფირის ფილოსოფოსის ხუთი ხმა და საზღვრისა წიგნი დავით, უძლეველისა ფილოსოფოსის მიერ ქმნილი, სხვათა და სხვათა მოწაფეთა, და ამით განანათლნა მრავალნი“[3].

პროფ. კ. კეკელიძე, ჩამოთვლის რა ფილიპე ყაითმაზაშვილის მიერ ნათარგმნ შრომებს, აღნიშნავს: „ფილიპეს მეცნიერულ-მთარგმნელობითი ხელი ატყვია... 21 კაპიტალურ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ შრომას. ვინ იცის, ამათ გარდა რამდენი უწერია და უთარგმნია კიდევ მას, მაგრამ არსებულ მასალათა მიხედვით ჯერ-ჯერობით მეტს ვერაფერს ვიტყვით“[4].

ფილიპე ყაითმაზაშვილი სომხურიდან ქართულად თარგმნის დროს „მუშაობდა არა მარტო დამოუკიდებლივ, არამედ, რომელიმე გამოჩენილ პირთან ერთად, როგორიცაა, მაგალითად, ანტონ კათოლიკოსი, მდივანბეგი იოანე ორბელიანი, ნიკოლოზ კახელი, დოსითეოს ნეკრესელი, ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი და სხვ.“[5]

თუმცა ყაითმაზაშვილს ქართული ენა კარგად სცოდნია, მაგრამ „დასახელებული პირნი მის თარგმანს მაინც აშალაშინებდნენ სტილისტურად და აწყობდნენ მას ქართული ენის კანონზე“[6].

ბევრი მოწინავე ქართველი ფლობდა ამ დროს სომხურ ენას. ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლება გულმოდგინედ ცდილობდა სომხურ ენაში განსწავლული ადამიანების მომრავლებას. ამაში ისინი წარმატებით იყენებდნენ სომხურის მცოდნეს, საქართველოში

---

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 337.

[2] „ქალმასობა“, II, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, 1948, გვ. 204.

[3] იქვე.

[4] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1, 1951, გვ. 342.

[5] იქვე. გვ. 339.

[6] იქვე.

მყოფ გაქართველებულ სომხებს. ეგნატე ონისიმეს ძე მარტყოფელი „აწ იოსელიანად გვარ-მიღებული“ გიორგი ერეკლეს ძემ „აღაზრდევინა სწავლასა შინა საფილოსოფოსოსა და საღვთისმეტყველოსა; ასწავებინა ენაჲ სომხური ტერ-დავითას, კაცსა მეცნიერსა, რომელმანც უცხოდ მიიღო სწავლა და ენა სომეხთა ზედმიწევნით“ [1].

ნაყოფიერ მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდნენ აგრეთვე:

1. დოსითეოს ნეკრესელი (ჩერქეზიშვილი), რომელიც იყო „კაცი მეცნიერი და ღვთისმეტყველებისაც მცოდნე. ამან უწყოდა სომეხთა ენა კეთილად, რომელმანცა გარდმოიღო სომეხთა ენისაგან მიხითარ ბრძნისა რიტორება მშვენიერ ენაზე“ [2]...

2. გლახა ნათისშვილი „იყო დიაკონი მეფის კარის საყდრისა, ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებასა შინა სრული და უცხო მოჭადაგე და დიდი რიტორი, სომხურსა ენასა ზედმიწევნილი, რომელმანც გარდმოიღო სომხურისა ენისაგან სვიმეონ ჯუღელ ფილოსოფოსისაგან შემოკლებული „კავშირი“, პროკლეს მიერ ქმნილი ღვთისმეტყველება. და შეთხზა ამა ნათისშვილმან მაღალსა ქართულსა ენასა ზედა სასკოლო სასწავლებლად. და სხვანიცა წერილნი გადმოსთარგმნაო“[3].

ზემოაღნიშნულთ გარდა კიდევ ბევრი სხვა მოწინავე ადამიანი ემსახურებოდა ამ დროს ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის განმტკიცების საქმეს.

ისე როგორც წინა საუკუნეების მანძილზე, ახლაც, ქართველებისა და სომხების კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა ცალმხრივი არ ყოფილა. თითოეული მათგანი არა მარტო მეზობელი ხალხის კულტურული მონაპოვრით იყო დაინტერესებული, არამედ საკუთარი ქვეყნის კულტურული მონაპოვრის მეზობლისადმი მიწოდებასაც ცდილობდა. ასეთ კულტურულ ურთიერთობას ჰქონდა ორთავე მხარის მიზნებისათვის უდიდესი მნიშვნელობა. ბევრი წიგნი ითარგმნა ამ დროს ქართულიდან სომხურად.

ჩვენამდე მოღწეულია ერთი საბუთი, რომელშიაც ნათქვამია, რომ „წიგნი ესე კონსტანტინეპოლისს ქართველმან ვინმე მეცნიერმან ბერძენთა ენისაგან თარგმნა ქართულად“, ხოლო შემდეგ საქართველოს სომხებმა ქართულიდან სომხურად გადათარგმნესო.

სომეხი და ქართველი მოწინავე ადამიანები, კულტურისა და ლიტერატურის მოღვაწეები ყოველთვის იჩენდნენ ერთიმეორის კულტურისადმი პატივისცემას, ენის შესწავლისადმი ინტერესს. 1799

[1] იოანე ბატონიშვილი, „ქალმასობა“, II, გვ. 201.
[2] იქვე, გვ. 199.
[3] იქვე, გვ. 195.

წელს იოანე ბატონიშვილის მიერ თავისი მამის, გიორგისადმი წარდგენილ მოხსენებაში სხვადასხვა რეფორმის შესახებ აღნიშნულია, რომ თბილისში, გორსა და თელავში უნდა გახსნილიყო უმაღლესი ტიპის სასწავლებლები, სადაც სხვა საგნებთან ერთად სომხური ენის სწავლებაც უნდა შემოეღოთ[1].

XVIII საუკუნეში ჯერ ქართლისა, ხოლო შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ბევრი ნიჭიერი სომეხი მოღვაწეობდა. ერეკლე მეორის სასახლის კარის აშუღი იყო გარკვეული დროის განმავლობაში საჲათნოვა (არუთინ საიადიანი), რომელიც თბილისში გაიზარდა და საქართველოს თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა. საჲათნოვა აშუღური პოეზიის ტიპიური წარმომადგენელია. პროფ. კ. კეკელიძის სიტყვები რომ გავიმეოროთ, იგი „არაჩვეულებრივი პიროვნებაა... დიდი იყო მისი მნიშვნელობა და გავლენა ქართულ ლიტერატურასა და ინტელიგენტურ წრეებში“ [2], ამიტომ XVIII საუკუნის სომხური და ქართული კულტურული წრეების თუ მათი ურთიერთობის შესახებ მსჯელობის დროს შეუძლებელია ადამიანმა მას გვერდი აუაროს. საჲათნოვას უყვარდა ქართველი ხალხი, მისი კულტურა და ენა. იგი „არამცთუ სთხზავდა და მღეროდა ქართულ ლექსებს, სომხურ ლექსებსაც ქართული ასოებით წერდა და ქართული შენიშვნებითა და ქრონიკონით ამკობდა“ [3].

„საჲათნოვა... რამდენადაც თავის შემოქმედებაში... ერთნაირად ემსახურებოდა და გამოხატავდა ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების გარკვეული წრეების იდეოლოგიას, ის საერთაშორისო პოეტია კავკასიის მაშტაბით. ამით აიხსნება განსაკუთრებული ყურადღება მისდამი საბჭოთა სინამდვილეში“ [4].

ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანად არის გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ XVII—XVIII საუკუნეების ქართველ ისტორიკოსებს საქართველოს გარკვეული საუკუნეების ისტორიის რიგი საკითხების გადმოსაცემად გამოყენებული უნდა ჰქონდეთ სომეხი ისტორიკოსების ისეთი ნაშრომები, როგორიცაა: 1) თომა მეწოფელის (XV ს.) „თემურ ლენგისა და მის მემკვიდრეთა ისტორია“, სადაც აღწერილია სომხეთის, საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების თავგადასავალი; 2) არაქელ თავრიზელის (XVIII ს.) „სომხეთის ისტორია“, სადაც აღწერილია ქართლის მეფის ლუარსაბ II, კახეთის

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 75.
[2] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 562
[3] იქვე, გვ. 563.
[4] იქვე, გვ. 567.

შეფის თეიმურაზ პირველის, ქეთევან დედოფლისა და გიორგი საააკაძის მოღვაწეობისა და თავგადასავლის ამბები და სხვა. „განსაკუთრებით უხვად უნდა ესარგებლათ ქართველ ისტორიკოსებს არაქელ თავრიზელის ვრცელი საისტორიო ნაწარმოებით"[1].

აღსანიშნავია, რომ ძველად საკმაო რაოდენობით ყოფილა გავრცელებული ამა თუ იმ თხზულების ქართული ტრანსკრიპციით სომხურად გადაღება „ისევე, როგორც თურქული და აზერბაიჯანული ხელნაწერები და ძველი ნაბეჭდი წიგნებიც სომხური ტრანსკრიპციით, საკმაო რაოდენობით იყო გავრცელებული XVIII—XIX საუკუნეებში. ისინი არა მხოლოდ ორი მეზობელი ხალხის, ერთს შემთხვევაში — სომეხთა და ქართველთა, მეორეში კი — სომეხთა და აზერბაიჯანელთა... კეთილმეზობლურსა და მეგობრულ ურთიერთობას მოწმობენ. არამედ აგრეთვე იმ კულტურულ სიტუაციას, რომელსაც გარკვეულს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ სფეროში მოქცეული ესა თუ ის ეთნიკური კოლექტივი ანუ მისი რომელიმე ნაკვეთი მისდევდა"[2]. უკანასკნელთა რიცხვში გულისხმობს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი სომხეთის სამეფო-სამთავროთა დაცემის შემდეგ საქართველოში გადმოსახლებულ სომხებს. „კერძოდ, სასულიერო შინაარსის სომხური ხელნაწერები ქართული ტრანსკრიპციით გავრცელებული იყო საქართველოში ღვთის მსახურების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რამდენადაც საქართველოში მყოფ სომეხთა სამღვდელოების შესამჩნევი ნაწილი ს ო მ ხ უ რ ი წერა-კითხვის უცოდინარი იყო" [3].

სომხურ ენაზე ქართული ტრანსკრიპციით შეუსრულებიათ არა მარტო სასულიერო შინაარსის თხზულებების გადაწერა, არამედ სხვა ხასიათის ნაწარმოებებისაც. დღემდე შემონახულია სტეფანე დავითისძე ალავერდოვის მიერ XIX საუკუნის პირველ ნახევარში

---

[1] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1958, გვ. 28.

[2] ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი. სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ოშვიათი ძეგლი (სომხური ხელნაწერი-კრებული ქართული ტრანსკრიპციით), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXVI, 1944, გვ. 191.

[3] იქვე.

დაწერილი კრებული[1], რომლის უკანასკნელი კარი შეიცავს „19 ლექსს, მათ შორის რამდენიმე აშუღურს, სხვადასხვა ენაზე: 5 ქართულს, 4 აზერბაიჯანულსა და თურქულს; დანარჩენი 10 სომხურია"[2]. ყველა ისინი ქართული ტრანსკრიპციით დაუწერია ალავერდოვს.

ქართული ტრანსკრიპციით წერდა აგრეთვე ზოგიერთი აზერბაიჯანელი პოეტი თავის ზოგიერთ ლექსს. ქართული ასოებით აქვს დაწერილი რამდენიმე ძვირფასი ლექსი აზერბაიჯანის ცნობილ პოეტს ვაგიფის[3] და სხვ.

---

[1] ეს კრებული სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს კალისტრატეს „სამეცნიერო კონსულტაციისათვის" გამოუგზავნია პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგისათვის, რომელმაც კრებულს ზემოაღნიშნული სტატია მიუძღვნა.

[2] იქვე, გვ. 193.

[3] Дилара Алиева, დასახელებული ნაშრომი, გვ. 39.

თავი X

ამიერკავკასიის ხალხთა ეკონომიური ურთიერთობა ძველ ხანაში

(ზოგადი მიმოხილვა)

ამიერკავკასიის ხალხებს სამეურნეო ცხოვრებისა და ურთიერთ თანამშრომლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ. მაგრამ თუ ამ ხალხების პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის გასათვალისწინებლად წყაროებში მცირე ცნობები მაინც არის შემონახული, ეკონომიური ურთიერთობის საკითხების შესახებ ცნობები ნაკლებად გაგვაჩნია.

სომხების, ქართველებისა და აზერბაიჯანელების ეკონომიური ურთიერთობა არა მარტო გარკვეული საგნების ურთიერთ გაცვლა-გამოცვლაში გამოიხატებოდა, არამედ ის, პირველ ყოვლისა, სამეურნეო ცხოვრების გამოცდილების გაზიარებაშიც მდგომარეობდა.

ამიერკავკასიის ხალხებს მიწათმოქმედების უძველესი გამოცდილება აქვთ. სასოფლო-სამეურნეო იარაღების სახელთა წარმოშობა-გავრცობის შესწავლაც გვიჩვენებს, რომ სომხები და ქართველები, როგორც ერთიმეორის ისტორიული მეზობლები, სოფლის მეურნეობის განვითარების დარგშიაც წარმატებით იყენებდნენ ერთიმეორის გამოცდილებას. სომხეთში გავრცელებული სახვნელი იარაღების სახელთა წარმოშობის დაკვირვება საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ბევრი მათგანი ქართული წარმოშობისაა ან ქართულის გზით არის სომხურში შესული.

აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით სახვნელი იარაღისა, მისი ნაწილებისა და ხვნის შესახები ტერმინოლოგიიდან სომხურში 9—10 სიტყვაა ქართულიდან ნასესხები ან ნათარგმნი. „ეს შეთვისებული ტერმინები — აღნიშნავდა მკვლევარი — უმთავრესად გაუმჯობესე-

ბულ სახვნელებსა და მათ ნაწილებს ეხებიან, მეტადრე ფრთიანს და საზიდიან სახვნელებსა და მათ ნაწილებს. მარტივი აგებულების სახვნელის „არორ“-ისა და მისი ნაწილების ტერმინები კი ნამდვილი სომხურია. ამან „მაჭ“-ის გარდა, რომელიც უძველეს დროსვეა ქართულითგან ძველ სომხურში შეთვისებული. აქედან უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ გაუმჯობესებული სახვნელი სომხებს ქართველებისაგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული“[1]. მაგრამ სომეხ-ქართველთა შორის სამეურნეო ცხოვრების გამოცდილების გაზიარება ცალმხრივი არ იყო და ქართველები სომხებიდანაც ღებულობდნენ ყოველივე იმას, რაც პირველს ესაჭიროებოდა და მეორეს მოეპოვებოდა.

ამიერკავკასიის ხალხთა ეკონომიურ ურთიერთობაზე მიგვითითებს ის მრავალი და უძველესი სამიმოსვლო-სავაჭრო გზები, რომლებითაც სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ. ძველი ბერძნული ცნობები და არქეოლოგიური მასალები ადასტურებს, რომ სქალაქო ცხოვრება საქართველოში ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებამდე იყო სათანადოდ განვითარებული.

ამიერკავკასიის ხალხების ერთმანეთთან გეოგრაფიული სიახლოვე ბუნებრივად იწვევდა ამ ხალხების მჭიდრო ეკონომიურ ურთიერთობას.

ცნობილია, რომ ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევარში გზა გაეხსნა ბერძნულ კულტურას და ელინიზმი ამიერკავკასიაშიც შემოიჭრა. რა თქმა უნდა, ამიერკავკასიის ხალხთა ეკონომიურ ურთიერთობაში ელინიზმს არ შეეძლო განსაკუთრებული როლი ეთამაშა; ეს ხალხები ბერძნების გარეშეც კარგად იცნობდნენ ერთმანეთს და მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა ელინიზმის ხანამდეც უნდა ჰქონოდათ. მაგრამ მას, ელინიზმს, ერთდავგვარი როლი უნდა ეთამაშა ამიერკავკასიის ხალხების როგორც კულტურული, ისე ეკონომიური კავშირის კიდევ უფრო გაღრმავებაში.

აღნიშნულ გარემოებას შესაძლებელია რამდენადმე ის ფაქტიც ადასტურებდეს, რომ ამიერკავკასიის თითქმის მთელს მიწა-წყალზე მრავლად მოიპოვება ალექსანდრეს დრახმები[2], რაც არა მარტო ელინების — ბერძნების და სხვა შორეული ქვეყნების ამიერკავკასიის ხალხებთან ეკონომიურ კავშირზე მიგვითითებს, არამედ იგი ამ ხალ-

---

[1] საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, 1930, გვ. 251.

[2] Я. А. Манандян, О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен (V в. до н. эры—XV в. н. эры), Ереван, 1954, გვ. 32.

ხების ეკონომიური ურთიერთობისა და მის ხელშემწყობ მოვლენადაც გვეჩვენება. ეხებოდა რა ელინიზმის ეპოქის ბერძნული მონეტების ამიერკავკასიის მიწა-წყალზე გავრცელებას, აკად. ი. მანანდიანი აღნიშნავდა: ამიერკავკასიის მიდამოებში ნაპოვნი ეს მონეტები სრულიად გარკვევით გვიჩვენებს, რომ ბერძნულ-აღმოსავლური ელინისტური სახელმწიფოების შექმნამ აზიაში და აღმოსავლეთის ეკონომიური ცხოვრების დიდმა ცვლილებებმა არსებითი გავლენა მოახდინეს აგრეთვე ამიერკავკასიის ეკონომიურ ცხოვრებაზე [1].

ამიერკავკასიაში საქალაქო ცხოვრების განვითარებისა და მხარეთა შორის ეკონომიური ურთიერთობის გაღრმავებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ უძველესი დროიდან არსებული აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი დიდი სავაჭრო გზა ამიერკავკასიის ქვეყნებზე გადიოდა. სტრაბონი გადმოგვცემს, რომ, როგორც ამბობენ ოქსოსის (ამუდარიის) დიდი მდინარით „ბევრი ინდური საქონელი შემოაქვთ ჰირკანიის (კასპიის — ვ. კ.) ზღვაში, ხოლო აქედან ალბანიაში გადააქვთ და შემდეგ მტკვრითა და მისი მომდევნო ადგილებით ევქსინოს [ზღვაში] ჩააქვთო“ [2].

აღნიშნულ ცნობას კიდევ უფრო კარგად პლინიუს უფროსი (23—79) აზუსტებს. მისი ცნობით, ინდური საქონელი ჰირკანიის (კასპიის) ზღვიდან მტკვრით გადმოჰქონდათ, ხოლო შემდეგ ხმელეთით (ლიხის უღელტეხილით) გადაჰქონდათ, რომლისთვისაც საჭირო იყო არა უმეტეს ხუთი დღისა. ამის შემდეგ მდინარე ფაზისით ეს საქონელი ქალაქ ფაზისში მიჰქონდათო [3], აქედან კი დასავლეთში.

გარდა აღნიშნული გზისა, კიდევ ბევრი, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ თუ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზა გადასერავდა ამიერკავკასიის მიწა-წყალს. თუ ერთი დიდი სავაჭრო გზა ბარდავ-შანქორ-ხუნანის გამოვლით მცხეთა-თბილისისაკენ მოემართებოდა, მეორე, არანაკლები მნიშვნელობის მქონე გზა, სომხეთის ძველ ქალაქ არტაშატს და ჯავახეთ-სამცხის მიწა-წყალზე გავლით ზეკარს გადასერავდა და ფაზისზე (ფოთზე) გავლით დიოსკურიაში (ძველი ქალაქი, რომელიც სოხუმის მიდამოებში იყო) მიდიოდა, საიდანაც მეოტიის (აზოვის) ზღვისა და სამხრეთ რუსეთის ველებისაკენ მიემართებოდა. ეს გზა უძველესი გზა იყო და მას ეკო-

[1] Я. А. Манандян, О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен (V в. до н. эры — XV в. н. эры), Ереван, 1954, გვ. 33.

[2] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, დასახელებული გამოცემა, გვ. 148.

[3] Ш. А. Месхия, Города и городской строй феодальной Грузии, დასახელებული გამოცემა, გვ. 15.

ნომიუსი მნიშვნელობის გარდა დიდი სამხედრო მნიშვნელობაც ჰქონდა.

ამ გზის მნიშვნელობისა და არსებობის შესახებაც სტრაბონის გეოგრაფიაში ვპოულობთ საინტერესო ცნობებს. იგი გადმოგვცემს, რომ აორსებს, რომლებიც ტანაისის (დონი) ახლო მოსახლეობენ, და სირაკებს, რომლებიც კავკასიონის მთებიდან გამომდინარე აქარდერონის[1] ახლო ცხოვრობენ, ბევრი „შემოჰქონდათ აქლემებით ინდური და ბაბილონური საქონელი, რომელთაც ისინი არმენიელთა და მიდიელთაგან ღებულობდნენო"[2].

აკად. ი. მანანდიანის მოსაზრებით, სირაკელთა და აორსელთა მიერ ინდური და ბაბილონური საქონლის შემოზიდვა არტაშატზე გაძვლელ მეოტია-კოლხეთის გზით ხორციელდებოდა, რომელზედაც მთავარი ქალაქები იყო ფაზისი და დიოსკურია[3].

ამიერკავკასიის ქვეყნები აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქონლის უბრალო გამტარ აუზს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ ისინი საერთაშორისო ვაჭრობაში თვითონაც იყვნენ ჩაბმული და, პირველ ყოვლისა, ურთიერთშორის ცხოველ ვაჭრობას აწარმოებდნენ.

უცხოურ წერილობითს წყაროებში მოთხრობილია, რომ იბერიას თავისი ნაწარმი გაჰქონდა სომხეთისა და აზერბაიჯანის ქალაქებში. VI საუკუნის ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს, რომ სამხრეთ სომხეთის დიდ ქალაქში, დვინში, მრავალი ვაჭარი ცხოვრობდა და თავის საქმიანობას ეწეოდა. იქ საქონელი შემოჰქონდათ ინდოეთიდან, მეზობელი ი ბ ე რ ი ი დ ა ნ, სპარსეთიდან, რომაელების ქვეშევრდომ ზოგიერთ ხალხთა ქვეყნებიდან და ერთმანეთში აღებ-მიცემობას აწარმოებდნენო[4]. იბერიას არა მარტო გაჰქონდა ამ დროს საქონელი სომხეთსა და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებში, არამედ შემოჰქონდა კიდეც იქიდან თავის ქვეყანაში.

სომხეთისა და ალბანიის ქალაქებს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ მცხეთასთან და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ძველ ქალაქებთან, მაგრამ ეს ურთიერთობა განსაკუთრებით თბილისთან ჩანს. თბილისი დაარსების დღიდანვე მრავალ შორეულ და ახლობელ

---

[1] მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, თუ რომელ თანამედროვე მდინარეს ეწოდებოდა „აქარდეონი" (იხ. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 273, გეოგრაფიული სახელი „აქარდეონი"). აკად. ს. ჯანაშია ფიქრობდა, რომ იგი ალბათ ყუბანს უდრის (შრომები, I, 1949, გვ. 301).

[2] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 142.

[3] Я. А. Манандян, О торговле и городах Армении... 1954, გვ. 59.

[4] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, ტ. II, 1934, გვ. 61.

ქვეყანასთან იყო ჩაბმული სავაჭრო ურთიერთობაში და პირველ ყოვლისა სომხეთის ქალაქებთან [1].

ამიერკავკასიის ხალხთა ეკონომიური ურთიერთობა რომ აუცილებელი საჭიროებით იყო გაპირობებული, ეს იქიდანაც ჩანს, რომ VI—VII საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც სომხებსა და ქართველებს შორის საეკლესიო განხეთქილება მოხდა და სომეხთა კათალიკოზმა აბრაამმა განკარგულება გასცა, რომ ყოველგვარი ურთიერთობა გაეწყვიტათ სომხებს ქართველებთან, მან ვაჭრობის აკრძალვის განკარგულების გაცემა ვერ გაბედა [2]. ეს ალბათ იმიტომ, რომ ფიქრობდა ასეთ განკარგულებას ანგარიშს არავინ გაუწევდა და ის არ შესრულდებოდა. „სავაჭრო კავშირი საქართველოსა და სომხეთს შორის მაინც შენარჩუნებულ იქნა" [3].

არაბთა ბატონობის ხანაში, მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის ქვეყნები დამპყრობთა მიერ ეკონომიურსა და პოლიტიკურ შევიწროებას განიცდიდნენ, ამ ქვეყნებში საქალაქო ცხოვრება და ვაჭრობა მაინც სწრაფად ვითარდებოდა. ამის მიზეზი, პირველ ყოვლისა, ქვეყნის შინაგანი სამეურნეო ცხოვრების განვითარება იყო. აგრეთვე ამ საქმეში გარკვეული როლი ითამაშა საერთაშორისო ვაჭრობამ, რომელმაც სამხრეთიდან ჩრდილოეთში გადმოინაცვლა და ჩრდილოეთის ქვეყნებთან გაცხოველდა.

მრავალი ახალი მაგისტრალი გაჩნდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ თუ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და ჰირიქით.-ზემოთ დასახელებული გზების გარდა სომხეთისა და ალბანიის ქალაქებს საქართველოსთან კიდევ სხვა მრავალი გზა აკავშირებდა.

IX საუკუნის დასაწყისიდან განსაკუთრებული მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ტაო-კლარჯეთისა და სომხეთის ეკონომიურ ცენტრებს შორის. დიდი სამიმოსვლო მაგისტრალით იყვნენ ამ დროს ერთიმეორესთან დაკავშირებული სომხებისა და ქართველების ისეთი დიდი სავაჭრო ცენტრები, როგორიც იყო დვინი, ანისი, ყარსი და არტანუჯი.

არტანუჯი (კლარჯეთში) სახალიფოდან ტრაპეზუნის მიმართულებით მომავალ უდიდეს სავაჭრო გზაზე არსებულ ქალაქთაგან ერთ-ერთი უმახვილესი სავაჭრო ცენტრი იყო. ბიზანტიის იმპერა-

---

[1] შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, 1958, გვ. 24.

[2] История Агван Моисея Каганкатваци, დასახელებული გამოცემა. გვ. 216—217.

[3] Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, გვ. 27.

ტორის კონსტანტინე პორფიროგენეტის (913—959) გადმოცემით, „არტანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი „რაბატიც[1]“ და დაბა-ქალაქიც. და იქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა, არმენიისა და სირიის ყველა ქვეყნიდან; და ამ საქონლებიდან მას უამრავი ბაჟი შემოდის“[2]. ჯრტანუჯი იყო ამიერკავკასიის ხალხების სავაჭრო შეხვედრის ერთ-ერთი დიდი პუნქტი.

საქართველოს გაერთიანებისა და ფეოდალური საქართველოს სამეფოს უფლებების შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გავრცობის შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდა ამიერკავკასიის ხალხებს შორის ეკონომიური ურთიერთობა. გამრავლდა ქალაქები და გაყვანილ იქნა ამ ქალაქების ურთიერთდამაკავშირებელი ახალი გზები. დავით აღმაშენებლის ღონისძიებები სომხეთში დანგრეული ქალაქების აღდგენისა, სამიმოსვლო გზების წესრიგში მოყვანისა და საქართველოს ქალაქებში სომხების ჩამოსახლების შესახებ დიდად უწყობდა ხელს ქართველებისა და სომხების ეკონომიური კავშირის გამტკიცებას.

ჯერ კიდევ მანამდე, სანამ დავით აღმაშენებელი თბილისსა და ანისს გაანთავისუფლებდა, ერთიმეორესთან სავაჭრო ურთიერთობაში იყვნენ ჩაბმულნი „განძელ-ტფილელ-დმანელნი“[3] ვაჭრები. „დიდძალი საქონლით სავსე ქარავანი მოდიოდა ხოლმე ტფილისს და ბრუნდებოდა უკან. ქარავანი განჯა-დმანისსა და ტფილისს შორის დადიოდა ხოლმე. ასზე მეტი მარტო კაცი იღებდა მონაწილეობას ასეთ დიდ ქარავანში“[4].

გარდა იმისა, რომ ამიერკავკასიის ქალაქები ადგილობრივი ნაწარმით ცხოველ ვაჭრობას აწარმოებდნენ ურთიერთშორის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ქალაქების საშუალებით უამრავი საქონელი შემოდიოდა საქართველოში ბაღდადიდან და სამხრეთის სხვა ქვეყნებიდან.

---

[1] „რაბატი“ სპარსულია და ნიშნავს „გამაგრებულ ადგილს“. საქართველოში დღესაც ცოცხალია ეს სიტყვა (მაგალითად, ახალციხის რაბათი, ადიგენის რაბათი) და იმით აღინიშნება ქალაქისა თუ დასახლებული ადგილის ის გამაგრებული ნაწილი, სადაც თავმოყრილია სავაჭრო ბინები, ადმინისტრაციული დაწესებულებები და შისთანანი“ (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტომი მეოთხე, ნაკე. II. 1952, გვ. 278).

[2] იქვე, გვ. 278—279.

[3] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 340.

[4] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1, 1907, გვ. 28—29.

აკად. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, აქედან შემოჰქონდათ ქართულ წყაროებში მოხსენებული ნივთები [1]: ბაღდადური აფი [2]; ჯუბა-ჩა, ლარი, ოქროქსოვილები, რომელსაც ზარქაშს [3] ეძახდნენ [4]; თათრული აღვირები სადაფით შემკული და სხვ.

იმავე ქვეყნებიდან და იმავე გზით შემოდიოდა საქართველოში აგრეთვე იოანე შავთელის მიერ მოხსენებული ისეთი ნივთები, როგორიცაა: სურნელება და ნელსაცხებელი — ბალასანი, მუშკი, პატარა ყუთები ზარდახჩად წოდებული, ზოდებით ოქრო, რომელსაც „ზარქაში“ ერქვა, ფოლადი, შაქარი, ბადახშანური ლალი, იაგუნდი, ფირუზი, სადაფი და ჩახრუხაძის მიერ აღნიშნული ქაფური, ბროლი [5] და სხვ.

საქართველოში შემოზიდული სომხური საქონლიდან აღსანიშნავია ძვირფასი წითელი ფარჩეული, რომელსაც ზოგადად „სომხური ტაბასტაჲ“ ეწოდებოდა.

საქართველოდან გაჰქონდათ და სომხეთ-აზერბაიჯანიდან შემოჰქონდათ აგრეთვე მრავალი სახის წვრილმანი საქონელიც კი. 1185 წელს საღმოსავანქში (არაგაწოტნის ოლქი) გადაწერილ ერთ ხელნაწერის ანდერძში ამ ხელნაწერის გადამწერი წერს:

„მოიხსენეთ ძმა ჩვენი ქრისტეს მიმართ ქარასუნჭი... რომელმაც ამის (ხელნაწერის) დასაკაზმი მასალა მოიტანა თბილისიდან, ხოლო რგოლი და ღილი — ანისიდანო“ [6].

ისე როგორც ყოველთვის, ახლაც სავაჭრო ურთიერთობისა და ალებ-მიცემობის საქმეში სომხები იჩენენ უფრო მეტ აქტივობას.

ეყრდნობოდა რა ეპიგრაფიკულსა და სხვა წერილობით ძეგლთა ცნობებს, აკად. ი. მანანდიანი აღნიშნავდა, რომ „XI—XIII საუკუნეებში და უფრო გვიანაც სომეხთა სავაჭრო კოლონიები გაჩნდნენ არა მარტო მეზობელ საქართველოში, ყირიმში და შავი ზღვის

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1, 1907, გვ. 30—31.

[2] ნიკორწმინდის დაწერილი XI საუკუნისა, თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 1897, გვ. 45.

[3] ზარქაში — „ოქროსა და ვერცხლის გაზიდულსა და გამზიდველსა ჰქვიან, ხბეპლასა და სირმათა“ (საბა). თ. ჟორდანიას მიხედვით კი „ოქრო-ვერცხლეა“ (ქრონიკები, II, გვ. 134, შენ. 7).

[4] რკონის სიგელი XIII საუკუნისა, იქვე, გვ. 134.

[5] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1907, გვ. 30—31.

[6] ს. ნ ა ლ ბ ა ნ დ ი ა ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 17.

სხვა ნავსადგურებში, არამედ ისინი გაჩნდნენ აგრეთვე შუა აზიის რაიონებში და ბულგართა ქალაქებში ვოლგაზე [1].

ბევრი სომეხი ვაჭარი ჩანს XIII საუკუნის საქართველოს ქალაქებში. ისინი, ისე როგორც საქართველოში მყოფი თითქმის ყველა სომეხი, ავბედობის შედეგად იყვნენ გამოქცეული სომხური ქალაქებიდან. კარნუ ქალაქში (ერზერუმი) მცხოვრები სომეხი დიდი ვაჭარი უმეკი, რომელიც 1242 წელს მონღოლთა მიერ ამ ქალაქის აღების დროს იქიდან გამოდევნეს [2], თბილისში გადმოსახლდა და აქ ის დიდი ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა. კირაკოზ განძაკელის გადმოცემით, უმეკი „დავით მეფის მამად იწოდებოდა“ [3]. თუმცა, როგორც წყაროებიდან ჩანს, უმეკს შემდეგ მონღოლებიც პატივს ცემდნენ, მაგრამ შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ იგი დაკავშირებული იყო ანტიმონღოლურ წრესთან; უმეკი სიძე იყო ხაჩენის მთავრის ჰასან ჯალალისა [4], რომელიც მონღოლებმა სიკვდილით დასაჯეს.

უმეკს, ამ უდიდეს ვაჭარს, საქართველოში გადმოსახლების შემდეგაც ეკონომიურად სომხურ მხარესთან ჰქონდა კავშირი. ჰოშავანქის მონასტრის 1283 წლის წარწერაში უმეკის შვილი ჩარი წერს: საქართველოში დემეტრე ბაგრატიონის მეფობის დროს (1271—1289 წწ.) ჩემი მამის უმეკის მიერ ნაყიდი იყო გეტიკი ორმოცი ათას წითელ დუკატად და მე, ჩარმა — განაგრძობს უკანასკნელი — ვიყიდე ოცი მთელი მისი საზღვრისპირა ნაწილებით და შევწირე ის გეტიკის ღვთისმშობლის ეკლესიასო [5].

თუ ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობას დავუჯერებთ, 1336 წელს, როდესაც მონღოლთა სამხრეთის სახელმწიფოს არსებობის უკანასკნელი დღეები ითვლებოდა, საქართველოს სამეფოდან გადასახადის სახით ყაენის სალაროში 120 თუმანი და 2000 დინარი (120×10000+2000= =1202000 დინარი) შესულა. ხოლო სამხრეთ სომხეთიდან (ჩრდილო სომხეთი ჯერ კიდევ საქართველოს სამეფოში შემოდიოდა) 39 თუმანი (39×10000=390000 დინარი) წაუღიათ [6].

ზემოაღნიშნული გადასახადის საკმაოდ დიდი ნაწილი დამღის — სავაჭრო გადასახადის სახით უნდა გასულიყო საქართველოს სამეფო-

---

[1] О торговле и городах Армении, გვ. 277.

[2] Всеобщая история Вардана Великого, გვ. 180.

[3] История монголов по армянским источникам, II, გვ. 79.

[4] История монголов по армянским источникам, I, გვ. 72, შენ. 10.

[5] Я. А. Манандян, О торговле и городах Армении, გვ. 281.

[6] იქვე, გვ. 304.

დან. ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების განვითარების შეფერხებისა და სოფლის მეურნეობის დაცემის ისეთ პირობებში, როგორშიაც მაშინ საქართველოს სამეფო იმყოფებოდა, 1202000 დინარი ძნელი გადასახდელი იყო. მაგრამ საინტერესოა, რომ მას მაინც შერჩენია უნარი ასეთი დიდი ფულადი ხარკი დამპყრობლის სალაროსათვის მიეწოდებინა.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმას მოწმობს, რომ ამიერკავკასიაში არ მოშლილა სასაქონლო მეურნეობა; აქაურ ქალაქებს ერთიმეორესთან აქვთ ეკონომიური ურთიერთობა, ხოლო შემდეგ შორეულ ქვეყნებთან და ქალაქებთან არიან ისინი დაკავშირებული. მაგრამ ამიერკავკასიის ქალაქების ურთიერთ შორის ეკონომიური კავშირი XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან არ შეიძლებოდა ისეთი ყოფილიყო, როგორიც ის XII საუკუნეში და განსაკუთრებით XII — XIII საუკუნეთა მიჯნაზე იყო.

XIII საუკუნის პირველი ნახევრიდან დაწყებულმა ძნელბედობამ ამიერკავკასიის ხალხთა სამეურნეო ცხოვრებაზე დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა. ხვარაზმელთა ლაშქრობა, მონღოლთა ვაბატონება და მათ მიერ ვაჭარ-ხელოსნებისადმი უსაზღვრო გადასახადების შემოღება გამანადგურებელი მოვლენა იყო ამიერკავკასიის ქალაქებისათვის. ამასთანავე, XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩრდილოეთისა და სამხრეთის ურდოებს შორის ამიერკავკასიაში წარმოებულმა დიდმა ომებმა, ჩრდილოეთთან სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტამ და ჩრდილოეთის დიდი სავაჭრო გზის სამხრეთში გადანაცვლებამ არა მარტო დაასუსტა ამიერკავკასიის ქალაქები და მათი ეკონომიური ურთიერთობა, არამედ ბევრი ქალაქი მთლიანად გააქრო კიდეც.

მომდევნო საუკუნეებში ჯერ თემურ-ლენგის ლაშქრობებმა, ხოლო შემდეგ სხვადასხვა დამპყრობლებმა კიდევ უფრო დიდი ზიანი მიაყენეს ამიერკავკასიის ხალხთა ეკონომიურ ცხოვრებას.

XV—XVI საუკუნეებში ამიერკავკასიის ხალხები განსაკუთრებულ რთულ პირობებში აღმოჩნდნენ. თუ საქართველოში შექმნილი საზოგადოებრივი ურთიერთობანი და პოლიტიკური ვითარება გზას უხშობდა საწარმოო ძალთა განვითარებას, ამ მხრივ კიდევ უფრო რთული მდგომარეობა სომხეთში და აზერბაიჯანში იყო: ჯერ თურქმანებმა შეარყიეს ისედაც ძლიერ შელახული მათი ეკონომიური ცხოვრება, ხოლო შემდეგ ყიზილბაშებმა და თურქ-ოსმალებმა მოამწყვდიეს ეს ქვეყნები ჩიხში.

სომხეთისა და აზერბაიჯანის ძველი ინტენსიური მეურნეობა დამპყრობლებმა დიდად დააზარალეს, ყიზილბაშთა სამხედრო-მომ-

თაბარე არისტოკრატიის ხელში მიწების გადასვლამ ძლიერ უარყოფითად იმოქმედა ამ ქვეყნების მიწათმოქმედებაზე.

ამასთანავე, ფეოდალურ სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო, რომელიც მტრულად განწყობილი და მეტად საშიში სახელმწიფოებით იყო გარემოცული, არ შეიძლებოდა ეკონომიურადაც არ დაძაბუნებულიყო.

ძლიერ შეფერხდა ამიერკავკასიის ქვეყნებში სოფლის მეურნეობა, რამაც საქალაქო ცხოვრებაზე და ხელობა-მიცემობაზე იმოქმედა, ხოლო ამ გარემოებამ ამიერკავკასიის ხალხთა ეკონომიურ ურთიერთობაზედაც დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა.

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ამიერკავკასიის ხალხთა ეკონომიური ურთიერთობა არ შეწყვეტილა. ეს ურთიერთობა არც შეიძლებოდა შეწყვეტილიყო, ვინაიდან მას ამ ხალხების სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვდა. იგი, გასაგები მიზეზების გამო, ეკონომიური ცხოვრების დაქვეითებასთან ერთად შესუსტდა, მაგრამ ხელსაყრელ დროს უცდიდა, რომ ისევ გამოცოცხლებულიყო.

XVII საუკუნიდან აღორძინება ემჩნევა მეურნეობას, საქალაქო ცხოვრებასა და ხელობა-მიცემობას. გამოცოცხლდა ამიერკავკასიის ქალაქებს შორის ეკონომიური ურთიერთობა, თბილისში „მოდიოდა სხვადასხვა საქონლით დატვირთული ქარავნები განჯიდან, შამახიიდან, ერევნიდან... არზრუმიდან"[1]. და სხვ.

სომხეთთან ქ. თბილისის ეკონომიური ურთიერთობის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაძლევს ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი. იგი, რომელიც 1671 წელს საქართველოში იყო, წერს, რომ ქალაქ თბილისიდან ბლომად მიაქვთ ღვინო სომხეთში, მიდიაში და ისპაანშიო. ამასთანავე აღნიშნავს, რომ ქართველებს მრავალ ხალხთან აქვთ მისვლა-მოსვლა და საქართველოშიც ბევრი სხვა ეროვნების ხალხი თავისუფლად ცხოვრობსო. საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნებათაგან შარდენი პირველ ყოვლისა სომხებს ასახელებს.

ამიერკავკასიის ქალაქებს შორის ეკონომიური ურთიერთობა კიდევ უფრო გაცხოველდა XVIII საუკუნეში. „ფრანგი მოგზაურის, პეისონელის ცნობით (რომელმაც XVIII საუკ. 50—60-ან წლებში საგანგებოდ დაათვალიერა თბილისი და მთელი საქართველო), „თბილისში ყოველდღე მოდის ქარავნები განჯიდან, შამახიიდან, ერევნიდან, თავრიზიდან და არზრუმიდან. აქ (თბილისში) იშოვება ბლომად ურმები და ცხენები ძლიერ იაფად, და ყოველ თვეში იქიდან გადის 150—160-მდე კარგი ურემი ერევანს, თავრიზს და არზრუმშიო"[2].

---

[1] თბილისის ისტორია, დასახელებული გამოცემა, გვ. 159.

[2] იქვე, გვ. 235.

იმავე ავტორის ცნობით, თბილისში არის ყოველგვარი სპარსული საქონლის შეძენის შესაძლებლობა. ეს საქონელი იქ მოდის განჯიდან, შამახიიდან, თავრიზიდან, ერევნიდან და არზრუმიდან... თივთიკი ანუ ცხვრის შავი მატყლი მოდის შამახიიდანო“ [1].

ქარავნები, რომლებიც თბილისში შემოდიოდნენ, რა თქმა უნდა, საქონლით იყვნენ დატვირთული, მაგრამ თბილისი, როგორც ამას სათანადო სპეციალისტები აღნიშნავენ, „უცხოეთიდან შემოტანილი საქონლის მარტო საწყობი და გასაღების ბაზარი როდი იყო“, იგი თავისი ნაწარმით აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ვაჭრობაში და ტვირთით მოსული ქარავნები უკან ცარიელი არ ბრუნდებოდნენ, ისინი თბილისიდან სათანადო საქონლით დატვირთული მიდიოდნენ.

XVIII საუკუნეში საქართველო, კერძოდ თბილისი, ამიერკავკასიის მოძმე ხალხებს ბევრს თავის ნაწარმს და სურსათ-სანოვაგესაც აწვდიდა, მაგრამ ამავე დროს თბილისში ბლომად შემოჰქონდათ ამ დროს შარავანიდან თევზი და ხიზილალა, ერევნიდან თევზი, მარილი და სხვ.

საქართველოში მყოფი სომხები აღებ-მიცემობაში იყვნენ ჩაბმული და დიდად უწყობდნენ ხელს ამიერკავკასიის ხალხთა ეკონომიურ ურთიერთობას. სომხები რომ სხვაზე უფრო აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ვაჭრობაში და ამ გზით დიდი შემოსავალიც ჰქონდათ, ეს თვით შარდენის ცნობიდანაც ჩანს. იგი აღნიშნავს, რომ საქართველოში ბევრი სომეხია და აქ ისინი ქართველებზე უფრო მდიდრები არიანო.

საქართველოში მყოფი სომხების ხელში სიმდიდრის დაგროვება, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა ვაჭრობის გზით შეიძლებოდა. ამას ცნობილი ბოტანიკოსისა და მოგზაურის, პარიზის აკადემიის წევრის, პროფესორ ტურნეფორის ცნობაც ადასტურებს. იგი 1702 წელს წერდა: „ადგილობრივი აბრეშუმი თბილისში არ შემოაქვთ, რომ ბაჟი არ გადაიხადონ, მას ადგილობრივ ყიდულობენ თბილისის სომხები და პირდაპირ ჰგზავნიან ზმირნასა და ხმელთაშუა ზღვის ნავსაყუდელებში ფრანგთათვის მისაყიდადო“ [2].

---

1 თბილისის ისტორია, დასახელებული გამოცემა, გვ. 236.

2 Сборник сведений о Кавказе. VI, 283—5; შდრ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 212.

სომხებს შემოჰქონდათ საქართველოში არა მარტო საკუთარი ქვეყნის ნაწარმი, არამედ, როგორც ნათქვამი იყო, ისინი შუამავლის როლსაც ასრულებდნენ და საჭირო შემთხვევაში შორეული ქვეყნების ნაწარმს აწვდიდნენ საქართველოს. ხშირად, როდესაც ქართველები ირანთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და ბაჰარსული საქონლის მიღების შესაძლებლობას მოკლებული იყვნენ, სომხები აწოდებდნენ მათ საჭირო საქონელს „ბაღდადიდან, ტრაპიზონიდან, სტამბოლიდან, კაფიდან და დაღესტნიდან“ [1]. სამაგიეროდ გაცვლის სახით საქართველოდან მიჰქონდათ: ღვინო, ცვილი, თაფლი და ტყავეული“ [2].

---

[1] Шарден и его путешествие по Грузии. И. А. Свалецкого. Тбилиси, 1849, გვ. 19.

[2] იქვე.

თავი XI

ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცება

1. ამიერკავკასიის ხალხთა განთავისუფლება ირანისა და ოსმალეთის ძალადობისაგან რუსეთის დახმარებით

საქართველოს პროგრესული ადამიანები საუკუნეთა განმავლობაში ოცნებობდნენ ისეთი მოკავშირის მონახვაზე, რომელიც მოძალადე ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ თავდაცვით ბრძოლაში მათ დაეხმარებოდა. ამ ოცნებას პასუხობდა იმ ტრაქტატის ანუ „მეგობრობითი პირობის“ შინაარსი, რომელიც 1783 წელს რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დაიდო.

ამ „მეგობრობითი პირობის“ თანახმად, როგორც ცნობილია, რუსთა მეფე ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობას კისრულობდა. ტრაქტატში ბევრი სასარგებლო მუხლი იყო შეტანილი. მათ შორის ერთი მუხლი იმასაც ითვალისწინებდა, რომ იმპერატორი ყოველგვარ მოვლენას გამოიყენებდა, რათა თურქეთის მიერ მიტაცებული ქართველთა მიწა-წყალი საქართველოსათვის დაებრუნებინა. ეს დაპირება ქართველებს დიდად ახარებდა. ამასთანავე, ტრაქტატის თანახმად, რუსეთის მთავრობა ორ ბატალიონ ჯარისკაცს მუდმივად საქართველოში იყოლიებდა, ხოლო საჭირო შემთხვევაში კიდევ მეტს გამოგზავნიდა.

რუსეთის იმპერატორსა და ქართლ-კახეთის მეფეს შორის ასეთი შინაარსის ხელშეკრულების დადება არა მარტო საქართველოს პროგრესულ ადამიანებს აღაფრთოვანებდა, არამედ ირანისა და ოსმალეთის ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლ ამიერკავკასიის სხვა ხალხებსაც განთავისუფლების იმედს გვრიდა.

ქართველ პროგრესულ მოაზროვნეებთან ერთად რუსეთისადმი ორიენტაციის დიდ ინტერესს ბევრი აზერბაიჯანელი მოწინავე ადამიანი, სომეხი საერო პირი და, ამასთანავე, საეკლესიო მოღვაწე იჩენდა. ბევრ სომეხ პატრიოტს რუსეთის დახმარებით სომეხთა დამოუკიდებლობისა და საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენა სურდა, ზოგსაც რუსეთისაკენ სავაჭრო ინტერესები იზიდავდა. მაგრამ ყველა მათგანის ეს განზრახვა პროგრესის საქმეს ემსახურებოდა.

ტრაქტატმა ამიერკავკასიის ხალხებს განთავისუფლების იმედი მისცა. მაგრამ ამ მოვლენამ ოსმალეთი და სპარსეთი დიდად აღაშფოთა. ისინი ქართლ-კახეთის მეფე ერეკლესაგან დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ მას რუსეთთან კავშირი გაეწყვიტა, მაგრამ ერეკლე და საქართველოს სხვა მოწინავე ადამიანები არამცთუ არ ასრულებდნენ ირანისა და ოსმალეთის მოთხოვნას, არამედ, პირიქით, რუსეთთან კავშირს აძლიერებდნენ და რუსეთის მეფის მთავრობისაგან ტრაქტატის შესრულებას დაჟინებით მოითხოვდნენ.

რუსეთის გაძლიერება და ამიერკავკასიაში მისი გავლენის დამყარება არა მარტო ირანსა და ოსმალეთს აღელვებდა, არამედ საფრანგეთსა და ინგლისსაც არ მოსწონდათ. ისინი ირანსა და ოსმალეთს რუსთა წინააღმდეგ საბრძოლველად აქეზებდნენ და სათანადო დახმარებასაც აღუთქვამდნენ.

რუსეთის გაძლიერებისა და ამიერკავკასიაში შემოსავლის შიშით თავზარდაცემულმა სპარსეთმა და ოსმალეთმა, ჯერ კიდევ ტრაქტატის დადების მომდევნო წლებში, ბევრი უბედურება შეამთხვიეს ამიერკავკასიის ხალხებს. ოსმალეთის წაქეზებით გააძლიერეს აღმოსავლეთ საქართველოს რბევა და აოხრება დაღესტნელმა აბრაგებმაც.

ქერიმ ხანის გარდაცვალების შემდეგ, 1779 წლიდან, ირანში შინაგანი არეულობა და ფეოდალური ბრძოლა განახლდა. ამ ბრძოლებში საბოლოოდ აღა-მაჰმად-ხან უპყრია გამოვიდა გამარჯვებული. ჰან, რომელმაც 1781 წელს დაიწყო პირველობისათვის ბრძოლა, 1794 წლისათვის ჯითქმის მთელი სპარსეთის მთავარ პროვინციებზე გაავრცელა თავისი ბატონობა. დაიმორჩილა რა სამხრეთ აზერბაიჯანის სახანოები, დაუყოვნებლივ შეუდგა სამზადისს ჩრდილო რაიონების დასამორჩილებლად და ყარაბაღის ხანს იბრაგიმს მძევლები მოსთხოვა. მიიღო რა უარი იბრაგიმისაგან, სასწრაფოდ გამოგზავნა ყარაბაღის დასარბევად 8 ათასი კაცისაგან შემდგარი ლაშქარი.

აღა-მაჰმად-ხანის ამ მოქმედებას ქართლ-კახეთის მმართველი წრეები გულგრილად ვერ შეხვდებოდნენ. მით უმეტეს, რომ აღა-მაჰმად-ხანს სწორედ ქართლ-კახეთის სამეფო ჰქონდა მიზანში

ამოღებული. იგი, რომლის ზურგს უკან საფრანგეთი და ინგლისი იმყოფებოდნენ, ქართლ-კახეთის მეფე „ერეკლესაგან რუსეთ-საქართველოს კავშირის გაუქმებასა და ქართლ-კახეთის ირანისადმი მორჩილებას მოითხოვდა". ამიტომ ერეკლე II ყარაბაღელებს დაუყოვნებლივ მიაშველა დამხმარე ლაშქარი. ქართველთა და ყარაბაღელთა გაერთიანებულმა ლაშქარმა დაამარცხა მტერი [1]. მაგრამ აღა-მაჰმად-ხანის სხვა რაზმები აზერბაიჯანის ცალკეულ მხარეებშიაც შეიჭრენ და რბევას მიჰყვეს ხელი.

1795 წლის ზაფხულში აღა-მაჰმად-ხანის მრავალრიცხოვანი ლაშქარი შემოიჭრა ყარაბაღის მიდამოებში. გაითვალისწინეს რა მოსალოდნელი საფრთხე ყარაბაღის, ერევნისა და ტალიშის ხანებმა, დაუყოვნებლივ შეკრეს კავშირი ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორესთან. მოკავშირეებმა ფიცი მისცეს ერთმანეთს და ძალებიც გაანაწილეს [2].

სამშობლოს პატრიოტმა სომხებმა და აზერბაიჯანელებმა მათ მიწა-წყალზე შემოჭრილ მტერს ზურგში გაუმართეს ბრძოლა. მოუოლოდნელი თავდასხმებით დიდ ზიანს აყენებდნენ მას, ანადგურებდნენ მტრის ლაშქრის მომარაგების ბაზებს და ამით დიდად აფერხებდნენ მის მოქმედებას. მაგრამ ყველა როდი იყო თავისი ქვეყნის ასეთი ერთგული. განჯის ხანი და ყარაბაღის მელიქი მტრის ხელის შემწყობის როლში გამოდიოდნენ.

მტერმა ალყა შემოარტყა ციხე-სიმაგრე შუშას. აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარი, რომელსაც ფრანგი ოფიცრები მეთაურობდნენ, სამი დღის განმავლობაში უშენდა ზარბაზნებს შუშის ციხე-სიმაგრეს. აზერბაიჯანელებმა დიდი სიმტკიცე გამოიჩინეს და მტერმა ციხე-სიმაგრე ვერ აიღო [3]. მან, მართალია, ამ ციხეს ალყა მოხსნა, მაგრამ დაუსჯელად განაგრძო გზა და ერევანში მოვიდა. აღა-მაჰმად-ხანმა დიდი გადასახადი დააკისრა ეჩმიაძინის სომეხთა ეკლესიას და გაძარცვა ის. ხოლო შემდეგ საქართველოსაკენ განაგრძო გზა და სექტემბრის თვეში თბილისს მოადგა.

ნიჭიერი და გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწე ერეკლე II მოსალოდნელ საფრთხეს წინასწარ გრძნობდა და სათანადო ზომებსაც ღებულობდა. ამ განსაცდელის დროს, პირობის თანახმად, ყარაბაღის მცირე ლაშქარი მოეშველა ერეკლე მეფეს. მაგრამ შინაგანმა პოლიტიკურმა სირთულეებმა, რაც ფეოდალურ აშლილობაში და

---

[1] История Азербайджана, I, გვ. 372—373.

[2] იქვე, გვ. 373.

[3] იქვე, გვ. 374.

ურთიერთშუღლსა და მტრობაში გამოიხატებოდა, საშუალება არ მისცა გამოცდილ სარდალს მტრის წინააღმდეგ ბრძოლის თავისი ეგგმა განეხორციელებია. ახლა, არამცთუ ამიერკავკასიის ხალხთა მთლიანი ძალით ერთობლივ ბრძოლაზე არ შეიძლებოდა ლაპარაკი, არამედ ქართლ-კახეთის ფეოდალური ერთეულების ძალთა გაერთიანებაც შეუძლებელი შეიქმნა.

გადამწყვეტ მომენტში, როდესაც ვერაგი მტერი თბილისის კარებს მოადგა და ყოფნა-არყოფნისათვის ბრძოლის დაწყების წუთები ახლოვდებოდა, შვილებიც არ მიეშველნენ მოამაგე მამა ერეკლეს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი თავიანთ საუფლისწულოებში ჩაჯდნენ და მხოლოდ ზოგიერთმა მათგანმა გამოიყვანა უმნიშვნელო ლაშქარი ბრძოლის ველზე.

რეაქციონერების მოქმედებამ, მოღალატეთა პროვოკაციულმა საქმიანობამ და, ამასთანავე, ქართლ-კახეთის სოფლებზე ლეკი აბრაგების თავდასხმებმა დიდად შეუშალა ხელი თბილისის თავდაცვის საქმეს. მტრის კარგად შეირაღებულ 35000 კაცისაგან შემდგარ ლაშქარს 5000 კაცით შეხვდა გმირი ერეკლე, დაამარცხა მტრის მოწინავე რაზმი და უკუაქცია იგი.

იმ დროს, როდესაც შეშინებული მტერი ბრძოლაზე ხელისაღებას ფიქრობდა და გასაქცევად ემზადებოდა, მოღალატეებმა მას ერეკლეს ჯარის სიმცირე აცნობეს. ამ ცნობის მიღებით გამხნევებული მტერი მობრუნდა და მეორე დღეს კრწანისის მინდორზე, თბილისის კარებთან, სისხლისმღვრელი ომი გაიმართა. ქართველები, მათი მხნე და გამოცდილი სარდლის ერეკლე II მეთაურობით გმირულად ეკვეთენ მტერს, მაგრამ უკანასკნელის დიდმა რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გააკეთა და ქართველებმა მარცხი განიცადეს.

აღა-მაჰმად-ხანი და მისი ლაშქარი თბილისში შემოიჭრნენ. ვერაგმა მტერმა მშვიდობიანი მოსახლეობის სისხლის ღვარი დააყენა ქალაქში. ჯერ გაძარცვა მთელი ქალაქი, ხოლო შემდეგ ცეცხლს მისცა როგორც მეფის სასახლე, ისე სხვა ღირსშესანიშნავი ნაგებობანი. მტერმა აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებიც არ დატოვა დაუსჯელად. თავისი მარბიელი რაზმები შეუსია და ვერაგულად გაანადგურა ბევრი მხარე. მათ შორის ახტალის ვერცხლისა და სპილენძის ქარხნებიც.

აღა-მაჰმად-ხანს ცოფს გვრიდა თურმე ის, რომ როდესაც თბილისში შემოიჭრა და ქალაქს ანადგურებდა, თავისი ბარბაროსული მოქმედების შეწყვეტის ერთ-ერთ პირობად მეფე ერეკლეს ყარაბა-

ღის რაზმის გაცემა და მასთან გაგზავნა მოსთხოვა, მაგრამ ერეკლემ ამ მოთხოვნაზე მტკიცე უარი შეუთვალა[1].

მტრის მარბიელთა ერთ რაზმს 300 კაცისაგან შემდგარი ხევსურთა რაზმი შეხვდა არაგვზე. ეს რაზმი ერეკლეს მოწოდების თანახმად მეფის დასახმარებლად წამოსულიყო და მტერს ისე მოულოდნელად შეეჩეხა, რომ კრწანისის ომის ამბავიც არ იცოდა. პატრიოტმა და გმირმა ხევსურებმა მტრის ეს რაზმი მთლიანად ამოხოცეს.

* * *

1795 წელს ქალაქ თბილისზე თავდატეხილი უბედურება ღრმა მწუხარებით განიცადა ქართველმა საზოგადოებამ, მაგრამ იგი მწუხარებით განიცადა აგრეთვე სომეხმა და აზერბაიჯანელმა ხალხებმაც. მათმა ბევრმა მოწინავე ადამიანმა ეს საზარელი მოვლენა თავის ლექსში, პროზაში თუ სხვა სახის ნაშრომში ასახა და თავისი გრძნობებიც აქ გამოხატა. აღვნიშნავთ ზოგიერთ მათგანს:

1. სერობი ანუ სერაბინი, სომეხი მოღვაწე, რომელსაც დაუწერია „მოკლე ისტორია მოოხრებისა ფაღტაკარანისა (ე. ი. თბილისისა) აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წლის 11 სექტემბერს“ [2].

ვ. ნალბანდიანის სიტყვით, „სერობი განსაკუთრებით გამომსახველად აღწერს ადამიანური სახედაკარგული მტრის მკაცრ ანგარიშსწორებასა და მხეცურ მოპყრობას უბედური მოქალაქეების მიმართ“ [3].

სერობი წერს: „ბერ-მონაზონთაგან ზოგს ყელს სჭრიდნენ, კრავსავით კლავდნენ, ზოგს ატყვევებდნენ და ყიდდნენ. აგრეთვე სამღვდელოებისაგან ზოგს ნავთს ასხამდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ, ზოგს კლავდნენ, ზოგს ჰკიდებდნენ ეკლესიის ჭურჭელს საჩვენებლად და ზოგნი მიჰყავდათ ტყვედ. ასევე ერისკაცთაგან ზოგს თავს ჰკვეთავდნენ, მიჰქონდათ ეს თავები ბოროტმოქმედთან და თითოეული თავის ფასად 3 თუმანს იღებდნენ... ზოგიერთებს დაღავდნენ სხვადასხვა ტანჯვა-წამებით, გავარვარებული რკანითა და სხვა სატანჯველი იარაღით, ზოგიერთები მიჰყავდათ — ასევე ექცეოდნენ

---

[1] История Азербайджана, I, გვ. 375.

[2] ლ. მელიქსეთ-ბეგი, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები, გვ. 291.

[3] ვ. ნალბანდიანი, თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, გვ.161.

დედაბრებს, ხოლო უმა და ახალგაზრდა გოგონები უვნებლად ძიძაყავდათ თავიანთი ბილწი გულისთქმისათვის და ძვირფას ნივთად" [1].

2. უცნობი სომეხი ავტორი, რომლის კალამს ეკუთვნის „მოკლე ისტორია წარმოუდგენელი აკლებით მოოხრებისა ქალაქ თბილისისა, რომელიც ავაზაკური ომით აწარმოა აღა-მაჰმად-ხანმა, რომელმაც გააქცია მოხუცი მეფე ქართველთა ერეკლე მეორე, წელსა უფლისასა 1795" [2].

3. თბილისის ტრაგედიის შემაძრწუნებელ სურათს გვიხატავს ამ ამბების მომსწრე ვაღარშაპატელი არუთინ არარატიანი.

იგი თავის მემუარებში წერს:

„გვამებზე გადავლით გზა გავიკაფე და შევედი თბილისში, ტაფიტაღის კარით. ოჰ, შიშმა ამიტანა, როდესაც დავინახე. რომ მტრის მახვილს შუაზე გაეპო თვით დედები და ბავშვები, რომ არაფერი ვთქვათ რა მამაკაცებზე, რომელთაგან ერთ კოშკში, დაახლოებით ათასი ეყარაო" [3].

4. შამჩი-მელქოს ფსევდონიმით მელქონ გულქანოვს დაუწერია „(გოდება) ქალაქ თბილისის მოოხრებაზე აღა-მაჰმად-ხანის მოსვლით" [4]. მის ლექსში, რომელიც მიძღვნილია თბილისის ტრაგედიისადმი, ასახულია არა მარტო მომხდარი უბედურების სურათი, არამედ სომეხი ხალხის ამ წარმომადგენლის დიდი განცდებიც. იგი დასტირის თბილისში მომხდარ ამბებს და მწარე განცდებთან ერთად სიამოვნებით აღნიშნავს, რომ „თავგანწირვის ფიცი დადვეს ხევსურმა და ჩარექ-თუშმა, რომ გულმკერდით დაიცავდნენ, ვით ლომები დედაქალაქსო" [5].

ამასთანავე, იგი ზიზღით იხსენიებს ამიერკავკასიის ზოგიერთი რაიონის მმართველს, რომლებმაც აღა-მაჰმად-ხანს აქტიური დახმარება აღმოუჩინეს სომეხი და ქართველი ხალხების ვერაგულ დარბევაში. ცნობილია, რომ ირანის მტარვალ მბრძანებელთან ერთად 1795 წელს მომხდარ ტრაგედიაში დიდი წვლილი მიუძღოდათ ყარაბაღის მელიქსა და განჯის ხანს, რომელთა შესახებ ჩამჩი-მელქო

---

[1] ვ. ნალბანდიანი, თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, გვ. 161—162.

[2] ლ. მელიქსეთ-ბეგი, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაცია, გვ. 292.

[3] ვ. ნალბანდიანი, თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, გვ. 165.

[4] ლ. მელიქსეთ-ბეგი, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაცია, გვ. 293.

[5] ვ. ნალბანდიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 166.

ამბობდა: „მელიქ-მეჯლუმ, ძაღლის კერძო, ჯავად ხანო ლეკვო ყურ-შავ! იავარ-ქმნილ ჩვენს ქალაქში თქვენ ღა ყრიხართ ბაიყუშად“ [1].

თბილისის 1795 წლის ბედს მიუძღვნა ერთი ელეგია აგრეთვე XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნის მოღვაწემ სერობე პატკანიანმა [2]. ომარ ხანის მიერ ლორეს სამადნოს განადგურებისა და აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების ამბავს ეხება თავის მემუარებში ოჰან ვოსკერჩიანი [3] და სხვ.

5. აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხთა ერთობლივი ბრძოლის გრძნობებით არის გაჟღენთილი აზერბაიჯანელი პოეტის, ყარაბაღის ხანის იბრაგიმის ვაზირის მოლლა პანახ ვაგიფის ზოგიერთი ნაწარმოები. იგი იყო ქართლ-კახეთის სამეფოსთან ყარაბაღის, ერევნისა და ტალიმის სახანოების ძალთა გაერთიანების ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანი აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვაგიფის ზოგიერთი ლექსი, რომელიც საქართველოსა და მისი დედაქალაქის — თბილისისადმი არის მიძღვნილი, ქართველი ხალხისა და მისი დედაქალაქის ღრმა სიმპათიებს გამოხატავს. ერთ-ერთ თავის ლექსში თბილისის შესახებ ვაგიფი წერს: „ვადიდოთ ამ ქვეყნის სამოთხე თბილისიო“ [4]. ვაგიფი, რომელიც დაუღალავად ზრუნავდა აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხთა ძალების გაერთიანებისათვის, თავისი საყვარელი ხალხების ამ საერთო მტრის შემოსევის მსხვერპლი გახდა. იგი 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისზე თავდასხმის დროს დაიღუპა [5].

ვაგიფთან ერთად კარგად იცნობდა ერეკლე II სამეფო კარს და დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მას ვაგიფის უფროსი თანამედროვე ვიდადი, რომელიც, ჩანს, მაშინ იმყოფებოდა საქართველოში, როცა ერეკლეს საყვარელი შვილი ლევანი გარდაიცვალა. ვიდადიმ საკუთარი ლექსები მიუძღვნა ლევან ერეკლეს-ძეს მისი გარდაცვალების შემდეგ [6].

6. ღრმად განიცდის 1795 წლის თბილისის ტრაგედიას XVIII საუკუნის აზერბაიჯანელი აშუღი შიქსტე შირინი. იგი თავის ლექსებში დიდების ხოტბას ასხამს ერეკლესა და თბილისის სხვა გმირ-

---

[1] ვ. ნალბანდიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 166.

[2] ლ. მელიქსეთ-ბეგი, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაცია, გვ. 298.

[3] იქვე, გვ. 302.

[4] Дилара Алиева, დასახელებული ნაშრომი, გვ. 37.

[5] იქვე, გვ. 30.

[6] იქვე, გვ. 32.

დამცველებს; მოგვითხრობს ბრძოლაში დაღუპულთა მწარე დანაკლისზე და ერთ-ერთ ლექსს ამთავრებს მოწოდებით, რომ მას, შიქესტე შირინს სურს დაუზოგავად იძიონ შური ქართველი ხალხის დედაქალაქის, თბილისის მტერზე [1].

XVIII საუკუნის აზერბაიჯანელი ისტორიკოსი მირზა ადიგეზალბეგი თავის წიგნში „ყარაბაღ-ნამეში“ წერს, რომ აზერბაიჯანზე აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმის დროს საქართველოში გადასახლებულთა შორის ის და მისი ოჯახიც იმყოფებოდა. „იმ დროს, — წერს იგი, — როდესაც მე ვსწავლობდი შუშის სასწავლებელში, აღა-მაჰმად-ხანი შუშის ციხე სიმაგრეს მიადგა და მას ალყა შემოარტყა. მაშინ ჩვენ ნათესავებითურთ... საქართველოს ვილაიეთში გადავბარგდით და იქ შევაფარეთ თავი, ამდროს განსვენებულმა ირაკლი მეფემ გულღიად მიგვიღო ჩვენ. მან მიგვაცილა ყიშლაღისა და სათესი ადგილის ახლოს, რომელსაც სარიკილისა ეწოდება და მოგვამარაგა ჩვენ სურსათითა და თესლითო“ [2].

ერეკლე II მეფობის დროს ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ერთგულად მსახურობდა ბევრი სომეხი მოღვაწე. ისინი ამ მეტად ქარიშხლიან ეპოქაში ქართველთა ბედს იზიარებდნენ ჭირსა და ლხინში. იოანე ბატონიშვილის გადმოცემით, პაატა ანდრონიკაშვილის შემდეგ თოფჩიბაშის თანამდებობაზე ერეკლემ „დაადგინა გაბრიელ სომეხი, ამანაც კარგად იცოდა არტელარია. და ესე ძმითურთ თვისით მეფისა ირაკლისა წინაშე დაიხოცნენ აღამამად ხანისა ბრძოლას შინაო“ [3].

ამ გაბრიელისა და ქართველი „სეკონდ მაიორის“ თავდადებული ბრძოლის შესახებ სერობი წერდა: „...იქ დარჩა სომეხი „პრემიერ მაიორი“ გაბრიელი ზარბაზნით, რომელიც დაუღალავი შრომით ცეცხლს აფრქვევდა ქრისტეს ჯვრის მტრებს მის სადიდებლად და თვისი მეუფის სასიყვარულოდ. იქვე ეწამა და დაადგა წარუვალი ცხოვრების გზას, რათა მიეღო სასიხარულო ბრაბიონი [4]. ამისვე მსგავსად ეწამა ქართველი „სეკონდ მაიორი“ ერთი საათის წინ“ [5].

---

[1] Антология азербайджанской поэзии под редакцией В. А. Луговского и Самед Вургуна, Государственное издательство «Художественная литература». Москва, 1939, გვ. 342—343.

[2] Мирза-Адигезаль-бек, Карабаг-наме, изд. Академии Наук Азербайджанской ССР, Баку, 1950, გვ. 130.

[3] „ქალმასობა“, II, ქ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, 1948, გვ. 207.

[4] ძლევის გვირგვინი, პალმისა (ს. ნალბანდოანი, გვ. 163. შენ. 2).

[5] იქვე, გვ. 163.

* * *

ერეკლეს დამარცხებამ და აღა-მაჰმად-ხანის გამარჯვებამ დიდად აღაფრთოვანა ოსმალეთი და საფრანგეთი. ოსმალეთი სპარსეთის მტერი იყო, მაგრამ ახლა რუსეთის მტრობით სპარსეთის გამარჯვება თავის სასარგებლოდ მიაჩნდა. ოსმალეთის სულთანმა აღა-მაჰმად-ხანს გამარჯვება მიულოცა. ხოლო ოსმალეთმა და საფრანგეთმა ორთავემ სპარსეთის მბრძანებელს საქართველოში ხელმეორედ სალაშქროდ მოუწოდეს.

როგორც აღვნიშნეთ, აღა-მაჰმად ხანის მიზანი იყო რუსეთთან გაეწყვიტა კავშირი ერეკლეს. იგი ხან მუქარით აშინებდა ქართლ-კახეთის მეფეს რუსეთთან კავშირის გამო, ხან კიდევ დიდ „წყალობას“ პირდებოდა მას, თუ რუსეთთან კავშირს გაწყვეტდა. მაგრამ შორსმჭვრეტელმა ერეკლემ კარგად იცოდა, რომ არც სპარსეთსა და არც ოსმალეთს საქართველოსათვის სიკეთის მოტანა არ შეეძლო. ჩამორჩენილ სპარსეთსა და ოსმალეთს მხოლოდ უბედურებისა და განადგურების მოტანა შეეძლოთ ამიერკავკასიის ხალხებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ მეფის რუსეთის მთავრობამ 1783 წლის ტრაქტატი ვერ შეასრულა (1783 წლის დამლევს გამოგზავნილი ლაშქარი 1787 წელს უკან გაიწვია) და წლების განმავლობაში ქართლ-კახეთის სამეფო ვერაგი მტრების პირისპირ მარტო დარჩა, ერეკლეს რუსეთზე გული მაინც არ გასტეხია. მას ერთხელ არჩეული სწორი გზისათვის არ უღალატნია და რუსთა დახმარებით თავისი ქვეყნის განთავისუფლების იმედი არ დაუკარგავს.

რუსეთისადმი ერეკლეს ორიენტაცია პირველ ყოვლისა ქართველი ხალხის პროგრესის საქმეს ემსახურებოდა. ამასთანავე, ჩამორჩენილი სპარსეთისა და ოსმალეთის ბატონობის წინააღმდეგ პროგრესულ რუსეთს ამიერკავკასიაში გზას უკაფავდა და, ამდენად, მოძმე სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების მომავლის საქმესაც აკეთებდა.

მიუხედავად კრწანისის ომში მოპოვებული გამარჯვებისა, აღა-მაჰმად-ხანმა მიზანს ვერ მიაღწია, ერეკლე მან საბოლოოდ ვერ დაამარცხა და რუსეთის ორიენტაციაზედაც უარი ვერ ათქმევინა.

იმ დროს, როდესაც აღა-მაჰმად-ხანი თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებს ანადგურებდა, ერეკლე ანანურში მისული რუსეთის მთავრობისაგან დახმარებას მოითხოვდა. ამასთანავე, დროის მოგების მიზნით, აღა-მაჰმად-ხანთანაც მოლაპარაკებას აწარმოებდა. უკანასკნელმა, ჩანს, ერეკლეს მოქნილი პოლიტიკის

ამბავი კარგად იცოდა და, რომ მახეში არ გაბმულიყო, ის სექტემბრის დამლევს აიყარა და საქართველოდან წავიდა.

აღა-მაჰმად-ხანის გამარჯვებამ საქართველოს ზოგიერთი სხვა მტერიც წაახალისა. დაღესტნელი ავაზაკებიც გააქტიურდნენ და მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმები გააძლიერეს. მაგრამ განსაცდელში მყოფ ქართლ-კახეთის სამეფოს 1795 წლის დეკემბრის თვეში ორი ათასი კაცისაგან შემდგარი რუსთა ლაშქარი მოეშველა. ხოლო 1796 წლის გაზაფხულზე, საქართველოს დაცვისა და აღა-მაჰმად-ხანის დასჯის საბაბით, რუსეთის მთავრობამ 30 ათასი კაცისაგან შემდგარი ლაშქარი გაგზავნა. ამ ამბის გაგებისთანავე აღა-მაჰმად-ხანმა ამიერკავკასიაც მიატოვა და ირანში გაიქცა.

რუსთა ამ ლაშქარმა, რომელსაც გრაფი ზუბოვი მეთაურობდა, დარუბანდი აიღო და ამიერკავკასიაში შემოიჭრა. მან, რომელსაც არ შეხვედრია რაიმე საგრძნობი წინააღმდეგობა, ზედიზედ აიღო კუბა, შემახია, ბაქო და შუა ირანში ლაშქრობის სამზადისს შეუდგა.

რუსთა ლაშქრის მოსვლამ და მიღწევებმა ამიერკავკასიის ხალხები და მათი მოწინავე, პროგრესული ადამიანები დიდად გაამხნევა. ქართველები, ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II მეთაურობით იმ პირთა დასჯას შეუდგნენ, ვინც ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების ინტერესების წინააღმდეგ იმოქმედა და აღა-მაჰმად-ხანს ამ ხალხების დარბევაში მოეხმარა.

მტრის დამხმარეთა შორის ყველაზე მეტი ბრალი, როგორც ნათქვამი იყო, განჯის მფლობელს ჯავად-ხანს და ყარაბაღის მელიქს მიუძღოდა. ისინი აღა-მაჰმად-ხანს ეხმარებოდნენ საქართველოსა და სომხეთ-აზერბაიჯანის ზოგიერთი რაიონის დარბევაში. ჯავად-ხანს ამ ლაშქრობის დროს მტრის მიერ წაყვანილი მრავალი უდანაშაულო ქართველი და სომეხი ტყვე შეუძენია და განჯაში ჰყავდა ისინი გამოკეტილი.

1796 წლის გაზაფხულზე ქართველებმა განჯას ალყა შემოარტყეს, ჯავად-ხანმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა. მაგრამ ის ქართველებმა დაამარცხეს. ჯავად-ხანი, როგორც მტრის აგენტი, აზერბაიჯანელ ხალხს არ უყვარდა, მათი სიმპათია მოძმე ქართველი ხალხის მხარეზე იყო. დამარცხებული ჯავად-ხანი ქართველებმა დაიმორჩილეს, ხოლო მის მიერ ვერაგულად შეძენილი ათასი ქართველი და სომეხი ტყვე გაანთავისუფლეს და უკან გამოუშვეს.

სამწუხაროდ, რუსთა ჯარის შეტევის შემდგომი განვითარება სამხრეთის მიმართულებით აღარ მოხერხდა. 1796 წლის ნოემბერში რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II გარდაიცვალა. ხოლო მისმა მემკვიდრემ პავლე პირველმა ამიერკავკასიაში მყოფი რუსთა ლაშქა-

რი უკან გაიწვია და სამხრეთის მიმართულებით ლაშქრობა მთლიანად შეწყვიტა.

რუსი ჯარის უკან გაწვევამ ამიერკავკასიის ხალხების მტრები, ირანი და ოსმალეთი ძლიერ წაახალისა. გათამამებული აღა-მაჰმადხანი კიდევ შეუდგა სამზადისს ამიერკავკასიისა და კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს დასარბევად. ის 1797 წლის გაზაფხულზე აზერბაიჯანის მიწა-წყალზე, ყარაბახში შემოიჭრა. აიღო ქ. შუშა და ვინც მას წინააღმდეგობა გაუწია, ყველა მხეცურად ამოხოცა. ყარაბაღიდან მტერი პირდაპირ აღმოსავლეთ საქართველოში სალაშქროდ ემზადებოდა, მაგრამ მას თავისი ბოროტი განზრახვის შესრულება აღარ დასცალდა. მშვიდობიანი მოსახლეობის ეს ვერაგი მტერი თვითონაც ვერაგულად იქნა მოკლული ყარაბაღში; ის ერთ-ერთმა შეთქმულმა გამოასალმა სიცოცხლეს და საქართველოს ხელმეორედ დარბევას ვეღარ მოესწრო.

რუსთა ლაშქრის ამიერკავკასიიდან გასვლის შემდეგ თანდათან რთულდებოდა ამიერკავკასიის ხალხების მდგომარეობა. ორი მტაცებელი — ოსმალეთი და სპარსეთი, არა მარტო ეკონომიურად და პოლიტიკურად ავიწროებდნენ ამ ხალხებს, არამედ ფიზიკური გადაშენების საფრთხის წინაშეც დააყენეს ისინი.

ერთადერთი ხსნა ამიერკავკასიის ხალხებისა ისევ ჩრდილოეთზე, რუსეთზე იყო დამოკიდებული. რუსეთის იმპერიას დიდი ხანია საკუთარი ინტერესები იზიდავდა სამხრეთისაკენ, კერძოდ, ამიერკავკასიისაკენ. მეფის რუსეთისა და საქართველოს ინტერესებმა განაპირობა ის, რომ 1801 წელს აღმოსავლეთ საქართველო რუსეთს შეუერთდა.

ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების დღიდან იწყება პროცესი ამიერკავკასიის ხალხების საბოლოო განთავისუფლებისა ირანისა და ოსმალეთის ბარბაროსული ძალადობისაგან.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობა ძალზე რთული იყო. ახლა არა მარტო ამიერკავკასიის ხალხებს ჭირდებოდა რუსეთისაგან დახმარება, არამედ ამიერკავკასიის მოძმე ხალხების რუსებისადმი აქტიური მხარდაჭერაც დიდად იყო საჭირო.

რუსეთს როგორც სპარსეთთან (1805—1813 წწ.), ისე ოსმალეთთან (1806—1821 წწ.) ომი ჰქონდა. ირანმა და ოსმალეთმა მრავალრიცხოვანი ლაშქარი შემოუსიეს ამიერკავკასიას. მარტო ირანს 60 ათასი მოლაშქრე ჰყავდა გამოყვანილი. ამიერკავკასიის ხალხთა, კერძოდ, ქართველების მტკიცე მხარდაჭერა რომ არ ყოფილიყო, რუსთა მცირერიცხოვანი ლაშქარი, რომელიც მაშინ ამიერკავკასიაში იმყოფებოდა, რა თქმა უნდა, მტრების მრავალრიცხოვანი ლაშქრის

წინააღმდეგ ბრძოლაში ვერაფერს გახდებოდა. ამავე დროს რუსეთი ნაპოლეონთან ომში ჩაება და რომ სამხრეთის ფრონტზე ნაკლები ძალების დაბანდება დასჭირვებოდა, ამიერკავკასიის ხალხების აქტიური დახმარება მას დიდად ჭირდებოდა. ამასთანავე, თუ რუსეთი ნაპოლეონთან ომში დამარცხდებოდა, ამიერკავკასიის დიდი ნაწილი ისევ სპარსეთის ბატონობის ქვეშ დარჩებოდა და ეს გარემოებაც ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს რუსთა მხარეზე აქტიურ მოქმედებას უკარნახებდა. ამიტომ იყო, რომ არა მარტო ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ, არამედ ნაპოლეონის წინააღმდეგაც ამიერკავკასიის ხალხთა მრავალი სახელოვანი წარმომადგენელი გმირულად იბრძოდა.

. ამიერკავკასიის ხალხების აქტიური მხარდაჭერით რუსთა ლაშქარმა თანდათანობით დაიკავა აზერბაიჯანის სახანოები და გააძევა იქიდან ირანი. 1813 წელს დადებული გულისტანის ზავის თანახმად ეს სახანოები რუსეთს დარჩა.

1826 წელს ინგლისის წაქეზებითა და მხარდაჭერით ირანმა კიდევ აუტეხა ომი რუსეთს. ამავე წელს ირანის ლაშქარი ამიერკავკასიაში შემოიჭრა და ყარაბაღი და განჯა დაიკავა. შემდეგ ბაქოს მიადგა და საქართველოსაც დაემუქრა. ქართველებმა დაუყოვნებლივ გაუკეთეს თავიანთ ძალებს მობილიზაცია და რუსებთან ერთად როგორც აზერბაიჯანელ, ისე მოძმე სომეხ ხალხსაც დაუყოვნებლივ მიეშველნენ.

ქართველმა მეომრებმა და მეთაურებმა სომეხ მოხალისეებთან ერთად სახელოვანი ბრძოლა ჩაატარეს 1827 წელს სომხეთის ახლანდელი დედაქალაქის—ერევნის გასათავისუფლებლად, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ სპარსთა ხელში იყო. ამავე დროს ქართველები აქტიურად მონაწილეობდნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ფრონტის ყველა უბანზე.

ირანელები მალე განდევნეს ამიერკავკასიიდან. 1827 წლის ოქტომბრის თვეში რუსთა ლაშქარი სამხრეთ აზერბაიჯანში შეიჭრა, ქართველი გენერლის გ. ერისთავის მეთაურობით ქალაქი თავრიზი აიღო და სატახტო ქალაქს თეირანს დაემუქრა. ირანის თავზარდაცემული ხელისუფლება რუსთა მიერ წაყენებულ ყოველგვარ პირობას დაეთანხმა. 1828 წლის თებერვალში აზერბაიჯანის ერთ-ერთ დაბაში — თურქმენჩაიში ზავი დაიდო, რომლის თანახმად არა მარტო გულისტანის ზავის პირობები იქნა აღდგენილი, არამედ ირანმა ნახჩევნისა და ერევნის სახანოებზედაც სამუდამოდ ხელი აიღო. ეს მხარეებიც ამიერიდან რუსეთს შეუერთდნენ.

ამრიგად, ნახჩევნისა და ერევნის სახანოები ირანის ბატონობისაგან განთავისუფლდნენ, მაგრამ სომხეთის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ

მტრის ხელში დარჩა: სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში კიდევ ირანელები თარეშობდნენ, ხოლო დასავლეთი ნაწილი, ისე, როგორც სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ოსმალთა უღელქვეშ გმინავდა.

თურქმენჩაის ზავის დადებისთანავე მასობრივად დაიწყო სპარსეთის უღელქვეშ მყოფ სომხურ რაიონებიდან ნახჩევნისა და ერევნის რაიონებში სომეხი მოსახლეობის გამოქცევა. 40 ათას სულზე მეტი გადმოსახლდა სამხრეთიდან სომხეთის ჩრდილო რაიონებში.

ირანელთა უღლისაგან მოძმე სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების განთავისუფლებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვისაც. ამ მოვლენის შედეგად აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრების დიდ უბანში უშიშროება დამყარდა.

მომდევნო წლებში არაერთხელ ჩაუტარებიათ ერთობლივი, გმირული ბრძოლა რუს, ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხებს მტრის მიერ მიტაცებული ქართველებისა და სომხების ისტორიული მიწა-წყლის განსათავისუფლებლად. ამ ბრძოლებში კიდევ უფრო მტკიცდებოდა ამ ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა. 1828 — 1829 წლებში რუსებთან ერთად გმირულად იბრძოდნენ ქართველი და სომეხი ხალხები მშობლიური მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის. ამ ბრძოლების შედეგად დაუბრუნდა საქართველოს ახალციხისა და ახალქალაქის რაიონები და ფოთი. დასავლეთ სომხეთის ბევრი ქალაქი და რაიონიც იქნა განთავისუფლებული, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი შენარჩუნება არ მოხერხდა.

XIX საუკუნის 20-ანი წლების მეორე ნახევარში, ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების წარმატებით დამთავრების შემდეგ, სულ 150000-მდე სომეხი გადმოსახლდა ირანიდან და თურქეთიდან ამიერკავკასიაში.

შემდგომ წლებშიაც არა ერთხელ ჩაუტარებიათ რუსებსა და ამიერკავკასიის ხალხებს ერთობლივი ბრძოლა თურქ-ოსმალთა მიერ მიტაცებული მიწა-წყლის გასათავისუფლებლად. ერთობლივი ბრძოლით მტერს ამარცხებდნენ და ომს სასურველი შედეგით ამთავრებდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოსა და სომხეთის მიწა-წყლის ნაწილზე, ქართველი და სომეხი ხალხების ისტორიულმა მტერმა ოსმალეთმა ბატონობა მაინც შეინარჩუნა.

2. გამათავისუფლებელი ბრძოლის გაგრძელება სომხურ პროვინციებში და ამ ბრძოლის შედეგები

დასავლეთ სომხეთში არ შეწყვეტილა განმათავისუფლებელი ბრძოლა, მრავალ აჯანყებათა შორის ყველაზე დიდი იყო ზეითუნის აჯანყება, რომელიც 1862 წელს მოხდა.

ზეითუნი მთიანი მხარეა. იგი ნახევრად დამოუკიდებელი იყო სულთნის თურქეთისაგან და უკანასკნელს არაერთხელ უცდია მისი საბოლოოდ დამორჩილება, მაგრამ ზეითუნელი სომხები ცდილობდნენ თავი დაეცვათ, დამოუკიდებლობის მცირე ნიშნები მაინც შეენარჩუნებინათ.

1862 წელს სულთანმა გადაწყვიტა საბოლოოდ დაემორჩილებინა ზეითუნელები. ამ მიზნით მან 40 ათასი კაცისაგან შემდგარი ლაშქარი ზეითუნს მიუსია. მაგრამ მთელი იქაური სომხები ფეხზე დადგნენ და მტერს დიდი ზიანი მიაყენეს. იგი აიძულეს ზეითუნელებთან ბრძოლა კომპრომისით დაემთავრებინა: ზეითუნმა სულთნის ხელისუფლება ცნო, ხოლო სულთანმა ზეითუნელებს აღუთქვა, რომ მათ შინაგან საქმეებში არ ჩაერეოდა[1].

1877—1878 წლებში, როგორც ცნობილია, რუსეთ-თურქეთის ომი წარმოებდა. ეს ომი 1878 წელს სან-ფრანცისკოს ზავით დამთავრდა და რუსეთი გამარჯვებული გამოვიდა. ამ ზავის თანახმად, თურქეთის მიერ დაპყრობილ საქართველოსა და სომხეთის მიწა-წყლიდან რუსეთმა მიიღო ყარსი, არდაგანი, ბაიაზეთი და ბათუმი (უკანასკნელი XVIII საუკუნის დასაწყისში მიიტაცა თურქეთმა). ამასთანავე, თურქეთმა ვალდებულება იკისრა, რომ მის მიერ დაპყრობილ სომხეთის დანარჩენ რაიონებში სათანადო რეფორმებს ჩაატარებდა. მაგრამ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს ჩარევით ეს რეფორმები დავიწყებას მიეცა და აღარ განხორციელდა.

უყურებდა რა უნდობლობის თვალით მის მიერ დაპყრობილ სომხურ რაიონებს, ომის დამთავრების შემდეგ თურქეთმა საშინელი რეჟიმი დააწესა იქ მცხოვრებ სომხების მიმართ. ამიტომ XIX საუკუნის 90-იან წლებში ამ რაიონებში კიდევ იფეთქა ძლიერმა აჯანყებამ. ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი სასუნის პროვინციაში მიიღო. აჯანყების ჩასაქრობად სულთან აბდულ-გამიდმა 45 ათასი კაცისაგან შედგენილი ლაშქარი გამოგზავნა. აჯანყება სისხლის მორევში იქნა ჩახშობილი, ხოლო მრავალი ათეული დასახლებული პუნქტი მიწასთან გაასწორეს.

გათამამებულმა სულთანმა 1895—1896 წლებში საშინელი ხოცვა-ჟლეტა მოაწყო მის მიერ დაპყრობილ სომხურ რაიონებში. სომხეთის ისტორიის მკვლევართა დასკვნით, ამ ხოცვა-ჟლეტის დროს სამას ათასამდე სომეხი იქნა ფიზიკურად განადგურებული. ასეთ

---

[1] **З. Т. Григорян, Вековая борьба армянского народа за свою независимость и свободу, стенограмма публичной лекции, изд. «Правда», 1948, გვ. 16—17.**

ხოცვა-ჟლეტას თურქეთის ხელისუფლება XX საუკუნის პირველ ათეულ წლებშიაც აგრძელებდა.

1904 წელს სასუნის სომხებმა კიდევ მოაწყეს ძლიერი აჯანყება ოსმალთა ბატონობის თავიდან მოსაშორებლად; განდევნეს მძარცველი დამპყრობლები და დამოუკიდებლობის დროშა ააფრიალეს, მაგრამ სულთანმა ეს აჯანყებაც სისხლის მორევში ჩაახრჩო.

პირველმა იმპერიალისტურმა ომმა უდიდესი საფრთხე შეუქმნა სომეხ ხალხს, მის არსებობას. გერმანიის იმპერატორმა და პრუსიის მეფემ ვილჰელმ II (1888—1918) ტახტზე ასვლისთანავე საქვეყნოდ განაცხადა: „საჭიროა ყველა სომეხი ამოვწყვიტოთ და დავტოვოთ მხოლოდ ერთი, როგორც ექსპონატი ეთნოგრაფიული მუზეუმისათვისო"[1]. ომის დაწყებიდან თურქეთის ხელისუფლებასთან ერთად გერმანიის იმპერატორი თავგამოდებით ცდილობდა, რათა ეს ვერაგული განზრახვა შეესრულებინა.

მართლაც, გერმანელმა და თურქმა ავაზაკებმა საშინელება დაატრიალეს პირველი იმპერიალისტური ომის დროს დასავლეთ სომხეთში. უამრავი ჯანსაღი ადამიანი ამოხოცეს. ხოლო ბევრიც მშობლიური მიწა-წყლიდან აჰყარეს და მესოპოტამიის, სირიისა და სხვა მხარეების უდაბნოებში გარეკეს. თუ სომეხ მკვლევარებს დავუჯერებთ, პირველი მსოფლიო ომის დროს ერთ მილიონზე მეტი სომეხი დაიღუპა თურქეთის მიერ დაპყრობილ სომხეთში[2].

* * *

როგორც გავეცანით, XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე ამიერკავკასიის ხალხების ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა. ორი ჩამორჩენილი, მაგრამ ხალხთა რბევაში დახელოვნებული სახელმწიფო, ოსმალეთი და ირანი, გადაშენებით ემუქრებოდნენ ამიერკავკასიის ხალხებს. მაგრამ ამ ხალხებმა, როგორც ნათქვამი იყო, მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებაში ყველაზე სწორი გზა გამონახეს და ფიზიკური განადგურებისაგან თავი გადაირჩინეს.

ისე როგორც ყოველთვის, XIX საუკუნეშიაც ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების თანაბარი პირობები აუცილებელს ხდიდა ამიერკავკასიის ხალხების ურთიერთ მჭიდრო კავშირს, მეგობრობასა და ურთიერთ პატივისცემას. ეს ხალხები თანაბრად განიცდიდნენ სოციალურსა და კოლონიურ ჩაგვრას. რუსეთის იმპერატორი და მისი მთავრობა მტერი იყო, როგორც რუსი ხალხის, ისე რუსეთის იმ-

---

[1] **Э. Т. Григорян, Вековая борьба армянского народа за свою независимость и свободу, стенограмма публичной лекции, изд. «Правда», 1948. გვ. 17.**

[2] **იქვე, გვ. 18.**

პერიში შემავალი სხვა ხალხების. ამიტომ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ინტერესებიც აკავშირებდა ერთიმეორესთან ამიერკავკასიის მოძმე ხალხებს, მათ მოწინავე ადამიანებს.

ქ. თბილისი კვლავ იქცა ამიერკავკასიის ხალხთა ძმობისა და ამ ხალხების პროგრესული წარმომადგენლების ურთიერთ შეხვედრის კერად. აქ გაიზარდა და დავაჟკაცდა ბევრი სომეხი და აზერბაიჯანელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, რომლებმაც მთელი სიცოცხლე პროგრესისა და სამშობლოს კეთილდღეობის საქმეს შესწირეს, აქ გაიფურჩქნა მრავალი სომეხი და აზერბაიჯანელი მოწინავე ადამიანის შემოქმედებითი სამწერლო ტალანტი.

საქართველოს დედაქალაქში მიიღო განათლება და გაატარა თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები სომხური რეალისტური პროზის ფუძემდებელმა ხაჩატურ აბოვიანმა (1805—1848). მან მრავალი ჟვირფასი ნაშრომი მიუძღვნა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის იდეას.

თბილისში ცხოვრობდნენ და ქართველ მოწინავე ადამიანებთან ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ სომეხ პუბლიცისტ ს. ნაზარიანს, პოეტ ალმადარიანს. დრამატურგ გ. სუნდუკიანს და სხვა.

ქ. თბილისი იყო აგრეთვე მოძმე აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების მოწინავე ადამიანების შეხვედრის კერა. აქ გაატარა რამდენიმე წელი აზერბაიჯანელმა ისტორიკოსმა ა. ბაკიხანოვმა. იგი 1819 წელს ჩამოვიდა თბილისში და ერმოლოვთან მთარგმნელად დაიწყო მუშაობა. აქ ბაკიხანოვი უკავშირდება ქართველ და რუს მოწინავე ადამიანებს და იწყებს საზოგადოებრივ საქმიანობას. შემონახულია მისი ლექსი, სადაც „პოეტი აგვიწერს თვალწარმტაც თბილისს"[1] და ამჟღავნებს ქართველი ხალხისა და მისი დედაქალაქისადმი პატივისცემას.

1834 წლიდან თბილისში იწყებს მუშაობას ცნობილი აზერბაიჯანელი განმათავისუფლებელი, დემოკრატი, ფილოსოფოს-მატერიალისტი და ათეისტი მირზა ფათალი ახუნდოვი. სომეხ და აზერბაიჯანელ სხვა მოწინავე ადამიანებთან ერთად იგი იყო ქართველი და რუსი პროგრესული ადამიანების დიდი მეგობარი.

მ. ახუნდოვი აღფრთოვანებული ყოფილა გორგი ერისთავის სათეატრო მოღვაწეობით და ქართული თეატრის მიღწევებით. ამავე დროს თბილისში ყოფნის დროს მან უდიდესი ამაგი დასდო თავისი ხალხის, აზერბაიჯანული თეატრის განვითარების საქმეს.

---

[1] Дилара Алиева, გვ. 80.

სათეატრო ცხოვრების განვითარებას, რომელსაც მაშინ ადგილი ჰქონდა თბილისში, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა მ. ახუნდოვის შემოქმედებაზე[1]. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ გ. ერისთავისა და მ. ახუნდოვის ზოგიერთ ნაწარმოებთა სიუჟეტებში და გმირებში მკვეთრ მსგავსებას ხედავენ.

1840 წლიდან თბილისში იმყოფებოდა ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტი მირზა-შაფი ვაზეხი. იგი თბილისის საგუბერნიო სასწავლებელში თათრული (აზერბაიჯანული) ენის მასწავლებლად იწყებს მუშაობას. მან თბილისში ჩამოაყალიბა აზერბაიჯანელ პოეტთა ლიტერატურული საზოგადოება. აქ გაიშალა მირზა-შაფის პოეტური მოღვაწეობის ასპარეზი. იგი ახლოს იდგა ქართველ და სომეხ პროგრესულ მოღვაწეებთან. მოძმე ქართველი ხალხის მიერ მისადმი კარგი დამოკიდებულებით კმაყოფილმა მირზა-შაფმა რიგი ლექსები მიუძღვნა ქართველ ხალხს და მის დედაქალაქ თბილისს[2].

1860 წელს ქართველმა საზოგადოებამ გულთბილი და პატივისცემის გრძნობებით აღსავსე შეხვედრა მოუწყო თბილისში ჩამოსულ გამოჩენილ სომეხ რევოლუციონერ-დემოკრატს მ. ნალბანდიანს.

მრავალი ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მოწინავე ადამიანი უმღეროდა მაშინ ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას. ამ იდეას და ცარიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მოწოდებას ემსახურებოდა ალ. ორბელიანის დრამა „დავით აღმაშენებელი, ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი“, რომელიც ავტორმა 1846 წელს დაწერა.

ქართული კულტურის მოამაგე ადამიანები დიდ პატივს სცემდნენ გამოჩენილ სომეხ და აზერბაიჯანელ მოღვაწეებს. აკაკი წერეთლის ბევრი ლექსი სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხებისა და მათი მოწინავე ადამიანების პატივისცემითაა გაჟღენთილი. იგი ღრმად განიცდიდა აგრეთვე მეფის მთავრობის აგენტების პროვოკაციული მოქმედების შედეგად სომეხ-თათართა შეტაკებებსა და უმიზნო სისხლის ღვრას; ძმობა-ერთობისაკენ მოუწოდებდა მათ და მოაგონებდა, რომ „ერთ ტაფაშია ორივე, ერთი ადგიათ უღელი“.

აკაკი კარგად იცნობდა ბაქოსა და მის მშრომელებს. იგი მძიმედ განიცდიდა ბაქოს მუშათა ბედს და იმას, რომ ერთი მუჭა მუქთახორების ხელში მოქცეული იყო ბაქოს მთელი სიმდიდრე. მგოსანი გუ-

---

[1] Дилари Алиева, გვ. 87.

[2] იქვე, გვ. 82.

ლისტკივილს გამოთქვამდა იმის შესახებ, რომ კაპიტალისტების ხელში მყოფ ბაქოში ყველაფერი ფულის მონა გამხდარა. იგი კიცხავდა იმას, რომ სიმდიდრესთან ერთად მაჰმადიანური სამყაროსათვის დამახასიათებელი ქორწინების ცუდი ზნე კაპიტალის მეპატრონე ერთი მუჭა მუქთახორების წარმომადგენლებს ზნეობრიგად მახინჯი თვითნებობის გასაქანს აძლევდა.

ისე როგორც აკაკი წერეთელი, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის მხურვალე მოტრფიალე იყო აზერბაიჯანელი პოეტი და სატირიკოსი მ. საბირი. იგი მწარედ გრძნობდა სომეხ-თათართა შირის ჩამოვარდნილ დამღუპველ შუღლსა და მტრობას. კარგად ამჩნევდა, რომ ამ საქმეში ბოროტი ხელი ურევია და მეგობრობისაკენ მოუწოდებდა ორ მოძმე ხალხს[1].

აზერბაიჯანის მოწინავე ადამიანები დიდად აფასებდნენ აკაკი წერეთლის მოღვაწეობას, მის მახვილ კალამსა და მებრძოლ პატრიოტულ გრძნობებს. არა ერთმა აზერბაიჯანელმა პროგრესულმა ადამიანმა მიუძღვნა მას სათანადო ქების შემსხმელი ლექსი თუ სტატია. აკაკის ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავზე ბაქოს მოწინავე ადამიანებმა ბაქოში მოუწყეს საყვარელ პოეტს საიუბილეო საღამო. ამ საღამოს მოწყობისა და ჩატარების ორგანიზატორი ბაქოს ერთ-ერთი ოცდაექვს კომისართაგანი, ცნობილი რევოლუციონერი და საზოგადო მოღვაწე მეშადი აზიზბეკოვი იყო. იუბილარმა თავის საპასუხო სიტყვაში უღრმესი მადლობა მოახსენა აზერბაიჯანელ ხალხს და განსაკუთრებული სიხარული გამოთქვა იმის შესახებ, რომ როგორც ამ საიუბილეო საღამოზე გამოსულთა სიტყვებამა დაამტკიცეს, ჩვენ შორის ყოველდღე მტკიცდება მეგობრობაო[2].

ამიერკავკასიის ხალხთა ერთობისა, თავისუფლებისათვის ბრძოლისა და კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლების სურვილების გრძნობებით არის გაჟღენთილი დიდი ქართველის, ილია ჭავჭავაძის ბევრი ნაწარმოები. ამიტომ იყო, რომ ქართველ ხალხთან ერთად მას დიდ პატივს სცემდნენ სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხები. თარგმნიდნენ მის ნაშრომებს სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. 1887 წელს აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნეს ილიას ლექსი „გაზაფხული“. იგი უნდა დაებეჭდათ აზერბაიჯანულ გაზეთ „ქეშკიულ“-ში, რომელიც 1884—1894 წლებში ქ. თბილისში გამოდიოდა. ეს გაზეთი აზერბაიჯანული კულტურის ერთ-ერთი პროგრესული ორგანო იყო. მასში მონაწილეობდა აზერბაიჯანელი ბევრი მოწინავე ადამიანი. მშობლიურ ნაწარმოებებთან ერთად ამ ორგანოში აქვეყნებდნენ

---

[1] М. А. Сабир, Сатиры и лирика (Хоп-хоп-наме), 1950, გვ. 33.

[2] Дилара Алиева, გვ. 105.

ქართველი, სომეხი და რუსი ავტორების პროგრესული იდეების მატარებელ ნაშრომებსაც[1].

მეფის მთავრობის ცენზურა სასტიკ თვალყურს ადევნებდა გაზეთის მუშაობას, უკრძალავდა მას მოწინავე, პროგრესული აზრების მქონე ნაწარმოებთა გამოქვეყნებას. გაზეთის რედაქციას ნება არ დართო აგრეთვე გამოექვეყნებინა ილ. ჭავჭავაძის „გაზაფხული"-ს ლარგმანი[2].

ამიერკავკასიის ხალხები არასდროს არ დაივიწყებენ ცნობილ სომეხ პოეტს ო. თუმანიანს (1869—1923), რომელმაც საქართველოს დედაქალაქ თბილისში დაიწყო და დაამთავრა თავისი სახელოვანი პოეტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ის თავისი მეორე სამშობლოს — საქართველოს მხურვალე პატრიოტი და ქართველი ხალხის მგზნებარე მეგობარი იყო.

მან მრავალი ძვირფასი პოეტური ნაწარმოები უძღვნა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას, კერძოდ, ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის განმტკიცების იდეას.

მეფის მთავრობისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ცდები. შუღლი ჩამოეგდოთ ამიერკავკასიის მოძმე ხალხებს შორის. ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა. ხალხი ხალხს ენდობოდა და ურთიერთობა გრძელდებოდა და მტკიცდებოდა.

ამიერკავკასიის ნაციონალისტური პარტიებისა და მათ მიერ შედგენილი კონტრრევოლუციური მთავრობების მოქმედების შედეგად 1918 წელს სომხეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა გამწვავდა. ამ გარემოებას მძიმედ განიცდიდნენ სომეხი და ქართველი ხალხები. მათი მოწინავე ადამიანები. მენშევიკებისა და დაშნაკელების სამარცხვინო მოქმედებით შეწუხებულმა ო. თუმანიანმა მკაცრად გაკიცხა ნაციონალისტები, რომლებიც შუღლსა და მტრობას თესდნენ მოძმე ხალხებს შორის.

სომეხმა და ქართველმა ხალხებმა სამარცხვინო ბოძზე გააკრეს ხალხთა მეგობრობისა და ერთიანობის მტრები — მენშევიკები და დაშნაკელები. ეს ხალხები თვითონ გახდნენ თავიანთი ბედის ბატონ-პატრონნი, ახალი ცხოვრებისა და საზოგადოების აშენების შემოქმედნი.

ამჟამად ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხები, ერთი მხრივ, ზიზღით იგონებენ დრომოჭმულ წარსულში მათზე თავდა-

---

[1] **Дилара Алиева**, გვ. 108—109.

[2] იქვე, გვ. 109.

ტეხილ მრავალ უკანონობას, მაგრამ მეორე მხრივ, სიამაყით გადახედავენ ამ უკანონობის წინააღმდეგ წინაპართა გმირული ბრძოლის ისტორიას, იმ გმირული ბრძოლისა, რამაც მათ საკუთარი სამეურნეო ცხოვრება, კულტურა და სახელმწიფოებრიობა შეუნარჩუნა.

ასეთია ამჟამად სოციალიზმის დიდ ოჯახში მყოფ თავისუფალ ამ სამი მოძმე ხალხის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობისა და თანამეგობრობის ზოგადი სურათი, იმ ურთიერთობისა, რომელიც ამ ხალხების სასიცოცხლო ინტერესებით იყო გაპირობებული.

საკუთარ სახელთა საძიებელი

ა

აბახი (აბას III, სპარსეთის შაჰი) 242.
აბახი (ვანანდის მეფე) 141, 142.
აბასი 34. ნ. ალაზანი.
აბაღა (ყაენი) 221.
აბდ-ალ-მალიქი (ხალიფა) 92.
აბდილა ნ. ალ-მანსური.
აბდულ-გამიდი (სულთანი) 279.
აბოვიანი ხაჩატურ 281.
აბრაამი (სომეხთა კათალიკოსი) 258.
აბუ-ბექრი (ამირა) 202, 203.
აბულ-აბახი (ხალიფა) 201, 202.
აბულაძე ილია 5, 124, 226.
აბულ-კასიმი (არაბი ამირა) 119, 126, 127.
აბუ-მუჰამედ-მუხა-ალ-გადი (ხალიფა) 104.
აბულ კასიმ იუსუფ აბუსაჯის-ძე, ნ. აბულ-კასიმი.
აბულ-ხოვარი 188, 189.
აბუ-ჯაფარი, ნ. ალ-მანსური
ადარბადაგანი 15, 17, 18, 19, 21, 70, 82—83, 126, 142, 170, 202, 224, 231.
ადერ-ბადაგანი (ადარბადაგანი) 18.
ადერბაიჯანი, ნ. აზერბაიჯანი.
ადრნერსე (ქართველთა მთავარი) 78, 90.
ავაგ კათაბაგი 215—216.
Авдиев В. 12.
ავღანელები 239—240.
აზატ-ხანი 247.
აზერბაიჯანელები 2—4, 6, 17, 209, 211, 221, 226, 232, 235.
აზერბაიჯანელი 5, 284.
აზერბაიჯანი 5, 12, 15—16, 24, 56, 70, 83, 91, 112—113, 116—117 146, 170, 172, 175, 176, 178, 180, 196, 201, 205, 209, 219, 222, 225, 231, 233, 234, 237—238, 255, 257, 260, 262, 268, 272, 273, 276, 277, 283.
აზია 29. 207.
აზიზბეკოვი მეშადი 283.
აზო 22—23.
აზოვის ზღვა 27.
ათანახე დიდი 132.
აკაცირები 20.
ალაზანი 34.
ალანები 66.
ალაროდები 13.
ალბანელები 17—18, 20, 30, 32, 33—35, 38, 42, 44, 52, 54—57, 65, 68 72, 77, 78, 80, 83, 85; 105, 124, 125.
ალბანელი 123.
ალბანია 16—18, 24, 28, 32, 35, 42—43, 47, 52—54, 59, 64—65, 67, 69, 70, 72, 76—77, 82—83, 85, 86—87, 89—92, 94—96, 99—100, 102—103, 105—106, 110, 118—119, 123—124, 146, 180—181, 258.

ალექსანდრე I, დიდი, კონსტანტინე I-ის ძე. საქართველოს მეფე (1412—1443) 227.
ალექსანდრე მაკედონელი 20—21, 41, 255.
ალი (ხალიფა 656—661 წწ.) 235.
Алиева Д. 5, 272, 282—284.
ალინჯის ციხე 225.
ალმადარიანი (პოეტი) 281.
ალ-მანსური (ხალიფა 754—775 წ.წ.) 102—105, 107, 109, 112.
ალ-მაჰდი (ხალიფა 775—785) 112.
ალ-რაშიდი (ხალიფა (786—809) 111—112.
ალფარსლანი (სულთანი) 69, 170, 173, 181,
ალ-ხალიდიატი 130.
ალ-ჯარრაჰი (არაბი სარდალი) 96—97.
ალ-ჯაფარი, ნ. ალ-მანსური.
ალ-ჯასანი (არაბი სარდალი) 107.
ამიანე მარცელინი 47—50
ამიერკავკასია 2—6, 13, 15, 18—21, 24—28, 32, 34—35, 37, 41—42, 45, 47, 51, 53—55, 58, 60, 62—64, 66, 78—71, 77, 79, 83—107, 109—113, 115, 119—121, 123, 126—128, 145—146, 151, 163, 166—167, 169—170, 173—174, 177—180, 183, 189, 200, 204, 208, 211—214, 217, 219, 221, 224, 228, 231, 234—238, 240, 242, 248, 254—256, 258—259, 262—264, 266—267, 269, 271, 274—277, 280—284.
ამირ იბნ-ისმაილ ალ-ხარიხი 107.
ამირ-მირმანი 203—204.
ანაპა 27.
ანგორა (ანკარა) 230.
ანდრონიკაშვილი პაატა (თოფჩიბაში) 273.
ანდრონიკე (ანდრონიკე კომნიანოსი, „ძმა ბერძენთა მეფისა“) 201.
ანისი (ქალაქი) 149, 153, 155, 156—166, 171, 181, 187—188, 189—195, 198—199, 207, 210, 224, 258—260.
ანტიოქოს დიდი (227—187 ძვ. წ.) 22, 24.
ანტონ I (კათალიკოსი) 149.
ანტონიუსი (რომის კეისარი) 35—36.
ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი 249.
აორსელები 257.
აპაპუნი 134—135, 143.
აპიუსი 30.
აპლესფარი ნ. აბულ-სუარი.
აპუმუსე (ალბანთა მთავარი) 124—125.
არაბები 89—80, 207, 235, 83, 85, 90, 97, 115, 119—120.
არაბეთის ნახევარკუნძული 79.
არაგანწოტნის ოლქი 260.
Аракелян Б. 8.
არანი 196.
არარატი 10, 13, 22, 83, 232, 247, 248.
არასანი მდ. 31. ნ. არაცანი.
არაქელ თავრიზელი 251—252.
არაქსი 9—10, 12—13, 16—17.
არაცანი 7, 31.
არგიშტი I (778—750) 10.
არგიშტიხინი (ციხე-ქალაქი) 10.
არდაგანი 279.
არდაველი 230.
არზრუმი 263—264.
არისტარქე ლასტივერტელი 154—155, 161, 165, 167, 171.
არიშიანი 181.
არმავირი 10.
არმაზი 22, 99.
არმენები 7—8.
არმენია 8, 27, 112, 259.
არმენიელები 27.
არონი (ბიზანტიის ჯარის სარდალი) 167—168.
არსენ კათალიკოსი (საფარელი) 66.
არტაბანი (პართიის მეფე) 37—39.
არტაგი (ქართლის მეფე) 33.
არტავაზ ტიგრანის ძე (სომეხთა მეფე 55—34 ძვ. წ.) 35.
არტავანი (პართიის მეფე) 41.
არტანი, ჰური, ჰაჯთა ქალაქი 23.
არტანუჯი 174, 258.
არტანუჯის ციხე 259.
არტაშატი 31, 38, 49, 61, 257.
არტაშიდები 37.
არტაშირი 41.

არტაშესი 24.
არუთინ არარატიანი 271.
არღუნი (მონღოლთა ნოინი და დიდი ბასკაკი) 219—220.
არშაკავანი (ქალაქი) 46.
არშაკი (პართიის მეფე) 25.
არშაკი (არტაბანის ძე. პართიის მეფე) 37—38
არშაკ II (სომხეთის მეფე 350—368) 46—48. 50—51.
არშუშა (პიტიახში, ქვემო ქართლელი დიდი აზნაური) 61.
არშაკიდები 25—26.
არჩილ მეფე (VIII საუკუნე), 103.
არცნი (ქალაქი) 171.
არწრუნი თომა 121—122, 124—126.
არწრუნი ხაკ 104—106.
არწრუნი პამაზასპ 104—106.
არჭეში 112. 140, 143—144, 149. 192.
ახპაგური 49.
ახტიაგი (მიდიის მეფე) 12.
ატერპატაკანი, ნ. ადარბადაგანი.
ატრპატაკანი, ნ. ადარბადაგანი.
ატროპატენა, ნ. ადარბადაგანი.
აფშილეთი 99.
აფშინი 118.
აფხაზეთი 145, 259.
აქარდეონი (მდინარე) 257.
აქემენიდები 12—15.
აღა-მაჰმად-ხანი 267—269, 271—276.
აღმოსავლეთ საქართველო 83, 107. 111, 115, 118, 120. 180. 182, 210. 233, 236, 238, 257, 267, 269, 276.
აღმოსავლეთ სომხეთი 233.
აღსართანი (შარვან-შაჰი) 200—204.
აღსართანი (კახეთ-ჰერეთის მეფე) 181, 200.
აშოტი (სომეხთა მეფის გაგიკ I-ლის ძე) 154—157.
ახალქალაქი 278.
ახალციხე 278.
ახპატი 191.
ახტალა 269.
ახუნდოვი მ. 281—282.
აჰმადი (ხანი) 226.

ბ

ბაბეკი 113—116, 118—119.
ბაბილონი 226.
ბაგავანი 205.
ბაგრატ აშოტის ძე კურაპალატი 120.
ბაგრატ III (საქართველოს მეფე) 139, 147—148, 151—152.
ბაგრატ IV (საქართველოს მეფე) 159—162, 164—165, 168.
ბაგრატიონი ადარნასე 111, 126.
ბაგრატიონი გურგენ 147—148.
ბაგრატუნი აშოტ (ტარონის მთავარი) 129, 138.
ბაგრატუნი აშოტ (სომეხი ნახარარი) 109.
ბაგრატუნი საჰაკ (სომეხი ნახარარი V ს) 62.
ბაგრატუნი საკ (სომეხი ნახარარი VIII ს.) 109.
ბაგრატუნი სმბატ (სომეხი ნახარარი) 109.
ბაგრატუნი სუმბატ (სომეხი ნახარარი) 120.
ბაგრევანდი 149, 167.
ბადი (ამირა) 131—132, 135, 141.
ბაზზი (ციხე-სიმაგრე) 118.
ბათუმი 279.
ბაიაზეთ I (სულთანი) 230.
ბაიაზეთ-ალაშკერტი 232.
ბაიაზეთი 279.
ბაიაზეთის ჯილაიეთი 237.
ბაიაზეთის საფაშო 247.
ბაკიხანოვი ა. 281.
ბალაძორი (არაბი ისტორიკოსი) 104.
ბარაბა (არაბი სარდალი) 90.
ბარამი (ჰერთა დიდებული) 181.
ბარამიძე ალ. 5, 249, 273.
ბარდავი 24, 70, 72, 103, 110, 112, 114, 176.
ბარდა ფოკა 131, 134, 136, 138—140.
ბარხი 112.
ბარტოლდი 177.
ბახიანი 167.
ბასილ II კეისარი 129—130, 136—139, 147—148, 153, 156.

ბახილი ეზოსმოძღვარი 202—203.
ბაღდადი 84, 109, 115, 135, 145, 202, 231, 225, 259.
ბაღვაში ლიპარიტ 161, 164—169.
ბაქო 241—242, 245, 277, 282—283.
ბაქოს სახანო 237.
ბაქრაძე დ. 160.
ბარუ ნოინი 215.
ბელაქანი (ქალაქი რანში) 209, 116.
ბედუჯის მდინარე 22.
ბერკრი (ქალაქი) 112, 140, 149.
ბერქა 220—221.
ბერძენი 25, 27, 36, 39, 66.
ბერძენიშვილი ნ. 6, 10, 83, 175—177.
ბერძნები 7, 14, 20, 23, 255.
ბიზანტია 45, 52, 56, 57—58, 67—70, 77—78, 81, 84—86, 93, 98, 105, 128—131, 145, 147—148, 149, 164—167, 170—171, 192, 199, 299—230.
ბიზანტიელები 67, 73, 83, 156—157, 170.
ბიზანტიელი 67.
ბიზანტიის იმპერია 258.
ბითლისის ვილაიეთი 237.
ბლუჩანი (ხაჯანის სპასალარი) 106.
ბოსფორის სამეფო 25.
Brosset M. 156—157
ბულგარელები 261.
ბუღა თურჩი 120—126.
ბუხარა 116.

გ

გაბაშვილი ვ. 170, 172—173, 179, 252.
გაბრიელ სომეხი 273.
გაბრიელ ოჩოპენტრეს ძე 143.
გაგი (ციხე) 209.
გაგი („ქუეყანა გაგისა“) 208.
გაგიკ I (სომეხთა მეფე) 141—142, 151, 154.
გაგიკ II (სომეხთა მეფე) 156—161, 166.
გაგნი (ციხე) 187.
გავაზი (სოფელი კახეთში) 117.
გაიოზ კალგულა (რომის კეისარი 37—41 წ.) 39.
გაჯშაბი (სპარსეთის წარმომადგენელი ალბანიაში) 72.
გარდაბანი 76—77, 90.
გარდაბნის ველი (ქარმანის ველი) 63.
Ган К. 153, 156, 158, 169.
განძა 151—152, 170, 175, 180—181, 183, 192, 211—212.
განჯა (განძა) 239, 241, 259, 263—264, 268, 271, 275, 277.
განჯის სახანო 237.
გარისი 210.
გელაქუნი 218.
გერმანია 280.
გეტა (გეტა სარდალი) 97.
გეტიკის ეკლესია 261.
გვრიტიშვილი დ. 258.
გილანი 241.
გიორგი I (საქართველოს მეფე 1014—1027 წ.) 152, 154—155.
გიორგი II (საქართველოს მეფე 1072—1089 წწ.) 176.
გიორგი III (საქართველოს მეფე 1156—1184 წწ.) 192—195, 197—201, 205.
გიორგი ლაშა (საქართველოს მეფე 1213—1222 წწ.) 208—210, 219.
გიორგი V ბრწყინვალე (საქართველოს მეფე 1314—1346 წწ.) 224.
გიორგი VII (საქართველოს მეფე 1393—1407 წწ.) 225—226.
გიორგი XII ერეკლეს ძე (ქართლ-კახეთის მეფე 1798—1800 წწ.) 250—251.
გიორგი მთაწმინდელი 130, 133.
გიში (ციხე) 82.
გოგონ მიჰრანი (სპარსთა სარდალი) 67.
გორა (გორი) 190.
გორდიევები 27.
გორდიოხი (გორდიევების მეთაური) 27.
Гордлевский В. 179.
გორი 190, 251.

გრიგოლ მაგისტროსი 158.
Григорий З. 240.
გულისტანი 187.
გულისტანის ციხე-სიმაგრე 231.
გურგანი 113.
გურგენი (ქართლის მეფე VI ს. პირველ ნახევარში) 65.
გურგენი (ქართლის აჯანყების მეთაური სპარსთა წინააღმდეგ VI ს. მეორე ნახევარში) 67.

დ

დაგანები (პუნთა ტომი) 66.
დავით აღმაშენებელი 5, 173—174, 176, 181—185, 187—192, 199—201.
დავით VII ულუ (საქართველოს მეფე) 215—216, 218, 220—221, 261.
დავით VI ნარინი 218, 220.
დავით VIII (საქართველოს მეფე 1293—1311 წწ.) 222.
დავით III კურაპალატი (დავით კურაპალატი) 132—135, 137, 139, 140—144, 147, 149—151.
დავით ბეგი 5, 241—242.
დავით ხახულანი 203.
დავითი (სომეხთა მთავარი) 180.
დავითი (დვინელი) 159, 161.
დამახკ (ქალაქი) 88, 103.
დარიალის უღელტეხილი 99.
დარიოსი (სპარსეთის მეფე) 13—14.
დარუბანდი 53, 56—57, 72, 95—96, 98, 208, 210, 240, 200—201.
დარუბანდის უღელტეხილი 99.
დახავლეთ საქართველო 63, 94, 99, 147, 189, 218, 222, 232.
დახავლეთ სომხეთი 234, 238, 278.
დაღესტანი 265
დაღესტნელები 267, 275.
დემეტრე (ბაგრატ IV ძმა) 161.
დემეტრე II თავდადებული (საქართველოს მეფე 1271—1289 წწ.) 261.
დემნა უფლისწული (დავითის-ძე) 201.
დერჯანია 139.
დვინელები 80.
დვინი 61, 66, 79, 81, 87—88, 96, 114, 120, 122, 158, 164, 180, 185—187, 207, 210, 258.
დიარბაგი, ნ. დიარბექირი.
დიარბექირი 93, 223.
დიარბექირის ვილაიეთი 237.
დიდგორი 184.
დიდი სომხეთი 21, 24.
დილმაანის ტომი 66.
დიო კასიუსი 36, 39.
დიოსკურია 257.
დმანისი 182—183, 259.
დონდუა ვ. 6, 10.
დოხითეოს ნეკრესელი (ჩერქეზიშვილი) 249—250.
Джанашия С. 134.
დუმბაძე მ. 6, 10, 258.
დუწუა (ტირგთასის შვილი) 20.

ე

ეგვიპტე 204.
ეგვიპტე ონიასების-ძე მარტყოფელი „იოსელიანად გვარმიღებული" 250.
ეგრისი 22, 50, 59, 70.
ეგრისა 32, 208, 229, 239, 243.
ეგვრატი 6, 7, 9, 10, 11, 21, 25, 27.
ეკატერინე II 275.
ეკბატანი (მიდიის დედაქალაქი) 12.
ელინი ი. 5, 244.
ენგელსი ფ. 163, 169, 170.
ერაყი 166, 196.
Ереван 7, 66.
ერევანი 247, 248, 263—264, 268, 277—278.
ერევნის ხანანი 237, 272.
ერეკლე II 5, 84, 244—247, 251, 267—275.
Ереван С. 172.
ერვანდაშატი 49.

ერზერუმი 7, 89.
ერზერუმის ვილაიეთი 237.
ერზინჯანი (ერზინკი) 138, 192.
ერიხთაკი გ. 277, 281—282.
Ерицов А. 248.
ერმოლოკი 281.
ერტოგრული 229.
ერწუხი 182.
ესაია (სომეხთა კათალიკოსი) 239.
ეღიშე ვარდაპეტი (სომეხი ისტორიკოსი) 154, 156—158.
ეჩმიაძინი 268.

3

ვაგიფი 253.
ვადიდი 272.
ვალარში (სპარსთა მეფე) 40.
ვალაშკერტი (ქალაქი) 142.
ვალერტი (ქეისარი) 51.
ვანანდი 141.
ვანი 49.
ვანის ვილაიეთი 237.
ვანის ტბა 9, 232.
ვარაზ-ბაკური (ასპაგური) 50—51.
ვარაზ გრიგოლი 76.
ვარამ გაგელი 208, 210.
ვარდა (თეოდოროს რშტუნის შვილი) 86.
ვარდან დიდი (სომეხი ისტორიკოსი) 61, 86, 95, 118, 188—189, 194, 196—197, 209—210, 214, 215, 220, 221.
ვარდანი (მანუელის ძმა) 66.
ვარდან მამიკონიანი, ნ. მამიკონიანი ვარდანი.
ვარდი (სურენას მკელელობის მონაწილე) 66.
ვარსკენ პიტიახში 60—61.
ვახაკი (სიუნიკთა საგვარეულოს უფროსი IX ს.) 116.
ვახაკ ხიენიელი 57—58, 61.
Василевский В. 138.
ვახუშტიანი 104, 106, 119, 149, 153—154, 160, 167, 232.
ვაღარშაპატი 49.
ვაჩე (ალბანთა მეფე) 59.
ვახტანგ გორგასალი 5, 60—64.
ვახტანგ VI (ქართლის მეფე) 5, 239—242.
ვილჰელმ I (გერმანიის იმპერატორი და პრუსიის მეფე) 280.
ვირო (ალბანთა ქრისტიანული ეკლესიის მეთაური) 76.
ვირკ (=იბერია) 8. ნ. იბერია.
ვოსკერჩიანცი ტერ-იოჰან 247, 272.
Вургун Самед 273.

ზ

ზაქარია მკარგრძელი (ამირ-სპასალარი და მანდატურთ-უხუცესი) 203—204.
ზაქარია ზაზეს-ძე (ამირსპასალარი ულუ დავითის დროს) 219—221.
ზარგში 24.
ზარიშატი (ქალაქი) 49.
Заходер Б. 94.
ზეითუნი 278—279.
ზირაქი (ბუღა თურქის სპასალარი) 121—122.
ზმირნა (სმირნა) 264.
ზოია (ბიზანტიის დედოფალი) 157.
ზონარა (ბიზანტიელი ისტორიკოსი) 138.
ზუბოვი 275.

თ

თავრეზი 226. ნ. თავრიზი.
თავრიზი 142, 231, 263, 264, 277.
თათარები 209.
თამარი (საქართველოს მეფე 1184—1213 წწ.) 193, 195, 197, 203, 204, 206, 228.

თარგამოსი 15. 18.
თბილისელები 73.
თბილისი 5, 10, 73—76, 83, 106, 108, 112, 117, 120—123, 145, 165, 176, 180, 182—184, 189, 196, 203, 210, 214—215, 239, 241—242, 244, 246, 248, 251, 257, 259—261, 263—264, 268—273, 281—284.
თეიმურაზ I (კახეთის მეფე) 252.
თეირანი 277.
თელავი 248, 251.
თემურ-ლენგი 225—226, 229—230, 251, 262.
თემუჩინი 207.
თეოდოროს რშტუნი (რშტუნის პროვინციის · მმართველი სომხეთში) 81—82, 85—88, 91.
თეოდოსიუპოლი (ქარნუ-ქალაქი, ერზერუმი) 88, 109, 112, 134.
თეოფანე ბიზანტიელი 66—67.
თეოფანე (ბიზანტიის დედოფალი) 133.
თეოფანე ქრონოგრაფი 71.
თომა მეწოფელი 251.
თორგომოსი 20. ნ. თარგამოსი.
თოღრილ-ბეგი (სულთანი) 166—167, 170.
თრიალეთი 188.
თუმანიანი ო. 284.
თურქები 207.
თურქეთი 279—280
თურქმანები 226—227.
თურქმენჩაი 277—278.
თურქ-ოსმალები 228—235. 262.
თურქ-სელჩუკები 166, 168—169, 171—172, 174, 176—177.

ი

იაზიდ II (ხალიფა) 96.
იაზიდ იბნ-მაზიადა იბნ-ზაიდუ აშ-შაიბანი 112.
იაზიდ იბნ-უსაიდ ოკ-სულამი 112.
იაზიდ იბნ-ხატიმა ალ-მუხალ-ლაბი 112.
ალზიდი (ამიერკავკასიის არაბი მმართველი) 102—106.
იაკუბი (არაბი ისტორიკოსი) 96, 97, 101, 105—107, 111—112, 117.
Якубовский А. 173.
იბერები 17.
იბერია 8, 17, 22—25, 27—28, 32—34, 36—37, 42—43, 47, 50, 52, 54, 59, 65, 69, 71, 73, 76, 78, 85—87, 105, 257, 259.
იბერიელები 30, 33, 38—39, 148.
იბნ ალ-ასირი (არაბი ისტორიკოსი) 130, 187.
იბნ-ხოსრო (ამირა) 134—135.
იბრაგიმი (შარვანის მმართველი) 225.
იბრაგიმი (ყარაბაღის ხანი) 272, 267.
იეზდიგერდ II (438—457) 53—54, 55, 58—60.
იეზდიგერდ III 84.
იემენი 235.
იერუსალიმი 180.
ივანე აბულეთის-ძე 196.
ივანე ათაბაგი 208—211.
ივანე ამირ-სპასალარი 198.
ივანე მკარგრძელი 203—204.
ივანე ახალციხელი 211.
ილია (სომეხთა კათალიკოსი) 92, 93, 110.
ილხანები 223.
იმიერკავკასია 200.
ინგლისი 235, 243, 267—268, 277.
ინგოროყვა პ. 134.
ინდოეთი 32, 243, 257.
ინდუსი 25.
იოანე ბატონიშვილი 249—251, 273.
იოანე-ორონკე 132—134, 139.
იოანე კათალიკოსი (დრასხანაკერტელი) 90—100.
იოანე საბანის-ძე 72, 109—110.
იოანე-სუმბატი (ანისის მეფე) 154—157.
იოანე შავთელი 260.
Иоаннисян А. 8.
ირანელები 65, 67.
ირანი 41, 56, 67, 70, 71, 77, 83, 114, 145, 166, 172, 242, 196, 208,

210, 219, 275—278, 235—239, 241, 266.
ირანის აზერბაიჯანი 166, 202, 224, 231.
ისპაჰან ისმაილი (სპარსეთის შაჰი) 122—123.
ისმაილი (სპარსეთის შაჰი 1502—1524) 230, 231.
ისპაჰანი 197, 235, 240, 263.
იტალია 28.
იუსუფი (ეთაბი სარდალი) 112, 119.

კ

კაბადოკია 21, 31, 166.
კაბალა (ალბანიის სამეფოს დედაქალაქი) 17.
კაბერია (ქალაქი და ციხე-სიმაგრე) 29.
კავად I (სპარსეთის მეფე 488—531) 64, 113—114.
კავკასიის მთიელები 37.
კავკასიონი 33.
კავკასიის მთა 20.
კაზარიანი მ. 83.
კალა (ციხე) 74.
კალანკატუელი მოსე, ნ. მოსე კალანკატუელი.
კალკუტა (ქალაქი) 143.
კამბეჩოვანი 77.
Капанцян Г. 7, 9.
კაპეტრი (ციხე) 168.
კართაგენი 94.
კარი 205. ნ. ყარსი.
კარინი 134. ნ. თეოდოსიუპოლი (ერზერუმში) 134, 192.
კარნუ ქალაქი 261. ნ. კარინი.
კახაიის ზღვა 17, 30, 32, 33, 239, 265.
კახაძე მ. 131, 137.
კახეთი 97, 105, 106, 111, 117, 127, 145, 182—182, 238, 241.
კახეთ-ჰერეთი 180—181.
კედრენე (ბიზანტიელი ისტორიკოსი) 130, 136, 138, 153, 156—158, 167.
კეკავმენი (ბიზანტიის ლაშქრის სარდალი) 167—168.
კეკელიძე კ. 5, 107, 149, 151, 164, 173.
კელკიდ-ლიკე (მდინარე) 29.
კიახკარი (მიდიის მეფე) 11.
კილიკია 31.
კირაკოზ განძაკელი 212, 215, 219, 220, 221, 261.
კიროს II (სპარსეთის მეფე) 12.
კლავდიუსი (რომის კეისარი) 39.
კლავდიუს პტოლემაიოსი (ბერძენი გეოგრაფი) 17.
კლარჯეთი 23, 258, 165, 174.
კლდეკარი 139.
კოლხეთი 14, 23, 25, 32, 42.
კოლხიდა 27.
კომისი (ალბანთა მეფის ძე) 34.
კონსტანტინე II (ბიზანტიის კეისარი) 85—86.
კონსტანტინე მონომახი 157, 168.
კონსტანტინე კახა 125—126.
კონსტანტინე პორფიროგენეტი (ბიზანტიის კეისარი) 144, 259
კონსტანტინე VIII (ბიზანტიის კეისარი) 130.
კონსტანტინე I (საქართველოს მეფე 1407—1411 წწ.) 226.
კონსტანტინე (მამადყულიხანი, კახეთის მმართველი 1722—1733 წწ.) 241.
კონსტანტინეპოლი 50, 85, 88, 66, 130—131, 136—137, 158, 160, 229, 230.
კობტახთავი 214.
კრწანისი 269, 274.
Ксенофонт 14.
კუბა 275.
კუბის სახანო 237.

ლ

ლაზარე ფარპელი 60.
ლაზიკა 50.
Langlois V. 60
Латышев В. 39—40, 48, 50, 74.

ლაშა გიორგი 201, 205. ნ. გიორგი ლაშა.
ლევანი (ერეკლე II-ის ძე) 272.
ლეკები 18, 20, 22, 51, 239—240.
Ленинград 14.
ლენქორანი 113.
ლეონტი (სომეხი ისტორიკოსი) 81, 86. 91. 92. 97. 102. 104—105, 108—109.
ლეონტი მროველი 4. 15, 18, 20, 22, 51.
ლონდონი 244.
ლორე 114, 219. 272.
ლუარსაბ I (ქართლის მეფე) 233.
ლუარსაბ II (ქართლის მეფე) 251.
Луговский В. 273.
ლუკულუსი (რომაელი სარდალი) 29—31.

მ

მაგნეზია (ქალაქი) 24.
მადრახი (ქალაქი) 243. 245—246.
მადინაშვილი ზაქარია 248—249.
მავრიკე კეისარი 68.
მაზდაკი 113—114.
მათე ედესელი 190. 193—194.
მაკადახი 130.
მაკედონელები 20, 33.
მაკენეცი (ქალაქი) 116.
Максимова М. 14.
მალიქ-შა (სულთანი) 69. 173—174.
Малхасианц С. 66.
მამიკონიანი არტავაზ 108—109.
მამიკონიანი გრიგოლ 91. 101.
მამიკონიანი ვარდან 5. 56—57, 58, 61. 66.
მამიკონიანი ვაჰან (IV ს.) 48.
მამიკონიანი ვაჰან (V ს. განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაური სომხეთში) 61—64.
მამიკონიანი მუშელ (IV ს.) 50.
მამიკონიანი მუშელ (VIII ს.) 109.
მამიკონიანი სამოელ 109.
მამლანი (ამირა) 143.
მანანდიანი ი. (Манандян Я.) 48. 256—257, 260, 265.
მანახგომნი 187.
მანაკერტი 129, 131. 140, 142, 171, 192.
მანსური 84. ნ. ალ-მანსური
მანუელი (ვარდანის ძმა) 66.
მანუჩარ II (შარვან-შაჰი) 184.
მანუჩე (შედადიანი) 81, 91.
მარდები 13.
მარიამი (ბაგრატ IV დედა) 160—162, 165.
მარკიანე (კეისარი) 55.
Марр Н. 165.
მარტიროპოლი 135.
მარქსი კარლ 150, 169—170.
მასისი (მასისის მთა) 19.
მასუდი (მასუდი) 115.
მატიანები (მატიანების ტომი) 13.
მატიუშკინი (გენერალი) 240. 242.
მაჰდი (ხალიფა) 110.
მეგრელ-ჭანები 9, 21.
მელიტინი 130.
მელიქი („დიდმან სულტანმან მელიქმან") 204.
მელიქიშვილი გ. (Меликишвили Г.) 6, 7, 9, 10.
მელიქსეთ-ბეგი ლეონ 5. 190—191, 246. 252, 270, 271. 272.
მენანდრე (ბიზანტიელი ისტორიკოსი VI ს.) 67.
მერენი (მერიანის ციხე) 197.
მერუჟან არწრუნი 48.
მესოპოტამია 21. 27, 31, 35, 39, 83, 130, 145, 280.
მესხია შ. (Месхия Ш.) 6, 256, 258.
მიდია 10. 11, 29, 70, 263.
მიდიელები 8. 11.
მითრიდატ III (პონტოს მეფე) 25.
მითრიდატ VI (პონტოს მეფე) 25—33, 35.
მითრიდატი (ქართლის მეფის ფარსმანის ძმა) 37, 39—40.
მირზა-ადიგეზალ-ბეგი (Мирза-Адигезаль-бек) 273.
მირზა-ფათალი ახუნდოვი 281.

მირზა-შაფი-ვაზეხი 66.
მირიანი (სპარსთა სარდალი) 66.
მირიანი (ქართლის მეფე) 47.
მირმანი 204, ნ. ამირ-მირმანი.
მიხეილი (მიხეილ ვესტი) 157.
მოავია (ხალიფა) 89—92.
მოვაკნელები 18.
მონღოლები 206— 209, 211— 219, 221—224, 226, 229, 261.
მოსე კალანკატუელი 4, 43, 70, 72, 73—74, 76—77, 92, 95—97, 102, 116—117.
მოსე ხორენელი 4, 35, 48.
მოსინიკები 13.
მოსკოვი (Москва) 14, 138.
მოხხები 13.
მტკვარი 9, 12, 16—17, 32, 34, 51, 73.
მუკანი 113.
მურად-ჩაი (მდინარე) 7.
მურვან ყრუ (მურვან იბნ-მუსამედი) 99—101.
მუღანი 113, 209.
მუში (ქალაქი) 119, 131, 192.
მუჰამედ II 95.
მუჰამედი (არაბთა წინამძღოლი. მესლიმანური სარწმუნოების ფუძემდებელი) 79.
მუჰამედი (ხვარაზმ-შაჰი) 208.
მცირე აზია 6, 25, 129, 179, 228.
მცირე სომხეთი 21, 25, 29.
მცხეთა 22—23, 33, 50, 257.
მხარგრძელი ხარგის 193.
მხითარ ბრძენი 250.

ნ

ნადირ-შაჰი 242.
ნადირ-ხანი, ნ. ნადირ-შაჰი.
ნაზარიანი ს. 281.
Накри-Урарту 7, 9—10.
ნალბანდიანი ვ. 73—76, 81, 91—92, 100, 122—123, 260, 270—273.
ნალბანდიანი მ. (სომეხი რევოლუციონერ-დემოკრატი) 282.
ნაპოლეონი 277.
ნაჭარმაგევი 193.
ნახჩავანი, ნ. ნახჩევანი.
ნახჩევანი 49, 83, 95, 196, 225, 277—278.
ნახჩევნის სახანო 237.
ნებროთი 18—20.
ნეგავენდი 83.
ნეოკეხარია 29.
ნეპერკერტი 131, 135, 141.
ნერსე (ქართლის ერისმთავარი VII ს.) 90.
ნერსე (ქართლის ერისმთავარი VIII ს.) 72, 107, 109—110.
ნერსეხიანი მ. 245.
ნესევი 174.
ნერშაპ რიმმოსიანი 56
ნიზამ ალ-მულქი 79, 173.
ნიზამი განჯელი 4.
ნიკეა 131.
ნიკიფორე (ბარდა ფოკას ძე) 135, 129.
ნიკოლოზ კახელი 249.
ნიკოლოზი (ბიზანტიელი სარდალი). 157.
ნიკხარა 29.
ნორბედი 187.

ო

ობეზები (ქართველები) 213.
ოგუზები (თურქთა მოდგმის ხალხი) 229.
ოკი 261.
ოსნი 51. ნ. ოსები.
ოლთიხი (ქალაქი სამხრეთ ტაოში) 153.

ომარი (საჰაკ ამირას ძე) 122.
ომარი (თემურ-ლენგის შვილი) 226.
ომარ-ხანი 272.
ორბელიანი ალ. 282.
ორბელიანი იოანე 249.
ორბელი ივანე (ამირსპასალარი) 193, 201.
ორბელიანი სტეფანოზ 100, 116.
ორი (ისრაელ ორი) 239.
ორიხე (ალბანთა მეფე) 32—33.
ორშიზდუხტი 48.
ოროდი (არტაბანის ძე) 38—39.
ოსები 22.
ოსეთი 123.
ოსმალები 238.
ოსმალეთი 228—229, 235—238—241, 243, 266, 274, 276, 277, 278.
ოსმანი (ხალიფა) 88.

პ

პავლე I 275.
პალესტინა 29, 160.
პანახ ვაგიფი 5, 272.
პაპი არშაკის ძე (სომეხთა მეფე) 49—51.
პარაბიტი (ხაზართა ხაკანის დედა) 98.
პართელები 27, 29, 39—40.
პართია 25—26, 28, 32, 35—37, 41.
პატკანიანი კ. (Патканян К.) 82, 116, 212, 215—216.
პატკანიანი ხერობე 272 .
პაფლაგონია 27.
პაპლავუნი ვაჰრამ 142, 156.
პეიხონელი 263.
პეკინი 208.
პეროზი (სპარსეთის მეფე 458—484 წწ.) 59—60.
პეტრე I 239—242.
პეტროს კათალიკოზი 158.
პიზა (ქალაქი) 166.
Пиотровский Б. 7—10.
პლანო კარპინი (Плано Карпин) 213, 217—218.
პლუტარქე 27—31, 33—34.
პომპეუსი 31—34.
პონტო 21—22, 25, 27.
პონტოს ზღვა 33.
პონტოს სამეფო 22, 25—26, 28, 31—32.
პორტეზი 139.
პროკოპი (ბიზანტიის ლაშქრის მეთაური) 81—82.
პროკოპი კესარიელი 257.
პრუსია 280.

ჟ

ჟაკრუსო (ბიზანტიის ლაშქრის უფროსი) 139.
ჟამთააღმწერელი 27—28, 210—211, 220, 222.
ჟანი 139. ნ. პორტეზი
ჟორდანია თ. 67, 131, 139, 260.
ჟუზე პ. 96—97.

რ

რადამისტი (ფარსმან მეფის ძე) 40.
რანი 96, 100, 186, 209, 210.
რაჟუ-თარხანი (ხაკანის სარდალი) 105.
რატიანი პ. 6, 10.
რაშიდ-ად-დინი (სპარსელი ისტორიკოსი) 221, 223.
რეი 197.

Розен В. 130, 136, 138.
რომაელ 30.
რომაელები 24, 32, 34, 36, 39, 40, 47, 49, 66, 257.
რომანოზ II (ბიზანტიის კეისარი) 129.
რომი 24, 26, 28, 31—32, 35, 37, 42, 45, 49—52, 67.
რუმი 229.
რუმის სახულთანო 228
რუსები 240.
რუსეთი 234, 239, 241, 243—245, 266—268, 274—277, 279—280.
რუხი 238.
რუხუდანი 204—205, 210.
რშტუნი (სომხეთის პროვინცია) 81, 85.

ს

საკაძე გიორგი 252.
საბა (ქართველი მოღვაწე X ს.) 131.
საბურძნეთი 24, 169.
ხაბირები 66.
Сабир М. (Сабир М.) 283.
სამანდარი (ქალაქი) 152.
სამარა 22.
ხაჩარუანდი 166.
სამშვილდე 182.
სამცხე-საათაბაგო 222, 234.
სამხრეთი აზერბაიჯანი 118, 196, 235, 267.
სამხრეთი ბახიანი 134.
სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 99, 111, 154, 238.
სამხრეთი დაღესტანი 101.
სამხრეთი რუსეთი 210.
სამხრეთი ხომხეთი 261.
სამხრეთი ტაო 145, 147, 149, 151, 153—155, 166.
სანთინი 191.
სან-ფრანცისკო 279.
საჯათნოვა (არუთინ საიადიანი) 251.
სარგის ჭაყელი 118, 120.
სარმატები 25.
სარმატია 17, 25.
საროე (ოსთა მეფე) 66.
სასანი (მთავარი ჭურუმი იყო სპარსეთში) 41.
სასანიდები 41, 45—47, 53, 58, 77.
სახპერები 10, 13.
სახუნი 192.
საურმაგი 49, 51.
საფრანგეთი 243, 267 268, 274.
საქართველო 5—8, 14, 24, 67, 82—83, 91, 99, 103, 115, 117, 119, 123, 127—128, 142, 145—146, 151—156, 159—163, 172, 174—179, 182—185, 190—193, 195—196, 199—206, 208, 211—213, 215—220, 222, 223, 225—226, 232—233, 237—238, 247—249, 251—252, 255, 258—260, 262—263, 265, 268, 272—273, 275, 277—279, 284.
საღმოსავანქი 260.
სახლა ხუმბატი 118.
სახაკი (თბილისის ამირა) 120.
სახაკ ბაგრატუნი, ნ. ბაგრატუნი სახაკ
სებეოსი (სომეხი ისტორიკოსი) 66, 68, 69, 82—83, 85—86.
სევადი (არაბების სარდალი) 116.
სევანი 218.
სევანის ციხე-სიმაგრე 95.
სევანის კუნძული 100
სევუკი (ციხე) 134.
სეით-ალი 225.
სელევკი 20, 28.
სელევკიდები 21, 23—25.
სელჩუკი 166.
სენექერიბი (ვასპურაკანის მეფე) 153, 160—161.
სპაგან გუნდი 82. ნ. ვასპურაკანი
სერგი პატრიკი 94.
სეროხბი (სერაბინი) 270, 273.
სეფიანები 230—231, 233, 235, 240.
სეფე-ედდინი 230.
სივნიეთი 82, 86, 116, 227, 241.

ხოსრო I (ქართლის მეფე 1558—1600) 233, 236.
ხოსრონი (სომეხთა კათალიკოსი) 244.
ხორეა 27, 29, 31, 83, 223, 259, 280.
Скабаланович Н. 130, 140, 150.
ხულაროსი (ბარდა სულაროსი) 129—137.
ხოშეხი 5, 7, 8, 48, 78, 108, 115, 123, 126, 145, 151, 153, 171—172, 188—191, 194, 214, 221—222, 227, 232, 236, 239, 273.
ხოშხეხი 2, 3, 4, 6, 9, 11—16, 18, 20—21, 35, 39, 42, 44, 47, 52, 54—56, 61, 68, 71, 81, 83, 128, 138, 140—144, 152, 155, 164—165, 170, 207—208, 211, 216, 221, 227, 238, 242, 252, 264, 284.
ხოშხეთი 5, 7—17, 21—22, 25, 28—31, 35, 39—43, 45—50, 52—54, 56—60, 62, 64—65, 67—69, 71, 76, 79, 81—85, 87—92, 94—98, 100—101, 103, 105, 106, 108, 110, 112, 114—117. 124, 126—128, 140, 142, 146, 151, 156, 162—164, 166—167, 170—172, 175, 178, 180—182, 184, 191—192, 200, 205, 210, 215, 219—220, 224—225, 231—233, 235, 237—239, 245, 255, 257—258, 260, 262—263, 278—279, 284.
სომხითი 51.
სოფენე 21, 24.
სპარსეთი 12—14, 20, 42—43, 45—45, 48, 50—52, 54—56, 61, 64—66, 68—70, 74, 77, 79, 84, 228, 238, 241, 243, 257, 267, 274, 276.
სპარსელები 7—8, 13—14, 33, 47, 49—51, 59, 65, 78, 207.
სპარტაკი 28—29.
სპერი 8, 10, 23, 111.
ხტამბოლი 265.
ხტეფანე ალავერდელი 252.
ხტეფანოზ ტარონელი (ასოლიკი) 91, 131, 134, 136, 138, 139, 141—144, 148.
ხტრაბონი 17, 26—27, 257.
ხუანეთი (სვანეთი) 201.
ხულეიმანი 179.
ხუმბატ დავითის-ძე 160.
ხუმბატი (სომეხთა მეფე) 127.
ხუნდუკიანი გ. 281.
ხურგულაძე ა. 258.
ხურენა (სპარსთა მარზპანი სომხეთში) 66.
ხუბში 7—10.

ტ

ტაბარი 53, 69.
ტავუხი 116. ნ. ტავუში.
ტავუში 116.
Такаишвили Е. 74.
ტალინჯარი 187.
ტალიში 268.
ტალიშის ხახანო 237, 272.
ტამანის ნახევარკუნძული 27.
ტაო 111, 153.
ტაო-კლარჯეთი 111, 117, 128, 131, 132, 135, 139—140, 144, 145, 258.
ტარმარი (ხაზარების სარდალი) 98.
ტარონი 119—131, 137, 139.
ტარონიტი 137—138.
ტაციტუსი 37, 38, 40
Тбилиси 7.
ტერ-დავითა 250.
ტერენტი (სარდალი) 49—50.
ტერონაკანი 187.
ტიბარენები 13, 27.
ტიბერიუსი 37, 39.
ტიგრან II (ტიგრან დიდი სომეხთა მეფე) 26—27, 29—32.
ტიგრან IV (სომეხთა მეფე) 37.
ტიგრანაკერტი 30—31. 27—28, 49.
ტიგროხი 8, 41.
ტირეთისი (დუწუკის მამა) 20.
Толстой И. 14.

ტრაიანე (სარდალი რომაელების) 51.
ტრაპიზონი 130, 137, 232, 258, 259, 265.
ტურნეფორი 264.
ტფილისი 74. ნ. თბილისი.

უ

უზბეკები 231, 233.
უმეკი (დიდ ვაჭარი) 261.
უორარტელები 6, 11, 16.
უორარტუ 8—11.
უტი 116.

ფ

ფადლონი (განძის ამირა 985—1030 წწ.) 151—152, 158.
ფადლონი (განძის ამირა XII ს.) 196.
ფაზისი 32, 257.
ფარაბოროტი (აქემენიანთა სპარსეთის მეფის ქეკაპოსის შვილი) 15.
ფარნავაზი (ქართლის პირველი მეფე) 22—23.
ფარსისტანი 41.
ფარსმანი (ქართლის მეფე) 37—40.
ფაუსტოს ბიზანტიელი 47—48.
ფინიკია 27, 31.
ფოთი 278.
ფრაკია 68—69.
ფრანგი 263.

ქ

ქავაზინნი (ქავაზნი. ციხე სომხეთში) 187.
ქავთარ ბარამის ძე 181.
ქალდია 130, 137.
ქართველები 2—4, 6—8, 9, 11, 12, 14—18, 20—21, 25, 42, 46—47, 52, 54—56, 58, 65, 68, 71, 74, 80, 83, 85, 125, 128—129, 138, 140—144, 148, 151—153, 155, 160, 164, 170, 176, 183, 185—187, 193—195, 200—204, 208. 211, 213, 214, 216, 221, 223, 224, 226—227, 230, 237, 238, 242, 277, 284.
ქართველი 5, 78, 108, 110, 115, 123, 126, 132, 145, 165, 173, 174, 182, 188, 189, 191, 197, 204, 272.
ქართები 8.
ქართლი 22—23, 24. 45. 49, 51, 57, 59, 60, 62—63, 65, 67—68, 87, 89—92, 94, 99—100, 103, 105—106, 110—111, 117, 119—120, 123—124, 127, 147. 190, 222. 224, 233, 238, 240, 241, 251.
ქართლ-კახეთი 267, 269, 273—275.
ქართლ-კახეთის სამეფო 245, 251, 266, 268, 272.
ქაჯთა ქალაქი, ნ. პურა.
ქეთევან დედოფალი 252.
ქეკაპოსი (სპარსთა მეფე) 14.
ქერიმ-ხანი 267.
ქეშიშ-ხანი 48, 51, 54. 58. 60.
ქუთაისი 174, 220.
ქურთისტანი 166.

ღ

ღალისი 11—12.

ყ

ყაბანი 257.
ყაზანი (ყაზან-ყაენი) 221—223.

უაზვანი 235.
უაითმაზაშვილი ფილიპე 248—249.
უარაბაღი 116, 267—268, 271—272, 275—277.
უარაბაღის სახანო 237, 272.
უარადაგი 113.
უარა-იუსუფი 226.
უარა-ხუ 6—7, 9.
უარაუუროში 208.
უარსი 192, 205, 258, 279.
უარსის ვილაიეთი 237.
უაუხჩიშვილი თ. 14, 28, 257.
უაუხჩიშვილი ს. 15, 66, 67, 167, 193, 157, 159.
უიზილბაშები 231, 235, 262.
უირიში 27, 260.
უუთლუშა ნოინი 223.

შ

შაბურ II (სპარსეთის მეფე 310—379 წწ.) 46—50.
შაბურანი 201.
შაგატი (ქალაქი) 116.
შადადიდი შავირ 170.
შავბატკნიანები 224.
შაკი ზღვა 7, 9—10, 12, 21, 23, 25, 260.
შათი (ჯიბღე ხაკანის შვილი) 74.
შალვა ახალციხელი 211.
შამახია 184—185, 263—265.
შამი 193.
შამჩი-მელქო (მელქონ გულქანონი) 271.
შანქორი 203—204.
შანშე მხარგრძელი 220.
შარდენი (Шарден) 263, 265.
შარვანელები 187.
შარვანი 175, 182—183, 187, 199—200, 203, 205, 210, 222, 225—227, 231—233, 236, 239, 264.
შარვანის სახანო 237.
შაჟი 225—227, 231—233, 236.
შაქიხ სახანო 237.
შაჰ-აბახი 235—237.
შაჰამირიანი იაკობ 246.
შაჰამირიანი შაჰამირ 245—246.
შაჰ-ჰარმენი (ხლათის მმართველი) 193—194.
შაჰთამაზი 233, 240.
შეიბანხანი 231.
შემახია 180, 186, 210, 240. ნ. შამახია.
შემს-ედდინ ელდიგუზი 196—197.
შვეცია 239.
შირაკი 108—109, 187, 194, 218—219.
შირვანი 101. ნ. შარვანი
შიპოვი (პოლკოვნიკი) 240.
შიქესტე შირინი 272—273.
შმავონიანი არუთინ (არუთინ შირაზელი) 246.
შოთა რუსთაველი 4.
შუა აზია 113, 228, 261.
შუშა 273, 276.

ჩ

ჩარი (უმეკის შვილი) 261.
ჩაღატა ნოინი 216.
ჩახრუხაძე 260.
ჩინგიზ-ხანი 207—208, 219.
ჩინეთი 208.
ჩორი 95. ნ. დარუბანდი.
ჩორმაირი (ჩორმაირის თემი) 134.
ჩორმაღან ნოინი 212.
ჩორჩანელი (მაგისტრი) 139.
ჩრდილო აფრიკა 94.
ჩრდილო კავკასია 25, 99.
ჩრდილო მესოპოტამია 224.
ჩრდილო ხომხეთი 261.
ჩრდილო ტაო 147.

ც

ცაგარეიშვილი ე. 73.
ცგკაცი (ცგკაცის მხარე) 116.
ციმახხი ოთარე 129—131.
ციხე-გოჯი 99.
ცხუმი 90.

წ

წერეთელი აკაკი 282—283.
წინა აზია 20, 24, 228.

ჭ

ჭავჭავაძე ილია 283—284.
ჭართალეთი 123.
ჭარმანიხ ველი (გარდაბანის ველი) 63.
ჭოროხი 8, 11.

ხ

ხარაზები 20, 71—77, 97, 125.
ხაზარეთი 97.
ხალდები 9.
ხალიდ იაზიდის-ძე 117, 119.
ხალტო-არიჰი 134.
ხამპიაკი (სომხეთის სპარაპეტის მამა) 61.
ხანზიტი 130.
ხარბერდის ვილაიეთი 237.
ხაჩენი 218.
ხვარაზმელები 206, 210, 211.
ხვარაზმი 208.
ხლათი 112, 131, 140, 142, 149, 180, 188, 192, 194, 204.
ხლათ-მანახკერტი 192.
ხმელთაშუა ზღვა 24, 264.
ხოროსანი 131, 133.
ხოსრო I (სპარსეთის მეფე) 66, 69.
ხოსრო II (სპარსეთის მეფე) 68—70, 74.
ხუზაიმა იბნ-ხაზიმა ატ-ტამიმი 111—112.
ხურტი კუზას-ძე 196.

ჯ

ჯაბანი (ჯაბანის მიდამოები) 231.
ჯავად-ხანი 275.
ჯავახეთი 119, 214.
ჯავახიშვილი ივანე 5, 8, 29, 71, 83, 142, 161, 167, 186, 194, 212—213, 220, 254, 259—260.
ჯავიდანი 113.
ჯაზირი 193.
ჯალალ-ედინი 208, 210, 211, 229.
ჯანაშია ნ. 73.
ჯანაშია ს. 26, 79, 83, 117, 257.
ჯიბუ-ხაკანი 74, ნ. ჯიბღუ
ჯებანი 130.
ჯიბღუ (ჯიბღუ ხაკანი) 72, 74, 76.
ჯოჯიკი (ტაოელი) 134.
ჯუანშერი (გარდაბნის მთავარი) 77—78, 90.
ჯუანშერი (ქართლის ერისმთავარი) 106—107.
ჯუანშერი (ქართველი ისტორიკოსი) 84, 100.
ჯურზანი 117. ნ. საქართველო
ჯუღელი სვიმეონ 250.

ჰაბიბ იბნ-მასლამა (არაბი სარდალი) 83.
ჰაი 7—8.
ჰაიახი 7—10, 21.
ჰაიები 7—8.
ჰალიხი 21 27. ნ. ღალისი.
ჰამდალაჰ ყაზვინი 261.
ჰაოხი 19.
ჰახანი (თურქ-სელჩუკთა სარდალი) 167.
ჰასან ჯალალი ხაჩინელი 219, 261.
ჰაქსი 134.
ჰერაკლე (კეისარი) 70—71, 73—74, 76, 78, 122.
ჰერაკლია 27.
ჰერები 18.
ჰერეთი 22, 117, 145, 180—182.
ჰიშამი (ხალიფა) 97—99, 101.
ჰორმიზდი (სპარსეთის მეფე) 68.
ჰოშავანქის მონასტერი 261.
ჰულაგუ (ჰულაგუ ყაენი) 219—220.
ჰურიი 23. ნ. ქაჯთა ქალაქი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

შესავალი 3

თავი I

ამიერკავკასიის ხალხები და მათი ურთიერთობა უძველეს ხანაში . . 6
1. ქართველ და სომეხ ტომთა ურთიერთობა ძვ. წ. X—VII საუკუნეებში 6
2. სომეხი ტომების გავრცელება ურარტუს სამეფოს ჩრდილო რაიონებში 9
3. სომხებისა და ქართველების წინაპართა ერთობლივი ბრძოლა აქემენიდთა სპარსეთის აგრესიის წინააღმდეგ 12
4. ჩრდილო აზერბაიჯანის უძველესი მოსახლეობა. ალბანიისა და სომხეთის სამეფოების წარმოქმნა 16

თავი II

ამიერკავკასიის ხალხთა ერთობლივი ბრძოლა რომისა და პართიის აგრესიის წინააღმდეგ 26
1. სამხედრო კავშირი პონტოს სამეფოსთან 26
2. ბრძოლა რომის ბატონობისა და პართიის აგრესიის წინააღმდეგ . 35
3. სასანიდების გაბატონება სპარსეთში და მისი შედეგები ამიერკავკასიის ხალხებისათვის 41

თავი III

ხახანიანთა სპარსეთის აგრესია და ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა 45
1. ბრძოლა სომხეთის დამოუკიდებლობისათვის. ქართლის (იბერიის) ორ სამეფოდ გაყოფა 45
2. ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა V საუკუნეში 52
3. პოლიტიკური მდგომარეობა VI—VII საუკუნეთა მიჯნაზე. არაბთა გაძლიერება და სასანიდთა სპარსეთი. ირანელების დამარცხება ალბანთა მიერ ქართველთა დახმარებით 65

4. ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლა არაბების წინააღმდეგ 79
5. ბრძოლა სომხეთიდან ბიზანტიელთა განსადევნად . 84

თ ა ვ ი IV

არაბთა ბატონობა ამიერკავკასიაში 88
1. ამიერკავკასიის დაპყრობა არაბების მიერ. განმათავისუფლებელი ბრძოლები. პოლიტიკური მდგომარეობა VII—VIII საუკუნეთა მიჯნაზე 88
2. ბრძოლა ხაზარებსა და არაბებს შორის, მისი შედეგები ამიერკავკასიის ხალხებისათვის. მურვან-ყრუს სისხლიანი ლაშქრობა ამიერკავკასიაში. ომაიდების საგვარეულოს ბატონობის დასასრული . 96
3. ამიერკავკასიის ხალხთა მდგომარეობა VIII ს. მეორე ნახევარში. არაბთა ჩამოსახლება ამიერკავკასიის ქალაქებში . . . 102
4. ხურამიტების მოძრაობა ბაბეკის მეთაურობით და ამიერკავკასიის ხალხები 113
5. განმათავისუფლებელი ბრძოლა არაბების წინააღმდეგ IX საუკუნის 50-იან წლებში. აბულ-კასიმის ლაშქრობა და სომეხ-ქართველთა დამარცხების მიზეზები 119

თ ა ვ ი V

ტაო-კლარჯეთი და სომხეთის სამეფო-სამთავროები X საუკუნის მეორე ნახევარში 128
1. ქართველებისა და სომხების მონაწილეობა ბიზანტიის იმპერიის შინაპოლიტიკურ ბრძოლაში X საუკუნის მეორე ნახევარში . 128
2. ტაო-კლარჯეთისა და სომხეთის სამეფო-სამთავროების განმათავისუფლებელი ბრძოლა სააძიროების წინააღმდეგ დავით კურაპალატის მეთაურობით 140

თ ა ვ ი VI

სომეხი და ქართველი ხალხების გაერთიანების ცდა ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ XI საუკუნეში 145
1. სამხრეთი ტაოს დაპყრობა ბიზანტიის მიერ 145
2. ბრძოლა სამხრეთი ტაოს მიწა-წყლის განსათავისუფლებლად . 152
3. სომხეთისა და საქართველოს პროგრესული ძალების გაერთიანება ანისის სამეფოს დამოუკიდებლობის დასაცავად 156
4. თურქ-სელჩუკები. მათი ლაშქრობანი ამიერკავკასიაში. ბიზანტიის ბატონობის დასასრული 166

თ ა ვ ი VII

ამიერკავკასიის ხალხთა განთავისუფლება უცხოელთა ბატონობისაგან. პოლიტიკური ერთიანობის გაძლიერება საქართველოს მეთაურობით . 179
1. ბრძოლა თურქ-სელჩუკების განსადევნად. ამიერკავკასიის ხალხთა განთავისუფლება უცხოელთა ბატონობისაგან. დავით აღმაშენებელი 179

2. ბრძოლის განახლება ანისისათვის. ჩრდილო სომხეთის საბოლოო განთავისუფლება 191
3. საქართველოსა და შარვანის ურთიერთობა XII საუკუნის მეორე ნახევარში 199

თავი VIII

ამიერკავკასიის ხალხების პოლიტიკური ურთიერთობა XIII—XV საუკუნეებში 206
1. ბრძოლა ხვარაზმელების და მონღოლ დამპყრობლების წინააღმდეგ 206
2. მონღოლთა ბატონობის დამხობა. ამიერკავკასიის ხალხების მდგომარეობა XIV—XV საუკუნეებში 223

თავი IX

ამიერკავკასიის ხალხები ოსმალეთისა და სპარსეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში 228
1. თურქ-ოსმალთა სახელმწიფოსა და სეფიანთა სპარსეთის გაძლიერება 228
2. ამიერკავკასიის ხალხთა ერთობლივი მოქმედება სამშობლოს განსათავისუფლებლად 233
3. ქართულ-სომხური ერთიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ცდა 242
4. კულტურული ურთიერთობის აღორძინება 248

თავი X

ამიერკავკასიის ხალხთა ეკონომიური ურთიერთობა ძველ ხანაში (ზოგადი მიმოხილვა) 254

თავი XI

ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცება 266
1. ამიერკავკასიის ხალხთა განთავისუფლება ირანისა და ოსმალეთის ძალადობისაგან რუსეთის დახმარებით 266
2. განმათავისუფლებელი ბრძოლის გაგრძელება სომხურ პროვინციებში და ამ ბრძოლის შედეგები 278
საძიებელი 286